ირვინგ სტოუნი
წყურვილი სიცოცხლისა

(ბიოგრაფიული რომანი)

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ
ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, 1974

 პროლოგი
ლონდონი

1.

— მუსიე ვან გოგ! დროა გაიღვიძოთ! — ურსულას ძახილს ძილშივე ელოდა ვინსენტი.

— მე უკვე მეღვიძა, მადემუაზელ ურსულა, — გასძახა მან.

— არა, არ გეღვიძათ, თქვენ მხოლოდ ახლა გაიღვიძეთ, — გაიცინა გოგონამ. ვინსენტმა გაიგონა როგორ დაეშვა იგი კიბეზე და როგორ შევიდა სამზარეულოში.

ვინსენტი ხელებს დაეყრდნო და საწოლიდან წამოხტა.

მკერდგანიერს მხრებიც ფართო ჰქონდა, მკლავები კი მსხვილი და ღონიერი. სწრაფად ჩაიცვა, დოქიდან ცოტაოდენი ცივი წყალი გადმოასხა და პარსვას შეუდგა.

სიამოვნებდა პარსვის ყოველდღიური რიტუალი. დაუყვებოდა ჯერ მარჯვენა ლოყას ქილვაშებიდან ვნებიანი ტუჩების კუთხემდე და ზედა ტუჩის ნახევარს, შემდეგ მარცხენას და ბოლოს უზარმაზარ ნიკაპს, თბილი გრანიტის მომრგვალებულ ნაჭერს რომ მიუგავდა.

ვინსენტმა შიფონერზე დაყრილ ბრაბანტულ ბალახებსა და მუხის ფოთლებში ჩარგო თავი. ეს თავისმა ძმამ, თეომ დაუკრიფა ზუნდერტის მახლობელ მინდორში და ლონდონს გამოუგზავნა. ჰოლანდიის სუნმა გაამხნევა ვინსენტი, აგრძნობინა, დღე მშვენივრად დაიწყოო.

— მუსიე ვან გოგ, — ისევ დაუკაკუნა ურსულამ კარს. — ეს-ეს არის ფოსტალიონმა წერილი მოგიტანათ.

მყისვე იცნო დედის ხელი, კონვერტი რომ გახსნა. „ვინსენტ, ძვირფასო“, — წერდა დედა, — „გადავწყვიტე ორიოდე სიტყვა მომეწერა შენთვის“.

სველ სახეზე სიცივე იგრძნო და წერილი სასწრაფოდ შარვლის ჯიბეში ჩაიტენა, რომ მოვიცლი, გუპილის ფირმაში წავიკითხავო, იფიქრა. თავისუფალი დრო იქ ბლომად ჰქონდა.

გრძელი, მოყვითალო-მწითური, სქელი თმა უკან გადაივარცხნა, გახამებული თეთრი პერანგი ჩაიცვა, დაბალი საყელო გაიკეთა, შავი ჰალსტუხი გაინასკვა და ძირს დაეშვა, სადაც საუზმესთან ერთად ურსულას ღიმილიც ელოდა.

ურსულა ლოიერს და დედამისს — პროვანსელი დიაკვნის ქვრივს, ბიჭებისათვის საბავშვო ბაღი ჰქონდათ გახსნილი და საამისოდ სახლის უკან, ბაღში მდგარი პატარა

შენობა გამოეყოთ. ურსულა ცხრამეტი წლის ტანმორჩილი, ჩამოქნილი, მხიარული ქმნილება იყო. დიდრონი თვალები და ოვალური ნაზი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ პასტელით დაუხატიათო.

ვინსენტს უყვარდა მისი სიცილი, რომელიც ჭრელი საჩრდილობლიდან შემოჭრილი მცხუნვარე შუქივით ათასფერად ეფინებოდა გოგონას სანდომიან სახეს.

ურსულა სწრაფად, კოხტად აწვდიდა საჭმელს და თან ცოცხლად ესაუბრებოდა. ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლის იყო ვინსენტი და სიყვარული ახლა იბუდებდა მის არსებაში. ცხოვრებასაც მხოლოდ ახლა იწყებდა. რა ბედნიერი ვიქნები, რომ შემეძლოს ურსულასთან ერთად, აი ასე, ვისაუზმო ხოლმე მთელი ჩემი სიცოცხლეო, ფიქრობდა.

ურსულამ მოუტანა ლორის ნაჭერი, კვერცხი, ერთი ჭიქა მაგარი შავი ჩაი და სუფრას საპირისპირო მხრიდან მიუჯდა.

თან კოპწიაობდა, თავისი წაბლისფერი თმის კულულებს ეფერებოდა, და როცა ვინსენტს რიგრიგობით აწოდებდა მარილს, წიწაკას, კარაქსა და შებრაწული პურის ნაჭრებს, ღიმილსაც არ იშურებდა.

— თქვენი რეზედა უკვე წამოიზარდა, — უთხრა მან და ენით ტუჩები მოისველა, — ხომ არ ნახავთ, ვიდრე გალერეაში წახვიდოდეთ?

— სიამოვნებით, თქვენ... ხომ არ მიჩვენებდით, სად არის? — სთხოვა ვინსენტმა.

— რა სასაცილო ვინმეა! თვითონ დარგო რეზედა და ახლა მე მეკითხება სადააო, — ურსულას ჩვევად ჰქონდა ხალხზე მათივე თანდასწრებით ისე ელაპარაკა, თითქოს სულაც არ ყოფილიყვნენ იქ.

ლუკმა გულზე დაადგა ვინსენტს. მიხვრა-მოხვრაც სხეულივით ტლანქი ჰქონდა და ურსულასთან თითქოს საჭირო სიტყვებსაც ვერ პოულობდა. ეზოში გამოვიდნენ. აპრილის ცივი დილა იყო, მაგრამ ვაშლის ხეები უკვე ყვაოდა. პაწია ბაღი ჰყოფდა ლოიერების სახლს საბავშვო სახლისაგან. რამდენიმე დღის წინ იყო ვინსენტმა ყაყაჩო და ოქროცერცვა რომ დარგო ამ ბაღში. რეზედას კი უკვე თავიც ამოეყო მიწიდან. ისინი აქეთ-იქით ჩაუცუცქდნენ ქორფა ყლორტებს, ისე რომ თავებით თითქმის ერთმანეთს ეხებოდნენ. ურსულას მძაფრი სურნელი ასდიოდა თმაზე.

— მადემუაზელ ურსულა... — დაიწყო ვინსენტმა. ურსულამ თავი ასწია, კითხვით სავსე თვალები შეანათა ვინსენტს და გაუღიმა — მე... მე...

— ღმერთო ჩემო, რას ლუღლუღებთ! — გაოცდა ურსულა და ზეზე წამოხტა. ვინსენტმა ბაღის კარამდე გასწია.

— ჩემი პაწიები სადაცაა მოვლენ, — უთხრა გოგონამ, — თქვენ არ გაგვიანდებათ გალერეაში?

— დრო მაქვს. სტრენდამდე ფეხით ორმოცდახუთ წუთში მივდივარ.

ურსულამ მეტი ვეღარაფერი მოიფიქრა რა ეთქვა და ორივე ხელი კეფისაკენ წაიღო, რომ ჩამოშლილი თმა გაესწორებინა. მეტისმეტად გამხდარი იყო, მაგრამ საოცრად მოყვანილი სხეული ჰქონდა.

— რა იქნა ბრაბანტის ის სურათი, საბავშვო ბაღისათვის რომ შემპირდით?

— სეზარ დე კოკის ესკიზის რეპროდუქცია პარიზს გავგზავნე, რომ მხატვარმა საგანგებოდ თქვენთვის წარწერა გაუკეთოს.

— რა კარგია! — გოგონამ ხელი ხელს შემოჰკრა, ოდნავ შეირხა, მერე ისევ გასწორდა და ვინსენტს მიუბრუნდა:

— ხანდახან, მუსიე, მხოლოდ ხანდახან, თქვენ პირდაპირ შეუდარებელი ხართ.

ურსულამ კიდევ ერთხელ გაუღიმა და წასვლა დააპირა, ვინსენტმა მკლავი დაუჭირა.

— წუხელ, დაძინებისას, სახელი მოგიგონეთ. — უთხრა მან. — „L'ange aux poupons“ (*პაწიების ანგელოზი — ფრ.).

ურსულამ თავი უკან გადაიგდო და გულიანად გაიცინა.

— L'ange aux poupons!, წავალ, დედას ვეტყვი.

ხელი ძალით გაინთავისუფლა, მხარს ზემოდან გაუცინა ვინსენტს, მერე ბაღი გადაირბინა და სახლში შევიდა.

2.

ვინსენტმა ცილინდრი დაიხურა, ხელთათმანები აიღო და კლეპჰემ როუდზე გამოვიდა. აქ, ლონდონის გარეუბანში, სახლები მეჩხერად იდგა, ყოველ ბაღში იასამანი, კუნელი და ოქროწვიმა ჰყვაოდა.

ცხრის თხუთმეტი წუთი იყო. გუპილთან ცხრაზე უნდა მისულიყო. სწრაფი სიარული იცოდა ვინსენტმა. სახლები თანდათან იზრდებოდნენ და მჭიდროვდებოდნენ. სამუშაოზე მიმავალმა ხალხმაც იმატა. ვინსენტი ყველას მეგობრულად უყურებდა. მათაც ხომ იცოდნენ, რა მშვენიერი რამაა სიყვარული.

ტემზის სანაპიროს დაუყვა, ვესტმინსტერის ხიდი გადაჭრა, ვესტმინსტერის საბატოს და პარლამენტს ჩაუარა, სტრენდზე გავიდა და საუთჰემპტონის ჩვიდმეტი ნომრისაკენ აიღო გეზი.

ლონდონის ამ კვარტალში იყო ფირმა „გუპილი და კომპანია“, რომელიც სურათებსა და გრავიურებს ჰყიდდა.

როდესაც სქელი ხალიჩებითა და მდიდრული ფარდებით მოფენილი მთავარი სალონი გაიარა, დაინახა ტილო, რომელზეც გამოხატული იყო რაღაც თევზის თუ ურჩხულის მსგავსი, ასე, ექვსი იარდის სიგრძისა, მის თავს ზემოთ პატარა ტანის კაცი დაფრინავდა. სურათს ერქვა: „მიქელ მთავარანგელოზი ჰკლავს სატანას“.

— ლითოგრაფიულ მაგიდაზე ამანათი გელოდებათ, — უთხრა ერთ-ერთმა კლერკმა, როცა გვერდით ჩაუარა.

სურათების სალონში გამოფენილი იყო მილეს, ბოუტონისა და ტერნერის ქმნილებები. მეორე ოთახი დათმობილი ჰქონდა გრავიურებსა და ლითოგრაფიას. მესამე ოთახი კი ყველაზე მეტად ჰგავდა ბიზნესის ადგილს, უმთავრესად აქ ხდებოდა ვაჭრობა. ვინსენტს ის ქალი მოაგონდა, გუშინ, სწორედ დაკეტვის წინ რომ შეიძინა სურათი, და უნებურად გაეცინა.

— მე სულაც არ მომწონს ეს სურათი, ჰარი, შენ? — შეეკითხა იგი ქმარს. — ეს ძაღლი სწორედ იმას ჰგავს, შარშან ზაფხულს ბრაიტონში რომ მიკბინა.

— მომისმინე, მეგობარო, — მიუბრუნდა ვინსენტს ჰარი. — ვიყიდოთ ეს ძაღლი? როგორც ეტყობა, ძაღლები ძალიან აღელვებენ ქალებს.

ვინსენტმა მშვენივრად იცოდა, რა უბადრუკ ნაცოდვილარსაც ჰყიდდა. იმ ხალხის უმეტესობას, აქ რომ დადიოდნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რას ყიდულობდა. უზარმაზარ თანხას იხდიდნენ მეტად იაფფასიან საქონელში, მაგრამ აბა რა ვინსენტის

საქმე იყო? მხოლოდ ის ევალებოდა, რაც შეიძლება, მეტი მოგება მიეცა ფირმისათვის.

ვინსენტმა ამანათი გახსნა. პარიზის ფილიალიდან სეზარ დე კოკს სურათი გამოეგზავნა. ზედ წარწერაც გაეკეთებინა:

„ვუძღვნი ვინსენტს და ურსულა ლოიერს. „Les amis de mes amis sont mes amis“ (*ჩემი მეგობრების მეგობრები ჩემი მეგობრები არიან — ფრ.).

— ამაღამვე ყველაფერს ვეტყვი ურსულას, ამ სურათს რომ მივცემ, — ბუტბუტებდა ვინსენტი თავისთვის, — მალე ოცდაორი წლის გავხდები, თვეში ხუთ გირვანქა სტერლინგს ვიღებ. რაღას უნდა ვუცადო?!

დღე სწრაფად მიიწურა გუპილის ფირმის წყნარ, უკანა ოთახში. ვინსენტი დღეში საშუალოდ ორმოცდაათ სურათს ჰყიდდა. ისე, რა თქმა უნდა, ერჩივნა ზეთით ნახატებსა და გრავიურებთან ჰქონოდა საქმე, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ ამდენ ფულს ჰმატებდა ფირმას. თანამშრომლებთან კარგ დამოკიდებულებაში იყო და ისიც ყველას მოსწონდა. ბევრი სასიამოვნო წუთი ახსოვდათ ევროპის ამბებზე საუბარში გატარებული.

ადრე ვინსენტი თავის თავში იყო ჩაკეტილი და ამხანაგებს გაურბოდა. მასზე ამბობდნენ, უცნაურია და ცოტა ექსცენტრულიცო. მაგრამ ურსულამ ძირფესვიანად შესცვალა მისი ბუნება, ახლა ხალხთან ურთიერთობა სურდა. ურსულა დაეხმარა თავისი ნაჭუჭიდან გამომძვრალიყო და ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც კი სილამაზე დაენახა.

ექვს საათზე მაღაზია დაიკეტა. გარეთ რომ გამოდიოდა, მისტერ ობახმა შეაჩერა ვინსენტი.

— ბიძათქვენისგან, ვინსენტ ვან გოგისაგან წერილი მივიღე, — უთხრა მან. — თქვენი ამბავი აინტერესებს. მეც დიდის სიამოვნებით მივწერე, რომ თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო კლერკი ხართ ამ მაღაზიაში.

— მეტად კეთილი ბრძანდებით, სერ.

— სულაც არა. ზაფხულის დასვენების შემდეგ კი მინდა, რომ უკანა ოთახიდან გრავიურებსა და ლითოგრაფიაში გადმოინაცვლოთ.

— ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის ამჟამად, სერ. იმიტომ რომ მე... მე დაქორწინებას ვაპირებ.

— მართლა? აი, ახალი ამბავი თუ გნებავთ. საროდიოდ აპირებთ?

— ამ ზაფხულს ვფიქრობ, — უპასუხა ვინსენტმა, თუმცა აქამდე ამაზე არ უფიქრია.

— მშვენიერია, ყოჩაღ! ერთი წელია, რაც მუშაობთ და უკვე დაწინაურებაც მიიღეთ. საქორწილო მოგზაურობიდან რომ ჩამოხვალთ, კიდევ რამეს მოვიფიქრებთ.

3.

— სურათი მოგიტანეთ, მადემუაზელ ურსულა, — უთხრა ვინსენტმა ნასადილევს და სკამი უკან გასწია.

ურსულას მოდურად დაქარგული მწვანე აბრეშუმის კაბა ეცვა.

— მხატვარმა რაიმე საინტერესო წამიწერა? — შეეკითხა იგი.

— როგორ არა. სანთელს თუ წამოიღებთ, მე თვითონ დაგიკიდებთ საბავშვო ბაღში.

ურსულას ტუჩები ამოებურცა, თითქოს საკოცნელად ემზადებაო, და ალმაცერად გადახედა ვინსენტს.

— დედას უნდა მოვეხმარო. ნახევარ საათს ვერ დაიცდით?

ვინსენტი თავის ოთახში ავიდა. იდაყვებით შიფონერს დაეყრდნო და სარკეში ჩაიხედა. იშვიათად უფიქრია გარეგნობაზე. ჰოლანდიაში ამას თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ კი ამჩნევდა, რომ ინგლისელებთან შედარებით მისი სახე და თავი საოცრად ტლანქად გამოიყურებოდა თვალები ღრმად ჰქონდა ფოსოებში ჩამჯდარი, კეხიანი ცხვირი დიდი და წვივის ძვალივით სწორი, მაღალი შუბლი კი ზუსტად იმხელა, რაც მანძილი წარბებიდან ტუჩებამდე. ყბები ფართო და ღონიერი ჰქონდა, კისერი ოდნავ მოკლე და მსხვილი, ხოლო მასიური ნიკაპი ტიპიური ჰოლანდიელის უტყუარი საბუთი იყო.

სარკეს მოშორდა და უხალისოდ ჩამოჯდა საწოლის კიდეზე. მკაცრ ოჯახში გაიზარდა ვინსენტი. ჯერ არავინ ჰყვარებოდა, ქალისთვის არც კი შეეხედა. სექსუალური ამბებისგან შორს იყო. ახლაც, ურსულასადმი სიყვარულში არც ვნება იყო და არც სურვილი. ახალგაზრდა იყო ვინსენტი, გულუბრყვილო და თავის სიცოცხლეში პირველად უყვარდა.

საათს დახედა. ხუთი წუთი გასულიყო. დარჩენილ ოცდახუთს ბოლო არ უჩანდა დედის წერილიდან თეოს ბარათი ამოაძვრინა და გადაიკითხა. თეო ოთხი წლით უმცროსი იყო ვინსენტზე და ახლა ვინსენტის ადგილი ეჭირა ჰააგაში, გუპილთან. თეოსა და ვინსენტს, ისევე როგორც მათ მამას თეოდორს და ბიძია ვინსენტს, ბავშვობიდანვე მეტად მოსიყვარულე ძმობა ჰქონდათ.

ვინსენტმა წიგნი აიღო, ზედ ქაღალდი დადო და წერილის წერას შეუდგა. შიფონერის ზემოთა უჯრიდან რამდენიმე სახელდახელო ჩანახატი ამოიღო, რომლებიც ტემზის სანაპიროზე გაეკეთებინა, კონვერტში ჩადო წერილთან და ჟაკეს ერთ სურათთან ერთად, რომელსაც „ხმლიანი ქალიშვილი“ ერქვა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან ხმამაღლა, — ურსულა ხომ სულ გადამავიწყდა!

საათს დახედა. უკვე მთელი თხუთმეტი წუთით დააგვიანდა.

სავარცხელს ხელი დასტაცა, შეეცადა თავისი გაჩეჩილი, ხვეული, მწითური თმა დაევარცხნა. შემდეგ მაგიდიდან სეზარ დე კოკის სურათი აიღო და ოთახიდან გავარდა.

— მე ვიფიქრე, რომ გადაგავიწყდით, — უთხრა ურსულამ, როცა ვინსენტი სასტუმრო ოთახში შევიდა. გოგონა ქაღალდის სათამაშოებს აწებებდა თავისი პაწიებისათვის.

— სურათი მომიტანეთ? შეიძლება ვნახო?

— სჯობს ჯერ დავკიდოთ, ვიდრე ნახავთ. სანთელი სად არის?

— დედას აქვს.

როდესაც ვინსენტი დაბრუნდა, ურსულამ ღია ცისფერი შარფი მიაწოდა, მხრებზე მომახვიეო. აბრეშუმის შეხებამ ააღელვა ვინსენტი. ბაღში აყვავებული ვაშლის სურნელი იდგა.

ბნელოდა. ურსულა ვინსენტის შავ, უხეში პალტოს სახელოს გაუბედავად დაეყრდნო. ერთი წაიფორხილა, უფრო მაგრად ჩაეჭიდა ვინსენტს მკლავზე და თავის

მოუქნელობაზე მხიარულად გაეცინა. ვინსენტს არ ესმოდა, რა იყო აქ სასაცილო, მაგრამ სიამოვნებდა სიცილისაგან ატოკებული ქალის სხეულის ცქერა.

ვინსენტმა კარი გაუღო. როცა ურსულამ ჩაუარა, თავისი ლამაზი სახე თითქმის შეახო ვინსენტისას და ისე ღრმად ჩახედა თვალებში, თითქოს ჯერ დაუსმელ კითხვაზე უპასუხაო.

ვინსენტმა სანთელი მაგიდაზე დადგა.

— სად გინდათ, რომ ჩამოვკიდო? — შეეკითხა იგი ქალს, — ჩემს მაგიდასთან, კარგი არ იქნება?

ეს ოთახი წინათ საზაფხულო სადგომად ჰქონდათ, ახლა კი აქ თხუთმეტამდე დაბალი სკამი და მაგიდა იდგა. ოთახის ერთ ბოლოში, სადაც ურსულას მაგიდა იდგა, იატაკი ცოტა მომაღლო იყო. კარგა ხანს ზომავდნენ, სად დაეკიდათ სურათი. ვინსენტი ღელავდა. ლურსმნები ხელიდან უცვივოდა და ვერაფრით ვერ მოეხერხებინა მათი კედელში ჩაჭედება. ურსულა მორიდებულად, მეგობრულად დასცინოდა.

— რა მოუქნელი ხართ, მე გავაკეთებ!

ორივე ხელი თავს ზემოთ ასწია და საქმეს შეუდგა. სხეულის ყველა ნაკვთი ერხეოდა, სწრაფად და დახვეწილად. ვინსენტმა გაიფიქრა, მოდი ხელში ავიყვან, აქვე, ამ მიბნედილი სანთლის შუქზე გულში ჩავიკრავ და ყველაფერი გადაწყდებაო. მართალია, ურსულა ხშირად ეხებოდა მას სიბნელეში, მაგრამ ვინსენტმა შესაფერი მომენტი მაინც ვერ შეარჩია და მხოლოდ სანთელი ასწია მაღლა, რომ საშუალება მიეცა წარწერა წაეკითხა. გოგონა ნასიამოვნები დარჩა, ხელი ხელს შემოჰკრა და ქუსლებზე შემოტრიალდა. იმდენს დახტოდა, რომ ვინსენტმა ვერ იქნა და ვერ დაიჭირა.

— გამოდის, რომ იგი ჩემი მეგობარიც არის, ხომ მართალია? სულ ვოცნებობდი, ნეტავი ვინმე მხატვარი ჩემი მეგობარი იყოს-მეთქი.

ვინსენტს უნდოდა რაიმე საალერსო ეთქვა, რომ მერე ყველაფერი აეხსნა. ურსულამ მოხედა. სუსტი შუქი სახეზე ეფინებოდა, თვალებში ირეკლებოდა და ელვარებას მატებდა მათ.

ნახევრად ბნელოდა, მაგრამ სახე მაინც მოუჩანდა. რაღაც გამოუცნობი ამოძრავდა ვინსენტის გულში, როცა მისი ამობურცული, სველი, წითელი ტუჩები დაინახა.

მრავლისმეტყველი სიჩუმე ჩამოვარდა. ვინსენტს ეგონა ურსულას რაღაც ეწევა ჩემსკენ და სიყვარულის ახსნას ელისო.

რამდენჯერმე დაისველა ტუჩები. ურსულამ თავი მოაბრუნა, ოდნავ აწეულ მხარს მზერა გამოაყოლა. პირდაპირ თვალებში შეხედა ვინსენტს და მაშინვე გარეთ გავარდა.

ვინსენტმა უკან გასდია, ეშინოდა, ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გამისხლტესო. გოგონა წუთით შეყოვნდა ვაშლის ხის ქვეშ.

— ურსულა... გამიგონე...

გოგონა მობრუნდა და აკანკალებულმა ვინსენტს შეხედა.

ვარსკვლავები ცივად კიაფობდნენ. ბნელი ღამე იყო. სანთელი ოთახში დარჩა. აქაურობას სამზარეულოს ფანჯრიდან გამოსული სუსტი შუქი ძლივს ანათებდა. ვინსენტმა ისევ იგრძნო ურსულას თმის სურნელი. გოგონა აბრეშუმის შარფში გახვეულიყო და ხელები გულზე დაეკრიფა.

— თქვენ გცივათ, — უთხრა ვინსენტმა.

— ჰო, სჯობს შინ შევიდეთ.

— არა! გთხოვთ. მე... — და წინ გადაუდგა.

გოგონამ ნიკაპი გასათბობად შარფში ჩამალა და ფართოდ გახელილი, გაოცებული თვალებით ამოხედა ვინსენტს.

— მუსიე ვან გოგ! თქვენი ვერაფერი გამიგია.

— მე მხოლოდ მინდა გითხრათ... იცით... მე... ესე იგი...

— ახლა არა, სულ მაკანკალებს.

— არა, თქვენ ეს უნდა იცოდეთ. მე დღეს დამაწინაურეს... ლითოგრაფიაში გადავინაცვლე... ეს უკვე ჩემი მეორე დაწინაურებაა წელს...

ურსულამ უკან დაიხია, შარფი მოიძრო და მტკიცე გადაწყვეტილებით სიბნელეში შეჩერდა. უკვე სიცივეც გადაავიწყდა.

— ბოლოს და ბოლოს რისი თქმა გინდათ, მუსიე ვან გოგ!

ურსულას ხმა საკმაოდ მკაცრად გაისმა და ვინსენტი თავბედს იწყევლიდა, ასე მოუხერხებელი რატომ ვარო. მღელვარება ჩაუცხრა, დამშვიდდა და გონი მოიკრიფა. გონებაში გადაწყვიტა როგორ უნდა ეთქვა.

— მე მინდა რაღაც გითხრათ, ურსულა, რაც ალბათ ისედაც იცით. მე თქვენ მთელი ჩემი არსებით მიყვარხართ და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ცოლი გახდებით.

ვინსენტმა შეამჩნია, როგორ შეაცბუნა ურსულა მისმა ასეთმა მოულოდნელმა სითამამემ, და გაიფიქრა, ეგებ ახლაა საჭირო, რომ მოვეხვიოო.

— თქვენი ცოლი გავხდე? — ურსულას ხმა გაებზარა, — მუსიე ვან გოგ, ეს ხომ შეუძლებელია!

ვინსენტმა თავის ტევრ წარბებს ქვემოდან გამოხედა და ურსულამ ცხადად დაინახა სიბნელეში მისი თვალები.

— ახლა კი მე არ მესმის თქვენი.. — უთხრა ვინსენტმა.

— საოცარია, რომ თქვენ არ იცოდით. წელიწადზე მეტია, რაც დანიშნული ვარ.

ვინსენტმა არ იცოდა რამდენ ხანს იდგა მდუმარედ, რას ფიქრობდა, ან რას გრძნობდა.

— ვინ არის თქვენი დანიშნული? — ყრუდ იკითხა ბოლოს.

— თქვენ იგი არ გინახავთ. ადრე იმ ოთახში ცხოვრობდა, სადაც ახლა თქვენა ხართ. მე მეგონა, იცოდით!

— საიდან უნდა მცოდნოდა?!

— ურსულამ თითის წვერებზე აიწია და ქურდულად სამზარეულოსაკენ გაიხედა.

— მე... მე მეგონა, რომ ვინმე გეტყოდათ.

— რატომ მიმალავდით მთელი წელი, ხომ იცოდით, რომ მიყვარდით, — ვინსენტს აღარც ყოყმანი ეტყობოდა ხმაში და აღარც დაბნეულობა.

— განა ჩემი ბრალია, თუკი შეგიყვარდით? მე მხოლოდ მინდოდა, რომ ჩვენ მეგობრები ვყოფილიყავით.

— რაც მე აქა ვარ, თქვენს სანახავად არ მოსულა?

— არა. იგი უელსში ცხოვრობს. ზაფხულში ჩამოვა და შვებულებას ერთად გავატარებთ.

— წელიწადია, რაც არ გინახავთ? თქვენ ხომ იგი უკვე დაგავიწყდათ. ახლა მე გიყვარვართ, მხოლოდ მე!

ვინსენტი ჭკუაზე არ იყო, აღარც ფრთხილობდა. უხეშად სტაცა ხელი ურსულას და ძალით აკოცა. იგრძნო მისი ტუჩების სისველე, პირის სიტკბო, მისი თმის სურნელი და სიყვარულმა იძალა მის არსებაში.

— ურსულა, თქვენ ის არ გიყვართ! ნებას არ მოგცემთ!

თქვენ ჩემი უნდა იყოთ, მე ვერ ავიტან თქვენს დაკარგვას. არ მოგეშვებით, ვიდრე იმას არ დაივიწყებთ და მე არ გამომყევით!

— თქვენ გამოგყვეთ?! — წამოიძახა ურსულამ. — განა ვალდებული ვარ გავყვე ყველას, ვისაც კი შევუყვარდები? გამიშვით, თორემ ვიყვირებ, მომეშველეთ-მეთქი.

ურსულამ ძალით გაინთავისუფლა თავი და სუნთქვაშეკრული სირბილით გაუყვა ბილიკს. კიბეზე რომ ავიდა, მობრუნდა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა, თუმცა ვინსენტს ეს ყვირილად მოესმა:

— მწითურო გიჟო!

4.

მეორე დილით აღარავის გაუღვიძებია. ვინსენტი უხალისოდ წამოდგა საწოლიდან. პარსვის დროს აღარ ფრთხილობდა, ბლომად წვერიც დაიტოვა ადგილ-ადგილ. ურსულა არც საუზმეზე გამოჩნდა. ვინსენტი გაუყვა გუპილისკენ მიმავალ გზას. იგივე გამვლელები, გუშინ დილით რომ ხვდებოდნენ გზაზე, დღეს უკვე შეცვლილნი ეჩვენებოდნენ. მარტოობით გაწამებულები თავიანთ უშინაარსო სამუშაოზე მიიჩქაროდნენ.

ვინსენტი ვეღარც აყვავებულ კუნელს ხედავდა და ვერც წაბლის ხეებს ამჩნევდა, გზის პირას რომ გამწკრივებულიყვნენ.

მზე გუშინდელზე უფრო კაშკაშებდა, მაგრამ მას არც ეს შეუმჩნევია.

მთელი დღის განმავლობაში ენგრის „ვენერა ანადიომენის“ ოცი ფერადი გრავიურული დეტალი გაყიდა. ამ სურათებს დიდი მოგება მოჰქონდა გუპილის ფირმისათვის, მაგრამ ვინსენტს გალერეის გამდიდრება აღარ აინტერესებდა. მყიდველებსაც უხალისოდ ეკიდებოდა. ის კიდევ არაფერი, რომ მოკლებულნი იყვნენ ავ-კარგის გარჩევის უნარს, არაჩვეულებრივი ალღო გააჩნდათ ხელოვნური, იაფფასიანი სურათის არჩევისა.

თანამშრომლებს ვინსენტი მხიარულ ყმაწვილად არ მიაჩნდათ, თუმცა თვითონ ბევრს ცდილობდა მათთან სასიამოვნო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა.

— ნეტავი რა აწუხებს ვან გოგების გამოჩენილი გვარის ამ ნაშიერს? — ეკითხებოდნენ კლერკები ერთმანეთს.

— მე მგონი, დღეს მარცხენა ფეხზე ადგა.

— სადარდებელი ბლომად აქვს. ბიძამისს, ვინსენტ ვან გოგს, ეკუთვნის გუპილის ფირმის გალერეების ნახევარზე მეტი პარიზში, ბერლინში, ბრიუსელში, ჰააგასა და ამსტერდამში. მოხუცი ავადაა და შვილები არა ჰყავს. ამბობენ, ქონების ნახევარს ამ ყმაწვილს უტოვებსო.

— ბედიც ამას ჰქვია!

— ეს კიდევ რა არის. მეორე ბიძას, ჰენდრიკ ვან გოგს, გუპილის ფირმის ფილიალები აქვს ბრიუსელსა და ამსტერდამში, მესამე ბიძა, კორნელიუს ვან გოგი, ჰოლანდიის ყველაზე დიდ ფირმას უდგას სათავეში. და ვან გოგები ხომ მთელს

ევროპაში ყველაზე შეძლებულნი არიან, სხვა რომელიმე სურათებით მოვაჭრე ოჯახი იმათთან ვერ მოვა. ერთ მშვენიერ დღეს კი ეს ჩვენი მწითური მეგობარი დაეპატრონება მთელი ევროპის ხელოვნებას.

როცა ვინსენტი ლოიერების სასადილო ოთახში შევიდა დაინახა, რომ ურსულა და დედამისი რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობდნენ. როგორც კი ვინსენტი დაინახეს, მაშინვე ჩაჩუმდნენ, წინადადება არც დაუმთავრებიათ.

ურსულა სამზარეულოში გავიდა.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა მადამ ლოიერმა და თვალები ცნობისმოყვარეობით აენთო.

ვინსენტმა მარტომ ისადილა უზარმაზარ მაგიდასთან. ურსულას უარმა თუმცა კი გააბრუა იგი, მაგრამ არ გაუნადგურებია, ვინსენტი არ აპირებდა ეს „არა“ პასუხად ჩაეთვალა. თავიდან ამოვაგდებინებ იმ ვიღაცას, ფიქრობდა.

თითქმის კვირა გავიდა, ვიდრე ვინსენტი ურსულასთან საუბარს შესძლებდა. მთელი ეს ერთი კვირა ვერც ხეირიანად ჭამა და ძილითაც ცუდად ეძინა. მისი სიმტკიცე მერყეობამ შესცვალა. ვეღარც გალერეაში ვაჭრობდა რიგიანად. მომწვანო თვალები ჩაუმუქდა, დაუსევდიანდა ლაპარაკიც ჩვეულებრივზე მეტად უჭირდა.

საკვირაო სადილის შემდეგ, იგი ურსულას გაჰყვა ბაღში.

— მადემუაზელ ურსულა, ძალიან ვწუხვარ, მგონი იმ ღამით შეგაშინეთ, — უთხრა ვინსენტმა.

ურსულამ თავისი დიდრონი თვალებით ცივად გამოხედა, თითქოს უკვირდა, უკან რას მომყვებაო.

— არაფერია. მაგას მნიშვნელობა არა აქვს. დავივიწყოთ, კარგი?

— ჩემს უხეშობას სიამოვნებით დავივიწყებ, მაგრამ რაც გითხარით, ყველაფერი სიმართლეა.

ვინსენტმა ნაბიჯი გადადგა მისკენ. ურსულა გაეცალა.

— რაღა საჭიროა ამაზე თავიდან ლაპარაკი? მე უკვე კარგა ხანია ყველაფერი დავივიწყე. — ურსულამ ზურგი შეაქცია და ბილიკს გაუყვა. ვინსენტი სასწრაფოდ გაედევნა უკან.

— მე ისევ უნდა გითხრათ, ურსულა! თქვენ არ გესმით როგორ მიყვარხართ! და არც ის იცით, რა უბედური ვიყავი მთელი კვირა. რატომ გამირბიხართ?

— სახლში არ შევიდეთ? დედა, მგონი, სტუმრებს ელოდება.

— ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ის ვიღაც გიყვართ. ასე რომ იყოს, ამას თქვენს თვალებში დავინახავდი.

— ვწუხვარ მაგრამ მეტი დრო არა მაქვს. რა მითხარით, როდის აპირებთ შინ გამგზავრებას?

ვინსენტს ბოღმა მოერია.

— ივლისში.

— რა კარგია! ჩემს საქმროს სწორედ ივლისში უნდა ჩამოსვლა და ოთახი დასჭირდება.

— მე თქვენს თავს არავის დავუთმობ ურსულა!

— ამაზე ნუღარ ფიქრობთ, თუ არა და დედაჩემი გთხოვთ, რომ სხვაგან მოძებნოთ ოთახი.

მთელი ორი თვე იმის ცდაში გაატარა ვინსენტმა, ეგებ გადავათქმევინო ურსულასო. ისევ ძველ ვინსენტად იქცა. ბოლოს და ბოლოს, თუკი ურსულას წაართმევდნენ, მასზე ფიქრს ხომ მაინც ვერავინ დაუშლიდა.

მაღაზიის თანამშრომლებსაც განუდგა. მთელი ის სამყარო, რომელიც მასში ურსულას სიყვარულმა გამოაღვიძა, ერთიანად ჩაკვდა და ისევ იმ პირქუშ ყმაწვილად იქცა, ზუნდერტში რომ იყო, თავის მშობლებთან.

ივლისი დადგა. ვინსენტის შვებულების დრო მოვიდა. ორი კვირა მაინც არ უნდოდა ლონდონიდან წასვლა. ეგონა, ვიდრე ამ სახლში ვარ, ურსულა სხვის სიყვარულს ვერ შეძლებსო.

კიბეებზე დაეშვა და სასტუმრო ოთახში შევიდა. ურსულა და დედამისი იქ დახვდნენ. ქალებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

— მე მხოლოდ სამგზავრო ჩანთა მიმაქვს თან, — თქვა ვინსენტმა, — დანარჩენს ხელუხლებლად ვტოვებ ჩემს ოთახში აი, იმ ორი კვირის ფულიც, აქ რომ არ ვიქნები.

— მუსიე ვან გოგ, უმჯობესი იყო ყველაფერი ახლავე წაგეღოთ, — უთხრა მადამ ლოიერმა.

— კი მაგრამ, რატომ?

— თქვენი ოთახი ორშაბათიდან უკვე დაკავებული იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სჯობს სხვაგან მონახოთ ბინა.

— ჩვენ?

ვინსენტი მობრუნდა და სქელ წარბებს ქვემოდან გახედა ურსულას. შეკითხვის მეტი არაფერი იგულისხმებოდა ამ გამოხედვაში.

— დიახ, ჩვენ. — უპასუხა დედამ. — ჩემი ქალიშვილის საქმროს არ სურს თქვენი აქ ყოფნა. ნეტავი სულაც არ მოსულიყავით, მუსიე ვან გოგ!

5.

თეოდორ ვან გოგი ეტლით დახვდა ვაჟიშვილს სადგურზე.

ტანთ მღვდლის მძიმე, შავი სერთუკი ეცვა, ჟილეტის სახელოები ფართოდ გადაეკეცა, გახამებულ თეთრ პერანგზე ყელსახვევი უზარმაზარ ბაფთად გაეკრა. ამ ბაფთის ქვემოდან მაღალი საყელოს წვრილი, თეთრი ზოლიღა მოუჩანდა.

მამამისს თვალი შეავლო თუ არა, მაშინვე ეცნაურა მისი ორივე თავისებურება. მარჯვენა თვალის ქუთუთო ბევრად უფრო დაბლა ჩამოშვებოდა, ვიდრე მარცხენასი და კარგა გვარიანად ფარავდა კიდეც თვალს. პირის მარცხენა მხარეს ტუჩები თხელი და წვრილი ჰქონდა, მარჯვნივ კი სავსე და ვნებიანი.

მისი მშვიდი თვალები თითქოს ამბობდნენ, აი ეს მე ვარო.

ზუნდერტის მცხოვრებნი ხშირად ხედავდნენ საქველმოქმედო საქმეზე მიმავალ, აბრეშუმისცილინდრიან მღვდელ თეოდორს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უკვირდა თეოდორს, რატომ ამაზე მეტად არ მიმართლებს ცხოვრებაო, უკვე დროა დამაწინაურონ და ამსტერდამში ან ჰააგაში გადამიყვანონო.

მრევლი კმაყოფილი ჰყავდა, განათლებულიც იყო, გულმოწყალეც, ყოველი ღირსებით შემკული; დაუღალავად ემსახურებოდა ღმერთს. მიუხედავად ამისა, აგერ უკვე ოცდახუთი წელია ყველასაგან მიტოვებული და მივიწყებული იყო სადღაც

პატარა სოფელ ზუნდერტში. ექვს ძმა ვან გოგებს შორის მხოლოდ თეოდორმა ვერ გაითქვა სახელი.

ზუნდერტის მღვდლის სახლი, ის ხის შენობა, სადაც ვინსენტი დაიბადა, გზის პირას იდგა, გზის გადაღმა ბაზარი და ქალაქის გამგეობის შენობა იყო. უკან, სამზარეულოს მხარეს, სახლს ბაღი ჰქონდა, სადაც აკაციის ხეები ხარობდა და სათუთად მოვლილ ყვავილებს შორის უამრავი პაწია ბილიკი გასდევდა. ამ ბაღის უკან იდგა ხის პატარა ეკლესია, მთლიანად ხეებში ჩაფლული. ეკლესიას ორ მხარეს გუთური სტილის ფანჯრები ჰქონდა, რომლებშიც უბრალო მინები ჩაესვათ. შიგ, ხის იატაკზე, თორმეტიოდე უხეში სკამძელი იდგა, ხის კედლებზე საცეცხლურები მიემაგრებინათ. უკანა მხარეს კიბეები ძველებურ ხის ორღანთან ადიოდა. ეს იყო უბრალო ეკლესია, სადაც ცხადად იგრძნობოდა კალვინისა და მისი რეფორმის მთელი სისასტიკე.

ვინსენტის დედა ანა-კორნელია ფანჯრიდან გასცქეროდა გზას და ეტლმა გაჩერებაც ვერ მოასწრო, რომ მან უკვე კარი გააღო.

როგორც კი ანა-კორნელიამ ნაზად, სიყვარულით ჩაიკრა შვილი ფართო მკერდში, გულმა მაშინვე უგრძნო, რომ მისი შვილის თავს რაღაც ამბავი იყო.

— Mijn lieve zoon (*ჩემი საყვარელი შვილი — ჰოლანდ.) — ბუტბუტებდა დედა, — ჩემი ვინსენტი.

მისი მუდამ ფართოდ გახელილი თვალები ხან ცისფერი გეგონებოდათ და ხან მწვანე. მორიდებული ცნობისმოყვარეობით ადამიანს თავით ფეხამდე შეათვალიერებდა, მაგრამ არასოდეს მკაცრად არ განსჯიდა. რაც დრო გადიოდა, ის სუსტი ხაზი, რომელიც ორივე ნესტოდან მოჰყვებოდა ტუჩის კუთხეებამდე, სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა და რაც უფრო ღრმა ხდებოდა, მით უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას, რომ ქალი განუწყვეტლივ იღიმებოდა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით.

ანა-კორნელია კარბენტუსი ჰააგელი იყო, სადაც მამამისს „მეფის წიგნთამკინძავის“ ტიტული ჰქონდა. უილიამ კარბენტუსს საქმე კარგად მისდიოდა, ხოლო როდესაც სწორედ მას დაავალეს ჰოლანდიის პირველი კონსტიტუციის აკინძვა, მისი სახელი მთელმა ქვეყანამ გაიგო.

მისი ქალიშვილებიც, რომელთაგან უფროსი ძია ვინსენტ ვან გოგის მეუღლე იყო, ხოლო უმცროსი ცოლად ჰყავდა ამსტერდამის საკმაოდ ცნობილ პასტორ სტრიკერს, მართლაც რომ bien élevées (*ზრდილნი — ფრ.) იყვნენ.

ანა-კორნელია კეთილი ქალი იყო, ამ ცხოვრებაში ბოროტებისა არაფერი გაეგებოდა. იცოდა მხოლოდ, რომ არსებობს სისუსტე, გაჭირვება და ტკივილი. თეოდორ ვან გოგიც ცოლივით სათნო იყო, ოღონდ ბოროტებას მშვენივრად იცნობდა, ვერა და ვერ ურიგდებოდა და დღენიადაგ სწყევლიდა.

სასადილო ოთახი მთავარი ოთახი იყო ვან გოგების სახლში.

ვახშმის შემდეგ, როცა უზარმაზარი მაგიდიდან ჭურჭელს აალაგებდნენ, მთელი ოჯახი აქ იყრიდა თავს და ნავთის ლამპის მყუდრო შუქზე ატარებდა საღამოს. ანა-კორნელია ვინსენტზე დარდობდა, ძალიან გამხდარა და ნერვიული მიხრა-მოხრა აქვსო.

— ცუდი ხომ არაფერია, ვინსენტ? — შეეკითხა დედა ნავახშმევს. — რაღაც ვერ გამოიყურები კარგად.

ვინსენტმა სუფრას გადახედა. სუფრას ანა, ელიზაბეტი და ვილემინა უსხდნენ. ვინსენტს თვითონვე უკვირდა, ეს სამი უცნაური ქალიშვილი ჩემი ღვიძლი და როგორ არისო.

— არა, — უპასუხა ვინსენტმა, — არაფერი.

— როგორ მოგწონს ლონდონი? — შეეკითხა თეოდორი. — თუ უკმაყოფილო ხარ, მე მოველაპარაკები ბიძაშენ ვინსენტს, მგონია, უარს არ მეტყვის და პარიზის ერთ-ერთ მაღაზიაში გადაგიყვანს.

ვინსენტი აღელდა.

— არა, არა,- გთხოვთ, — წამოიძახა მან. — მე არ მინდა ლონდონიდან წამოსვლა, მე... — თავს ძალა დაატანა, რომ დამშვიდებულიყო, — როცა ძია ვინსენტი მოინდომებს ჩემს გადაყვანას, დარწმუნებული ვარ, იგი თვითონ იფიქრებს ამაზე.

— როგორც გინდა, — დაეთანხმა თეოდორი.

ანა-კორნელიამ კი იფიქრა, ვინსენტი შეყვარებული ყოფილა და ახლა მესმის, რატომ იწერებოდა ასეთ წერილებსო.

ზუნდერტის გარშემო მინდვრებში მანანები ხარობდა და აქა-იქ დიდ ჯგუფებად ფიჭვისა და მუხის ხეები იზრდებოდა.

ვინსენტი მინდორში დახეტიალობდა, ჩაფიქრებული ჩასცქეროდა პაწაწინა ტბების სიღრმეს; ამ ტბებით ხომ ერთიანად იყო მინდვრები დაცხრილული.

ვინსენტის ერთადერთი გასართობი ხატვა იყო და ძალიანაც მოსწონდა. გააკეთა თავისი ბაღის ესკიზები, შაბათის ბაზრობის ჩანახატები თავისი სახლის ფანჯრიდან, და მამისეული სახლის სადარბაზო კარის ესკიზები. ურსულას თავს მხოლოდ ხატვა ავიწყებდა.

თეოდორს გულს აკლდა. რომ უფროსი ვაჟიშვილი მის გზას არ გაჰყვა. ერთ საღამოს ავადმყოფი გლეხის სანახავად რომ წავიდა, ვინსენტიც გაიყოლა. უკან დაბრუნებისას მინდორში გადმოვიდნენ ეტლიდან და ფეხით გაუყვნენ გზას. მზე ფიჭვის ხეებს უკან წითლად ჩადიოდა, საღამოს ცა გუბურებში ირეკლებოდა, ხოლო მანანებით მოფენილი მინდორი და ყვითელი სილა საუცხოოდ ეხამებოდა ერთმანეთს.

— მამაჩემი მღვდელი იყო, ვინსენტ, და მე სულ ვიმედოვნებდი, რომ შენც ჩვენს გზას გაჰყვებოდი.

— რატომ გგონიათ, რომ მე პროფესიის შეცვლა მინდა?

— ამას ისე, უბრალოდ გეუბნები, თუკი შენ... ხომ იცი, შეგიძლია ძია იანთან იცხოვრო ამსტერდამში და უნივერსიტეტშიც ისწავლო. პასტორი სტრიკერი მუდამ მზადაა დაგეხმაროს.

— თქვენ მირჩევთ გუპილის ფირმიდან წამოვიდე?

— არა, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ თუ შენ იქ ბედნიერი არა ხარ...ზოგჯერ ხალხი იცვლის...

— ვიცი, ვიცი. მაგრამ მე სულაც არ მინდა გუპილისგან წამოსვლა.

ბრედაში დედ-მამამ ერთად გააცილა ვინსენტი. იგი ლონდონში ბრუნდებოდა.

— ისევ იმ მისამართზე მოგწეროთ? — შეეკითხა ანა-კორნელია.

— არა, იქიდან გადავდივარ.

— მიხარია, რომ ლოიერებთან აღარ იქნები, — უთხრა მამამ, — მაინცდამაინც არ მომწონდა ეგ ოჯახი. მეტისმეტად ბევრი საიდუმლო აქვთ.

ვინსენტი შეცბა. დედამ კი თავისი თბილი ხელი დაადო ვინსენტისას და წყნარად უთხრა, ისე რომ თეოდორს არ გაეგონა: — — არ იდარდო, ძვირფასო, შენთვის კარგი ჰოლანდიელი გოგონა უფრო შესაფერისი იქნება, მაგრამ ამაზე მერე იფიქრე, როცა ფეხზე დადგები. ის ურსულა კი აბა რა შენი ტოლი და შესაფერია?

ვინსენტი გაოცდა, დედაჩემმა საიდანღა გაიგოო.

6.

ლონდონში რომ ჩავიდა, კენსინგტონ ნიუ როუდზე კარგად მოწყობილი ბინა იქირავა. დიასახლისი, ტანმორჩილი მოხუცი ქალი, ყოველ საღამოს რვა საათზე იძინებდა. მერე მთელ სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვინსენტი ყოველ ღამე ებრძოდა თავს. გული დღენიადაგ ლოიერებისაკენ მიუწევდა. კარს ჩაიკეტავდა და თავს ირწმუნებდა, მეძინებაო. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კი თავისდა გასაოცრად უკვე ქუჩაში იყო და ურსულასაკენ მიეშურებოდა.

როდესაც იმ კვარტალს მიუახლოვდებოდა, სადაც ურსულა ცხოვრობდა, უკვე გრძნობდა მის სიახლოვეს. ეს კი ნამდვილი ტანჯვა იყო, რადგან იცოდა, ასე ახლოს მყოფიც მიუწვდომელი იყო მისთვის. მაგრამ ათასჯერ მძიმე ტანჯვა იყო დახავსებულ სახლში ჯდომა, სადაც საყვარელი არსების ჩრდილსაც კი ვერ გრძნობდა.

ამ სულიერმა ტანჯვამ საოცარი გარდატეხა მოახდინა ვინსენტის არსებაში. ახლა იგი სხვის ტკივილსაც იზიარებდა და ვეღარ ურიგდებოდა რაიმე იაფფასიანს და გარეგნულად მიმზიდველს, რაც ასე ძალიან მოსწონდათ სხვებს. მაღაზიისათვის უკვე ზარალი მოჰქონდა. როცა მყიდველები ეკითხებოდნენ, რა აზრისა ხართ ამა თუ იმ სურათზეო, იგი მაშინვე მიუგებდა, პირდაპირ საშინელიაო, და ისინიც აღარაფერს ყიდულობდნენ:

ვინსენტს ახლა მხოლოდ ის სურათები მოსწონდა, რომელშიც მხატვარი სულიერ ტკივილს გამოხატავდა. მათში ხედავდა ჭეშმარიტ, ემოციურ სიღრმეს.

ოქტომბრის ერთ დღეს მაღაზიაში შემოვიდა ახოვანი, მკერდსავსე ქალბატონი. ტანთ სიასამურის ქურქი ეცვა და მაღალი, მაქმანიანი საყელო უჩანდა, თავზე კი მრგვალი ხავერდის ქუდი ეხურა, ცისფერი ფრთით დამშვენებული. მან მოითხოვა, მაჩვენეთ რაც კი რამ საუკეთესო გაქვთ, ჩემი სახლის მოსართავად მჭირდება ქალაქშიო. სწორედ ვინსენტს ერგო ეს მყიდველი.

— მე მსურს ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენ მოგეპოვებათ, — განუცხადა მან. — ფასს მნიშვნელობა არა აქვს, ზომები ასეთია: მისაღებ ოთახში ორი ფართო კედელია, დაახლოებით თხუთმეტი ფუტი, ერთ კედელზე კი ორი ფანჯარაა, რომელთა შორის მანძილი...

მთელი საღამო იმის ცდაში გაატარა ვინსენტმა, რომ როგორმე ამ ქალისთვის მიეყიდა რემბრანდტის რამდენიმე გრავიურა, ტერნერის ვენეციის არხის ბრწყინვალე რეპროდუქცია, ტის მარისის ლითოგრაფიები და კოროსა და დობინის სამუზეუმო სურათების ასლები. ქალს უტყუარი ალღო ჰქონდა ყველაფერი ხელოვნური აერჩია. იმ სურათებიდან, რასაც ვინსენტი სთავაზობდა და ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს უწოდებდა, ერთი შეხედვით უარყო ყველა. დრო გადიოდა. ეს სქელი, თავმომაბეზრებელი ქალი ვინსენტის თვალში იქცა საშუალო ბურჟუაზიისა და

ვაჭართა კლასისათვის დამახასიათებელი თვითკმაყოფილების ნამდვილ განსახიერებად.

— როგორც იქნა, მგონი ავარჩიე, — გაისმა ქალის გულშეჯერებული ხმა.

— თვალი რომ დაგეხუჭათ და ხელი ისე დაგედოთ, ამაზე უარესს ვერც აარჩევდით.

ქალი ნელა წამოდგა. ხავერდის ფართო ქვედა კაბის კალთები ცალ ხელში აიკრიფა. ვინსენტმა შეამჩნია, როგორ ერთბაშად აუვარდა სისხლი კორსეტში გაჭედილი გულმკერდიდან და მაღალ, მაქმანიანი საყელოთი დაფარულ კისერს მიაწვა.

— თქვენ... — წამოიძახა მან. — თქვენ... ნამდვილი გაუთლელი ხეპრე ხართ, — და გარეთ გავარდა. ქუდზე მიბნეული გრძელი ფრთა აქეთ-იქით ერხეოდა. მისტერ ობახი მოთმინებიდან გამოვიდა.

— ვინსენტ, ძვირფასო, — წამოიძახა მან, — რა მოგვივიდათ. კვირაში ერთხელ თუ შეგხვდებათ ასეთი მყიდველი, თქვენ კი ხელიდან გაუშვით და შეურაცხყავით კიდეც.

— მისტერ ობახ! თუ შეიძლება, მიპასუხეთ ერთ კითხვაზე.

— რაო? სხვათა შორის, მეც მაქვს თქვენთან ორიოდე შეკითხვა.

ვინსენტმა გვერდით მისწია იმ ქალის მიერ არჩეული სურათები და ორივე იდაყვით მაგიდის ნაპირს დაეყრდნო.

— მიპასუხეთ, როგორ შეუძლია ადამიანს გაამართლოს თავისი მოქმედება, როცა ერთხელ მინიჭებულ სიცოცხლეს ახარჯავს იმას, რომ როგორმე შეაჩეჩოს ვიღაცა სულელს უხარისხო სურათები.

ობახს ფიქრადაც არ მოსვლია ეპასუხა.

— ასე თუ გაგრძელდა, — თქვა მან, — იძულებული ვიქნები მივწერო ბიძათქვენს, სხვაგან გადაგიყვანოთ. თქვენი გულისათვის ხომ არ გავკოტრდები!

აღელვებული ობახი ძლივს სუნთქავდა. ვინსენტმა იგი ხელით მოიშორა.

— როგორ შეიძლება ამდენი ფულის მოხვეტა ამ ხარახურის გაყიდვით, მისტერ ობახ! და რატომ არის, რომ ის ხალხი, რომელიც აქ დადის, ვერც კი ამჩნევს ნამდვილ სურათებს? იქნება მათ ფული უბრმავებს თვალებს? რატომ ხდება, რომ ღარიბ ადამიანს, რომელსაც შეუძლია გაიგოს ნამდვილი ხელოვნება, ერთი ფართინგიც კი არ აბადია, რათა სურათები შეიძინოს.

ობახმა უცნაურად შეხედა.

— რა არის ეს, სოციალიზმი?

შინ რომ მივიდა, ვინსენტმა მაგიდიდან რენანის ტომი აიღო და დანიშნულ ადგილას გადაშალა. „სწორ გზას რომ ადგე ამ ქვეყნად, — ეწერა შიგ, — უნდა შეზღუდო საკუთარი მე.

ადამიანი ამ ქვეყნად მოდის არა იმიტომ, რომ იყოს ბედნიერი, და არც იმიტომ, რომ სინდისიერად გაატაროს ცხოვრება, არა.

იგი ცოცხლობს იმისათვის, რომ რაიმე მოიმოქმედოს ხალხის საკეთილდღეოდ, გახდეს ღირსეული ადამიანი, ფეხით გათელოს უხამსობა, რითაც ჯერ კიდევ თითქმის ყოველი ადამიანი სულდგმულობს“.

ლოიერებმა შობამდე მთელი კვირით ადრე დადგეს კოხტა ნაძვის ხე ფანჯარასთან. ორი დღის შემდეგ კი, როცა ვინსენტმა მათ სახლთან გაიარა, დაინახა,

რომ მთელი ბინა სინათლეებით გაეჩახჩახებინათ და სადარბაზო კარიდან მეზობლებიც შედიოდნენ.

სიცილის ხმებმაც მიაღწიეს ვინსენტის ყურამდე. ლოიერები შობას დღესასწაულობდნენ. ვინსენტი სასწრაფოდ სახლში დაბრუნდა, ნაჩქარევად გაიპარსა, ახალი პერანგი ჩაიცვა, ჰალსტუხიც გაიკეთა და უმალვე კლეპჰემისაკენ გაეშურა. კიბესთან რამდენიმე წუთით შედგა, რომ სული მოეთქვა.

შობა იყო. ჰაერი მხოლოდ სიკეთისა და მიტევების გრძნობით იყო გაჟღენთილი. ვინსენტმა კიბეები აირბინა. მაშინვე შემოესმა ნაცნობი ფეხის ხმა მისაღებ ოთახში. ნაცნობი ხმა, რომელმაც რაღაც გასძახა სტუმრებს. კარი გაიღო. სინათლის შუქმა გაანათა ვინსენტის სახე. ურსულას მწვანე, უსახელო კაბა ეცვა, დიდი ბაფთებითა და მაქმანებით გაწყობილი. არასოდეს უნახავს ურსულა ასე ლამაზი.

— ურსულა... — დაიწყო ვინსენტმა.

გოგონას სახის გამომეტყველებამ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც მაშინ უთხრა, ბაღში. ვინსენტსაც წამსვე მოაგონდა ყველაფერი.

— წადი, — უთხრა ურსულამ და ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

მეორე დილით ვინსენტი გემით ჰოლანდიისაკენ გაემართა.

შობა ყველაზე საქმიანი დღეები იყო გუპილის გალერეებში.

მისტერ ობახმა წერილი მისწერა ძია ვინსენტს და შეატყობინა, თქვენმა ძმისწულმა უკითხავად დასტოვა სამუშაო. ძია ვინსენტმა გადაწყვიტა თავისი ძმისშვილი პარიზში, შანტალის ქუჩაზე მდებარე მთავარ გალერეაში მოეწყო.

ვინსენტმა ცივად უპასუხა, ყელამდე ვარ სავსე სურათების ყიდვა-გაყიდვითო. ბიძამისი ამას არ ელოდა და მეტად გულნატკენი დარჩა. ისიც კი განაცხადა, ამიერიდან ვინსენტზე ხელი დამიბანიაო. მაგრამ დღესასწაულის შემდეგ იფიქრა, მეყოფა ხელის ბანაო და თავისი სეხნია დოდრეხტში ბლიუსესა და ბრამის წიგნის მაღაზიაში დაანიშვნინა. მას აქეთ ამ ორ ვინსენტ ვან გოგს ერთმანეთთან საერთო აღარა ჰქონია რა.

დოდრეხტში თითქმის ოთხ თვეს დაჰყო ვინსენტმა. აქ მას არც ბედნიერი ეთქმოდა, არც უბედური და არც რაიმე ღირსშესანიშნავი შემთხვევია, თითქოს იქ სულაც არ ყოფილიყო.

ერთ შაბათ საღამოს კი ჩაჯდა მატარებელში და აუდენბოსში ჩავიდა, იქიდან ფეხით — ზუნდერტში. საოცრად ლამაზი იყო მანანებით მოფენილი მინდორი, ჰაერშიაც ღამის ცივი, მკვეთრი სურნელი ტრიალებდა. ბნელოდა, მაგრამ აშკარად ხედავდა გარშემო ჭაობებსა და ფიჭვის ხეების შორეულ ლანდებს. ამან ბოდმერის ის სურათი მოაგონა, მამამისის სამუშაო ოთახში რომ ეკიდა. ცა ერთიანად ჩაშავებულიყო, მაგრამ აქაიქ ღრუბლებს შორის მაინც კიაფობდა თითო-ოროლა ვარსკვლავი. ადრიანი დილა იყო, როცა ეკლესიას მიუახლოვდა. შორს ჩამუქებული ჯეჯილის ყანებიდან ტოროლების გალობა მოისმოდა.

მშობლები მიუხვდნენ, რომ უჭირდა ვინსენტს. ზაფხულში მთელი ოჯახი ეტენში გადავიდა. ამ პაწია ქალაქში, რომელიც ზუნდერტიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული თეოდორი მღვდლად დაენიშნათ.

ეტენში იყო უზარმაზარი მოედანი თელის ხეებით, აგრეთვე რკინიგზა, რომელიც ბრედასთან, საკმაოდ დიდ ქალაქთან აერთებდა. თეოდორისათვის ეს, რაც არ უნდა იყოს, მაინც დაწინაურებას ნიშნავდა.

შემოდგომა მოვიდა და ვინსენტს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ურსულა ჯერ არ გათხოვილიყო.

— ვინსენტ, შენ მაგ მაღაზიებისათვის არა ხარ გაჩენილი, — ეუბნებოდა მამა, — შენი დანიშნულება ღვთის სამსახურია.

— ვიცი მამა, ვიცი. — პასუხობდა შვილიც.

— ჰოდა, აბა რაღა გიშლის, წადი ამსტერდამში და ისწავლე.

— სიამოვნებით, მაგრამ...

— კიდევ ყოყმანობ?

— ჰო. ახლა არ შემიძლია ამის ახსნა. ცოტა კიდევ მადროვეთ.

— ძია იანი გავლით იყო ეტენში. — ჩემთან, ამსტერდამში, ოთახი უკვე გელოდებაო, დაუბარა ვინსენტს. პასტორი სტრიკერიც იწერება, კარგ მოძღვარს მივაბარებო, — დაუმატა დედამ.

— ურსულას უარმა დააბეჩავა ვინსენტი. იცოდა, რომ ამ დიდი სულიერი ტანჯვის შემდეგ ამსტერდამის უნივერსიტეტში სწავლა პირდაპირ მისწრება იქნებოდა მისთვის. ვან გოგისა და სტრიკერის ოჯახებიც მიიღებდნენ მას, გაამხნევებდნენ, მატერიალურადაც დაეხმარებოდნენ. წიგნებსა და თანაგრძნობას არ მოაკლებდნენ, მაგრამ მაინც არ შეეძლო გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. ურსულა ხომ ჯერ ისევ ინგლისში იყო — გაუთხოვარი. ჰოლანდიაში კი მისი ამბავი ვერ მოაღწევდა. ამიტომ შეიძინა ინგლისური გაზეთები, გამოეხმაურა რამდენიმე განცხადებას და ბოლოს, როგორც იქნა, იშოვნა მასწავლებლის თანამდებობა რამსგეითში, პატარა ზღვისპირა ქალაქში, საიდანაც ლონდონამდე მატარებელს ოთხსაათნახევარი სჭირდებოდა.

7.

მისტერ სტოკსის სკოლა მოედანზე იდგა, რომლის შუაში უზარმაზარი, რკინის მესერშემოვლებული სკვერი იყო. სკოლაში ოცდაოთხი ბიჭი სწავლობდა, ასე ათიდან თოთხმეტ წლამდე. ვინსენტი ასწავლიდა ფრანგულს, გერმანულს და ჰოლანდიურს. გარდა ამისა, ევალებოდა გაკვეთილების შემდეგ ბავშვებისათვის ყურადღება მიექცია, შაბათ საღამოს კი დაბანაში შეშველებოდა. ამის საფასურად ჰქონდა ბინა, სმა-ჭამა და არავითარი ფულადი გასამრჯელო. რამსგეითში დიდი მოწყენილობა იყო, მაგრამ სწორედ ეს ეხამებოდა ახლა ვინსენტის განწყობილებას. ქვეცნობიერად იგი კიდევაც ელოლიავებოდა თავის გულისტკივილს, როგორც სანუკვარ საგანს, რადგან სწორედ ამის გამო იყო, რომ ურსულა მოუშორებლად თან დასდევდა. რაკი არ შეეძლო საყვარელ არსებასთან ყოფნა, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იცხოვრებდა. ერთადერთი ის სურდა, რომ არავინ ცდილიყო მისთვის მწუხარება შეემსუბუქებინა, რითაც ასე დაუმძიმა ურსულამ სული და სხეული.

— იქნებ სულ უმნიშვნელო თანხა მაინც გადამიხადოთ, მისტერ სტოკს, — სთხოვა ვინსენტმა, — მხოლოდ იმისათვის, რომ თამბაქო და ტანსაცმელი შევიძინო.

— არა, ამას არ გავაკეთებ — უპასუხა სტოკსმა, — ამ საფასურითაც ბლომად ვიშოვი მასწავლებლებს.

პირველივე შაბათს დილაადრიან ლონდონის გზას დაადგა ვინსენტი. სასიარულო ბევრი ჰქონდა. მთელი დღე საშინლად ცხელოდა. როგორც იქნა, კენტერბერის მიაღწია. აქ, ძველი ტაძრის გარშემო ჩამწკრივებული ბებერი ხეების ქვეშ, სული

მოიბრუნა და ისევ გაუდგა გზას. მალე ერთ პატარა მდინარეს მიადგა, რომლის ნაპირას რამდენიმე წიფლის და თელის ხე იდგა დილის ოთხ საათამდე ამ ხეების ძირას გამოიძინა. განთიადზე ჩიტების ჟღურტულმა გამოაღვიძა. შუადღეზე ჩეთამში მივიდა. აქედან კი უკვე გამოჩნდა შორს, მწვანედ მობიბინე დაბლობებს შორის გემებით სავსე ტემზა. საღამო ხანს უკვე ნაცნობ გარეუბანში იყო და, მიუხედავად დაღლილობისა, ლოიერების სახლისაკენ გაეშურა.

ურსულას სიახლოვის სურვილმა, რამაც იგი ინგლისში დააბრუნა, ახლა ერთიანად მოიცვა მთელი მისი არსება. ინგლისში ურსულა ჯერ ისევ ვინსენტს ეკუთვნოდა, რადგანაც აქ ცხადად გრძნობდა, რომ ახლო იყო მასთან.

გული გამალებით უძგერდა. ხეს მიეყრდნო. ისეთ ყრუ ტკივილს გრძნობდა, რომლის გადმოცემა არა თუ სიტყვებით, ფიქრითაც კი შეუძლებელია. ბოლოს ლოიერების სასტუმრო ოთახში შუქი ჩააქრეს, შემდეგ ურსულას ოთახშიც ჩაბნელდა და მთელი სახლი წყვდიადმა მოიცვა. ვინსენტს ისღა დარჩენოდა, კლეპჰემ როუდს გაჰყოლოდა, და როცა სახლი თვალს მოეფარა, იგრძნო, რომ კვლავ დაჰკარგა ურსულა.

ვინსენტი ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავს ურსულასთან შეუღლებულს, მაგრამ ახლა იგი სურათების გაყიდვით გამდიდრებულ ვაჭრის ცოლად კი აღარ ეხატებოდა, არამედ პატიოსანი და უპრეტენზიო მისიონერი მღვდლის მეუღლედ, რომელიც დაუზარებლად ეხმარება ქმარს. მასთან ერთად დადის ჯურღმულებში, ღარიბთა სამსახურად.

თითქმის ყოველ შაბათს დაადგებოდა ხოლმე ვინსენტი ლონდონის შორ, მომქანცველ გზას, მაგრამ ძალიან უჭირდა ორშაბათ დილით გაკვეთილების დაწყებამდე უკან დაბრუნება.

ხანდახან პარასკევობითაც მიდიოდა და მთელ ორ დღეს გზას უნდებოდა იმის გამო, რომ ენახა, როგორ გამოდის კვირა დილით ურსულა სახლიდან და ეკლესიისაკენ მიემართება. ვინსენტს არც ფული ჰქონდა და არც იმის სახსარი გააჩნდა, ღამე სადმე გაეთია; ზამთარი დადგა, ყინვები დაიჭირა და ორშაბათს, განთიადისას რამსგეითში დაბრუნებული, დაღლილი და მშიერი, სულ ერთიანად კანკალებდა სიცივისაგან. შემდეგ კი მთელი კვირა ენერგიის აღდგენას უნდებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ აილვორსში უკეთესი ადგილი იშოვნა მისტერ ჯონსის მეთოდურ სკოლაში. მისტერ ჯონსი მღვდელი იყო და საკმაოდ დიდი მრევლი ჰყავდა. ვინსენტმა მასთან მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, მაგრამ სულ მალე ჯონსმა იგი სოფლის მოძღვრად აქცია. ვინსენტის წარმოდგენაშიც მყისვე შეიცვალა სურათი. ურსულა მისიონერის ბედის გამზიარებელი კი აღარ იყო, არამედ სოფლის მღვდლის მეუღლე და შველოდა ქმარს ზუსტად ისევე, როგორც დედამისი ეხმარებოდა მამამისს. ვინსენტი გონების თვალით ხედავდა, რომ მისი ურსულა კმაყოფილი და ბედნიერია, რადგან ვინსენტმა მიატოვა გუპილის ფირმის უაზრო ცხოვრება და ახლა ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავს.

აშინებდა იმაზე ფიქრი, რომ ურსულას ქორწილის დღე ახლოვდებოდა იმ ვიღაც სხვას ვერ იქნა და ხორცშესხმული ადამიანის სახე ვერ მისცა. ურსულას უარი, მისი აზრით, გამოიწვია რაღაც ნაკლმა, რომელიც მას აუცილებლად უნდა გამოესწორებინა. განა ღვთის სამსახურზე უკეთესი გზა იყო რამე?

მისტერ ჯონსის სკოლაში ღარიბი ლონდონელი ბავშვები სწავლობდნენ. ერთხელ ჯონსმა ვინსენტს მათი მისამართები მისცა და ფეხით გაუშვა ლონდონში, რომ მშობლებისაგან სწავლის ფული შეეგროვებინა. ამ მისამართებმა იგი შუა უაითჩეპელში მიიყვანეს. აქ, ლონდონის ამ ნაწილში, ქუჩებსაც კი საძაგელი სუნი უდიოდა. წვრილშვილიანი ოჯახები ცივ, უბადრუკ ოთახებში შეჭუჭკულიყვნენ. ყველას თვალებში შიმშილი და ავადმყოფობა დაბუდებულიყო. ოჯახის მამები აყროლებული ხორცით ვაჭრობდნენ, რომლის გაყიდვასაც სახელმწიფო სასტიკად კრძალავდა ბაზარზე. ვინსენტმა ნახა ოჯახები, რომლებიც ძონძებში გამოხვეულები სიცივისაგან კანკალებდნენ, ვახშმად რაღაც ნარეცხს, ხმელი პურის ქერქებსა და დამპალ ხორცს ჭამდნენ. გვიან ღამემდე ისმენდა ვინსენტი მათი გაჭირვებისა და სიღატაკის ამბავს.

რაკი ჯონსმა ლონდონში გაგზავნა, ვინსენტმა გაიხარა, ურსულას სახლთანაც გავივლიო, მაგრამ უაითჩეპელის ჯურღმულებმა ყველაფერი გადაავიწყა. კლეპჰემი სულ არ მოჰგონებია, ისე დაბრუნდა აილვორსში და მისტერ ჯონსისათვის უბრალო ფართინგი რა არის, ისიც არ ჩამოუტანია.

ხუთშაბათ საღამოს, წირვის დროს, ჯონსმა თავი მოიკატუნა, შეუძლოდ ვარო, და ვინსენტს დაეყრდნო.

— დღეს საშინლად დავიღალე, ვინსენტ. თქვენ მგონი დაწერილი გაქვთ რამდენიმე ქადაგება, მოდით, რომელიმე წაგვიკითხეთ ამ საღამოს. მინდა ვნახო, რა მღვდელი დადგება თქვენგან.

ვინსენტი შიშითა — და ცახცახით კათედრისაკენ გაემართა.

სახე ერთიანად წამოუჭარხლდა და აღარ იცოდა ხელები სად წაეღო. ხრინწიანი ხმით სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. ახლა-დიდის გაჭირვებით იგონებდა იმ კოხტა, სხარტ წინადადებებს, რომლებიც მეტად მარჯვედ გამოსდიოდა წერის დროს. ვინსენტი გრძნობდა, რომ ამ მოუქნელობასა და ცალკეულ სიტყვებს მიღმა მთელი მისი შინაგანი არსება ბობოქრობდა.

— მშვენიერია, ვინსენტ უთხრა ჯონსმა, — მომავალ კვირას რიჩმონდში გაგგზავნით.

— ნათელი შემოდგომის დღე იდგა. სასიამოვნო იყო ფეხით სიარული მდინარე ტემზის გაყოლებით აილვორსიდან რიჩმონდისაკენ. საცაა ფოთოლცვენა უნდა დაწყებულიყო. ხმელი ფოთლებით დახუნძლული უზარმაზარი წაბლის ხეები და ლურჯი ცა მდინარეში ირეკლებოდა. რიჩმონდიდან ჯონსს შეატყობინეს, თქვენი გამოგზავნილი ახალგაზრდა ჰოლანდიელი მქადაგებელი მოგვეწონაო. ასე რომ, ამ კეთილმა კაცმა ვინსენტს გზა გაუხსნა ტრენჰემ გრინში მისტერ ჯონსის ეკლესია საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, ხოლო მრევლი კარგა მოზრდილი და სკეპტიკურად განწყობილი. თუკი ვინსენტი შესძლებდა წარმატებით ექადაგნა იქ, მაშინ უეჭველია არანაკლები წარმატებით შესძლებდა სხვაგანაც. ვინსენტმა შეარჩია ფსალმუნი 118,19 — „მწირი ვარ მე ქუეყანასა ზედა, ნუ დამრწყავ მე მცნებათა შენთა“. უბრალოდ, მაგრამ მხურვალედ ლაპარაკობდა ვინსენტი. მისმა ახალგაზრდობამ, ენერგიამ, დადუღებულმა თავდაჭერილობამ, მასიურმა თავმა და გამჭოლმა მზერამ საოცრად მოხიბლა მრევლი.

ბევრი კიდევაც მიუახლოვდა და მადლობა გადაუხადა. ვინსენტი მათ ხელს ართმევდა და დაბნეულად უღიმოდა. როგორც კი ყველა გაიკრიფა ეკლესიიდან, მაშინვე უკანა კარიდან გასხლტა და ლონდონისაკენ გაემართა.

ჭექა-ქუხილი ატყდა: ქუდი და პალტო სახლში დარჩა ვინსენტს. ტემზას მოყვითალო ფერი დაედო, განსაკუთრებით ნაპირებთან. ელავდა ცის დასალიერზე. ცა უთვალავ ღრუბლებს დაეფარა, საიდანაც კოკისპირულად ასხამდა ალმაცერი წვიმა. თავით ფეხამდე გაიწუწა ვინსენტი, მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა ედო და ნაბიჯს აუჩქარა.

როგორც იქნა! ხომ მიაღწია წარმატებას! იპოვნა თავისი ადგილი. ამ ჩემს წარმატებას ურსულას ფეხქვეშ გავუგებ და ერთად გავიზიარებთო, ფიქრობდა წვიმას სულ გადაერეცხა მტვერი საცალფეხო ბილიკიდან და კუნელის ბუჩქებს ატოკებდა. შორს მოჩანდა ქალაქი, რომელიც თავისი კოშკებით, ფაბრიკა-ქარხნებით, კრამიტის სახურავებით და გუთური სტილის სახლებით საოცრად მიაგავდა დიურერის გრავიურას.

ვინსენტი მტკიცედ მიაბიჯებდა ლონდონისაკენ. წვიმა შიგ სახეში სცემდა; ფეხსაცმელებშიაც წყალი უჭყაპუნებდა. უკვე შეღამებული იყო, როცა ლოიერების სახლს მიუახლოვდა.

ნაცრისფერი ბინდი ჩამოწვა. შორიდანვე გაიგონა მუსიკის ხმა.

ვიოლინოს უკრავდნენ. ნეტავი რა ხდებაო, გაიფიქრა ვინსენტმა. ყველა ოთახი გაჩახჩახებული იყო. გარეთ, ამ წვიმაში, უამრავი ეტლი იდგა. ვინსენტმა დაინახა როგორ ცეკვავდნენ მისაღებ ოთახში. კოფოზე შემოსკუპული მოხუცი მეეტლე უზარმაზარი ქოლგის ქვეშ დამალვოდა წვიმას.

— რა ამბავია? — შეეკითხა ვინსენტი.

— თუ არ ვცდები, ქორწილია, — მიუგო მეეტლემ.

ვინსენტი ეტლს მიეყრდნო, მწითური თმიდან წვიმის ნაკადულები სახეზე ჩამოსდიოდა. მალე სადარბაზო კარი გაიღო და გამოჩნდა ურსულა მაღალ, კოხტა კაცთან ერთად. უკან ბევრი ხალხი მოჰყვებოდა, იცინოდნენ, გაჰყვიროდნენ და ბრინჯს აბნევდნენ.

ვინსენტი ეტლს მოეფარა. ურსულა და მისი ქმარი სწორედ იმ ეტლში ჩასხდნენ. მეეტლემ ცხენებს მათრახი გადაჰკრა. ეტლი ტაატით დაიძრა. ვინსენტმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სახით სველ ფანჯარას მიეყრდნო. ქმარს მკლავები მოეხვია ურსულასათვის და ტუჩებში ჰკოცნიდა. ეტლი წავიდა.

რაღაც ჩასწყდა ვინსენტს გულში. ჩასწყდა სრულიად ცხადად და უნუგეშოდ. იმედი დაემსხვრა. არც კი ეგონა, რომ შეიძლებოდა ასე ადვილად მომხდარიყო ეს.

კოკისპირულ წვიმაში წალასლასდა აილვორსისკენ, აიკრა თავისი გუდა-ნაბადი და სამუდამოდ გამოეთხოვა ინგლისს.

წიგნი პირველი
ბორინაჟი

1.

ჰოლანდიის ფლოტის უმაღლესი რანგის ოფიცერი, ვიცეადმირალი იოჰანეს ვან გოგი საადმირალოს სიღრმეში იდგა, საკუთარი, უზარმაზარი რეზიდენციის წინ. ძმისწულის პატივ საცემად საპარადო ფორმაში გამოწყობილს ოქროს ეპოლეტები

უბრწყინავდა. მასიურ, ვან გოგურ ნიკაპს ზემოთ წამოწეული მაღალი, თხელი ცხვირი ამობურცულ ფართო შუბლს უერთდებოდა.

— მიხარია, რომ ჩამოხვედი, ვინსენტ, — უთხრა მან. — მას აქეთ, რაც შვილები დავაქორწინე და ჩემთან აღარ არიან, სახლი სულ დაცარიელდა.

განიერი კიბე აიარეს და ძია იანმა კარი შეაღო. ვინსენტი ოთახში შევიდა და ბარგი დადო. უზარმაზარი ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა. ძია იანი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა შინაურულად. ცდილობდა, რაც შეიძლება თავისუფლად ყოფილიყო, რამდენადაც ტანისამოსი ამის საშუალებას აძლევდა.

— სასიამოვნოა, რომ მღვდლობა გადაგიწყვეტია, — უთხრა მან. — ერთ-ერთი ვან გოგი ყოველთვის ღვთის სამსახურს სწირავს თავს.

ვინსენტმა ჩიბუხი ამოიღო და ფრთხილად გატენა თუთუნით, ამ ხერხს მიმართავდა, როცა უნდოდა ლაპარაკში დრო მოეგო, რომ სათქმელი მოეფიქრებინა.

— მე მინდა მქადაგებელი გავხდე და საქმეს შევუდგე.

— მქადაგებელი არა, ვინსენტ, ისინი ხომ გაუნათლებელი ხალხია და ღმერთმა იცის, რა აბდაუბდას ქადაგებენ. არა, ჩემო კარგო, ვან გოგები მუდამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ.

ჰო, მართლა, შენ ალბათ ბარგის ამოლაგება გინდა. სადილი რვა საათზეა.

როგორც კი ვიცე-ადმირალის განიერი ზურგი კარს მიეფარა, ვინსენტს სევდა შემოაწვა, მიმოიხედა. ოთახში იდგა ფართო, მოხერხებული საწოლი, უზარმაზარი ტანსაცმლის კარადა, ხოლო დაბალი საწერი მაგიდა ისე კოხტა იყო, პირდაპირ ანდამატივით გიზიდავდა. მიუხედავად ამისა, ვინსენტი ვერა და ვერ გრძნობდა თავს თავისუფლად. ასე მაშინ მოსდიოდა, როცა ვინმე უცხო იყო მის გვერდით. ქუდი დაიხურა და სწრაფად დემის მოედანზე გამოვიდა: ერთ ებრაელ ბუკინისტს დახლზე შესანიშნავი გრავიურები გამოეწყო გასაყიდად. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ვინსენტმა, როგორც იქნა, აარჩია ცამეტი სურათი, იღლიაში ამოიჩარა და არხის გაყოლებით სახლის გზას გაუყვა. ჰაერში კუპრის სუნი ტრიალებდა.

ვინსენტმა სურათები ფრთხილად მიამაგრა, ისე რომ კედლები არ დაზიანებულიყო. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ღირსი მამა სტრიკერი მოვიდა მის სანახავად. ესეც ბიძად ეკუთვნოდა ვინსენტს, ოღონდ დედის მხრიდან. ამისი ცოლი და ვინსენტის დედა ღვიძლი დები იყვნენ. სტრიკერი საკმაოდ ცნობილი მოძღვარი გახლდათ ამსტერდამში და ჭკვიან კაცადაც ითვლებოდა. ტანზე საუცხოოდ შეკერილი შავი კოსტიუმი ეცვა.

გულთბილი მოკითხვის შემდეგ იგი ვინსენტს მიუბრუნდა:

— მე მოველაპარაკე მენდეს და კოსტას. იგი კლასიკური ენების ერთ-ერთი ბრწყინვალე მცოდნეა. შენ ლათინურსა და ბერძნულს გასწავლის. ებრაელთა უბანში ცხოვრობს. ორშაბათს, 3 საათზე პირველი გაკვეთილი გაქვს. ახლა კი იმისთვის მოვედი, რომ ხვალ საკვირაო სადილზე მიგიპატიჟო. დეიდაშენ ვილემინას და დეიდაშვილ ქეის, ძალიან უნდათ შენი ნახვა.

— სიამოვნებით. როდის მოვიდე?

— ჩვენ შუადღეზე ვსადილობთ, ჩემი წირვის შემდეგ.

— მოკითხვა გადაეცით თქვენს ოჯახს, — დაბარა ვინსენტმა.

ღირსმა მამა სტრიკერმა თავისი შავი ქუდი და ლოცვანი აიღო, ხვალამდეო, უთხრა ვინსენტს და წავიდა.

2.

კეიცერსგრახტი, სადაც სტრიკერის ოჯახი ცხოვრობდა, ერთერთი ყველაზე არისტოკრატიული ქუჩა იყო ამსტერდამში.

არხის გაყოლებით გაშენებულ კეიცერსგრახტს, ქალაქის სამი დანარჩენი ბულვარისაგან განსხვავებით, ნალისებური ფორმა ჰქონდა. იწყებოდა ნავსადგურის სამხრეთით, უვლიდა ქალაქის ცენტრს და კვლავ ზღვას უერთდებოდა, ოღონდ ახლა ჩრდილოეთის მხრიდან. არხში წყალი სუფთა და კამკამა იყო, აქ ვერ ნახავდით კროსს — იმ საიდუმლოებით მოცულ მწვანე ხავსს, რომელსაც შედარებით ღარიბ უბნებში სქლად დაეფარა წყლის ზედაპირი.

ამ ქუჩაზე სახლები სუფთა ფლამანდიური სტილით იყო ნაგები. ვიწრო, მტკიცე და მჭიდრო შენობები სმენაზე გაჭიმული ჰურიტანელი ჯარისკაცებივით მიწყობოდნენ ერთმანეთს, მეორე დღეს ვინსენტმა ძია სტრიკერის ქადაგება მოისმინა და შემდეგ მისი სახლისაკენ გასწია. კაშკაშა მზეს გაეფანტა ღია ნაცრისფერი ღრუბლები, ჰოლანდიის ცის ეს განუყოფელი ნაწილი და ახლა ჰაერი რაღაცნაირი გამჭვირვალე გამხდარიყო.

ჯერ ადრე იყო და ვინსენტიც აუჩქარებლად მიაბიჯებდა; თან შესცქეროდა, როგორ არ ეპუებოდნენ არხის დინებას მოცურავე ნავები.

ეს იყო უმეტესწილად გამძლე, მოგრძო ნავები, ბოლოებწაწვრილებული, წყლისაგან ერთიანად გაშავებული. შუაში საკმაოდ ღრმა ადგილი ჰქონდათ ტვირთის დასაწყობად. ნავების ცხვირიდან კიჩომდე გაბმულ თოკზე სარეცხი შრებოდა.

ოჯახის მამა ბარჯს ლაფში ასობდა, მხრით ეყრდნობოდა და იქამდე ებრძოდა, ვიდრე ნავი ფეხქვეშ არ გაუსხლტებოდა, ცოლი კი, ლოყებღაჟღაჟა მოსული ქალი, ფეხმოუცვლელად იჯდა კიჩოზე და ხისაგან გამოჩორკნილ ბერკეტს ატრიალებდა.

ბავშვები ძაღლს ეთამაშებოდნენ და წარამარა შერბოდნენ პატარა ქოხში, რომელიც მათ საცხოვრებელ ბინას წარმოადგენდა.

ღირსი მამა სტრიკერის სახლი ტიპიური ფლამანდური არქიტექტურის ნიმუში იყო — ვიწრო, სამსართულიანი შენობა მოგრძო კოშკურით, რომელშიც არაბესკით მორთული ატიკური ფანჯარა იყო დატანებული. ფანჯრიდან ჩამოშვერილ ძელს ბოლოზე რკინის კაუჭი ჰქონდა მიმაგრებული. ვინსენტს დეიდა ვილემინა შეხვდა და სასადილო ოთახში შეიყვანა. კედელზე არი შეფერის მიერ შესრულებული კალვინის პორტრეტი ეკიდა, ბუფეტზე ვერცხლის ჭურჭელი ბრწყინავდა.

ვინსენტმა ვერც მოასწრო ოთახის სიბნელისათვის თვალი შეეჩვია, რომ საიდანღაც მაღალი, მოხდენილი ახალგაზრდა ქალი გაჩნდა ოთახში და გულთბილად მიესალმა.

— რა თქმა უნდა, თქვენ მე არ მიცნობთ, — უთხრა მან მეტად ხავერდოვანი ხმით, — მე თქვენი დეიდაშვილი ქეი ვარ.

ვინსენტმა მის გამოწვდილ ხელს თავისი შეაგება და ამდენი ხნის შემდეგ პირველად იგრძნო ახალგაზრდა ქალის ფაფუკი სხეულის სითბო.

— ჩვენ არასოდეს გვინახავს ერთმანეთი, — ქეის ხმა მეტად რბილი და სასიამოვნო იყო, — საოცარია, არა? მე უკვე ოცდაექვსი წლისა ვარ, თქვენ კი ალბათ...

ვინსენტი ერთ ხანს ხმაამოუღებლად შესცქეროდა; შემდეგ მიხვდა, პასუხია საჭიროო, და რომ როგორმე გამოესწორებინა თავისი დაბნეულობა, ომახიანად უპასუხა:

— ოცდაოთხი წლის, თქვენზე უმცროსი ვარ.

— ჰო, რა თქმა უნდა. თუმცა ეს არც თუ ისე უცნაურია.

თქვენ ხომ პირველად ხართ ამსტერდამში და მეც არასოდეს ვყოფილვარ ბრაბანტში. ხედავთ, რა ცუდი მასპინძელი ვარ, სკამიც არ შემოგთავაზეთ, სულ გადამავიწყდა.

ვინსენტი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და უეცრად გაუთლელი სოფლელი ბიჭი დახვეწილ ბატონკაცად იქცა.

— დედას მუდამ გულით ეწადა, რომ ჩვენთან ჩამოსულიყავით. ჩემი აზრით, ბრაბანტი უთუოდ მოგეწონებოდათ. გარშემო მეტად ლამაზი სანახები აკრავს, — უთხრა მან ქეის.

— ვიცი, დეიდა ანამ რამდენიმეჯერ მომწერა წერილი, — მეპატიჟებოდა. ამ მოკლე ხანში აუცილებლად გესტუმრებით — აუცილებლად, — უთხრა ვინსენტმა.

მაგრამ მისი გონების მხოლოდ სულ ერთი ციცქნა ნაწილი იყო ამ საუბარში ჩართული, მთელი დანარჩენით კი ვინსენტი ერთიანად დაწაფებოდა ქეის სილამაზეს, ქალს დანატრებულ ვნებიანი მამაკაცის გრძნობით. ქეი ტიპიური ჰოლანდიელი იყო.

სახის ნაკვთები მსხვილი ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ დახვეწილი, თმაზე არც ხორბლისფერი ეთქმოდა და არც მისი თანამემამულეებივით მყვირალა წითელი, არამედ ამ ორი ფერის რაღაც საოცარი ნარევი; ღია ფერის თმას მოწითალო ელფერი გადაჰკრავდა და სასიამოვნოდ უბრწყინავდა. ეტყობოდა, მზეს და ქარს სახეს არიდებდა. ნიკაპის სითეთრე მხატვრის ოსტატობით გადადიოდა ლოყების ვარდისფერში. უძირო ლურჯ თვალებში სიცოცხლის ხალისი უკიაფებდა. ხორცსავსე ტუჩები მიმზიდველად გაპობოდა.

ქეიმ შენიშნა, ვინსენტი არაფერს ლაპარაკობსო და ჰკითხა:

— რაზე ფიქრობთ? ძალზე ჩაფიქრებული ჩანხართ. — — გავიფიქრე, რომ რემბრანდტი ალბათ სიამოვნებით დაგხატავდათ.

ქეიმ ხმადაბლა, გულიანად გაიცინა:

— რემბრანდტი ხომ უშნო დედაბრებს ხატავდა!?

— არა, — უთხრა ვინსენტმა, — იგი მშვენიერ მოხუცებს ხატავდა, ღარიბებს და იქნებ უბედურებსაც, მაგრამ სწორედ ამ მწუხარებით მათ ნამდვილ ადამიანობას ამჟღავნებდა.

ქეიმ ისე შემოხედა, თითქოს პირველად ხედავსო ვინსენტს.

თავიდან დეიდაშვილის გრუზა თმა და ტლანქი სახე მოხვდა თვალში. ახლა კი ხედავდა, რომ ვინსენტს ჰქონდა ხორცსავსე ტუჩები, ღრმად ჩამჯდარი მოელვარე თვალები, ვან გოგური, მაღალი, სიმეტრიული შუბლი, და ოდნავ წინ წამოწეული უზარმაზარი ნიკაპი.

— მაპატიეთ, რა დაუფიქრებლად გითხარით! — თითქმის ჩურჩულით წაიბუტბუტა ქეიმ, — მივხვდი, რაც გინდოდათ რემბრანდტზე გეთქვათ. მას აქვს ჭეშმარიტი

სილამაზის წვდომის უბადლო უნარი, ხომ ასეა? და მოხუცი ქალების ჩამომჭკნარი სახის ნაოჭებში ჭირ-ვარამისა და იმედგაცრუების კვალსაც აჩენს.

— ასე სერიოზულად რაზე საუბრობდით, შვილებო? — კარიდანვე იკითხა ღირსმა მამა სტრიკერმა.

— ერთმანეთს ვეცნობოდით, — უპასუხა ქეიმ, — რატომ არ მითხარით, თუ ასეთი კარგი დეიდაშვილი მყავდა.

ოთახში კიდევ ერთი მაღალი კაცი შემოვიდა, გულკეთილი ღიმილი და მომხიბლავი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ქეი მას მიეგება და აკოცა.

— ვინსენტ, — მიუბრუნდა ვინსენტს ქეი, — ეს ჩემი მეუღლეა, მინჰერ ვოსი.

ქეიმ ორი წლის ქერათმიანი ბიჭუნა შემოიყვანა. ბავშვს ჩაფიქრებული სახე და დედის ლურჯი თვალები ჰქონდა. ქეი დაიხარა და ბავშვი აიყვანა. ვოსმა ორივეს ერთად შემოჰხვია მკლავები.

— გვერდით მომიჯექი, ვინსენტ, — შესთავაზა დეიდა ვილემინამ. ქეი ვინსენტის პირდაპირ დაჯდა, აქეთ-იქიდან კი ვოსი და ძია იანი დასხდნენ. ქეის სულ გადაავიწყდა ვინსენტი.

ახლა თავისი მეუღლით გაერთო. ლოყები კიდევ უფრო აუელვარდა, ხოლო როცა ვოსმა რაღაც გონებამახვილური თქვა ხმადაბლა, გადაიხარა და ქმარს აკოცა.

მათმა ნაზმა სიყვარულმა შთანთქა ვინსენტი. იმ საბედისწერო კვირა დღის შემდეგ პირველად განუახლდა ურსულას მიერ მიყენებული, მიყუჩებული ტკივილი. განუახლდა და ერთიანად გაუჯდა ტანში. ამ ოჯახური იდილიის ცქერამ აგრძნობინა, რომ რამდენიმე მომქანცველი თვის განმავლობაში მთელი არსებით სწყუროდა სიყვარული და რომ ამ წყურვილის დაოკება არც თუ ისე ადვილი იყო.

3.

უთენია დგებოდა ვინსენტი და ბიბლიას ჩაუჯდებოდა ხოლმე. ხუთი საათისთვის კი, როცა ის-ის იყო მზე ამოსვლას დააპირებდა, ფანჯრიდან გასცქეროდა მუშების გრძელ, მოხრილ, შავ ფიგურებს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ ალაყაფის კარში. ზღვაში პაწია თბომავლები დაცურავდნენ.

ზოიდერზემდე მოვიდოდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. უფრო შორს კი, ყურეს გადაღმა, სოფლის მახლობლად, ზანტად მოძრაობდნენ ყავისფერი აფრები.

როცა მზე მთლად ამოიწვერებოდა და დილის ბურუსიც გაიფანტებოდა, ვინსენტი ფანჯარას შორდებოდა, ისაუზმებდა მარტო პურით და ტოლჩა ლუდით, შემდეგ კი მეცადინეობას შეუდგებოდა და შვიდი საათი თავაუღებლად უჯდა ლათინურსა და ბერძნულს.

ოთხი თუ ხუთი საათის მეცადინეობისაგან თავი უმძიმდებოდა, უხურდა და აზრი ეფანტებოდა. ამდენი წლების მღელვარების შემდეგ უჭირდა მეცადინეობა. ვიდრე თავს უამრავი წესებით გამოიჭედავდა, მენდეს და კოსტასთან წასვლის დროც მოდიოდა. გაუყვებოდა ბუითენკანტს, შემოუვლიდა აუდეზიდის სამლოცველოს, ძველ ეკლესიას, სამხრეთის ეკლესიას; შემდეგ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მიდიოდა; აქ იყო სამჭედლო, საკასრო და ლითოგრაფიული სახელოსნოები.

მენდესი ვინსენტს რუიპერტის დახატულ „იესო ქრისტეს მიბაძვას“ აგონებდა. იგი ებრაელის კლასიკური ტიპი იყო.

ღრმად ჩამჯდარი, შორსმჭვრეტელი თვალები, გამხდარი, ლოყებჩაცვენილი წმინდანის სახე და ძველთაძველი რაბინივით წამახვილებული წვერი ჰქონდა. ვინსენტს ყელში ამოსდიოდა შვიდი საათი ბერძნულ-ლათინურისა და რამდენიმე საათი ჰოლანდიის ისტორიისა და გრამატიკის მეცადინეობა. მენდესთან მხატვრობაზე ლაპარაკი ერჩივნა. ერთხელ მარისის „ნათელღების“ რეპროდუქციაც მიუტანა.

მენდესმა თავისი გაძვალტყავებული, სანთელივით ჩამოქნილი თითებით აიღო „ნათელღება“ და უზარმაზარი ფანჯრიდან შემოსულ შუქს მიუშვირა.

— კარგია, — თქვა ებრაელის ჩახლეჩილი ხმით, — იგრძნობა საყოველთაო რელიგიური სულისკვეთება.

ვინსენტს დაღლილობა გადაავიწყდა. გატაცებით დაიწყო მარისის ხელოვნებაზე ლაპარაკი. მენდესმა შეუმჩნევლად გაიქნია თავი ღირსი სტრიკერი ხომ უზარმაზარ თანხას იმისათვის უხდიდა, რომ ვინსენტს ლათინური და ბერძნული შეესწავლა.

— ვინსენტ, — უთხრა მან წყნარად,- მარისი შესანიშნავია, მაგრამ დრო გადის და სჯობს მეცადინეობას შევუდგეთ, ხომ მართალია?

რაღა ეთქმოდა ვინსენტს. ორ საათში გაკვეთილიც თავდებოდა და ვინსენტი სახლისკენ მიეშურებოდა. გზადაგზა სადურგლოს და გემთმშენებელი სახელოსნოების წინ ჩერდებოდა და მათ მუშაობას უყურებდა. ღვინის სარდაფის კარი ყურთამდე გაეღოთ. შიგ ხალხი შედიოდა სანთლით ხელში და სიბნელეში უჩინარდებოდა.

ძია იანი ერთი კვირით ჰელვორტში გაემგზავრა. ქეიმ და ვოსმა გაიგეს, რომ ვინსენტი მარტო დარჩა უზარმაზარ სახლში, ერთ საღამოს მოაკითხეს და სადილად მიიპატიჟეს.

— ვიდრე ძია იანი დაბრუნდება, ჩვენთან ისადილეთ ხოლმე, — შესთავაზა ქეიმ, — დედამ გთხოვათ კვირასაც, წირვის შემდეგ, სადილზე დაგვეწვიეთო.

ნასადილევს მთელი ოჯახი სათამაშო ქაღალდს ჩაუჯდა.

ვინსენტმა თამაში არ იცოდა. ოთახის ერთ კუთხეში მოხერხებულად მოიკალათა და ავგუსტ გრუზონის „ჯვაროსნობის ისტორიის“ კითხვას შეუდგა. თან ქეის უთვალთვალებდა და მის სწრაფ, გამომწვევ ღიმილს აკვირდებოდა. ქეი ადგა, ვინსენტს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რას კითხულობთ, ვინსენტ?

ვინსენტმა დაუსახელა, რასაც კითხულობდა და თან დაუმატა, ჩემის აზრით, ეს კაცი ტის მარისივით კარგად წერსო.

ქეის გაეღიმა. ვინსენტს სჩვეოდა ასეთი უცნაური ლიტერატურული შედარებები.

— რატომ მაინცდამაინც ტის მარისივით? — შეეკითხა ქეი.

— წაიკითხეთ აი აქ, და ნახეთ, თუ არ მოგაგონებთ ტის მარისის ტილოებს. — ძველი კოშკი კლდეზე, გაყვითლებული ტყეები შეღამებისას, წინა პლანზე კი გადახნული მინდვრები და გლეხი, რომელიც თეთრცხენშებმულ გუთანს ჩასდგომია კვალში.

ვიდრე ქეი კითხულობდა, ვინსენტმა სკამი მიუჩოჩა დასაჯდომად ქეიმ მითითებული ადგილი ჩაიკითხა და ჩაფიქრებული ლურჯი თვალებით შემოხედა ვინსენტს.

— მართალია, ძალიან მიაგავს მარისს. მწერალი და მხატვარი სხვადასხვა საშუალებებით ერთსა და იმავეს გამოხატავენ.

ვინსენტმა წიგნი გამოართვა და ერთ წინადადებას თითი გააყოლა:

— აი ეს კი ზედგამოჭრილი მიშლე ან კარლეილია.

— იცით, ვინსენტ, — უთხრა ქეიმ, — იმ ადამიანის კვალობაზე, რომელსაც ასე ცოტა უსწავლია, საოცრად განვითარებული ხართ. თქვენ ახლაც ბევრს კითხულობთ?

— სიამოვნებით წავიკითხავდი, მაგრამ საშუალება არა მაქვს. უფრო სწორედ, არ მჭირდება, რადგან ეს ყველაფერი სახარებაში სწერია. ეს არის ერთადერთი სრულყოფილი და შესანიშნავი წიგნი.

— ვინსენტ! — წამოიძახა ქეიმ და ფეხზე წამოხტა, — ნუთუ ამას თქვენ ამბობთ?

ვინსენტი გაოცებული შეჰყურებდა.

— ბევრად უფრო კარგი ხართ, როცა ჯვაროსნობის ისტორიაში ტის მარიხს ხედავთ, თუმცა მამა ამბობს, რომ თქვენ ამგვარ საგნებზე ფიქრს უნდა ერიდებოდეთ. მაგრამ მაინც ეს უფრო გიხდებათ, ვიდრე სოფლის ჩერჩეტი მღვდელივით ლაპარაკი.

ვოსი ნელა მიუახლოვდა მათ და უთხრა:

— ქაღალდი დარიგებულია, ქეი.

ქეიმ ერთი კი გახედა ვინსენტის აელვარებულ თვალებს, შემდეგ ქმარს მკლავი გაუყარა და მოთამაშეებს შეუერთდა.

4.

მენდეს და კოსტა ამჩნევდა, რომ ვინსენტს ძალიან მოსწონდა მასთან ცხოვრებისეულ საკითხებზე საუბარი. ამიტომ იყო, რომ კვირაში რამდენჯერმე გაკვეთილების შემდეგ რაიმეს მოიმიზეზებდა და ვინსენტს ქალაქში გაჰყვებოდა. ერთხელ ქალაქის მეტად საინტერესო ნაწილში მიიყვანა თავისი მოსწავლე.

ეს გარეუბანი ლეიდ-პორტიდან ვონდელის პარკის მხარეს რკინიგზის სადგურამდე გადაჭიმულიყო. აქ იყო სახერხაოები და მუშების კოტეჯები, თავისი პაწია ბაღებით. ამ მჭიდროდ დასახლებულ კვარტალში ბლომად ნახავდით პატარ-პატარა არხებს.

— ალბათ ძალიან კარგია, ასეთი უბნის მღვდელი იყო, — თქვა ვინსენტმა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მენდესი, ჩიბუხი თამბაქოთი გატენა და ვინსენტსაც შესთავაზა. — ამათ უფრო მეტად სჭირდებათ ღმერთიც და რელიგიაც, ვიდრე ჩვენ, შედარებით შეძლებულ ხალხს.

პაწაწკინტელა ხის ხიდზე გადავიდნენ, რომელიც ნამდვილი იაპონური ხიდისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ვინსენტი შედგა და მენდესს მიუბრუნდა.

— ამით რისი თქმა გინდათ, მინჰერ?

— აი ამ მუშებს, — მენდესმა მსუბუქად მოატარა ხელი, — აუტანელი ცხოვრება აქვთ. ავად რომ გახდნენ, ექიმის ფულიც არა აქვთ. ხვალინდელ ლუკმაპურს დღევანდელი შრომით შოულობენ, ძალიან მძიმე შრომით. ხომ ხედავთ, რა პატარა და უბადრუკ სახლებში ცხოვრობენ. გაჭირვება და უქონლობა მათი მუდმივი თანამგზავრია. აი ამიტომ მათ ღმერთი სჭირდებათ, რომ ნუგეში სცეს.

ვინსენტმა ჩიბუხს მოუკიდა და ასანთი პატარა არხში გადაისროლა.

— მდიდრებს? — იკითხა ვინსენტმა.

— მდიდრებს ყველაფერი აქვთ, კარგადაც აცვიათ, უზრუნველყოფილი არიან და შავი დღისათვის ფულიც აქვთ გადანახული. მათი წარმოდგენით ღმერთი შეძლებული, მოხუცი დარბაისელია, რომელიც დიდად კმაყოფილია, რომ ასე მშვენივრად მოაწყო დედამიწა.

— ესე იგი, ცოტა არ იყოს, ჩამორჩენილან, — უთხრა ვინსენტმა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მენდესმა. — მე ეს არ მითქვამს.

— არა, ეს მე ვთქვი.

იმ ღამეს ვინსენტმა ბერძნული წიგნები გაიმწკრივა წინ და კედელს მიაშტერდა. გაახსენდა ლონდონის ჯურღმულები, სიღატაკე, უსუფთაობა და გაჭირვება. მოაგონდა, როგორ უნდოდა მაშინ მისიონერობა, რომ იმ ხალხს დახმარებოდა; შემდეგ მისმა წარმოდგენებმა ძია სტრიკერის ეკლესიაზე გადაინაცვლა, სადაც თავს იყრიდა წარჩინებული, განათლებული საზოგადოება, რომლისთვისაც ცხოვრების ყველა სიამოვნება კარგად ცნობილი და ხელმისაწვდომი გახლდათ.

ძია სტრიკერის მართლაც შესანიშნავი ქადაგება ნუგეშის მიმცემი იყო, მაგრამ აბა მათ შორის ვინ იყო ნუგეშსაცემი.

ექვსმა თვემ განვლო, რაც ვინსენტი ამსტერდამში ჩავიდა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ გულმოდგინე მეცადინეობაც კი ვერ დააკმაყოფილებდა, რადგან ეს არ იყო მისი მოთხოვნილება. ენის წიგნები იქით მისწია და ალგებრას შეუდგა.

შუაღამე იყო, როცა ძია იანი შემოვიდა.

— დავინახე, რომ შენთან შუქი ენთო, — უთხრა ვიცეადმირალმა, — დარაჯმა კი მითხრა, დილის 4 საათზე უკვე ეზოში დასეირნობდაო. განა რამდენ საათს მუშაობ დღეღამეში?

— ხან თვრამეტს, ხან კი ოცსაც.

— ოცი საათი?! — ძია იანმა თავი გააქნია. რაღაც უსიამოვნოს მოლოდინი აშკარად გამოეხატა სახეზე. ძნელი იყო ვიცე-ადმირალისათვის შეგუებოდა თუნდაც ფიქრს იმაზე, რომ ვან გოგების გვარშიც გამოერია ერთი ხელმოცარული. — რატომ გჭირდება ამდენი?

— მინდა ყველაფერი მოვასწრო, ძია იან!

ძია იანმა სქელი წარბები შუბლზე აზიდა.

— როგორც არ უნდა იყოს, მე შენს მშობლებს შევპირდი, რომ ყურადღებას არ მოგაკლებდი. ასე რომ, ახლა გამიგონე და დაიძინე. მეტი აღარ ვნახო, ასე გვიანობამდე მეცადინეობდე ვინსენტმა სავარჯიშოები გვერდზე გადასდო. რაში სჭირდება ძილი? ახლა არც სიყვარული უნდა, არც თანაგრძნობა და არც რაიმე სიამოვნება. ახლა მხოლოდ ერთი რამაა საჭირო — ისწავლოს ეს ლათინური და ბერძნული, ალგებრა და გრამატიკა, რომ როგორმე გამოცდები ჩააბაროს და უნივერსიტეტში შევიდეს, რათა მღვდელი გახდეს და ბოლოსდაბოლოს ემსახუროს ღმერთს.

5.

მაისში, ამსტერდამს ჩამოსვლიდან სწორედ ერთი წლის თავზე, ვინსენტი მიხვდა, სწავლისათვის არა ვარ გაჩენილიო.

ეს ჯერ არ იყო დამარცხება, ეს მხოლოდ ვარაუდი იყო და ამიტომ მუდამ, როცა კი მისი გონების ერთი ნაწილი ამას დაუშვებდა, იგი მაშინვე მეორე ნაწილს ატანდა ძალას, რომ ეს ფიქრი გულდადებული შრომით ჩაეხშო.

სამუშაო რომ ძნელი ყოფილიყო და მისი დაძლევის უნარი ვინსენტს არ ჰქონოდა, თავსაც არ შეიწუხებდა. მაგრამ საქმე უფრო სერიოზული იყო. ერთი კითხვა აეკვიატა

და დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა: „უნდოდა თუ არა ყოფილიყო ისეთივე ჭკვიანი, განათლებული მოძღვარი, როგორიც სტრიკერი იყო? რა მოუვიდოდა მის ოცნებას, მომსახურებოდა ღარიბთა და დაუძლურებულთ, თუკი ხუთი წელი კიდევ ბრუნებებსა და ფორმულებზე უნდა ეფიქრა“.

მაისი იწურებოდა. ერთ საღამოს, გაკვეთილების შემდეგ.

ვინსენტმა მენდესს სთხოვა:

— მინჰერ და კოსტა, დრო ხომ არ გექნებათ, რომ ერთად გავისეირნოთ?

მენდესი ამჩნევდა, როგორ ბობოქრობდა ვინსენტის სუ- “ლი და გული; იმასაც გრძნობდა, რომ ყმაწვილს საცაა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

— დიახ, როგორ არა. მე მაინც ვაპირებდი გავლას. წვიმის შემდეგ სუფთა ჰაერია. სასიამოვნოა, თუკი ერთად წავალთ.

მენდესმა შალის თბილი ყელსახვევი რამდენიმეჯერ შემოიხვია ყელზე და შავი, მაღალსაყელოიანი პალტო ჩაიცვა. ქუჩაში გამოვიდნენ. ჩაუარეს სწორედ იმ სინაგოგას, რომელმაც სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შერისხა ბარუჰ სპინოზა. რამდენიმე კვარტალის იქით კი ზესტრადზე რემბრანდტის ძველი სახლი იდგა.

— განკიცხულს სიღარიბეში აღმოხდა სული, — წყნარად თქვა მენდესმა, როცა მხატვრის სახლს ჩაუარეს.

ვინსენტმა ელვის უსწრაფესად შემოხედა. ამ კაცს არაჩვეულებრივი ალღო ჰქონდა სხვისი ფიქრის მიხვედრისა. ადამიანების მიმართ ძალიან მგრძნობიარე იყო. რაც არ უნდა გეთქვა, ყველაფრის არსს სწვდებოდა. ძია იანისა და ძია სტრიკერისათვის თქმული სიტყვები კი კედელზე შეყრილ ცერცვსა ჰგავდა. პასუხსაც მაშინვე მოგცემდნენ: „ჰო“ ან „არა“. მენდესი კი ჯერ კარგად აწონ-დაწონიდა და მხოლოდ შემდეგ გიპასუხებდა.

— უბედური მაინც არ მომკვდარა, — უპასუხა ვინსენტმა.

— არა, — დაეთანხმა მენდესი, — თავისი საფიქრალი ზუსტად გამოხატა და მშვენივრადაც იცოდა თავისი შემოქმედების ფასი. მხოლოდ მან იცოდა ეს.

— მაგრამ განა ეს საკმარისი იყო? იქნებ ცდებოდა? ან იქნებ უსამართლოდ არ დაუგმიათ?

— სხვები რას ფიქრობდნენ, ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. რემბრანდტს არ შეეძლო არ დაეხატა. ცუდად ხატავდა თუ კარგად, არც ეს იყო მთავარი. მთავარია, რომ ხელოვნებამ აქცია იგი ადამიანად. ხელოვნების ღირსება ის არის, რომ ხელოვანს გამოვლენის საშუალება მისცეს. რემბრანდტიც მხოლოდ თავის მოთხოვნილებას ახორციელებდა.

ამითაა იგი მართალი. თუნდაც მის ნახატებს არავითარი ღირებულება არ ჰქონოდა, მაინც ეს სჯობდა, ვიდრე ის, რომ ჩაეხშო თავისი მისწრაფება და ამსტერდამის უმდიდრესი ვაჭარი გამხდარიყო.

— რა თქმა უნდა.

— დღეს კი რემბრანდტის ქმნილებები მთელ კაცობრიობას სიხარულს ანიჭებს, — განაგრძო მენდესმა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, — ეს უკვე თავისთავად ხდება. რემბრანდტმა ბრწყინვალედ დაასრულა თავისი სიცოცხლე, თუმცა საფლავშიაც კი არ ასვენებდნენ. მისი ცხოვრების წიგნი დაიხურა.

მეტად მრავალფეროვანი წიგნი. მისი უტეხი შეუპოვრობა, მიზნის ერთგულება — აი, რა არის მთავარი და არა მისი სურათების ხარისხი.

ისინი შეჩერდნენ და უყურებდნენ, როგორ ეზიდებოდნენ მუშები სილით სავსე ორთვალას. შემდეგ ვიწრო ქუჩებში გავიდნენ, სადაც ბლომად იყო სუროშემოვლებული ბაღები.

— აბა როგორ გაიგოს ახალგაზრდამ, მინჰერ, სწორ გზას ირჩევს ცხოვრებაში თუ არა?! ხომ შეიძლება ეგონოს, ჩემი ცხოვრების მიზანი აი ეს არისო და შემდეგ კი გამოირკვეს, რომ ცდება.

მენდესმა ნიკაპი გაინთავისუფლა პალტოს საყელოდან და შავი თვალები აუელვარდა.

— შეხედეთ, ვინსენტ, — წამოიძახა მან, — ჩამავალი მზე მოწითალო სხივებს როგორ ჰფენს ამ ნაცრისფერ ღრუბლებს.

ნავსადგურს მიადგნენ. დაისის შუქზე გემის ანძები, ძველებური სახლების რიგი და სანაპიროზე ჩამწკრივებული ხეები ირეკლებოდა ზოიდერზეში. მენდესმა ჩიბუხი გატენა და ვინსენტს შესთავაზა.

— მე უკვე ვეწევი, მინჰერ, — უთხრა ვინსენტმა.

— ჰო, რა თქმა უნდა. ფეხით ხომ არ გავყოლოდით ამ სანაპიროს ზებურგამდე? იქ ებრაელების სასაფლაოა, ჩემი წინაპრები განისვენებენ და ცოტა ხანს ჩამოვმჯდარიყავით.

უსიტყვოდ, მეგობრულად მიაბიჯებდნენ ქარი სახეში სცემდათ და თამბაქოს ბოლს ფანტავდა.

— არ შეიძლება, რაიმე განუწყვეტლივ გჯეროდეს, — უთხრა მენდესმა, — მხოლოდ ძალა და გამბედაობაა საჭირო, რომ გააკეთო, რაც სწორად მიგაჩნია, შეიძლება არ იყოს სწორი, მაგრამ გჯეროდა და გააკეთე, აი ეს არის მთავარი. ჩვენ უნდა ვმოქმედებდეთ ისე, როგორც ამას ჩვენი თავი გვკარნახობს, ხოლო კარგია ეს თუ ცუდი, ამის განსჯა ღმერთს მივანდოთ.

თუკი თქვენ, ვინსენტ, ამ წუთას დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მოწოდება ღვთის სამსახურია, მაშინ ამ რწმენას უნდა უშიშრად ენდოთ, რომ მან მომავლის გზა გაგიკვლიოთ, — იქნებ ჯერ არა ვარ ამისათვის მზად?

— რისთვის, ღვთის სამსახურად? — მენდესმა მორიდებულად გაუღიმა.

— არა, მე ვგულისხმობ, ისეთი განსწავლული არ ვარ-მეთქი, როგორც უნივერსიტეტდამთავრებულნი.

მენდესს სულაც არ უნდოდა ვინსენტისათვის რაიმე გარკვეული რჩევა მიეცა. მას მხოლოდ ის სურდა, რომ საერთოდ ესაუბრათ ამ საკითხზე და საშუალება მიეცა, თვითონვე გადაეწყვიტა ამასობაში ებრაელთა სასაფლაოსაც მიადგნენ. ეს იყო ღარიბული სასაფლაო, სადა, ებრაულად წარწერილი საფლავის ქვებით სავსე. აქ მხოლოდ ანწლის ბუჩქები ხარობდა და მაღალი, ხშირი ბალახი იზრდებოდა. და კოსტას ოჯახისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მახლობლად ქვის სკამი იდგა. ზედ ჩამოსხდნენ. ვინსენტმა ჩიბუხი გვერდზე გადასდო, სასაფლაოზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო და სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— ყოველ ადამიანს თავისებური, სხვისაგან განსხვავებული ხასიათი აქვს, — უთხრა მენდესმა, ისე რომ თვალი არ მოუშორებია ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარე დედისა და მამის საფლავებისთვის, — და თუ შესძლებ შეიცნო თავი შენი, რასაც არ მოეკიდები, ყველაფერი კარგად დამთავრდება. სურათებით მოვაჭრე რომ დარჩენილიყავი, სწორედ შენი თავისებურება, რაც სხვისაგან განსხვავებს, კარგ

მოვაჭრედ გაგხდიდა. სწავლაც ასეა. ოდესმე შესძლებ შენი თავი მთლიანად გამოავლინო, მიუხედავად იმისა, რა გზას დაადგები.

— მაშინაც, თუ ამსტერდამიდან წავალ და პროფესიულ მღვდლობაზე უარს ვიტყვი?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება დაბრუნდე ლონდონში, როგორც მქადაგებელი, ან გამყიდველად იმუშავებ, ან სულაც ბრაბანტში მიწის მუშა გახდები. რასაც ხელს მოჰკიდებ, ვინსენტ, ყველაფერს პირნათლად გააკეთებ. მე უკვე კარგად გაგიცანი და ვიცი, რომ ნამდვილ ადამიანთან მაქვს საქმე. შეიძლება ცხოვრებაში ბევრჯერ გეგონოს ვცდებიო, მაგრამ როცა გჯერა, აუცილებლად მიაღწევ სრულყოფას და ეს გაამართლებს მთელ შენს ცხოვრებას.

— გმადლობთ, მინჰერ და კოსტა. თქვენი ყოველი სიტყვა ძვირფასია ჩემთვის.

მენდესს შეაჟრჟოლა. ქვის სკამი ცივი იყო. მზეც ახლახანს ზღვამ ჩაყლაპა. და კოსტა ფეხზე წამოდგა და ხომ არ წავიდეთო, ვინსენტს ჰკითხა.

6.

მეორე დღეს, როცა საღამოს ბინდი ჩამოწვა, ვინსენტი ფანჯრიდან გასცქეროდა ეზოს. მაღალი ალვების ხეივანი კოხტად გამოკვეთილიყო ნაცრისფერი ცის ფონზე.

„თუკი სწავლა არ მეხერხება, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამქვეყნად ფუჭი ადამიანი ვარ?“ — ფიქრობდა ვინსენტი. — ბოლოსდაბოლოს, განა ბერძნული და ლათინურია საჭირო, რომ ხალხის სიყვარული შევძლო?

ქვემოთ, ეზოში, ძია იანი დასეირნობდა. შორს, დოკებში მდგარი გემების ანძები მოჩანდა, მათ წინ კი წითელი და რუხი მონიტორებით გარშემორტყმული, კუპრივით შავი გემი „ატიე“.

ვინსენტს ღვთის სამსახური უნდოდა და არა წრეებისა და სამკუთხედების ხაზვა. „არ მინდა დიდ ეკლესიაში ბრწყინვალე ქადაგება, მე ღარიბებსა და გაჭირვებულებს ვეკუთვნი; ახლა და არა ხუთი წლის შემდეგ!“

საყვირის ხმა გაისმა და მუშების ტალღა მიაწყდა ალაყაფის კარს. მეფარნემ ნავსაშენის ეზო გაანათა. ვინსენტი ფანჯარას მოშორდა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ მამამისმა, ძია იანმა და ძია სტრიკერმა ბევრი ფული დაახარჯეს და თუ ახლა სწავლას თავს მიანებებდა, ამ ფულს წყალში გადაყრილად ჩათვლიდნენ.

ძალღონეს არ იშურებდა, მაგრამ დღეღამეში ოც საათზე მეტი მუშაობა არ შეეძლო. ცხადია, სწავლა მისი საქმე არ იყო, თანაც მეტისმეტად გვიან მოეკიდა. აი ხვალვე რომ წასულიყო ხალხის სამსახურად, განა ეს მარცხი იქნებოდა? თუკი ავადმყოფს მოარჩენს, სასოწარკვეთილს ანუგეშებს, ცოდვილს ტანჯვას შეუმსუბუქებს, ესეც მარცხი იქნება?

შინაურები მაინც ხელმოცარულად ჩათვლიან. ეტყვიან, უიღბლო, უღირსი და უმადური, ოჯახის შემარცხვენელი ხარო.

ხომ უთხრა მენდესმა: „რასაც ხულს მოჰკიდებ, პირნათლად გააკეთებ; როცა იქნება, მიაღწევ სრულყოფას და ეს გაამართლებს მთელ შენს ცხოვრებას“.

შორსმჭვრეტელმა ქეიმაც გაოცებულმა შენიშნა მასში გონებადახშული მღვდლის ნიშნები. დიახ, სწორედ ეს მოელოდა, ამსტერდამში რომ დარჩენილიყო. აქ მისი ნამდვილი მოწოდება დღითიდღე ქრებოდა. ვინსენტმა იცოდა, სად იყო მისი ადგილი,

მენდესმა კი მხნეობა შეჰმატა. ოჯახი შეაჩვენებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუკი ღმერთს გინდა ემსახურო, შენ თავზე არ უნდა იფიქრო ამდენი. თავისი ავლადიდება მოკრიბა და იქაურობას ისე გაეცალა, არავის გამომშვიდობებია.

7.

ბელგიის ევანგელური კომიტეტი, რომლის წევრები იყვნენ ღირსი მამა ვან დე ბრინკი, დე იონგი და პიტერსენი, ახალი სასწავლებლის გახსნას აპირებდა. იქ მოსახვედრად საკმარისი იყო ბინისა და კვებისათვის უმნიშვნელო თანხის შეტანა. ვინსენტმა სწორედ ამ კომიტეტს მიმართა და კიდეც მიიღეს მოსწავლედ.

— სამი თვის მომზადების შემდეგ, — უთხრა ღირსმა მამა პიტერსენმა, — სადმე ბელგიაში დაგნიშნავთ.

— თუკი საკმარისად მოემზადება, — პირქუშად მიუბრუნდა დე იონგი პიტერსენს. ახალგაზრდობაში დე იონგი ქარხანაში მუშაობდა, სადაც მან ცერი დაჰკარგა. სწორედ ამან დააყენა თეოლოგიის გზაზე.

— ევანგელისტს, მუსიე ვან გოგ, ევალება, — უთხრა ვან დე ბრიკმა, — შეეძლოს ხალხს გასაგებად და საინტერესოდ ელაპარაკოს.

ეკლესიიდან გამოსვლისას პიტერსენი გამოჰყვა ვინსენტს და მკლავი გაუყარა. ბრიუსელის კაშკაშა მზე ანათებდა.

— მიხარია, რომ ჩვენთან მოხვედით, — უთხრა მან, — ბელგიაში ბევრი დიდი და საინტერესო სამუშაოა გასაკეთებელი. თქვენი ახალგაზრდული ენერგია საშუალებას მოგცემთ მშვენივრად გაუძღვეთ საქმეს.

ვინსენტს ვერ გაეგო, რამ უფრო გაახურა, მცხუნვარე მზემ თუ ამ კაცის მოულოდნელმა გულკეთილობამ ვიწრო ქუჩით მიდიოდნენ. ქუჩის ორივე მხარეს ექვსსართულიანი ქვის სახლები იდგა. ვინსენტი სიტყვებს ეძებდა.

პიტერსენი შედგა.

— აქ უნდა შევუხვიო, — უთხრა მან, — აი, ჩემი სადარბაზო ბარათი, თავისუფალ საღამოს შემომიარეთ ხოლმე. თქვენთან საუბარი სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

სასწავლებელში ვინსენტის ჩათვლით სამი მოსწავლე იყო.

ისინი მასწავლებელ — ბოკმეს ჩააბარეს. ეს იყო დაბალი, ჩასკვნილი კაცი, საოცრად შეზნექილი სახით — წარბებიდან ნიკაპამდე სწორი ხაზი რომ გაგევლოთ, არც ცხვირს შეეხებოდით და არც ტუჩებს.

ვინსენტის ამხანაგები ცხრამეტი წლის სოფლელი ბიჭები იყვნენ. ორივე თავიდანვე შეეწყო ერთმანეთს და ვინსენტი დაცინვის საგნად გაიხადეს.

— ჩემი მიზანია, — უთხრა ერთ-ერთს ვინსენტმა ადრე, როცა მათში ჯერ ეჭვიც არ ეპარებოდა, — ჩემს თავში ჩავიკეტო „mourir à moi-même“ (*ჩემს არსებაში ჩავკვდე — ფრ.), — და ამის შემდეგ, როგორც კი დაინახავდნენ, რომ ვინსენტი თავს აკლავს ფრანგულს ან თავგამოდებით სწავლობს რომელიმე სხვა საგანს, მაშინვე მიაძახებდნენ: „რას შვრები, ვან გოგ, გინდა საკუთარ არსებაში ჩაკვდე?“

ბოკმესთან კი ვინსენტს მართლაც უჭირდა. მასწავლებელი ცდილობდა ბიჭებისათვის მოუმზადებლად ლაპარაკის უნარი განევითარებინა. ყოველ საღამოს

მოსწავლეებს ქადაგება უნდა შეეთხზათ, რომელსაც მეორე დღეს კლასს წაუკითხავდნენ.

ვინსენტის ამხანაგები მარტივ, გაბედულ ტექსტს თხზავდნენ და შემდეგ მკვირცხლად ყვებოდნენ ზეპირად. ვინსენტი კი დინჯად მუშაობდა, თითოეულ სიტყვას გულდაგულ არჩევდა, სათქმელს მთელი არსებით გრძნობდა, მაგრამ როცა საპასუხოდ ადგებოდა, ენა ერთმეოდა.

— თქვენ მქადაგებელი როგორ გახდებით, ვან გოგ, — განუცხადა ბოკმემ, — ენის მობრუნება გიჭირთ, აბა, ვინ დაგიგდებთ ყურს?

ბოკმეს გააფთრება მაშინ გენახათ, როცა ვინსენტმა ექსპრომტად ქადაგების წაკითხვაზე გადაჭრით განაცხადა უარი.

გვიან ღამემდე დიდი ჯაფა დაადგა, რომ როგორმე თავისი ქადაგებისათვის ღრმა აზრი მიეცა; ეძებდა სულში ჩამწვდომ, ზუსტ სიტყვებს ფრანგულ ენაში, მეორე დღეს კი იმ ბიჭებმა ისე უბრალოდ და ადვილად ილაპარაკეს იესო ქრისტეზე, ხსნაზე, რომ რვეულებში ერთი-ორჯერ თუ ჩაიხედეს. ბოკმეც კმაყოფილი თავს უქნევდა. ვინსენტის ჯერი რომ დადგა, მან რვეული გადაშალა და კითხვას შეუდგა. ბოკმემ მოსმენაც არ ინება.

— ეს გასწავლეს ამსტერდამში, ვან გოგ! არც ერთი ჩემი მოსწავლე ჯერ ისე არ წასულა ჩემგან, რომ საჭიროების შემთხვევაში ექსპრომტად ლაპარაკი გასჭირვებოდა და ღრმა შთაბეჭდილება არ მოეხდინა მსმენელებზე.

ვინსენტი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა და ვერ მოიგონა რა თანმიმდევრობით დააწყო გუშინ აზრები ქაღალდზე. ამხანაგები მოურიდებლად ხარხარებდნენ, ბოკმეც მათთან ერთად იცინოდა. ჯერ კიდევ ამსტერდამში გატარებულმა წელიწადმა ცუდად იმოქმედა ვინსენტის ნერვიულ სისტემაზე.

— master (*მასწავლებელო — ინგლ.) ბოკმე, მე ვილაპარაკებ ისე, როგორც ამას საჭიროდ ვთვლი, ის, რაც მე დავწერე, უდავოდ კარგია, ნებას არ მოგცემთ მასხარად ამიგდოთ!

ბოკმემ წონასწორობა დაკარგა.

— თქვენ გააკეთებთ იმას, რასაც მე გიბრძანებთ, — დაიყვირა მან, — თუ არადა კლასს დატოვებთ!

აქედან მოკიდებული მოსისხლე მტრებად იქცნენ. ვინსენტი ოთხჯერ მეტ ქადაგებას წერდა, ვიდრე საჭირო იყო. ღამეებს თეთრად ათენებდა. ლოგინში წოლას მაინც აზრი არ ჰქონდა, მადა სრულიად დაეკარგა, გაძვალტყავდა და ნერვიული გახდა.

— ნოემბერში ვინსენტი კომიტეტში გამოიძახეს, სადაც მისი სამუშაოდ დანიშვნა უნდა გადაწყვეტილიყო. როგორც იქნა, დაძლია გზის სიძნელე და, მიუხედავად დაღლილობისა, კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. როცა დანიშნულ ადგილას მივიდა, ორივე ამხანაგი უკვე იქ დახვდა. ვინსენტი ეკლესიაში შევიდა. პიტერსენმა მზერა აარიდა. სამაგიეროდ ბოკმემ გადმოხედა და თვალები გადაუბრიალა.

ღირსმა მამა დე იონგმა ვინსენტის ამხანაგებს წარმატებით დამთავრება მიულოცა და დანიშვნის ბრძანება გადასცა.

ერთი ჰოჰსტრატში გაემწესებინათ, მეორე კი — ეთიეჰოვში, ხელიხელგაყრილნი ერთად გავიდნენ გარეთ.

— მუსიე ვან გოგ! — მიმართა- დე-იონგმა, — კომიტეტს ეჭვი ეპარება, რომ თქვენ მზად ხართ ღვთის სამსახურად, ვწუხვარ, მაგრამ უნდა გითხრათ თქვენ ვერსად

დაგნიშნავთ წუთიერი სიჩუმის შემდეგ, რომელიც ძალიან ხანგრძლივი მოეჩვენა, ვინსენტმა, როგორც იქნა, იკითხა:

— განა ცუდად ვმუშაობდი?

— თქვენ უარი თქვით უფროსს დამორჩილებოდით, ჩვენი ეკლესიის პირველი კანონი კი უფროსისადმი მორჩილებას მოითხოვს. შემდეგ, თქვენ ვერ შესძელით გესწავლათ ექსპრომტად ლაპარაკი. თქვენი მასწავლებელი თვლის, რომ თქვენ სათანადო მომზადება არა გაქვთ და აბა როგორ შეგვიძლია სადმე გაგამწესოთ.

ვინსენტმა პიტერსენისაკენ გაიხედა. მაგრამ იგი ფანჯარაში იყურებოდა.

— აბა რა უნდა ვქნა? — იკითხა ვინსენტმა უმისამართოდ, — შეგიძლიათ სკოლაში კიდევ ექვს თვეს დაჰყოთ, თუკი გსურთ, — უპასუხა ვან დე ბრიკმა, — იქნებ ამასობაში...

ვინსენტმა თავის უხეშ, სქელცხვირიან ფეხსაცმელებს დახედა. ახლაღა შეამჩნია, რომ ტყავი სულ დამსკდარიყო. შემდეგ, რაკი პასუხი ვერ მოძებნა, მიტრიალდა და უხმოდ გავიდა გარეთ.

სწრაფად გაიარა ქალაქის ქუჩები. მალე ლააკენში აღმოჩნდა. არ იცოდა, საით მიდიოდა, სახელოსნოების ხმაურს სანაპირო გამოეცოცხლებინა. მალე სახლები უკან მოიტოვა და ტრიალ მინდორზე გავიდა. აქ ერთი თეთრი ცხენი იდგა, გამხდარი, ილაჯგაწყვეტილი, მძიმე შრომისაგან სიკვდილის პირას მისული. მინდორი მეტად წყნარი და უკაცური იყო. მიწაზე ცხენის თავის ქალა ეგდო, უფრო შორს კი მთლიანი ჩონჩხი მოჩანდა იმ ქოხის გვერდით, სადაც ცხენებს ატყავებდნენ.

ამ სურათს ენაჩავარდნილი შეჰყურებდა ვინსენტი. შემდეგ ნელ-ნელა გონს მოეგო, სევდამორეულმა ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. თამბაქო უჩვეულოდ მწარე ეჩვენა.

იქვე ძელზე ჩამოჯდა. ბებერი თეთრი ცხენი მიუახლოვდა და თავი გაუხახუნა ზურგზე. ვინსენტი შემობრუნდა და ცხენს დაღლილ კისერზე ხელი მოუთათუნა.

მალე ღმერთი გაახსენდა და ნუგეში მიეცა.

იესო ქრისტე ქარიშხალსაც მშვიდად ხვდებოდა, — გაიფიქრა გუნებაში, — მე მარტო არა ვარ, რადგან ჩემთან არს ღმერთი. მოვა დრო და იქნებ მეც შევძლო მას ვემსახურო.

სახლში რომ დაბრუნდა, იქ ღირსი მამა პიტერსენი დაუხვდა.

— მოვედი, რომ სადილად მიგიპატიჟოთ, ვინსენტ, — უთხრა მან. ქუჩაში გამოვიდნენ. ქუჩები მუშებით იყო სავსე, რომლებიც სახლებში სავახშმოდ მიეშურებოდნენ. პიტერსენი ჩვეულებრივად საუბრობდა, ვითომდაც აქ არაფერიაო. ვინსენტი დიდი ინტერესით უგდებდა ყურს. პიტერსენმა იგი მისაღებ ოთახში შეიყვანა. ეს ოთახი მას მხატვრის სახელოსნოდ ექცია.

კედელზე რამდენიმე აკვარელი ეკიდა. კუთხეში მოლბერტიც იდგა.

— თქვენ ხატავთ?! — წამოიძახა ვინსენტმა, — არ ვიცოდი:

პიტერსენი შეცბა:

— მე მხოლოდ მოყვარული ვარ, — უპასუხა მან, — თავისუფალ დროს გულს ვაყოლებ ხოლმე. ოღონდ ჩემს კოლეგებს ნუ ეტყვით ამას.

სადილად დასხდნენ. პიტერსენს თხუთმეტი წლის მორცხვი, მოკრძალებული გოგონა ჰყავდა, რომელსაც სადილის დროს თეფშიდან ერთხელაც არ აუღია თვალი. პიტერსენი კი კვლავ რაღაც უმნიშვნელო ამბებზე ელაპარაკებოდა ვინსენტი.

ზრდილობის გულისთვის ცდილობდა რაიმე ეჭამა. უეცრად ჩახვდა, რას ეუბნებოდა პიტერსენი, ვერც კი გაეგო, როდის გადავიდა იგი ამ თემაზე.

— ბორინაჟი, — ამბობდა იგი, მემაღაროელთა დასახლებაა. მთელ რაიონში კაცს ვერ ნახავთ, რომ მაღაროში არ მუშაობდეს. სამუშაო ძალიან საშიშია, ხელფასი კი ძლივს ჰყოფნით, რომ სული არ გასძვრეთ. ქოხები თავზე ენგრევათ; ასეთ პირობებში ცხოვრობს მათი ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი, ავადმყოფი და წელიწადის უმეტეს დროს სიცივისაგან აკანკალებული.

ვინსენტი გაოცებული იყო, ნეტა რაზე მიყვება ამასო.

— სად არის ეგ ბორინაჟი? — იკითხა ბოლოს.

— ბელგიის სამხრეთ ნაწილში, მონსის მახლობლად, მე ახლახან ვიყავი იქ და თუკი ხალხს სადმე სჭირდება კაცი, რომელიც მათ ღმერთის სახელით ნუგეშს სცემს — ეს ნამდვილად ბორინაჟია.

— ვინსენტს სუნთქვა შეეკრა, ლუკმა ყელში გაეჩხირა. ჩანგალი დადო. რატომ პირდაპირ არ ეუბნება პიტერსენი, რასაც ფიქრობს?

— ვინსენტ, — უთხრა მან. — რატომ არ უნდა წახვიდეთ ბორინაჟში? თქვენი ენერგიისა და ენთუზიაზმის პატრონი ბევრ სასარგებლოს გააკეთებს იქ.

— როგორ? კომიტეტმა ხომ...

— ვიცი ვიცი. მე მივწერე მამათქვენს და ავუხსენი მდგომარეობა. ამ საღამოს პასუხიც მივიღე. გპირდებათ, რომ ბორინაჟში ცხოვრების სახსარს არ მოგაკლებთ, ვიდრე მე მოვახერხებ თქვენი ოფიციალურად დანიშვნის ბრძანების მიღებას.

ვინსენტი ფეხზე წამოხტა.

— თქვენ მე დანიშვნას მომიხერხებთ?

— დიახ, მაგრამ ცოტა უნდა მადროვოთ, ვინსენტ. როცა კომიტეტი დაინახავს, რომ თქვენი მუშაობა ნამდვილად ნაყოფიერია, უეჭველად მოლბება. თუ ესეც არ გამოვა, მაშინ... დე იონგსა და ვან დე ბრინკს ამ დღეებში დავჭირდები და მომადგებიან, მეც სამაგიეროდ... იმ საცოდავებს, იქ, თქვენისთანა ადამიანი სჭირდებათ, ვინსენტ! და ღმერთმა ხომ უწყის, რომ სულერთია როგორ მოხერხდება, ოღონდ კი თქვენ იქ მოხვდეთ.

8.

როგორც კი მატარებელი სამხრეთს მიუახლოვდა, ჰორიზონტზე მაშინვე წამოიმართა მთები. ვინსენტს სიამოვნებდა და შვებას გვრიდა მათი ცქერა იმ მოსაბეზრებელი და ხელის გულივით მოსწორებული ფლანდრიის მერე. მალე შეამჩნია, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი მთები. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განცალკევებით აღმართულიყო სრულიად სწორ ადგილას, თითქოსდა მიწიდან ამომძვრალანო.

— შავი ეგვიპტე, — ბუტბუტებდა ვინსენტი და ფანჯრიდან გასცქეროდა ფანტასტიკური პირამიდების გრძელ ზოლს.

შემდეგ თავის თანამგზავრს მიუბრუნდა:

— ხომ არ იცით, საიდან გაჩნდა. აქ ეს მთები?

— როგორ არა, — უპასუხა უცნობმა, — ეს ტერილის მთებია — იმ უვარგისი ქანების, რომლებიც ქვანახშირთან ერთად ამოაქვთ მიწის სიღრმიდან. ხედავთ იმ პაწაწკინტელა ურიკას, მთის წვერს რომ უახლოვდება? აბა ცოტა ხანს დააკვირდით!

ამის თქმა ძლივს მოასწრო უცნობმა, რომ ის ურიკა მაშინვე გვერდზე გადაპირქვავდა და მთის ფერდობზე შავი ღრუბელი დაუშვა.

— ხედავთ? — მიმართა ვინსენტს იმ კაცმა, — აი, როგორ იზრდება ეს მთები. ორმოცდაათი წელია ყოველდღე ვუყურებ, როგორ შეუმჩნევლად მიიწევენ ცისკენ.

ვამში მატარებელი გაჩერდა და ვინსენტი ჩამოხტა. ქალაქი ვაკე ადგილას იყო გაშენებული. უსიცოცხლო მზე ალმაცერად ანათებდა. ქვანახშირის მტვრით შეზავებული ჰაერი აწვა არემარეს, გამომწვარი აგურით ნაგები გამჭვარტლული სახლები მთის ფერდობს ორ დაკლაკნილ რიგად მიჰყვებოდნენ, მაგრამ მთის წვერამდე აგურის სახლები თავდებოდა და მცირე ვამი იწყებოდა.

ვინსენტი ფერდობს შეუდგა, თან უკვირდა, რა უკაცურია აქაურობაო. კაცის ჭაჭანებაც არ იყო, ოღონდ სახლის კარებში თვალებამოღამებული ქალები მოჩანდნენ!

მცირე ვამი მემაღაროეთა დასახლება იყო. აქ ერთადერთი აგურის სახლი მეფუნთუშე ჟან ბატისტ დენის ეკუთვნოდა, სახლი ზედ გორაკის კორტოხზე იდგა. ვინსენტმაც მისკენ აიღო გეზი, რადგან დენიმ მისწერა პიტერსენს, ახალ მქადაგებელს ბინად ჩემთან მივიღებო.

მადამ დენი გულთბილად შეხვდა ვინსენტს, თბილ სამზარეულოში შეუძღვა, სადაც გაფუებული პურის სურნელი ტრიალებდა, და მისთვის განკუთვნილ ოთახში აიყვანა. ეს იყო პატარა ოთახი ზედ სხვენზე. ფანჯარა მცირე ვამის ქუჩას გადაჰყურებდა, უკანა კედლიდან ნივნივი დაშვებულიყო. აქ ყველაფერს მადამ დენის ძლიერი, გამრჯე ხელი ეტყობოდა; ვინსენტი იმდენად აღელვებული იყო, რომ ბარგის გახსნაც ვერ მოეხერხებინა. ხის კიბეებით სამზარეულოში ჩაირბინა და მადამ დენის დაუბარა, ცოტას გავივლიო.

— ჩვენ ხუთ საათზე ვვახშმობთ, — გააფრთხილა მადამ დენიმ, — არ დაიგვიანოთ.

ვინსენტს მოეწონა მადამ დენი. გრძნობდა, რომ ეს ქალი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ არ ცდილობენ არავის განსჯას.

— მოვალ, მადამ დენი, მხოლოდ ცოტას გავივლი, აქაურობას დავათვალიერებ.

— ამაღამ ჩვენთან ერთი მეგობარი კაცი მოვა; იგი მარკასის დაწინაურებული მუშაა და თქვენი მომავალი საქმიანობისათვის ბევრი საინტერესო რამის თქმა შეუძლია.

თოვლი ბარდნიდა. ვინსენტი გზას გაუყვა. ბაღებს და მინდვრებს ეკლიანი მესერი ერტყა, რომელიც ერთიანად გაეშავებინა მაღაროებიდან ამოსულ კვამლს. დენის სახლის დასავლეთით, ღრმა ხევში, თავმოყრილი იყო მაღაროელთა სახლების უმეტესობა. მეორე მხარეს კი თვალუწვდენელი მინდორი გადაშლილიყო ზედ აღმართული ტერილის შავი მთებითა და მარკასის მაღაროს საკვამურებით. ამ მაღაროში მუშაობდნენ მცირე ვამის მცხოვრებნი. მინდორს შარაგზა გასდევდა, რომელზეც ეკლიანი ბუჩქები იზრდებოდა და ძირფესვიანად ამოძირკული, დაგრეხილი ხეები ეყარა.

მარკასის მაღარო ერთ-ერთი იმ შვიდთაგანი იყო, რომელიც კომპანია „შარბონაჟ ბელჟიკს“ ეკუთვნოდა. იგი მთელ ბორინაჟში უძველესი და ყველაზე სახიფათო იყო.

ცუდი სახელი ჰქონდა ამ მაღაროს გავარდნილი, რადგან ბევრი მუშა შეიწირა — ვინ ჩასვლა-ამოსვლის დროს გამოეთხოვა სიცოცხლეს, ვინ მომწამვლელმა გაზმა დაახრჩო, ზოგი აფეთქებისას დაიღუპა, ან მოვარდნილმა წყალმა წაიღო, ანდა ძველი გვირაბების ნანგრევებში ჩაიმარხა. მიწის ზემოთ ორი აგურის შენობა იდგა, სადაც მექანიზებულად ხდებოდა ქვანახშირის ამოტანა, დახარისხება და ურიკებში ჩაყრა. ოდესღაც ყვითელი აგურით აშენებული საკვამურებიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში ამოდიოდა მურა კვამლი და არემარეს ეფინებოდა. მარკასის გარშემო იდგა მაღაროელთა უბადრუკი ქოხები და რამდენიმე გამხმარი, გამჭვარტლული ხე; აქვე მოჩანდა ეკლიანი მესრები, ნაკელის, ნაგვისა და გამოუსადეგარი ნახშირის გროვები. ყველაფერს ამას თავზე წამოჰყუდებოდა ტერილის შავი მთები. სევდის აღმძვრელი, უსიცოცხლო ადგილი იყო. ვინსენტს თავიდანვე უსიხარულო და ყველასაგან მიტოვებული ეჩვენა აქაურობა.

— არც არის საკვირველი, რომ შავ ქვეყანას უძახიან, — ბუტბუტებდა თავისთვის.

მალე ალაყაფის კარიდან მაღაროელებმა იწყეს დენა. ტანზე უხეში, ნაფლეთებად ქცეული სამოსი ეცვათ, თავზე ტყავის ქუდები ეხურათ. ქალების მორთულობაც ზუსტად ისეთი იყო, როგორც კაცებისა. ყველანი საკვამურის მწმენდელებივით იყვნენ გაშავებული. თვალები თეთრად უელავდათ შემურულ სახეებზე. ტყუილად კი არ უძახდნენ მათ პირგამურულებს.

ამ ხალხს ჩამავალი მზის შუქიც კი თვალს სჭრიდა, რადგან იმ ჯურღმულებში გათენებამდე ეშვებოდნენ. ნახევრადდაბრმავებულები ძლივს მილასლასებდნენ და თან სწრაფ, გაურკვეველ დიალექტზე საუბრობდნენ. მაღაროელები ჩია ტანისა იყვნენ, ვიწრო, მოხრილი მხრები და გაწვრილებული ხელფეხი ჰქონდათ.

ვინსენტი ახლა მიხვდა, თუ რატომ მოეჩვენა სოფელი უკაცრიელი. სინამდვილეში მცირე ვამი ხევში გაშენებული ქოხ-მახების გროვა კი არ იყო, არამედ ლაბირინთების ქალაქი, მიწის ქვეშ შვიდასი მეტრის სიღრმეზე გაშენებული, სადაც აქაურები სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ჯაფაში ატარებდნენ.

9.

ჟაკ ვერნეიმ თავისით გაიკაფა გზა, — უთხრა ვახშმობისას მადამ დენიმ ვინსენტს, — მაგრამ მაღაროელთა მეგობარი დარჩა.

— განა, ვინც ხალხში გადის, მუშებთან აღარ მეგობრობს?

— არა, მუსიე ვინსენტ, ასე არ ხდება. როგორც კი მცირე ვამიდან ვამში გადადიან, მაშინვე ყველაფერს სხვა თვალით უყურებენ. ფულს დახარბებულნი კაპიტალისტებს უჭერენ მხარს და ივიწყებენ, რომ ერთ დროს ისინიც უბრალო მაღაროელები იყვნენ. ჟაკი კი გულალალი და სინდისიერი კაცია. გაფიცვისას მხოლოდ მისი სჯერათ მაღაროელებს. სხვას ყურსაც არავის ათხოვებენ. საწყალს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

— რატომ, რა მოუვიდა? — დაინტერესდა ვინსენტი.

— ჩვეულებრივი ამბავია, — ფილტვები! ყველა მაღაროელს ეს დღე მოელის. ალბათ ამ გაზაფხულამდე ვეღარ მიაღწევს.

მალე ჟაკ ვერნეიც მოვიდა. ბორინაჟელებივით ისიც დაბალი, მხრებში მოხრილი, მელოტი კაცი იყო. ჩაცვივნული, სევდიანი თვალები ჰქონდა. წარბები გაფარჩხოდა,

ყურებიდან და ნესტოებიდან ბეწვები გამოსჩროდა. რომ გაიგო, ვინსენტი მქადაგებელია და აქ მაღაროელთა ნუგეშად ჩამოვიდაო, ღრმად ამოიოხრა.

— ეჰ, მონსინიორ! რამდენი ვინმე შეეცადა მოგვხმარებოდა, ჩვენს ცხოვრებას კი არა ეშველა რა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ცხოვრების პირობებია ცუდი? — შეეკითხა ვინსენტი.

ჟაკი წუთით ჩაფიქრდა:

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, არა. დედამ ცოტაოდენი კითხვა მასწავლა და ამის გამო დამაწინაურეს. მე პატარა აგურის სახლიც მაქვს ვამის გზაზე. არც საჭმელი გვაკლია. ჩემდა თავად საყვედური არ მეთქმის...

ძლიერმა ხველამ სიტყვა გაუწყვიტა. ვინსენტს ეგონა, ეს დალეული გულ-მკერდი საცაა გაუსკდებაო. ჟაკი რამდენჯერმე მივიდა კართან და ქუჩაში გადააფურთხა. შემდეგ უკანვე შემობრუნდა გამთბარ სამზარეულოში და აუჩქარებლად შეუდგა ყურებიდან, ცხვირიდან და წარბებიდან ბეწვების პუტვას.

— წარმოიდგინეთ, ოცდაცხრა წლის ვიყავი, რომ დამაწინაურეს და ფილტვები უკვე აღარ მივარგა. მიუხედავად ამისა, ამ ბოლო წლებში ჩემი ცხოვრება, ცოტა არ იყოს, შემსუბუქდა, სხვა მაღაროელები კი...

ჟაკმა მადამ დენის გადახედა და ჰკითხა:

— რას მირჩევთ, ჩავიყვანო ქვემოთ, ანრი დეკრუკთან?, — რატომაც არა. ყველაფერს თავისი თვალით ნახავს. — ჟაკი ვინსენტს მიუბრუნდა და მობოდიშებით უთხრა:

— რაც არ უნდა იყოს, მე ზედამხედველი ვარ და მევალება „მათ მიმართ“ პატივისცემა მქონდეს. აი, ანრი კი ყველაფერს გეტყვით.

ჟაკი ხევისაკენ გაუძღვა ვინსენტს. ცივი ღამე იყო. მაღაროელთა ერთოთახიანი ხის უბადრუკი ქოხები ყოველგვარი გეგმის გარეშე აეშენებინათ. ციცაბო მთის ფერდობს გაბნეულად მიჰკროდნენ და ისეთ ჭუჭყიან ლაბირინთებს ქმნიდნენ, რომ უცხო კაცი გზას ვერ გაიკვლევდა. ვინსენტი დიდის გაჭირვებით მისდევდა ჟაკს და წარამარა ქვებზე, მორებზე თუ სიბინძურის გროვებზე ეცემოდა, დეკრუკის ქოხი ფერდობის შუაგულში იდგა. უკანა, პაწაწინა ფანჯრიდან სინათლე გამოკრთოდა. დაუკაკუნეს. კარი მადამ დეკრუკმა გააღო.

დეკრუკის ქოხი არაფრით განირჩეოდა სხვა მაღაროელთა ქოხებისაგან. ხავსით გადახურულ სახლს იატაკი მიწის ჰქონდა. ქარისაგან დასაცავად კედლის ჭუჭრუტანები ტილოს ჩვრებით დაეგმანათ, აქეთ-იქით კუთხეებში საწოლები იდგა. ერთ საწოლზე სამ ბავშვს ერთად ეძინა, ოთახის ავეჯს შეადგენდა ოვალური ღუმელი, ხის მაგიდა, სკამძელი, ერთი სკამი და კედელზე მიკრული ყუთი, რომელშიც რამდენიმე ქოთანი და ფიალა იდო. დეკრუკებს, სხვათა მსგავსად, ერთი თხა და რამდენიმე კურდღელი ჰყავდათ; ხორციც ხომ უნდა ეჭამათ ხანდახან. თხას ბავშვების საწოლქვეშ ეძინა, კურდღლები კი ღუმელის უკან, ჩალის გროვაზე მოკალათებულიყვნენ.

მადამ დეკრუკმა პირველად კარის ზემოთა ნაწილი გამოაღო, ვინ მოვიდაო, და შემდეგ შინ შეიპატიჟა სტუმრები.

დაქორწინებამდე ცოლ-ქმარი ერთ სანგრევში მუშაობდა კარგა ხანს. მადამ დეკრუკი ქვანახშირით სავსე ურიკებს მიაგორებდა საკონტროლო პუნქტამდე. ახლა უკვე ერთიანად გამოფიტვოდა მთელი სხეული. ჯერ ოცდაექვსი წლისაც არ იყო,

მაგრამ ეს გამხდარი, გადაღლილი ქალი ბევრად უფრო ხნიერი გეგონებოდათ. ცივ ღუმელთან მიმჯდარი დეკრუკი ჟაკის დანახვაზე ფეხზე წამოხტა.

— რა ხანია, აღარ მოსულხარ. მიხარია, რომ გხედავ. კეთილი იყოს შენი და შენი მეგობრის მობრძანება.

დეკრუკი სულ იმას გაიძახოდა, მთელ ბორინაჟში ერთად ერთი მე ვარ, რომელსაც მაღარო ვერაფერს დააკლებსო.

— ჩემი დღით მოვკვდები ღრმად მოხუციო, — ხშირად იტყოდა ხოლმე იგი, — მაღარო რას მომკლავს, მაგის უფლებას ვინ მისცემსო.

თავზე, მარჯვენა მხარეს, ტევრ თმაში კარგა მოდიდო ნაიარევი მოუჩანდა წითლად. ეს დაღი იმ დღეს დაესვა, როცა ჩაშვებისას ლიფტი მოწყდა, ასი მეტრის სიღრმეზე ქვასავით წავიდა და მისი ოცდაცხრა ამხანაგი იმსხვერპლა. სიარულისას მარჯვენა ფეხს მიათრევდა დეკრუკი, რადგან ოთხ ადგილას გადატეხილი ჰქონდა ძვალი. ერთხელ სანგარი ჩამოენგრა და ხუთი დღით მიწაში ჩამარხა იგი. ეს ფეხი მაშინ დაიშავა. უხეში შავი პერანგი მარჯვენა მხარეს შესამჩნევად გამობურცოდა.

სამი მოტეხილი ნეკნი ჰქონდა გამოჩრილი, რომელიც მერე აღარ გაესწორებინათ. მაშინ მაღაროს აირის აფეთქებისას ტალღამ ქვანახშირის ურიკას მიახეთქა. მაგრამ ანრი შეუპოვარი, ყაჩაღანა კაცი იყო, ვერაფერი მოდრეკდა. კომპანიის წინააღმდეგ ხმას ხშირად იმაღლებდა. ამიტომ იყო რომ ყველაზე საშიშ სანგარში გაამწესეს. იქ ქვანახშირის ამოღება მეტად ჭირდა და სამუშაო პირობებიც საშინელი იყო. რაც მეტად უჭირდა, მით მეტი გააფთრებით უტევდა „მათ“ — უცნობ და თვალით უჩინარ, მაგრამ მოუშორებელ მტრებს. დეკრუკს ჯმუხ ნიკაპზე, გვერდით, ღრმული ჰქონდა და ამიტომაც მისი მოკლე, ყბებგანიერი სახე ოდნავ მოღრეცილი გეჩვენებოდათ.

— მუსიე ვან გოგ, — უთხრა დეკრუკმა, — ჩვენთვის პირდაპირ მისწრებაა თქვენი აქ მოსვლა. ჩვენ, ბორინაჟელები მონებიც კი აღარა ვართ, ცხოველებს უფრო დავემსგავსეთ.

მარკასში დილის 3 საათზე ვეშვებით, სადილობისას თხუთმეტ წუთს ვისვენებთ და საღამოს ოთხ საათამდე შეუჩერებლივ ვმუშაობთ. იქ ბნელა, მუსიე. ბნელა და ცხელა.

იძულებული ვართ სულ შიშვლებმა ვიმუშაოთ. სუნთქვა ჭირს, მაღაროს ჰაერი ხომ ნახშირის მტვრითა და მომწამვლელი გაზით არის შეზავებული. ქვანახშირს ისეთ სანგრევებში ვიღებთ, სადაც ვერც კი გაიმართები. მუხლზე დაჩოქილი, ორად მოკაკული ვმუშაობთ. რვა ან ცხრა წლის რომ გახდება, — გოგონა იყოს გინდა ვაჟი — ყველა მაღაროში ეშვება. ოცი წლისას უკვე ციებ-ცხელება და ჭლეექი ემართება და თუ იმ გაზს გადავურჩით, ან ლიფტმა არ დაგვამტვრია (დეკრუკმა იარაზე მოისვა ხელი), შეიძლება ორმოც წლამდე მივაღწიოთ და ჭლეექიც ბოლოს მოგვიღებს. განა ტყუილია, ვერნეი?!

აღელვებული დეკრუკი ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობდა და ვინსენტმა ძლივს გაიგო, რას ეუბნებოდნენ. უადგილო ადგილას ამოღრმავებული ნიკაპი სასაცილო იერს აძლევდა დეკრუკს, თუმცა თვალები რისხვით უელავდა.

— ყველაფერი მართალია. — დაეთანხმა ჟაკი.

მადამ დეკრუკი ოთახის კუთხეში, თავის საწოლზე იჯდა და ნავთის ლამპის სუსტ შუქზე ძლივს მოჩანდა. რასაც ქმარი ამბობდა, მისთვის ახალი არ იყო, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით უსმენდა. ამდენ მუშაობას, სამ ბავშვსა და ამ უბადრუკ ქოხში გატარებულ უთვალავ სუსხიან ზამთარს მისთვის მთელი ძალ-ღონე გამოეცალა.

დეკრუკი ფეხის თრევით მიუახლოვდა ვინსენტს.

— რას ვიღებთ ამის საფასურად, როგორ გგონიათ? ერთ ოთახიან ქოხს და იმდენ საჭმელს, რომ წერაქვი არ გაგვივარდეს ხელიდან. გაინტერესებთ რას ვჭამთ? პურს, უყუათო ხაჭოს და შავ ყავას. იქნებ წელიწადში ერთი-ორჯერ ხორციც ვჭამოთ. დღეში თხუთმეტი სანტიმიც რომ დაგვიკლონ, სული ამოგვხდება და ქვანახშირს ვიღა მისცემს, ამიტომაც აღარაფერს გვიკლებენ. სიკვდილის პირას ვართ მისული, ყოველდღე სიკვდილს თვალში შევცქერით. ავად თუ გავხდით, მაშინვე კინწისკვრით გამოგვაგდებენ ერთ ფრანკსაც არავინ მოგვცემს, ძაღლივით უნდა ამოგვძვრეს სული. ცოლსა და ბავშვებს კი მეზობლები უწილადებენ საჭმელს. რვა წლიდან ორმოც წლამდე — ოცდათორმეტ წელს შავს მიწაში ვატარებთ, მუსიე, ვიდრე მართლაც არ ჩავალთ საფლავში აი, ამ მთაზე, და სამუდამოდ არ დავისვენებთ.

10.

ვინსენტმა ნახა, რომ მაღაროელები გაუნათლებელი ხალხია, — უმეტესობამ კითხვაც არ იცოდა, მაგრამ თავიანთი რთული სამუშაოს მუღამი მშვენივრად ესმოდათ. ამასთან გამბედავი, გულწრფელი და მგრძნობიარენიც იყვნენ. ყველანი გამხდრები, უფერულნი და არაქათგამოცლილნი ჩანდნენ. კანი ფერმკრთალი ჰქონდათ, ავადმყოფურად მოყვითალო (მზეს ხომ მარტო კვირა დღეს ხედავდნენ) და უამრავი შავი წინწკლებით დაფარული. ჩაცვივნული, სევდიანი თვალები აშკარად მეტყველებდნენ, ამ ჩაგრულ ხალხს წინააღმდეგობის გაწევის უნარი სრულიად დაკარგვიაო.

ვინსენტს მაინც მოსწონდა ისინი, რადგან ისეთივე უბრალო და კეთილები იყვნენ, როგორც ბრაბანტის მკვიდრნი ზუნდერტში და ეტენში. იქაურობა უდაბური რომ ეჩვენა, ახლა ამასაც ვეღარ ამჩნევდა, რადგან უკვე კარგად გაიცნო არემარე და მიხვდა, რომ ბორინაჟი მეტად თავისებური იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ვინსენტმა პირველად იქადაგა დენის საფუნთუშის უკან პატარა ფარდულში. იქაურობა თვითონვე დაასუფთავა და სკამძელები შეზიდა. ხუთ საათზე მაღაროელებიც მოვიდნენ ოჯახებით. ქუდები დაეხურათ, ყელზე შარფები მოეხვიათ. ოთახს ნათხოვარი ლამპის მბჟუტავი შუქი ხეირიანად ვერც კი ანათებდა. ნახევრად ბნელში მაღაროელები სკამებზე ჩამოსხდნენ და შესცქეროდნენ, თუ როგორ ფურცლავდა ვინსენტი ბიბლიას. ყველა ყურადღებით უსმენდა ქადაგებას. ხელები იღლიებში ჩაემალათ გასათბობად. ვინსენტი შეეცადა რაიმე შესაფერი ტექსტი მოეძებნა და იმით დაეწყო, ბოლოს, როგორც იქნა, აარჩია თავი 16, მუხლი 9. „საქმე მოციქულთა“:

„და ჩუენებათა ღამისასა, ეჩუენა პავლეს: კაცი ვინმე იყო მაკედონელი, ჰსდგა და ევედრებოდა მას და ეტყოდა: წიაღმოგუალე მაკედონიად, და შემეწიე ჩუენ“.

— მაკედონელი ეს ივივე მაშვრალია, მეგობრებო, - თქვა ვინსენტმა, - მაშვრალი, რომელსაც სახეზე მწუხარება, გაჭირვება და დაღლა აქვს აღბეჭდილი. მაგრამ მასში მაინც არის სიმშვენიერე და მომხიბვლელობა, რადგან მისი სული უკვდავია და საზრდოდ სჭირდება მარად ცოცხალი — ღვთის სიტყვა.

ღმერთს სურს, რომ ადამიანმა ქრისტეს მიბაძოს და იცხოვროს მორჩილად, ეცადოს მაღალი მიზნების განხორციელებას, დასჯერდეს მცირეს და, როგორც

სახარება მოუწოდებს, იყოს მშვიდი და უბოროტო; დადგება დღე, როცა იგი იმქვეყნად წავა და სასუფეველს დაიმკვიდრებს.

სოფელში ბევრი დავრდომილი იყო და ვინსენტი კარგი ექიმივით ყოველდღე შემოვლაზე მიდიოდა. ვის ცოტაოდენ რძესა და პურს მიაწვდიდა, ვის თბილ წინდებს, ზოგსაც საბანს მიუტანდა. მაღაროელთა ქოხებში ტიფი და ავთვისებიანი ციებ-ცხელება ბატონობდა. ხალხი მათ la sotte fièvre-ს (*სულელი ციებ-ცხელება — ფრ.) ეძახდა. ავადმყოფებს მოუსვენრად ეძინათ, ბორგავდნენ, შფოთავდნენ. დავრდომილთა რიცხვი მატულობდა. დაღლილობა, სისუსტე და სიღატაკე დღითიდღე ძლიერდებოდა.

მთელი მცირე ვამი ვინსენტს მუსიე ვინსენტს ეძახდა და ამაში სიყვარულთან ერთად საკმაო მორიდებაც იგრძნობოდა.

მთელ სოფელში ერთ ქოხსაც ვერ ნახავდით, სადაც ვინსენტს საკვები და ნუგეში არ მიეტანა, ავადმყოფისათვის არ მიეხედა, გაჭირვებულთან ერთად არ ელოცა და ცოდვილისათვის შენდობის იმედი არ მიეცა. შობამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა ვინსენტმა ერთი უპატრონოდ მიტოვებული თავლა აღმოაჩინა მარკასის მახლობლად. აქ თავისუფლად მოთავსდებოდა ასამდე კაცი. ეს გამოცარიელებული, გაყინული და მოუხერხებელი ოთახი მთლიანად გაავსეს მაღაროელებმა.

მუშები უსმენდნენ ვინსენტის მოყოლილ ამბავს ბეთლემზე და მშვიდობაზე ქვეყანასა ზედა.

ექვსმა თვემ განვლო, რაც ვინსენტი ბორინაჟში ჩამოვიდა, ხედავდა, რომ ცხოვრება აქ დღითიდღე ჭირდა, მაგრამ უბადრუკ თავლაში, რომელიც რამდენიმე ლამპით ძლივს გაენათებინათ, მან შესძლო ქრისტეს რწმენა ჩაენერგა ამ პირგამურული ხალხისათვის და გულში იმედი აეკიაფებინა, რომ ისინიც დაიმკვიდრებდნენ სასურველს.

ერთი დარდი აწუხებდა ვინსენტს. გულში ეკლად ჰქონდა, რომ ჯერ ისევ მამის კისერზე იჯდა. დღეს ლოცვაში აღამებდა, ღმერთო, შემაძლებინე და ორიოდე ფრანკი ჩემით მაშოვნინეო.

ამინდი გაფუჭდა. ცა ღრუბლებით დაიფარა, კოკისპირულმა წვიმებმა აატალახა ოღროჩოღრო გზები. მაღაროელთა ქოხებშიც ტალახი იდგა. ახალწლის დღეს ჟან-ბატისტი ვამში წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა ვინსენტს წერილი გადასცა.

კონვერტს ზემოთა მარცხენა კუთხეში პიტერსენის გვარი ეწერა, ვინსენტმა თავის ოთახში აირბინა. აღელვებისაგან ერთიანად კანკალებდა. წვიმა გამალებით ურახუნებდა სახურავზე, მაგრამ ვინსენტს არაფერი ესმოდა. მოუხერხებლად გახია კონვერტი. წერილში ეწერა:

„ძვირფასო ვინსენტ, ევანგელიის კომიტეტმა მხედველობაში მიიღო თქვენი გულმოდგინება და ამიტომ ექვსი თვით, ახალი წლის დამდეგამდე, დროებით დაგნიშნათ.

თუ ივნისის მიწურულისათვის ყველაფერი რიგზე იქნება, მაშინ მუდმივად დაინიშნებით. მანამდე კი თვეში ორმოცდაათ ფრანკს მიიღებთ. ხშირად მომწერეთ და მხნედ იყავით.

თქვენი ერთგული პიტერსენი“.

გახარებულმა ვინსენტმა წერილი ჩაბღუჯა და საწოლზე გაიჭიმა. როგორც იქნა, მიაღწია წარმატებას! ბოლოსდაბოლოს გაარკვია თავისი ადგილი ამ ქვეყნად! ამას ელოდა ამდენი ხანი, ოღონდ ძალ-ღონე არ მოსდევდა, რომ სიძნელეებს მარტო გამკლავებოდა. ახლა კი... თვეში ორმოცდაათ ფრანკს მიიღებს. საჭმელ-სასმელად და ბინისათვის ეს საკმარისი თანხაა, აღარავისზე იქნება დამოკიდებული!

დაჯდა და მამას მეტად ამაღელვებელი, საზეიმო წერილი მისწერა. ატყობინებდა, თქვენი დახმარება აღარ მჭირდება და ამიერიდან ოჯახს. იქით დავეხმარებიო. წერილის წერას რომ მორჩა, უკვე შებინდებული იყო. კოკისპირულად წვიმდა, მარკასს დროდადრო ელვა ანათებდა. კიბეები ჩაირბინა და გახარებული წვიმაში გავარდა. მადამ დენი კვალდაკვალ მიჰყვა.

— მუსიე ვინსენტ, საით?! უქუდოდ და უპალტოოდ მიდიხართ?

ვინსენტი არც შეჩერებულა, რომ პასუხი მიეცა. მახლობელ გორაკზე აირბინა. თვალწინ თითქმის მთელი ბორინაჟი გადაშლილიყო — საკვამურებით, ნახშირის გროვებით და მაღაროელთა ქოხებით. მაღაროდან ახლახანს ამოსული შავი ფიგურები ჭიანჭველებივით გარბოდ-გამორბოდნენ. შორს, ფიჭვის ტყის ფონზე, მოჩანდა პაწია თეთრი სახლები, უფრო შორს კი, ეკლესიის ქონგურები და ძველი წისქვილი. ყველაფერს ბინდი გადაჰკვროდა. ღრუბლები შუქ-ჩრდილის ზღაპრულ ეფექტს ქმნიდნენ. ამ ხნის განმავლობაში პირველად შენიშნა ვინსენტმა, რომ ბორინაჟი მიშელის და რეისდალის ტილოებს მიაგავდა.

11.

რაკი ამიერიდან ვინსენტი კანონიერი მქადაგებელი გახდა, უკვე მუდმივი ადგილი სჭირდებოდა ქადაგებისათვის. გულდაგულ ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვა მოდიდო სახლი ხრამის პირას, ფიჭვის ტყეში გამავალ ბილიკზე. ოდესღაც მას საბავშვო სალონს უძახდნენ. ადრე აქ ბავშვებს ცეკვას ასწავლიდნენ. ვინსენტმა ყველა თავისი რეპროდუქცია კედელზე ჩამოკიდა და ოთახმა ოდნავ მყუდრო იერი მიიღო. საღამოობით აგროვებდა ოთხიდან რვა წლამდე ბავშვებს და ასწავლიდა კითხვას, უყვებოდა საინტერესო ამბებს ბიბლიიდან. აქ იწყებოდა და აქ თავდებოდა პატარების განათლება.

— სად ვიშოვო ნახშირი, ჩვენი ოთახი ხომ უნდა გავათბო, — შესჩივლა ვინსენტმა ჟაკ ვერნეის, რომელიც საბავშვო სალონის მიღებაში დაეხმარა, — ბავშვებიც გათბებიან და საღამოობით ქადაგებაც მეტხანს გასტანს.

ჟაკი წუთით ჩაფიქრდა და მიუგო:

— ხვალ შუადღისას აქ მოვალ და გიჩვენებთ, სად შეიძლება მისი შოვნა.

მეორე დღეს, როცა ვინსენტი სალონში მივიდა, ქალები და ბავშვები უკვე იქ ელოდნენ. შავებში გამოწყობილიყვნენ, თავზე ლურჯი თავსაფრები მოეხვიათ. ხელში ყველას ტომარა ეჭირა.

— მუსიე ვინსენტ, აი, თქვენც მოგიტანეთ ტომარა, — უთხრა ვერნეის ქალიშვილმა, — ეს თქვენ უნდა აავსოთ..

ფერდობი აიარეს, მაღაროელთა გაბნეულ სახლებს გასცილდნენ, გორაკის თავზე დენის საფუნთუშეს ჩაუარეს, მინდორი გადაჭრეს, შუაგულში აღმართულ მარკასს

შემოუარეს და უკანა მხარეს, ტერილის შავ პირამიდას მიუახლოვდნენ. აქ დაიშალნენ და სხვადასხვა მხრიდან შეესიენ მთებს, როგორც წაქცეულ ხეს მწერები.

— სულ ზემომდე მოგიწევთ ასვლა, რომ რამე იპოვნოთ, მუსიე ვინსენტ, — უთხრა მადემუაზელ ვერნეიმ, — ძირი უკვე კარგა ხანია გავასუფთავეთ. მომყევით, გიჩვენებთ, რომელია ქვანახშირი.

გოგონამ შველივით მარდად აირბინა ფერდობი, ვინსენტი კი დაოთხილი მიდიოდა, რადგან ფეხზე დგომისას ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. გოგონა წინ გარბოდა, მერე ჩაცუცქდებოდა და ვინსენტს გამოჯავრებით ტალახის პაწია, გამომხმარ გოროხებს ესროდა. სახე ვარდისფრად უღვიოდა, ცოცხალი, კოხტა ბავშვი იყო. ჟაკ ვერნეი რომ დააწინაურეს, გოგონა შვიდი წლის იყო და ამიტომ მაღაროში ჩასვლა არ დასჭირვებია.

— ამოდით, მუსიე ვინსენტ, — უძახდა იგი, — ამოდით, თორემ სულ ბოლო გაავსებთ ტომარას.

გოგონასათვის ეს თავისებური გართობა იყო, თორემ კომპანია შესანიშნავ ქვანახშირს ფასდაკლებით აძლევდა ვერნეის.

მთის წვერამდე მაინც ვერ ავიდნენ, რადგან ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან გამოგორდებოდნენ ურიკები და ნარჩენებს ცლიდნენ. ამ პირამიდებზე ნახშირის პოვნა, იოლი საქმე როდი იყო. მადემუაზელ ვერნეიმ უჩვენა როგორ დაეფშვნა ხელში ტერილი და შემდეგ მიწა, ქვები, თიხა და სხვა შენარევები თითებში გაეცრა. კომპანია ჰაერზე არ ანიავებდა ქვანახშირს.

ის, რასაც მაღაროელთა ცოლები პოულობდნენ, გასაყიდად უვარგისი, თიხანარევი მასა იყო. ტერილი წვიმასა და თოვლს დაესველებინა, ვინსენტს ხელები დაეფხაჭნა და, დაუსკდა, მაგრამ მაინც მოახერხა მეოთხედი ტომარა ნახშირი მოეგროვებინა. ქალებმა კი ამასობაში პირთამდე. გაავსეს ტომრები.

ნახშირი სალონში დატოვეს და ვახშმის მოსამზადებლად შინისაკენ გაეშურნენ. ვინსენტს დაუბარეს, შვიდ საათზე წირვაზე მოვალთ და ქმარ-შვილსაც თან მოვიყვანთო. მადემუაზელ ვერნეი ვინსენტს შეეპატიჟა, ვახშამზე დაგვეწვიეთო და ვინსენტიც ხალისით დასთანხმდა.

ვერნეის სახლი ორი ოთახისაგან შედგებოდა. ერთში სამზარეულო და სასადილო მოეწყოთ, ხოლო მეორეში საწოლები იდგა. ვერნეებს შეძლებულნი ეთქმოდათ, მაგრამ საპნის ჭაჭანებაც არ იყო სახლში. ვინსენტმა იცოდა, რომ ბორინაჟში საპონი მიუწვდომელი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. იმ დღიდან, რაც ბიჭები მაღაროს სანგრევებში ეშვებოდნენ, ხოლო გოგონები ტერილის მოსაგროვებლად მიდიოდნენ — სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მურს ხეირიანად ვერც კი იშორებდნენ სახიდან.

მადემუაზელ ვერნეიმ ცივი წყალი გამოუტანა გარეთ სტუმარს. ვინსენტმა ხელ-პირი დაიბანა, მაგრამ როცა გოგონას პირდაპირ სუფრას მიუჯდა და დაინახა, რომ მის სახეს ნახშირი მთლიანად არ მოშორებოდა, გაიფიქრა, ალბათ ამაზე უკეთ არც მე გამოვიყურებიო. ვახშმისას მადემუაზელ ვერნეი მხიარულად ტიკტიკებდა.

— მუსიე ვინსენტ, — მიმართა ჟაკმა, — აი თქვენ უკვე ორი თვეა, მცირე ვამში ხართ და არც კი იცით, რა არის სინამდვილეში ბორინაჟი.

— მართალია, — დაეთანხმა ვინსენტი, — მაგრამ მე მგონი ნელ-ნელა უკვე დავუახლოვდი ხალხს.

— არა, მე ამას არ ვგულისხმობ — უთხრა ჟაკმა, თან ცხვირიდან ბეწვი გამოიძრო და ინტერესით დააჩერდა. — მე იმას ვამბობ, რომ თქვენ ჩვენი ცხოვრება მარტო მიწის ზემოთ იცით: ეს კი არაფერია, აქ ჩვენ მხოლოდ გვძინავს. თუ მართლა გინდათ გაიგოთ, როგორ ვცხოვრობთ, ერთ-ერთ მაღაროში უნდა ჩახვიდეთ. აბა ნახეთ, რა პირობებში ვმუშაობთ დილის სამი საათიდან საღამოს ოთხ საათამდე.

— ძალიან მინდა იქ ჩასვლა, — გამოტყდა ვინსენტი, — მაგრამ განა კომპანია მომცემს ამის უფლებას?

— მე უკვე ვთხოვე, — უთხრა ჟაკმა. შაქრის ნატეხი პირში ჩაიდო და ნელთბილი, მწარე შავი ყავა დააყოლა.

— ხვალ მარკასში უნდა ჩავიდე უსაფრთხოების შესამოწმებლად. სამს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, დენის სახლის წინ დამელოდეთ, თქვენც წაგიყვანთ.

ვერნეის მთელი ოჯახი გაჰყვა ვინსენტს სალონში, მაგრამ ჟაკს, რომელიც თბილ სახლში ისე კარგად იყო, გარეთ საშინელი ხველა აუტყდა და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ანრი დეკრუკი უკვე სალონში დახვდათ, ფეხის თრევით ღუმელს უტრიალებდა.

— საღამო მშვიდობისა, მუსიე ვინსენტ, — მიესალმა დეკრუკი და ყურებამდე გაიღიმა. — მთელ მცირე ვამში ჩემს მეტს არავის შეუძლია ამის ანთება. ხუთი თითივით ვიცნობ ამ ღუმელს; ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა აქ გასართობად ვიკრიბებოდით ხოლმე. დიდი ვერაგი ვინმეა, თუმცა ვიცი მე მაგის ოინები.

ტომრები ნესტიანი იყო, ხოლო რაც შიგ ეყარა, იქიდან ძალიან ცოტა გამოდგა ქვანახშირი, მაგრამ დეკრუკმა თავისი გაიტანა და ღუმელმაც სასიამოვნოდ გაათბო ოთახი. მეტისმეტი მონდომებისაგან სისხლი თავში აუვარდა დეკრუკს და წითელი დაღი სისხლის მოწოლისაგან მუქი შინდისფერი გაუხდა, მცირე ვამის თითქმის არც ერთი მცხოვრები არ დაჰკლებია ვინსენტის პირველ ქადაგებას საკუთარ ტაძარში. როცა იქაურობა გაივსო, მეზობელი სახლებიდან მოიტანეს სკამები და ყუთები. სამასამდე კაცს მოეყარა თავი. ვინსენტი ჯერ დილითვე ქალების გულკეთილობამ გაამხნევა, ახლა კი იმის გრძნობამ, რომ როგორც იქნა საკუთარ ეკლესიაში ქადაგებდა. ისე გულწრფელად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მსმენელებს მაშინვე ჩამოშორდათ ჩვეული სევდა და ნაღველი სახიდან.

— ოდითგანვე ცნობილია, — ეუბნებოდა იგი პირგამურულ მსმენელებს, — რომ ამქვეყნად ჩვენ მხოლოდ დროებით მოვდივართ; მაგრამ აქაც არა ვართ მარტონი, რამეთუ ღმერთი მუდამ ჩვენ თანა არს. ჩვენ ვართ მწირნი, ჩვენი ცხოვრება — ეს არის გზა საუკუნო ცხოვრებისაკენ.

მწუხარება გერჩივნოთ სიხარულს, რადგან სიხარულშიც კი გული დარდიანია. სჯობს იმ სახლში შეხვიდეთ, სადაც ჭმუნვა და გლოვაა, ვიდრე იქ, სადაც სიხარული სუფევს, რადგან მხოლოდ მწუხარება ჰგვრის შვებას გულს კაცისას. ვისაც იესო ქრისტე სწამს, მისთვის არ არსებობს მარტო მწუხარება, მის მწუხარებას მუდამ თან ერთვის იმედიც. ჩვენი განახლება წუთით არ წყდება და მივემართებით უკუნიდან ნათელისაკენ, მამაო ჩვენო, დაგვიფარე ბოროტისაგან, ნუ მოგვანიჭებ ნურც სიმდიდრეს და ნურც ქონებას, ოღონდაც ნუ მოგვაკლებ ჩვენ პურს ჩვენი არსობისა. ამინ!

მადამ დეკრუკი პირველი მიუახლოვდა ვინსენტს. თვალები ცრემლით ავსებოდა, ტუჩები უკანკალებდა.

— მუსიე ვინსენტ, — უთხრა მან, — ჩემი ცხოვრება ისე მძიმეა, რომ ღმერთის რწმენა სულ დამეკარგა. თქვენ დამიბრუნეთ იგი. გმადლობთ ამისათვის.

როცა ყველანი წავიდნენ, ვინსენტმა სალონი დაკეტა და ჩაფიქრებული დენის სახლისაკენ გაემართა. გული უგრძნობდა, რომ ბოლოსდაბოლოს მაღაროელებს სრულიად გაუქრათ მისდამი უნდობლობა. პირგამურულებმა დღეს იგი ღმერთის მოციქულად მიიღეს ნეტავ რამ შეცვალა ისინი? ამის მიზეზი ახალი ეკლესია არ უნდა ყოფილიყო, მაღაროელებისათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც მის დანიშვნას უმოქმედნია, იმიტომ რომ ვინსენტს კრინტიც არ დაუძრავს ამის თაობაზე.

იმან ხომ არ იმოქმედა, რომ ასეთი კარგი, გულში ჩამწვდომი ქადაგება ჰქონდა? მაგრამ განა მათ უბადრუკ ქოხებში და იმ მიტოვებულ თავლაში კი არ იყო კარგი?!

დენის ოჯახი სამზარეულოს გვერდით, პატარა საწოლ ოთახში შეყუჟული ძილს მისცემოდა. სამზარეულოს ჯერ კიდევ შერჩენოდა ახლად გამომცხვარი პურის სურნელი. ვინსენტმა ღრმა ჭიდან, რომელიც იქვე სამზარეულოში ამოეთხარათ, ცივი წყალი ამოიღო და თასზე გადმოასხა. თავის ოთახში ავიდა, სარკე და საპონი ჩამოიტანა. სარკე კედელს მიაყუდა და თავის თავს დააცქერდა. გამართლდა მისი ვარაუდი: ვერნეებთან მური ვერ ჩამოებანა სახიდან. ქუთუთოები და ლოყები ისევ დასვრილი ჰქონდა. გაეღიმა, როცა გაიფიქრა, ალბათ როგორ შუქს ვფენდი ამ მომურული სახით ჩემს ახალ ტაძარსო, ანდა როგორ ეცემოდათ ელდა მამას და ძია სტრიკერს, ასე რომ დაენახათ. ხელები ცივი წყლით დაისველა, შემდეგ კარგად გაიქაფა საპნით, რომელიც ბრიუსელიდან ჩამოჰყვა, და ის იყო სახეზე უნდა წაესვა, რომ რაღაც აზრმა გაუელვა. ხელები ჰაერში შეაჩერა. ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში; ტერილის მტვერი შუბლის ნაოჭებში ჩასვლოდა, ქუთუთოებზე, ლოყებზე და ნიკაპზე მოცხებოდა.

— რა თქმა უნდა, — წამოიძახა ხმამაღლა.

— აი, რატომაც მიმიყვავილეს. მეც ისეთივე გავხდი, როგორც ისინი.

ხელები გადაიბანა და დასაძინებლად გასწია, ისე რომ სახისათვის ხელიც არ უხლია. მას შემდეგ, ვიდრე ბორინაჟში ცხოვრობდა ყოველდღე თვითონ ისვამდა სახეზე მურს, რომ მაღაროელებისაგან არ გამორჩეულიყო.

12.

მეორე დილით ვინსენტი სამის ნახევარზე ადგა, გამხმარი პურის ნაჭერი შეჭამა და სამს რომ თხუთმეტი წუთიღა აკლდა, ჟაკს დახვდა კარებთან. მთელი ღამე ეთოვა. მარკასისაკენ მიმავალი გზა სქლად იყო დაფარული. მინდორი რომ გადაჭრეს და შავი საკვამურებისა და ტერილის მთებისაკენ გაემართნენ, ვინსენტმა დაინახა, ყოველი მხრიდან როგორ მოაბიჯებდნენ თოვლზე მაღაროელები, გეგონებოდათ პატარა შავი მხეცუნები თავის ბუნაგისაკენ მიიჩქარიანო. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. მუშები თხელ, შავ პალტოებში მობუზულიყვნენ და ნიკაპი საყელოში ჩაემალათ.

ჟაკმა ვინსენტი ჯერ ერთ ოთახში შეიყვანა, სადაც ნავთის ლამპები ეკიდა, თითოეული თავისი ნომრის ქვეშ.

— როცა რამე მოხდება იქ, მაღაროში, — უთხრა ჟაკმა, — ჩვენ უკვე ვიცით, ვის უჭირს, იმ ნომრის მიხედვით, რომელიც აკლია.

მაღაროელები სწრაფად იღებდნენ ლამპებს და გარბოდნენ ეზოს გადაღმა აგურის შენობისაკენ, საიდანაც ქვემოთ ეშვებოდნენ. ვინსენტი და ჟაკიც მათ შეუერთდნენ. ლიფტი ერთმანეთზე დაწყობილი ექვსი განყოფილებისაგან შედგებოდა.

ექვსივეთი შეიძლებოდა ქვანახშირით სავსე ურიკების ზევით ამოტანა, თითოეულ მათგანში ორი კაცი ძლივს გაიმართებოდა, მაგრამ ხუთ მუშას ერთად შეყრიდნენ ხოლმე.

რაკი ჟაკი ზედამხედველი იყო, ამიტომ იგი, ვინსენტი და კიდევ ერთი მისი თანაშემწე სულ ზემოთა განყოფილებაში შევიდნენ. ჩაცუცქდნენ, ფეხით კედლებს ეყრდნობოდნენ, თავები კი ზემოთ მავთულის სახურავს ეხებოდა.

— ხელებს გაუფრთხილდით, მუსიე ვინსენტ, — უთხრა ჟაკმა, — გვერდით კედელს თუ შეახეთ — მორჩა!

ნიშანი მისცეს და ფოლადის ორ ტროსზე დამაგრებული ლიფტი მოწყვეტილი წავიდა ძირს. კედლებსა და ლიფტს შორის მხოლოდ რაღაც მილიმეტრები იყო. ვინსენტს უნებურად გააჟრჟოლა, როცა გაიფიქრა, ქვემოთ ნახევარი მილის სიმაღლის შავი უფსკრულია და ამ ლიფტს რამემ რომ უმტყუნოს, ძირს სულიც არ დამყვებაო.

ასეთი შიში სიცოცხლეში არასოდეს განუცდია. შიში, რომელიც სადღაც ჯოჯოხეთისკენ მიაქანებდა. თავს არწმუნებდა, საშიში არაფერია, აგერ უკვე ორ თვეზე მეტია, უბედური შემთხვევა არ ყოფილაო, მაგრამ მბჟუტავი ნავთის ლამპით ძლივს განათებული უკუნი სიბნელე ვერაფერი ნუგეშის მომცემი იყო.

ჟაკს გამოუტყდა, მეშინიაო. ჟაკმა თანაგრძნობით გაუღიმა.

— ყველა მაღაროელი იგივეს გრძნობს ახლა, — უთხრა მან ვინსენტს.

— მაგრამ ალბათ ისინი შეჩვეული არიან დაშვებას.

— არასოდეს! შიშის დაუძლეველი გრძნობა ამ ლიფტისა და მოსალოდნელი უბედურების გამო სიკვდილამდე თან სდევს მათ.

— თქვენ, მუსიე?

— მეც ისევე მიკანკალებს გული, როგორც თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე ოცდაცამეტი წელია ყოველდღე ვეშვები ამ მაღაროში.

350 მეტრის სიღრმეზე, შუა გზაზე, ლიფტი წამით შეჩერდა, შემდეგ კი ისევ ქვემოთ გაექანა. ვინსენტმა შენიშნა, როგორ მოჟონავდა კედლებიდან წყალი და ისევ შეაჟრჟოლა.

ზემოთ აიხედა, დღის სინათლე ცაზე მოციმციმე ვარსკვლავივით მოჩანდა. 650 მეტრის სიღრმეს რომ მიაღწიეს, ვინსენტი და მისი თანამგზავრი გადმოვიდნენ, მუშები კი ქვემოთ დაეშვნენ. ვინსენტი საკმაოდ ფართო გვირაბში აღმოჩნდა. აქ ლიანდაგი გაეყვანათ. ჯოჯოხეთურ სიცხეს ელოდა, მაგრამ გვირაბში სასიამოვნოდ გრილოდა.

— არც თუ ისე ურიგო ადგილია, მუსიე ვერნეი, — წამოიძახა ვინსენტმა.

— აქ ხომ არავინ მუშაობს. ქვანახშირი რახანია მოილია.

ვენტილაცია წესრიგშია, მაგრამ იქ, ქვემოთ, მაღაროელებს მაინც არაფერს შველის.

ფეხით გაუყვნენ გვირაბს. დაახლოებით მეოთხედი მილი ჰქონდათ გავლილი, რომ ჟაკი ვინსენტს მიუბრუნდა:

— მომყევით, მუსიე ვინსენტ, ოღონდ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად. ერთი რომ დაგიცდეთ ფეხი, მეც ქვემოთ ჩამიყოლებთ.

და ვინსენტის თვალწინ მიწაში გაუჩინარდა. ვინსენტმა ფრთხილად გადადგა წინ ნაბიჯი. ნახა, რომ ჩასასვლელი იყო ამოთხრილი და ფეხით კიბე მოსინჯა. გამხდარი კაცი ძლივს ჩაეტეოდა ამ ჩასასვლელში. პირველი ხუთი მეტრი არც თუ ისე ცუდი ჩასასვლელი იყო, მაგრამ სწორედ შუაგზაზე ვინსენტი იძულებული გახდა სახით კიბისკენ მიბრუნებულიყო. კედლებიდან წყალმა იწყო ჟონვა. კიბის საფეხურებზე ტალახი იდგა.

ვინსენტი გრძნობდა, როგორ ეცემოდა ტანზე წყლის წვეთები, როგორც იქნა, ძირს ჩავიდნენ და დაოთხილებმა განაგრძეს გზა სანგრევისაკენ, რომელიც კარგა შორს იყო. სარდაფის განყოფილებებად მიყვებოდნენ ერთმანეთს ხის მორებით გამაგრებული სანგრევები. თითოეულ მათგანში ხუთი კაცი მუშაობდა. ორი წერაქვით ამტვრევდა ქვანახშირს, მესამე ერთ ადგილას აგროვებდა, მეოთხე ურიკას ტვირთავდა, ხოლო მეხუთე ამ ურიკას ვიწრო ლიანდაგზე მიაგორებდა.

მუშებს უხეში ტილოს ტანსაცმელი ეცვათ. ჭუჭყისაგან ერთიანად გაშავებული. ურიკებს პატარა ბიჭი ტვირთავდა, შავი, სრულიად შიშველი, მხოლოდ თეძოებზე ჰქონდა ტილოს ნაჭერი შემოკრული. გაგორება კი გოგონების საქმე იყო.

ამათაც უხეში ტილოს ტანსაც,ელი ეცვათ და კაცებივით გაშავებულები იყვნენ. ჭერიდან ჩამოჟონილი წყალი სტალაქტიტებს ქმნიდა. აქაურობას ლამპები ანათებდა, ისიც ძალიან სუსტად, რადგან ნავთის დასაზოგად მეტისმეტად ჩაეწიათ პატრუქები. ვენტილაცია არ იყო. ჰაერი ნახშირის მტვერს დაემძიმებინა სიცხისაგან მაღაროელებს ოფლი შავ ღვარად ჩამოსდიოდათ. წინა სანგრევებში მუშები ფეხზე თავისუფლად იდგნენ და ისე მუშაობდნენ უფრო იქით და იქით კი სანგრევები პატარავდებოდა. რაც დრო გადიოდა, მაღაროელთა გახურებული სხეულებისაგან სიცხე მატულობდა, ჰაერს სულ უფრო ამძიმებდა ნახშირის მტვერი. ძალიან ჭირდა ამ ცხელი, ჩახუთული ჰაერით სუნთქვა.

— აი, ესენი, დღეში ორნახევარ ფრანკს იღებენ, — უთხრა ჟაკმა ვინსენტს, — ისიც მაშინ, თუ ქვანახშირი არ დაუწუნეს.

ხუთი წლის წინათ სამ ფრანკს იღებდნენ, მაგრამ მას შემდეგ ხელფასს წლითი წლობით ამცირებენ.

ჟაკმა ხის საბჯენები შეამოწმა, ესენი იცავდნენ მაღაროელებს სიკვდილისაგან, მერე მუშებს მიუბრუნდა:

— ეს საბჯენები არაფრად ვარგა, გამაგრება სჭირდება, თორემ ყოველ წუთს შეიძლება თავზე ჩამოგენგრეთ.

ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც მათში უფროსობდა, ისე სეტყვასავით მიაყარა გინება, რომ ვინსენტმა მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა გაარჩია.

— ფულს თუ მოგვცემენ, მაშინ გავამაგრებთ, — ყვიროდა მუშა, — ახლა მაგის გამაგრებას თუ შევუდექით, ნახშირი როდისღა ვტეხოთ? გინდა აქ ჩავმარხულვართ და გინდა შინ შიმშილისაგან ამოგვძრომია სული.

ბოლო სანგრევთან კიდევ იყო ძირს ჩასაშვები ხვრელი, ოღონდ აქ კიბე არ ჰქონდა. აქეთ-იქით ხის ძელები მიეკრათ, რომ კედლები არ ჩამონგრეულიყო და მაღაროელები არ ჩაემარხა. ჟაკმა ვინსენტის ლამპა აიღო და ქამარზე ჩამოიკიდა.

— გაფრთხილდით, მუსიე ვინსენტ, — კვლავ გაუმეორა ჟაკმა, — თავზე ფეხი არ დამადგათ, თორემ ტყვიასავით წავალ ძირს.

ფრთხილად დაეშვნენ. ფეხით მორებს ეძებდნენ, თან ხელებით ატალახებულ კედელს ებღაუჭებოდნენ, რომ სიბნელეში ცხვირ-პირი არ დაემტვრიათ. ასე ვაი-ვაგლახით ჩაიარეს ხუთი მეტრი.

ქვევითაც სანგრევები იყო, ოღონდ აქ არავითარი განყოფილებები არ ჰქონდა. მიწაში ოდნავ გამოთხრილებიდან იღებდნენ მადანს. ჩაჩოქილები და კედელზე ზურგმიბჯენილები მუშაობდნენ. ვინსენტმა ახლა იგრძნო, რომ ზევით გაცილებით უფრო გრილოდა და მუშაობაც შედარებით იოლი იყო.

თონესავით გავარვარებული ჰაერი ისე შეგუბებულიყო, გეგონებოდათ ბლაგვი დანითაც იოლად გაჭრიო.

მუშები შეშინებული ნადირივით მძიმედ სუნთქავდნენ; გახურებული და გამშრალი ენა გარეთ გადმოეგდოთ. შიშველ სხეულზე ჭუჭყი და მტვერი სქლად დასდებოდათ. ვინსენტი არაფერს აკეთებდა, მაგრამ აქ გაჩერებაც აღარ შეეძლო, ფიქრობდა, წუთიც და ამ ჯოჯოხეთურ სიცხეს და მტვერს ვეღარ გავუძლებო. მუშები ვინსენტზე უარეს დღეში იყვნენ — სამუშაოს ვერ შეაჩერებდნენ, რომ ცოტა დაესვენათ და სული მოებრუნებინათ. მაშინ იმდენ ქვანახშირს ვერ ჩააბარებდნენ, რამდენიც საჭირო იყო, რომ ორმოცდაათი ცენტი — ერთი დღის შრომის საფასური მიეღოთ.

ვინსენტი და ჟაკი დაოთხილი მიდიოდნენ ვიწრო გასასვლელში, რომელიც ფიჭასავით ერთი ციცქნა განყოფილებებს აერთიანებდა. წარამარა კედლებს ეკვროდნენ, რათა ურიკებისათვის გზა მიეცათ. ეს გასასვლელი უფრო ვიწრო იყო, ვიდრე ზემოთა. გოგონებიც, რომლებიც ვიწრო ლიანდაგზე ურიკებს მიაგორებდნენ, უფრო პატარები იყვნენ. ათ წელზე მეტისას ერთსაც ვერ ნახავდით. ქვანახშირით სავსე ურიკები მძიმე იყო და პატარებს მთელი ძალ-ღონის დაძაბვით უხდებოდათ მუშაობა.

გასასვლელის ბოლოს მეტალის ღრმა ორმო ამოეჭრათ საიდანაც ურიკებს ტროსით უშვებდნენ ქვემოთ.

— მოდით, მუსიე ვინსენტ, — უთხრა ჟაკმა, — სულ ქვევითა სანგრევში ჩაგიყვანთ 700 მეტრზე ისეთ რამეს გიჩვენებთ, რასაც ამქვეყნად ვერსად შეხვდებით!

ისინი მეტალის კედლით ჩასრიალდნენ ოცდაათ მეტრზე.

აქ საკმაოდ ფართო გვირაბი იყო, ლიანდაგიც გაეყვანათ. ნახევარი მილის სიღრმეზე შევიდნენ გვირაბში. როცა გვირაბი გათავდა, ვიწრო გასასვლელში გაჭირვებით გაძვრნენ და ახლახანამოთხრილ ორმოში აღმოჩნდნენ.

— ეს ახალი სანგრევია, — აუხსნა ჟაკმა, — მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ მაღაროს, სადაც ისე ჭირდეს ქვანახშირის ამოღება, როგორც აქ.

გარშემო ოცამდე პაწაწინა ხვრელი იყო. ჟაკი ერთ-ერთ მათგანში შეძვრა და ვინსენტს გამოსძახა მომყევითო. ხვრელი ზუსტად იმხელა იყო, რომ ვინსენტს მხრები გატეოდა. იგი მუცელზე ხოხვით მიდიოდა. ხელის თითებით და ფეხით მიწას ებღაუჭებოდა და ქვეწარმავალივით მისრიალებდა. ჟაკის ფეხი ცხვირწინ ჰქონდა, მაგრამ ამ სიბნელეში მაინც ვერ ხედავდა, ხვრელი სიმაღლით ერთნახევარი ფუტი იყო, სიგანით კი ორნახევარი. იმ ორმოში, საიდანაც ეს ხვრელი დაიწყო, საშინლად ცხელოდა, მაგრამ ხვრელთან შედარებით ნამდვილი სამოთხე იყო. ბოლოს, როგორც იქნა, თაღიან სანგრევში გამოვიდნენ.

აქ მაღალი კაციც თავისუფლად გაიმართებოდა. კუნაპეტ სიბნელეში ვინსენტი პირველად ვერაფერს ხედავდა. მერე თანდათან შენიშნა ოთხი მბჟუტავი ლურჯი შუქი კედლის გასწვრივ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ტანზე. შუბლიდან ოფლს ნახშირის მტვერი პირდაპირ თვალებში ჩამოჰქონდა და უმოწყალოდ სწვავდა. სული ეხუთებოდა მუცელზე ხოხვისას და ახლა სხეული რომ გამართა, შვება იგრძნო. ხარბად შეისუნთქა ჰაერი, მაგრამ სად იყო ჰაერი! გათხევადებული ცეცხლი ჩასდიოდა ფილტვებში. სწვავდა და აღრჩობდა. მთელ მარკასში ეს ყველაზე საშინელი ადგილი მხოლოდ შუასაუკუნეებრივი წამების საკანს თუ შეედრებოდა.

- Tiens, tien! — წამოიძახა ნაცნობმა ხმამ, — C'est monsieur Vincent (*დახე, დახე! ეს ხომ მუსიე ვინსენტია — ფრ.).

მოხვედით განა, რომ თქვენი თვალით ნახოთ რაში ვღებულობთ ორმოცდაათ ცენტს, მუსიე? ჟაკი შესამოწმებლად ლამპებთან მივიდა. მიმქრალი ლამპის თავზე ლურჯი ზოლი ირკალებოდა და ცეცხლს ანთების საშუალებას არ აძლევდა.

— ჟაკის აქ ჩამოსვლა არ შეიძლება, — წასჩურჩულა ვინსენტს დეკრუკმა, რომელსაც თვალები თეთრად უელავდა. — შეიძლება სისხლის დენა აუტყდეს და ზემოთ აყვანა გაჭირდება.

— დეკრუკ! — დაუძახა ჟაკმა, — დილიდანვე ასე ანთია ლამპები?

— დიახ, — უდარდელად უპასუხა დეკრუკმა, — მაღაროს აირი დღითიდღე მატულობს. ერთხელაც იქნება იფეთქებს და ჩვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება.

— გასულ კვირას ხომ ამოვტუმბეთ, რაც გაზი იყო.

— ისევ ისე გროვდება და გროვდება, — უთხრა დეკრუკმა, თან სიამოვნებით ჩამოისვა ხელი ნაიარევზე.

— მაშინ ერთ დღეს კიდევ უნდა შეაჩეროთ მუშაობა და გასუფთავდეს აქაურობა.

მაღაროელები ერთად აყაყანდნენ:

— ბავშვები როგორ დავაპუროთ!

— ისედაც არ გვყოფნის ხელფასი და ახლა მთელი დღე დავკარგოთ?!

— როცა ჩვენ აქ არა ვართ, მაშინ გაწმინდეთ!

— ჩვენც ხალხი ვართ, შიმშილით ხომ არ უნდა დაგვხოცონ.

— არა უშავს, — გაიცინა დეკრუკმა, — მაღარო ვერაფერს მიზამს. თუმცა კი ბევრს ეცადა. მე მოხუცებულობამდე უნდა მოვიყარო და ჩემი დღით მოვკვდე. მართლა, ვერნეი, რომელ საათია, ჭამა არ გვინდა?

ჟაკმა ცისფერ შუქთან მიიტანა საათი.

— ცხრაა.

— კარგია! შეგვიძლია ვისადილოთ.

გაოფლიანებულმა, გამურულმა მუშებმა, რომელთაც თეთრად მხოლოდ თვალები უელავდათ, მაშინვე მიყარეს იარაღები, კედელზე ზურგმიყრდნობილი დასხდნენ და ჩანთების გახსნას შეუდგნენ. უფრო გრილ ადგილას გადასვლის უფლებას არ აძლევდნენ თავს, რომ ნორმალურად ესადილათ, რადგან მხოლოდ თხუთმეტ წუთს ისვენებდნენ. სანამ იქით გახოხდებოდნენ და უკანვე მობრუნდებოდნენ, დიდი დრო დასჭირდებოდათ. ამიტომ პირდაპირ იმ სიცხეში ჩამოსხდნენ; ორი ნაჭერი პურისა და ხაჭოსაგან დამზადებულ სენდვიჩს დამშეულები ხარბად დააცხრნენ. ჭუჭყიანი თითების ნაკვალევი შავ ზოლებად აჩნდებოდა თეთრ

პურს. თითოეულს თითო ბოთლი შემთბარი ყავა ჰქონდა წამოღებული, რომ პურზე დაეყოლებინათ.

სულ ეს იყო მათი საჭმელი; აი რისთვის მუშაობდნენ დღეში ცამეტ საათს.

ექვსი საათი გავიდა, რაც ვინსენტი მაღაროში ჩავიდა. უჰაერობით სული ეხუთებოდა, სიცხე და მტვერი ახრჩობდა. ფიქრობდა, მეტს ვეღარ გავძლებო, და როცა ჟაკმა უთხრა, ჩვენი წასვლის დროც მოვიდაო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— გაზზე თვალი გეჭიროს, დეკრუკ, — დაუბარა ჟაკმა, — როგორც კი შეამჩნევ, რომ იმატა, სჯობს, შენი ბრიგადა ზევით ამოიყვანო.

დეკრუკმა უსიამოვნოდ გაიცინა.

— მერე, მოგვცემენ იმ გაცდენილი დღის ორმოცდაათ ცენტსაც?

ჟაკი ვერაფერს უპასუხებდა, ეს დეკრუკმაც მშვენივრად იცოდა. ვერნეიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ხვრელში შეძვრა.

ვინსენტი უკან მიჰყვა. მურიანი ოფლი მხედველობას უშლიდა.

ნახევარ საათში იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ლიფტი მუშებით და ქვანახშირით იტვირთებოდა. ჟაკი ერთ სანგრევში შევიდა, სადაც ცხენები ჰყავდათ, ბევრი ახველა და შავი ნახველი ამოიღო. ლიფტში, რომელიც ჭიდან ამოზიდული ვედროსავით მიჰქროდა ზევით, ვინსენტი ჟაკს მიუბრუნდა:

— ამიხსენით, მუსიე, რატომ არ ანებებენ თავს ამ მაღაროს მუშები. ნუთუ არ შეუძლიათ სადმე სხვაგან წავიდნენ ან სხვა სამუშაო მონახონ?

— ვინსენტ, ძვირფასო, სად არის სხვა სამუშაო! წასვლით კი ვერსად წავლენ, მაგის ფული ვისა აქვს? მთელ ბორინაჟში ერთ ოჯახსაც ვერ ნახავთ, რომ თუნდაც ერთი ფრანკი ჰქონდეს გადანახული. თუმცა, რომ შეგვეძლოს, ფეხს მაინც არ მოვიცვლიდით. მეზღვაურმა ხომ იცის, რა საფრთხე მოელის მას ზღვაზე, მაგრამ ხმელეთზე გადმოვა თუ არა, მაინც ზღვა ენატრება. ჩვენც ასე ვართ, მუსიე, გვიყვარს მაღარო და მიწისქვეშ ყოფნა ყველაფერს გვირჩევნია. ჩვენ მხოლოდ იმას მოვითხოვთ, რომ ხელფასი მოგვიმატონ, სამუშაო საათები შეამცირონ და უსაფრთხოება გაზარდონ.

ლიფტი ზემოთ ამოვიდა. როგორც კი თოვლით დაფარულ ეზოში გამოაბიჯა, მზის სუსტმა შუქმა თვალი მოსჭრა ვინსენტს. პირსაბან ოთახში შევიდა. სარკეში დაინახა, რომ კუპრივით გაშავებოდა სახე, მაგრამ არ დაიბანა, სასწრაფოდ მინდორში გამოვიდა. ბურანში იყო. ისუნთქავდა სუფთა ჰაერს და უკვირდა, ციებ-ცხელება ხომ არ დამემართა ან ეს რა სიზმარი ვნახეო. როგორ, ნუთუ ღმერთს შეუძლია დაუშვას, რომ ძეთა მისთა ასე დამონებულებს ხედავდეს. არა და არა. ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო.

ვინსენტმა გვერდი აუქცია დენის სახლს, რომელიც ყველა სხვა ნაგებობას სჯობდა სოფელში და დაუფიქრებლად გაემართა ჭუჭყიანი ლაბირინთისაკენ. დეკრუკის ქოხზე მიაკაკუნა.

ჯერ არავინ გამოეპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ ექვსი წლის ბიჭუნა გამოჩნდა, ფერმკრთალი იყო, გამხდარი და დალეული, მაგრამ მაინც დაჰკრავდა მამისეული ვაჟკაცური იერი. ორ წელიწადში ეს პატარაც ყოველ დილით სამ საათზე მარკასში ჩაეშვებოდა და ურიკებს ნახშირით დატვირთავდა.

— დედა ტერილზე წავიდა, — წვრილი ხმით უთხრა ბიჭმა, — დაელოდეთ, მუსიე ვინსენტ. მე პატარებს ვუვლი.

დეკრუკის ორი უმცროსი ბავშვი, რომელთაც უხეში ტილოს მეტი არაფერი ეცვათ და სიცივისაგან გალურჯებულიყვნენ, იატაკზე თამაშობდა ჯოხებით და თოკის ნაგლეჯით.

უფროსი ბიჭი ტერილს უკეთებდა ღუმელს, მაგრამ ცეცხლი ვერ გაეჩაღებინა. ამათ შემხედვარე ვინსენტს გააჟრჟოლა.

ბავშვები მაშინვე საწოლში ჩააწვინა და საბანში შეფუთა. არ იცოდა, რამ მოიყვანა ამ ქოხში. მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა დეკრუკებისათვის, როგორღაც დახმარებოდა. უნდოდა ეთქვა, მხოლოდ ახლა გავიგე თქვენი სიღარიბის მთელი საშინელებაო.

დეკრუკის ცოლი დაბრუნდა. ხელები და სახე გაჭუჭყიანებოდა. პირველად ვერც კი იცნო ამოსვრილი ვინსენტი, შემდეგ კედელზე მიჭედებულ ყუთთან მიირბინა და ყავა შედგა ღუმელზე, გაათბო და სტუმარს მიართვა. შავი ყავა ოდნავ შემთბარიყო, მაგრამ ვინსენტმა მაინც დალია, — უნდოდა ამ კეთილი ქალისათვის ესიამოვნებინა. — — ტერილი ძალიან გაფუჭდა, მუსიე ვინსენტ, — შესჩივლა დეკრუკის ცოლმა. კომპანია სულ აღარაფერს იძლევა. აბა როგორ გავათბო ბავშვები. ამ პერანგის და წინდების მეტი ტანსაცმელი არა აქვთ. ტილოს პერანგები სხეულს უხეხავს. სულ ლოგინში რომ იწვნენ, როგორღა გაიზრდებიან?!

ვინსენტს ცრემლები მოადგა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ასეთი სავალალო სიღატაკე ჯერ არსად ენახა. პირველად ახლა გაიფიქრა, რა უნდა უშველოს ამ ქალს ლოცვებმა და ბიბლიამ, როცა ბავშვები სიცივისაგან ეთოშებიანო. სად არის ღმერთი, რატომ არ ხედავს რა ხდება აქ! ჯიბეში რამდენიმე ფრანკი ედო.

ამოიღო და დეკრუკის ცოლს გაუწოდა.

— ამით შალის შარვლები უყიდეთ ბავშვებს.

ვინსენტმა კარგად იცოდა, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, ბორინაჟში ასობით ბავშვი კანკალებდა სიცივისაგან. დეკრუკის ბავშვებიც ასევე იქნებიან, როცა ის შარვლები გაუცვდათ.

დენის სახლისაკენ აუყვა აღმართს. სამზარეულოში თბილოდა და სიმყუდროვე იგრძნობოდა. მადამ დენის წყალი გაეცხელებინა, დაიბანეთო. ვახშმად წუხანდელი დარჩენილი, გემრიელად შეზავებული კურდღლის ხორცი გამოუტანა. როცა დაინახა, რომ ვინსენტი დაღლილი იყო და უგუნებოდ გამოიყურებოდა, ცოტაოდენი კარაქიც წაუსვა პურზე.

ვინსენტი თავის ოთახში ავიდა,. დანაყრებულმა სითბო იგრძნო. საწოლი განიერი და მოხერხებული ჰქონდა, თეთრეული თოვლივით თეთრი, კედლებზე სახელგანთქმული მხატვრების ტილოები ეკიდა, შიფონერის უჯრა გამოწია, პერანგებს, საცვლებს, წინდებს და ჟილეტებს თვალი შეავლო. ახლა გარდერობის კარი გამოაღო და ორ წყვილ ახალთახალ ფეხსაცმელს დახედა. თბილი პალტო და კოსტიუმებიც აქ ეკიდა. გაიძვერა და მხდალი ვარ, მეტი არაფერი, ფიქრობდა ვინსენტი. მუშებს იმას ვუქადაგებ, სიღარიბე სათნოებაა-მეთქი, მე კი არაფერი მაკლია და ფუფუნებით ვცხოვრობ. თვალთმაქცურად ვისვრი სიტყვებს! რისი მაქნისია ჩემი რწმენა. ღირსი ვარ, მაღაროელებმა შემიზიზღონ და ბორინაჟიდან გამაძევონ.

თითქოს მათ ბედს ვიზიარებ. სინამდვილეში კი არც მცივა, ტანსაცმელიც ლამაზი და კოხტა მაცვია, მოხერხებულ საწოლზე მძინავს და თითო ჯერზე გაცილებით მეტს ვჭამ, ვიდრე ისინი მთელი კვირის განმავლობაში. ამის სანაცვლოდ, მუშაობა სრულიად არ მიხდება. ყველას ვატყუებ და თავი კარგ კაცად მომაქვს! მაღაროელებმა ჩემი არც ერთი სიტყვა არ უნდა ირწმუნონ, არც ქადაგებას დაესწრონ და არც თავიანთ სულიერ მამად მიმიჩნიონ. დავმარცხდი, მწარედ დავმარცხდი!

ახლა ორიდან ერთ-ერთი უნდა ვირჩიო: ან ბორინაჟს გავეცალო ღამით, რომ არავინ დამინახოს, მოვასწრო, ვიდრე მიხვდებიან რა მატყუარა და მშიშარა ვინმე ვარ, ან არადა გამოვიყენო ის ცოდნა, რამაც დღეს თვალები ამიხილა და მართლაც ღვთის მოციქულად ვიქცეო.

შიფონერში რაც ეწყო, ყველაფერი გამოიღო და სასწრაფოდ ჩემოდანში ჩაალაგა. აქვე ჩადო კოსტიუმები, ფეხსაცმელი, წიგნები, სურათები და ჩემოდანი ჩაკეტა. შემდეგ სკამზე დადო და სიხარულისაგან ატაცებული გარეთ გამოვარდა.

ხრამის ძირში ნაკადული მოწანწკარებდა. იმის იქით კი ხევის მეორე ფერდობზე ფიჭვის ტყე იწყებოდა. აქაც იყო მაღაროელთა რამდენიმე ქოხი. კარგა ხნის ძებნისა და კითხვა-კითხვის შემდეგ ვინსენტმა მიაგნო ისეთ ქოხს, სადაც არავინ ცხოვრობდა. ეს ფიცრული, რომელსაც ფანჯარაც კი არ ჰქონდა, მეტად ციცაბო ადგილას იდგა. იატაკი მიწისა ჰქონდა, მაგრამ ხმარებისაგან დატკეპნილი. გაუთლელი ძელებით შეკავებული ჭერის ფიცრებიდან დამდნარი თოვლი ჟონავდა და რაკი მთელ ზამთარს აქ არავინ ცხოვრობდა, კედლის ნახვრეტებიდან და ნაპრალებიდან ყინულივით ცივი ქარი უბერავდა.

— ვისია ეს სახლი? — შეეკითხა ვინსენტი ქალს, რომელიც თან ახლდა.

— ერთი ვამელი ვაჭრისა.

— როგორ აქირავებს, არ იცით?

— თვეში ხუთ ფრანკად.

— მშვენიერია მე ვიქირავებ.

— კი მაგრამ, მუსიე ვინსენტ, აქ ცხოვრება. არ შეიძლება.

— რატომ?

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ თავზე დაგენგრევათ. ეს ჩემს ქოხზედაც კი უარესია. ასეთი უბადრუკი ქოხი მთელ მცირე ვამში არ არის.

— ეს არის სწორედ ის, რაც მე მინდა.

ვინსენტი კვლავ მთის წვერზე ავიდა. ძლივს არ დაიმშვიდა გული! სანამ ვინსენტი წასული იყო, მადამ დენიმ შემთხვევით მის ოთახში შეიხედა და ჩალაგებული ჩემოდანი დაინახა.

— მუსიე ვინსენტ, რა მოხდა? ასე უცებ რატომ გადაწყვიტეთ ჰოლანდიაში დაბრუნება?

— არსადაც არ მივდივარ, მადამ დენი, ბორინაჟში ვრჩები.

— აბა რაღატომ...? — სახეზე განცვიფრება დაეტყო.

როცა ვინსენტმა აუხსნა ყველაფერი, მადამ დენიმ წყნარად უთხრა: — მერწმუნეთ, მუსიე ვინსენტ, თქვენ ასეთ ცხოვრებას ვერ შესძლებთ. მიჩვეული არა ხართ. იესო ქრისტეს შემდეგ დროება შეიცვალა. ახლა ყველა იმას ცდილობს, რაც შეიძლება, უკეთ იცხოვროს. ხალხმა უამისოდაც იცის რა ღვთისნიერი ადამიანი ხართ.

ვინსენტმა მაინც არ გადათქვა. ინახულა ის ვამელი ვაჭარი, ქოხი იქირავა და გადასახლდა. როცა რამდენიმე დღის შემდეგ ორმოცდაათი ფრანკის ჩეკი, თავისი პირველი ხელფასი, მიიღო, ხის ვიწრო საწოლი და ძველი ღუმელი შეიძინა. ამ ხარჯებს გარდა კიდევ დარჩა რამდენიმე ფრანკი, იყიდა პური, ყველი და ყავა, თვის ბოლომდე სამყოფი. სახლის სახურავზე მიწა დააყარა, რომ წყალი არ ჩამოსვლოდა. ჭუჭრუტანები უხეში ტილოს ჩვრებით ამოგმანა. ახლა ისეთსავე ქოხში ცხოვრობდა, როგორშიც მაღაროელები. მათსავით იკვებებოდა, მათსავით ეძინა. იმათგან არაფრით განირჩეოდა. ახლა სრული უფლება ჰქონდა მათთვის უფლის სიტყვა მიეტანა.

13.

კომპანია „შარბონაჟ ბელჟიკს“ ვამის მიდამოებში ოთხი მაღარო ეკუთვნოდა. მისი მმართველი არც თუ ისე გაუმაძღარი ცხოველი აღმოჩნდა, როგორსაც ვინსენტი მოელოდა. მართალია, ჩასუქებული კაცი იყო, მაგრამ კეთილი, თანაგრძნობით სავსე თვალები და დამნაშავე კაცის მიხრა- მოხრა ჰქონდა.

ვინსენტმა გაცხარებით აუწერა მაღაროელთა მძიმე მდგომარეობა. მმართველიც ყურადღებით უსმენდა.

— ვიცი, მუსიე ვან გოგ. — უთხრა ბოლოს, — ეს ახალი ამბავი არ არის. მუშები ფიქრობენ, რომ ჩვენ განგებ ვხოცავთ მაგათ და ჩვენ კი დიდ მოგებას ვნახულობთ. მაგრამ მერწმუნეთ, მუსიე, ასე არ არის. თუ გნებავთ, შემიძლია დიაგრამებიც გიჩვენოთ, პარიზში მაღაროთა საკავშირო ბიუროს მიერ გამოშვებული.

მან კარგა მოზრდილი ქაღალდი მაგიდაზე გაშალა და ქვემოთა ლურჯ ხაზზე მიუთითა.

— ნახეთ, მუსიე, ბელგიის მაღაროები ყველაზე ღარიბია მთელ მსოფლიოში. ქვანახშირის ამოღება ისე ძვირი გვიჯდება, რომ შეუძლებელია საერთო ბაზარზე მისი მოგებით გაყიდვა.

საწარმოო ხარჯები ყველაზე მაღალი გვაქვს, მოგება კი ყველაზე მცირე, რადგან იძულებული ვართ ისევე გავყიდოთ, როგორც სხვა მაღაროები ყიდიან, თუმცა ტონა ქვანახშირის ამოღება იმათ გაცილებით იაფი უჯდებათ. ჩვენ გაკოტრების პირას ვართ, გამიგეთ, რას გეუბნებით?

— თითქოს.

— მუშებს რომ ერთი ფრანკი მოვუმატოთ დღეში, ჩვენი საწარმოო ხარჯები ქვანახშირის ფასს გადააჭარბებს. იძულებული გავხდებით წარმოება დავხუროთ. აი მაშინ კი მართლაც შიმშილით დაიხოცებიან.

— არ შეიძლება, რომ მეპატრონეებმა მიიღონ ნაკლები მოგება, მაშინ ხომ მუშებს მეტი დარჩებათ?

მმართველმა ნაღვლიანად გააქნია თავი.

— არა, მუსიე. იცით თუ არა თქვენ, რის საფუძველზე არსებობს მაღაროები? კაპიტალის. სწორედ ისე, როგორც სხვა წარმოებები. და თუ კაპიტალი მოგებას არ ნახავს, მაშინ იგი სხვაგან გადაინაცვლებს. დღეს „შარბონაჟ ბელჟიკის“ მაღაროები მხოლოდ სამ პროცენტ მოგებას გვაძლევს. ნახევარი პროცენტითაც რომ შემცირდეს, იმავე წუთში ყველა თავის წილს გაიტანს კომპანიიდან. მაშინ კი მაღარო უნდა

დაიხუროს, რადგან კაპიტალის გარეშე ვერაფერს გავხდებით და ისევ შიმშილი იქნება მუშების ბოლო. თქვენც ხომ ხედავთ, მუსიე, რომ არც მფლობელები, არც მმართველი არ ქმნის იმ საშინელ პირობებს, რაც ბორინაჟშია. ამის მიზეზი მხოლოდ ქანების უხეირო განლაგებაა, რამიც მე მგონი ერთადერთი ღმერთია დამნაშავე.

სხვა დროს ვინსენტი ალბათ ვერ აიტანდა ღმერთის აუგად ხსენებას, მაგრამ ახლა არაფერი უთქვამს. ახლა მხოლოდ მმართველის ნათქვამზე ფიქრობდა.

— იქნებ სამუშაო დროის შემცირება შეიძლებოდეს. ცამეტი საათი მუშაობა იგივე სიკვდილია.

— არა, მუსიე, არ შეგვიძლია. ეს ხომ ხელფასის მომატებას უდრის. მაშინ ისინი დღეში თხუთმეტი ცენტის საფასურად ნაკლებ ქვანახშირს მოგვცემენ და საწარმოო ხარჯები ისევ აიწევს.

— არსებობს ერთი რამ, რაც უეჭველად შეგიძლიათ გააკეთოთ.

— თქვენ გულისხმობთ უსაფრთხოებას?

— სხვა თუ არა, ის ხომ მაინც შეგიძლიათ, რომ უბედური შემთხვევები და სიკვდილიანობა შეამციროთ მაღაროში.

მმართველმა კვლავ აუჩქარებლად გაიქნია თავი.

— არა, მუსიე, არ შეგვიძლია. ახლა აქციებს ვერ გავყიდით, ჩვენი დივიდენდები მეტისმეტად დაბალია. არავითარი ზედმეტი თანხები არ გაგვაჩნია, რომ უსაფრთხოებაზე დავაბანდოთ. ეჰ, მუსიე, სრულიად უიმედო, გამოუვალი მდგომარეობაა.

მე თვითონ ამაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ ამაოდ. ოდესღაც ღვთის მოშიში კათოლიკე, ურწმუნო და ღვთისმოძულე კაცი გავხდი. არ მესმის, იმ დალოცვილმა ღმერთმა რატომ შექმნა ასეთი პირობები და ხალხის ერთი მოდგმა რატომ დაუმონა სამუდამო სიღატაკეს, ისე რომ იმედის არავითარი ნატამალიც კი არ შეარჩინა.

ვინსენტს აღარაფერი დარჩენოდა სათქმელი. გაოგნებული შინისაკენ გაეშურა.

14.

იმ წელს ძალიან სუსხიანი თებერვალი დაიჭირა. ველზე და მთის წვერზე ქარბუქი მძვინვარებდა და სიარულის საშუალებას არ იძლეოდა. მაღაროელთა ქოხებს ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ტერილი, მაგრამ გაყინული ქარი შავი მთებისაკენ ფეხსაც არ ადგმევინებდა ქალებს. სხეულს მხოლოდ ტილოს ტანსაცმელი, ბამბის წინდები და თავსაფრები უფარავდათ. ასეთი სამოსი აბა როგორ დაიცავდა ქარისაგან. ბავშვები ლოგინიდან აღარ დგებოდნენ, რომ არ გაყინულიყვნენ. ცხელი საჭმელი სანატრელი გაუხდათ — ღუმელს ვერაფრით ათბობდნენ. გავარვარებული სანგრევებიდან ამოსული მუშები პირდაპირ ყინვაში გადიოდნენ. დათოვლილ მინდორში გაჭირვებით მიიკვლევდნენ სახლის გზას. ქარი შიგ სახეში სცემდათ, დღე ისე არ გავიდოდა, რომ ჭლექით ან ფილტვების ანთებით ვინმე არ მომკვდარიყო. ბევრს გადაუხადა პანაშვიდი იმ წელს ვინსენტმა.

სახეგალურჯებულ ბავშვებს აღარ ასწავლიდა კითხვას. დილიდან საღამომდე მარკასის მთებს აღარ შორდებოდა, რომ ცოტაოდენი ქვანახშირი მოეგროვებინა და შემდეგ უღარიბეს ქოხებში გაენაწილებინა. ახლა აღარ სჭირდებოდა სახის

მოთხუპვნა. მაღაროელთა ეს ნიშანი უკვე არ სცილდებოდა. უცხო კაცი რომ მოსულიყო მცირე ვამში, ვინსენტსაც პირგამურულს დაუძახებდა.

ერთხელ, შავ პირამიდაზე ზევით-ქვევით ცოცვაში, როგორც იქნა, ნახევარი ტომარა ქვანახშირი მოაგროვა. გაყინული გოროხები დალურჯებულ ხელებს უსერავდა. ოთხი საათი სრულდებოდა, როცა იფიქრა, მეყოფა, ახლა ამ ქვანახშირს რამდენიმე ქოხში მაინც მივიტან, რომ ქალებმა ქმრებს ყავა დაახვედრონო. მარკასის კარს რომ მიუახლოვდა, მუშები გამოეფინენ. ზოგი ცნობდა ვინსენტს და გამარჯობაო, ბუტბუტებდა, სხვები კი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი, აბუზულები და თვალებდახრილები მიაბიჯებდნენ.

ყველაზე ბოლოს ჩია ტანის მოხუცი გამოვიდა. ძლიერი ხველებისაგან მთელი ტანი უცახცახებდა და ფეხზე ძლივს იდგა.

მუხლები უთრთოდა და როცა დათოვლილი მინდვრებიდან სუსხიანმა ქარმა წამოუბერა, ისე შეტორტმანდა, თითქოს გაარტყესო. კინაღამ გაყინულ თოვლში პირქვე ჩაემხო. მალე ძალ-ღონე მოიკრიფა და გაჭირვებით განაგრძო გზა, თან ცდილობდა ქარს არიდებოდა. ბეჭებზე ტომრის ნაგლეჯი მოეხვია, ალბათ ვამის რომელიღაც მაღაზიაში ეშოვნა. ზურგზე ასოები მოჩანდა. ვინსენტი კარგად დააკვირდა და გაარჩია Fragile (*მინა — ფრ.). როცა ტერილი მაღაროელთა ქოხებში დაარიგა და თავის ქოხში დაბრუნდა, ვინსენტმა ტანსაცმელი საწოლზე ამოალაგა. აქ იყო ხუთი პერანგი, სამი საცვალი, ოთხი წყვილი წინდა, ორი წყვილი ფეხსაცმელი, ორი კოსტიუმი და მეორე პალტო — ჯარისკაცის ფარაჯა. ერთი პერანგი, ერთი წყვილი წინდა და ერთი საცვალი ლოგინზე დასტოვა. სხვა დანარჩენი ისევ ჩემოდანში ჩაალაგა.

კოსტიუმი იმ მოხუცს მისცა, ზურგზე Fragile რომ ეწერა, საცვლები და პერანგები დედებს, დასჭერით და ბავშვებს გადაუკეთეთო; წინდები იმ ჭლექიან მუშებს დაურიგა, რომლებიც მარკასში ეშვებოდნენ, თბილი პალტო კი ორსულ ქალს, რომლის ქმარი მაღაროში ჩამონგრევის მსხვერპლი გახდა. ახლა ეს ქალი იძულებული იყო ქმრის ადგილი დაეჭირა, რომ ორი პატარა ბავშვი როგორმე გამოეკვება.

საბავშვო სალონი დაიხურა. ვინსენტს არ უნდოდა ქალებისათვის ტერილი დაეკლო. ამასთან აქაურები ტალახში ზედმეტ ჭყაპუნს ერიდებოდნენ, რომ ფეხი არ დასველებოდათ. ვინსენტი ოჯახებს ჩამოივლიდა ხოლმე და ყველასთვის ცალ-ცალკე წირავდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ხედავდა, რომ უმჯობესი იყო უფრო პრაქტიკულ საქმიანობას მოჰკიდებოდა — მკურნალობას, დაბანას, მასაჟებს, ცხელი სასმელებისა და წამლების დამზადებას. ბიბლია აღარ დაჰქონდა თან, რადგან მისი გადაშლის დროც არ იყო. ღვთის სიტყვა მუშებს მიუწვდომელ ფუფუნებად ექცათ.

მარტში ცოტა დათბა, მაგრამ ახლა ციებამ მოიკიდა ფეხი.

ვინსენტმა თებერვლის ხელფასიდან ორმოცი ფრანკი ავადმყოფების საჭმელსა და წამლებს დაახარჯა, თვითონ კი თითქმის სულ შიმშილობდა. წონაში დაიკლო, კიდევ უფრო ნერვიული და ფიცხი გახდა. გამუდმებულმა ყინვებმა მთელი ენერგია გამოაცალა. თვითონაც ავად იყო — ჩაცვივნული თვალები სადღაც სიღრმეში უელვარებდა, ვან გოგური, მასიური შუბლი თითქმის დაპატარავებოდა, ლოყებზე ღრმულები გაუჩნდა, მხოლოდ ნიკაპი ჰქონდა ძველებურად წინ წამოზიდული.

დეკრუკის ბავშვს მუცლის ტიფი დაემართა. ამან ყველაფერი გაართულა. საწოლი მხოლოდ ორი იყო. ერთზე მშობლებს ეძინათ, მეორეზე — სამ ბავშვს ერთად. ახლა

ის ორი ბავშვი რომ ავადმყოფთან დაეწვინათ, გადაედებოდათ; იატაკზე ვერ დააწვენდნენ — ფილტვების ანთება არ ასცდებოდა. თუ იატაკზე მშობლები დაწვებოდნენ, მაშინ მეორე დღეს მუშაობას ვეღარ შესძლებდნენ. ვინსენტს ბევრი არ უფიქრია.

— დეკრუკ, — უთხრა მან ანრის, როცა იგი მაღაროდან დაბრუნდა, — ვიდრე ივახშმებდეთ, ხომ არ მომეშველებოდით?

— დეკრუკი დაღლილი იყო, თან თავიც სტკიოდა, მაგრამ ფეხათრევით, უხმოდ გაჰყვა ვინსენტს. საწოლზე ორი საბანი იდო.

ერთი ვინსენტმა აიღო და დეკრუკს მიუბრუნდა:

— მაგ ბოლოდან თქვენ მოკიდეთ ხელი. ამ საწოლს ახლავე ავიტანთ თქვენთან ბავშვებისათვის.

დეკრუკმა კბილებში გამოსცრა:

— ჩვენ სამი ბავშვი გვყავს და თუ ღვთის ნებაა, ერთი მოგვიკვდება. მუსიე ვინსენტი კი, რომელიც მთელ სოფელს უვლის, მხოლოდ ერთია და ნებას არ მივცემ თავი მოიკლას!

ეს თქვა და კოჭლობით ოთახიდან გავიდა. ვინსენტმა საწოლი ნაწილებად დაშალა, ზურგზე მოიკიდა, რის ვაი-ვაგლახით დეკრუკის ქოხში აიტანა და ისევ ააწყო დეკრუკი და მისი ცოლი ხმელი პურითა და ყავით ვახშმობდნენ. ვინსენტმა ბავშვი თავის საწოლში გადააწვინა და საბანი დაახურა.

მოგვიანებით, იმავე საღამოს, ვინსენტი მადამ დენის მიადგა და სთხოვა, ცოტა ჩალა ხომ არ გექნებათ, რომ ქოხში წავიღო და ზედ დავიძინოო. მადამ დენი სახტად დარჩა, როცა ვინსენტმა უამბო, რაც მოხდა.

— მუსიე ვინსენტ, — წამოიძახა ქალმა, — თქვენი ძველი ოთახი ჯერ კიდევ თავისუფალია, დაბრუნდით ჩვენთან..

— თქვენ მეტისმეტად კეთილი ქალი ხართ, მადამ დენი, მაგრამ არ შემიძლია.

— ვიცი, ფულის გულისათვის ამბობთ უარს; ეს არაფერს არ ნიშნავს. მე და ჟან ბატისტი საკმაოდ კარგად ვცხოვრობთ, თქვენ უფასოდ შეგიძლიათ ჩვენთან დარჩენა, როგორც ძმას.

განა თქვენ თვითონ არ გვეუბნებით, ღმერთის შვილები ყველანი და-ძმები არიანო.

თავით ფეხამდე გაყინული ვინსენტი კანკალებდა, შიოდა.

ციებისაგან, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე კვირაა არ ეშვებოდა, ჭკუაზე აღარ იყო, შიმშილობისა და უძილობისაგან დასუსტებული, ამდენი უბედურებისა და გაჭირვების ყურებას გადაეღალა და გაგიჟებამდე მიეყვანა. იქ, ზემოთ, თბილი, რბილი და სუფთა ლოგინი ელოდა. იცოდა, მადამ დენი კარგად დააპურებდა და შიმშილის ის საშინელი გრძნობაც გაქრებოდა, ასე რომ უღრღნიდა გულმუცელს; უწამლებდა, შემთბარ ღვინოს დაალევინებდა, ვიდრე კარგად არ გაახურებდა. დასუსტებული ვინსენტი კანკალს აეტანა; ცოტაც და სამზარეულოს წითელი შორენკეცის იატაკზე დაეცემოდა, მაგრამ დროზე შეიმაგრა თავი.

ღმერთი სცდიდა მას. ახლა თუ დამარცხდებოდა, მთელი მისი ნაღვაწი წყალში გადაყრილი იქნებოდა. სოფელს უჭირდა, როგორც არასდროს. ნუთუ უნდა განდგომოდა, როგორც უნებისყოფო, საზიზღარი მხდალი და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ფუფუნებასა და მყუდროებას დახარბებოდა?

— ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს, მადამ დენი, — უთხრა მან, — მაგრამ ნუ მაცდუნებთ და სწორი გზიდან ნუ გადამახვევინებთ, ნუ დამავიწყებთ ჩემს მოვალეობას. თუ ჩალა არა გაქვთ, მაშინ ვშიშობ, პირდაპირ იატაკზე მომიწევს ძილი.

თუ შეიძლება, სხვას ნურაფერს შემომთავაზებთ, სულ ერთია უარი უნდა ვთქვა.

ვინსენტმა ჩალა ქოხის ერთ კუთხეში დაყარა, ნესტიან მიწაზე, დაწვა და თხელი საბანი გადაიხურა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით ხველა აუტყდა, თვალები თითქოს კიდევ უფრო ჩაუცვივდა. ციება გაუძლიერდა. ნახევრად ბურანში იყო. რას აკეთებდა, თვითონაც არ ესმოდა. ტერილის ნამცეციც არ ჰქონდა, რომ ღუმელი დაენთო. რასაც შავ მთებზე აგროვებდა, ყველაფერი მაღაროელთა ქოხებში მიჰქონდა.

თავს უფლებას არ აძლევდა ერთი მუჭა ნახშირი მაინც აეღო თავისთვის. ცოტაოდენი გამხმარი პური შეჭამა და გარეთ გამოვიდა, რომ ყოველდღიურ საქმიანობას შესდგომოდა.

15.

მარტმა უხალისოდ დაუთმო ადგილი აპრილს და მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. ქარი აღარ ზუზუნებდა, არც მზის სხივები დაჰყურებდა ისე ალმაცერად არემარეს;, თოვლმა დნობა იწყო, რაკი თეთრი საფარი მოსცილდათ, ნელ-ნელა გამოჩნდნენ შავი მთები. ტოროლამ დაიწყო დილაობით წკრიალი, ტყეში ხეები გაიკვირტა. ციება ჩაცხრა, დათბა თუ არა, ქალები მაშინვე ჯგუფებად მიადგნენ მარკასის პირამიდას ტერილის მოსაგროვებლად. მალე ქოხებში სასიამოვნოდ აგიზგიზდა ღუმელები. ბავშვებს აღარ უხდებოდათ მთელი დღეები ლოგინში წოლა და ვინსენტმა იხევ გახსნა სალონი. მთელი სოფელი მოგროვდა პირველ ქადაგებაზე. მუშების სევდიანი თვალებიდან ღიმილი გამოკრთოდა. ხალხი ცოტა წელში გამართულიყო. დეკრუკი, რომელმაც თავი თვითონ დაინიშნა მეცეცხლურად და სალონის დამლაგებლად, ღუმელზე ოხუნჯობდა და ენერგიულად ისვამდა თავზე ხელს.

დადგა დრო უკეთესი, — საზეიმოდ აცხადებდა გახარებული ვინსენტი კათედრიდან, — ღმერთმა გამოგცადათ და დარწმუნდა, რომ მტკიცენი ხართ ყველა მძიმე გასაჭირი უკან მოვიტოვეთ. ახლა მინდვრებზე ჯეჯილი დათავთავდება და თქვენც მზე გაგათბობთ, როცა მთელი დღის შრომით დაქანცულნი სახლის წინ ჩამოსხდებით. ბავშვები ტოროლას წკრიალზე გარეთ გამოირბენენ და კენკრის მოსაგროვებლად ტყისაკენ გაეშურებიან. მიაპყარით თვალნი თქვენნი ღმერთს, რამეთუ იგი მოგანიჭებთ სიხარულს. ღმერთი მოწყალეა. ღმერთი სამართლიანია. იგი მოგაგებთ სამაგიეროს რწმენისა და მოთმინებისათვის. მადლობდეთ ღმერთოს, რამეთუ მოგივლინათ დრო უკეთესი, დრო უკეთესი!

მაღაროელები მხურვალედ ლოცულობდნენ. მხიარულმა ხმებმა აავსო ოთახი. მუშები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ.

— მესიე ვინსენტი მართალია. ჩვენს გაჭირვებას ბოლო მოეღო, ზამთარი წავიდა. მოგვევლინა დრო უკეთესი.

რამდენიმე დღის შემდეგ ვინსენტი ბავშვებთან ერთად ტერილს აგროვებდა მარკასის უკან. უცებ შეამჩნიეს, რომ იმ შენობიდან, სადაც ლიფტი იყო, შავი ფიგურები გამორბოდნენ და მინდორში აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

— ნეტავ რა მოხდა, — წამოიძახა ვინსენტმა, — ჯერ სამი საათი არ უნდა იყოს.

— რაღაც ამბავია, — იყვირა ერთმა მოზრდილმა ბიჭუნამ, — ადრეც მინახავს, ასე რომ გამორბოდნენ. ქვემოთ რაღაც მოხდა.

საჩქაროდ მთიდან ჩამოცოცდნენ, ხელები და ტანსაცმელი ქვებზე დაეხეხათ. მარკასის გარშემო მინდორი შავ ფიგურებს გაევსო გეგონებოდათ ჭიანჭველები თავშესაფარს დაეძებენო.

ვიდრე ვინსენტი მარკასთან მივიდოდა, სოფლიდან ხალხმა იწყო დენა. შეშინებული ქალები გაჩქარებით გამორბოდნენ — პაწიები გულზე მიეხუტებინათ, ხოლო უფრო მოზრდილ ბავშვებს ხელჩაკიდებულს მოარბენინებდნენ.

მაღაროს კართან ხალხის ყვირილი გაიგონა ვინსენტმა:

„გაზი ! გაზი! ახალ სანგრევში! გამომწყვდეულები არიან!“

ჟაკ ვერნეი ყინვების დროს ლოგინად იყო ჩავარდნილი.

ახლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაღაროსაკენ გამორბოდა.

მკერდი სულ დალეოდა. გვერდით რომ ჩაუარა, ვინსენტი წაეტანა და ჰკითხა:

— რა მოხდა, მითხარით!

— დეკრუკის სანგრევი!.. ხომ გახსოვთ ლურჯი შუქი.

ვიცოდი რომ ასე იქნებოდა.

რამდენი არიან? ვერ მივეშველებით?

— ოცი სატეხია, თითოეულში 5 კაცი. თქვენც ხომ ნახეთ.

— შეიძლება მათი გადარჩენა?

— არ ვიცი. სასწრაფოდ მოხალისეთა ბრიგადა უნდა ჩავიყვანოთ.

— მეც წამოვალ, მინდა მოგეხმაროთ.

— არა. მე გამოცდილი ხალხი მჭირდება.

ჟაკმა ეზო გადაჭრა ლიფტისაკენ. თეთრცხენშებმული პატარა საზიდარი მაღაროს კარს მიადგა. ვინ მოთვლის, რამდენი გარდაცვლილი ან დასახიჩრებული მუშა მიუყვანია ქოხებში ამ საზიდარს. დაზარალებულთა ცოლ-შვილი ეპოვნათ და ახლა მაღაროსაკენ ერთად მიეშურებოდნენ. ზოგი ქალი ისტერიულად გაჰკიოდა, სხვები შიშჩამდგარი თვალებით უკან მისდევდნენ. ბავშვების სლუკუნი ისმოდა. ზედამხედველები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ — მეშველი რაზმების შესადგენად იძახებდნენ მუშებს.

უეცრად ხმაური შეწყდა. კიბეებზე რამდენიმე კაცი ნელ-ნელა ჩამოდიოდა, თან საბანში გახვეული რაღაც მოჰქონდათ. წუთით მრავლისმეტყველი სიჩუმე გამეფდა. შემდეგ ისევ აყაყანდა ხალხი — ყვიროდნენ, ტიროდნენ. „ვინ ამოიყვანეს? დაიხოცნენ თუ ცოცხლები არიან? ღვთის გულისათვის, გვითხარით სახელები. გვიჩვენეთ! ჩემი ქმარია იქ!

ჩემი შვილები! იმ სატეხში ჩემი ორი ბავშვი იყო!“

გადარჩენილები საზიდართან მოიყვანეს. ერთ-ერთი მუშა ხალხს მიუბრუნდა:

სამი მზიდავი, რომელთაც ქვანახშირი გამოჰქონდათ, გადარჩნენ, ოღონდ საშინლად დამწვარნი არიან.

— ვინ არიან? ღვთის გულისათვის, გვითხარით ვინ არიან!

გვიჩვენეთ! გვიჩვენეთ! ჩემი შვილი იყო იქ, ქვემოთ! ჩემი შვილი! ჩემი შვილი!

მუშამ საბანი გადასწია და გამოჩნდა ორი ცხრა წლის გოგონას და ერთი ათი წლის ბიჭის სახე. სამივე გონმიხდილი იყო. ამ ბავშვების მშობლები ყვირილით მისცვივდნენ საზიდარს. მათ ხმაში სიხარული და მწუხარება ერთვოდა ერთმანეთს. თეთრცხენიანმა საზიდარმა ბავშვები ოღროჩოღრო გზით სოფლისაკენ წაიყვანა. ვინსენტი და მშობლები გამწარებულები მისდევდნენ გვერდით. უკან ხალხი ბობოქრობდა.

ვინსენტის ყურამდე მათი შიშითა და სიბრაზით სავსე შეძახილები აღწევდა. გარბოდა ვინსენტი და თან უკან იხედებოდა, შესცქეროდა ჰორიზონტზე გრძელ ხაზად წამომართულ ტერილის მთებს.

— შავი ეგვიპტე! — წამოიძახა ხმამაღლა, რომ გულისტკივილისათვის გზა მიეცა, — შავი ეგვიპტე და კვლავ დამონებული ღვთის გამორჩეული ადამიანები! ო, ღმერთო! როგორ უყურებ ამას! როგორ!

ბავშვები სასიკვდილოდ დამწვარიყვნენ. სხეულის იმ ნაწილზე, რასაც ტანსაცმელი არ უფარავდა, არც თმა შერჩენოდათ და არც კანი. ვინსენტი პირველ ქოხში შევიდა. დამწუხრებული დედა ხელებს იმტვრევდა. ვინსენტმა ბავშვს ტანზე გახადა და დაიძახა:

— ზეთი, ზეთი ჩქარა!

ქალს ცოტაოდენი ზეთი აღმოაჩნდა შინ. როცა დამწვარ ადგილებს ზეთი წაუსვა, ისევ იყვირა ვინსენტმა:

— სახვევი!

ქალი ადგილზე გახევდა და შიშჩამდგარი თვალები ვინსენტს მიაშტერა. ვინსენტი გაბრაზდა და იღრიალა:

— სახვევი! გინდათ შვილი მოგიკვდეთ?!

— არაფერი არა გვაქვს, — ბუტბუტებდა ქალი, თეთრი ნაჭრის ნაგლეჯსაც ვერ ნახავთ ჩვენს სახლში. მთელი ზამთარია ასე — ვართ.

ბავშვი ბორგავდა და კვნესოდა. ვინსენტმა პალტო და პერანგი გაიხადა და საცვალი შემოიხია ტანზე. შემდეგ მხოლოდ პალტო ჩაიცვა, სხვა დანარჩენი გრძელ ნაჭრებად დახია და ბავშვი თავიდან ფეხამდე შეახვია. ზეთის ქილას ხელი დაავლო და მეორე ბავშვის ქოხისაკენ გაეშურა. ამ გოგონასაც შეუხვია მთელი სხეული. მესამე ბავშვისათვის აღარ დარჩა სახვევი. ათი წლის ბიჭუნა უკანასკნელ წუთებში იყო. ვინსენტმა ახლა შალის ქვედა საცვალი დახია და შარვალი პირდაპირ ტიტველ ტანზე ჩაიცვა. პალტო მჭიდროდ შემოიკრა ტიტველ მკერდზე და მარკასისაკენ გადაჭრა მინდორი. შორიდანვე მოესმა დამწუხრებული შეძახილები და ცოლებისა და დედების გაუთავებელი ქვითინი.

მაღაროელები კართან შეჯგუფულიყვნენ.

ქვემოთ ერთდროულად მხოლოდ ერთ ბრიგადას შეეძლო მუშაობა. ჩასასვლელი მეტისმეტად ვიწრო იყო. სხვები რიგს ელოდნენ. ვინსენტი ზედამხედველის ერთ-ერთ თანაშემწეს.

გამოელაპარაკა:

— არის რამე იმედი?

— ალბათ უკვე დახოცილებიც არიან.

— მისვლა არ შეიძლება?

— კლდის ქვეშ არიან ჩამარხული.

— რამდენი ხანი დასჭირდება გათხრას?

— კვირეები. იქნებ თვეებიც.
— კი მაგრამ, რატომ, რატომ?
— ადრეც ამდენი ხანი დასჭირდა.
— დაღუპულან და ეს არის!
— ორმოცდაჩვიდმეტი კაცია და ერთი გოგონა.
— ყველა დაღუპულა?
— ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ მათ!

ბრიგადები, ერთმანეთის მონაცვლეებით, ოცდათექვსმეტ საათს მუშაობდნენ. ქალები, რომელთაც ქმრები და შვილები მიწის ქვეშ ეგულებოდათ, ვერაფრით იქიდან ვერ მოაცილეს.

გადარჩენილი მუშები ამშვიდებდნენ, ნუ გეშინიათ ყველაფერი მოგვარდებაო, მაგრამ ქალებმა იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო.

დანარჩენ ქალებს მათთვის ცხელი ყავა და პური მოჰქონდათ, მაგრამ უბედურები არაფერს ეკარებოდნენ. შუაღამე იყო, როცა ჟაკ ვერნეი საბანში შეხვეული ამოიტანეს. სისხლის დენა ასტეხოდა. მეორე დღესვე გარდაიცვალა.

ორმოცდარვა საათმა რომ განვლო, ვინსენტმა შენიშნა, მადამ დეკრუკი ბავშვებიანად შინ წასულიყო. ოცი დღე შეუსვენებლივ თხრიდნენ ჩამარხულებს მოხალისეები. მაღარო არ მუშაობდა. რაც ქვანახშირის ამოღება შეწყდა, უხელფასოდ იყვნენ მუშები. გადანახული თითო-ოროლა ფრანკი მალე დაიხარჯა. მადამ დენი პურს ნისიად ანაწილებდა. მალე მასაც ამოეწურა სახსრები და იძულებული შეიქნა საცხობი დაეხურა. კომპანია არაფერს იძლეოდა. მეოცე დღის ბოლოს მეშველ ბრიგადებს უბრძანეს გათხრები შეეწყვიტათ და მუშაობას შესდგომოდნენ. მცირე ვამში ერთი სანტიმიც არსად იყო და შიმშილობამ დაისადგურა.

მაღაროელები გაიფიცნენ.

ვინსენტმა აპრილის ხელფასი მიიღო თუ არა, მაშინვე ვამისაკენ გაეშურა, ორმოცდაათი ფრანკის საჭმელი იყიდა და ოჯახებს გაუნაწილა. ეს ექვს დღეს ეყო სოფელს. შემდეგ საზრდოსათვის ტყეს მიაშურეს. აგროვებდნენ კენკრას, ბალახის ფოთლებს. კაცები აქეთ-იქით დაძრწოდნენ და ცოცხალ არსებებს დაეძებდნენ — ვირთაგვებს, ლოკოკინებს, გომბეშოს, ხვლიკებს, კატებს, ძაღლებს — ყველაფერს, რასაც შეიძლებოდა შიმშილის გრძნობა მოეკლა. სოფელი ერთიანად გაძვალტყავდა. ვინსენტმა დახმარება სთხოვა ბრიუსელს, მაგრამ პასუხი არსად ჩანდა. მუშები იძულებული იყვნენ გულხელდაკრეფილებს ეცქირათ, როგორ ეხოცებოდნენ თვალწინ ცოლები და შვილები.

ვინსენტს სთხოვეს იმ ორმოცდაჩვიდმეტი დაღუპულის სულის მოსახსენებლად ეწირა, მაღარომ რომ ჩამარხა. ასამდე კაცმა, ქალმა და ბავშვმა მოიყარა თავი ვინსენტის ქოხთან.

ვინსენტი რამდენიმე დღე მხოლოდ ყავაზე იყო. იმ უბედურ დღეს აქეთ, სითხის მეტი არაფერი ჩასვლოდა პირში. დასუსტებულს ფეხზე დგომა უჭირდა. ციებამ თავი შეახსენა და გულსაც კვლავ სასოწარკვეთილება დაუფლებოდა. თვალები დაუვიწროვდა და სულ ერთი ციცქნა გაუხდა. ლოყები ჩაუცვივდა. ყვრიმალის ძვლები ამოებურცა. ჭუჭყიანი, მწითური წვერი გაებურძგნა. ტანზე საცვლების ნაცვლად უხეში ტილო შემოეხვია. ქოხს მხოლოდ ერთი ლამპა ანათებდა. იგი ჭერში, გატეხილ კოჭზე ჩამოეკიდათ. ვინსენტი კუთხეში მიყრილ ჩალაზე იწვა. თავი მკლავზე დაეყრდნო.

მოციმციმე შუქი ფანტასტიკურ ჩრდილებს აჩენდა ქოხის უბადრუკ კედლებსა და მაღაროელთა დანაწამებ სახეებს.

ვინსენტმა აკანკალებული, მისუსტებული ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ სამარისებური სიჩუმე იდგა და ყოველი სიტყვა ისმოდა. პირგამურულები, შიმშილისა და მძიმე შრომისაგან არაქათგამოცლილნი, გამხდარი და განადგურებულნი იდგნენ და ისე შესცქეროდნენ ვინსენტს, თითქოს მათ წინაშე ღმერთი ყოფილიყო. ნამდვილი ღმერთი ხომ მეტისმეტად შორს იყო მათგან.

ქოხში ვიღაცის ხმამაღალი ლაპარაკი შემოიჭრა. კარი ჯახუნით გაიღო და ბავშვის ხმამ დაიძახა:

— აი აქ არის მუსიე ვინსენტი.

ვინსენტი დადუმდა. ბორინაჟელებმა კარისაკენ მიიხედეს.

ქოხში ორი გამოწკეპილი მამაკაცი შემოვიდა. ლამპა წუთით გაკაშკაშდა და ვინსენტმა შენიშნა, რომ ახალმოსულთ შეძრწუნება აღბეჭდოდათ სახეზე.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ღირსო მამაო დე იონგ და ღირსო მამაო ვან დენ ბრიკ! — უთხრა ვინსენტმა ისე, რომ არც კი წამოწეულა, — ჩვენ ახლა იმ ორმოცდაჩვიდმეტი მაღაროელის სულის მოსახსენებელი წირვა გვაქვს, რომლებიც მარკასში ჩაიმარხნენ. იქნებ თქვენც გეთქვათ ამ ხალხისათვის ნუგეშის მიმცემი ორიოდე სიტყვა.

კარგა ხანი დასჭირდათ ღირს მამებს, რომ სათქმელი ეპოვნათ.

— თავზარდამცემია პირდაპირ თავზარდამცემია! — წამოიძახა დე იონგმა და ღიპზე ხმამაღლა დაიტყაპუნა ხელი.

— კაცს ეგონება, აფრიკის ჯუნგლებში მოვხვდიო, — დაამატა ვან დენ ბრიკმა.

— ღმერთმა იცის, რამდენი უკუღმართობა დაატრიალა!

— ამ უბედურთა მოქცევას წლები დასჭირდება.

დე იონგმა ხელები ღიპზე ჯვარედინად დაიწყო და წამოიძახა:

— მე ხომ თავიდანვე ვამბობდი, ამის დანიშვნა არ იქნებამეთქი.

— დიახ! მაგრამ პიტერსენი... ვინ იფიქრებდა, რომ ასე მოხდებოდა. ეს კაცი სულ შეშლილია ჭკუიდან.

— მე მუდამ ვგრძნობდი, რომ დაწყობილი ჭკუის არ უნდა ყოფილიყო. არც ვენდობოდი ხოლმე.

ღირსი მამები დახვეწილი ფრანგულით სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ და ბორინაჟელებმა ერთი სიტყვაც ვერ გაიგეს. ვინსენტი კი ავადმყოფობას იმდენად დაესუსტებინა, რომ ვერ გარკვეულიყო რას ეუბნებოდნენ.

დე იონგმა ღიპით გზა გაიკვლია, ვინსენტს მიუახლოვდა და ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად უთხრა:

— ახლავე სახლებში გარეკეთ ეს ამოსვრილი ძაღლები.

— წირვა?! ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია...

— არა უშავს. ახლავე აქედან მოგვაშორეთ.

მაღაროელებმა ქვეცნობიერად იგრძნეს, რომ წასვლა იყო საჭირო და ნელ-ნელა დაიშალნენ. ვინსენტი ორ მოძღვარს შერჩა ხელში.

— რა დღეში ჩაგიგდიათ თავი? რას ნიშნავს წირვის ამ სოროში ჩატარება?! ეს რა ახალი კერპთაყვანისცემის კულტი შემოგიტანიათ! რა იქნა თქვენი ზრდილობა და

წესიერების გრძნობა? განა ეს საქციელი შეეფერება ქრისტიან მოძღვარს? მართლა ხომ არ გადარეულხართ, როგორ იქცევით!

გინდათ ეკლესია შეურაცხყოთ!?

ღირსი მამა დე იონგი წუთით დადუმდა. ჭუჭყიან ქოხს თვალი მოავლო. ვინსენტი ჩალაზე იწვა, უხეშ ტილოში გახვეული და ჩაცვივნული, ავადმყოფური თვალებით შესცქეროდა მათ.

— ჩვენი ეკლესიისათვის პირდაპირ ბედნიერებაა, მუსიე ვან გოგ, — თქვა დე იონგმა, — რომ მხოლოდ დროებით დაგნიშნეთ. ახლა ისე იფიქრეთ, ვითომც გაგვინთავისუფლებიხართ, იმედი არ გქონდეთ რომ ოდესმე კიდევ მოგცეთ ნება გვემსახუროთ. ჩემი აზრით, თქვენი ქცევა აღმაშფოთებელი და სამარცხვინოა. ხელფასს აღარ მიიღებთ. აქ, დაუყოვნებლივ, ახალ მოძღვარს გამოვგზავნით. იმდენად გულკეთილი ვარ, რომ გიჟად მიმაჩნიხართ, თორემ შემეძლო ქრისტიანობის, ყველაზე დაუძინებელ მტრად მომენათლეთ, როგორიც კი ბელგიის ევანგელურ ეკლესიას ოდესმე ჰყოლია.

სიჩუმე ჩამოწვა.

— აბა, მუსიე ვან გოგ! იქნებ შეგიძლიათ რაიმე გვითხრათ, რომ თავი იმართლოთ?!

ვინსენტს ის დღე გაახსენდა, ბრიუსელში, დანიშვნაზე უარი რომ სტკიცეს. ახლა იმდენად იყო გრძნობისაგან დაცლილი, რომ კრინტიც არ დაუძრავს.

— წავიდეთ, მამაო დე იონგ, — უთხრა ვან დენ ბრიკმა ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, — აქ აღარაფერი გვესაქმება.

წყალწაღებული საქმეა. ახლა ვამში რიგიანი სასტუმრო თუ ვერ ვნახეთ, მოგვიწევს ამ ღამესვე დავბრუნდეთ მონსში ცხენებით.

16.

მეორე ღილით დარბაისელი მუშები მოვიდნენ ვინსენტთან.

— მუსიე, — უთხრეს მათ ვინსენტს, — ახლა, როცა ჟაკ ვერნეი აღარა გვყავს, ერთადერთი თქვენა ხართ, ვისაც ვენდობით. თქვენ უნდა გვირჩიოთ, როგორ მოვიქცეთ. არ გვინდა შიმშილმა მოგვიღოს ბოლო. სთხოვეთ „მათ“, იქნებ შეგვისრულონ მოთხოვნა. მოელაპარაკეთ და შემდეგ, თუკი ვეტყვით მუშაობას შეუდექითო, გავალთ სამუშაოდ. თუ იმას გვეტყვით იშიმშილეთო, ვიშიმშილებთ. ჩვენ მხოლოდ თქვენი რჩევა გვსურს. მუსიე, თქვენი და სხვისი არავისი.

„შარბონაჟ ბელჟიკის“ ფირმაში მოწყენილობა სუფევდა.

მმართველს ვინსენტის ნახვა დიდად ეამა და ყურადღებით მოუსმინა.

— ვიცი, მუსიე, — უთხრა ბოლოს, — მუშები აღშფოთებულნი არიან, ჩამარხულები რომ არ ამოვიყვანეთ. აბა ამაში რა ხეირია? კომპანიამ გადაწყვიტა, იქ აღარ განაახლოს მუშაობა, რადგან ის სატეხი თავის დანახარჯებს ვერ ანაზღაურებს.

იმ მუშების გათხრას მთელი თვე მოვუნდებოდით და რა გამოვიდოდა — ერთი საფლავიდან ამოვიყვანდით და მეორეს მივაბარებდით.

— ცოცხლებზე რაღას მეტყვით? არ შეგიძლიათ მაღაროში უსაფრთხოება გაზარდოთ? ნუთუ მუდამდღე სიკვდილის ცელი უნდა ტრიალებდეს მაღაროში?!

— დიახ, მუსიე, ასე უნდა იყოს, სხვა გზა არა აქვთ. კომპანიას იმისი ფონდები არ გააჩნია, რომ უსაფრთხოებისთვის დააბანდოს. მუშების ყოველი ცდა მარცხით დამთავრდება, რადგან მათი მეტოქე უძლეველი ეკონომიური კანონებია. ყველაზე უარესი ისაა, რომ თუკი მომავალი კვირიდან სამუშაოდ არ გავლენ, მარკასის მაღარო სამუდამოდ დაიხურება. შემდეგ კი ღმერთმა უწყის, რა მოელით მათ.

გაწბილებული ვინსენტი მცირე ვამის გრძელ, მიხვეულ-მოხვეულ გზას ფეხით გაუდგა.

„იქნებ მართლაც ღმერთმა უწყის, — ფიქრობდა მწარედ, — მაგრამ ვაი თუ, არც მან უწყის.“

დღესავით ნათელი გახდა, რომ მაღაროელებს ვეღარაფერს გაუკეთებდა. ახლა უნდა ეთქვა, დაუბრუნდით მაღაროს, იმუშავეთ დღეში ცამეტი საათი იქ, სადაც ჭლექი გელით, იმისათვის რომ ლუკმა-პური გქონდეთო. თითქმის ნახევარ თქვენგანს მოულოდნელი უბედურება მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ხოლო დანარჩენები თანდათან, ხველებით შეეგებებით აღსასრულსო. ვინსენტმა ვერ იხსნა ისინი. თვით ღმერთსაც კი არ შეეძლო მათი შველა. ბორინაჟში ღვთის სიტყვის მოსატანად მოვიდა. ახლა რაღა უნდა ეთქვა, როცა დარწმუნდა, რომ მუშების მტერი მეპატრონეები კი არა, თვით ყოვლისშემძლე უფალი იყო.

როგორც კი ვინსენტმა მუშებს განუცხადა, დაუბრუნდით მაღაროს და კვლავ შეიბით მონის ბორკილებიო, მაშინვე ყოველგვარი რწმენა დაკარგა. მეტად აღარასოდეს იქადაგებდა, თუნდაც კომიტეტს ამის ნება დაერთო. ცარიელ სახარებას რა თავში იხლიდნენ მუშები, როცა ღმერთს მათზე გული აეყარა სამუდამოდ. ვინსენტმა ვერ იქნა და ვერ მოალბო უფალი.

ვინსენტი მხოლოდ ახლა მიხვდა, რასაც უკვე კარგა ხანია გუმანით გრძნობდა. ყველა ეს ყბედობა ღმერთის შესახებ ბავშვობა იყო, უიმედო ტყუილები, რითაც მარტოხელა, შეშინებული მწირი იმშვიდებდა თავს ცივ, ბნელ და სამარადისო უკუნეთისაკენ მიმავალ გზაზე. ღმერთი არ არსებობდა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ ღმერთი არ არსებობდა. იყო მხოლოდ გამოუცნობი, ბორგნეული, სასტიკი ქაოსი. ქაოსი — მაცდური, გაურკვეველი და დაუსრულებელი.

17.

მაღაროში მუშაობა განახლდა. თეოდორ ვან გოგმა, რომელსაც ევანგელურმა კომიტეტმა ყველაფერი შეატყობინა, წერილი და ფული გამოუგზავნა ვინსენტს. ეტენში დაბრუნდიო, სთხოვდა მამა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ სახლში წასულიყო, დენის დაუბრუნდა ვინსენტი. უკანასკნელად ინახულა სალონი, ჩამოხსნა, რაც სურათები ეკიდა კედელზე და თავის ოთახში აიტანა, სხვენზე რომ ეჭირა.

ეს იყო კიდევ ერთი დამარცხება. ამიერიდან კრიტიკულად უნდა მიდგომოდა, მაგრამ რას? აღარც სამუშაო ჰქონდა, აღარც ფული; არც ჯანმრთელობა და ენერგია მოსდევდა, არც არაფრის ხალისი შერჩა, არც სურვილი, არც მიზანი და არც არავითარი იდეალი. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ცხოვრების საფუძველი შეერყა. ოცდაექვსი წლის იყო ვინსენტი და ცხოვრებაში უკვე ხუთჯერ იგემა დამარცხება. მხნეობა არ ჰყოფნიდა ყველაფერი თავიდან დაეწყო. სარკეში დააცქერდა თავის თავს. მწითურ, ხუჭუჭა წვერს სახე დაეფარა, თმა დასცვენოდა, ხორცსავსე, სქელი

ტუჩები ვიწრო ხაზებად გადაქცეოდა. ჩაცვენილი თვალები თითქოს ბნელი გამოქვაბულიდან იცქირებოდნენ. გეგონებოდათ, ვინსენტ ვან გოგის მთელი არსება გამომხმარა, გაციებულა და ამ სხეულში ჩამკვდარაო.

მადამ დენის საპონი სთხოვა, წყლიან ტაშტში ჩამდგარმა გაისაპნა მთელი სხეული ტანზე დაიხედა, სადღა იყო მისი ვაჟკაცური, ჩაფსკვნილი სხეული — არაქათგამოცლილ ძვლებად ქცეულიყო! ფრთხილად, პირწმინდად გაიპარსა, თან უკვირდა, ეს ამდენი უცნაური ძვალი ასე უცებ საიდან გამიჩნდა სახეზეო. ამდენი ხნის შემდეგ პირველად გადაივარცხნა თმა ძველებურად. მადამ დენიმ ქმრის ნაქონი საცვლები და პერანგი ამოუტანა. ვინსენტმა ჩაიცვა და საფუნთუშის მყუდრო სამზარეულოში ჩამოვიდა. იმ საბედისწერო დღის შემდეგ პირველად იგემა ცხელი საჭმელი. უკვირდა, საერთოდ როგორ შემიძლია ჭამაო. ასე ეგონა, ხის შემთბარი ფაფა მიდევს პირშიო.

თუმცა ვინსენტს არ უთქვამს, ქადაგება ამიკრძალესო, მაინც არავის უთხოვია. ეტყობოდა, ქადაგების დარდიც არავის ჰქონდა. იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა მუშებს. სიტყვაძვირი გახდა ვინსენტი, მხოლოდ მისალმებაზე პასუხობდა. აღარ დადიოდა ქოხიდან ქოხში, აღარც მუშების ყოველდღიური ცხოვრება და განცდები აინტერესებდა. მაღაროელები ქვეცნობიერად რაღაცას გრძნობდნენ და თითქოს შეთანხმებულანო, სიტყვაც არავის დასცდენია. გრძნობდნენ, რომ ვინსენტი განუდგა მათ, მაგრამ არ ამტყუნებდნენ, თანაუგრძნობდნენ კიდეც. ცხოვრება ისევ ძველი კალაპოტით მიედინებოდა.

შინიდან წერილი მიიღო ვინსენტმა. ატყობინებდნენ, ქეი ვოსს ქმარი მოულოდნელად გარდაეცვალაო. ვინსენტი იმდენად იყო გამოფიტული, რომ ამ ამბავმა ოდნავადაც არ ააღელვა და მისი გონების რომელიღაც კუნჭულში სამუდამოდ ჩაიმარხა.

კვირა კვირას მისდევდა. ვინსენტი მთელი დღეები ჭამდა, ეძინა, ან იჯდა და გაშტერებული იცქირებოდა. ციებამ ნელ-ნელა გატარა. მომაგრდა, წონაშიც მოიმატა. მხოლოდ მის თვალებს ვერ დაეტყო სიცოცხლის ნიშანწყალი. ზაფხული დადგა. მზემ ელვარე სხივები დააფინა შავ მინდვრებს, საკვამურებს და ტერილის მთებს. ვინსენტი ხშირად დახეტიალობდა აქეთიქით. ეს არც ფიზიკური ვარჯიში იყო და არც ესთეტიკური რამ სიამოვნება. მიდიოდა და არ იცოდა საით, ვერც ვერაფერს ამჩნევდა გარშემო. დადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ წოლის, ჯდომისა და დგომისაგან იღლებოდა. როცა სიარული მოღლიდა, ისევ წვებოდა, ან ჯდებოდა, ან ერთ ადგილას იდგა.

მამის გამოგზავნილი ფული შემოელია. მაგრამ ახლა ძმამ მოსწერა პარიზიდან, ურჩევდა, ბორინაჟში გარიყულ ყოფნას გიჯობს გამოიყენო ის თანხა, რომელსაც წერილთან ერთად გიგზავნი, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და ყველაფერი თავიდან დაიწყოო. ვინსენტმა ეს ფული მადამ დენის გადასცა.

ბორინაჟი არ მოსწონდა, მაგრამ აბა სად წასულიყო, თან მგზავრობას რამდენი ენერგია სჭირდებოდა.

ღვთის რწმენასთან ერთად თავის რწმენაც დაჰკარგა, მაგრამ ყველაზე უარესი ახლა დაემართა — დაჰკარგა ადამიანი, რომელიც თანაუგრძნობდა და ესმოდა მისი, როგორც ეს თვითონ ვინსენტს უნდოდა. თეომ დაივიწყა ძმა. მთელი ზამთარი ყოველკვირა იღებდა თეოს წერილს, ხანდახან ორსაც და ეს ვრცელი, სიყვარულითა

და ინტერესით გამსჭვალული წერილები ამხნევებდა ვინსენტს. ახლა წერილი აღარსად ჩანდა.

თეოსაც დაეკარგა რწმენა — ხელი ჩაიქნია მასზე. ახლა ვინსენტი მარტო დარჩა, სულ მარტო — ღმერთიც კი აღარ ჰყავდა. საიქიოდან მოსულივით ობლად დადიოდა ამქვეყნად და უკვირდა ისევ აქ რა მინდაო.

18.

ზაფხულმა შემოდგომისაკენ იბრუნა პირი. გადახმა ბორინაჟის მეჩხერი ბალახი. ვინსენტის არსება კი ნელ-ნელა გამოცოცხლდა. ჯერ ვერ ბედავდა თავისი ცხოვრებისათვის თვალებში ეცქირა, ამიტომ იყო, რომ სხვის ცხოვრებას მიუბრუნდა.

წიგნები გაიხსენა. კითხვა მუდამ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, ახლა კი სხვათა ცხოვრების ამბავი, მათი გამარჯვება თუ დამარცხება, მწუხარება თუ სიხარული, საკუთარ მარცხს ავიწყებდა.

კარგ ამინდში წიგნით ხელში დილიდან საღამომდე იჯდა სადმე მინდორში. თუ წვიმდა, თავის პატარა ოთახში ავიდოდა და ლოგინში წვებოდა, ან დენის სამზარეულოში სკამზე მიწოლილი კარგა ხანს კითხულობდა გატაცებით. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტს კითხულობდა ვინსენტი.

ეცნობოდა ასობით მისთანა უბრალო ადამიანის ცხოვრებას, რომელთაც მთელი სიცოცხლე ბრძოლაში გაეტარებინათ, სიხარული ცოტა ენახათ, სიმწარე კი ბლომად მათი დახმარებით ვინსენტს ნელ-ნელა თავისი ცხოვრების მიზანიც გაუჩნდა.

ადრე ერთთავად იმას გაიძახოდა, ხელმოცარული ვარ და შავსვიანიო, ახლა კი სულ ის უტრიალებდა თავში, რას მოვეკიდო, რა შემიძლია, სად არის ჩემი ადგილი ამ ქვეყნადო. ყველა წიგნში რჩევას ეძებდა, რა გზას დავადგეო.

მამის წერილები მის ყოფას choquant-ს (*სამარცხვინო — ფრ.) უწოდებდნენ. ფუჭი ცხოვრება არ შეჰფერის პატიოსან ადამიანსო.

ეკითხებოდა, როდის აპირებ მუშაობის დაწყებას, რომ თავი თვითონვე ირჩინო, გახდე საზოგადოების ღირსეული წევრი და წვლილი შეიტანო საერთო საქმეში ამქვეყნადო. რას არ მისცემდა, ოღონდ თვითონ გაეგო ამის პასუხი.

კითხვა მობეზრდა. წიგნის დანახვაც აღარ შეეძლო. მას შემდეგ, რაც ისე მწარედ დამარცხდა, რამდენიმე კვირა გაოგნებული და დასუსტებული იყო, არაფრის თავი არ ჰქონდა. შემდეგ წიგნებმა ნელ-ნელა გადაავიწყეს განვლილი მწუხარება. ახლა კი, როცა თითქმის გამოჯანმრთელდა, თვეების განმავლობაში წვეთ-წვეთად დაგროვილმა გრძნობამ მჩქეფარე ნაკადად იფეთქა და მთელი არსებით კვლავ მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში გადაეშვა. გონება უძლური გამოდგა გრძნობასთან. ასეთი დაცემული არასოდეს ყოფილა და ეს თვითონაც მშვენივრად ესმოდა. გრძნობდა, რაღაც დადებითი მეც მაქვს, მართლა სულ სულელი და უვარგისი ხომ არა ვარ, მეც შემიძლია ხალხს სიკეთე მოვუტანოო. მაგრამ როგორ? ბიზნესის კაცი არ იყო ვინსენტი, ხოლო სხვა დანარჩენი, რაც თითქოს ეხერხებოდა, უკვე სცადა. ნუთუ მისი ხვედრი მუდამ ჭმუნვა და მწუხარება იყო? ნუთუ სასო უნდა წარეკვეთა? კითხვები თავისთავად იბადებოდნენ, პასუხი კი არ ჩანდა. ასე გადიოდა ვინსენტის ცხოვრება. მალე ზამთარიც მოადგა კარს. მამას დროდადრო მოთმინების ფიალა ევსებოდა და ფულს აღარ უგზავნიდა. ვინსენტიც შიმშილობდა.

ახლა თეო მოლბებოდა და ის მოხედავდა ძმას. როცა თეო კარგავდა მოთმინებას, მაშინ ისევ მამა გაიხსენებდა მშობლის მოვალეობას. ისე, რომ ვინსენტი ნახევარჯერ მშიერი დადიოდა.

თებერვლის ერთ ნათელ დღეს ხელცარიელი ვინსენტი უაზროდ დაყიალობდა მარკასის გარშემო. კედელთან მიგდებულ ჟანგიან ბორბალზე ჩამოჯდა. მაღაროს ეზოდან მოხუცი მუშა გამოვიდა. შავი ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა; მობუზული, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, გაძვალტყავებული, მუხლების კანკალით მიაბიჯებდა.

მუშამ რაღაცით მიიზიდა ვინსენტი. ანგარიშმიუცემლად ჯიბისაკენ წაიღო ხელი. ფანქარი და მამის წერილი ამოიღო.

კონვერტზე საჩქაროდ იმ მუშის ჩანახატი გააკეთა, შავ მინდორში გაჭირვებით რომ მილასლასებდა.

წერილი გაშალა. მხოლოდ ცალი მხარე იყო მელნით აჭრელებული. მალე კიდევ ერთი მუშა გამოვიდა მაღაროდან.

ამჯერად ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი. პირველთან შედარებით უფრო მაღალი, წელში გამართული; არც მხრებში იყო იმდენად მოხრილი. იგი რკინიგზის მიმართულებით კედელ-კედელ მიჰყვა მარკასს. იმ რამდენიმე წუთში, ვიდრე ბიჭი თვალს მოეფარებოდა, ვინსენტმა თავისუფლად მოასწრო მისი ჩახატვა.

19.

სახლში ვინსენტმა რამდენიმე სუფთა ფურცელი და მოზრდილი ფანქარი ნახა. მაგიდას მიუჯდა, წინ თავისი ორი ჩანახატი დაიდო და გადახატვას შეუდგა. ხელი არ ემორჩილებოდა. ვერ იქნა და ჩანაფიქრს ხორცი ვერ შეასხა. ფანქარზე ხშირად საშლელს ხმარობდა, მაგრამ ამან ხატვის სურვილი სრულიადაც არ შეუმცირა. ისე გაერთო, ვერ შენიშნა, როდის შემოეპარა ბინდი ოთახში. მაშინღა გამოერკვა, როცა მადამ დენიმ კარზე დაუკაკუნა.

— მუსიე ვინსენტ, — უთხრა მან, — ვახშმის დროა.

— ვახშამიო?! — გაიკვირვა ვინსენტმა, — ნუთუ ასე გვიანაა!

სუფრას ხალისიანად მიუჯდა, თვალებიც უბრწყინავდა.

მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედეს. ვახშამს რომ მორჩნენ, ვინსენტმა ბოდიში მოიხადა და ოთახში ავიდა. პაწია ლამპა აანთო, ის ორი ჩანახატი კედელზე გააკრა, შემდეგ უკან დაიხია, რამდენადაც ოთახი ამის საშუალებას იძლეოდა, რომ სურათის პერსპექტივას დაკვირვებოდა.

— ცუდია, — გაიფიქრა დანანებით, — ძალიან ცუდია.

მაგრამ იქნებ ხვალ დავხატო უკეთ.

დაწვა და ნავთის ლამპა საწოლთან ახლოს, იატაკზე დაიდგა. იმ ორ ნახატს უაზროდ შესცქეროდა, შემდეგ უეცრად სხვა სურათებზე გადაიტანა მზერა. თითქოს პირველად ხედავდა მას მერე, რაც ამ შვიდი თვის წინ სალონის კედლებიდან ჩამოხსნა ისინი. ახლა იგრძნო როგორ მონატრებოდა მხატვრობა. აღრე ვინსენტმა იცოდა, ვინ იყო რემბრანდტი, მილე, ჟიულ დუპრე, დელაკრუა და მარისი. გაიხსენა ყველა ის შესანიშნავი ქმნილება, რომლებიც ოდესღაც მას ეკუთვნოდა, ყველა ის ლითოგრაფია და გრავიურა, რაც მშობლებსა და თეოს გაუგზავნა. გაიხსენა საუცხოო ტილოები, ლონდონის და ამსტერდამის მუზეუმებში რომ ენახა. უნებურად

გადაავიწყდა თავისი უბედურება და ღრმა, მშვიდ ძილს მიეცა. ნავთის ლამპა ნელა ჩაიბუტა და ჩაქრა.

დილის სამის ნახევარი იყო, ვინსენტს რომ გაეღვიძა: სიმხნევე მომატებოდა. სასწრაფოდ ზეზე წამოხტა, ჩაიცვა, ფანქარი და ფურცლები აიღო, სამზარეულოში ფანერის პატარა ნაჭერი იპოვნა, ისიც თან წაიღო და მარკასისკენ გაეშურა.

ისევ იმ დაუანგულ ბორბალზე ჩამოჯდა და სიბნელეში მაღაროელებს დაუწყო ლოდინი.

სწრაფად და ტლანქად ხატავდა. უნდოდა მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება გადაეტანა ქაღალდზე. ერთი საათის შემდეგ, როცა ყველა მუშა ჩაეშვა ძირს, ხელში ხუთი ჩანახატი შერჩა. სახე არც ერთ მათგანს არ ჰქონდა დახატული.

სწრაფი ნაბიჯით შინისაკენ გაეშურა. ერთი ჭიქა ყავა აიტანა თავის ოთახში და ინათა თუ არა, სურათების გადახატვას შეუდგა. ცდილობდა, ნახატისათვის ბორინაჟელების დამახასიათებელი ის თავისებურება მიეცა, რასაც გონების თვალი ამჩნევდა, მაგრამ იქ, სიბნელეში, ვერ გაერჩია, რადგან მუშები სწრაფად უსხლტებოდნენ ხელიდან. ანატომია დაამახინჯა, პროპორციები დაერღვა და სურათებს სასაცილო, უცნაური ელფერი მიეცათ. მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფიგურები ნამდვილი ბორინაჟელები იყვნენ, თავისებურნი და ყველასგან განსხვავებულნი. ვინსენტმა იგრძნო თავისი მოუხერხებლობა და ჩანახატები ნაკუწებად აქცია. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

მის წინ, კედელზე, ალებეს სურათი ეკიდა. დაბალი ტანის მოხუც ქალს ცხელი წყალი და ნახშირი მოჰქონდა გაყინულ ქუჩაში. ვინსენტმა გადახატვა სცადა. ქალის სხეული კი გამოიყვანა, მაგრამ ვერც ქუჩაში მოათავსა და ვერც უკანა პლანზე მოქცეულ სახლებს შეუფარდა. ქაღალდი დაჭმუჭნა და გაგულისებულმა კუთხისკენ გაისროლა. ახლა ბოსბოომის სურათთან ჩამოჯდა. ღრუბლიანი ცის ფონზე განმარტოებული ხე იდგა. თითქოს ყველაფერი მეტად მარტივი ჩანდა — ხე, მიწა და ღრუბლები. მაგრამ ბოსბოომის ჰარმონია არაჩვეულებრივად ზუსტი და დახვეწილი იყო. ვინსენტი მიხვდა, რომ სწორედ მარტივს სჭირდებოდა მკაცრი ზომიერება, სწორედ მარტივი იყო ყველაზე ძნელი განსახორციელებელი.

დილა მიიწურა. როგორც კი უკანასკნელი ფურცელი დახარჯა, მაშინვე ყველაფერი გადმოქექა ვინსენტმა, ფული რამდენი მაქვსო. ორი ფრანკი აღმოაჩნდა. დარწმუნებული, რომ მონსში შეიძლებოდა კარგი ქაღალდის და იქნებ ნახშირის ყიდვაც, ფეხით გაუდგა თორმეტკილომეტრიან გზას. მცირე ვამიდან ვამისაკენ მიმავალ დაღმართზე რომ ჩადიოდა, სახლების წინ მაღაროელთა ცოლები შეამჩნია და თავის საპურყველო გამარჯობას ახლა გულთბილი მოკითხვაც დაურთო. მონსამდე, შუაგზაზე, ერთი პატარა ქალაქი — პატურაჟი იყო. აქ, საფუნთუშის ფანჯარაში ვინსენტმა ლამაზი გოგონა შენიშნა და ხუთცენტიანი ფუნთუშა იმის გულისათვის იყიდა, რომ იმ გოგონასათვის შეეხედა.

პატურაჟიდან კოემომდე მწვანედ ბიბინებდა წვიმისგან გადარეცხილი მინდვრები. გუნებაში გაიფიქრა, როგორც კი მწვანე ფანქარს ვიშოვნი, მოვალ და ამ მინდორს დავხატავო.

მონსში იყიდა ყვითელფურცლებიანი სახატავი ალბომი, ნახშირი და გრიფელის ფანქრები. მაღაზიის წინ დახლზე გრავიურებს ყიდდნენ. ვინსენტმა კარგა ხანს ქექა სურათები, თუმცა იცოდა, რომ ვერაფერს იყიდდა. გამყიდველიც აჰყვა და ისე

მსჯელობდნენ თითოეულ სურათზე, გეგონებოდათ ორი მეგობარი მუზეუმში დააბიჯებსო. კარგა ხნის შემდეგ, როცა სურათებით გული იჯერა, ვინსენტმა უთხრა:

— მაპატიეთ, მაგრამ ამ სურათებიდან ერთსაც ვერ ვიყიდი. ფული არა მაქვს.

გამყიდველმა ქალებისათვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველური ჟესტით მხრები აიჩეჩა და მიუგო:

— არაფერია, მუსიე; კიდევ მოდით. ფული რომც არ გქონდეთ, მაინც მოდით.

უკან დაბრუნებისას თორმეტი კილომეტრი სიამოვნებით გაიარა ვინსენტმა. მზე პირამიდებით დაკბილულ დასალიერზე ჩადიოდა და ღრუბლების ნაპირებს ნაზად, სადაფისფრად ანათებდა. კოემის ქვის სახლები გაცოცხლებულ გრავიურებს მიამსგავსა ვინსენტმა. ბორცვზე რომ ავიდა, თვალწინ მშვიდი, მწვანედ აბიბინებული მინდორი გადაეშალა. თავი ბედნიერად იგრძნო და თვითონვე გაოცდა.

მეორე დღეს მარკასის უკან, ტერილის მთისკენ გაეშურა და შავი ოქროს ნამცეცების საძებრად წახრილი ქალები და ბავშვები დახატა. სადილის შემდეგ მასპინძლებს სთხოვა:

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს სუფრასთან დარჩით, მინდა რაღაც გავაკეთო.

ოთახში აირბინა, ალბომი და ფანქარი ჩამოიტანა და დენის ხატვას შეუდგა. მადამ დენი ზურგიდან მიუახლოვდა და წამოიძახა:

— მუსიე ვინსენტ, თქვენ ნამდვილი მხატვარი ყოფილხართ!

ვინსენტმა დაირცხვინა.

— არა, მე მხოლოდ ვერთობი.

— მშვენიერია, — მოუწონა მადამ დენიმ, — ეს ხომ თითქმის მე ვარ!

— თითქმის, — გაიცინა ვინსენტმა, — და არა ზუსტად.

შინ არაფერი მიუწერია ახალი გატაცების შესახებ. ჯერ ერთი, იცოდა, მაშინვე იტყოდნენ და მართალიც იქნებოდა — ისევ წამოიწყო ვინსენტმა თავისებურიო. როდის იქნება, დადინჯდეს და რაიმე სასარგებლოს მოეკიდოსო. მეორეც იმიტომ, რომ ეს გატაცება მეტად თავისებური იყო. იგი თითქოს მხოლოდ ვინსენტს ეკუთვნოდა, სხვას არავის. ვერაფერი აიძულებდა საკუთარი ნახატების თაობაზე ელაპარაკა ან ეწერა. ადრე არასოდეს ყოფილა ასე ჩაკეტილი, როგორც ახლა, ეშინოდა, უცხო თვალმა არ ნახოს ჩემი ნახატებიო. ეს სურათები ქვეცნობიერად წმიდათაწმიდა იყო ვინსენტისათვის, თუმცა კი არც ერთ შტრიხს სიზუსტის და დახვეწილობის ნატამალი არ ეტყობოდა.

ვინსენტი ისევ ეწვია მაღაროელთა ქოხებს, მაგრამ ამჯერად ბიბლიის მაგივრად ქაღალდი და ფანქარი დაჰქონდა. მუშებს მაინც უხაროდათ მისი ნახვა. დახატა იატაკზე მოთამაშე ბავშვები, ღუმელთან მოფუსფუსე ქალები, მთელი დღის შრომის შემდეგ ვახშმად მსხდომი ოჯახის წევრები, მარკასი, თავისი აზიდული საკვამურებით, ხეობის იქითა მხარეს გაშენებული ფიჭვის ტყეები, პატურაჟელი გლეხები — მიწის დამუშავებისას. ცუდ ამინდში იჯდა თავის ოთახში და კედელზე გაკრულ სურათებს ან წინა დღეს შავად შესრულებულ ჩანახატებს იხატავდა. დაძინების წინ იფიქრებდა, რაც დღეს დავხატე, იქიდან ერთი-ორს არა უჭირსო, დილით კი, როცა წინადღინდელი აღტყინება ჩაუცხრებოდა, რწმუნდებოდა, ნახატები არაფრად ვარგაო და დაუნანებლად სანაგვეში ისროდა. ძველი გულისტკივილი დაივიწყა ვინსენტმა. თავს ბედნიერად გრძნობდა, წინანდელი უბედურება არც კი ახსენდებოდა. იცოდა, სირცხვილი იყო მამისა და ძმის კისერზე ჯდომა, როცა თვითონ თითსაც არ ანძრევდა

ფულის საშოვნელად, მაგრამ ეს არც თუ ისე დიდ დანაშაულად ეჩვენებოდა და ხატავდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ყველა გრავიურა უკვე რამდენჯერმე გადახატა, მიხვდა, რომ თუ სურდა რაიმესთვის მიეღწია, საჭირო იყო მეტი დრო გადახატვისათვის მოენდომებინა. თანაც აუცილებლად დიდი მხატვრის ტილოები უნდა გადაეღო. თუმცა თეოს მთელი წელი სიტყვაც არ მოეწერა ძმისათვის, გროვად დახვავებული თავისი ნაცოდვილარის შემხედვარე ვინსენტმა სიამაყეს თავი ანება და ძმას მისწერა:

„ძვირფასო თეო! თუ არ ვცდები, შენ უნდა გქონდეს მილეს Les travaux des champs (*მინდვრის სამუშაოები — ფრ.).

იქნებ იმდენი სიკეთე გამოიჩინო, რომ მათხოვო და ფოსტით გამომიგზავნო.

არ დაგიმალავ, მე ახლა ბოსბოომისა და ალებეს სურათებს ვიხატავ. რომ განახა, არ დამიწუნებ.

გამომიგზავნე, რაც შეგიძლია, და ჩემზე ნუ სწუხარ. თუ მუშაობას არ მოვწყდი, აუცილებლად შევძლებ ვიპოვნო ჩემი ადგილი.

ახლაც ხატვა შევწყვიტე და გწერ წერილს. ძალიან მეჩქარება, ისევ გავაგრძელო მუშაობა. აბა, კარგად იყავი და ის გრავიურები, რაც შეიძლება, მალე გამომიგზავნე.

გულითადად გართმევ ხელს. „ვინსენტი“.

მალე ახალი სურვილი დაებადა ვინსენტს. უნდოდა ვინმე მხატვართან ესაუბრა, რომ გაერკვია, რას აკეთებდა სწორად, ან სად სცდებოდა. თვითონ კი იცოდა, რომ სურათები არ გამოსდიოდა, მაგრამ ის ვერ გაერკვია, სახელდობრ, რა არ იყო კარგად. უნდოდა ისეთ ვინმეს შეეხედა კრიტიკული თვალით მათთვის, ვინც შემოქმედის სიამაყით არ იქნებოდა დაბრმავებული.

ვისთან მისულიყო? ეს ისეთი შიმშილი იყო, როგორიც გასულ ზამთარს, უპურობის დროსაც არ უგრძვნია. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ამ ქვეყნად არიან მხატვრები, ადამიანები, რომელთაც იგივე ტექნიკური სიძნელეები ეღობებათ წინ, რაც მას. მათი საფიქრალიც იგივეა, რაც მისი. ისინი გაუგებენ ვინსენტს, რადგან სერიოზულად ეპყრობიან მხატვრობას. იყო ამქვეყნად ასეთი ხალხი, აი თუნდაც მარისი, მაუვე, რომლებმაც მთელი სიცოცხლე მხატვრობას შეალიეს.

აქ, ბორინაჟში კი ეს სრულიად დაუჯერებლად გამოიყურებოდა.

ერთ წვიმიან საღამოს, როცა ჩვეულებისამებრ ვინსენტი თავის ოთახში იჯდა და ხატავდა, უეცრად პიტერსენი გაახსენდა, რომელმაც ბრიუსელში, თავის სამხატვრო სტუდიაში უთხრა: „ოღონდ ჩემს კოლეგებთან ნუ იტყვი ამას“. იპოვა, ვისაც ეძებდა! ჩანახატები გადაათვალიერა, აარჩია რამდენიმე მაღაროელის ფიგურა, ღუმელზე წახრილი ქალი, ერთიც ტერილის მოგროვებით გართული მოხუცი და ბრიუსელისაკენ გაემართა.

სამ ფრანკზე ცოტა მეტი ჰქონდა. ასე რომ, მატარებელზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ოთხმოცი კილომეტრი იყო ბრიუსელამდე. მთელი ის საღამო, ღამე და მეორე დღე თითქმის შეუჩერებლივ მიდიოდა. კიდევ ოცდაათი კილომეტრი დარჩა, იძულებული გახდა შეესვენა, რადგან გაცვეთილი ფეხსაცმელები სულ შემოეხა, ცალიდან თითებიც მოუჩანდა; პალტო, რომელიც მცირე ვამში მთელი წელი გაუხდელად ეცვა, მტვრის სქელ ფენას დაეფარა. არც სავარცხელი ჰქონდა თან, არც პერანგი. მეორე დილით

მხოლოდ ცივი წყალი შეისხა სახეზე. ფეხსაცმელებში მუყაო ჩააფინა და ისევ გზას გაუდგა.

დამსკდარი ტყავი ფეხის თითებს უსერავდა. მალე გაუსისხლიანდა კიდეც. მუყაო დაიხა, კანი ბებრებით დაეფარა. შიგ ჯერ წყალი ჩაუდგა, შემდეგ სისხლი და ბოლოს დაუსკდა. მოშივდა, მოსწყურდა, დაიქანცა, მაგრამ მაინც უზომოდ ბედნიერი იყო, იგი ხომ მხატვართან მიდიოდა.

ჯიბეცარიელმა საღამო ხანს მიაღწია ბრიუსელის გარეუბანს. პიტერსენის სახლი კარგად ახსოვდა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ქუჩებს. გამვლელნი საჩქაროდ გზიდან ეცლებოდნენ, ჩაციებით უცქეროდნენ და თავს იქნევდნენ. ვინსენტი ვერავის ამჩნევდა და მიიჩქაროდა, რამდენადაც დაიარებული ფეხი ამის საშუალებას აძლევდა.

კარი პიტერსენის ქალიშვილმა გაუღო. ერთი კი შეხედა ვინსენტის დაუბანელ, ოფლიან სახეს, გაბურძგვნილ თმას, ტალახით მოსვრილ, ჭუჭყიან პალტოს, შავ, გასისხლიანებულ ფეხებს და შეშინებული ოთახში შევარდა.

პიტერსენი ჯერ ვერ მიხვდა, ვინ ესტუმრა, მაგრამ მალე იცნო ვინსენტი და მეგობრულად გაუღიმა:

— ვინსენტ, შვილო ჩემო, — წამოიძახა ღირსმა მამამ, — მიხარია, რომ კვლავ გხედავ. შემოდი.

სტუდიაში შეიყვანა და მოხერხებული სკამი დაუდგა.

ახლა, როცა საწადელი შეისრულა, ვინსენტს ნერვებმა უმტყუნა. ერთბაშად იგრძნო ის ოთხმოცი კილომეტრი, რომელიც ორ დღეში გაიარა. თან ყავისა და ცოტა პურის მეტი არაფერი ეჭამა. კუნთები მოუდუნდა, მხრებში მოიხარა და სუნთქვა გაუძნელდა.

— ჩემს ერთ მეგობარს აქვე ახლოს თავისუფალი ოთახი აქვს, ვინსენტ, — უთხრა პიტერსენმა, — ხომ არ გინდა იქ მოწესრიგდე და მგზავრობის შემდეგ მოისვენო?

— დიახ. არც კი მეგონა, თუ ასეთი დაღლილი ვიყავი.

პიტერსენმა ქუდი დაიხურა და ვინსენტს გაჰყვა. მეზობლებმა გაოცებული მზერა გაადევნეს.

— ალბათ გეძინება, — უთხრა პიტერსენმა, — ხვალ თორმეტ საათზე კი აუცილებლად ჩვენთან იყავი სადილად. სალაპარაკო ბლომად გვაქვს.

რკინის ტაშტში ჩამდგარმა მთელი სხეული გაიხეხა და თუმცა ექვსი საათი იყო, მშიერი დასაძინებლად დაწვა. დილის ათ საათამდე არ განძრეულა. შიმშილმა გამოაღვიძა, კუჭი საშინლად ეწვოდა. ოთახის პატრონმა საპარსი, სავარცხელი და ტანსაცმლის ჯაგრისი ათხოვა. რამდენადაც შეიძლებოდა, ყველაფერი გაისუფთავა, მაგრამ ფეხსაცმელებს ვერაფერი მოუხერხა.

საჭმელს გამგელებული ეცა და ვიდრე პიტერსენი ბრიუსელის ახალ ამბებზე ელაპარაკებოდა, ვინსენტი მოურიდებლად იტენიდა პირში. სადილის შემდეგ სტუდიაში შევიდნენ.

— თქვენ ბევრს მუშაობთ, ხომ მართალია? კედელზე ყველა სურათი ახალია, — შენიშნა ვინსენტმა.

— დიახ. მე ახლა მხატვრობა უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე რელიგია.

ვინსენტს გაეღიმა.

— მერედა არ განიცდით, რომ ამდენ დროს კარგავთ ხატვისათვის. ეს ხომ თქვენი ძირითადი საქმიანობა არ არის.

პიტერსენმა გაიცინა.

— იცით ერთი ანეკდოტი რუბენსის შესახებ? იგი ჰოლანდიის ელჩი იყო ესპანეთში. საღამოობით სასახლის ბაღში იჯდა ხოლმე თავისი მოლბერტით. ერთხელ სასახლის კარის ვიღაც გაბღენძილმა წარმომადგენელმა დაინახა და უთხრა:

ვხედავ, ჩვენი დიპლომატი ხანდახან მხატვრობითაც ერთობაო.

რუბენსმა უპასუხა: არა, მხატვარი ერთობა ხანდახან დიპლომატიითო.

ვინსენტი მიუხვდა და ორივემ გაიცინა.

— მეც გავაკეთე რამდენიმე ჩანახატი, — გამოტყდა ვინსენტი და ფუთა გახსნა, — სამი მათგანი წამოვიღე, რომ თქვენთვის მეჩვენებინა. ძალიან გთხოვთ მითხარით, რა აზრისა ხართ მათზე!

პიტერსენი მოიღუშა. იცოდა, ახალბედას შეფასება ვერაფერი სახარბიელო საქმე იყო, მაგრამ მაინც სამივე სურათი მოლბერტზე გაამწკრივა და შორიდან დააცქერდა. ვინსენტმა უცებ პიტერსენის თვალით დაინახა ისინი და იგრძნო, რა უბადრუკი იყო მისი ჩანახატები.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ პიტერსენმა, — რომ თქვენ მოდელთან ძალიან ახლოს მუშაობთ. ხომ ასეა?

— დიახ. ასე მიხდება. ძირითადად ქოხებში ვხატავ და იქ არც ისეთი ხალვათობაა.

— გასაგებია. აი ამიტომაც სრულიად არა გაქვთ პერსპექტივა. არ შეგიძლიათ ისეთი ადგილი შეარჩიოთ, რომ ცოტა მოშორებით იყოს საგნები თქვენგან? მაშინ უკეთ დაინახავთ მათ, მერწმუნეთ.

— დიდი ქოხებიცაა, მე შემიძლია ერთ-ერთი მათგანი იაფად ვიქირაო და სახელოსნო მოვაწყო.

— ბრწყინვალე აზრია, — პიტერსენი დადუმდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა, რომ ეკითხა:

— გისწავლიათ ოდესმე ხატვა? დაგიხატავთ სახე კვადრატებზე? პროპორციებს იცავთ?

ვინსენტს ალმური მოედო.

— არაფერიც არ ვიცი. არასოდეს მისწავლია. მეგონა, სურვილი საკმარისია, რომ კაცმა ხატოს.

— არა, — უპასუხა პიტერსენმა სინანულით, — ჯერ ელემენტარული ტექნიკა უნდა აითვისოთ და შემდეგ გამოვა ნახატი.

მოდით, გიჩვენებთ, რა არ უვარგა ამ ქალს.

სახაზავი აიღო, თავსა და ტანზე ხაზები გაავლო. უხსნიდა, როგორ დარღვეულიყო სურათზე პროპორციები. შემდეგ თავი გაასწორა და ისიც აუხსნა. თითქმის მთელი საათი მუშაობდა, შემდეგ უკან დაიხია და სურათს დააცქერდა.

— აი, მე მგონი, ახლა ყველაფერი გასწორდა.

ვინსენტი პიტერსენთან მივიდა და სურათს შეხედა. ქალი სრულიად პროპორციული იყო, მაგრამ მაღაროელის ცოლს აღარაფერი უგავდა. გამქრალიყო ბორინაჟის მკვიდრი, რომელიც ტერილის მთაზე ნახშირს ეძებდა. ეს იყო მხოლოდ უდიდესი სიზუსტით დახატული ფიგურა, წელში მოხრილი. ვინსენტი უხმოდ მივიდა მოლბერტთან და მეორე ჩანახატი — ღუმელთან დახრილი ქალი დასდო შესწორებული სურათის გვერდით. შემდეგ კვლავ ბიტერსენს მიუახლოვდა.

— ჰმ! მიგიხვდით, — უთხრა პიტერსენმა, — პროპორციები გამოვასწორე, მაგრამ ხასიათი სრულიად წავართვი.

კარგა ხანს გაუნძრევლად შესცქეროდნენ.

— იცით რა, ვინსენტ, — უნებურად წამოსცდა პიტერსენს. — აი ის ქალი ღუმელთან, არც თუ ისე ცუდია. ნახატი არ ვარგა, ჩრდილი და სინათლის არავითარი შეხამება არა გაქვთ, სახე მთლად წყალწაღებულია, — ან სად არის საერთოდ სახე, მაგრამ ამ ნახატში რაღაც სხვაა. თქვენ რაღაც დაგიჭერიათ, მაგრამ არ ვიცი რა. ხომ ასეა, ვინსენტ?

— არ ვიცი, დავხატე, როგორც ვხედავდი.

ახლა პიტერსენი მივიდა მოლბერტთან. გასწორებული ქალი სანაგვეში გადააგდო, თან ვინსენტს უთხრა, ხომ არ გეწყინათ, მაინც გაფუჭებული იყოო. მოლბერტზე მეორე ქალი დარჩა. შემდეგ ისევ დაიხია უკან და ორივენი დასხდნენ. პიტერსენმა რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა. ბოლოს უთხრა:

— ვინსენტ, სისულელეა, მაგრამ ეს ქალი თითქმის მომწონს. პირველად საშინელი მეჩვენა, მაგრამ რაღაცით მაინც მიმზიდველია.

— მერედა რატომაა ეს სისულელე? — შეეკითხა ვინსენტი.

— იმიტომ, რომ არ უნდა მომწონდეს. საოცრად არაზუსტი სურათია. ნებისმიერი დაწყებითი სამხატვრო სკოლის ნორმების მიხედვით პირდაპირ დასახევია. მიუხედავად ამისა, როგორღაც მოქმედებს ჩემზე. შემიძლია დავიფიცო, რომ იგი სადღაც მინახავს.

— იქნებ ბორინაჟში, — უთხრა ვინსენტმა გულუბრყვილოდ.

პიტერსენმა სწრაფად შეავლო თვალი მის სახეს, ხომ არ მეხუმრებაო და უთხრა:

— მართალია. მაგრამ ამ ქალს სახე არა აქვს და არ შეიძლება იგი ვინმე გარკვეული პიროვნება იყოს. იგი საერთოდ ბორინაჟელი მაღაროელის ცოლია. თქვენ მონახეთ მათი საერთო, ვინსენტ, და ეს ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროპორციულად ხატვა. დიახ, მე მომწონს ეს ქალი.

იგი მე რაღაცას მეუბნება.

ვინსენტი თრთოდა, მაგრამ ხმის ამოღებისა ეშინოდა. პიტერსენი ხომ გამოცდილი მხატვარია, პროფესიონალი. აი, რომ სთხოვოს ეს სურათი, მაშინ ირწმუნებს, რომ მოეწონა...

— ხომ ვერ მაჩუქებდით, ვინსენტ, კედელზე ჩამოვკიდებდი და მე და ეს ქალი ალბათ დავმეგობრდებოდით კიდეც.

20.

როცა ვინსენტმა მცირე ვამში დაბრუნება დააპირა, პიტერსენმა მას თავისი ძველი ფეხსაცმელები და გზის ფული მისცა, რომ უკან მატარებლით დაბრუნებულიყო. ვინსენტმაც მეგობრულად გამოართვა, იცოდა, დრო მოვიდოდა და სამაგიეროს გადახდას შესძლებდა.

მატარებელში ორი მნიშვნელოვანი რამ მოაგონდა ვინსენტს — პიტერსენს სიტყვა არ უთქვამს იმის შესახებ, რომ ვინსენტი, როგორც მქადაგებელი, დამარცხდა და

კიდევ ის, რომ მის ტოლ მხატვრად მიიღო. ჩანახატიც ისე მოუწონა, რომ თავისთან დაიტოვა. აი ეს იყო მთავარი.

— ბიძგი მომცა, — ფიქრობდა ვინსენტი, — თუკი მან მომიწონა, სხვებსაც მოეწონებათ.

სახლში თეოს გამოგზავნილი Les travaux des champs დახვდა. წერილი არ იყო. პიტერსენთან საუბრით გამხნევებული ვინსენტი გატაცებით ფურცლავდა მილეს. თეოს დიდფორმატიანი სახატავი ფურცლებიც გამოეგზავნა. რამდენიმე დღეში პირველი ტომი — ათი სურათი გადახატა ვინსენტმა. გრძნობდა, რომ სჭირდებოდა შიშველი სხეულის ხატვაში გავარჯიშებულიყო. მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, ბორინაჟში ვერავის ვნახავ, ვინც ამაზე დამთანხმდებაო და თავის ძველ ნაცნობს, გუპილის ფირმის ჰააგის ფილიალის მმართველს ტერსტეგს მისწერა. სთხოვა, ბარგის Exercises au fusain (*რაშკულით ხატვა — ფრ.) მათხოვეო.

პიტერსენის რჩევით, მცირე ვამის განაპირას ცხრა ფრანკად მოზრდილი ქოხი იქირავა. ამჯერად იგი საუკეთესო ქოხს ეძებდა. ვინსენტის ახალ სადგომს ჰქონდა ფიცრული იატაკი, ორი მოზრდილი ფანჯარა. აქვე იდგა საწოლი, სკამი და ღუმელი. ფართობი სავსებით საკმარისი იყო, რომ ერთ ბოლოში მოდელი მოეთავსებინა, ხოლო მეორე ბოლოდან პერსპექტივას დაკვირვებოდა. მთელ სოფელში ერთ ქალს ან მოხუცს ვერ ნახავდით, ვისაც გასულ ზამთარში ვინსენტი არ დახმარებოდა. ახლა ისინიც ხალისით თანხმდებოდნენ დახატვაზე.

კვირა დღეს მაღაროელები აწყდებოდნენ ვინსენტის ქოხს.

ვინსენტი განურჩევლად ხატავდა ყველას. მაღაროელებს ეს ძალიან ართობდათ. ვინსენტის ზურგს უკან მოქუჩებულნი დიდი ინტერესით და აღტაცებით ადევნებდნენ თვალს.

ჰააგადან Exercises au fusais მიიღო და მომდევნო ორი კვირა იმ სამოცი სურათის გადახატვას მოანდომა. დილიდან საღამომდე თავაუღებლად მუშაობდა. ტერსტეგს ბარგის „ხატვის კურსიც“ გამოეგზავნა და ვინსენტი ხარბად დაეწაფა ამ სახელმძღვანელოს.

ხუთივე დამარცხება გადაივიწყა. ღვთის სამსახურში არასოდეს მიუღია ამდენი სიამოვნება და ის ძლიერი კმაყოფილების გრძნობა, რაც მხატვრობამ მიანიჭა. ერთხელ თერთმეტი დღე ერთი სანტიმიც არ ჰქონდა და იძულებული იყო, მადამ დენისაგან ნისიად აღებულ ცოტაოდენ პურზე გადასულიყო. მაგრამ ამას სრულიადაც არ განიცდიდა. არც ახსოვდა ჭამა. არ ადარდებდა ფიზიკური შიმშილი, რაკი სულიერად იყო კმაყოფილი!

ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დილით სამის ნახევარზე მიდიოდა მარკასის კართან და მუშებს ხატავდა. კაცები და ქალები თოვლიან მინდორზე ეკლის ღობეებს შორის მიიკვლევდნენ გზას. განთიადის ბინდ-ბუნდში გაურკვევლად მოჩანდა მოძრავი ჩრდილები. ვინსენტი მათ მაღაროს ნაგებობებსა და ცის ფონზე წამომართული წიდის გროვების გარემოცვაში ხატავდა. როცა ესკიზი მზად იყო, გადახატავდა და წერილთან ერთად უგზავნიდა თეოს.

დილიდან დაღამებამდე ხატავდა ვინსენტი, ხოლო შემდეგ ლამპის შუქზე გადახატვას უნდებოდა. ამგვარად გავიდა ორი თვე. კვლავ მოუნდა მხატვართან საუბარი. უნდოდა გაერკვია, რას მიაღწია. მისი აზრით, ცოტა გაუმჯობესდა

მდგომარეობა — ხელი უკეთ ემორჩილებოდა, საგნების სწორი დანახვა ისწავლა, მაგრამ თავის თავში მაინც არ იყო დარწმუნებული.

ამჯერად ვინსენტს უნდოდა ვინმე დიდ მხატვართან მისულიყო, რომელიც მას თავისი ძლიერი კალთის ქვეშ შეიფარებდა და ამ ძნელი ხელობის საიდუმლოს ნელ-ნელა შეასწავლიდა. ამის სანაცვლოდ იგი ყველაფრისთვის მზად იყო. იმ მხატვარს ფეხსაცმელებს გაუწმენდდა და სახელოსნოს იატაკს დღეში თუნდაც ათჯერ დაგვიდა.

ჟიულ ბრეტონი, რომელიც ადრე მეტისმეტად იტაცებდა ვინსენტს, ბორინაჟიდან ას სამოცდაათი კილომეტრის დაშორებით, კურიერში ცხოვრობდა. სანამ ფული ეყო მატარებლით იმგზავრა ვინსენტმა, ხოლო შემდეგ ხუთი დღე ფეხით დასჭირდა სიარული. ღამღამობით თივის ზვინზე ეძინა, თავის სურათებს პურში ცვლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია კურიერამდე, ბრეტონს საუცხოო, ახალი სახელოსნო ჰქონდა, წითელი აგურით ნაგები. ამის ნახვამ მთელი სიმხნევე წაართვა. ორი დღე ქალაქში იხეტიალა, მაგრამ ამ გარეგნულად უკარება სახელოსნომ საბოლოოდ დააყრევინა ფარ-ხმალი. დაღლილი, შიმშილით სიკვდილის პირას მისული და ჯიბეცარიელი ვინსენტი ფეხით გაუდგა ას სამოცდაათ კილომეტრიან გზას ბორინაჟისაკენ. პიტერსენის ძველ ფეხსაცმელებს ძირის გაძრობამდე ბევრი აღარაფერი უკლდა.

შინ ავადმყოფი და მისუსტებული დაბრუნდა. იქ არც ფული დახვდა და არც წერილი. მაშინვე ლოგინში ჩაწვა.

ქალები აკითხავდნენ ვინსენტს და ცოტ-ცოტა საჭმელიც მოჰქონდათ, რასაც ქმრებისა და შვილების ულუფას აკლებდნენ.

ამდენი შიმშილისაგან ძალიან გახდა, ლოყები ისევ ჩაუცვივდა. შავმომწვანო თვალებში კვლავ ციებამ დაისადგურა. ავად იყო ვინსენტი, მაგრამ მისი გონება საღად მსჯელობდა. გრძნობდა, რომ დადგა დრო, როცა საჭირო გახდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

რა იყო მისი ცხოვრების მიზანი? გამხდარიყო მასწავლებელი, წიგნების გამყიდველი თუ სურათებით მოვაჭრე კლერკი?

სად ეცხოვრა? ეტენში, მშობლებთან ერთად? თუ პარიზში, თეოსთან? იქნებ ამსტერდამში, ბიძებთან? ხომ არ სჯობდა, ეხეტიალა საითაც მოხვდებოდა და ეკეთებინა, რასაც განგება უკარნახებდა?

ერთ დღეს, ცოტა რომ მომჯობინდა, ლოგინში წამომჯდარი თეოდორ რუსოს Lefour dans les landes (*საცხობი ლანდებში — ფრ.) ხატავდა. უკვირდა, რამდენ ხანს შეიძლება კაცმა სიამოვნება მიიღოს იმ უწყინარი გართობით, რასაც მხატვრობა ჰქვიაო. ამ დროს ვიღაცამ დაუკაკუნებლად კარი შემოაღო და ოთახში შემოვიდა. ეს თეო იყო.

21.

წელთა მსვლელობამ ფასი შესძინა თეოს. ოცდასამი წლისას უკვე ცნობილი სურათებით მოვაჭრის სახელი ჰქონდა პარიზში. ამხანაგებიც და ოჯახიც პატივს სცემდნენ. თეოს კარგად შეესწავლა და შეესისხლხორცებინა საზოგადოების ყოველი წვრილმანი, ჩაცმა-დახურვა, თავდაჭერა, საუბარი. გულდახურული, ფართოსაყელოიანი შავი კოსტიუმი ეცვა, აბრეშუმით გაწყობილი. მაღალი საყელო ეკეთა, ხოლო თეთრი ყელსახვევი მსხვილ ნასკვად გაეკრა.

შუბლი მაღალი, ვან გოგური ჰქონდა, თმა მუქი წაბლისფერი, სახის ნაკვთები კი მეტისმეტად დახვეწილი, თითქმის ქალური. თვალები ალერსიანი და ჩაფიქრებული, სახის ოვალი ზედმიწევნით კოხტა.

თეო ქოხის კარს მიეყრდნო და გაოგნებული ვინსენტს მიაჩერდა. რამდენიმე საათის წინ იგი პარიზში იყო, თავის ბინაში. იქ ლუი ფილიპეს დროინდელი ავეჯი იდგა. პირსაბანთან სუფთა პირსახოცები ეკიდა, საპონიც იქვე იდო, ფანჯრებზე ფარდები ეკიდა, იატაკი ხალიჩებს დაეფარა; საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, პაწია ლამპები და ლამაზად მოხატული კედლები სიმყუდროვეს ქმნიდა. ვინსენტს კი ჭუჭყიანი ლეიბი ეგო უთეთრეულოდ, ზემოდან ძველისძველი საბანი ეხურა.

ოთახის კედლები და იატაკი გაურანდავი ხის ფიცრებისგან ნაგები. მორყეული მაგიდისა და სკამის მეტი ოთახში არაფერი იდგა. ვინსენტი დაუბანელი და დაუვარცხნელი იწვა. სახე-კისერი მწითურ თმას დაეფარა.

— თეო, — თქვა ვინსენტმა.

თეომ ოთახი გადასჭრა და საწოლთან მივიდა.

— ვინსენტ, თუ ღმერთი გწამს, რა მოხდა; რატომ ხარ ამ დღეში?

— არაფერი. — ახლა არა მიშავს. ცოტა ვერ ვიყავი კარგად.

— მაგრამ ეს... ეს... სორო! შენ ალბათ აქ არ ცხოვრობ! ეს ხომ შენი სახლი არ არის!

— ჩემია. განა რას უწუნებ. ეს ჩემი სახელოსნოა.

— ვინსენტ! — თეომ ძმას თავზე გადაუსვა ხელი. ცრემლები ახრჩობდა, ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

— რა კარგია, რომ ჩემთან ხარ, თეო.

— მიამბე, რა დაგემართა, რატომ იყავი ავად.

ვინსენტმა უამბო, როგორ იმგზავრა კურიერში.

— გადაღლილხარ, მეტი არაფერი. შემდეგ, უკან. რომ დაბრუნდი, კარგად ჭამდი? თავს უვლიდი?

— მაღაროელთა ცოლები მივლიდნენ.

— კი მაგრამ, რას ჭამდი? — თეომ ირგვლივ მიმოიხედა, — სადაა საჭმელი, მე აქ ვერაფერს ვხედავ.

— ქალებს მოაქვთ ცოტ-ცოტა ყოველდღე. რასაც იშოვნიან, პური, ყავა, ცოტა ხაჭო ან კურდღლის ხორცი.

— განა არ იცი, ვინსენტ, რომ პური და ყავა საკმარისი არ არის რომ მომაგრდე. რატომ არ ყიდულობდი კვერცხს, ბოსტნეულს, ხორცს?

— ეს ყველაფერი ბორინაჟში, ისევე როგორც ყველგან, ფული ღირს.

— თეო საწოლზე ჩამოჯდა.

— ვინსენტ, ღვთის გულისთვის, მაპატიე. არ ვიცოდი, არ მეგონა, თუ ასე იყო!

— არაფერია. შენ როგორც შეგეძლო, მეხმარებოდი. მე ძალიან კარგად ვარ. რამდენიმე დღეში ავდგები კიდეც.

თეომ თვალები მოისრისა, თითქოს რაღაც უშლის მხედველობასო.

— აზრზე ვერ მოვსულვარ. მე მეგონა რომ... არ ვიცოდი, ვინსენტ... არაფერი არ ვიცოდი.

— არა უშავს, ყველაფერი რიგზეა. რა ამბებია პარიზში?

შენ რას აპირებ, ეტენში იყავი?

თეო ფეხზე წამოხტა.

— ამ დაწყევლილ ქალაქში არის რაიმე მაღაზია? შეიძლება აქ კაცმა რამე იყიდოს?

— არის. ოღონდ ქვემოთ. ვამში; მაგრამ სჯობს, მაგ სკამზე დაჯდე, მინდა, გელაპარაკო. ორი წელია არ მინახავხარ, თეო.

თეო სახეზე მიეფერა და უთხრა:

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გაჭამო, რაც შეიძლება ბევრი და ყველაფერი საუკეთესო, რაც ბელგიაში იშოვება.

შენ შიმშილს დაუსუსტებიხარ, ვინსენტ, შემდეგ წამალს დაგალევინებ მაგ ციებისთვის და რბილ ბალიშზე დაგაძინებ. კიდევ კარგ დროს ჩამოვედი. ასე რომ მგონებოდა... არ გაინძრე, სანამ მე — არ მოვალ!

თეო გარეთ გავარდა. ვინსენტმა ფანქარი აიღო და ხატვა განაგრძო. თეო ნახევარ საათში დაბრუნდა ორ პატარა ბიჭთან ერთად. მოიტანა თეთრეული, ბალიში, ტაფები, თეფშები, საჭმელი. თეთრეული ლოგინზე დააგო და ვინსენტი დააწვინა.

— როგორ ინთება ეს ღუმელი? — ჰკითხა თეომ. თავისი მოხდენილი კოსტიუმი გაიხადა და სახელოები აიკეცა.

— აი იქ ცოტაოდენი ქაღალდი და ფიჩხი ყრია. ჯერ ეგ დაანთე და მერე ნახშირი შეუკეთე.

— თეომ ტერილს დახედა.

— ნახშირი! ამას ეძახი ნახშირს?

— ჩვენ მაგას ვხმარობთ. ახლავე გიჩვენებ, როგორ უნდა აანთო.

ვინსენტმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ თეო წამსვე მასთან გაჩნდა.

— რას შვრები, სულელო, ახლავე ლოგინში ჩაწექი, — უყვირა ძმას, — არ გაინძრე, თორემ კარგად შეგახურებ.

ამდენი თვის შემდეგ პირველად გაიცინა ვინსენტმა, და ამ სიცილმა თითქმის სრულიად ჩაკლა მისი ავადმყოფური გამოხედვა. თეომ ერთ ტაფაზე ორი კვერცხი დაახალა შესაწვავად, მეორეზე ლობიო დაყარა, ქვაბით ახალი რძე აადუღა, თეთრი პურიც შეწვა. ვინსენტი შესცქეროდა როგორ ფუსფუსებდა სახელოებაკაპიწებული თეო ღუმელთან და საჭმელზე უფრო იმის შეგრძნება ახარებდა, რომ ძმა იქ იყო, მის გვერდით.

ბოლოს საჭმელიც მომზადდა. თეომ მაგიდა საწოლთან მიაჩოჩა, თეთრი პირსახოცი ამოიღო და ზედ გადააფარა.

თეთრ პურს ბლომად კარაქი წაუსვა, ერბო-კვერცხი თეფშზე გადმოიღო და კოვზი მოიმარჯვა.

— აბა, პირი გააღე, — უთხრა ვინსენტს, — ღმერთმა იცის, რამდენი ხანია ნორმალური საჭმელი არ გიგემია.

— არა, თეო. მე თვითონაც შემიძლია ჭამა.

თეომ კვერცხით სავსე კოვზი პირთან მიუტანა.

— აბა, ახლავე გააღე პირი, თორემ პირდაპირ თვალებში წამოვა!

საჭმელს რომ მორჩა, ვინსენტი ბალიშზე გადაწვა და კმაყოფილებით ამოისუნთქა.

— რა გემრიელია. სულ დამავიწყდა საჭმლის გემო.

— დღეიდან აღარ დაგავიწყებ.

— ახლა მომიყევი, თეო, რა ამბებია. რა ხდება გუპილთან.

არაფერი ისე არ მაკლია, როგორც ახალი ამბები.

— მოგიწევს ცოტა ხანი კიდევ მოითმინო, ახლა ეს გადაყლაპე და დაიძინე. წყნარად იყავი, რომ საჭმელი შეგერგოს.

— კი მაგრამ, სულაც არ მეძინება, თეო. მინდა გელაპარაკო. ძილს მერეც მოვასწრებ.

— ვინ გეკითხება, შენ რა გინდა. მე გიბრძანებ. აბა, დამიჯერე. რომ გაიღვიძებ, ბივშტექსს და კარტოფილს გაჭმევ.

ნახე, როგორ მოგიხდეს.

ვინსენტმა რომ გამოიღვიძა, უკვე საღამო იყო. თავს საუცხოოდ გრძნობდა. თეო ფანჯარას მისჯდომოდა და ვინსენტის ნახატებს ათვალიერებდა. ვინსენტი კარგა ხანს გაუნძრევლად შესცქეროდა ძმას, — სულიერი სიმშვიდე დაეუფლა. თეომ შეამჩნია, ვინსენტს გაეღვიძაო და ღიმილით ზეზე წამოხტა.

— როგორა ხარ! უკეთ ხომ? კარგად გეძინა.

— ჩანახატები მოგწონს?

— დაიცა, ჯერ ბივშტექსი შევწვა. კარტოფილი უკვე გავთალე. ახლა მოხარშვა აკლია.

საჭმელი ღუმელზე შედგა და თბილი წყლით სავსე თასი საწოლთან მიუტანა.

— ჩემი საპარსით გაგპარსო თუ შენით?

— გაუპარსავად არ შეიძლება ბივშტექსის ჭამა?

— რა თქმა უნდა, არა. კისერი და ყურებიც უნდა დაიბანო, თმაც დაივარცხნო. პირსახოცი მიიფარე კისერზე!

თეომ გაპარსა, დაბანა, დავარცხნა და ახალთახალი პერანგიც ჩააცვა.

— ესეც ასე! — წამოიძახა ბოლოს. უკან დაიხია და შეათვალიერა, — აი ახლა ნამდვილად ვან გოგი ხარ.

— ჩქარა, თეო, ბივშტექსი იწვის!

თეომ მაგიდა მისწია და საჭმელი დაალაგა. მოხარშული კარტოფილი, კარაქი, კარგა მოზრდილი, გემრიელი ბივშტექსი და რძე.

— ღმერთო ჩემო, ხომ არ გგონია, რომ ამას სულ შევჭამ!

— რა თქმა უნდა, არა. ნახევარი ჩემია.

-აბა, მოდი, ისღა დაგვრჩენია, თვალი დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ეტენში ვართ, ჩვენს საკუთარ სახლში.

საღილის შემდეგ თეომ ვინსენტს ჩიბუხი პარიზიდან ჩამოტანილი თუთუნით გაუტენა და უთხრა:

— აჰა, მოსწიე. ამის ნებას არ უნდა გაძლევდე, მაგრამ კარგ თამბაქოს სარგებლობა უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე ვნება.

ვინსენტმა სიამოვნებით მოქაჩა. დროდადრო თბილ, ოდნავ ნესტიან ჩიბუხს გაპარსულ ლოყაზე ისვამდა. თეომაც გააბოლა; მისჩერებოდა ხის კედელს და თავისი პატარაობა და ბრაბანტი აგონდებოდა. ვინსენტი მუდამ ყველაზე მეტად უყვარდა თეოს. ბევრად უფრო მეტად, ვიდრე დედა ან მამა.

ვინსენტმა უქცია მას ბავშვობა ყველაზე სანუკვარ მოგონებად.

შარშან, პარიზში, იგი სულაც არ მოჰგონებია, მაგრამ ამიერიდან აღარ დაივიწყებს. აბა, რა არის მისი სიცოცხლე უვინსენტოდ. იგრძნო, რომ ის და ვინსენტი ერთნი იყვნენ. ერთად ადვილად იკვლევდნენ გზას ცხოვრებაში, ცალ-ცალკე კი უძლურნი

აღმოჩნდნენ. ერთად ცხოვრების მიზანს ადვილად აღწევდნენ და იცოდნენ კიდეც მისი ფასი. როცა მარტო იყო, მუდამ უკვირდა, რა საჭიროა ან მუშაობა, ან წარმატებას რა აზრი აქვსო. თეოს ვინსენტი სჭირდებოდა, რომ ცხოვრება შეევსო. ვინსენტიც უმწეო იყო თეოს გარეშე. ახლა საჭირო იყო მისი ამ სოროდან ამოყვანა, ფეხზე წამოყენება. ვინსენტმა უნდა გაიგოს, რომ აქამდე დრო სულ ფუჭად უხარჯავს. ახლა ერთი კარგი შენჯღრევა სჭირდება, იქნებ გამოერკვეს და რაიმე იღონოს.

— ვინსენტ, — უთხრა თეომ, — ერთ-ორ დღეს დაგაცდი, ცოტა მოღონიერდი. მერე კი ეტენში უნდა წაგიყვანო.

რამდენიმე წუთს უხმოდ აბოლებდა ვინსენტი. იცოდა, საჭირო იყო ყველაფერი ახლავე გარკვეულიყო და სამწუხაროდ საამისოდ სიტყვების მეტი არავითარი საშუალება არ მოიპოვებოდა. რახან ასეა, ის ეტყვის თეოს. თეოც გაუგებს და ყველაფერი მოწესრიგდება, — თეო, რა აზრი აქვს ჩემს სახლში დაბრუნებას. მე ოჯახისათვის ერთი აუტანელი და უღირსი ვინმე ვარ. ყოველ შემთხვევაში, ნდობით არავინ მიყურებს. ამიტომ მიჯობს, რაც შეიძლება შორს ვიყო მათგან, რომ არ გრძნობდნენ ჩემს არსებობას. მე გრძნობების ამყოლი ვარ და შემიძლია სისულელე ჩავიდინო. ლაპარაკიც და მოქმედებაც დაუფიქრებელი ვიცი. განა ამიტომ ჩემი თავი საშიშ და უმაქნის ადამიანად უნდა ჩავთვალო? არა მგონია. პირიქით, ეს ჩემი დიდი გრძნობა უნდა სასარგებლო საქმეში ჩავაქსოვო. ძალიან მიტაცებს სურათები და წიგნები. ისინი ზუსტად ისევე მჭირდება, როგორც საკვები. შენ ხომ გესმის ჩემი, თეო.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სურათებით დატკბობა და წიგნების კითხვა შენს ასაკში მხოლოდ გართობის საშუალებაა, ვინსენტ. ეს არ შეიძლება ადამიანის ძირითად საქმიანობად იქცეს. უკვე ხუთი წელია რაც უმუშევარი ხარ. საიდან სად არ დაეხეტები და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ უარესობისაკენ მიდიხარ.

ვინსენტმა თუთუნი ხელის გულზე დაიყარა, ორივე ხელით დასრისა, რომ ცოტა სინესტე მიეცა. შემდეგ ჩიბუხში ჩაყარა, მაგრამ მოკიდება არ გახსენებია.

— მართალია, — მიუგო ძმას, — ხანდახან მე თვითონ ვშოულობდი ჩემს ლუკმაპურს, ზოგჯერ გულკეთილი მეგობრები მაძლევდნენ. ისიც მართალია, რომ მე ბევრის ნდობა დავკარგე, ფულის საქმე ცუდად მაქვს, მომავალიც გაურკვეველია, მაგრამ განა ეს აუცილებლად უარესობისაკენ წასვლას ნიშნავს? ჩემს დაწყებულ გზას ბოლომდე უნდა გავყვე, თეო. მე რომ სწავლას ან ძიებას თავი დავანებო, აი მაშინ კი ნამდვილად წასული იქნება ჩემი საქმე.

— შენ რაღაცის თქმა გინდა, ჩემო კარგო, მაგრამ გეფიცები თუ ვხვდებოდე.

ვინსენტმა ჩიბუხს მოუკიდა და მოქაჩა.

— გახსოვს ის დრო, როცა ჩვენ ერთად მივდიოდით ხოლმე ძველ წისქვილთან რეისვეიკში. მაშინ ძალიან კარგად ვუგებდით ერთმანეთს.

— შენ მას შემდეგ ძალიან შეიცვალე, ვინსენტ.

— არც სულ მართალია. მაშინ ცხოვრება ასე ძნელი არ იყო. მაგრამ ყველაფერს ზუსტად ასევე ვგრძნობდი, როგორც ახლა.

— შენი ხათრით სიამოვნებით დავიჯერებდი მაგას.

— თეო, არ გეგონოს, რომ მე სიტყვის კაცი არა ვარ. იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ ერთადერთი ის მაწუხებს, როგორ მოვახერხო, რომ მეც რამე გავაკეთო ამქვეყნად. განა არ შემიძლია მეც ვემსახურო რაიმე მიზანს და ხალხს სიკეთე მოვუტანო?

თეო წამოდგა. კარგა ხანს აწვალა ლამპა და, როგორც იქნა, აანთო.

რძე დაასხა და ვინსენტს მიაწოდა.

— აჰა, დალიე, არ მინდა დასუსტებულს გხედავდე.

ვინსენტმა ისე სწრაფად დალია, კინაღამ გაიგუდა. ტუჩებიც არ მოეწმინდა ჯერ, რომ განაგრძო:

— განა ოდესმე ჩანს, რა ხდება ადამიანის სულში? იქნებ იქ უზარმაზარი ცეცხლიც გიზგიზებს, მაგრამ არავინ მოდის გასათბობად. გამვლელები მხოლოდ სუსტ ბოლს ხედავენ და შეუჩერებლად აგრძელებენ გზას. აბა მითხარი, რა უნდა ჰქნა?

შეინახო ეს ცეცხლი და მოთმინებით ელოდო, როდის მოისურვებს ვინმე მოვიდეს და ახლოს მოუჯდეს?!

თეო საწოლზე გადაჯდა.

— იცი, ახლა რა გამახსენდა? — უთხრა მან.

— არა.

— რეისვეიკის ძველი წისქვილი.

— რა კარგი იყო ის წისქვილი, არა?

— ჰო!

— ჩვენი ბავშვობაც კარგი იყო.

— ეს შენ გახადე ჩემი ბავშვობა ისე კარგი, ვინსენტ. ჩემი ადრეული მოგონებები მუდამ შენთანაა დაკავშირებული.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინსენტ, შენ ალბათ მიხვდი, რომ რაც მე გითხარი, სულ მშობლების დანაბარები იყო და არა ის, რაც მე მინდოდა მეთქვა. მათ მთხოვეს შემერცხვინე, რომ ჰოლანდიაში დაბრუნებულიყავი და საქმეს მოკიდებოდი.

— არაფერია. ისინი ყველაფერს მართალს ამბობენ. ესაა მხოლოდ, რომ მათ ჩემი არ ესმით. არ იციან, რომ რასაც ახლა ვაკეთებ, ამას ჩემი მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მე თუ უკან-უკან მივდივარ ამ ცხოვრებაში, სამაგიეროდ შენ დაწინაურდი, თეო. თუ მე თანაგრძნობა დავკარგე, შენ ხომ მოიპოვე. მე ამითაც ბედნიერი გარ. სრულიად გულწრფელად გეუბნები. ეს მუდამ ასე იქნება. ძალიან გამახარებდი თუ ჩემშიც, უსაქმური ადამიანის მიღმა, ერთი ბეწო კარგსაც დაინახავდი.

— მოდი, დავივიწყოთ, რაც მოხდა. მთელი წელი არაფერს გწერდი, არა იმიტომ, რომ გამტყუნებდი, არამედ, უბრალოდ, თავი არ შემიწუხებია, მე შენი ჯერ კიდევ მაშინ მჯეროდა, როცა ჩვენ ხელიხელჩაკიდებული ზუნდერტის მინდვრებში დავრბოდით. ახლაც ისევე მჯერა. მხოლოდ მინდა, გვერდით მყავდე. აი, მაშინ ეჭვი არ შემეპარება, რომ რასაც შენ აკეთებ, ყველაფერი კარგია.

ვინსენტმა გაიღიმა ისეთი ბედნიერი და გულღია ღიმილით, როგორც ბრაბანტში სჩვეოდა ხოლმე.

— რა კარგი ხარ, თეო.

თეო უცებ საქმიან კაცად იქცა.

— ვინსენტ, მოდი ყველაფერი აქვე, ახლავე გადავწყვიტოთ. მე მგონია, რომ ყველა ამ აბსტრაქტული აზრის მიღმა იმალება შენი ნამდვილი მისწრაფება, რაც შენის აზრით საბოლოო მიზანია და რაც ბოლოს ბედნიერებას და წარმატებას მოგიტანს. აბა მითხარი, რა არის ამ წელიწადნახევარში გუპილმა და კომპანიამ ხელფასი ორჯერ მომიმატა. ფული იმდენი მაქვს, რომ არ ვიცი სად წავიღო. თუ რამის გაკეთებას აპირებ, ფული აუცილებლად დაგჭირდება, ოღონდ მითხარი, რომ იცი, რა უნდა

გააკეთო და ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი გარიგებაც კი მოვაწყოთ. შენ იმუშავებ, ხარჯები კი ჩემი იქნება. როცა მომაგრდები, ჩემს სესხს სარგებლით დამიბრუნებ. აბა გამოტყდი, რა გაქვს გუნებაში? შენ ხომ უკვე დიდი ხანია გადასწყვიტე, რას მიუძღვნა მთელი შენი სიცოცხლე.

ვინსენტმა ჩანახატების მთელ გროვას გადახედა, რომელთაც თეო ათვალიერებდა წეღან. ჯერ გაოცებით გაიღიმა, შემდეგ უნდოდ შეხედა ძმას, და ბოლოს გამოუთქმელი სიხარული დაეტყო სახეზე. თვალები გაუფართოვდა, პირი დააღო, თითქოს მთელი მისი არსება გადაიშალა, როგორც მზესუმზირა გადაეშლება ხოლმე მზეს.

— რა ბედნიერი ვარ, — ბუტბუტებდა ვინსენტი, — მე თვითონ მინდოდა ეს შენთვის მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

თეომ თვალი გააყოლა ვინსენტის მზერას და სურათებს წააწყდა თუ არა, ასეც ვფიქრობდიო, ჩაილაპარაკა.

აღელვებული და გახარებული ვინსენტი ვერ გამორკვეულიყო. ასე ეგონა, კარგა ხნის ძილის მერე გამომეღვიძაო.

— თეო, შენ ჩემზე ადრე მიხვდი ყველაფერს! მე ამაზე ფიქრისაც მეშინოდა. მეც ხომ უნდა ვაკეთო რაღაც, ჰოდა, ეს ვარჩიე; თუმცა, თვითონაც არ ველოდი. მაგრამ, როცა ამსტერდამში ან ბრიუსელში ვსწავლობდი, მინდოდა რასაც ვხედავდი, ჩამეხატა, ჩემი ნამდვილი გზა არ დამეკარგა. ჩემი ნამდვილი გზა! ბრმა ვიყავი. რაღაცა გარეთ იწევდა ჩემი არსებიდან, მე კი ვახშობდი. აი, უკვე ოცდაშვიდი წლის ვარ და ჯერ არაფერი გამიკეთებია. რა სულელი და ბრმა ვიყავი!

— არა უშავს, ვინსენტ, შენი ენერგიით და ენთუზიაზმით ბევრ ახალბედაზე მეტი შეგიძლია. წინ მთელი ცხოვრება გაქვს.

— ათი წელი ხომ მაინც მაქვს. ამ დროში ბევრ რამეს მოვასწრებ.

— რა თქმა უნდა! ახლა სადაც გინდა, იქ იცხოვრე. პარიზში, ბრიუსელში, ამსტერდამში, ჰაგაში. აირჩიე რაც გინდა.

მე ფულს ყოველთვიურად მოგაწვდი. შეიძლება წლები დაგჭირდეს, მაგრამ არ იდარდო. თუ შენ არ დაკარგავ შენი თავის რწმენას, იცოდე მეც მჯერა შენი.

— თეო, ეს საშინელი თვეები იმას მოვანდომე, როგორმე გავრკვეულიყავი. მე ხომ არ მქონდა ცხოვრების გარკვეული მიზანი! ახლა კი მაქვს! ახლა აღარ მოვტყუვდები. თეო, შენ გესმის რას ნიშნავს ეს? მთელი ამ ტყუილუბრალოდ დაკარგული წლების შემდეგ მე ვიპოვე ჩემი თავი! მე მინდა მხატვარი გავხდე. გავხდები კიდეც. უნდა გავხდე! ყველგან იმიტომ დავმარცხდი, რომ შეცდომით სხვას ვეჭიდებოდი. ამიერიდან ეს აღარასოდეს განმეორდება. თეო, როგორც იქნა, ციხე დაინგრა, ეს შენ მიშველე, თეო!

— ახლა ვეღარაფერი დაგვაშორებს. ჩვენ ისევ ერთად ვართ, არა, ვინსენტ?

— ჰო, თეო, მუდამ ერთად ვიქნებით.

— ახლა კი დაისვენე, გამოჯანმრთელდი. რამდენიმე დღეში ჰოლანდიაში წაგიყვან, ან პარიზში, სადაც შენ მეტყვი. — ვინსენტი ლოგინიდან წამოხტა და ერთი ნახტომით ოთახის შუაგულში გაჩნდა.

— რატომ რამდენიმე დღეში? — იყვირა მან, — ახლავე მივდივართ. ბრიუსელის მატარებელი 9 საათზე გადის, გასაოცარი სისწრაფით ჩაცმას შეუდგა.

— ვინსენტ, შენ არ შეგიძლია ამაღამ წამოსვლა. შენ ავად ხარ.

— ავად! მორჩა და გათავდა! ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ, წამო, თეო, სადგურამდე ათ წუთში უნდა მივიდეთ.

ეს საუცხოო თეთრეული მაგ ჩემოდანში ჩაყარე და წავედით!

წიგნი მეორე
ეტენი

1.

თეომ და ვინსენტმა ერთი დღე დაჰყვეს ბრიუსელში და შემდეგ თეო პარიზს დაბრუნდა. გაზაფხული ახლოვდებოდა.

ბრაბანტის ველები უხმობდნენ ვინსენტს და მშობლიური სახლი ედემად ეხატებოდა. ვინსენტმა შეიძინა შავი, უხეში ხავერდის სამუშაო კოსტიუმი, რასაც აქაურები ველუტინს უძახდნენ, ცოტაოდენი ენგრის ქაღალდი ჩანახატებისათვის, ჩაჯდა ეტენისაკენ მიმავალ პირველსავე მატარებელში და შინისაკენ გაეშურა.

ანა კორნელიას გული შესტკიოდა ვინსენტზე, რადგან გრძნობდა სიმწარეს მეტს ნახულობს, ვიდრე სიტკბოებასო.

თეოდორის უკმაყოფილებას კი უფრო ობიექტური საფუძველი ჰქონდა. ვინსენტი რომ სხვისი შვილი ყოფილიყო, თავს არ შეიწუხებდა. თეოდორს ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ღმერთი არ უწონებდა ვინსენტს უკუღმართ ცხოვრებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ყველაზე ნაკლებ იმ მამის საქციელს მოიწონებდა, შვილს რომ ზურგს შეაქცევს.

ვინსენტმა შენიშნა, რომ მამამისს საგრძნობლად მომატებოდა ჭაღარა და მარჯვენა ქუთუთო უფრო მეტად ჩამოფარებოდა თვალზე. ასაკს თავისი კვალი დაეჩნია მის სახეზე. წვერიც არ მოეშვა, რომ ნაკლი რითიმე შეევსო. მისი თვალები აღარ ამბობდნენ „ეს მე ვარო“, არამედ, „ნუთუ ეს მე ვარო?“.

ვინსენტს დედა წინანდელზე უფრო მხნე და მიმზიდველი ეჩვენა. ხანში შესვლა თითქმის მოხდენოდა კიდეც. ღიმილი, რომელიც მის ნაოჭებს ნესტოებიდან ნიკაპამდე გასდევდა, თითქოს ყოველგვარ ცოდვას მოგიტევებდათ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ამ ცოდვას ჩაიდენდით. ხოლო მისი ფართო, მუდამ შუბლგახსნილი, კეთილი სახე გეგონებოდათ ყველა ამქვეყნიური სილამაზის შესახვედრად გამზადებულაო.

რამდენიმე დღე მთელი ოჯახი იმას ცდილობდა ვინსენტისათვის საჭმელი და ზრუნვა არ მოეკლოთ, მიუხედავად მისი მარცხისა და უსასოო მომავლისა. ვინსენტი ისლით გადახურულ სახლებს შორის გაშლილ, მანანებით მოფენილ ველზე დახეტიალობდა, შესცქეროდა ტყისმჭრელებს, რომლებსაც ტყის ერთ ნაწილში ფიჭვის ხეები წამოექციათ და კაფავდნენ; ზანტად დასეირნობდა როზენდალისაკენ მიმავალ შარაზე, სადაც პროტესტანტების პირქუში ეკლესიის პირდაპირ, მინდორს გადაღმა, წამომართულიყო წისქვილი და სასაფლაოს თელები.

ბორინაჟი წარსულს ჩაბარდა: ვინსენტს ჯანმრთელობა და ძალღონე მალე დაუბრუნდა და მუშაობა მოსწყურდა.

ერთ წვიმიან დილით ანა კორნელია აღრიანად ჩამოვიდა სამზარეულოში და დაინახა, რომ ღუმელი უკვე გახურებული იყო, მას ვინსენტი მისჯდომოდა, ფეხები

ცხაურზე დაეწყო და მუხლებზე „Les heures de la journée“-ს (*სამუშაო დღე — ფრ.) თითქმის დასრულებული ნახატი დაედო.

— შენა ხარ, შვილო, დილა მშვიდობისა, — წამოიძახა ანა კორნელიამ — დილა მშვიდობისა, დედა, — ვინსენტმა ნაზად აკოცა დედას ფუნჩულა ლოყაზე.

— ასე ადრე რამ აგაყენა, ვინსენტ?

— მუშაობა მინდოდა, დედა.

— მუშაობა?

ანა კორნელიამ ჯერ მის მუხლებზე დადებულ ნახატს დახედა, მერე გახურებულ ღუმელს.

— ღუმელის ანთებას გულისხმობ? ამისათვის შენი ადგომა რა საჭიროა.

— არა, მე ხატვა მინდა.

ანა კორნელიამ კიდევ ერთხელ დახედა ფურცელს. მისი წარმოდგენით, ეს ნახატი ბავშვის ნაცოდვილარს წააგავდა, ჟურნალიდან რაღაცის გადმოხატვა რომ მონდომებია.

— შენ გინდა ხატვას მოჰკიდო ხელი, ვინსენტ?

— ჰო.

ვინსენტმა თავისი გადაწყვეტილება გაანდო და უთხრა, თეო შეეცდება დამეხმაროსო. მისდა გასაოცრად, ანა კორნელია ნასიამოვნები დარჩა. იგი მაშინვე თავის ოთახში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ წერილი შემოიტანა.

— ჩვენი ნათესავი, ანტონ მაუვე მხატვარია, — თქვა მან,და ფულს ბლომად შოულობს. სწორედ გუშინ ჩემი დის წერილი მივიღე — მისი ქალიშვილი იეტი ხომ მაუვეს ჰყავს ცოლად — ის მწერს, რომ მინჰერ ტერსტეგი, გუპილის ფირმიდან, მაუვეს ყოველ სურათს ჰყიდის 500 ან 600 გულდენად.

— მაუვე უკვე ერთ-ერთი ცნობილი მხატვარია.

— რამდენ ხანში შეიძლება ასეთი სურათი დაიხატოს, ვინსენტ?

— გააჩნია, დედა. ზოგი ტილო რამდენიმე დღეში მზადაა, ზოგს კი წლებიც სჭირდება.

— წლები? ღმერთო ჩემო!

ანა კორნელია წუთით ჩაფიქრდა და ჰკითხა:

— შენ შეგიძლია ადამიანი მიმსგავსებულად დახატო?

— არ ვიცი. მე მაქვს ჩანახატები ზემოთ, ოთახში, გიჩვენებ, თუ გინდა.

როცა ვინსენტი შემობრუნდა, დედას უკვე სამზარეულოს თეთრი ქუდი დაეხურა და უზარმაზარ ღუმელზე წყალს ადგამდა. სამზარეულოს თეთრ-ცისფერი ფილის კედლები ბრწყინავდა და ოთახს სასიამოვნო იერს აძლევდა.

— შენს საყვარელ ხაჭაპურს გიცხობ, — უთხრა ანა კორნელიამ, — გახსოვს?

— როგორ თუ მახსოვს, დედა.

ვინსენტმა დათვივით შემოხვია დედას მკლავი. ანა კორნელიამ სევდიანი ღიმილით მოხედა. ვინსენტი მისი უფროსი ვაჟი და ამავე დროს რჩეული შვილი იყო და დედას გული შესტკიოდა მის უბედობაზე.

— კარგია არა, სახლში, დედასთან ყოფნა? — შეეკითხა შვილს. ვინსენტმა დედას ფაფუკ, დანაოჭებულ ლოყაზე უჩქმიტა.

— ჰო, საყვარელო.

ანა კორნელიამ ბორინაჟელების სურათები აიღო და გულმოდგინედ დააცქერდა.

— ვინსენტ, სახეზე რა დაემართათ!

— არაფერი, რატომ მეკითხები?

— ამათ სახე სულ არა აქვთ.

— ვიცი. მე მხოლოდ ტანის მოყვანილობა მაინტერესებს.

— შენ ალბათ შეგიძლია სახის დახატვა, ხომ მართალია?

მე ძალიან ბევრი ქალი მეგულება ეტენში, რომლებიც სიამოვნებით შეგიკვეთდნენ პორტრეტს. ამით ცხოვრების სახსარს იშოვნიდი.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ უნდა დავიცადოთ, ვიდრე რიგიან ხატვას ვისწავლი.

დედა წინადღით მომზადებულ ხაჭოში კვერცხს ახლიდა.

ორივე ხელში კვერცხის ნაჭუჭი შერჩა და ვინსენტს მიუბრუნდა.

— შენ ამბობ, ისეთ ხატვას ვისწავლი, სურათების გაყიდვასაც შევძლებო?

— არა, — უპასუხა ვინსენტმა, თან ფანქარი ჩქარ-ჩქარა გაუსვა ქაღალდზე, — ისეთ ხატვას ვისწავლი, რომ ჩემი ნახატი კარგი იქნება.

ანა კორნელია ერთხანს ჩაფიქრებული ზელდა კვერცხის გულს ხაჭოში და შემდეგ უთხრა:

— რა ვქნა, რომ არ მესმის შენი, შვილო.

— არც მე მესმის, — უპასუხა ვინსენტმა, — მაგრამ ეს ასეა.

საუზმეზე, რომელსაც ოქროსფერი ხაჭაპური ამშვენებდა, ანა კორნელიამ ახალი ამბავი ამცნო მეუღლეს. ისინი დიდი ხანია მალულად საუბრობდნენ ვინსენტზე.

— საქმეს კარგი პირი თუ უჩანს, ვინსენტ, — დაეკითხა მამა, — შესძლებ თავის რჩენას?

— თავდაპირველად ვერა. თეო აპირებს მხარში ამომიდგეს, ვიდრე ფეხზე დავდგები. როცა ჩემი ნახატი გაუმჯობესდება, მაშინ ფულსაც ვიშოვნი. ლონდონში და პარიზში მხატვრები დღეში ათ, თხუთმეტ ფრანკს აკეთებენ... ხოლო ისინი, ვინც ჟურნალებს ასურათებენ, კარგა ბლომად ხვეტენ ფულს.

თეოდორს გულზე მოეშვა, რომ ვინსენტმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა რაღაცა მაინც გაეკეთებინა და ამიერიდან უქმად აღარ იხეტიალებდა.

— იმედი მაქვს, რაკი მოეკიდე, ბოლომდე მიჰყვები, ვინსენტ. მაგრამ კვირაში თუ ცხრა პარასკევი გექნა, ვერაფერს მოიმკი!

— მორჩა მამა, მეტად აღარ შევიცვლები.

2.

წვიმებმა მალე გადაიარა და დათბა, ვინსენტმა მოლბერტი და სახატავი მოწყობილობა აიღო და ღია ცის ქვეშ შეუდგა მუშაობას. ყველაზე მეტად სეპეს მახლობლად მანანებით მოფენილი მინდორი იტაცებდა. მაგრამ თეთრი დუმფარების დასახატად ხშირად პასევარტის უზარმაზარი ჭაობისაკენ გასწევდა ხოლმე.

ეტენი პატარა, მჭიდროდ დასახლებული სოფელი იყო. აქაურები ალმაცერად უყურებდნენ ვინსენტს. შავი ხავერდის კოსტიუმი უცხო იყო სოფელში. აქაურ მცხოვრებლებს ჯერ არ ენახათ, რომ ამხელა კაცს სხვა საქმე არა ჰქონოდა, თუ არა მინდორ-მინდორ ხეტიალი ხელში ფანქრითა და ქაღალდით. თუმცა ვინსენტი მათ თავაზიანად ხვდებოდა, მიუხედავად თავისი ტლანქი ხასიათისა, მაგრამ მაინც ყველა

გაურბოდა. ამ პაწაწინა, პროვინციულ დასახლებაში ვინსენტი უცნაური და სასაცილო ჩანდა. მისი ყველაფერი აოცებდათ: ტანსაცმელი, საქციელი, მწითური წვერი, მისი წარსული, ისიც, რომ ვინსენტი არ მუშაობდა, უქმად იჯდა მინდორში და აქეთ-იქით იცქირებოდა.

უნდოდ ეკიდებოდნენ ვინსენტს და ეშინოდათ კიდეც მისი, რადგან იგი სხვანაირი იყო, თუმცა არავის უშავებდა რასმე და მხოლოდ ის უნდოდა, რომ მისთვის ყველას თავი დაენებებინა.

არაფრად მიიჩნევდა, რომ სოფელში არავის ეხატა გულზე.

ერთხელ ვინსენტი ფიჭვის ტყის გაკაფვას ხატავდა, მისი ყურადღება განმარტოებით მდგომმა ხემ მიიპყრო. ერთი ტყისმჭრელი უკანიდან მიუახლოვდებოდა, ნახატს უცქერდა და იკრიჭებოდა. შიგადაშიგ ჩაიხითხითებდა ხოლმე. ვინსენტი სურათს რამდენიმე დღე მოუნდა. ტყისმჭრელის სიცილი ბოლოს ხარხარად იქცა. ვინსენტი დაინტერესდა, მაინც რამ გაამხიარულა ეს კაცი, და მორიდებით ჰკითხა:

— სასაცილოა, რომ მე ხეს ვხატავ?

— ჰო, ძალიან სასაცილოა!-ხარხარებდა მუშა, — შენ ალბათ სულელი ხარ!

ვინსენტი წუთით ჩაფიქრდა და ჰკითხა:

— ხე რომ დავრგო, სულელი ვიქნები?

მუშამ მაშინვე შეწყვიტა სიცილი.

— რასაკვირველია, არა.

— თუ ხეს გავზრდი და მოვუვლი, მაშინ ვიქნები სულელი?

— არა, რა თქმა უნდა, არა.

— თუ ნაყოფს მოვკრეფ?

— Vous vous moquez de moi? (*შენ რა, დამცინი — ფრ.) — კარგი. ვიქნები თუ არა სულელი, ხე რომ მოვჭრა ისე, როგორც აი, ახლა ჭრიან იქ?

— არა, ხე იმისაა, რომ უნდა მოიჭრას.

— ესე იგი, მე შემიძლია ხე დავრგო, გავზარდო, ნაყოფი მოვიწიო, მოვჭრა, ხოლო თუ მე ხის დახატვას მოვინდომებ, მაშინ სულელი ვარ, აგრეა?

გლეხი კვლავ გაიკრიჭა.

— ჰო, შენ სულელი ხარ, იმიტომ რომ სულ ასე ზიხარ.

მთელი სოფელი ამას ამბობს.

საღამოობით ვინსენტი სასტუმრო ოთახში იჯდა ხოლმე მთელ ოჯახთან ერთად. უზარმაზარი ხის მაგიდის ირგვლივ იყრიდნენ თავს, კერავდნენ, კითხულობდნენ, წერილებს წერდნენ.

უმცროსი ძმა კორი მეტად წყნარი ბავშვი იყო და ძვირად თუ დაილაპარაკებდა. დებიდან ანა უკვე გათხოვდა და აქ აღარ ცხოვრობდა. ელისაბედს ისე ეჯავრებოდა ვინსენტი, რომ თავს იკატუნებდა, თითქოს სულაც ვერ ამჩნევდა მას. კეთილი ვილემინა ძმას ხშირად აძლევდა უფლებას, რომ დაეხატა იგი. მეგობრობდა კიდეც მასთან ყოველგვარი განკითხვის გარეშე. ოღონდ ეს იყო, რომ მათ სულიერად არაფერი ჰქონდათ საერთო.

ვინსენტიც მაგიდასთან მუშაობდა, მაგიდის შუაში მდგარი უზარმაზარი, ყვითელი ლამპის შუქზე მოხერხებულად მოკალათებული. იმ დღით მინდორში გაკეთებულ ჩანახატებს იხატავდა. თეოდორი ხედავდა, რომ მისი შვილი ერთსა და იმავე ადამიანს

მილიონჯერ ხატავდა, მერე კი უკმაყოფილო ისვრიდა ნახატს. ბოლოს მობეზრდა და თავი ვეღარ შეიკავა:

— ვინსენტ, — მიმართა მან შვილს და უზარმაზარი მაგიდის მეორე მხრიდან გადმოწვა, — ნუთუ არც ერთი არ გამოგივიდა სწორედ?

— არა, — უპასუხა ვინსენტმა.

— იქნებ შენ ცდები, ვინსენტ!

— მე ბევრ რამეში ვცდები, მამა, რაზე მეუბნები?

— ასე მგონია, ნიჭი რომ გქონდეს, მხატვრად რომ იყო დაბადებული, ნახატი თავიდანვე უნდა გამოგდიოდეს.

ვინსენტმა ნახატს დახედა. დაჩოქილი გლეხი ტომარაში კარტოფილს ყრიდა. ამ გლეხის მკლავი ვერ იქნა და ვერ გამოუვიდა.

— შესაძლოა, მამა.

— გაიგე, ვინსენტ, ამდენი ჯახირი რად გინდა, თუ არაფერი გამოვა ბოლოს. ბუნებით მომადლებული ნიჭი რომ გქონდეს, მაშინ ეს ვაი-ვაგლახიც არ დაგჭირდებოდა.

— ბუნება მუდამ უძალიანდება ხოლმე ხელოვანს, მამა, — უპასუხა ვინსენტმა ისე, რომ ფანქარი არ გაუშვია ხელიდან, — და თუ მე საქმეს სერიოზულად ვეკიდები, მაშინ თავს არ უნდა ვაძლევდე უფლებას დავნებდე ამ წინააღმდეგობას, პირიქით, იგი უნდა დამეხმაროს გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

— ამას ვერ ვხედავ, — თქვა თეოდორმა, — ვის გაუგია, ბოროტებას სიკეთე ეშვას, ანდა ფუჭ შრომას კარგი ნაყოფი მოეცეს.

— თეოლოგიაში ეს ალბათ ასეა, ხელოვნებაში კი არა.

— შენ ცდები, შვილო ჩემო, ხელოვანის შრომა ან კარგია, ან ცუდი. თუ ცუდია, მაშინ ის ხელოვანი არ არის. ეს მან თავიდანვე უნდა განსაზღვროს, რომ მთელი ცხოვრება, დრო და ენერგია წყალში არ ყაროს.

— თუკი ცუდი ხელოვნება ადამიანს სიხარულს ანიჭებს, მაშინ?

თეოდორმა მთელი თავისი თეოლოგიური გამოცდილება გადაქექა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა.

— არა, — ჩაილაპარაკა ვინსენტმა და ტომარა წაშალა სურათზე. გლეხის გაწვდილი ხელი უაზროდ შერჩა ჰაერში. — ბოლოს და ბოლოს, ბუნება და ნამდვილი მხატვარი გაუგებენ ერთმანეთს. წლობით ბრძოლა და ჭიდილია საჭირო, რომ დაიმორჩილო და მოთოკო ბუნება, აი მაშინ კი ძალიან ცუდი ნახატიც კარგად გამოვა და გაამართლებს თავის თავს.

— ბოლოს რომ სურათი ისევ ცუდი იყოს? აი, შენ მაგ დაჩოქილ კაცს რამდენიმე დღეა ხატავ, ის კი მაინც არ გამოდის!

იქნება შენ წლობითაც ხატო და ეგ მაინც არ გამოვიდეს.

ვინსენტმა მხრები აიჩეჩა.

— მხატვარი ალალბედზე სცდის, მამა.

— განა მოგება ღირს ამად?

— მოგება, რა მოგება?

— ფული, წოდება.

ვინსენტმა ახლაღა აიღო თავი და მამას ისე დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— მე მგონი, ჩვენ ხელოვნების სიავკარგეზე ვლაპარაკობდით, მამა.

3.

ვინსენტი დღე და ღამეს ასწორებდა მუშაობით. ხანდახან მომავალზე თუ იფიქრებდა, ისიც იმიტომ, რომ უნდოდა ცხადად წარმოედგინა ის დრო, როცა ტვირთად აღარ ეყოლებოდა თეოს, და ამასთან თავისი ნაღვაწიც ნამდვილად სრულყოფილი გაუხდებოდა. ხატვა რომ მოღლიდა, კითხვას იწყებდა, თუ ესეც მობეზრდებოდა, მაშინ იძინებდა ხოლმე.

თეო უგზავნიდა ენგრის ქაღალდს, ვეტერინარული სკოლის მიერ გამოშვებულ ცხენის, ძროხის და ცხვრის ატლასებს, ჰოლბეინის მოდელების წიგნს მხატვართათვის, სახატავ ფანქრებს, ბატის ფრთის კალმებს, ადამიანის ჩონჩხის მაკეტს, სეპიას,- ფულსაც, შეძლებისდაგვარად. ყოველივე ამას თეოს თხოვნა მოსდევდა, იმუშავე, უბრალო მხატვარი არ გამოხვიდეო. ვინსენტი პასუხობდა „თუკი რამ შემიძლია, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, მაგრამ უბრალოება, სხვათა შორის, არც ისე ურიგო რამაა. რამდენიც არ უნდა ეცადო, უბრალოებაზე შორს ვერც წახვალ კაცი. რაც შეეხება გულმოდგინებას, სრული ჭეშმარიტებაა. არც ერთი დღე რაიმე შტრიხის გარეშე, როგორც ამას გავარნი გვასწავლიდა“.

ვინსენტი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ფიგურის ხატვა მეტად სასარგებლო რამაა და პეიზაჟის ხატვაში დიდად ეხმარება. თუკი ტირიფს ისე დახატავდა, როგორც ცოცხალ არსებას — და ეს ასეც იყო — მაშინ სხვა დანარჩენიც თავის რიგზე იქნებოდა, მთავარია, ამ ხეზე ყოფილიყო მთელი ყურადღება თავმოყრილი, რომ მისთვის ცხოველმყოფელობა მიეცა. ძალიან უყვარდა ვინსენტს პეიზაჟი, მაგრამ გაცილებით ერჩივნა ის საყოფაცხოვრებო ჟანრის ჩანახატები, რომელშიც ხანდახან გასაოცარ რეალიზმს ხედავდა და რაც ასე ოსტატურად გამოსდიოდათ გავარნის, დომიეს, დორეს, დე გრუს და ფელისიენ როპს. ხატავდა ვინსენტი მშრომელ ხალხს და ოცნებობდა, ნეტავი ჟურნალ-გაზეთებისათვის ილუსტრაციების გაკეთება მაინც შემეძლოს, რათა საარსებო წყარო მქონდეს იმ გრძელი და მძიმე წლების განმავლობაში, რაც ჩემს დაოსტატებას და გამოხატულების უფრო მაღალი ფორმის მიგნებას დასჭირდებაო.

ერთხელ, თეოდორმა, რომელიც დარწმუნებული იყო, ვინსენტი წიგნებს გასართობად კითხულობსო, უთხრა შვილს:

— ვინსენტ, შენ მუდამ ამბობ, რომ ბევრი მუშაობა გჭირდება. მაშ რატომღა კარგავ დროს ამ სულელური ფრანგული წიგნებისათვის?

ვინსენტმა „მამა გორიოს“ დასანიშნად თითი ჩააყოლა და თავი აიღო. იგი იმედს არ ჰკარგავდა, რომ ოდესმე მამა გაუგებდა, რასაც იგი სერიოზულად ფიქრობდა.

— იცი რა, — უთხრა ვინსენტმა წყნარად, — ადამიანებისა და საყოფაცხოვრებო სცენების ხატვას მარტო სწორად ხატვის ცოდნა არ შველის, არამედ ლიტერატურის ღრმა შესწავლაც სჭირდება.

— უნდა გამოგიტყდე, რომ ვერაფერი გამიგია; თუკი მე მინდა კარგი წირვა ჩავატარო, რაში მჭირდება წავიდე სამზარეულოში და ვუყურო როგორ ამარილებს დედაშენი ენას.

— რაკი ენაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, — თქვა ანა კორნელიამ, — ხვალ დილისათვის ახალი ენა უკვე მზად იქნება და საუზმეზე მოგართმევთ.

ვინსენტი აღარ ცდილა ამ ანალოგიის გაბათილებას.

— მე არ შემიძლია დავხატო ადამიანი, — თქვა მან, — თუკი არ ვიცი ყველა ის ძვლები, კუნთები და მყესები, რასაც კანი ფარავს. პორტრეტის დახატვა არ შემიძლია, თუ არ მეცოდინება რა ხდება ადამიანის გონებასა თუ სულში. იმისათვის რომ ცხოვრება ასახო, ანატომიის გარდა უნდა გესმოდეს, რას გრძნობენ და ფიქრობენ ადამიანები იმ სამყაროს შესახებ, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება. ის მხატვარი, ვისაც მხოლოდ ხატვა ეხერხება და სხვა არაფერი, მეტად ზერელე ხელოვანია.

— ეჰ, ვინსენტ, — ამოიოხრა თეოდორმა, — მეშინია, შენ მეტისმეტი არ მოგივიდეს თეორიაში.

ვინსენტმა „მამა გორიოს“ კითხვა განაგრძო.

თეოს ამანათმა ძალიან ააღელვა ვინსენტი. პერსპექტივის გასაუმჯობესებლად კასანის რამდენიმე სახელმძღვანელო გამოეგზავნა ძმას. ვინსენტმა აღტაცებულმა გადაათვალიერა წიგნები და ვილემინას უჩვენა.

— ჩემი სატკივარისათვის ამაზე უებარი მალამო არ მეგულება, — უთხრა დას, — და თუ განვიკურნე, მადლობა ამ წიგნებს ეკუთვნის.

ვილემინამ გაიღიმა. გოგონას დედის ნათელი თვალები ჰქონდა.

თეოდორი უნდოდ ეკიდებოდა ყველაფერს, რაც პარიზიდან მოდიოდა.

— ნუთუ ამასაც იტყვი, ვინსენტ, — უთხრა მან შვილს, — რომ შეიძლება ხატვა ისწავლო ყველა იმ აზრების კითხვით, რასაც წიგნებში გამოსთქვამენ ხელოვნებაზე.

— რა თქმა უნდა.

— საოცარი ამბავია.

— ასე მოხდება, თუკი შევძლებ, თეორია პრაქტიკად ვაქციო; მაგრამ პრაქტიკა ისეთი რამაა, რაც წიგნებთან ერთად არ იყიდება. ასე რომ იყოს, ამ წიგნებზე ხომ დიდი მოთხოვნილება იქნებოდა.

დღეები ბედნიერად და საქმიანად გადიოდა. მაგრამ აი, დადგა ზაფხული. ჯერ წვიმები და ახლა პაპანაქება სიცხე საშუალებას არ აძლევდა ვინსენტს ველად გასულიყო. მან დახატა ვილემინა საკერავ მანქანასთან. მესამედ გადახატა ბარფის სავარჯიშოები; მიწისმთხრელი ნიჩბით ხელში ხუთჯერ დახატა სხვადასხვა ფორმით, მთესველი ორჯერ, გოგონა ცოცხით ორჯერ. შემდეგ დახატა ქალი თეთრი ქუდით, რომელიც კარტოფილს თლიდა, თავის კომბალზე დაყრდნობილი მწყემსი და ბოლოს მოხუცი, დავრდომილი გლეხი, რომელიც კერიას მისჯდომოდა, იდაყვები მუხლებზე დაებჯინა და თავი ხელებში ჩაერგო. მიწისმთხრელები, მთესველები, მხვნელები, კაცები, ქალები — აი ყველა ის, ვინც ვინსენტს უსასრულოდ უნდოდა ეხატა.

მას უნდოდა დაენახა და ქაღალდზე გადმოეტანა ყველა ის წვრილმანი, რომლისგანაც შედგებოდა სოფლის ცხოვრება.

ვინსენტი უკვე უძლური აღარ იყო ბუნების წინაშე, და ისეთ კმაყოფილებას განიცდიდა, როგორიც არასდროს განუცდია.

სოფლის მკვიდრნი კვლავინდებურად უცნაურ კაცად მიიჩნევდნენ და გაურბოდნენ ვინსენტს. მიუხედავად იმისა, რომ დედა და ვილემინა, მამაც აგრეთვე, თავისებურად,

სითბოს და ყურადღებას არ აკლებდნენ, იგი მაინც სულის სიღრმეში, სადაც ჯერ არცერთ სულიერს არ შეეღწია, საშინელ სიმარტოვეს განიცდიდა.

გლეხები ნელ-ნელა შეეჩვივნენ ვინსენტს და ნდობაც გაუჩნდათ მისდამი. ვინსენტი ამ უბრალო გლეხებს, რატომღაც, იმ მიწას ამსგავსებდა, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ. ეს მსგავსება ჩანახატებშიც ჩანდა. ხანდახან ოჯახის წევრები ვერც ატყობდნენ სურათს, სად მთავრდებოდა გლეხი და სად იწყებოდა მიწა. ვინსენტმა არ იცოდა, როგორ გამოსდიოდა ასეთი სურათი, მაგრამ გრძნობდა, რომ სწორად ხატავდა.

— მკვეთრი ხაზით მათი გაყოფა არც შეიძლება, — უხსნიდა ერთ საღამოს დედას, რომელიც ამ მოვლენით მეტად დაინტერესდა, — რადგან ისინი ორივენი მიწის სხვადასხვა სახეა, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან, ერთურთს ეკუთვნიან, ისინი ერთიდაიგივე მოვლენის ორი ფორმაა.

დედამ გადაწყვიტა, ვიდრე ვინსენტი ცოლს ითხოვდეს, უმჯობესია მე მოვკიდო მას ხელი და მუშაობაშიც დავეხმაროო.

— ვინსენტ, — უთხრა ერთ დილას დედამ, — მე მინდა, რომ ორი საათისთვის სახლში იყო. შეგიძლია ეს შემისრულო?

— ჰო, დედა. რას აპირებ?

— მინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე სტუმრად.

ვინსენტი შეშფოთდა.

— დედა, მე არ შემიძლია ამაზე დრო დავკარგო!

— რატომ იქნება ეს დროის დაკარგვა, შვილო?

— იმიტომ რომ, იქ არავის დახატვა არ შეიძლება.

— ცდები, შვილო, ეტენის ყველა გამოჩენილი მანდილოსანი იქნება იქ.

ვინსენტმა სამზარეულოს კარს შეხედა. ერთი სული ჰქონდა აქედან გაქცეულიყო. თავს ძალა დაატანა და შეეცადა დინჯად აეხსნა დედისთვის.

— მე იმის თქმა მინდოდა, დედა. რომ იმ ქალებს, იქ რომ იტიებიან ხასიათი არა აქვთ.

— რას ამბობ, მათ ყველას შესანიშნავი ხასიათი აქვთ. არც ერთ მათგანზე ჯერ ცუდი სიტყვაც არ დასცდენია ვინმეს.

— არა, — ძვირფასო, — უთხრა ვინსენტმა, — მე ვგულისხმობ, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან, მათ ისეთი ცხოვრება აქვთ, რომ ყველანი ერთმანეთს დამსგავსებიან.

— მე მშვენივრად ვარჩევ მათ ერთმანეთისაგან.

— ჰო, საყვარელო, მაგრამ მათ იმდენად იოლი ცხოვრება აქვთ, რომ არაფერი საინტერესო არ აღბეჭდიათ სახეზე.

— არ მესმის, შვილო, შენი, შენ ყველა მუშას და გლეხს იხატავ, ვისაც კი მინდორში ნახავ.

— ჰო!

— აბა, ამაში რა ხეირია. ისინი ღარიბები არიან და არაფრის ყიდვა არ შეუძლიათ. ქალაქელი ქალები კი თავისი პორტრეტისათვის ფულს გადაიხდიან.

ვინსენტი დედას მოეხვია და ნიკაპი აუწია. უძირო, კრიალა ცისფერი თვალები სიკეთით და სიყვარულით სავსენი შემოსცქეროდნენ. რატომ არ ძალუძთ მათ გაუგონ ვინსენტს?

— ძვირფასო, — ჩასჩურჩულა ვინსენტმა, — გთხოვ, ოდნავ მაინც იწამო ჩემი. მე ვიცი, როგორც უნდა მივხედო ჩემს საქმეს და თუ მადროვებ, წარმატებასაც მივაღწევ. დედა, ახლა შენ გგონია, რომ მე სრულიად უსარგებლო საგნების ხატვას ვუნდები, მაგრამ მოვა დრო და შევძლებ ჩემი სურათების გაყიდვას. აი, მაშინ, აღარაფერი გაგიჭირდება.

ანა კორნელიას გულით ეწადა ისე გაეგო ვინსენტისათვის, როგორც ეს ვინსენტს უნდოდა. დედამ შვილის უხეშ, მწითურ წვერს ტუჩები შეახო და ის დღე ამოუტივტივდა მეხსიერებაში, ზუნდერტში პატარა რომ შეეძინა. იგი ახლა იმ ღონიერ მამაკაცად ქცეულიყო, რომლის ძლიერი სხეული მას მკლავებში მოექცია. სულ პირველი ბავშვი მკვდარი ეყოლა ანა კორნელიას, და როცა ვინსენტმა თავისი დაბადება გაუთავებელი ყვირილით აუწყა ქვეყნიერებას, ქალის სიხარულს და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მის სიყვარულში ვინსენტისადმი მუდამ ერთმანეთს ერწყმოდა მწუხარება, რომელიც პირველ ბავშვს მოჰყვა, ბავშვს, რომელსაც თვალის ახელაც არ ეწერა ბედად, და სიხარული დანარჩენი შვილების ყოლისა.

— კარგი ბიჭი ხარ, ვინსენტ, — უთხრა დედამ, — მიჰყევი შენს გზას. თვით უკეთ იცი რა გიჯობს. მე მხოლოდ მინდა, რითიმე დაგეხმარო.

ერთხელ, მინდორში მუშაობის ნაცვლად, ვინსენტმა მებაღე პიტ კაუფმანს უთხრა, მოდი დაგხატოო; პიტი ცოტა შეყოყმანდა. ბოლოს დასთანხმდა და საღილის შემდეგ სახლში მოდიო, დაუბარა.

ვინსენტი რომ მივიდა, პიტი თავის საგარეო კოსტიუმში გამოწყობილი ელოდა. ხელ-პირიც დაებანა.

— ერთი წუთით, — წამოიძახა აღელვებულმა, — სკამსაც მოვიტან და მზად ვიქნები.

დაბალი სკამი დადგა, დაჯდა და გასწორდა, თითქოს სურათის გადაღებას უპირებდნენ. ვინსენტს მისდა უნებურად გაეცინა.

— იცი რა, პიტ, მე შენ ამ ტანსაცმელში ვერ დაგხატავ.

პიტმა გაოცებულმა დაიხედა ტანზე.

— რას უწუნებ, სულ ახალია. მხოლოდ რამდენჯერმე მეცვა.

— ვიცი, — უთხრა ვინსენტმა, — სწორედ მაგიტომ არ შემიძლია. მე მინდა სამუშაო კოსტიუმიანი დაგხატო. ფოცხით ხელში. მაშინ გამოჩნდები შენ. მე დავინახავ შენს მკლავებს, მუხლებს, ნიჩაბს. ახლა კი მაგ კოსტიუმის მეტს ვერაფერს ვხედავ.

ნიჩბის ხსენებამ პიტი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ჩემი სამუშაო კოსტიუმი ჭუჭყიანია, დაგლეჯილია. თუ ჩემი დახატვა გინდა, აი ასე დამხატე!

ვინსენტი მობრუნდა და მინდვრისაკენ გაეშურა. არჩია, მიწისკენ დახრილი გლეხები დაეხატა.

ზაფხული გავიდა და ვინსენტი მიხვდა, რომ ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც მის ხელთ იყო, ამოიწურა. ისევ მწვავედ მოუნდა რომელიმე მხატვარს დაახლოებოდა და კარგი სახელოსნო ჰქონოდა სამუშაოდ. იგრძნო, რომ აუცილებლად სჭირდებოდა კარგად დახატული სურათისთვის ეცქირა, ეცქირა მხატვრისთვის, როცა იგი რაიმეს ქმნიდა. მხოლოდ მაშინ თუ გაიგებდა, რა არ ჰყოფნიდა თვითონ და შესძლებდა უკეთესად ხატვას.

თეო სწერდა, პარიზში ჩამოდიო, მაგრამ ვინსენტს ეჭვიც არ ეპარებოდა, საამისოდ მზად არა ვარო. მისი სურათები მეტისმეტად ტლანქი, მოუხეშავი და დაუხვეწავი იყო. ჰააგა სულ რამდენიმე საათის სავალზეა. ვინსენტს იქ დაეხმარებოდა მინჰერ ტერსტეგი, მისი მეგობარი და გუპილის ფირმის მმართველი, აგრეთვე ნათესავი ანტონ მაუვეც. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, რომ მისი ნელი განვითარების გზაზე შემდეგ ნაბიჯად ჰააგა აერჩია. თეოს მისწერა, რჩევა ჰკითხა. პასუხად მგზავრობისათვის საჭირო თანხა მიიღო.

ვიდრე სულ გადაბარგდებოდა ჰააგაში, ვინსენტმა იფიქრა, მოდი ჯერ მოვსინჯავ, ტერსტეგი და მაუვე როგორ მიმიღებენ და დამეხმარებიანო, თუ არა და მაშინ სადმე სხვაგან მოუწევდა წასვლა. ფრთხილად შეკრა თავისი ჩანახატები, ამჯერად ერთი ხელი თეთრეული აიღო და ყველა ახალბედა პროვინციელი ხელოვანის კვალობაზე დედაქალაქისაკენ აიღო გეზი.

4.

მინჰერ ჰერმან გიიზბერტ ტერსტეგი ჰააგის სკოლის დამაარსებელი და ამასთან ყველაზე შეძლებული სურათებით მოვაჭრე გახლდათ მთელს ჰოლანდიაში. ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ მასთან რჩევის მისაღებად, რა სურათები ვიყიდოთო.

თუკი ტერსტეგი იტყოდა, ეს ტილო კარგიაო, მისი სიტყვა ბეჭედი იყო.

იმხანად, როდესაც ტერსტეგმა ძია ვინსენტ ვან გოგი შესცვალა გუპილისა და კომპანიის ფირმის მმართველის თანამდებობაზე, ნიჭიერი, ახალგაზრდა ჰოლანდიელი მხატვრები მიმოფანტულნი იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ანტონ მაუვე და იოსეფი ამსტერდამში ცხოვრობდნენ, იაკობი და უილემ მარისი პროვინციაში, იოსეფ იზრაელსი, იოჰანეს ბოსბოომი და ბლომერსი ქალაქ-ქალაქ დახეტიალობდნენ და ვერსად საცხოვრებლად ფეხს ვერ იკიდებდნენ.

ტერსტეგმა ყველას სათითაოდ მისწერა:

„ხომ არ შეგვეერთებინა ჩვენი ძალები აქ, ჰააგაში, რომ იგი ჰოლანდიური ხელოვნების ბურჯად გვექცია? ჩვენ შეგვეძლება ერთმანეთს დავეხმაროთ, ერთმანეთისაგან ვისწავლოთ და შესაძლოა შეერთებული ძალით ჰოლანდიურ მხატვრობას ის მსოფლიო სახელი და დიდება დავუბრუნოთ, რაც მას ფრანს ჰალსის და რემბრანდტის დროს ჰქონდა“.

მხატვრები არ ჩქარობდნენ პასუხს, მაგრამ ნელ-ნელა ყველა იმ ახალბედამ, ვინც კი ტერსტეგმა გამოარჩია, ჰააგაში მოიყარა თავი. საიმდროოდ მათ ტილოებზე არავითარი მოთხოვნილება არ იყო. ტერსტეგს გაყიდვა არ აინტერესებდა, რადგან მათ მომავალ დიდებას უწინასწარმეტყველებდა. მან შეიძინა იზრაელსის, მაუვეს, იაკობ მარისის ტილოები და ექვსი წელი დასჭირდა, რომ ხალხი დაერწმუნებინა მათ სიდიადეში.

წლები გადიოდა და ტერსტეგი ნელ-ნელა იძენდა ბოსბოომის, მარისის და ნეიჰოისის ტილოებს. ყიდულობდა და თავისი მაღაზიის ერთ კუთხეში აწყობდა. ახალგაზრდებს მომწიფებისათვის ხელისშეწყობა სჭირდებოდათ და თუკი ჰოლანდიელებს არ შეეძლოთ დაენახათ თვიანთ თანამემამულეთა გენია, ტერსტეგს, როგორც კრიტიკოსსა და საქმოსანს, არ უნდა დაეშვა, რომ მსოფლიო ხელოვნებას დაეკარგა ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრები სიღარიბის, უყურადღებობისა თუ

წარუმატებლობის გამო. ტერსტეგი ყიდულობდა მათ სურათებს, აძლევდა მითითებებს, აცნობდა ერთმანეთს და ყველას მხარში ედგა გაჭირვების ჟამს. დღითიდღე ცდილობდა ჰოლანდიელებისათვის გემოვნება ჩამოეყალიბებინა და თვალი აეხილა, რომ მათ თავიანთი ეროვნული მხატვრების სილამაზე და გამოსახვის ძალა დაენახათ.

როდესაც ვინსენტი ჰააგისაკენ გაეშურა, ტერსტეგს უკვე თავისი გაეტანა. მაუვე, ნეიჰოისი, იზრაელსი, იაკობ და უილემ მარისი, ბოსბოომი და ბლომერსი არა მარტო ჰყიდდნენ ყველა ტილოს გუპილის ფირმის დახმარებით საკმაოდ ძვირად, არამედ კლასიკოსობის პრეტენზიასაც აცხადებდნენ.

ტერსტეგი ჰოლანდიელის კვალობაზე ლამაზი კაცი იყო.

დიდრონი და გამოკვეთილი სახის ნაკვთები, მაღალი შუბლი, უკან გადავარცხნილი წაბლისფერი თმა, მრგვლად შეკრეჭილი კოხტა წვერი, რომელიც მთელ სახეს უფარავდა და ჰოლანდიის ცასავით ნათელი ცისფერი თვალები ჰქონდა ტანზე პრინც ალბერტის სტილის, გაშვებული შავი სერთუკი ეცვა, ზოლიანი, განიერი შარვალი ფეხსაცმელებს უფარავდა; მაღალ საყელოზე შავ ბაფთიან ჰალსტუხს ყოველ დილით ცოლი უნასკვავდა ხოლმე.

ტერსტეგს მოსწონდა ვინსენტი. როცა ეს ყმაწვილი გუპილის ლონდონის ფილიალში გადაიყვანეს, ტერსტეგმა წერილი მისწერა ინგლისელ მმართველს და გულთბილი რეკომენდაცია გაუწია. ეს მან გაუგზავნა ბორინაჟში Exercises au Fusais და ბარგის Cours de dessin (*ხატვის კურსი — ფრ.). რადგან იცოდა, გამოადგებოდა. მართალია, გუპილის კომპანიის ჰააგის ფირმა ძია ვინსენტ ვან გოგს ეკუთვნოდა, ვინსენტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ტერსტეგი მხოლოდ მისი პიროვნებით იყო დაინტერესებული. ტერსტეგი მლიქვნელთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა. გუპილის ფირმა პლაატის მოედანზე მდებარეობდა, 20 ნომერში, ჰააგის უმდიდრეს არისტოკრატიულ ნაწილში. აქვე იყო სენტ-გროვენის შუასაუკუნოვანი ციხე-კოშკი, საიდანაც დაიწყო ჰააგამ გაშენება, და პატარა თხრილი, რომელიც ახლა თვალწარმტაც ტბად ქცეულიყო, უფრო შორს კი მოჩანდა მაურიტს ჰოისი, სადაც გამოფენილი იყო რუბენსის, ჰალსის, რემბრანდტის და სხვა, შედარებით ნაკლებად ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრების ტილოები.

ვინსენტი სადგურიდან ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ და ხალხმრავალ ვაგენსტრატის ქუჩას გაუყვა. პლეინი და ბინენჰოფი კოშკთან გადაჭრა თუ არა, პლაატის მოედანზე აღმოჩნდა. რვა წლის წინ წავიდა აქედან. მთელი ტანჯვა-წამება, რაც ამ წლების განმავლობაში გადაიტანა, ახლა ამოტივტივდა მის გონებაში და მთელი სიმძიმით დააწვა.

რვა წლის წინათ; მაშინ იგი ყველას უყვარდა, ამაყობდნენ მისით. ძია ვინსენტის საყვარელი ძმისწული იყო და სჯეროდათ, რომ ვინსენტი არა მარტო ბიძამისის ადგილს დაიკავებდა, არამედ მისი მემკვიდრეც გახდებოდა. ვინსენტს შეეძლო ახლა ძლიერი და მდიდარი ყოფილიყო, ყველასათვის საყვარელი და სათაყვანებელი. დადგებოდა დრო და მის ხელში აღმოჩნდებოდა ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი სურათების გალერეები.

განა რა დაემართა?

პასუხისათვის დრო აღარ დაუკარგავს, მოედანი გადაჭრა და კომპანიის შენობაში შევიდა. ოთახი ლამაზად მოერთოთ.

ვინსენტს სულ დავიწყებოდა აქაურობა. უეცრად იგრძნო, რა საცოდავად და უმწეოდ გამოიყურებოდა თვითონ თავის უხეშ სამუშაო კოსტიუმში. ქუჩიდან პირდაპირ გრძელ სალონში შევიდა. ფანჯარაზე მდიდრული, თეთრი ფარდები დაეკიდათ. სამი საფეხურით მაღლა იწყებოდა მეორე, შედარებით პატარა სალონი, რომელსაც მინის ჭერი ჰქონდა. კიდევ უფრო მაღლა იყო მესამე, სულ პაწაწინა ოთახი, — შინაურებისათვის განკუთვნილი ინტიმური სალონი. აქედან ფართო კიბე მეორე სართულზე ადიოდა, სადაც ტერსტეგს სამუშაო ოთახი და ბინა ჰქონდა. კიბის გაყოლებით კედლები მთლად დაეფარა სურათებს.

გალერეაში ფუფუნება და დახვეწილი გემოვნება იგრძნობოდა. კლერკებს ლაზათიანად ეცვათ, კოხტად დადიოდნენ.

მდიდრულ კედლებზე ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა. ვინსენტმა ფეხქვეშ სქელი, ბუმბულივით რბილი ხალიჩა იგრძნო. გაახსენდა, რომ ის სკამები, რომლებიც შეუმჩნევლად აქა-იქ კუთხეებში დაედგათ, ფასდაუდებელი ანტიკვარული ნივთები იყო. ვინსენტს თავისი ნახატები მოაგონდა — მაღაროდან გამომძვრალი, ჩამოძონძილი მუშები, ტერილის გროვებაში გართული მათი ცოლები, ბრაბანტელი მხვნელ-მთესველები და იფიქრა, ნუთუ შესაძლებელია, ჩემი უბრალოდ დახატული ღარიბი ხალხის სურათები ხელოვნების ამ უზარმაზარ სასახლეში გაიყიდოსო. ძალიან საეჭვოდ ეჩვენა.

აღფრთოვანებული ვინსენტი თვალს არ აცილებდა მაუვეს მიერ დახატულ ცხვრის თავს. კლერკები გრავიურების მაგიდას შემოსხდომოდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ერთი კი შეავლეს თვალი ვინსენტის მორთულობას, მაგრამ თავიც არავის შეუწუხებია ეკითხა, ხომ არაფერი გნებავთო. ტერსტეგი მეორე ოთახში იყო და სურათებს ანაწილებდა. ვინსენტს არ შეუმჩნევია, როდის შემოვიდა იგი მთავარ სალონში.

ტერსტეგმა კიბეები ჩამოათავა და თავის ყოფილ კლერკს დააცქერდა. თვალში მოხვდა მოკლედ შეკრეჭილი თმა, გაბურძგვნილი მწითური წვერი, გლეხური ფეხსაცმელები, უსაყელო, კისრამდე შებნეული სამუშაო კოსტიუმი და იღლიაში ამოჩრილი, უხეიროდ შეკრული ფუთა. ვინსენტის მთელ არსებაში იყო რაღაც ტლანქი, მოუხეშავი, და ეს აშკარად იგრძნობოდა ამ დახვეწილ და გიგანტურ გალერეაში.

— ვინსენტ! — დაუძახა ტერსტეგმა, იგი უხმაუროდ მოაბიჯებდა ხალიჩაზე.

— ვხედავ, ჩვენმა ტილოებმა გაგიტაცეს.

ვინსენტი შემობრუნდა.

— მართლაც რომ მშვენიერია! როგორ ბრძანდებით, მინჰერ ტერსტეგ? დედამ და მამამ მოკითხვა დამაბარეს თქვენთან.

და რვა წლის განშორების შემდეგ ეს ხელის ჩამორთმევა მათ შემაერთებელ გზად და ხიდად იქცა.

— თქვენ საუცხოოდ გამოიყურებით, მინჰერ, გაცილებით უკეთ, ვიდრე წინათ.

— ცხოვრება მანებივრებს, ვინსენტ, არ მაბერებს. ჩემს ოთახში ხომ არ ავსულიყავით!

ვინსენტი ფართო კიბეებზე მიჰყვა, თან ერთთავად ბორძიკობდა, რადგან თვალს ვერ აცილებდა გამოფენილ ნახატებს.

ბრიუსელში თეოსთან განშორების შემდეგ პირველად ხედავდა ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილებებს. ვინსენტი განცვიფრებული იყო. ტერსტეგმა კაბინეტის კარი შეაღო და ოთახში შეიპატიჟა.

— ჩამოჯექი, ვინსენტ.

ვინსენტი პირდაღებული შესცქეროდა ვეისენბრუჰის ტილოს. ეს მხატვარი არც გაეგონა. დაჯდა, თავისი ფუთა ჯერ დაბლა დადო, მერე ისევ ხელში აიღო და ტერსტეგის ლაპლაპა მაგიდას მიუახლოვდა.

— მოვედი, რომ წიგნები დაგიბრუნოთ. მადლობელი ვარ, რომ მათხოვეთ.

ფუთა გახსნა. სუფთა პერანგი და წინდები გვერდით მისწია და სავარჯიშოების წიგნი მაგიდაზე დაუდო.

— მე ბევრს ვმუშაობდი ნახატებზე და თქვენი წიგნები დიდად დამეხმარა.

— აბა მიჩვენე, რა დახატე, — საქმეზე გადავიდა ტერსტეგი.

ვინსენტმა სურათების გროვიდან თავისი პირველი ნახატები აარჩია, ბორინაჟში გაკეთებული. ტერსტეგმა ხმა არ ამოიღო.

ვინსენტმა სასწრაფოდ ეტენში გაკეთებული ჩანახატები დაუწყო წინ. ამჯერად ტერსტეგს მრავალმნიშვნელოვანი „ჰმმ“ დასცდა. ნახატების მესამე სერიამ, რომელიც ვინსენტმა წამოსვლის წინა დღეებში გააკეთა, დააინტერესა კიდეც ტერსტეგი.

— აი ეს კარგი შტრიხია! — თქვა ერთ სურათზე, — აქ შუქჩრდილი მომწონს, — მიუთითა მეორეზე, — შენ თითქმის აღწევ მიზანს.

— მე თვითონაც ვიგრძენი, ამას არა უშავს-მეთქი, — აღიარა ვინსენტმა.

ტერსტეგმა ყველა სურათი ნახა, ახლა ვინსენტი განაჩენს მოელოდა.

ტერსტეგმა თავისი გრძელი, გამხდარი მკლავები მაგიდაზე დააწყო. თითები ბოლოებში წაწვრილებული ჰქონდა.

— შენ ცოტა გაუმჯობესება გეტყობა. ცოტა, ბევრი არა. პირველ სურათებს რომ დავხედე, შემეშინდა... შენს ნამუშევრებს ნამდვილად ემჩნევა, რომ ძალიან ცდილობ.

— ნუთუ სულ ეს არის? მხოლოდ ვცდილობ? არავითარი ნიჭი არა მაქვს?

ვინსენტმა იცოდა, ამისი კითხვა არ შეიძლებოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა.

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, ვინსენტ.

— შეიძლება. რამდენიმე ჩემი საკუთარი ჩანახატი მაქვს კიდევ, ხომ არ ინებებდით გენახათ?

— სიამოვნებით.

ვინსენტმა მაღაროელებისა და გლეხების ნახატები გაშალა.

უცებ საშინელი სიჩუმე გამეფდა, მთელს ჰოლანდიაში კარგად ცნობილი სიჩუმე, რომლის შემდეგაც ასობით ახალგაზრდა მხატვარს აუწყებდნენ, შენი ნახატები არაფრად ვარგაო. ტერსტეგი სურათებს შესცქეროდა და თავისი „ჰმმ“-ც კი აღარ დასცდენია. ვინსენტს გული უთრთოდა, ტერსტეგი სკამზე გადაწვა და ფანჯრიდან ტბაში მოცურავე გედებს გახედა. ვინსენტმა გამოცდილებით იცოდა, თუ თვითონ არ დაილაპარაკებდა პირველი, ამ სიჩუმეს ბოლო არ მოეღებოდა.

— ნუთუ ვერავითარ უკეთესობას ვერ ამჩნევთ, მისტერ ტერსტეგ, — ჰკითხა ვინსენტმა, — განა ბრაბანტის ჩანახატები არ სჯობს ბორინაჟისას?

— რა თქმა უნდა, — უთხრა ტერსტეგმა და მზერა მოსწყვიტა ტბას — უკეთესია, მაგრამ კარგი არ არის. რაღაც მთავარი გაკლია. კერძოდ რა, ასე უცებ ვერ გეტყვი. ჩემი აზრით, უმჯობესია ისევ გადახატვას დაუბრუნდე. დამოუკიდებელი მუშაობისათვის

მზად არა ხარ. ჯერ წვრილმანების დახატვა ისწავლე და შემდეგ შეუდექი ცხოვრების ასახვას.

— მე მინდა ჰააგაში ჩამოვიდე სასწავლებლად, ხომ კარგი აზრია, მინჰერ?

— ტერსტეგს არ უნდოდა რაიმე ვალდებულება აეღო თავის თავზე, არადა უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა.

— ჰააგა კარგია, — თქვა მან, — აქ ბევრი გალერეა და ახალგაზრდა მხატვარია. მაგრამ არ მესმის, რითი სჯობს იგი ანტვერპენს, პარიზს ან ბრიუსელს.

ვინსენტი რომ წამოვიდა, არც თუ ისე ცუდ გუნებაზე იყო.

ტერსტეგმა მისი წინსვლა აღიარა. იგი ხომ მთელს ჰოლანდიაში ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი იყო. ბოლოსდაბოლოს, ერთ ადგილზე არ გაყინულა. თვითონაც იცოდა, რომ მის ნახატებს ბევრი აკლდა სრულყოფამდე, მაგრამ სწამდა, რომ სისტემატური, გულმოდგინე მუშაობით უთუოდ მიაღწევდა მიზანს.

5.

ჰააგა ალბათ ყველაზე სუფთა და მოვლილი ქალაქია მთელს ევროპაში. იგი ტიპიური ჰოლანდიური სტილისაა, უბრალო, დახვეწილი და წარმტაცი. გაწკრიალებულ ქუჩებს ხეების გრძელი მწკრივი მიჰყვება. სახლები თხელი აგურითაა ნაგები და თითოეულ მათგანს წინ პაწაწინა, სათუთად მოვლილი ბაღი აკრავს, სადაც ვარდები და ჰერანიუმები ხარობს. აქ ვერ ნახავთ ჯურღმულებს, ღარიბთა უბნებს. საამური საცქერია ჰოლანდიური ასკეტიზმით გაჟღენთილი ქალაქი.

დიდი ხნის წინათ იყო, ჰააგამ ყარყატი რომ გამოსახა თავის ღერბზე. მას მერე მოსახლეობა მართლაც ძალიან სწრაფად მრავლდებოდა.

ვინსენტმა ის დღე დაიცადა და მეორე დღეს მაუვეს მიადგა ბინაზე, ვილებომენის 138 ნომერში. მაუვეს სიდედრი, კარბენტიუსის ქალი, ანა კორნელიას და იყო, და რადგანაც ნათესაური კავშირი იმხანად ბევრს ნიშნავდა, ვინსენტს ძალიან გულთბილად შეხვდნენ.

მაუვე ჩაფსკვნილი ტანის კაცი გამოდგა. მხრებდაშვებული მაგრამ მკერდგანიერი. ტერსტეგისა და თითქმის ყველა ვან გოგის მსგავსად, მაშინვე თვალში გეცემოდათ მისი უზარმაზარი შუბლი. ნათელი, ოდნავ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. მაღალი, სწორი ცხვირი პირდაპირ შუბლის ძვალს უერთდებოდა, ყურები ოდნავ წამოწეოდა, ხოლო შევერცხლილი წვერი კოხტად მოყვანილ სახეს უმშვენებდა. მარჯვნივ გადავარცხნილი თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

მაუვე ენერგიით სავსე კაცი იყო და ამ ენერგიას მაქსიმალურად იყენებდა.

იგი განუწყვეტლივ ხატავდა. დაიღლებოდა თუ არა, მაშინვე სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს და მერე ისევ ხატვას მიუბრუნდებოდა. დაიღლებოდა, ისევ სხვა საქმით დაისვენებდა და ისევ ხატავდა.

— იეტი შინ არ არის, ვინსენტ, — უთხრა მაუვემ, — ჩემს სახელოსნოში წავიდეთ, იქ მეტი სიმყუდროვეა.

— კარგი, — ვინსენტს ძალიან აინტერესებდა სახელოსნოს ნახვა.

ხის სახელოსნო ბაღში იდგა. კარი სახლის მხრიდან ჰქონდა.

ბაღი ცოცხალი ღობით იყო გარშემორტყმული და მუშაობისას მარტოობის სრული ილუზია იქმნებოდა.

ვინსენტს შესვლისთანავე ეცა თამბაქოს, ძველი სიგარებისა და ლაქის სუნი. ოთახი საკმაოდ ვრცელი იყო. სქელ დევენტერულ ხალიჩაზე რამდენიმე მოლბერტი იდგა სურათებით, კედლები ეტიუდებს დაეფარა. ერთ კუთხეში ძველებური მაგიდა იდგა, ხოლო მის წინ პაწაწინა ირანული ხალიჩა ეგო. ჩრდილოეთ კედელს ნახევარი მხარე მინისა ჰქონდა. მთელ ოთახში წიგნები მიმოეფანტათ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხატვრის სამუშაო იარაღები ეყარა. თუმცა ოთახი საკმაოდ იყო გადატვირთული, ვინსენტმა იგრძნო, რომ მაუვესათვის ჩვეული წესრიგი აქაურობასაც დატყობოდა.

ჩვეულებისამებრ ჯერ ოჯახები მოიკითხეს და შემდეგ იმ ერთადერთ თემაზე გადავიდნენ, რაც ამ ორ ადამიანს ყველაზე მეტად აინტერესებდა ამქვეყნად. მაუვე ერთხანს შეგნებულად გაურბოდა სხვა მხატვრებზე ლაპარაკს, მას სწამდა, რომ კაცმა ან უნდა თვითონ ხატოს ან სხვის ნახატებზე ილაპარაკოს, ორივე ერთად შეუძლებელია. ერთი აზრი აკვიატებოდა: უნდოდა მუქ ფერებში დაეხატა ნისლიანი პეიზაჟი, შებინდების ჟამს. ვინსენტის აზრი არ აინტერესებდა, მან მხოლოდ თავისი გეგმები გააცნო. ამასობაში მაუვეს ცოლიც მოვიდა და ვინსენტს შეეპატიჟა, ვახშმად ჩვენთან დარჩიო. დანაყრებული ვინსენტი ბუხარს მიუჯდა და ბავშვებს გაეთამაშა. გულში ფიქრობდა, რა კარგია გქონდეს შენი საკუთარი კუთხე, გყავდეს ცოლი, რომელსაც უყვარხარ და სჯერა შენი, გეხვეოდნენ შვილები და მარტო მამას კი არა, „იმპერატორსა“ და „მბრძანებელსაც“ გეძახდნენ. ნუთუ ეს ბედნიერი დღე არასოდეს დადგებოდა მისთვის?

მალე კაცები ისევ სახელოსნოში დაბრუნდნენ და ყალიონი გააჩაღეს. ვინსენტმა თავისი შესრულებული ასლები გაშალა.

მაუვემ გამოცდილი მხატვრის თვალი შეავლო.

— ვარჯიშის კვალობაზე არც თუ ისე ურიგოა, — მაგრამ არ მესმის, რაში გჭირდება?

— რაში მჭირდება? მე არ...

— შენ მხოლოდ მოსწავლე ბიჭივით იმეორებ, ვინსენტ, სხვის მიერ შექმნილს.

— მე მეგონა, ამით საგნების დახატვას ვისწავლიდი.

— სისულელეა, თუ შენ გინდა რაიმე შექმნა, ცხოვრებას შეხედე, სხვას ნუ მიბაძავ. შენი საკუთარი — არაფერი გაქვს?

ვინსენტს გაახსენდა, რა უთხრა ტერსტეგმა მის ნახატებზე.

ყოყმანობდა, ვაჩვენო მაუვეს თუ არაო. იგი ჰააგაში იმიტომ ჩამოვიდა, რომ მაუვესთვის ეთხოვა თქვენს მოსწავლედ ამიყვანეთო. ახლა მისი ნახატები თუ არაფრად ვარგა...

— დიახ! — უპასუხა მან, — მე სულ ვაკეთებდი საყოფაცხოვრებო ჟანრის ჩანახატებს.

— კარგია!

— აი რამდენიმე მათგანი — ბორინაჟელი მაღაროელები და ბრაბანტელი გლეხები. არც ისე კარგია, მაგრამ...

— არაფერია, — გაამხნევა მაუვემ, — მიჩვენე. მთავარია, მათი ჭეშმარიტი არსი იყოს მიგნებული.

ვინსენტმა სურათები გაშალა. გული პირდაპირ ყელში უცემდა. მაუვე დაჯდა. მარცხენა ხელი რამდენჯერმე გადაისვა თავის გრძელ თმაზე. უცებ ხმადაბლა, მხიარულად გაეცინა, ერთი კიდევ გადაისვა ხელი თავზე, თმა აიქოჩრა და

უკმაყოფილოდ მეხედა ვინსენტს. მერე მუშის სურათს ხელი დასტაცა და სასწრაფოდ თავის ახალ ტილოზე, ადამიანის დაუმთავრებელი გამოსახულების გვერდით დასდო.

— აი ახლა მესმის, სად შევცდი, — წამოიძახა მან.

ფანქარი მოიმარჯვა, ნახატი სინათლისაკენ მიაბრუნა და რამდენიმეჯერ სწრაფად გაუსვა ფანქარი, თან ვინსენტის სურათს თვალს არ აცილებდა.

— აი ასე სჯობს, — თქვა მან და უკან დაიხია, — ეს მათხოვარი უკვე ცოცხალს დაემსგავსა.

იგი ვინსენტთან მივიდა და ხელი დაადო მხარზე.

— ყველაფერი რიგზეა შენ სწორ გზაზე დგახარ, ვინსენტ.

შენი ჩანახატები, ცოტა არ იყოს, ულაზათოა, მაგრამ სწორია.

მათ აქვთ ის ცხოველმყოფელობა და რიტმი, რასაც მე ძალიან ხშირად ვერ ვპოულობ ხოლმე. წიგნები გვერდზე გადასდე და საღებავები შეიძინე. რაც უფრო ადრე დაიწყებ ფერებში ხატვას, მით უკეთესი. შენი ნახატი უხეიროა, მაგრამ ნელ-ნელა გაუმჯობესდება.

ვინსენტმა იფიქრა, ახლაა ხელსაყრელი მომენტიო.

— მე ვაპირებ ჰააგაში გადმოვიდე და აქ გავაგრძელო მუშაობა. ხანდახან ხომ არ დამეხმარებით ხოლმე? მე თქვენისთანა კაცი მჭირდება და ისეთი უმნიშვნელო წვრილმანები, რაც მე დღეს თქვენგან შევიტყვე. ყოველ ახალგაზრდა მხატვარს გამოცდილი ოსტატი უნდა ჰყავდეს და მე მადლობელი ვიქნები, თუ ნებას დამრთავთ თქვენთან ვიმუშაო.

მაუვემ თავის დაუმთავრებელ ტილოს შეავლო თვალი. იმ ცოტაოდენ დროს, რაც მხატვრობის მიღმა რჩებოდა, თავის ოჯახთან ატარებდა ხოლმე. მთელი ის სითბო და აღფრთოვანება, რაც ვინსენტის მიმართ გამოიჩინა, უცებ სადღაც გაქრა და მისი ადგილი სიცარიელემ დაიჭირა. ვინსენტი ფრიად მგრძნობიარე ადამიანი იყო და ეს მეტამორფოზი არ გამოჰპარვია.

— მე დაკავებული კაცი ვარ, ვინსენტ, — უთხრა მაუვემ, — ძალიან ცოტა რამ შემიძლია მივცე სხვას. ხელოვანი ეგოისტი უნდა იყოს და სამუშაო დროის ყოველ წამს უფრთხილდებოდეს. არა მგონია, შევძლო დიდად დაგეხმარო.

— მე ბევრს არა გთხოვთ, — წამოიძახა ვინსენტმა, — მხოლოდ ხანდახან, ნება მომეცით, თქვენს გვერდით ვიმუშაო და ვუყურო როგორ ქმნით ახალ სურათს. რაიმეს გამიზიარებთ ხოლმე, როგორც დღეს, და მე ვნახავ, თუ ვით პოულობს ხორცშესხმას ფანტაზიით წარმოდგენილი. ხანდახან კი, როცა შეისვენებთ, ჩემს ნახატებს შეხედავთ და მეტყვით რა არ მოგწონთ.

ეს არის და ეს.

— შენ გგონია, ეს ცოტაა? მერწმუნე, მოსწავლის ყოლა არც ისე იოლია.

— მე ტვირთად არ დაგაწვებით, პირობას გაძლევთ.

მაუვე დიდხანს ორჭოფობდა. მას არასოდეს ჰქონია სურვილი ვინმე აღეზარდა. მუშაობის დროს სიმარტოვე ყველაფერს ერჩივნა. თავის ქმნილებებზე ლაპარაკი ძვირად თუ მოუნდებოდა ხოლმე, ხოლო იმ რჩევის პასუხად. რასაც იგი ახალგაზრდებს აძლევდა, ლანძღვა-გინების მეტი არაფერი მიუღია. მაგრამ ვინსენტი მისი ნათესავი იყო, თან ძია ვინსენტ ვან გოგი და გუპილი ყოველ მის სურათს ყიდულობდნენ; ესეც რომ არა, რაღაც დაუოკებელი, შმაგი ბუნება იგრძნობოდა ამ

ყმაწვილში — რაც მის ნახატებსაც ეტყობოდა და რამაც მისდა უნებურად მიიზიდა მაუვე.

— კარგი, ვინსენტ, — უთხრა ბოლოს, — ვცადოთ.

— ო, მაუვე, ძვირფასო!

— იცოდე, ვერ შეგპირდები; შეიძლება არც არაფერი გამოგვივიდეს. ჯერ გადმოდი ჰააგაში, მერე მოდი ჩემთან და გადავწყვიტოთ, რითი შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ. ამ შემოდგომაზე დრენტში ვაპირებ წასვლას. იქნებ ზამთრის დამდეგს ჩამოსულიყავი.

— მეც სწორედ მაგ დროისათვის მინდა ჩამოსვლა. რამდენიმე თვე კიდევ მჭირდება ბრაბანტში სამუშაოდ.

— აბა, შევთანხმდით!

უკან დაბრუნებისას იდუმალი ხმა მონოტონურად უმეორებდა ვინსენტს: შენ გყავს მასწავლებელი, შენ გყავს მასწავლებელი, რამდენიმე თვეც და შენ ნამდვილ მხატვართან იმუშავებ, აი მაშინ შენც ისწავლი ხატვას. მუშაობა, მხოლოდ მუშაობა. რაღა დარჩა. ნახოს მაუვემ, რა შეგიძლია შენ.

ეტენში ქეი ვოსი დაუხვდა ვინსენტს.

6.

განუზომელმა მწუხარებამ ამქვეყნიურობას მოსწყვიტა ქეი.

მას თავდავიწყებით უყვარდა ქმარი და მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ რაღაც ჩაკლა მის არსებაში. ამ ქალის ენერგია და სიცოცხლისუნარიანობა, სიმხიარულე და სიმხნევე ელვის უსწრაფესად გაქრა. თითქოს მისმა ჯანსაღმა თმამაც დაჰკარგა პირვანდელი ელფერი. სახე გაწვრილებოდა და წვეტიანი ნიკაპი ასკეტურ იერს აძლევდა. ცისფერი თვალები ჩაღრმავებოდა და ჩაშავებოდა.

სახის კანს აღარ ჰქონდა ძველებური ელვარება, გაფერმკრთალებოდა. ის ცხოველმყოფელობა, რაც ვინსენტმა ამსტერდამში შენიშნა ქეის, ახლა გამქრალიყო, მაგრამ მისი ადგილი მომწიფებულ სილამაზეს დაეჭირა. თავსდამტყდარ უბედურებას მეტი სიღრმე და შინაარსი მიეცა მისთვის.

— რა კარგია, რომ როგორც იქნა, ჩამოხვედი, ქეი, უთხრა ვინსენტმა.

— მადლობელი ვარ, ვინსენტ!

ეს პირველი შემთხვევა იყო, ერთმანეთს სახელებით რომ მიმართეს, ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე, და ეს ისე ბუნებრივად მოხდა, რომ ვერც ერთმა ვერ შენიშნა.

— რა თქმა უნდა, იანიც აქ არის!

— ჰო, ბაღშია.

— ბრაბანტში პირველად ხარ? კარგია, რომ მეც აქა ვარ, ყველაფერს გიჩვენებ. ველზე გავიდეთ ხოლმე, ვიხეტიალოთ.

— რა კარგი იქნება, ვინსენტ.

ქეი წყნარად, ალერსიანად ლაპარაკობდა, მაგრამ თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. ქეის ხმა დადაბლებოდა და უთრთოდა კიდეც. ვინსენტს მოაგონდა, როგორ გულთბილად მიიღო იგი ქეიმ თავის სახლში, კეიცერსგრახტზე. ახლა ნეტავი საჭირო ხომ არ იყო ქმარზე ჩამოეგდო სიტყვა, ენუგეშებინა? ვინსენტი ვალდებული

იყო რაიმე ეთქვა, მაგრამ გული უგრძნობდა, ახლა ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებაო.

ქეი მიუხვდა და მადლობელი დარჩა. ქმარი წმინდათაწმინდა ხატი იყო მისთვის და უჭირდა მასზე ლაპარაკი. ქეისაც ზამთრის ის საღამოები გაახსენდა, როცა მშობლებთან და ვოსთან ერთად ქაღალდს თამაშობდნენ ხოლმე ბუხართან. ვინსენტი კი ამ დროს უზარმაზარი ლამპის შუქზე იჯდა სადმე კუთხეში.

ყრუ ტკივილი ამოძრავდა ქეის სულში და ცრემლი მოადგა.

ვინსენტმა ქეის ხელს წყნარად შეახო თავისი ხელი და ქეიმ მადლობით სავსე თვალები შეანათა. სულიერი ტანჯვა მოუხდა ქეის. ადრე იგი ბედნიერი გოგონა იყო, ახლა კი ჭირ-ვარამ გამოვლილი ქალი, მთელი იმ მშვენებით სავსე, რასაც მხოლოდ სულიერი ტანჯვა ანიჭებს ადამიანს. ვინსენტს ძველთაძველი სიბრძნე გაახსენდა, ტანჯვა მშვენიერების დედააო.

— შენ მოგეწონება ჩვენთან, ქეი, — უთხრა ვინსენტმა წყნარად, — მე მთელი დღე გარეთ ვარ და ვხატავ. ახლა შენ და იანიც ჩემთან ერთად წამოხვალთ ხოლმე.

— ხელს არ შეგიშლი?

— არა, არა! მიყვარს, როცა ვინმე მყავს გვერდით. ერთად ვისეირნებთ და მე ბევრ საინტერესო რამეს გიჩვენებ.

— თუ ასეა, სიამოვნებით წამოვალ.

— იანსაც მოუხდება. სუფთა ჰაერი გააკაჟებს.

ქეიმ ოდნავ შესამჩნევად მოუჭირა ვინსენტის ხელს ხელი.

— ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ვინსენტ. ხომ ვიქნებით?

— ჰო, ქეი.

ქეიმ ხელი გაუშვა ვინსენტს და გზის გადაღმა მდგარი პროტესტანტული ეკლესიისაკენ გაიხედა, თუმცა ახლა ვერაფერს ხედავდა.

ვინსენტი ბაღში გამოვიდა, ქეის სკამი დაუდგა, მერე იანს სილის პაწია სახლის აშენებაში შეეშველა და უცებ სულ გა დაავიწყდა, თე რა სასიხარულო ამბავი ჩამოიტანა ჰააგიდან, იმავე საღამოს, ვახშმობისას, ოჯახს აუწყა, მაუვე თანახმაა მოწაფედ ამიყვანოსო. სხვა დროს ვინსენტი კრინტსაც არ დასძრავდა იმ ქების თაობაზე, რაც ტერსტეგისა და მაუვესაგან მიიღო, მაგრამ ახლა, რაკი ქეი ედგა გვერდით, უნდოდა კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. დედა მეტისმეტად ნასიამოვნები დარჩა.

— შენ ყველაფერი უნდა დაუჯერო მაუვეს, — უთხრა მან შვილს, — იგი გამოჩენილი კაცია.

მეორე დილით ქეი, იანი და ვინსენტი ადრიანად გაეშურნენ ლოსბოსისაკენ, სადაც ვინსენტი ხატვას აპირებდა. ვინსენტს საუზმე არასოდეს დაჰქონდა თან, ახლა კი დედამ სამივესათვის ჩაალაგა საუზმე და თან გაატანა. იგი ფიქრობდა, რომ ეს პატარა ექსკურსიასავით იქნებოდა.

სასაფლაოზე გავლისას მაღალ აკაციაზე კაჭკაჭის ბუდე შენიშნეს. იანი საშინლად ააღელვა ამ ამბავმა და ვინსენტი შეპირდა, კაჭკაჭის კვერცხს გიპოვიო. ფიჭვის ტყეში რომ შევიდნენ, გამხმარი წიწვები აუტკაცუნდათ ფეხქვეშ, შემდეგ ყვითელი, თეთრი და ნაცრისფერი სილით დაფარულ ველზე გავიდნენ. ერთ ადგილას უპატრონოდ მიგდებული სახნისი და ოთხთვალა ნახეს. ვინსენტმა მყისვე ააწყო მოლბერტი, იანი ოთხთვალაზე შესვა და სასწრაფოდ დახატა. ქეი გვერდზე გადგა, იანის ანცობის

შემყურე ხმას არ იღებდა. ვინსენტს არ უნდოდა მისი მყუდროება დაერღვია, ისიც აკმაყოფილებდა, გვერდით რომ ჰყავდა ქეი. უწინ არასოდეს უფიქრია, რა კარგია თან მუშაობდე და თან გრძნობდე, რომ ქალი გიდგას გვერდით.

გზაში უამრავი ისლით გადახურული კოტეჯი შეხვდათ. ბოლოს როზენდალის შარაზე გავიდნენ. ქეიმ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— იცი, ვინსენტ მოლბერტთან რომ დაგინახე, რაღაც გამახსენდა, რასაც ამსტერდამში ვფიქრობდი შენზე.

— რა, ქეი?

— ხომ არ გეწყინება?

— რა თქმა უნდა, არა..

— მართალი თუ გინდა, მე ვიცოდი, რომ რელიგია შენი საქმე არ იყო და ტყუილად კარგავდი დროს.

— მერე, რატომ არ მითხარი?

— მე რა უფლება მქონდა, ვინსენტ!

ქეიმ შავი ქუდის ქვეშ ცეცხლისფერი თმა შეისწორა. უცებ ოღრო-ჩოღრო თხრილმა ქეი ვინსენტის მხარს მიახალა. ვინსენტი შეეშველა, მკლავი გამოსდო და აღარც მოუშორებია ხელი.

— შენ თვითონ უნდა მიმხვდარიყავი ყველაფერს, უთხრა ქეიმ, — მე რამდენიც არ უნდა მელაპარაკნა, ეს არაფერს შეცვლიდა.

— ახლა გამახსენდა, შენ ხომ გამაფრთხილე, გამოჩერჩეტებული მღვდელი არ გამოხვიდეო. საოცარი ის იყო, რომ სწორედ მღვდლის შვილი ამბობდა ამას.

ვინსენტმა მხიარულად გაიცინა, ქეის თვალები კი კვლავინდებურად სევდით იყო სავსე.

— მართალია, მაგრამ ვოსმა, ვინსენტ, ბევრი რამ ისეთი მასწავლა, რასაც მე თვითონ ალბათ ვერასოდეს მივხვდებოდი.

ვინსენტმა ანაზდად შეუშვა ხელი. ვოსის სახელი უცნაურ, გაუვალ კედლად აღიმართა მათ შორის.

მთელი საათი იარეს. ლოსბოსში კვლავ ააწყო მოლბერტი ვინსენტმა. უნდოდა იქაური ჭაობები დაეხატა. იანი სილით გაერთო, ხოლო ქეი სახლიდან წამოღებულ პაწია სკამზე ჩამოჯდა, ვინსენტის ზურგს უკან. ხელში წიგნი ეჭირა, მაგრამ არ კითხულობდა. ვინსენტი შმაგად ხატავდა, შთაგონებულად. სურათი ცოცხლობდა უჩვეულო ცხოველმყოფელობით. რა შველოდა, მაუვეს შექება, თუ ქეის იქ ყოფნა, ვერ გაეგო. ის კი იყო, რომ რწმენამ იმძლავრა. რამდენიმე ჩანახატი მოხაზა სწრაფად.

ქეისკენ არ მიუხედია, არც ქეი დალაპარაკებია, ვაითუ ხელი შევუშალოო. ქალის გვერდით ყოფნა ახალისებდა, უნდოდა განსაკუთრებით მარჯვედ ეხატა, რომ ქეი აღფრთოვანებულიყო.

საუზმის დრო მოახლოვდა. ქეიმ მუხის ჭალაში, გრილ ჩრდილში გაშალა საუზმე. სიოც არ იძვროდა. ჭაობის დუმფარების სუნი მუხის სუსტ სურნელს ეზავებოდა. ქეი და იანი ერთად ისხდნენ, ვინსენტი კი მათ პირდაპირ: ქეი ფუსფუსებდა. ვინსენტს მაუვეს ოჯახი მოაგონდა, ვახშმად რომ უსხდნენ მაგიდას.

უცქერდა ქეის ვინსენტი და გულში ფიქრობდა, ამაზე ლამაზი ქალი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავსო. სქელი ყვითელი ყველი და დედის გამომცხვარი,

გემრიელი პური მეტისმეტად მადისაღმძვრელი იყო, მაგრამ ვინსენტი პირსაც არ აკარებდა.

ახალმა, დაუოკებელმა წყურვილმა გაიღვიძა მასში. თვალს ვერ აცილებდა ქეის ნაზ კანს, თლილ სახეს, სევდიან თვალებს და ხორცსავსე ტუჩებს, ახლა რომ გაცრეცოდა, მაგრამ იცოდა ვინსენტმა, სულ მალე ისევ ძველებური ფერი დაუბრუნდებოდათ.

ნასაუზმევს იანმა დედის მკლავზე ჩაიძინა.

ქეი ბავშვის ქერა თმას ეფერებოდა და მის უმწიკვლო სახეს ჩასჩერებოდა. მიხვდა ვინსენტი, ქმრის ორეულს ეძებდა იგი ბავშვის სახეში. ქეი ახლა თავის სახლში იყო, კეიცერსგრახტზე, თავის საყვარელ ადამიანთან ერთად და არა ბრაბანტის მინდორში, ვინსენტის გვერდით.

მთელი დღე ხატა ვინსენტმა. ხანდახან იანს დაისვამდა ხოლმე მუხლებზე. ბიჭუნას ძალიან მოსწონდა იგი. ვინსენტმა რამდენიმე ცალი სუფთა ფურცელი მისცა ბავშვს დასახატად. იანი იცინოდა, ხმაურობდა და ყვითელ სილაზე დარბოდა. დროდადრო რაიმეს იპოვნიდა, ვინსენტთან მიირბენდა და კითხვას კითხვაზე აყრიდა. ყურადღება უნდოდა ბავშვს. ვინსენტი არ ბრაზობდა. სიამოვნებდა ეს თბილი, ცოცხალი, პაწია არსება რომ აცოცდებოდა ტანზე.

შემოდგომა ახლოვდებოდა და მზე ადრიანად ეფარებოდა თვალსაწიერს. უკან დაბრუნებისას დიდხანს უცქერდნენ ჩამავალი მზის შუქზე პეპლის ფრთებივით მოხატულ, წყლის ლივლივა ზედაპირს. ფერადი ჩრდილები თანდათან მუქდებოდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ. ვინსენტმა ნახატები უჩვენა ქეის.

ქალს სურათები მეტისმეტად ტლანქი და უხეში ეჩვენა, მაგრამ ვინსენტი ძალიან გულთბილი იყო იანის მიმართ, ამის გარდა ქეიმ მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა ტკივილი და ვინსენტს უთხრა:

— კარგია, ვინსენტ.

— მართლა, ქეი?

ქეის შექებამ ვინსენტის აზვავებულ გრძნობას გზა მისცა.

ქეი ძალიან გულკეთილი იყო მის მიმართ ამსტერდამში. ქეი გაიგებდა ყველაფერს, რაც ვინსენტს აწუხებდა. ქეი და მეტი არავინ მთელი დედამიწის ზურგზე. უჭირდა ვინსენტს ოჯახთან ლაპარაკი, რადგან მისი არაფერი გაეგებოდათ მშობლებს.

ტერსტეგთან და მაუვესთან ვინსენტს დამწყები მხატვრის მორიდება აკავებდა.

ვინსენტმა აჩქარებით, არეულად გადაეშალა გული. აღტყინებული გამალებით მიაბიჯებდა და ქეი ძლივძლივობით ეწეოდა. როცა განსაკუთრებით ცხარობდა, სიმშვიდის ნატამალიც აღარ შერჩებოდა და ვინსენტი ისევ ძველებურად აფორიაქებულ და აღელვებულ ადამიანად იქცეოდა ხოლმე. ის სინატიფე, რაც მას მთელი დღის განმავლობაში ჰქონდა, უკვალოდ გაქრა.

ამ გაუთლელმა, უხეშმა პროვინციელმა განაცვიფრა და შეაშინა ქეი. მისი ვნებათაღელვა კი უზრდელი ბავშვის საქციელად ენიშნა; ის კი არ იცოდა, რომ ვინსენტი იმ უიშვიათეს ხარკს უხდიდა, რაიც კაცს ძვირად ძალუძს ქალის წინაშე გაიღოს.

ვინსენტმა ყველაფერი ერთად დაახვავა, რაც მას პარიზში თეოსთან განშორების შემდეგ დაუგროვდა გულში. უამბო მომავალი გეგმებისა და ოცნებების შესახებ, გაანდო, რა სული უნდოდა თავისი სურათებისათვის შთაებერა. ქეის უკვირდა, ნეტავი

რამ ააღელვა ასე ძლიერო. არ აწყვეტინებდა საუბარს, არც კი უსმენდა. იგი წარსულით ცხოვრობდა და მხოლოდ წარსულით შემოფარგლული, გულარეული ფიქრობდა, ნუთუ შეიძლება ვინმეს ამგვარი მოჭარბებული სიხარული და საერთოდ რაიმე ელოდეს მომავალშიო. ვინსენტი იმდენად იყო თავის პირად გრძნობებში ჩაფლული, რომ ვერც შენიშნა როგორ გამოეთიშა ქეი. ვინსენტი ხელებს იქნევდა და ისევ ლაპარაკობდა, ვიდრე ვიღაცის სახელმა ქეის ყურადღება არ მიიპყრო.

— ნეიჰოისი? ის მხატვარი, ამსტერდამში რომ ცხოვრობს?, — ცხოვრობდა. ახლა ჰააგაშია.

— ვიცი. ვოსთან მეგობრობდა. რამდენიმეჯერ ჩვენთანაც იყო სახლში.

ვინსენტი ჯიქურ დადუმდა. ვოსი! სულ ვოსი და ვოსი! რატომ? ის უკვე მოკვდა. მთელი წელია მას აქეთ. დროა დავიწყებას მიეცეს. იგი წარსულს ეკუთვნის, ისევე როგორც ურსულა. რატომ მაინცდამაინც ვოსამდე უნდა მივიდეს ყოველი საუბარი? ვინსენტს ამსტერდამშივე არ უყვარდა ქეის ქმარი.

შემოდგომამ ფეხი მოიკიდა. ტყეში ხალიჩად დაფენილი წიწვები გახმა და გაყვითლდა. ქეი და იანი ყოველდღე მიჰყვებოდნენ ვინსენტს მინდვრად. ჰაერზე ქეის ფერი მოუვიდა, მოკეთდა. ახლა საკერავი დაჰქონდა თან და ვინსენტივით მთელი დღე საქმით იყო გართული. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ძალდაუტანებლად ელაპარაკებოდა ქეი. უამბობდა თავის ბავშვობაზე, წაკითხულ წიგნებზე, იმ საინტერესო ხალხზე, რომელთაც იცნობდა ამსტერდამში.

ოჯახი კმაყოფილი იყო. ვინსენტი ცხოვრების ინტერესს უღვიძებდა ქეის. ხოლო ქეის იქ ყოფნაც უფრო ასატანს ხდიდა ვინსენტს. ანა კორნელია და თეოდორი ღმერთს მადლობას სწირავდნენ ამ წყალობისთვის და ყოველნაირად ცდილობდნენ, ახალგაზრდები, რაც შეიძლება, მეტხანს ყოფილიყვნენ ერთად.

ვინსენტს ქეის ყველაფერი მოსწონდა, გრძელ, შავ კაბაში კოხტად გამოჭერილი, გამხდარი, მოყვანილი ტანი, შავი, მაღალი ქუდი, რომელსაც მინდორში სეირნობისას იხურავდა, მისი ტანის ბუნებრივი სურნელი, რომელიც მყისვე ეცემოდა, როგორც კი ქეი მისკენ დაიხრებოდა, მისი ტუჩების მოძრაობა, როცა იგი ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, უძირო ლურჯი თვალების გამომცდელი მზერა, მისი მთრთოლვარე ხელის შეხება, იანის გამორთმევისას ვინსენტი მხარზე ან ხელზე რომ იგრძნობდა ხოლმე, სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა, სულს რომ უფორიაქებდა და დაძინებისას თავიდან ვერ იცილებდა, ნაზი კანი, მის დანატრულ ტუჩებს საკოცნელად რომ იზიდავდა.

რა ცარიელი იყო ვინსენტის ცხოვრება მთელი ამ წლების განმავლობაში. სითბო, სინაზე სრულიად ჩაკვდა მასში. ვერ იგემა დამაშვრალმა სიყვარულის სიტკბოება. ბედნიერად მაშინ გრძნობდა თავს, როცა ქეი ჰყავდა გვერდით. მაშინ ვინსენტი რაღაც სინაზით ივსებოდა. მინდვრად თუ წაყვებოდა ქეი, ვინსენტი სწრაფად და ხალისიანად მუშაობდა, სახლში დარჩებოდა და ყოველი შტრიხი ტანჯვა იყო მისთვის. საღამოს ქეის პირდაპირ, უზარმაზარ ხის მაგიდას მიუჯდებოდა და ჩანახატების გადახატვით გართულს კვლავ ქეის ლამაზი სახე უტრიალებდა თვალწინ. ხანდახან აიხედავდა და ყვითელი ლამპის სუსტ შუქზე მის მზერას წააწყდებოდა. ქეი ოდნავ შესამჩნევად, ნაღვლიანად გაუღიმებდა ხოლმე. რამდენჯერ უფიქრია, მეტი აღარ შემიძლია, ახლავე მთელი ოჯახის თანდასწრებით წამოვხტები, გულში ჩავიკრავ და ჩემი გახურებული გამშრალი ტუჩებით ქეის გრილ პირს დავეწაფებიო.

ვინსენტს მარტო სილამაზე კი არ ხიბლავდა მისი, არამედ ქეის მთელი არსება, მისი ყოველი მოძრაობა, დინჯი სიარული, თავდაჭერა და გაზრდილობა, რაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იჩენდა თავს.

არც კი ეგონა, თუ ასე მარტოხელა იყო მთელი უსასრულო შვიდი წელი, რაც ურსულა დაჰკარგა.

ვინსენტს არასოდეს გაუგონია ქალისაგან თუნდაც ერთი საალერსო სიტყვა, არ დაუნახავს სიყვარულით გამთბარი მზერა, არ უგრძვნია სახეზე თითების მსუბუქი შეხება და იმ შეხების ადგილას კოცნა.

არც ერთ ქალს არ ჰყვარებია ვინსენტი. ასეთი სიცოცხლე კი სიკვდილს უდრიდა. როცა ურსულა უყვარდა პირველი, ბავშვური სიყვარულით, იგი მზად იყო ყველაფერი გაეცა, მაგრამ უარი უთხრეს. ახლა კი გაცხოველებულ სიყვარულში რამდენსაც სხვას მისცემდა, იმდენივე უნდა აეღო თავად, და ვიდრე ქეი მის წყურვილს არ დააოკებდა, სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა.

ერთ ღამეს მიშლეს კითხულობდა და ერთ ადგილას წააწყდა:

„Il faut qu'une femme souffle sur toi pour que tu sois homme“.

(*ქალმა უნდა შემოგასუნთქოს, კაცი რომ გახდა — ფრ.) როგორც ყოველთვის ცამდე მართალი იყო მიშლე ვინსენტი ვერ იქცა კაცად, თუმცა საცაა ოცდარვა წლის გახდებოდა.

ქეის სილამაზემ და სიყვარულმა შესძრა ვინსენტი და, როგორც იქნა, გააღვიძა მასში მამაკაცი.

ვინსენტს ქეი სწყუროდა როგორც ქალი, ვნებიანი მამაკაცის სასოწარკვეთილი ნდომით. იანიც უყვარდა, ბავშვი ხომ მისი საყვარელი ქალის ნაწილი იყო, მაგრამ ვოსს კი დაუძინებელ მტრად მოეკიდა, რადგან ვერა და ვერ მოაცილა ეს გარდასული კაცი ქეის გონებას. ურსულას სიყვარულში დახარჯული წლები უფრო ედარდებოდა ვინსენტს, ვიდრე ის, რომ ქეის ადრე ვიღაც სხვა უყვარდა და სხვას ეკუთვნოდა. ორივემ საკმაო ტანჯვა გამოიარეს, მაგრამ მათი სიყვარული ამით უფრო უმწიკვლო იქნებოდა.

ვინსენტი დარწმუნებული იყო, თავიდან ამოვუგდებ ქეის იმ კაცს, ის ხომ უკვე არარსებულიაო. სიყვარულის ისეთ ცეცხლს შემოვუნთებ, რაც ადრე მოხდა, ყველაფერს დავავიწყებო. მალე ჰააგაში წავა მაუვესთან, ქეისაც თან გაიყოლებს და ისეთ ოჯახს შექმნის, როგორც ერთხელ ვილებომენზე ნახა.

ქეის ცოლად შეირთავს, რომ მოუშორებლად გვერდით ჰყავდეს. უნდა თავისი ოჯახი ჰქონდეს, ჰყავდეს ბავშვები, რომლებიც მამას ემგვანებიან. უკვე პატარა აღარ არის ვინსენტი და დროა ხეტიალს თავი ანებოს. სიყვარული სჭირდება და მის ნახატებს მაშინვე ჩამოშორდება სიტლანქე, უხეში ფორმები დამრგვალდება და სინამდვილის შეგრძნებას უფრო ცხადს გახდის, რაც აგრერიგად აკლია ახლა. მიხვდა, რამდენი რამ ჩაკვდა და დაიღუპა უსიყვარულოდ მასში, ადრე რომ სცოდნოდა, პირველივე შემხვედრ ქალს თავდავიწყებით შეიყვარებდა.

სიყვარული ხომ აუცილებელია ცხოვრებაში. ადამიანს სიყვარული სჭირდება, რომ იგრძნოს, თუ რა მშვენიერია ცხოვრება.

კიდევ კარგი, რომ ურსულას არ უყვარდა იგი, როგორი ზერელე იყო ვინსენტის სიყვარული მაშინ და როგორი ღრმა და აზრიანია ახლა. ურსულა რომ შეერთო, ვერასოდეს გაიგებდა ჭეშმარიტ სიყვარულს. მაშინ ხომ ქეის ვეღარ შეიყვარებდა!

ახლაღა მიხვდა ვინსენტი, რა სულელი და თავქარიანი გოგო იყო ურსულა, ყოველგვარ სათნოებას და ღირსებას მოკლებული. და იმ ბავშვის სიყვარულში რამდენი წელი იტანჯა! ქეისთან გატარებული ერთი საათი ურსულასთან გატარებულ მთელ ცხოვრებას უდრიდა. ძნელი გზა გამოიარა ვინსენტმა, მაგრამ ქეისთან ხომ მოვიდა ბოლოს! ახლა ცხოვრება გაადვილდება. იგი იმუშავებს, სიყვარულიც ექნება, სურათებსაც გაყიდის. ერთად ბედნიერები იქნებიან. ყოველ ადამიანს თავისი გზა აქვს ცხოვრებაში და აუჩქარებლად უნდა მიჰყვეს მას, რომ დასახულ მიზნამდე მივიდეს.

მიუხედავად შმაგი ბუნებისა და თავშეუკავებლობისა, ვინსენტი მაინც ახერხებდა თავისი თავის ხელში დაჭერას. რამდენჯერ ყოფილა, რომ როცა ისინი მარტონი იყვნენ მინდორში და რაღაც უმნიშვნელო საგნებზე საუბრობდნენ, ვინსენტს მონდომებია ეყვირა: იცი რა, მოდი თვალთმაქცობას და სისულელეს თავი დავანებოთ. ახლა მინდა, რომ გულში ჩაგიკრა და გაუთავებლად გკოცნო და გკოცნო! მე მინდა, რომ ჩემი ცოლი გახდე და სამუდამოდ ჩემთან იყო! ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, ორივენი სიმარტოვეს განვიცდით და ერთმანეთი საშინლად გვჭირდებაო.

მაგრამ რაღაც მანქანებით შეიკავებდა ხოლმე თავს. სიყვარულზე საალალბედოდ, ჰაერზე ხომ არ დაიწყებდა ლაპარაკს, რაღაც არ გამოვიდოდა. ქეი კი არავითარ საბაბს არ იძლეოდა.

იგი სულ გაურბოდა სიყვარულის ან ქორწინების ხსენებას. აბა როგორ ან როდის ეთქვა რამე? ვინსენტი გრძნობდა, უკვე დრო იყო ყველაფერი ეთქვა, რადგან საცაა ზამთარი მოადგებოდათ კარზე და თვითონ ჰააგის გზას დაადგებოდა.

ამდენი ვეღარ აიტანა და ერთხელაც იყო მოტყდა ვინსენტი.

ბრედას გზაზე იყვნენ. ვინსენტი მთელი დილა მიწისმთხრელებს ხატავდა, შემდეგ თელის ჩრდილში ისაუზმეს, წყაროსთან.

იანს ბალახზე ეძინა. ქეი კალათთან იჯდა, ვინსენტმა მასთან ჩაიმუხლა, რომ ნახატები ეჩვენებინა. ვინსენტი რაღაცას ამბობდა, სწრაფად, ანგარიშმიუცემლად, უცებ იგრძნო, რომ ქეის მხარის სითბომ ისიც გაახურა და თავგზა აებნა. სურათები ხელიდან გაუცვივდა, ქეის წაეტანა, გამალებით მიიზიდა და აფორიაქებულმა სეტყვასავით მიაყარა:

— ქეი, აღარ შემიძლია, ახლავე უნდა გითხრა ყველაფერი.

მე შენ მიყვარხარ, ქეი, შენ ეს უნდა იცოდე, მე შენ ქვეყანას მირჩევნიხარ! სულ მიყვარდი — იმ დღიდან, რაც პირველად გნახე ამსტერდამში! მე შენ მჭირდები, ქეი! მითხარი, რომ ოდნავ მაინც გიყვარვარ. ჩვენ ჰააგაში წავალთ, ერთად ვიცხოვრებთ, ჩვენ სახლი გვექნება, ბედნიერები ვიქნებით. ხომ გიყვარვარ, ქეი? გამომყვები ცოლად? მითხარი, ქეი, შენი ჭირიმე!

ქეის არც უცდია გასხლტომოდა. შიშისა და მოულოდნელობისაგან სახე დაემანჭა. სიტყვებს ვერ არჩევდა, მაგრამ გუმანით მიხვდა, რას ეუბნებოდნენ. მიხვდა და თავზარი დაეცა.

მუქ ლურჯ თვალებში სიმკაცრე ჩაუდგა. პირზე ხელი იტაცა, რომ არ დაეყვირა.

— არა, არასოდეს, არასოდეს, — აღმოხდა გაავებულს. მერე დაიკლაკნა, დაუძვრა ხელიდან, მძინარე ბავშვი აიტაცა და შლეგივით გაიჭრა მინდორში ვინსენტი მიჰყვა.

შიშმა ძალა შეჰმატა ქეის. ვინსენტი ვერ ეწეოდა. ვერაფერი გაეგო, რა მოხდა.

— ქეი, ქეი, — მისძახოდა უკან, — შეჩერდი!

ამ ძახილზე ქეიმ უფრო უმატა სირბილს. ვინსენტი უკან მისდევდა. თავს და ხელებს სასაცილოდ იქნევდა აქეთ-იქით.

ქეიმ წაიფორხილა და თხრილში ჩაიკეცა, იანი აზლუქუნდა. ვინსენტი მიეჭრა, იმ ტალახში მუხლებზე დაეცა და ქეის ხელს ჩაეჭიდა.

— რატომ გამირბიხარ, ქეი, მე ხომ ძალიან მიყვარხარ. განა ვერ ხედავ, რომ მე უშენოდ აღარ შემიძლია? შენც ხომ გიყვარვარ, ქეი, რამ შეგაშინა! მიყვარხარ-მეთქი, მეტი ხომ არაფერი მითქვამს. ჩვენ დავიწყებთ წარსულს და ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, ქეი!

ქეის შიშჩამდგარ თვალებში ახლა სიძულვილი კიაფობდა.

ხელი გამოჰგლიჯა. იანი სრულიად გამოფხიზლდა. ვინსენტის შეშლილი სახის დანახვაზე შეკრთა ბავშვი, ხოლო მისმა გაურკვეველმა ყვირილმა კიდევ უფრო შეაშინა. იანი დედას ჩაეკრა და ტირილი მორთო.

— ქეი, შემოგევლე, მითხარი, ცოტათი მაინც არ გიყვარვარ?, — არა, არასოდეს, არასოდეს.

ქეი კვლავ წამოხტა და გაიქცა. ვინსენტი იქვე დარჩა, ზარდაცემული. ქეი გზაზე გადავიდა და თვალს მიეფარა. ვინსენტი გონს მოეგო, ისევ გამოენთო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქეიო, გაჰკიოდა. გზაზე რომ გამოვიდა, ქეი უკვე შორს იყო.

ბავშვი მკერდზე მიეკრა და ისე გარბოდა. ვინსენტი შედგა. ქეი მოსახვევში მიიმალა. ვინსენტი დიდხანს იდგა გაოგნებული, შემდეგ უკან გაბრუნდა, ნახატები აკრიფა. ცოტა დასვრილიყო, საუზმე ისევ კალათაში ჩადო, მოლბერტი წამოიკიდა და შინისაკენ წალასლასდა.

ოჯახში დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. ეს კარებშივე იგრძნო ვინსენტმა. ქეი თავის ოთახში ჩაკეტილიყო იანთან ერთად დედა და მამა მარტონი იყვნენ სასადილო ოთახში. რაღაცას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვინსენტის დანახვაზე სიტყვა გაუწყდათ. ვინსენტმა კარი მიხურა. მამამისი გააფთრებული მოეჩვენა, რადგან თვალი სულ დაეფარა ქუთუთოს.

— ვინსენტ, როგორ გაბედე! — უსაყვედურა დედამ.

— რა როგორ გავბედე? — ვინსენტს ვერ გაეგო, რას ეუბნებოდნენ.

— დეიდაშვილს რატომ აწყენინე?

ვინსენტმა პასუხი ვერ მოძებნა. მოლბერტი ჩამოიხსნა და კუთხეში დადო. თეოდორი აღელვებისაგან ხმას ვერ იღებდა.

— გითხრათ ქეიმ რაც მოხდა? — იკითხა ვინსენტმა.

თეოდორმა გადაიკეცა მაღალი საყელო, რომელიც გაწითლებულ ყელს უხეხავდა და მარჯვენა ხელით მაგიდის კიდეს დაეყრდნო.

— ქეიმ სთქვა, კინაღამ დამახრჩო და გიჟივით ღრიალებდაო.

— მე ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, — თქვა ვინსენტმა წყნარად, — არ მესმის, რა არის აქ შეურაცხმყოფელი.

— ამის მეტი არაფერი გითქვამს? — იკითხა თეოდორმა ცივად.

— არა. ცოლად გამომყევი-მეთქი.

— ცოლად!

— დიახ! რა არის ამაში საოცარი?!

— ვინსენტ, ვინსენტ, — უთხრა დედამ, — ეგ როგორ იფიქრე?

— შენც იგივეს ფიქრობდი, მგონი, დედა.

— აბა, რა ვიცოდი თუ შეგიყვარდებოდა?

— ვინსენტ, — უთხრა მამამ, — შენ გესმის თუ არა, რომ ქეი შენი მკვიდრი დეიდაშვილია!

— მესმის მერე რა?

— ის რომ შენ უფლება არა გაქვს შეირთო დეიდაშვილი. ეს იქნება... ეს... იქნება...

მღვდელმა ვერ გაბედა იმ სიტყვის ხსენება. ვინსენტი ფანჯარასთან მივიდა და ბაღს გადახედა.

— რა იქნება?

— ცოდვა!

ვინსენტმა ძლივს შეიმაგრა თავი. როგორ ბედავდნენ მისი სიყვარულის აუგად ხსენებას!

— შენ სისულელეს ამბობ, მამა. ეს შენ არ შეგშვენის.

— მე შენ გეუბნები, რომ ეს ცოდვაა! — დაიღრიალა თეოდორმა, — ვან გოგების გვარში მე არ დავუშვებ ამას.

— იმედია, შენ არ ფიქრობ, რომ ბიბლია გალაპარაკებს, მამა. დეიდაშვილებს ყოველთვის ჰქონდათ დაქორწინების უფლება.

— ვინსენტ, ჩემო კარგო, — ჩაერია დედა, — თუ შენ მართლა გიყვარს ქეი, რატომ არ შეგიძლია, დაიცადო. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა, რაც იგი დაქვრივდა. მას ისევ უყვარს თავისი ქმარი. გარდა ამისა, აბა რითი გინდა ცოლი შეინახო!

— რაც შენ ჩაიდინე, — თქვა მამამ, — ჩემი აზრით, დიდი უგუნურება და უზრდელობაა.

ვინსენტი შეძრწუნდა. ჩიბუხი ამოიღო, ერთხანს ხელში ეჭირა და მერე ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— მამა, მე სერიოზულად გთხოვ, მსგავსი გამოთქმა მეორედ არ გამაგონო ქეის სიყვარული წმიდათა წმიდაა ჩემთვის. მე ნებას არ მოგცემ უგუნურება და უზრდელობა უწოდო.

მოლბერტს ხელი დაავლო და თავის ოთახში გავიდა. თავის თავს ეკითხებოდა — რა მოხდა? რა ჩავიდინე? ქეის ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი და გაიქცა. რატომ? ნუთუ არ ვუყვარვარ?

„არა, არასოდეს, არასოდეს“.

მთელი ღამე ვინსენტი ისევ და ისევ იგონებდა დღის ამბავს.

მაგრამ სულ მუდამ ერთ წერტილში იკრიფებოდა ყველაფერი.

ეს პაწია ფრაზა სიკვდილის მაუწყებელი ზარივით რეკდა მის ოთახში.

კარგა გათენებულიყო, ძირს რომ ჩამოვიდა ვინსენტი. დაძაბულობა ოდნავ შენელებულიყო. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ვინსენტმა აკოცა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

— კარგად გეძინა, საყვარელო? — ჰკითხა დედამ.

— ქეი სად არის?

— მამამ ბრედაში წაიყვანა.

— რატომ?

— მატარებელზე. შინ მიდის.

— ამსტერდამში?

— ჰო.

— გასაგებია.
— ასე სჯობსო, ვინსენტ.
— მე არაფერი დამიბარა?
— არა, ძვირფასო. არ ისაუზმებ?
— არც ერთი სიტყვა? გუშინდელზე? გაბრაზებული იყო ჩემზე?
— არა, უბრალოდ სახლში წავიდა.
ანა კორნელიამ იფიქრა, სჯობს არ გავიმეორო, რაც ქეიმ მითხრაო და უსიტყვოდ დაახალა ტაფაზე კვერცხი.
— მატარებელი რომელ საათზე გადის?
— თერთმეტის ოც წუთზე.
ვინსენტმა სამზარეულოს ლურჯ საათს ახედა.
— ზუსტად ეგ დროა ახლა.
— ჰო.
— ასე რომ უკვე აღარაფერი შემიძლია.
— მოდი, დაჯექი, საყვარელო, ამ დილით ისეთი გემრიელი ენა მოვამზადე!
სამზარეულოს მაგიდაზე ადგილი გაუნთავისუფლა, ხელსახოცი გაშალა და საუზმე გაუწყო. თავს დასტრიალებდა, შესთხოვდა, ჭამე რამეო. ანა კორნელიას ეგონა, კარგად თუ დავანაყრებ, ყველაფერი მოგვარდებაო.
ვინსენტს არ უნდოდა დედის წყენინება და რაც წინ დაულაგეს, სულ მოასუფთავა. მაგრამ „არა, არასოდეს, არასოდეს“-ის გემოს პირშიც გრძნობდა და ყოველი ლუკმა შხამად ერგებოდა.

7.

საყვარელი საქმე გაცილებით ერჩია ქეის თავს. ვინმეს რომ ეკითხა, რომელს აირჩევო, არც კი შეყოყმანდებოდა, მაგრამ ახლა, უცებ, ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა. უჭირდა ხატვა. ბრაბანტის სურათებს თვალი მოავლო კედელზე. წამსვე ენიშნა, ქეის სიყვარულში დახვეწოდა ხელი. თუმცა ნახატს სიტლანქე სრულად არ დაეკარგა, მაგრამ იცოდა, ქეის სიყვარული ამასაც მოუვლიდა. ვინსენტს ისე თავდავიწყებით და მგზნებარედ უყვარდა იგი, რომ რამდენჯერაც არ უნდა ეთქვა ქეის „არა, არასოდეს, არასოდეს“, იგი მაინც არ დაიხევდა უკან.
ქეის უარი ყინულის ის ლოდი იყო, რომელიც გულში უნდა ჩაედო და თავისი სითბოთი გაელხო.
ეჭვის პაწია ჭია მაინც უღრღნიდა გულს და მუშაობას არ აცლიდა. ერთი ვნახოთ და ვერ მოალბო ქეის გული? მას ხომ ფიქრიც არ უნდოდა სხვა სიყვარულზე. ვინსენტი ოცნებობდა წარსულის კლანჭებიდან გამოეგლიჯა ქეი, მხატვრის ღონიერი ხელი მისი ნაზი ხელისათვის ჩაეკიდა, რომ ლუკმაპური და ბედნიერება ერთად მოეპოვებინათ.
მთელი დღეები ოთახში ჩაკეტილი, მღელვარებით და ვედრებით სავსე წერილებს წერდა ქეის. რამდენიმე კვირის შემდეგ მიხვდა, რომ ქეი არც კი კითხულობდა მათ. ყოველდღე წერდა თეოსაც, თავის მესაიდუმლეს, უნდოდა როგორმე ეჭვი გაექარვებინა და მშობლებისა და სტრიკერის შემოტევა მოეგერიებინა. იტანჯებოდა ვინსენტი, იტანჯებოდა და ვერ ფარავდა ამას. თანაგრძნობით სავსე ანა კორნელია ყოველნაირად ცდილობდა ნუგეშისცემას.

— ვინსენტ, — უთხრა მან ერთხელ, — ნუთუ ვერ ხვდები, რომ მაგ შენ საცოდავ თავს ქვის კედელს ურახუნებ ძია სტრიკერმა თქვა, ქეი გადაჭრით ამბობს უარსო.

— არ მჯერა სტრიკერის!

— ის ხომ ქეის სიტყვებს ამბობს, ძვირფასო.

— რას, ქეის არ ვუყვარვარ?

— ჰო და რომ ის ამას აღარასოდეს აღარ გადათქვამს.

— ვნახოთ!

— რისი იმედი გაქვს, ვინსენტ. ძია სტრიკერმა ისიც თქვა, ქეი თანახმა რომც იყოს, მე ვიქნებოდი წინააღმდეგი, ვიდრე ვინსენტს ათასი ფრანკი შემოსავალი არ ექნება წლიურადო. შენ კი ჯერ ამის საშუალება არა გაქვს!

— იცი რა, დედა, ვისაც უყვარს, ცოცხლობს, ვინც ცოცხლობს, მუშაობს და ვინც მუშაობს, ის შიმშილით არ მომკვდარა.

— მართალი ხარ, მაგრამ ქეი ფუფუნებაშია გაზრდილი. მას ყველაფერი ლამაზი და კარგი აქვს.

— რატომ ის ლამაზი და კარგი არ შველის ახლა, რომ ბედნიერი იყოს.

— თქვენ რომ დაქორწინებულიყავით, ვინსენტ, გაჭირვების მეტს ვერაფერს ნახავდით; გაჭირვება, შიმშილი, სიცივე და ავადმყოფობა არ მოგცილდებოდათ. ხომ იცი, რომ ჩვენ ერთი ფრანკითაც ვერ დაგეხმარებოდით.

— მე ეგ ყველაფერი უკვე გამოვცადე, დედა, და აღარ მაშინებს. პირიქით, ჩვენი ერთად ყოფნა უფრო ასატანია, ვიდრე ცალ-ცალკე.

— მაგრამ, თუკი ქეის არ უყვარხარ, შვილო!

— ოღონდ ამსტერდამში ჩამიყვანა და მაგ „არას“ „ჰოდ“ ვაქცევ.

ვინსენტი petite misères de la vie humaine-ად (*კაცთა ცხოვრების მცირე უბედურებანი — ფრ.) თვლიდა იმ ამბავს, რომ არ შეუძლია საყვარელი ქალის ნახვა, არ შეუძლია ერთი ფრანკი მაინც იშოვოს გზის ფულად. გააფთრებული იყო თავისი უძლურებით. ოცდარვა წლის კაცი მოიყარა, თორმეტი წელია თავაუღებლად მუშაობს და მაინც ისიც კი ვერ მოუხერხებია, სულ უმნიშვნელო თანხა იშოვნოს, რომ ამსტერდამში გაემგზავროს.

ვინსენტი არად დაგიდევდათ ასობით კილომეტრს და ფეხით გაუდგებოდა გზას, მაგრამ იცოდა, რომ ამსტერდამში ჭუჭყიანი, მშიერი და გასავათებული ჩავიდოდა. თავისი ტანჯვა არ აწუხებდა, არ უნდოდა ღირსი სტრიკერის ოჯახში ისეთი გაუბედურებული შესულიყო, როგორც ერთხელ ღირს პიტერსენთან მივიდა. დილით კარგა მოზრდილი წერილი გაუგზავნა ძმას, მაგრამ საღამოთი კვლავ მისწერა:

„საყვარელო თეო, ძალიან მჭირდება ფული ამსტერდამში წასასვლელად. მხოლოდ იმდენი, რაც გზას უნდა.

გიგზავნი რამდენიმე ჩანახატს. მითხარი, რატომ არავინ ყიდულობს მათ და რა ვუყო, რომ გაიყიდოს. გზის ფული მჭირდება. მინდა იქ ჩავიდე და გავარკვიო რას ნიშნავს ეს „არა, არასოდეს, არასოდეს.“

დღე დღეს მისდევდა და ვინსენტი ნელ-ნელა გრძნობდა, როგორ იღვიძებდა მასში ახალი ენერგია. სიყვარულმა სიმხნევე შესძინა. ეჭვის ჭიაც მოიცილა. სწამდა, საკმარისია ქეი ვნახო, ის მაშინვე გამიგებს რა კაციცა ვარ და იმ „არა, არასოდეს, არასოდეს“-ის ნაცვლად მეტყვის, „ჰო, სამუდამოდ, სამუდამოდ“-ო. ახალი

შემართებით შეუდგა ხატვას. იცოდა, ნახატებს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ იმედოვნებდა, დრო ამასაც უშველის, ისევე როგორც ქეის უარსო.

მეორე საღამოს სტრიკერს მისწერა წერილი. არაფერი დაუმალია. ის დაწერა, რასაც ფიქრობდა და გულში ეცინებოდა, რას იტყვის ძია ამ წერილზეო. თეოდორმა სასტიკად აუკრძალა სტრიკერისათვის წერილის მიწერა. ოჯახში სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჩაღდებოდა. თეოდორისათვის წესრიგიანობის კულტი უსიტყვო მორჩილებით და თავდაჭერილი ქცევით გამოიხატებოდა. ადამიანის სულიერი განცდები გაუგებარი იყო მისთვის. და თუ მისი შვილი და მისი ოჯახი ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ, ამაში მხოლოდ ვინსენტი იყო დამნაშავე და სხვა არავინ.

— სულ ფრანგული წიგნების ბრალია, — უთხრა ერთხელ ვახშმობისას თეოდორმა, — ქურდებსა და ავაზაკებს ვერ სცილდები და მორჩილ შვილად და წესიერ კაცად რა გაგხდის?!

ვინსენტი მიშლეს კითხულობდა. გაოცებულმა თავი აიღო.

— ქურდები და ავაზაკები? ვიქტორ ჰიუგო და მიშლე ქურდები არიან?

— ეგენი არა, მაგრამ აი ვიზედაც წერენ, ისინი კი. ეგ წიგნები ბოროტებითაა სავსე.

— არა, მამა. მიშლე ისევე წმინდაა, როგორც ბიბლია.

— კმარა მკრეხელობა, ყმაწვილო, — დაიღრიალა თეოდორმა, — ეგ უზნეო წიგნებია. მაგ ფრანგულმა იდეებმა გადაგრია შენ!

ვინსენტი წამოდგა, მამასთან მივიდა და „სიყვარული“ და „ქალი“ დაუდო წინ.

— რომ დარწმუნდე, მხოლოდ რამდენიმე გვერდი წაიკითხე. ნახე, როგორ იმოქმედებს შენზე! მიშლეს უნდა ადამიანს გაჭირვებაში დაეხმაროს.

თეოდორმა ხელით განირიდა წიგნი, როგორც უწმინდური რამ. წიგნი იატაკზე დაეცა.

— არ მჭირდება მე მაგის კითხვა, — გაცხარდა თეოდორი, — ვან გოგების გვარში ერთი ბიძაჩემი იყო, რომ ფრანგული წიგნების კითხვა დაიწყო და ბოლოს გალოთდა კიდეც.

— უკაცრავად, მამაო მიშლე, — წაილუღლუღა ვინსენტმა და წიგნს დასწვდა.

— ვითომ რას ჰქვია, „მამაო მიშლე“, მიბრძანეთ, გეთაყვა, — იკითხა თეოდორმა ცივად, — ჩემი შეურაცხყოფა გინდა?

— არც მიფიქრია, — უთხრა ვინსენტმა, — მაგრამ მართალი თუ გინდა იცოდე, რჩევისათვის მირჩევნია მიშლეს მივაკითხო, ვიდრე შენ. უფრო ნაღდი გზაა.

— ვინსენტ, — ჩაერია დედა, — რატომ ლაპარაკობ ასე?

ნუთუ გინდა სულ დაკარგო ოჯახი?

— დიახ! აი რის გაკეთებას ლამობ, — წამოიძახა თეოდორმა, — დაკარგო ოჯახი! შენი საქციელი მიუტოვებელია. გიჯობს, გაეცალო აქაურობას და სადაც გინდა, იქ იცხოვრო.

ვინსენტი თავის ოთახში ავიდა და საწოლზე ჩამოჯდა. თან უკვირდა, რატომაა, რომ როცა კი რაიმე ძალიან მეწყინება, მაშინვე საწოლზე ჩამოვჯდები და არა სკამზეო. კედელს შეხედა. მიწისმთხრელებით, მთესველებით, მუშებით, მკერავებით, დამლაგებლებით, ტყისმჭრელებით და ჰაიკის წიგნებიდან შესრულებული ნახატებით გავსებულიყო ოთახი. ნამდვილად წინ წავიდა ვინსენტი. საგრძნობლად წავიდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. მაუვე ახლა დრენტშია და მხოლოდ ერთი თვის მერე დაბრუნდება შინ. ეტენიდან წასვლა არ უნდოდა. აქ

ცხოვრება ხელს აძლევდა, სხვაგან კი უფრო ძვირი დაუჯდებოდა. ვიდრე სამუდამოდ დატოვებდეს ბრაბანტს, უნდა თავისი სიტლანქე დასძლიოს და ბრაბანტელების ნამდვილი სული დაიჭიროს. მამამ კი უთხრა, თავიდან მომწყდიო, თითქმის დასწყევლა კიდეც. იქნებ სიბრაზით მოუვიდა?

მაგრამ იქნებ მართლაც უნდათ, რომ მოიშორონ ვინსენტი!..

ნუთუ ასე წყალწაღებულია, რომ, მამა შინიდან აგდებს?

მეორე დილით ორი წერილი მიიღო ვინსენტმა. ერთი ღირსი სტრიკერისაგან, პასუხი თავის წერილზე. აქვე იდო ქეის დედის წერილიც. ისინი ვინსენტს არ თვლიდნენ ურიგო ადამიანად, მაგრამ ქეის სხვა უყვარსო. ის სხვა მდიდარია და ვინსენტმა სამუდამოდ უნდა დაივიწყოს ქეიო.

ეს მღვდლები ყველაზე უღმერთო, გულქვა და წყალწაღებული ხალხია ამქვეყნადო, გადაწყვიტა ვინსენტმა და ისეთი ბოროტი კმაყოფილებით მოკუჭა წერილი, თითქოს ქაღალდი კი არა, თვით სტრიკერი ჰყავდა ხელში.

მეორე წერილი თეოსგან იყო:

„ნახატები კარგია. ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ გავყიდო.

ამჯერად ოც ფრანკს გიგზავნი სამგზავროდ. აბა, შენ იცი!“

8.

ბინდდებოდა, როცა ვინსენტი ცენტრალური რკინიგზის სადგურიდან გამოვიდა. იგი სწრაფი ნაბიჯით გაუყვა დამრაკის ქუჩას დემის მოედნისაკენ, გვერდით ჩაუარა მეფის სასახლეს, ფოსტას და კეიცერსგრახტი გადაჭრა. მაღაზიები და დაწესებულებები უკვე დაცარიელებულიყო.

სინგელზე გადავიდა და ჰერენგრახტის ხიდზე წუთით შეყოვნდა. ყვავილებით სავსე კარჭაპზე ღია ცის ქვეშ პურს და ქაშაყს შეექცეოდნენ. კეიცერსგრახტზე მარცხნივ შეუხვია, პაწია ფლამანდური სახლების გრძელ რიგს ჩაუარა და დაბალ, თლილი ქვისა და რკინის სახურავიან კიბესთან აღმოჩნდა. ეს ღირსი სტრიკერის სახლი იყო. ის დღე გაახსენდა, სულ პირველად რომ მოვიდა აქ, როცა ამსტერდამში ჩამოვიდა და იფიქრა, ალბათ არის ამქვეყნად ისეთი ქალაქები, სადაც კაცს არასოდეს ბედი არ სწყალობსო.

დამრაკის ქუჩაზე ხალისიანად მოაბიჯებდა, ახლა კი უეცრად შიშმა შეიპყრო. ყოყმანობდა, შევიდე შიგ თუ არაო. მაღლა აიხედა. ათიკური ფანჯრიდან რკინის რიკი გამოშვერილიყო.

გუნებაში იფიქრა, კაცს ჩამოხრჩობა რომ უნდოდეს, ამაზე მოხერხებულ ადგილს სად ნახავსო.

წითელი ქვით დაფენილი ქუჩა გადაჭრა და არხს ჩააშტერდა. იცოდა, ერთ საათში მისი ბედი უნდა გადამწყდარიყო.

ოღონდ კი ნახოს ქეი, ელაპარაკოს, გააგებინოს და ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ სახლის გასაღები მამამისს აქვს და სტრიკერმა იქნება არც კი შეუშვას შინ.

სილით დატვირთული ბარჟა დინებას მიუყვებოდა აღმა, რომ იქ ღამის გასათევად ჩაეშვა ღუზა. ის ადგილი, სადაც სილა აეღოთ, სველ, ყვითელ ორმოებად აჩნდა გროვას. ვინსენტმა შენიშნა, რომ ამ ბარჟაზე ბოლოდან კიჩომდე სარეცხის თოკი არ გაებათ. ნეტავი რატომო, იფიქრა. გაძვალტყავებული მენავე ბარჯს მკერდით

აწვებოდა და ებრძოდა, ვიდრე ბარჟა ნელა არ გაცურდებოდა დინების აღმა. კიჩოზე ჭუჭყიანწინსაფრიანი ქალი წამოსკუპებულიყო და საჭეს ატრიალებდა ხელით. პატარა ბიჭი, გოგონა და ტალახში ამოგანგლული თეთრი ძაღლი ნავზე დადგმული ქოხის თავზე შემომსხდარიყვნენ და სევდიანად მისჩერებოდნენ კეიცერსგრახტზე ჩამწკრივებულ სახლებს.

ვინსენტმა ქვის ხუთი საფეხური აიარა და ზარი დარეკა. კარი მოახლემ გაუღო. სიბნელეში მდგომ ვინსენტს დააცქერდა და იცნო თუ არა, წინ გადაეღობა.

— ღირსი სტრიკერი შინაა? — იკითხა ვინსენტმა.

— არა, წასულია, — მოახლე გაფრთხილებული იყო.

ვინსენტს ხმაური შემოესმა, მოახლე უხეშად განზე გასწია და გზიდან მომეცალეო, უთხრა.

ქალი უკან მიჰყვა, ცდილობდა როგორმე შეეჩერებინა.

— სადილობენ, — ეუბნებოდა იგი, — არ შეიძლება შესვლა.

ვინსენტმა კარგა მოზრდილი ჰოლი გაიარა და სასადილო ოთახში შევიდა.

შესვლისთანავე მისთვის კარგად ნაცნობი შავი კიბის კალთას მოჰკრა თვალა, რომელიც მეორე კარის უკან მიიმალა. მაგიდას ღირსი სტრიკერი, დეიდა ვილემინა და ორი უმცროსი ბავშვი უჯდა. სუფრა ხუთ კაცზე იყო გაშლილი. იქ, სადაც ცარიელი სკამი უკან იყო უწესრიგოდ გაწეული, თეფშზე შემწვარი ბატკნის ხორცი, კარტოფილი და მწვანე ლობიო იდო.

— გამომექცა, ბატონო, — თავი იმართლა მოახლემ, — ძალით შემოვარდა.

მაგიდაზე ორი ვერცხლის შანდალი იდგა, მაღალი თეთრი სანთლები ანათებდა იქაურობას. კედელზე ჩამოკიდებული კალვინის პორტრეტი ყვითელ, ცახცახა შუქზე შიშს მოჰგვრიდა კაცს. ძველებურ ბუფეტზე ჭურჭელი ბზინავდა სიბნელეში.

ვინსენტმა იმ პაწია, მაღალ ფანჯარას შეხედა, რომელთანაც სულ პირველად გამოელაპარაკა ქეი.

— ვინსენტ, — უთხრა ძიამ, — მე ვხედავ, შენ დღითიდღე უარესდები.

— მე მსურს ქეის ველაპარაკო.

— ქეი შინ არ არის. თავის მეგობრებთან წავიდა.

— ის აი აქ იჯდა, მე რომ ზარი დავრეკე. სადილობას აპირებდა.

სტრიკერი ცოლს მიუბრუნდა და ბავშვები გაიყვანეო, უთხრა.

— მომისმინე, ვინსენტ, — უთხრა სტრიკერმა, — შენ ძალიან ბევრ უსიამოვნებას მაყენებ და განა მარტო მე, არამედ მთელ ოჯახს. მოთმინება დაგვეკარგა. შენ მაწანწალა, უსაქმური, უზრდელი და, რამდენადაც ვხედავ, უმადური არამზადაც ყოფილხარ. როგორ გაბედე ჩემი ქალიშვილის სიყვარულის გაფიქრებაც კი? ეს დიდი შეურაცხყოფაა ჩემთვის.

— ნება მომეცი, ქეი ვნახო, ძია. მე მინდა მას ველაპარაკო.

— მას არ უნდა შენ გელაპარაკოს, შენი დანახვაც არ სურს.

— ქეიმ თქვა ეს?

— დიახ!

— არ მჯერა.

სტრიკერი აღელდა. მის ცხოვრებაში პირველად სწამებდნენ ტყუილს.

— როგორ მიბედავ ამის თქმას!

— არ დავიჯერებ, ვიდრე ქეი არ მეტყვის ამას. მაშინაც კი არ დავიჯერებ.

— რამდენი დრო და ფული დაგახარჯე ტყუილუბრალოდ ამსტერდამში.

ვინსენტი ნელა დაეშვა იმ სკამზე, სადაც ცოტა ხნის წინათ ქეი იჯდა და ხელები მაგიდაზე დააწყო.

— ძია, მომისმინე, დამიმტკიცე, რომ მღვდლის სამმაგი რკინის სამოსელის ქვეშ ადამიანის გული გიფეთქავს. მე მიყვარს თქვენი ქალიშვილი. გაგიუებით მიყვარს. წუთი არ გავა ისე, რომ მასზე არ ვფიქრობდე და არ მენატრებოდეს. ხომ ღვთის მსახური ხართ, ჰოდა, ღვთის გულისათვის, სულ ოდნავი მოწყალება გაიღეთ! ნუ ხართ ასე მკაცრი. ვიცი, ჯერ არაფერს წარმოვადგენ, მაგრამ მაცალეთ ცოტა და მეც ცნობილი კაცი ვიქნები.

საშუალება მომეცით დავუმტკიცო ქეის ჩემი სიყვარული. მომეხმარეთ, გავაგებინო, რატომ უნდა ვუყვარდე ქეის. ერთხელ თქვენც ხომ გიყვარდათ, ძია, და იცით რა სატანჯველია ეს კაცისათვის. მე უკვე საკმაოდ ვეწამე. ახლა პატარა ბედნიერება მეც მარგუნეთ. ერთადერთი იმას გთხოვთ, ნება მომეცით ქეის სიყვარული მოვიპოვო. ამდენ სიმარტოვეს და გაჭირვებას ვეღარ ავიტან.

ღირსმა სტრიკერმა თვალი შეავლო ვინსენტს.

— ნუთუ ასეთი სუსტი და მხდალი ხარ, რომ სულ მცირე გაჭირვებაც ვერ აგიტანია, ნუთუ სულ უნდა წუწუნებდე!

ვინსენტი ზე წამოიჭრა. მისი სიმშვიდე სრულიად გაქრა.

მათ შორის მაგიდა რომ არ მდგარიყო და ის ორი მაღალი სანთელი, ნამდვილად უთავაზებდა სტრიკერს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ორივენი თვალანთებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ვინსენტს დროის შეგრძნება დაეკარგა. ხელი ასწია და სანთელთან შეაჩერა.

— იმდენ ხანს დაველაპარაკები ქეის, რამდენსაც ამ ცეცხლში გავძლებ.

ხელი გადმოაბრუნა და ზურგით სანთელზე დაიჭირა. ოთახი ჩამოიქუფრა. ვინსენტს ჯერ გაუშავდა ხელი, შემდეგ გაუწითლდა და ნაკვერჩხალს დაემსგავსა. ვინსენტი არ იძვროდა და თვალს არ აშორებდა ძიას. ხუთი წამი გავიდა, ათი. კანი დაუწყლულდა. ღირს სტრიკერს შიშჩამდგარი თვალები გაუფართოვდა და მოჯადოებულივით შესცქეროდა. რამდენიმეჯერ შეეცადა რაიმე ეთქვა, რაიმე მოემოქმედნა, მაგრამ ვერ მოახერხა, ვინსენტის მკაცრ, გამჭოლ მზერას ვერ გაუძლო. თხუთმეტი წამი გავიდა, დაწყლულებული კანი დასკდა, მაგრამ ხელი არ შეთრთოლებია. ღირსი სტრიკერი ბოლოსდაბოლოს გონს მოეგო.

— გადარეულო, — იღრიალა მან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, — ხომ არ შეიშალე! — მაგიდას გადაწვდა და მუშტით ჩააქრო სანთელი, შემდეგ მეორეს სული შეუბერა შმაგად.

ოთახი წყვდიადმა მოიცვა, მაგრამ მაგიდის აქეთ-იქიდან მდგომნი მშვენივრად ხედავდნენ ერთმანეთს.

— შენ გიჟი ხარ! — იყვირა სტრიკერმა, — ქეის ჭირივით ეჯავრები. ახლავე გასწი აქედან და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს!

ვინსენტი უხალისოდ გაუყვა ჩაბნელებულ ქუჩას და მისდა უნებურად გარეუბანში ამოჰყო თავი. ნადგომი წყლის ნაცნობი სუნი ესიამოვნა. იდგა და ჩასცქეროდა ჩაშავებულ, ჩამკვდარ არხს. მარცხნივ ლამპიონი თეთრად ანათებდა. მარცხენა ხელს — რაღაც განგებით მხატვრის მარჯვენა უვნებელი გადარჩა — შავი იარა დასჩენოდა. პაწია არხები გადასჭრა, რომელთა ჩამკვდარ წყალს ჯერ კიდევ შერჩენოდა ზღვის

სუსტი სუნი. ბოლოსდაბოლოს მენდეს და კოსტას სახლთან მივიდა. არხის პირას ჩამოჯდა. ქვა აიღო და კროსის მძიმე, მწვანე ფენას ესროლა. ქვა ისე ჩაიძირა, წყალი არც კი გამოჩენილა.

ქეი გაქრა მისი ცხოვრებიდან. „არა, არასოდეს, არასოდეს“ — მისი გულის სიღრმიდან იყო ამოხეთქილი. ახლა ეს სიტყვები ვინსენტს ეკუთვნოდა. თავში ჩაეჭედა და გაუთავებლად მეორდებოდა: „არა, არასოდეს, არასოდეს აღარ ნახავ შენ ქეის, ვეღარ გაიგონებ მის ალერსიან ხმას, ვეღარ დაინახავ უძირო ლურჯი თვალების ღიმილს, მისი თბილი კანი არასოდეს შეეხება შენს ლოყას, შენ ვეღარასოდეს შეიცნობ სიყვარულს, რადგან მისი დღენი მოკლეა, ბევრად ნაკლები, ვიდრე ის დრო, როცა შენ ტკივილის მიუხედავად შეგიძლია ცეცხლში გქონდეს ხორცი შენი“.

აუტანელი მწუხარება ყელში მოებჯინა ვინსენტს. მარცხენა ხელი პირზე მიიფარა, რომ ხმა ჩაეხშო. დაე ამსტერდამი და მთელი ქვეყანა ნურასოდეს გაიგებს, რომ ვინსენტი უღირსად სცნეს.

ტუჩებზე აუსრულებელი სურვილის სიმწარე იგრძნო.

წიგნი მესამე
ჰააგა

1.

მაუვე ჯერაც არ დაბრუნებულიყო დრენტიდან. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ვინსენტმა ვილებომენის მახლობლად, რეინის სადგურის უკან, ოთახი იქირავა თოთხმეტ ფრანკად თვეში. სახელოსნო — ადრე მას უბრალოდ ოთახს ეძახდნენ — საკმაოდ ვრცელი იყო. ერთ მხარეს ნიშა ჰქონდა, სადაც თავისუფლად დაეტეოდა სამზარეულო. უზარმაზარი ფანჯარა სამხრეთისაკენ გადიოდა. კუთხეში დაბალი ღუმელი იდგა, რომლის გრძელი, შავი საკვამური ზედ ჭერთან უერთდებოდა კედელს. კედელზე ღია ფერის, სუფთა შპალერი გაეკრათ. ფანჯრიდან მოჩანდა სახლის პატრონის ეზო, შეშითა და ხის მასალით სავსე, ამას იქით, მწვანედ აბიბინებული ველი და სილახვავის გრძლად გაჭიმული ზოლი. სახლი შენკვეგის ქუჩაზე იდგა. ეს განაპირა ქუჩა ჰააგის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს თვალუწვდენ ველს უერთებდა. სახურავი გამჭვარტლული იყო რეინის სადგურში მიმომავალი ორთქლმავლებისაგან.

ვინსენტმა იყიდა მაგარი სასადილო მაგიდა, ორი სკამი და საბანი. საწოლის მაგივრობას იატაკი უწევდა. ამ წვრილმანებში სულ დაეხარჯა რაც ფული ჰქონდა, მაგრამ თვის დამდეგი შორს აღარ იყო და თეო 100 ფრანკს გამოუგზავნიდა, რაც, როგორც შეთანხმდნენ, მთელი თვე უნდა ჰყოფნოდა ვინსენტს.

იანვრის სუსხიანი ამინდი ღია ცის ქვეშ მუშაობის საშუალებას არ იძლეოდა, მენატურეს ფული არ ჰქონდა და ისღა დარჩენოდა, გულხელდაკრეფილი მჯდარიყო და მაუვეს დალოდებოდა.

როგორც იქნა, მაუვეც დაბრუნდა ვილებომენზე. ვინსენტი უმალვე მიადგა სახელოსნოში. მაუვე უზარმაზარ ტილოს ამზადებდა, თმა შუბლიდან პირდაპირ თვალებზე ჩამოშლოდა.

სურათი რომლის დახატვასაც ახლა აპირებდა, ამ წლის ყველაზე დიდ ჩანაფიქრს წარმოადგენდა და სალონისათვის იყო განკუთვნილი ტილოზე აისახებოდა მეთევზეთა ერთანძიანი კარჭაპი, რომელსაც ცხენები ეზიდებიან ნაპირისაკენ. მაუვეს და მის მეუღლეს იეტს ეგონათ, ვინსენტი ალბათ არც ჩამოვა ჰააგაშიო. ყოველ ადამიანს შეიძლება ხანდახან გაუჩნდეს მხატვრად გახდომის გაურკვეველი სურვილი.

— ასე რომ, შენ მაინც ჩამოხვედი, ვინსენტ. კეთილი და პატიოსანი, შევეცდებით მხატვრად გაქციოთ. ბინა უკვე გაქვს?

— დიახ, სადგურის უკან, შენკვეგის 138 ნომერში.

— აქვე ყოფილხარ. ფულზე როგორა ხარ?

— ისე. ხელს ვერ გავშლი მაინცადამაინც. მაგიდა და ორი სკამი ვიყიდე.

— და საწოლი, — დაურთო იეტმა.

— არა, იატაკზე მეძინა.

მაუვემ რაღაც წასჩურჩულა იეტს. ქალი მაშინვე შეტრიალდა, სახლში შევიდა და საფულე გამოუტანა ქმარს. მაუვემ 100 გულდენიანი ამოიღო და ვინსენტს გაუწოდა.

— გამომართვი, მერე დამიბრუნებ. ახლა საწოლი იყიდე.

ღამით კარგად უნდა დაისვენო. ქირა გადაიხადე?

— ჯერ არა.

— რაღას უცდი, დროზე მიხედე, ნათელი ოთახია?

— სინათლე უხვად მაქვს, ოღონდ ფანჯარა სამხრეთით გადის.

— ეს ცუდია. სჯობს დაფარო. მზე წარამარა შეგიცვლის ფერებს სურათზე. ფარდებიც იყიდე.

— არ მინდა დაგეესესხოთ, მაუვე. ჩემთვის ისიც კმარა, რომ თანახმა ხართ მოსწავლედ გყავდეთ.

— არაფერია ვინსენტ. ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ უხდება ოჯახის მოწყობა. სჯობს ყველაფერი საკუთარი გქონდეს, გაცილებით იაფია.

— რასაკვირველია. იმედია, მალე რამდენიმე ნახატს გავყიდი და თქვენს ვალს დაგიბრუნებთ.

— ტერსტეგი დაგეხმარება. მან იყიდა პირველად ჩემი ნახატები, როცა ახალგაზრდა ვიყავი და ჯერ კიდევ ვსწავლობდი.

შენ აუცილებლად უნდა გადახვიდე აქვარელისა და ზეთის საღებავებზე. ფანქრით ნახატს გასავალი არა აქვს.

მიუხედავად თავისი ჩაფსკვნილი აღნაგობისა, მაუვე საკმაოდ სხარტი და მოძრავი კაცი იყო. თუკი რაიმე საინტერესო მოხვდებოდა თვალში, მაშინვე იქით გასწევდა. სიარულისას ცალ მხარს წინ წამოსწევდა ხოლმე.

— აი, ვინსენტ, — უთხრა მან, — ამ ყუთში აწყვია აქვარელი, ფუნჯები, პალიტრა, დანა, ზეთი და სკიპიდარი. ახლა გიჩვენებ, როგორ დაიჭირო პალიტრა და როგორ მიუდგე მოლბერტს.

მაუვემ რამდენიმე მარტივი ხერხი უჩვენა. ვინსენტი იოლად ამთვისებელი აღმოჩნდა.

— ყოჩაღ! — წამოიძახა მაუვემ, — მე შენ ცოტა ბრიყვი მეგონე, მაგრამ შევმცდარვარ. დილაობით მოდი აქ და აქვარელით ხატე. მე ვთხოვ, რომ საზოგადოება „პულჰრიმ“ მიგიღოს.

იქ კვირაში რამდენიმეჯერ საღამოობით შეგიძლია მოდელი ხატო. ამას გარდა, მხატვრებთან გექნება საქმე. როგორც კი გაყიდვას დაიწყებ, მაშინვე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი შეიქმნები.

— მოდელის ხატვა ძალიან მინდა. იქნებ მოვახერხო, ვინმე ვიქირაო, რომ ყოველდღე მოვიდეს ჩემთან. ადამიანის ფიგურა თუ დავხვეწე, სხვას თავისთავად მოევლება. — — მართალია, — დაეთანხმა მაუვე, — ადამიანის ხატვა ყველაზე რთულია. ეს თუ შესძელი. ხეები, ძროხები და დაისი იოლი საქმეა. ადამიანის ხატვას იმიტომ გაურბიან, რომ მეტისმეტად ძნელია.

ვინსენტმა შეიძინა საწოლი, ფარდები, გადაიხადა ბინის ქირა და ბრაბანტული ჩანახატები კედელზე გააკრა. იცოდა, ამათგან გასაყიდად არც ერთი არ გამოდგებოდა. იგი მშვენივრად ხედავდა ყველა იმ ნაკლს, რაც სურათებს ჰქონდა, მაგრამ მათში სხვა რამ იყო, რაღაცა მეტად ბუნებრივი. ეს სურათები მოჭარბებული გრძნობით იყო დახატული. ვინსენტი ვერ ხვდებოდა რაში გამოიხატებოდა ეს გრძნობა, ან როგორი იყო იგი.

ვერ ხვდებოდა და ვერ აფასებდა თავის ნახატებს, ვიდრე დე ბოკს არ გაეცნო.

დე ბოკი მომხიბვლელი ადამიანი ჩანდა. იგი კარგად აღზრდილი, დახვეწილი და საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. განათლება ინგლისში მიეღო. ვინსენტი მას გუპილთან შეხვდა. დე ბოკი ვინსენტის საპირისპიროს წარმოადგენდა ყველაფერში.

იოლი ცხოვრება ჰქონდა, არაფერი აწუხებდა, არაფერი აღელვებდა, ჯერ მარტო გარეგნობა რად ღირდა. ტუჩების ჭრილი იმდენად პატარა ჰქონდა, რომ ნესტოებს არ სცილდებოდა.

— ფინჯან ჩაიზე ხომ არ დამეწვევით, — შესთავაზა ვინსენტს, — ჩემს ახალ სურათებს გიჩვენებთ. მას აქეთ რაც ტერსტეგი ჩემს სურათებს ჰყიდის, ასე მგონია, ახალი ალღო გამიჩნდა.

დე ბოკის სახელოსნო ვილემსპარკში იდგა, ჰაგის არისტოკრატულ ნაწილში. ოთახის კედლებზე ნაცრისფერი ხავერდი იყო გაკრული; ყოველ კუთხეში იდგა მოხერხებული დივანი, უამრავი რბილი ბალიშით, თამბაქოს მოსაწევი მაგიდა, წიგნებით გაჭედილი კარადა, აღმოსავლური ხალიჩები. რა უბადრუკი იყო ვინსენტის სახელოსნო ამასთან შედარებით.

დე ბოკმა რუსულ სამოვარს გაზი შემოუნთო და დიასახლისი ტკბილეულზე გაგზავნა. შემდეგ განჯინიდან სურათი გამოიღო და მოლბერტზე დადო.

— ეს ჩემი ბოლო ნამუშევარია, — თქვა მან, — სიგარას ხომ არ ისურვებდით, ვიდრე სურათს უცქერით? იქნებ უკეთ აღიქვათ, ვინ იცის?

წყნარი, მხიარული ხმა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ტერსტეგმა სცნო დე ბოკი, მხატვარი თავდაჯერების უმაღლეს წერტილამდე იყო მისული. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ვინსენტი სურათს მოუწონებდა. გრძელი, რუსული სიგარეტი გამოაძრო, მთელმა ჰაგამ იცოდა რარიგ იტაცებდა რუსული სიგარეტები დე ბოკს, და გამომცდელ მზერას არ აცილებდა ვინსენტის სახეს.

დე ბოკის ძვირფასი სიგარის ცისფერ ბოლში გახვეულ ვინსენტი ტილოს უცქერდა. იცოდა, რას განიცდიდა ახლა დე ბოკი, როგორი გრძნობა ჰქონდა ხელოვანს, როცა თავის ქმნილებას უცხო თვალს უჩვენებდა. რა უნდა ეთქვა? პეიზაჟი ცუდი არ იყო, მაგრამ არც კარგი ეთქმოდა. დე ბოკის ხასიათის სრული გამოხატულება იყო — მეტად ზერელე. ვინსენტს გაახსენდა, როგორ აბრაზებდა და აღელვებდა, როცა რომელიმე

არამკითხე მოამბე, უმწიფარი მეტიჩარა, გაბედავდა მისი სურათის აუგად ხსენებას. ეს სურათი პირველივე შეხედვით ჩანდა, რასაც წარმოადგენდა, მაგრამ ვინსენტი კარგა ხანს აკვირდებოდა.

— თქვენ კარგად გამოგდით პეიზაჟი, დე ბოკ, — უთხრა ბოლოს, — გეხერხებათ მომხიბვლელობა ჩააქსოვოთ.

— გმადლობთ, — დე ბოკმა ვინსენტის სიტყვები ქათინაურად მიიღო, — ჩაის ხომ არ ინებებთ?

ვინსენტი ორივე ხელით ჩაებღაუჭა ფინჯანს. გული უსკდებოდა, ამ მდიდრულ ხალიჩაზე არ დავღვაროო. დე ბოკი სამოვართან მივიდა და თავისთვისაც დაისხა ჩაი. ვინსენტს არ უნდოდა რაიმე საწყენი ეთქვა. დე ბოკი მოსწონდა და მასთან სიახლოვე სურდა. მაგრამ სამართლიანი ხელოვანი აბობოქრდა მის არსებაში და თავი ვეღარ შეიკავა.

— რაღაც მაინც მეხამუშება ამ სურათში.

დე ბოკმა დიასახლისს ლანგარი ჩამოართვა და ვინსენტს შესთავაზა.

— ნამცხვარი მიირთვით, მეგობარო.

ვინსენტმა იუარა, რადგან ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა თან ნამცხვარი ეჭამა და თან ჩაის ფინჯანი დგმოდა მუხლზე.

— აბა, რა არ მოგეწონათ? — წყნარად შეეკითხა დე ბოკი.

— ადამიანები. მეტისმეტად ხელოვნურია.

— იცით, — გამოტყდა დე ბოკი და ნებიერად გადაწვა მოხერხებულ დივანზე, — ხშირად მიფიქრია, დროა რიგიანად მოვეკიდო ფიგურის ხატვას-მეთქი. მაგრამ ალბათ ვერ მოვახერხებ.

მოდელს ავიყვან და რამდენიმე დღე თავაუღებლად ვმუშაობ, შემდეგ უცებ ყოველგვარი ინტერესი მეკარგება და კვლავ პეიზაჟი ან რაიმე სხვა მიტაცებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი მოწოდება პეიზაჟია. ასე რომ, ადამიანის ფიგურა ჩემთვის დიდი ხათაბალა არ უნდა იყოს, ხომ მართალია?

— მე კი ყოველ პეიზაჟში ადამიანის ფიგურის ხატვას ვცდილობ, — უთხრა ვინსენტმა, — თქვენ იმდენად კარგად ხატავთ, ჩემი სურათები თქვენთან რას მოვა. გარდა ამისა, უკვე ცნობილი ხელოვანი ხართ. მაგრამ ნებას თუ დამრთავთ, ერთ მეგობრულ შენიშვნას მოგცემთ.

— სიამოვნებით.

— აი რა, თქვენს სურათებს გრძნობა აკლია.

— გრძნობა? — დაინტერესდა დე ბოკი და სამოვართან წახრილმა ცერად ახედა ვინსენტს, — გრძნობა ბევრია. რომელზე მეუბნებით?

— ამის ახსნა ძნელია. თქვენ ძალიან ბუნდოვნად გამოხატავთ. ჩენი აზრით, მეტი სიცოცხლეა საჭირო.

— მომისმინეთ, გეთაყვა, — დე ბოკი წელში გაიმართა და თავის ერთ-ერთ ტილოს დააცქერდა, — სხვისი თქმით ხომ არ შემიძლია მთელ სურათს გრძნობა შევაფრქვიო. შემიძლია განა? მე გადმოვცემ იმას, რასაც ვხედავ და ვგრძნობ. თუ მე არ გამაჩნია მგზნებარე განცდები, ფუნჯი როგორ გამოხატავს.

გრძნობები წონით არ იყიდება ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში.

ხომ მართალია?

დე ბოკის სახელოსნოს მერე ვინსენტს მეტად მოუხერხებელი და უბადრუკი ეჩვენა თავისი, მაგრამ მას სხვა რამ ჰქონდა სანაცვლოდ. საწოლი ერთ კუთხეში მიდგა და სამზარეულო დაფარა. უნდოდა ოთახს მხატვრის სახელოსნოს სახე მიეღო და არა საცხოვრებელი ბინის. თეოს ფული ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ მაუვეს ვალიდან კიდევ დარჩა რამდენიმე ფრანკი და ამით მენატურე იქირავა. ერთხელ მაუვეც ესტუმრა სახელოსნოში.

— ათ წუთს მოვუნდი ფეხით აქამდე მოსვლას, — უთხრა მან და ოთახი მოათვალიერა — არა უშავს. სინათლე ჩრდილოეთი მხრიდან სჯობს, მაგრამ ამასაც არა უჭირს აბა ახლა გნახონ, ვისაც ფუქსავატი ჰგონიხარ. როგორც ჩანს, მოდელზე გიმუშავნია დღეს.

— დიახ! ყოველდღე ვმუშაობ, მაგრამ ცოტა არ იყოს, ძვირი მიჯდება.

— სამაგიეროდ ეს ყველაზე მართებული გზაა. ფული ხომ არ გჭირდება, ვინსენტ?

— გმადლობთ. ჩემზე ნუ სწუხართ.

ვინსენტს არ უნდოდა მაუვეს აჰკიდებოდა. ჯიბეში ერთადერთი ფრანკი ეგდო. ამით ერთ დღეს კიდევ გაიტანდა თავს.

ოღონდ მაუვეს მის სწავლებაზე უარი არ ეთქვა და ფული რა ბედენა იყო.

მაუვემ მთელი საათი დაჰყო ვინსენტთან. უჩვენა, როგორ უნდა დაიხატოს აქვარელით, და შემდეგ როგორ შეიძლება საღებავის ჩამორეცხვა. თავდაპირველად ცოტა არ იყოს, გაუჭირდა ვინსენტს.

— ეს არაფერია, — გაამხნევა მაუვემ, — სულ ცოტა, ათი სურათი მაინც გაგიფუჭდება, ვიდრე ფუნჯს გააჩვევდე ხელს.

აბა, შენი ბოლო ბრაბანტული ჩანახატები მიჩვენე.

ვინსენტმა სურათები უჩვენა. მაუვეს არაფერი გამოეპარებოდა. იგი რამდენიმე სიტყვით აუხსნიდა კაცს სურათის ნაკლს. არასოდეს დასჯერდებოდა იმის თქმას, ეს სურათი არ ვარგაო, ყოველთვის ურჩევდა ასე და ასე სჯობსო, რომ გააკეთოო. ვინსენტი გულისყურით უსმენდა ყოველ სიტყვას, რადგან იცოდა, იგივეს ეუბნებოდა, რასაც ვინსენტი თვითონვე ურჩევდა თავის თავს, საკუთარი ნახატების ნაკლი რომ შეემჩნია.

— შენ გეხერხება ხატვა, — უთხრა მაუვემ, — მთელი წელი ფანქრით ხატვამ ბევრი რამ შეგძინა. არ გამიკვირდება, სულ მალე ტერსტეგმა შენი აქვარელით ნახატები რომ შეიძინოს.

ეს ხოტბა ვერაფერში გამოადგა, როცა ორი დღის მერე ერთი სანტიმიც არ დარჩა ჯიბეში. თვე რა ხანია დაიწყო, მაგრამ თეოს ასი ფრანკი არსად ჩანდა. ნეტავი რა მოხდა? ხომ არ უწყრება თეო? განა შესაძლებელია, თეომ ახლა შეაქციოს ზურგი, როცა უკვე წარმატების ზღურბლზე დგას? პალტოს ჯიბეში კონვერტი ნახა და წერილი მისწერა თეოს. ევედრებოდა, იმ თანხის ნაწილი მაინც გამომიგზავნე, რომ საჭმელზე მეყოს და შიგადაშიგ მოდელიც ვიქირაოო.

სამი დღე ნამცეცი არ ჩასვლია პირში. დილით მაუვესთან ხატავდა აქვარელით, დღისით მდარე სასადილოების სამზარეულოში და მესამე კლასის მოსაცდელ დარბაზში, ხოლო საღამოთი „პულჰრიზე“ მიდიოდა ან ისევ მაუვესთან იყო. შიშობდა, ვაითუ მაუვე მიმიხვდეს რა ყოფაში ვარ და გული აიცრუოს ჩემზეო. თუმცა, მაუვეს მოსწონდა იგი, მაგრამ ვინსენტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რაწამს მაუვე იგრძნობს, რომ

ხელი მეშლება ხატვაში, უმალვე დამითხოვოსო. როცა იეტი სადილად იპატიჟებდა, ვინსენტი უარზე იდგა.

ყრუ ტკივილი მუცელს უწვავდა და ბორინაჟი მოაგონდა.

ნუთუ მთელი სიცოცხლე უნდა იშიმშილოს? ნუთუ ვერასოდეს ჰპოვებს შვებას და ნუგეშს?

მეორე დღეს, როგორც იქნა, დასძლია სიამაყე და ტერსტეგს მიაკითხა. იქნებ ამ კაცმა, რომელიც თითქმის ნახევარ ჰააგას ინახავს, ათიოდე ფრანკი ასესხოს.

ტერსტეგი პარიზს წასულიყო საქმეზე.

ვინსენტს ტანში აციებდა და ფანქარი ხელიდან უვარდებოდა. ლოგინში ჩაწვა. მეორე დღეს ისევ წალასლასდა პლაატისაკენ, ამჯერად ტერსტეგი იქ დაუხვდა. ტერსტეგს სიტყვა ჰქონდა მიცემული თეოსთვის, შენს ძმას ყურადღებას მივაქცევო, და ოცდახუთი ფრანკი ასესხა ვინსენტს.

— შენი სახელოსნოს ნახვა მინდა, ვინსენტ, — უთხრა მან. — ამ დღეებში შემოგივლი.

ვინსენტმა თავს ძალა დაატანა, ზრდილობიანად ეპასუხა.

ერთი სული ჰქონდა გაქცეულიყო და რამე ეჭამა. გუპილთან რომ მიდიოდა, ფიქრობდა, თუკი ფული ვიშოვნე, ყველაფერი რიგზე იქნებაო, მაგრამ ახლა, როცა ფული ჰქონდა, ბევრად უფრო უბედურად იგრძნო თავი. საშინელ სიმარტოვეს განიცდიდა ვინსენტი.

— ვისადილებ და ყველაფერი მოწესრიგდებაო, — გაიფიქრა.

საჭმელმა შიმშილის გრძნობა დაუცხრო, მაგრამ სიმარტოვის განცდა ვერ ჩაუხშო. იგი გაურკვევლად გასჯდომოდა ძვალსა და რბილში. იაფფასიანი თამბაქო იყიდა, სახლისაკენ გაეშურა, საწოლზე გაიშოტა და გააბოლა. ძალიან მოენატრა ქეი, თავი იმდენად უბედურად იგრძნო, რომ სუნთქვა გაუჭირდა.

ზეზე წამოხტა, ფანჯარა გამოაღო და იანვრის სუსხიან, თეთრ ღამეში გაჰყო თავი. ღირსი სტრიკერი მოაგონდა და ისე შეაურჟოლა, თითქოს საყდრის ცივ ქვაზე ყოფილიყოს დიდხანს მიყუდებული. ფანჯარა დახურა, ქუდს და პალტოს ხელი დაავლო და რეინის სადგურის პირდაპირ, კაფესაკენ გაეშურა.

2.

კაფეს შესასვლელში ნავთის ლამპა ეკიდა, მეორე ლამპა დახლის თავზე დაემაგრებინათ. ოთახის შუაგულში ნახევრად ბნელოდა. კედელთან გრძელი სკამები და ქვის მაგიდები იდგა.

მუშების ამ კაფეს გახუნებული კედლები და ცემენტის იატაკი ჰქონდა. აქაურობა თავშესაფარს უფრო წააგავდა, ვიდრე სამხიარულო რამ ადგილს.

ვინსენტი მაგიდას მიუჯდა. უხალისოდ მიეყრდნო კედელს.

კარგია, როცა მუშაობ, საჭმელისა და მოდელის ფული გაქვს, მაგრამ აბა ვის გაუზიაროს რამე, როცა ხმის გამცემიც არავინა ჰყავს გვერდით? მაუვე უფროსია, ტერსტეგი დაკავებული, მოუცლელი ადამიანია, დე ბოკი სხვა წრეს ეკუთვნის. ახლა ერთი ჭიქა ღვინოა საჭირო, სულ გამოაცოცხლებს, გაახალისებს, ხვალ კი ისევ მუშაობას შეუდგება და ყველაფერი გამოსწორდება.

წითელ, მუავე, ღვინოს ზანტად წრუპავდა. კაფეში რამდენიმე კაცი იყო. მის წინ ვიღაც მუშა იჯდა. დახლთან, კუთხეში კი — კაცი და ქალი. ქალს უგემოვნო, მყვირალა ფერის კაბა ეცვა. ვინსენტის გვერდით მაგიდას ვიღაც ქალი უჯდა მარტოკა.

ვინსენტს არც შეუხედავს მისთვის.

ოფიციანტი იმ ქალთან მივიდა და უხეშად ჰკითხა:

— კიდევ გინდა ღვინო?

— ერთი სუც აღარ მაქვს, — უპასუხა მან.

ვინსენტი შემობრუნდა.

— მე ხომ არ დამეწვეოდით ჭიქა ღვინოზე? — შესთავაზა ქალს. ქალი წუთით შეაჩერდა.

— კი.

ოფიციანტმა ღვინო მოიტანა, ოცი სანტიმი მიიღო და გაუჩინარდა. იმ ქალის მაგიდა ძალიან ახლოს იდგა.

— გმადლობთ, — უთხრა ქალმა.

ვინსენტი დააცქერდა. ქალს არც ახალგაზრდა ეთქმოდა, არც ლამაზი. ოდნავ ჩამომჭკნარს ცხოვრების დაღი დასტყობოდა, გამხდარი, მაგრამ მოყვანილი ტანი ჰქონდა. ვინსენტმა მის ხელებს შეხედა, ღვინის ჭიქას რომ ჩაბღაუჭებოდა. ისინი არ ჰგავდნენ ქეის ხელებს, ეტყობოდათ ბევრი ჯაფა ენახათ. მკრთალ შუქზე შარდენის და იან სტენის უცნაურ ფიგურებს მიამსგავსა ვინსენტმა ეს ქალი. ცხვირი კეხიანი და მოღრეცილი ჰქონდა, ზედა ტუჩი ღინღლს დაეფარა. თვალებში სევდა ჩასდგომოდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მათში რაღაც ცეცხლი.

— არაფერს, — უპასუხა ვინსენტმა, — მადლობელი მე ვარ, რომ დამეწვიეთ.

— მე ქრისტინა მქვია, — უთხრა ქალმა, — შენ?

— ვინსენტი — ჰააგაში მუშაობ?

— დიახ.

— რას აკეთებ?

— მხატვარი ვარ.

— უჰ. შენც კაი გაძაღლებული ცხოვრება გექნება, არა?

— ხანდახან.

— მე მრეცხავი ვარ, როცა მუშაობის ღონე შემწევს, მაგრამ ეს ხშირად არ ხდება.

— აბა მაშინ რას აკეთებ?

— მე კარგა ხანს ვიყავი ქუჩაში. ახლაც მუშაობა თუ მომბეზრდა, ქუჩას ვუბრუნდები.

— მრეცხავების სამუშაო მძიმეა?

— აბა რა! თორმეტ საათს გამუშავებენ და მაშინვე არაფერს მოგცემენ. ხანდახან მთელი დღე ვრეცხავ და საღამოთი მაინც ვინმე კაცს ვეძებ, რომ ბავშვებს საჭმელი მივუტანო.

— რამდენი ბავშვი გყავს, ქრისტინა?

— ხუთი, მალე მეექვსე მეყოლება.

— ქმარი მოგიკვდა?

— ეს ბავშვები ერთი კაცის ხომ არ გგონია?

— ალბათ ძალიან ძნელია ასე, ხომ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— მარტო სიკვდილზე რომ ფიქრობდეს მაღაროელი, არც კი ჩავიდოდა მაღაროში.

— მართალია. ბავშვების მამები ვინ არიან, იცი?

— მარტო პირველი მამაძაღლის. დანარჩენის სახელებიც არ ვიცი.

— ეხლა ვისგან ხარ ორსულად, ეს მაინც არ იცი?

— ზუსტად არა. მუშაობა არ შემეძლო და დიდხანს ვიყავი ქუჩაში. რა მნიშვნელობა აქვს?

— გინდა კიდევ ღვინო?

— ჯინი და ნაყენი მინდა, — ქრისტინამ ხელჩანთა გახსნა.

შავი, სქელი სიგარის ნამწვი ამოიღო და მოუკიდა. — შენ მდიდარს არ ჰგავხარ, სურათებს ჰყიდი?

— არა, ახლა ვსწავლობ.

— სწავლისათვის ცოტა მობერებული ჩანხარ.

— ოცდაათი წლის ვარ.

— ორმოცს მოგცემს კაცი. რითი ცხოვრობ?

— ძმა მიგზავნის ცოტაოდენ ფულს.

— რაც არ უნდა იყოს, მხატვრობა მრეცხაობაზე უარესი არ იქნება.

— ვისთან ცხოვრობ, ქრისტინა?

— ყველა ერთად ვცხოვრობთ, დედაჩემთან.

— დედაშენმა იცის, ქუჩაში რომ ხარ?

ქალმა ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ ეს არ იყო მხიარული სიცილი.

— ღმერთო ჩემო! იცის, აბა რა. განა თვითონ არ გამიშვა?!

მთელი თავისი ცხოვრება ისიც ამას აკეთებდა. ასე შევეძინეთ მე და ჩემი ძმა.

— შენი ძმა რას საქმიანობს?

— ვიღაც ქალი იშოვა, სახლში ჰყავს და კაცები მოჰყავს მასთან.

— ეს ალბათ ბავშვებზე ცუდად მოქმედებს.

— რა უჭირს! ერთ მშვენიერ დღეს ისინიც იგივეს გააკეთებენ.

— ცუდი ამბავია, ქრისტინა, ხომ?

— წუწუნი რის მაქნისია. ჯინს და ნაყენს დამალევინებ?

ხელზე რა მოგივიდა? ეს რამხელა დაღი გაზის!

— დავიწვი.

— ალბათ ძალიან გეტკინა, — ქალი ნაზად დასწვდა ვინსენტის ხელს.

— არა, ქრისტინა, არც ისე. ძალით დავიწვი.

ქალმა ხელი გაუშვა.

— მარტო რატომ მოხვედი აქ, მეგობრები არა გყავს?

— არა. ძმა მყავს მარტო და ისიც პარიზშია.

— ცუდია სიმარტოვე, არა?

— ჰო, ქრისტინა, საშინელია.

— მეც მარტო ვარ. სახლში ბავშვები, დედა და ძმა მყავს.

კიდევ ის კაცები, ვისაც შემთხვევით ვხვდები. მაგრამ მაინც მარტო ვარ , გესმის? ეს ხალხი არ ითვლება. ისეთი, მართლა რომ მომწონდეს, არავინაა.

— ნუთუ მართლა არავინ მოგწონებია, ქრისტინა?

— მარტო ის პირველი. მე მაშინ თექვსმეტი წლის ვიყავი.

ის მდიდარი იყო, ვერ შემირთო, ოჯახმა არ დაანება. ბავშვების ფულს მაძლევდა. მერე მოკვდა და მეც უფულოდ დავრჩი.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდათორმეტის. ბავშვის ყოლა უკვე მეტისმეტად გვიანია. უფასო საავადმყოფოს ექიმმა მითხრა, ეს ბავშვი გადაგიყოლებსო.

— თუკი სათანადო სამედიცინო დახმარებას აღმოგიჩენენ, ეს არ მოხდება.

— მერე სად ჯანდაბიდან ვიშოვო ეგ დახმარება? ერთი სანტიმიც არ გამაჩნია. უფასო ექიმებს კი ძალიან ენაღვლები.

სხვაც ბევრი ჰყავთ.

— ნუთუ ფულს ვერსად იშოვნი?

— ვერსად. მაშინ ყოველ ღამე ქუჩაში უნდა ვიყო რამდენიმე თვე. ეს უფრო ჩქარა მომინელებს, ვიდრე ბავშვი.

ორივე გაჩუმდა.

— ახლა აქედან სად წახვალ, ქრისტინა?

— დღეს მთელი დღეა ვრეცხავ, გავსავათდი, ცოტა ღვინოს დავლევ-მეთქი, და აქ მოვედი. დღეს ფრანკ-ნახევარი უნდა მოეცათ ჩემთვის, მაგრამ შაბათამდე არაფერს მოგცემთო. ახლა ორი ფრანკი უნდა ვიშოვნო საჭმელისთვის. ვიფიქრე, სანამ ვინმეს გამოვიჭერდე, აქ დავისვენებ-მეთქი.

— წამოვალ შენთან, ქრისტინა. მე სულ მარტო ვარ. წამოვალ, რა!

— აბა რა! მეც ეს მინდა. გარდა ამისა, მომწონხარ კიდეც.

— მეც მომწონხარ, ქრისტინა. შენ რომ ჩემს დამწვარ ხელს წაეტანე... ამის მეტად მე ქალისაგან სითბო არ მახსოვს.

— საოცარია. მახინჯი არა ხარ, ზრდილობიანიც ჩანხარ.

— სიყვარულში ბედი არ მწყალობს.

— ჰო. ხდება ხოლმე. შეიძლება კიდევ დავლიო ჯინი?

— ყური მიგდე: არც მე და არც შენ დათრობა არ გვჭირდება, რომ ერთმანეთისადმი რაიმე გრძნობა გაგვიჩნდეს. ეს ფული ჯიბეში ჩაიდე, გირჩევნია. სამწუხაროდ, მეტი არა მაქვს.

— შენ უფრო გჭირდება, მგონია, ეგ ფული, ვიდრე მე. შეგიძლია ისე წამოხვიდე. მე მერე ვინმეს ვიშოვნი და ორ ფრანკს იმას გამოვართმევ.

— არა. გამომართვი. ეს მაინც სახარჯოდ მაქვს. ერთმა ამხანაგმა ოცდახუთი ფრანკი მასესხა.

— კარგი. წამო აქედან.

ჩაბნელებულ ქუჩას გაუყვნენ და თან ძველი მეგობრებივით შინაურულად საუბრობდნენ. ქრისტინა თავისი ცხოვრების ამბავს ეუბნებოდა, მაგრამ თავის შეცოდება არ უფიქრია, ერთიც არ დაუწუწუნია.

— მენატურედ არასოდეს გიმუშავია? — შეეკითხა ვინსენტი.

— ახალგაზრდობაში.

— ჩემი მენატურე იყავი. ბევრს ვერ გადაგიხდი, დღეში ერთ ფრანკსაც კი ვერ მოგცემ, მაგრამ დავიწყებ გაყიდვას და მერე დღეში ორი ფრანკი გექნება. რეცხვას ეს არ სჯობს?

— თანახმა ვარ. ჩემს ბიჭსაც მოგიყვან. ის უფულოდ შეგიძლია ხატო. როცა მე მოგბეზრდები, მერე დედაჩემი დახატე.

ხანდახან თითო-ოროლა ფრანკი ზედმეტი არ იქნება მისთვის.

იგი დამლაგებლად მუშაობს.

მალე ქრისტინას სახლიც გამოჩნდა. ერთსართულიანი ქვის შენობა, წინ ეზოთი.

— ვერავინ გვნახავს, — უთხრა ქრისტინამ. — ჩემი ოთახი სულ წინაა.

ქრისტინას პაწაწინა, უბრალო ოთახი ჰქონდა. კედელზე აკრული ნაცრისფერი შპალერი იქაურობას სიმყუდროვეს ჰმატებდა. მართლაც შარდენის სურათიაო, გაიფიქრა ვინსენტმა.

ხის იატაკზე ფარდაგი და ძველი, ღვინისფერი ნოხის ნაჭერი ეგო. ერთ კუთხეში იდგა ჩვეულებრივი სამზარეულოს ღუმელი, მეორეში შიფონერი, ხოლო შუაში უზარმაზარი საწოლი.

ნამდვილი მუშა ქალის ბინა იყო.

ღილით რომ გაიღვიძა, ვინსენტმა იგრძნო, მარტოკა აღარ ვწევარო. მის გვერდით, განთიადის შუქზე, ცოცხალი არსება მოჩანდა და ცხოვრება არც ისე უღმერთო ეჩვენა. ტკივილისა და მარტოობის გრძნობა გაჰქრობოდა და ახლა მის ადგილას სიმშვიდე გამეფებულიყო.

3.

დილით თეოს წერილი მიიღო ვინსენტმა. კონვერტში ასი ფრანკი იდო. უფრო ადრე ვერაფრით მოვახერხე გამოგზავნაო, ატყობინებდა ძმა. ვინსენტი გარეთ გავარდა. იქვე, ვიღაც მოხუცი ქალი, სახლის წინ გაშენებულ პატარა ბაღს ბარავდა. ვინსენტმა შესთავაზა, თხუთმეტ სანტიმს მოგცემ, ოღონდ ცოტა ხანს წამომყევი, დაგხატოო. ქალი ხალისით დათანხმდა.

ვინსენტმა მოხუცი თავისი სახელოსნოს ნაცრისფერ კედელთან დასვა. იქვე, ღუმელზე ჩაიდანი იდგა. ვინსენტი ფერებს არჩევდა. მოხუცის თავი უფრო ცოცხალ, ნათელ ფერებში უნდა შესრულდეს. ნახატზე მწვანე ფერი სჭარბობდა. ის კუთხე, სადაც ქალი იჯდა, შეეცადა უფრო ნაზი, რბილი და გრძნობიერი გამოჩენილიყო. ერთიხანობა სურათები ტლანქი, გამომშრალი და მოუხერხებელი გამოსდიოდა. ახლა კი მეტისმეტი ჰაეროვნება იგრძნობოდა. ჩანაფიქრი მშვენივრად გადაიტანა ქაღალდზე. ქრისტინას მადლობელი იყო ვინსენტი. უსიყვარულოდ გაურკვეველი ტკივილი დაჰყვებოდა თან. თუმცაღა არ ემორჩილებოდა მას, მაგრამ ხორციელი ლტოლვა მთელ მის ხელოვნებას გამოაშრობდა და სიცოცხლეს მოუსწრაფებდა.

— სიყვარულით განახლება, — ბურტყუნებდა ვინსენტი, თან ლაღად და ხალისიანად მუშაობდა.

— საოცარია, რომ მიშლე არაფერს წერს ამის თაობაზე.

უეცრად კაკუნი გაისმა. ვინსენტმა კარი გააღო და ოთახში მინჰერ ტერსტეგი შემოვიდა. ზოლიანი, გატკიცინებული შარვალი ეცვა, სქელცხვირა, ყავისფერი ფეხსაცმელები სარკესავით უპრიალებდა. წვერი გულდაგულ გაეკრიჭა, თმა კოხტად გაეყო გვერდზე. თოვლივით ქათქათა საყელო ეკეთა.

ტერსტეგი დიახაც ნასიამოვნები დარჩა, რაკი დაინახა, რომ ვინსენტს ნამდვილი სახელოსნო მოეწყო და გულმოდგინედ მუშაობდა. უყვარდა ტერსტეგს, მხატვრების ახალთაობა წარმატებას რომ აღწევდა. ეს მისი პროფესიაც იყო და ამავე დროს საყვარელი საქმიანობაც. თუმცა უნდოდა, ყველა თანდათანობით და

წინასწარგანსაზღვრული გზით მისულიყო წარმატებამდე, ერჩია ადამიანს ჩვეულებრივი გზით ევლო და დამარცხებულიყო, ვიდრე დაერღვია ყოველგვარი ნორმები და გაემარჯვა. ტერსტეგს თამაშის წესები უფრო აღელვებდა, ვიდრე შედეგები. კეთილი, პატიოსანი კაცი იყო ტერსტეგი, და უნდოდა ყველა მასავით კარგი ყოფილიყო. ვერ წარმოედგინა თუ შეიძლება ბოროტება სიკეთედ იქცეს ან ცოდვა ცხონებად. მხატვრებმა, რომლებიც გუპილთან ჰყიდდნენ სურათებს, კარგად იცოდნენ, რომ საჭიროა მკაცრად დაიცვან ყოველგვარი ნორმები. ერთიც ვნახოთ და ზრდილობიანი ქცევის რაიმე დარღვევა შეემჩნია ტერსტეგს, მაშინვე უკუაგდებდა ამ მხატვრის ყოველ სურათს, თუნდაც ეს ნამდვილი შედევრი ყოფილიყო.

— ყოჩაღ, ვინსენტ, — უთხრა მან. — კარგია, მუშაობ! მიყვარს, როცა ჩემს მხატვრებს მუშაობაში წავესწრები ხოლმე.

— გმადლობთ რომ მოხვედით, მინჰერ ტერსტეგ.

— არ ღირს. მას აქეთ, რაც დაბინავდი, სულ მინდოდა შენი სახელოსნო მენახა.

— დიდი ვერაფერი შვილია.

— არა უჭირს. მთავარია იმუშაო და მალე უკეთესი გამოჩნდება. მაუვემ მითხრა, აკვარელისათვის მოგიკიდია ხელი. აკვარელი კარგად იყიდება, ვეცდები რაიმე გაგიყიდო. შენი ძმაც ეცდება, ალბათ.

— იმედი მაქვს, მინჰერ.

— დღეს გაცილებით უკეთეს გუნებაზე გხედავ, ვიდრე გუშინ.

— ავად ვიყავი და წუხელ გამოვშუშდი.

ვინსენტს ღვინო, ჯინი და ქრისტინა მოაგონდა, გაიფიქრა, რას იტყვის ტერსტეგი, ეს რომ გაიგოსო, და ტანში გააცივა.

— ნახატებს ხომ არ ნახავდით, მინჰერ? თქვენი აზრი მეტად სანუკვარია ჩემთვის.

ტერსტეგი მწვანე ფონზე შესრულებულ, თეთრწინსაფრიან მოხუც ქალს მიაჩერდა. მისი სიჩუმე ახლა ბევრად მეტს ამბობდა, ვიდრე მაშინ, პლაატზე, რაც ასე დაამახსოვრდა ვინსენტს. ტერსტეგი ხელჯოხს დაეყრდნო, მერე მკლავზე გადაიკიდა.

— დიახ, დიახ. შენ წინ მიიწევ. მაუვე ნამდვილ აკვარელისტად გაქცევს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. შენ კი უნდა იჩქარო, ვინსენტ, რომ მალე დადგე ფეხზე. თეო წელებზე ფეხს იდგამს, რომ როგორმე ის ასი ფრანკი გამოგიგზავნოს ყოველთვე. მე პარიზში ვიყავი და დავრწმუნდი, რომ ასეა. შენ უნდა შესძლო შენი თავის რჩენა და, რაც შეიძლება, სწრაფად. მე სულ მალე ვიყიდი შენს რამდენიმე სურათს.

— გმადლობთ, მინჰერ. კეთილი კაცი ხართ, ცდილობთ დამეხმაროთ.

— მე შენი წარმატება მინდა, ვინსენტ. გუპილისათვის ეს ბიზნესია. როგორც კი შენი სურათები გაიყიდება, მაშინვე უკეთეს სახელოსნოში გადაინაცვლებ, უკეთ ჩაიცვამ, უკეთეს წრეში იტრიალებ. ყველაფერი ეს საჭიროა, თუკი მომავალში გინდა ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი გაყიდო. ახლა მაუვეს უნდა ვესტუმრო. სხევენინგენის სურათი მაინტერესებს, სალონისათვის რომ გვიკეთებს.

— იმედია, კიდევ გამოივლით, მინჰერ.

— დიახ, რა თქმა უნდა. ასე, ერთ ან ორ კვირაში. აბა, შენ იცი, რა მუშაობას გააჩაღებ და ახალ წინსვლას მიჩვენებ. ჩემი ყოველი სტუმრობა რამედ უნდა ღირდეს, გასაგებია?

ხელი ჩამოართვა და წავიდა. ვინსენტი ისევ მუშაობაში ჩაეფლო. ნეტავი თავის რჩენა შეიძლოს. იმდენი მაინც მოახერხოს, რომ არსებობა შესძლოს. მეტი არაფერი

უნდა. დამოუკიდებელი იქნება. არავის ტვირთად არ იგრძნობს თავს. აი, მაშინ საშურველი არაფერი ექნება. ნება-ნება იმუშავებს და შესძლებს ისე გამოხატოს თავისი თავი, როგორც მას სურს.

შუადღის ფოსტას დე ბოკის წერილი მოჰყვა, ვარდისფერ ფურცელზე ნაწერი.

„ძვირფასო ვან გოგ!

— ხვალ დილით არცის მენატურეს მოვიყვან თქვენს სახელოსნოში და ერთად ვხატოთ.

დე ბ.“

არცის მენატურე ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა გამოდგა, რომელიც ერთნახევარ ფრანკს იღებდა სეანსში ვინსენტი კმაყოფილი იყო, რადგან იცოდა, რომ თვითონ ვერასოდეს შესძლებდა მის დაქირავებას. ღუმელში ცეცხლი გააჩაღეს და მენატურემ ღუმელთან გაიხადა, რომ არ შესცივნოდა. ჰააგაში მხოლოდ პროფესიონალი მენატურეები შიშვლდებოდნენ ერთიანად. ვინსენტს ეს ძალიან სწყინდა. მას უნდოდა მოხუცების სხეული ეხატა, რადგან ასაკოვან სხეულში რაღაც განსაკუთრებულს ხედავდა.

— თამბაქო წამოვიღე, — უთხრა დე ბოკმა, — ჩემმა დიასახლისმა კი საუზმეც გამომაყოლა. ვიფიქრე, სჯობს გარეთ სულაც არ გამოვიდეთ-მეთქი.

— მეც თქვენს თამბაქოს მოვწევ. ჩემი, ცოტა არ იყოს, მაგარია ამ დილაადრიანად.

— მე მზად ვარ, — თქვა მენატურემ, — როგორ დავდგე?

— ფეხზე იდგეს თუ დავსვათ, დე ბოკ?

— ჯერ ფეხზე იდგეს. ჩემს ახალ პეიზაჟში გამართული ფიგურებია.

საათნახევარი თავაუღებლივ მუშაობდნენ. ბოლოს მენატურე დაიღალა.

— მოდი, ახლა დავსვათ, — თქვა ვინსენტმა, — დაძაბული არ ექნება მთელი სხეული.

შუადღემდე ხატეს, თავთავის სურათებში თავჩარგულებმა.

შიგადაშიგ სინათლის ან თამბაქოს თაობაზე თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. დე ბოკმა საუზმე გაშალა და სამივემ ღუმელთან მოიყარა თავი. პურის თხელ ნაჭრებს მშრალად მოხარშულ ხორცს და ყველს ატანდნენ. თან ნახატს აკვირდებოდნენ.

— საოცარია, როგორც კი ჭამას იწყებ, მაშინვე უფრო ობიექტურად აფასებ სურათს, — შენიშნა დე ბოკმა.

— შეიძლება მიჩვენოთ თქვენი ნახელავი?

— სიამოვნებით.

დე ბოკს სახე ძალიან კარგად მიემსგავსებინა, მაგრამ სხეულის თავისებურება ვერ დაეჭირა. უბრალოდ, ლამაზად დახატული სხეული გამოსულიყო.

— გამიგონეთ, — წამოიძახა დე ბოკმა. რომელიც ვინსენტის ნახატს უცქერდა, — სახეს რა უქენით? ამას ეძახით გრძნობით ხატვას?

— ჩვენ პორტრეტს კი არ ვხატავთ, — უპასუხა ვინსენტმა, — არამედ სხეულს.

— პირველად მესმის, რომ სახე სხეულს არ ეკუთვნის!

— თქვენს მუცელს შეხედეთ, — უთხრა ვინსენტმა.

— რა სჭირს?

— ვინმეს ეგონება ცხელი ჰაერით გაუბერიათო. სულ არ იფიქრებ, რომ შიგ შეიძლება ნაწლავის პაწაწა ნამცეცი მაინც იყოს.

— კი მაგრამ, რატომ უნდა იფიქრო. მე არ შემინიშნავს, რომ ამ საწყალ გოგოს რამე ამის მსგავსი ემჩნეოდეს.

მენატურეს არც კი ეღიმებოდა, ისე შეექცეოდა ბუტერბროდს. მისი აზრით, ყველა მხატვარი თავისებურად არანორმალური იყო. ვინსენტმა თავისი ნახატი დე ბოკისას მიუდო გვერდით.

— აი ნახეთ, ჩემთან მუცელი ნაწლავებითაა სავსე. შეხედავ თუ არა, მაშინვე, მიხვდები, რომ მათში რამდენიმე ტონა საჭმელს გაუვლია.

— ამას მხატვრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, — განაცხადა დე ბოკმა, — ჩვენ ხომ ექიმები არა ვართ? მე მინდა ჩემს ტილოზე ხეებში ჩაწოლილი ნისლი და ჩამავალი მზის წითლად ელვარება დაინახონ ღრუბლებს მიღმა. სულაც არ მინდა, რომ მათ რაღაც ნაწლავები ეცეთ თვალში.

ყოველ დილით ვინსენტი ხალისით დგებოდა და ადრიანად მიეშურებოდა მენატურის საძებრად. ხან მჭედლის ვაჟს მოიყვანდა, ხან მოხუც ქალს, გეესტის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, ხან გამყიდველს ტორფის ბაზრიდან, ხან კი ბებიას და შვილიშვილს პადემოსიდან ან ებრაელთა უბნიდან. მენატურეზე ბევრი ფული მისდიოდა, ფული, რომელიც თვის მიწურულამდე საჭმლისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ აბა რა ფასი ექნებოდა ჰააგაში ყოფნას, მაუვეს სწავლებას, თუკი სრული სვლით არ წაიწევდა წინ. ჭამას მერეც მოასწრებს, როცა რამე გამოვა მისგან.

მაუვე კვლავ მოთმინებით ასწავლიდა. ყოველ საღამოს მიეშურებოდა ვინსენტი ვილებომენისაკენ, რომ თბილ, საქმიან სახელოსნოში ემუშავა. ხანდახან აკვარელით ნახატი ისე სქელი, დასვრილი და დათუთხნული გამოსდიოდა, რომ სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა. მაუვე იცინოდა.

— რა თქმა უნდა, ჯერ უხეიროა, — ამშვიდებდა ვინსენტს — ახლა რომ ბრწყინავდეს შენი სურათები, ეს მხოლოდ მოჩვენებითი იქნება და თანდათან უარესი გახდება. შენ რიგიანპირიანად მიჰყვები და ამიტომ გიჭირს. მერე კი გაგიიოლდება და ფერებიც უფრო მკვეთრი და ნათელი გაგიხდება.

— მართალია, მაგრამ თუკი როგორმე ფული უნდა იშოვნო ხატვით, მაშინ?

— მერწმუნე, ვინსენტ, აჩქარება დაღუპავს ხელოვანს. ხომ გაგიგონია, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. ხელოვნებაში ძველ პრინციპს უნდა მივდიოთ — „პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა“, სჯობს ბევრი იშრომო და ნამდვილი ხელოვანი იყო, ვიდრე ზერელედ იბრწყინო და ხალხს თვალში ეცე.

— მინდა გამოვხატო ის, რაც ჩემშია და ჩემებურად ტლანქად გადმოვცე შიშველი სინამდვილე. მაგრამ როცა იძულებული ხარ ლუკმა-პურზე იფიქრო... მე რამდენიმე სურათი დავხატე, რომლებიც შესაძლოა ტერსტეგმა... რასაკვირველია, მე მესმის...

— მიჩვენე, — მოუჭრა მაუვემ.

სურათებს თვალი შეავლო და მყისვე ნაფლეთებად აქცია.

— გიჯობს ისევ შენს სიტლანქეს მისდიო, — უთხრა მაუვემ, — მოყვარულებს და გამყიდველებს რას აჰყოლიხარ. ვისაც უნდა, თვითონ მოვიდეს შენთან. დრო გავა და შენი შრომის ნაყოფს მოიწევ, ვინსენტ.

ვინსენტმა დახეულ სურათს დახედა.

— გმადლობთ, მაუვე. ჭკუის სასწავლებელი იქნება ეს ჩემთვის.

იმ საღამოს მაუვეს წვეულება ჰქონდა. ნელ-ნელა გროვდებოდნენ მხატვრები. აქ იყო ვეისენბრუჰი, რომელსაც სხვა მხატვრების მკაცრი კრიტიკის გამო „ულმობელი

დაშნა“ შეარქვეს, ბრეიტნერი, დე ბოკი, ჟიულ მაკჰოიზენი და ვოსის მეგობარი ნეიჰოისი.

ვეისენბრუჰი ჩია ტანის, ენერგიული კაცი იყო ვაგლახად არავის და არაფერს დააჯაბნინებდა თავს. რაც მას არ მოსწონდა — მას კი თითქმის არაფერი არ მოსწონდა — მიწასთან გაასწორებდა. ხატავდა იმას, რაც თვითონ უნდოდა, როგორც უნდოდა და იმდენი მოახერხა, ხალხს თავი შეაყვარა. ერთხელ ტერსტეგმა რაღაც დეტალი დაუწუნა ტილოზე. მას აქეთ გუპილთან არაფერი არ მიუტანია, თუმცა, რაც დახატა, გაუყიდავი ერთიც არ დარჩენია. არავინ იცოდა, როგორ გაჰყიდა ან ვის მიჰყიდა.

სახე ენასავით მახვილი ჰქონდა. შუბლი, ცხვირ-პირი, ნიკაპი დანის პირს მიუგავდა. ყველა უფრთხოდა და მისი გულის მოგებას ცდილობდა. თავისი უკარება ხასიათით სახელი ჰქონდა გავარდნილი. ვეისენბრუჰმა ვინსენტი ბუხართან, კუთხეში მიიმწყვდია, იგი ცეცხლში აფურთხებდა და სიამოვნებდა მისი შიშინი. თან თავის ხელოვნურ ფეხზე ისვამდა ხელს.

— გავიგე, ვან გოგი ყოფილხართ, — უთხრა მან, — ისეთივე წარმატებით თუ ხატავთ, როგორი წარმატებითაც ბიძათქვენი ყიდის სურათებს?

— არა, წარმატებით მე საერთოდ არ ვაკეთებ არაფერს.

— ძალიან კარგი, ეშმაკმა დალახვროს. ყველა ხელოვანმა სამოც წლამდე უნდა იშიმშილოს. მერე კი იქნება მოახერხოს და რაიმე ხეირიანი დახატოს.

— სისულელეა! თქვენ ორმოცს ძლივს გადასცილებიხართ, მაგრამ მშვენივრად ხატავთ.

ვეისენბრუჰს ძალიან მოეწონა ეს „სისულელეა“ პირველად იყო, ასე რომ შეუთამამდნენ. კმაყოფილება ხელახალი შეტევით გამოხატა.

— თუ თქვენ ფიქრობთ, რომ კარგად ვხატავ, მაშინ სჯობს ხატვას თავი ანებოთ და კონსიერჟობას მოეკიდოთ. როგორ გგონიათ, რატომ მინდა ჩემი სურათები მივყიდო ამ სულელ ხალხს? იმიტომ რომ ნაგავია. რამედ რომ ვარგოდეს, ჩემთვის დავიტოვებდი. არა, ჩემო კარგო, მე ჯერ მხოლოდ ხელს ვავარჯიშებ. სამოცს რომ მივაღწევ, აი მაშინ დავიწყებ ხატვას. რასაც მერე შევქმნი, არვის დავუთმობ და როცა მოვკვდები, დავიბარებ საფლავში ჩამაყოლონ. არც ერთი ხელოვანი, ვან გოგ, არ დასთმობს იმას, რაც, მისი აზრით, კარგია. იგი მხოლოდ უვარგისს გაყიდის.

დე ბოკმა თვალი უყო ვინსენტს ოთახის მეორე კუთხიდან და ვინსენტი მოსაუბრეს მიუბრუნდა:

— თქვენ პროფესიის არჩევა შეგშლიათ, ვეისენბრუჰ. კრიტიკოსი უნდა გამოსულიყავით, უფრო უპრიანი იქნებოდა თქვენთვის.

ვეისენბრუჰმა გაიცინა და მაუვეს გასძახა:

— ეს თქვენი ნათესავი არც ისე ურიგო ვინმეა, როგორც მეგონა. ენა კარგად უჭრის.

შემდეგ ვინსენტს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა:

— რა ეშმაკად ჩამოძონძილხართ ასე? არ შეგიძლიათ რაიმე ხეირიანი იყიდოთ?

ვინსენტს თეოს ძველი კოსტიუმი ეცვა, ცუდად გადაკეთებული და დალაქავებული, რაკი ამ კოსტუმის მეტი არაფერი გააჩნდა, ყოველდღე აქვარელით მუშაობისასაც ეს ეცვა.

— თქვენს ბიძებს იმდენი ფული აქვთ, რომ თავისუფლად შეუძლიათ მთელი ჰოლანდიის მოსახლეობა შემოსონ. ისინი არაფრით გეხმარებიან?

— რატომ მომეხმარებიან. ისინიც თქვენს აზრს იზიარებენ, — მხატვარმა უნდა იშიმშილოს.

— მათ თქვენი არ სწამთ, და ალბათ არც სცდებიან. ვან გოგებს ისეთი ყნოსვა აქვთ, მხატვარს ცხრა მთას იქითაც იგრძნობენ. ალბათ ვერაფერი შვილი მხატვარი ხართ.

— ჯანდაბას თქვენი თავი!

ვინსენტი გაბრაზებული შეტრიალდა, მაგრამ ვეისენბრუჰმა მკლავი დაუჭირა, სახეგაბადრული შესცქეროდა ვინსენტს.

— აი მესმის ხასიათი, — წამოიძახა მან. — მე გცდიდი, რამდენ ხანს გეყოფოდა მოთმინება. გული არ გაიტეხო. ბოლო კეთილია.

მაუვეს ძალიან უყვარდა თავისი სტუმრების თანდასწრებით რაიმეს გათამაშება. იგი მღვდლის შვილი იყო, მაგრამ მისთვის ერთადერთი რელიგია არსებობდა — მხატვრობა. ვიდრე იეტი ჩაის, ტკბილეულს და ყველს ჩამოარიგებდა, მაუვემ მთელი ქადაგება ჩაატარა პეტრე მოციქულის ნავზე. იყიდა პეტრემ ეს ნავი თუ მემკვიდრეობით ერგო იგი? იქნებ ნისიად იშოვა? ან იქნებ, ჰოი საშინელებავ, მოიპარა კიდეც?!

მხატვრებმა გაბოლეს და სიცილით აავსეს ოთახი, თან გამალებულნი აცარიელებდნენ ჩაის ფინჯნებს და ყველიან თეფშებს — მაუვე სულ შეიცვალა, — ფიქრობდა ვინსენტი გუნებაში და ვერ ხვდებოდა, რომ მაუვე ახლა ხელოვანის შემოქმედებით მეტამორფოზს განიცდიდა. იგი ყოველ ტილოს სრულიად გულგრილად, თითქმის უინტერესოდ იწყებდა. ნელ-ნელა ენერგიას იკრეფდა და ჩანაფიქრიც უყალიბდებოდა გონებაში დღითიდღე უფროდაუფრო მეტს და გულდადებით მუშაობდა.

როგორც კი საგნები ტილოზე გარკვეულ ფორმას იღებდნენ, იგი მეტ მოთხოვნილებას უყენებდა თავის თავს. აღარც ოჯახი ახსოვდა, აღარც მეგობრები და სულ განაპირდებოდა. მადა ეკარგებოდა; ძილგატეხილ ღამეებს იმის ფიქრში ათენებდა, რა მაქვს გასაკეთებელიო. ენერგია ნელ-ნელა ეცლებოდა და უფრო და უფრო მეტს ნერვიულობდა. ბოლოს მხოლოდ ნერვების ენერგიით სულდგმულობდა. ეს მთასავით კაცი სულ დაილეოდა და დაჩიავდებოდა. მის მეოცნებე თვალებს ბინდი ეკვროდა. რაც მეტად იღლებოდა, მით უფრო შმაგად ეწაფებოდა მუშაობას. ნერვული ვნება ძვალსა და რბილში გაუჯდებოდა და თანდათან უცხოველდებოდა. გუმანით გრძნობდა კიდევ რამდენი დრო დასჭირდებოდა სურათს და ძალას იკრებდა, რომ ნებისყოფას არ ემტყუნა და ბოლომდე მიჰყოლოდა.

მაუვე იმ კაცს ჰგავდა, რომელსაც ათასობით დემონი ჩაფრენია და სადღაც მიაქროლებს. საჩქარო არაფერი ჰქონდა. სურსათი შეეძლო წლობით ეხატა, მაგრამ რაღაც იდუმალი ძალა აიძულებდა არც ერთი წუთი არ დაეკარგა უქმად. ბოლოს მისი ვნებათაღელვა იმ ზომამდე მიდიოდა, რომ მზად იყო გააფთრებული დაძგერებოდა ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდა უკანასკნელი ძალ-ღონით ეჭიდებოდა ტილოს. რაც არ უნდა დიდი დრო მონდომებოდა სურათის დასრულებას, იმდენს ახერხებდა, რომ ფუნჯის უკანასკნელ შეხებამდე გასჭიმავდა თავის ენერგიას. მასზე ვერაფერი იმოქმედებდა, ვიდრე სურათი საბოლოოდ არ დასრულდებოდა.

როგორც კი ტილო მზად იყო, არაქათგამოცლილი მაშინვე მოეშვებოდა. დასუსტებული და ავადმყოფი ნახევრად უგრძნობ მდგომარეობაში ვარდებოდა. ვინსენტს დიდი დრო სჭირდებოდა მის გამოსაჯანმრთელებლად. იმდენად დაიცლებოდა ხოლმე, რომ საღებავის სუნი ან მისი დანახვაც კი გულს ურევდა. ნელა, ძალიან ნელა, იბრუნებდა ენერგიას, და მასთან ერთად ინტერესიც უჩნდებოდა. სახელოსნოში ტრიალებდა, საგნებს ასუფთავებდა და ალაგებდა. შემდეგ მინდორში გავიდოდა და უმიზნოდ დახეტიალობდა. ბოლოს რომელიმე პეიზაჟი მოხიბლავდა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

როდესაც ვინსენტი სულ პირველად ჩამოვიდა ჰააგაში, მაუვე ის-ის იყო ახალ, სხევენინგენის, ტილოს იწყებდა. ახლა კი მისი აღტყინება დღითი დღე მატულობდა და სულ მალე დადგებოდა პერიოდი იმ ბობოქარი და ყოვლისმომცველი, დიადი სიშმაგისა, რაც მხოლოდ ხელოვანის ხვედრია, ქმნისას.

4.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ საღამოს ქრისტინამ დაუკაკუნა ვინსენტს კარზე. ქალს შავი ქვედატანი და ლურჯი ბლუზა ეცვა. შავი ქუდი ეხურა. მთელი დღე რეცხვაში გაეტარებინა.

დაქანცულს, როგორც სჩვეოდა, პირი ოდნავ დაეღო. ნაყვავილარი სახის პაწია ნაწიბურები ვინსენტს გაცილებით უფრო ფართო და ღრმა ეჩვენა, ვიდრე ახსოვდა.

— ჰელო, ვინსენტ, — უთხრა ქრისტინამ, — ვიფიქრე, მივალ ერთი, ვნახავ სად ცხოვრობს ვინსენტი-მეთქი.

— შენ პირველი ქალი ხარ, ქრისტინა, რომელიც ჩემთან მოვიდა. კეთილი იყოს შენი მოსვლა. შეიძლება შალი მოგხსნა?

ქალი ცეცხლს მიეფიცხა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახი მოათვალიერა.

— ურიგო არ არის, — უთხრა ქრისტინამ, — ოღონდ ცარიელია.

— ვიცი. მაგრამ ავეჯის ფული არა მაქვს.

— არაფერია, რაც აუცილებელია, ის ხომ გაქვს.

— ეს-ეს არის ვახშმობას ვაპირებდი. ხომ არ დამეწვეოდი, ქრისტინა?

— სიენს რატომ არ მეძახი? მე ასე მეძახიან.

— კარგი, სიენ.

— ვახშმად რა გაქვს?

— კარტოფილი და ჩაი.

— დღეს ორი ფრანკი მომცეს. წავალ, ცოტა ხორცს ვიყიდი.

— მოიცა, მე მაქვს ფული. ძმამ გამომიგზავნა. რამდენი დაგჭირდება?

— ალბათ თხუთმეტი სანტიმი. მეტს ვერ შევჭამთ.

ქრისტინა მალე დაბრუნდა. ხელში ქაღალდში გახვეული ხორცი ეჭირა. ვინსენტმა ჩამოართვა და მის მზადებას შეუდგა.

— მოიცა, შენ დაჯექი. რომელი დიასახლისი შენა ხარ. ეს ქალის საქმეა.

ღუმელთან დახრილ ქრისტინას ცეცხლის სიმხურვალემ ლოყები შეუწითლა. ახლა გაცილებით ლამაზი ჩანდა. მან სრულიად ბუნებრივად და შინაურულად დაჭრა კარტოფილი და ხორცი და მოსაშუშად ცეცხლზე შემოდგა. ვინსენტმა სკამი კედლისაკენ გადასწია. თვალს არ აშორებდა ქალს. თან გულში უცნაური სითბო

ეღვრებოდა. აი ეს მისი სახლია, გვერდით ქალი ჰყავს, რომელიც მოსიყვარულე ხელებით კერძს უმზადებს.

რამდენჯერ წარმოუდგენია თავისი თავი ასეთ ყოფაში ქეისთან ერთად. სიენმა შემოხედა. ვინსენტის სკამი ძალიან გადახრილიყო და კედელს მიბჯენოდა.

— ეი, შენ, სულელო, — დაუძახა მან, — სწორად დაჯექი.

ხომ არ გინდა კისერი მოიტეხო?

ვინსენტს გაეღიმა. ყველა ქალი, რომელთანაც ერთ ჭერქვეშ უცხოვრია, — დედა, დები, დეიდები, დეიდაშვილები — ყველა ერთი და იგივეს ეუბნებოდა. — მაგ სკამზე სწორად დაჯექი, თორემ კისერს მოიტეხო.

— კარგი, სიენ, ჭკვიანად ვიქნები.

მაგრამ, როგორც კი ქრისტინა მიბრუნდა, მან მყისვე ძველებურად გადასწია სკამი და კედელს მიეყრდნო. თან სიამოვნებით ქაჩავდა ყალიონს. სიენმა სუფრა გაშალა. ორი ფუნთუშაც ეყიდა. ხორცი და კარტოფილი რომ ამოჭამეს, დარჩენილ წვენში პურს აწობდნენ და ისე შეექცეოდნენ.

— იცი რა, — უთხრა სიენმა, — დაგენიძლავები, შენ ასე გემრიელს ვერ მოამზადებდი.

— ვერა, სიენ. როცა მე ვამზადებ, გემოს ვერ გაუგებ, რას ჭამ, თევზია, წიწილაა თუ რა ჯანდაბაა.

ჩაიზე სიენმა თავისი შავი სიგარა გააჩაღა. მეგობრულად მუსაიფობდნენ. ვინსენტი მასთან გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე მაუვესთან ან დე ბოკთან. მათ რაღაც საერთო ჰქონდათ, მაგრამ ვინსენტს არც უცდია გაერკვია, რა იყო ეს.

ისინი სულ უმნიშვნელო საგნებზე საუბრობდნენ. სრულიად გულახდილად. ვინსენტი რომ ლაპარაკობდა, ქალი უსმენდა.

არ აწყვეტინებდა, რომ თვითონ გამხდარიყო საუბრის თემა.

თანაც არ უნდოდა თავი რითიმე მიეძალებინა ვინსენტისათვის.

არც ერთი მათგანი არ ცდილა შთაბეჭდილება მოეხდინა მეორეზე. როცა სიენი თავისა ცხოვრების სიდუხჭირის და სიღატაკის შესახებ უამბობდა, ვინსენტი ფიქრობდა, ცოტა რამ რომ შეიცვალოს ამ ნაამბობში, ზუსტად ჩემი ამბავი გამოვაო. მათი საუბარი, მათი წუთიერი გარინდება მეტად ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყო. ორი ადამიანის ეული სული შეხვდა ერთმანეთს. მათ შორის სრულიად წაშლილიყო ყოველგვარი ზღვარი კლასობრივი განსხვავებისა, არც სიყალბე იყო და არც არავითარი განკერძოება.

ვინსენტი წამოდგა.

— რას აპირებ, — შეეკითხა სიენი.

— ჭურჭელს მივხედავ.

— ახლავე დაჯექი. შენ რა გესმის, ეს ქალის საქმეა ვინსენტმა სკამი ღუმელთან მისწია, ჩიბუხი გატენა და ნებიერად გააბოლა. ქრისტინა ჭურჭელს რეცხავდა. ხელებზე საპნის ქაფი მოსცხებოდა. დაძარღვული ხელები უთვალავ ნაოჭებს დაეფარა, ჩანდა, დიდი ჯაფა ენახათ. ვინსენტი ფურცელს და ფანქარს დასწვდა და ეს ხელები ჩახატა.

— რა კარგია აქ, — უთხრა ქალმა, ჭურჭლის რეცხვას რომ მორჩა, — ოღონდ, აი, ცოტა ჯინი და ლუდი რომ მოგვცა...

მთელი საღამო წრუპავდნენ ლუდს და ვინსენტი სიენს ხატავდა. ქალი წყნარად იჯდა თბილ ღუმელთან, ხელები მუხლებზე დაეწყო. ცალკე სიცხისაგან და ცალკე

სიამოვნებისაგან, რომ ვიღაცას ელაპარაკება, რომელსაც მისი ესმის, მეტი სიცხოველე მისცემოდა ქალს და სრულიად შეეცვალა იგი.

— როდის გაათავებ რეცხვას ? — შეეკითხა ვინსენტი.

— ხვალ. კიდევ კარგი, თორემ ქანცი გამომელია.

— ცუდად ხომ არ ხარ?

— არა, მაგრამ უკვე მოახლოვდა, სულ მოახლოვდა. ეს შეჩვენებული ბავშვი სულ ხტის და ხტის.

— აბა მომავალ კვირას დაგხატო?

— სულ ეს არის? უნდა ვიჯდე და მეტი არაფერი?

— სულ. ხან ფეხზე იდგები, ან გაიხდი.

— კარგია. შენ მუშაობ და ფულს მე მაძლევ. — ქალმა ფანჯარაში გაიხედა. გარეთ თოვდა.

— ნეტავი სახლში დამსვა, — სთქვა მან. — როგორ ცივა და მე კი ამ შალის მეტი არაფერი მაქვს. კარგა შორს უნდა წავიდე.

— ხვალ დილით ხომ ისევ აქეთ უნდა წამოხვიდე?

— ჰო, ექვს საათზე ჯერ ისევ ბნელია ხოლმე.

— მაშინ დარჩი თუ გინდა, სიენ. მეც მარტო არ ვიქნები.

— ხელს არ შეგიშლი?

— სულაც არა... ჩემი საწოლი საკმაოდ განიერია.

— ორივე დავეტევით?

— თავისუფლად.

— მაშინ დავრჩები.

— კეთილი.

— რა კარგი ხარ, რომ მითხარი, ვინსენტ.

— ეს შენ ხარ კარგი, რომ რჩები.

დილით სიენმა ყავა მოადუღა, ლოგინი გაასწორა, ოთახი დაგავა და სამრეცხაოსაკენ გაეშურა. წავიდა თუ არა, იქაურობა თითქოს დაცარიელდა.

5.

იმ საღამოს ტერსტეგი კვლავ ესტუმრა ვინსენტს. ყინვაში სიარულისაგან თვალები უელავდა და ლოყები ასწითლებოდა.

— როგორ არის საქმე, ვინსენტ?

— ძალიან კარგად, მინჰერ ტერსტეგ. მოხარული ვარ რომ გხედავთ.

— იქნება რაიმე საინტერესო მიჩვენო. ამისათვის მოვედი.

— დიახ. მაქვს ახალი ნახატები. დაბრძანდით.

ტერსტეგმა სკამს დახედა. ცხვირსახოცი ამოიღო, რომ მტვერი გადაეფერთხა, მერე იფიქრა, უხერხულიაო და დაჯდა. ვინსენტმა სამი თუ ოთხი აკვარელით ნახატი გამოუტანა. ტერსტეგმა თვალი ისე შეავლო, თითქოს გრძელი წერილი ნაჩქარევად ჩაიკითხაო. შემდეგ ისევ პირველ ნახატს მოუბრუნდა და დააცქერდა.

— საქმე გაჩარხულა, — უთხრა ბოლოს, — სულ თუმცა ვერ დახვეწილხარ, შენი ნახატები ცოტა არ იყოს, მოუხეშავია, მაგრამ უთუოდ გემჩნევა წინსვლა. აბა, შენ იცი, ახლა აუცილებლად უნდა დამიხატო რაიმე ისეთი, რომ ვიყიდო.

— კეთილი, მინჰერ.

— დროა იფიქრო, რითი ირჩინო თავი. სხვის კისერზე ჯდომა არ ვარგა.

ვინსენტი აკვარელს დააცქერდა. გუმანით გრძნობდა, რომ რაღაც სიტლანქე იყო სურათებში, მაგრამ როგორც ყველა ხელოვანი საკუთარ ნაკლს ვერ ამჩნევდა.

— მაგას რა სჯობია, როცა კაცი თავისით ირჩენს თავს, მინჰერ.

— ეს თუ გინდა, მეტი უნდა იმუშაო. დაუჩქარე, ვინსენტ.

ნეტავი დაგახატვინა რამე ისეთი, რომ მე ვიყიდო.

— კარგით, მინჰერ.

— რაც არ უნდა იყოს, მიხარია, რომ ბედნიერს გხედავ, მუშაობაში გართულს. თეომ მთხოვა, თვალყური ადევნეო. რამე კარგი დახატე, ვინსენტ, მინდა პლაატში დაგამკვიდრო.

— ვცდილობ, მაგრამ ხელი ყოველთვის არ მემორჩილება.

თუმცა, მაუვემ ერთი სურათი მაინც მოიწონა.

— რაო, რა გითხრა? — — მითხრა, აი ეს, ცოტა არ იყოს, აკვარელს ჰგავსო.

ტერსტეგს გაეცინა. შალის ყელსახვევი შემოიხვია ყელზე.

იმუშავე ვინსენტ, იმუშავე, სხვაგვარად არ იქმნება დიდი ტილოებიო, დაუბარა და წავიდა.

ვინსენტმა ძია კორს მისწერა, უკვე ჰააგაში დავმკვიდრდი და მესტუმრეო. ძია კორს ხშირად უხდებოდა ჰაგაში ჩამოსვლა. მისი გალერეა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მთელ ამსტერდამში. ჰააგიდან სურათები თუ სხვა რამ საჭირო ნივთები, ჩაჰქონდა შინ. ერთ კვირა დღეს ვინსენტმა ნაცნობი ბავშვები მოიწვია სტუდიაში. სანამ იგი ხატავდა, ბავშვებს რომ არ მოსწყენოდათ, კამფეტები უყიდა ბლომად. მოლბერტთან მდგარი ზღაპრებსაც ჰყვებოდა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. როგორც კი კარს უკან ბოხი ხმა გაისმა, მაშინვე მიხვდა, ძია ჩამოსულაო.

კორნელიუს მარიუს ვან გოგი კარგად ცნობილი, მიღებული და მდიდარი კაცი გახლდათ. მიუხედავად ამისა, მის დიდრონ, შავ თვალებს ოდნავი სევდა შეჰპარვოდა. ტუჩები, მისი გვარის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ოდნავ თხელი ჰქონდა, თავი კი ნამდვილი ვან გოგური — განიერი, ამობურცული შუბლი, ფართო ყბები, უზარმაზარი, მომრგვალებული ნიკაპი და კარგა მოზრდილი ცხვირი.

კორნელიუსს თითქოს დიდი ყურადღება არ მიუქცევია ოთახისათვის, მაგრამ არც ერთი მისი კუნჭული არ გამოჰპარვია, მთელ ჰოლანდიაში ვერ იპოვიდით კაცს, რომელსაც იმდენი მხატვრის სახელოსნო ენახა, რამდენიც ამას.

ვინსენტმა ბავშვებს დარჩენილი კამფეტები გაუნაწილა და შინ გაისტუმრა.

— ჩაის ხომ არ ინებებთ, ძია? გარეთ ალბათ ძალიან ცივა — მადლობელი ვარ, ვინსენტ.

ვინსენტმა ჩაი მიართვა და აღტაცებულს უკვირდა, როგორ ახერხებს ლაპარაკის დროს ფინჯნის მუხლზე გაჩერებასო.

— ასე რომ, გადაწყვიტე, მხატვარი გახდე, ვინსენტ, — უთხრა ძიამ, — დროა, ვან გოგების გვარშიც გაერიოს ერთი მხატვარი. ჰეინი, ვინსენტი და მე ოცდაათი წელია უცხო მხატვრების სურათებს ვიძენდით. ახლა ჩვენი ფული ისევ ჩვენს ოჯახში იტრიალებს.

ვინსენტმა გაიღიმა.

— რაღა მიჭირს. სამი ბიძა და ძმა მყავს ისეთი, რომლებსაც სურათების გაყიდვა შეუძლიათ. ცოტა ყველს და პურს ხომ არ ინებებთ, ძია კორ? იქნებ გშიათ?

კორნელიუსმა იცოდა, გაჭირვებული მხატვარი თუ საჭმელს გთავაზობს, უარს შეურაცხყოფად მიიღებს.

— ჰო, ვინსენტ, დიდი მადლობა, — უთხრა მან, — დილით ადრე ვისაუზმე.

ვინსენტმა შავი პურის უზარმაზარი ნაჭრები ნაპირჩამომტვრეულ თეფშზე დააწყო. მერე ქაღალდი გახსნა და იაფფასიანი ყველი ამოიღო. კორნელიუსმა თავს ძალა დაატანა, რომ ცოტა ეჭამა.

— ტერსტეგმა მითხრა, რომ თეო თვეში ას ფრანკს გიგზავნის.

— დიახ.

— თეო ყმაწვილი კაცია, მას ფული სჭირდება. შენ უნდა ეცადო, როგორმე თვითონ იშოვო ლუკმა-პურის ფული.

ვინსენტს ჯერ ტერსტეგის გუშინდელი ჭკუის სწავლება ვერ მოენელებინა. მან სწრაფად, დაუფიქრებლად უპასუხა.

— ლუკმა-პური ვიშოვო, ძია კორ? რა გინდათ ამით მითხრათ! ლუკმა-პური იშოვნეო, ესე იგი, უნდა ვიმუშაო, რომ ვჭამო.

ვინც არ მუშაობს და ჭამს — ეს რა თქმა უნდა დანაშაულია, რადგან ვინც მუშაობს, ღირსია ჭამოს, მაგრამ თუ ადამიანი მუშაობს და მაინც არ შეუძლია ლუკმა-პერის შოვნა, ეს უკვე ტრაგედიაა და საკმაოდ სერიოზული.

ვინსენტმა პურის გული დაზილა ხელში და პაწია, მაგარ ბურთად აქცია.

— ასე რომ, ძია კორ, თუ თქვენ იმას მეტყვით, შენ არ მუშაობ და ისე ჭამო, ეს შეურაცხყოფა იქნება ჩემთვის. მაგრამ თუ იმას მეუბნებით, რომ მე ვერ ვახერხებ ლუკმა-პურის შოვნას, თუმცა ვცდილობ კი, ამაში გეთანხმებით. ეს ლაპარაკი სულ ფუჭია, და სხვას თუ არაფერს მეტყვით, ეს დიდად ვერ მიშველის.

კორნელიუსს ლუკმა-პურის შოვნაზე მეტი აღარაფერი უთქვამს. მთელი საღამო წყნარად საუბრობდნენ, ვიდრე სრულიად შემთხვევით ვინსენტმა დე გრუ არ ახსენა.

— ნუთუ არ იცი, ვინსენტ, — შენიშნა კორნელიუსმა, — რომ დე გრუს პიროვნებაზე ცუდი ხმები დადის.

ვინსენტს არ შეეძლო წყნარად მჯდარიყო და მამაც დე გრუს აუგი ესმინა. იცოდა, ბიძამისთან ლაპარაკისას ყველაზე სწორი გზა „დიახ“-ის თქმა იყო, მაგრამ ვინსენტი ვერა და ვერ ახერხებდა ვან-გოგებისათვის ეს „დიახ“ ეთქვა.

— მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, ძია კორ, რომ ხელოვანს შეუძლია ხალხს თავისი შემოქმედება უჩვენოს, ხოლო მისი პირადი ცხოვრება, მისი შინაგანი ჭიდილი ვისი რა საქმეა, თუმცა კი ეს ყველაფერი რაღაც განგების ძალით, იმ დაბრკოლებას უკავშირდება, რაც ხელოვანს წინ ეღობება ქმნისას.

— და მაინც, — თქვა კორნელიუსმა და დაუშაქრავი ჩაი მოსვა, რადგან ვინსენტს მისთვის შაქარი არ შეუთავაზებია, — თუნდაც ის ფაქტი რომ ადამიანს ხელში ყალამი უჭირავს და არა გუთანი, ან შემოსავალ-გასავლის წიგნი, არ აძლევს მას უფლებას თავაშვებულად იცხოვროს. მე მგონია, ჩვენ არ უნდა ვყიდულობდეთ იმ მხატვრის სურათებს, რომელიც აბუჩად იგდებს ზნეობას.

— ვფიქრობ, გაცილებით ნაკლებ ზნეობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კრიტიკოსი ცდილობს მხატვრის ნახატების მიღმა მიმალული პირადი ცხოვრება ქექოს. მხატვრის შრომა და მისი პირადი ცხოვრება — ეს იგივეა, რაც მშობიარე ქალი

და პაწია ჩვილი. ბავშვს უცქირეთ რამდენიც გენებოთ, მაგრამ რა საჭიროა მშობიარეს პერანგი ავწიოთ, რომ ვნახოთ, ხომ არ მოთხუპნულა იგი სისხლით. ამაზე მეტი სათაკილო რა უნდა იყოს.

კორნელიუსმა ის იყო შავი პურისა და ყველის ნაჭერი ჩაკბიჩა, მაგრამ სასწრაფოდ ხელის გულზე გადმოაფურთხა და ღუმელისკენ მოისროლა.

— აბა, აბა, — უთხრა ძიამ, — აბა, აბა!

ვინსენტს შეეშინდა კორნელიუსი გავაბრაზეო, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი კეთილად მოგვარდა. ვინსენტმა თავისი ჩანახატები გამოუტანა და ძიამ სკამი სინათლისაკენ მისწია, კორნელიუსმა ჯერ კრინტიც არ დასძრა, მაგრამ როდესაც ვინსენტმა ტორფის ბაზრიდან დანახული პადემოსის ხედი უჩვენა, ღამის თორმეტ საათზე ქრისტინასთან ერთად სეირნობისას რომ დახატა, ძია შეყოვნდა.

— ამას არა უშავს. არ შეგიძლია ქალაქის ჩანახატები გამიკეთო?

— რატომაც არა. მოდელზე მუშაობისგან რომ ვიღლები, ხანდახან პეიზაჟზე გადავდივარ. რამდენიმე ნახატი კიდევ მაქვს, თუ ნახვას ინებებთ.

ვინსენტი ძიას ზურგს უკან იდგა. სურათებს გადასწვდა და სხვადასხვა ზომის ქაღალდები ამოარჩია.

— ეს ვლერსტეგია... ეს მეესტი, აი ეს კი თევზეულის ბაზარი.

— შეგიძლია თორმეტი ასეთი ჩანახატი გამიკეთო?

— დიახ. მაგრამ რაკი ეს უკვე ბიზნესია, მოდით ფასზეც მოვრიგდეთ.

— კეთილი. რამდენი გინდა?

— ამ ზომის ჩანახატებში, ფანქრით იქნება შესრულებული თუ ფუნჯით, ორნახევარი ფრანკი. მე მგონი, ძალიან ძვირი არ უნდა იყოს.

ძია კორს გულში გაეცინა, იმდენად უმნიშვნელო თანხა დაუსახელა ვინსენტმა.

— ძვირი არაა. მაგრამ თუ ნახატები მომეწონება, კიდევ დაგიკვეთ. ამსტერდამის თორმეტ სხვადასხვა ხედს. მაშინ ფასს მე თვითონ დავადებ და რაც შენ მომთხოვე, ცოტა იმაზე მეტს მოგცემ.

— ძია კორ, ეს ჩემი პირველი დაკვეთაა! ვერ აგიწერ, რა ბედნიერი ვარ ახლა.

— ჩვენ ყველას ძალიან გვინდა დაგეხმაროთ, ვინსენტ, ცოტა გააუმჯობესე შენი ტექნიკა და ყველაფერს ვიყიდით, რასაც დახატავ.

ძიამ ქუდი და ხელთათმანები აიღო.

— თეოს წერილს რომ მისწერ, ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

წარმატებისაგან თავბრუდახვეულმა ვინსენტმა საღებავებს ხელი დაავლო და ვილებომენისაკენ მოკურცხლა. კარი იეტმა გაუღო. ქალი შეწუხებული ჩანდა.

— შენ ადგილას ეხლა არ შევიდოდი სახელოსნოში. ანტონი თავის ჭკუაზე არ არის.

— რა დაემართა? ავად ხომ არ არის?

იეტმა ამოიოხრა.

— ჩვეულებრივი ამბავია!

— ჩემთვის ალბათ არ ეცლება.

— სჯობს ცოტა მოიცადო, ვინსენტ. ვეტყვი, რომ შენ მოაკითხე. რომ დამშვიდდება, თვითონ მოვა შენთან.

— არ დაგავიწყდეს, უთხარი, რომ ვიყავი.

— არ დამავიწყდება.

ვინსენტი დიდხანს ელოდა, მაგრამ დღეები გადიოდა და მაუვე კი არსად ჩანდა. ამასობაში ტერსტეგმა ორჯერ მოაკითხა, თუთიყუშივით სულ ერთსა დ იმავეს უმეორებდა:

— მგონი წინ წასულხარ, ვინსენტ, მაგრამ ჯერ არ არის კარგი. პლაატში ჯერ ვერ გავყიდი ამას. შენ ან ცოტას მუშაობ, ან ძალიან ნელა ხატავ.

— მინჰერ, ჩემო კარგო, დილით ხუთ საათზე ვდგები და თერთმეტ ან თორმეტ საათამდე ვმუშაობ. ხანდახან თუ შევწყვეტ და ისიც ცოტა ხნით, რომ რამე შევჭამო.

ტერსტეგმა გაოცებულმა გააქნია თავი. შემდეგ ისევ ნახატებს შეხედა.

— ვერაფერი გამიგია. ამ მენს ნახატებს ზუსტად იგივე სიტლანქის და მოუხეშაობის დაღი აზის, რაც პირველად შევნიშნე.

დროა დასძლიო ეს. გულმოდგინე მუშაობა შველის ხოლმე კაცს, თუ, რა თქმა უნდა, მას საერთოდ გააჩნია რაიმე ნიჭი.

— გულმოდგინე მუშაობა?! — წამოიძახა ვინსენტმა.

— ღმერთმანი, ძალიან მინდა ვიყიდო შენი ნახატები, ვინსენტ. მინდა, რომ თვითონ ირჩინო თავი. მე მგონია, თეო არ უნდა... მაგრამ ვერაფერს ვიყიდი, ვიდრე უკეთ არ დახატავ.

ახლა აბა რა შემიძლია? შენ ხომ მოწყალებას არ თხოულობ.

— არა.

— უნდა იჩქარო. მეტი არაფერი. მაშინ გაყიდი კიდეც და ლუკმა-პურსაც იშოვნი.

როდესაც ტერსტეგმა მეოთხედაც სიტყვასიტყვით გაიმეორა იგივე, ვინსენტი დაეჭვდა — ხომ არ დამცინისო. „შენ თვითონ უნდა ირჩინო თავი... მაგრამ მე არ შემიძლია ვიყიდო შენი ნახატები!“ აბა, რა ჯანდაბით შეუძლია თავი ირჩინოს, თუკი არავინ იყიდის მის ნახატებს.

ერთ დღეს მაუვე შემოხვდა ქუჩაში. იგი თავჩაქინდრული, ცალმხარწამოწეული, აჩქარებული მოაბიჯებდა. პირველად თითქოს ვერც იცნო ვინსენტი.

— დიდი ხანია არ მინახავხართ, მაუვე!

— დაკავებული ვიყავი, — უპასუხა მან ცივად.

— ვიცი, თქვენ ახალ ტილოს ხატავთ. როგორ არის საქმე.

— ეჰ... — მან გაურკვევლად ჩაიქნია ხელი.

— შეიძლება ცოტა ხნით მოვიდე თქვენთან? ჩემს ნახატებს დიდი ვერაფერი წინსვლა ეტყობა, მგონი.

— ახლა არა! ხომ გეუბნები, არა მცალია. დროს ტყუილად ვერ დავკარგავ.

— იქნებ თქვენ თვითონ მოსულიყავით ჩემთან, როცა სასეირნოდ გამოხვალთ. თქვენი ერთი სიტყვაც ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

— შეიძლება, შეიძლება, მაგრამ ახლა არ მცალია, მეჩქარება, უნდა წავიდე.

წინ წახრილი მაუვე ენერგიულად გაუყვა ქუჩას. ვინსენტმა გაოცებულმა გაადევნა მზერა.

რა მოხდა ნეტავი? რამე ხომ არ ეწყინა? იქნება უნდა, თავიდან მომიცილოს?

ვინსენტი ძალიან განცვიფრდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ვეისენბრუჰმა შემოაბიჯა მის სახელოსნოში. ვეისენბრუჰს დიდად არ ეპიტნავებოდა დამწყები და ხანდახან აღიარებული მხატვრებიც კი და მხოლოდ მაშინ გაიხსენებდა მათ, როცა უნდოდა რაიმე მწარე ეთქვა მათი მისამართით.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ვეისენბრუჰმა და ოთახი მოათვალიერა, — ნამდვილი სახელოსნოა. მალე შენ აქ მეფეებს და დედოფლებს დაგვიხატავ.

— თუ არ მოგწონთ, — შეუღრინა ვინსენტმა, — შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

— რატომ თავს არ ანებებ მხატვრობას, ვან-გოგ? რას გაიძაღლე ცხოვრება!

— თქვენ ხომ გაფურჩქვნილხართ და...

— დიახ. მე წარმატებას მივაღწიე, შენ კი ვერასოდეს ვერ მიაღწევ.

— შეიძლება. მაგრამ ჩემი ნახატები გაცილებით უკეთესი იქნება თქვენსაზე.

ვეისენბრუჰი ახარხარდა.

— უკეთესი არასოდეს, მაგრამ ჩემს შემდეგ პირველი მხატვარი შეიძლება იყო მთელ ჰააგაში. თუკი სურათებს რაიმე საერთო ექნება შენს ხასიათთან.

— რატომაც არა, — უთხრა ვინსენტმა და სურათები აიღო, — დაბრძანდით.

— დამჯდარი ყურება არ შემიძლია.

ვეისენბრუჰმა აკვარელით ნახატი გვერდზე გადასდო.

— ეს შენი საქმე არ არის. აკვარელს საიმისო სიცხოველე არ გააჩნია, რომ გამოხატო რაც შენ გაწუხებს.

იგი ფანქრით ნახატებს დააცქერდა. ეს იყო ბორინაჟელი და ბრაბანტელი მოხუცების პორტრეტები, რომლებიც ჰააგაში ჩამოსვლამდე დახატა ვინსენტმა. ვეისენბრუჰი სურათებს ათვალიერებდა და მხიარულად ხითხითებდა. ვინსენტი აფეთქებისათვის მოემზადა.

— თქვენ გასაოცრად კარგად ხატავთ, ვინსენტ, — ვეისენბრუჰს თვალები უციმციმებდა, — ამ ნახატებზე მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი.

ვინსენტმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ჩამოჯდა. ვეისენბრუჰის სიტყვები იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მთელ ტანში დაიშალა და მოცელილივით დაეშვა სკამზე.

— მე კი მეგონა, რომ „ულმობელი დაშნა“ იყავით.

— ვარ კიდევაც. თქვენი ნახატები რომ არ მომწონებოდა, პირში გეტყოდით.

— ტერსტეგმა დამიწუნა სურათები. მეუბნება მეტისმეტად ტლანქიაო.

— სისულელეა! სწორედ მაგაშია მთელი ძალა!

— მე მირჩევნია ფანქრით ვხატო, მაგრამ ტერსტეგმა მითხრა, აკვარელით უნდა ისწავლო ხატვაო.

— რომ გაიყიდოს, ხომ? არა, ჩემო კარგო, თუ გრძნობ, რომ ფანქრით გინდა რაიმე გადმოიტანო ქაღალდზე, ფანქრით უნდა ხატო. დაიმახსოვრე, ნურავის დაუჯერებ, ნურც მე.

შენს გზას მიჰყევ!

— ალბათ ასეც იქნება.

— როდესაც მაუვემ თქვა, რომ შენ მხატვრად გაუჩენიხარ განგებას, ტერსტეგმა არაო, უთხრა, მაგრამ მაუვე შენს მხარეზე იყო. მე თვითონ შევუსწარი ამ ამბავს. თუ ისევ მოხდება ამგვარი რამ, მეც შენს მხარეზე ვიქნები. უკვე ვიცი, როგორც ხატავ.

— მაუვემ ასე თქვა, განგებას გაუჩენია მხატვრადო?!

— თავბრუ არ დაგეხვეს. ბედნიერი მაშინ იქნები, თუ მხატვრად მოკვდები.

— აბა რატომ შემხვდა ასე ცივად? — — ყველას ასე ხვდება, ვინსენტ, როცა სურათს ამთავრებს.

ამან არ შეგაწუხოს. როცა სხევენინგენის ტილო მზად იქნება, ისიც ძველ მაუვედ იქცევა. ახლა შეგიძლია ჩემს სახელოსნოში მოხვიდე, თუკი დახმარება გჭირდება.

— შეიძლება რაღაც გკითხოთ, ვეისენბრუჰ?
— დიახ!
— მაუვემ გამოგგზავნათ ჩემთან?
— დიახ.
— რატომ გააკეთა ეს?
— ჩემი აზრი აინტერესებდა შენს ნახატებზე.
— რაში სჭირდება? თუკი გრძნობს, რომ მე მხატვრად...
— არ ვიცი, იქნებ ტერსტეგის სიტყვებმა დააეჭვა კიდეც.

6.

თუკი ტერსტეგი თანდათან ჰკარგავდა მისადმი რწმენას, ხოლო მაუვეს გულგრილობა სულ უფრო იზრდებოდა, მათ ადგილს ქრისტინა იჭერდა ნელ-ნელა. ვინსენტს თავის მარტოხელა ცხოვრებაში მეგობარი გაუჩნდა. ამაზე ოცნებობდა მთელი სიცოცხლე. ქალი ყოველ დილა ადრიანად მოდიოდა სტუდიაში, თან საკერავი მოჰქონდა, რომ თვითონაც საქმეში ყოფილიყო გართული. ხრინწიანი ხმა ჰქონდა, არც ჭკვიანურს ამბობდა რასმე, მაგრამ წყნარად ლაპარაკობდა და ვინსენტს, მუშაობაში გართულს, ხშირად არც კი ესმოდა მისი. ქალი უმეტესწილად ღუმელს უჯდა გარინდებული, ხან ფანჯარაში იცქირებოდა, ხან კი თავისი მომავალი პირმშოს პაწია პერანგებს კერავდა.

ცუდი მენატურე გამოდგა, ძნელად ითვისებდა ყველაფერს, თუმცა ძალიან კი ცდილობდა ვინსენტისთვის ესიამოვნებინა.

მალე ჩვეულებად ექცა წასვლის წინ სადილი მოემზადებინა მისთვის.

— შენ ამაზე ნუ წუხდები, სიენ, — ეუბნებოდა ვინსენტი.

— რა შეწუხებაა. ეს ხომ შენზე უკეთ შემიძლია გავაკეთო, — ჩემთან ერთად ხომ ისადილებ?

— რა თქმა უნდა. ბავშვებს დედა მიხედავს. მომწონს აქ ყოფნა.

ვინსენტი დღეში თითო ფრანკს აძლევდა, იცოდა, ამდენი ხელგაშლილობის საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ სიამოვნებდა, გვერდით რომ ჰყავდა იგი. ამით სარეცხს მოვაცილებო, ფიქრობდა და ეს ახარებდა. თუ დღისით გარეთ მუშაობდა, საღამოთი გვიანობამდე ხატავდა ქრისტინას. და იმ ღამით ქალი შინ აღარ მიდიოდა.

ვინსენტს გაღვიძებისთანავე ეცემოდა ახლადმოდუღებული ყავის სურნელი და სიამოვნებით უცქერდა ქალის მზრუნველ ფუსფუსს ღუმელთან. პირველად გაიგო ვინსენტმა თუ რას ნიშნავს საკუთარი ოჯახი. გასაოცარ სიმყუდროვეს გრძნობდა.

ქრისტინა ხანდახან სულ უმიზეზოდ, ისე, უბრალოდ რჩებოდა ღამით ვინსენტთან.

— შეიძლება ამაღამ აქ დავრჩე, ვინსენტ? — იკითხავდა, — შეიძლება?

— რა თქმა უნდა. როცა გინდა, დარჩი. ხომ იცი, მე შენი აქ ყოფნა მუდამ გამეხარდება.

ვინსენტი არაფერს სთხოვდა ქრისტინას, მაგრამ ქალი ურეცხავდა, უკერავდა და ბაზარში დადიოდა.

— თქვენ, კაცებმა, თავის მოვლა არ იცით. ქალი გჭირდებათ; წარმომიდგენია, როგორ გატყავებენ ბაზარში.

ქრისტინას კარგი დიასახლისი არ ეთქმოდა. დედამისის ჭერქვეშ გამეფებულმა სიზარმაცემ სისუფთავისა და წესრიგის ყოველგვარი ხალისი ჩაუკლა. დალაგების ჟინი შიგადაშიგ მოუვლიდა და საქმეს გულმოდგინედ და ენერგიულად ეკიდებოდა.

პირველად იყო, რომ საყვარელი ადამიანის სახლში დიასახლისობდა და ყველაფერს სიამოვნებით აკეთებდა... თუკი გაახსენდებოდა. რაც არ უნდა გაეკეთებინა, ვინსენტს ყველაფერი მოსწონდა. არც არაფერს უშლიდა.

ახლა ქრისტინა ძველებურად ბევრს აღარ მუშაობდა. არ იქანცებოდა. მის ხმას მეტი სინაზე დაეტყო. უწმაწურ გამოთქმებს იშვიათად ხმარობდა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა თავისი გრძნობები ცოტა მაინც მოეთოკა. სულ უმნიშვნელო რამეზე გააფთრდებოდა, ხმა ძველებურად ჩაეხლიჩებოდა და უშვერი სიტყვების ისეთ კორიანტელს დააყენებდა, როგორიც ვინსენტს კარგა ხანია არ გაეგონა.

ამ დროს ქრისტინაში იგი თავის კარიკატურას ხედავდა. ვინსენტი სულგანაბული იჯდა, ვიდრე ქარტეხილი არ ჩაივლიდა.

ქრისტინა მასავით მომთმენი იყო. როცა ნახატი არ გამოსდიოდა ან ქრისტინა ვერ დაიმახსოვრებდა, რასაც ასწავლიდნენ და ცქმუტავდა ხატვისას, ვინსენტი ისე ბობოქრობდა, რომ კედლები იწყებდნენ ზანზარს. ქრისტინა ხმაგაკმენდილი უსმენდა და მალე ისევ სიწყნარე ისადგურებდა. საბედნიეროდ ორივე ერთდროულად არასოდეს ბრაზობდა.

ვინსენტმა ბევრჯერ დახატა იგი, კარგად შეისწავლა მისი სხეული და ბოლოს გადაწყვიტა ერთი კარგი ეტიუდი დაეხატა.

ეს აზრი მას შემდეგ დაებადა, რაც მიშლესთან ასეთ ფრაზას წააწყდა: „Comment se fait-il qu'il y ait sur la terre une femme seule désespérée?“ (*როგორ მოხდა, რომ ამ ქვეყნად ცხოვრობს ასეთი მარტოხელა სასოწარკვეთილი ქალი? — ფრ.).

ქრისტინა გააშიშვლა და შეშის ნაჭერზე ჩამოსვა ღუმელთან. ნახატზე კი შეშის ეს ნაჭერი ხის ძირკვად აქცია, გარშემო ბალახები დაუხატა და ბუნებაში გადაიტანა. ქრისტინა ძირკვზე ზის, დაკორძებული ხელები მუხლებზე უწყვია, თავი გალეულ მკლავებში ჩაურგავს, ბეჭებზე თხელი თმა აყრია, დამჭკნარი მკერდი გამხდარ ფეხებზე დაშვებია და ოდნავ ეხება მათ, გრძელი ტერფები გაუბედავად დაუბჯენია მიწაზე. სურათს „სევდა“ უწოდა. ეს იყო ქალის უსიცოცხლო, გამოფიტული სხეული. ქვემოთ მიშლეს სიტყვები მიაწერა.

ამ სურათს მთელი კვირა და დარჩენილი თანხა მოანდომა.

მარტამდე ათი დღე დარჩა. სახლში შავი პურის მარაგი ორ-სამ დღესღა იკმარებდა. მოდელზე ვეღარ იმუშავებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რამდენიმე დღე უნდა დაკარგვოდა.

— სიენ, — უთხრა ვინსენტმა, — ამ თვის ბოლომდე ალბათ აღარ შეგაწუხებ.

— რა მოხდა?

— ფული აღარა მაქვს.

— რა ფული, ჩემთვის?

— ჰო.

— მე ხომ სხვა საქმე არაფერი მაქვს. მაინც მოვალ ხოლმე.

— შენ ფული გჭირდება, სიენ!

— ვიშოვნი.

— მთელი დღე აქ თუ იქნები, როგორღა გარეცხავ.

— ... არაფერია... ნუ სწუხარ... მაინც ვიშოვი.

ქრისტინა სამ დღეს კიდევ მოდიოდა. პური სულ გათავდა.

პირველამდე მთელი კვირა დარჩა. ვინსენტმა უთხრა, ბიძასთან მივდივარ ამსტერდამში და რომ ჩამოვალ, მე თვითონ მოგაკითხავო. სამი დღე ოთახიდან არ გამოსულა. ცარიელა წყალზე იყო.

რამდენიმე სურათი დახატა. შიმშილი არც ისე ძალიან აწუხებდა.

მესამე დღეს დე ბოკისკენ გაეშურა იმ იმედით, რომ იქ ჩაი და ნამცხვარი დახვდებოდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს, — წამოიძახა დე ბოკმა. იგი მოლბერტთან იდგა. — შინაურულად იყავი. ამ საღამოს წვეულებაზე მივდივარ, და მანამდე მინდა ვხატო. მანდ, მაგიდაზე, ჟურნალებია. შეგიძლია გადაათვალიერო.

ჩაიზე კრინტიც არ დაუძრავს.

იცოდა, მაუვეს ვერ ნახავდა, იეტისათვის რომ რამე ეთხოვა, რცხვენოდა. ტერსტეგთან მისვლას კი შიმშილით მომკვდარიყო, ის ერჩივნა, რაკი მან ვინსენტის წინააღმდეგ აამხედრა მაუვე.

როგორი უნუგეშო მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა, ერთხელაც არ მოუვიდოდა აზრად რამდენიმე ფრანკი სხვა გზით ეშოვნა, ხატვის გარდა. ციებამ თავი გაახსენა, მუხლები წაერთვა და საწოლიდან ვეღარ წამოდგა. იცოდა, შეუძლებელი იყო.

მაგრამ გულში მაინც ფიქრობდა, იქნებ მოხდეს სასწაული და თეომ რამდენიმე დღით ადრე გამომიგზავნოს ფულიო. მაგრამ პირველამდე თეო თვითონაც არ მიიღებდა ფულს.

მეხუთე დღეს ქრისტინამ დაუკაკუნებლად შემოაღო კარი.

ვინსენტს ეძინა. ქალი დააცქერდა მის დაღარულ, ფერდაკარგულ სახეს, რომელსაც მწითური წვერი უფარავდა, მის გამშრალ ტუჩებს. ხელი ნელა შეახო შუბლზე. სიმხურვალე იგრძნო..

თარო მოათვალიერა, იქ საჭმელი ელაგა ხოლმე. ვერც შავი პურის ნამცეცი ნახა და ვერც ყავის მარცვალი. ქრისტინა მაშინვე გარეთ გავარდა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვინსენტს ეზმანა, რომ იგი ეტენშია, სამზარეულოში ზის და დედა ცერცვს უმზადებს.

მაშინვე გაეღვიძა და დაინახა, რომ ქრისტინა ღუმელთან დახრილა და ქვაბებს დასტრიალებს.

— სიენ, — დაუძახა ვინსენტმა.

ქრისტინა საწოლთან მივიდა და გრილი ხელი ლოყაზე შეახო. მწითურ წვერზე ცეცხლი ეკიდა.

— მოდი, სიამაყეს თავი დაანებე, — უთხრა ქალმა, — და ნუღარ მომატყუებ. ღარიბები რომ ვართ, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ერთმანეთს უნდა მოვეხმაროთ. განა მაშინ შენ არ დამეხმარე, როცა პირველად შევხვდით ერთმანეთს, ღვინის სარდაფში?

— სიენ!

— იწექი. მე სახლში ვიყავი. ცოტა კარტოფილი და ცერცვი მოვიტანე. საჭმელი უკვე მზადაა.

კარტოფილი თეფშზე დასრისა, გარშემო მწვანე ცერცვი შემოუწყო, საწოლზე ჩამოჯდა და თავისი ხელით აჭამა.

— რატომ მაძლევდი ყოველდღე ფულს, თუ შენ თვითონ არ გყოფნიდა? შიმშილობა როგორ შეიძლება!

შიმშილის ატანა თეოს ფულის მოსვლამდე არ გაუჭირდებოდა ვინსენტს, თუნდაც რამდენიმე კვირა დაგვიანებოდა. მაგრამ მოულოდნელი სიხარული მაშინვე მოსტეხდა ხოლმე. გადაწყვიტა, წავალ, მაინც ვნახავ ტერსტეგსო. ქრისტინამ პერანგი გაურეცხა, მაგრამ უთო არ ჰქონდათ და ვერ დაუუთოვა. მეორე დილით საუზმეზე ყავა და პური მიირთვა და პლაატისაკენ გაეშურა. ტალახით მოთხუპნულ ფეხსაცმელზე ცალი ქუსლი მოსძრობოდა. ჭუჭყიანი შარვალი დაჭმუჭნილი ჰქონდა. თეოს პალტო ძლივს ეტეოდა. ძველი ჰალსტუხი მარჯვნივ მოღრეცოდა. თავზე უცნაური ქუდი ეხურა. ღმერთმა უწყის, საიდან გამოჩხრეკდა ხოლმე ამგვარ ქუდებს.

რაინის რკინიგზას გაჰყვა. მეორე მხარეს ტყე იწყებოდა, სადგურს ჩაუარა, საიდანაც სხევენინგენისაკენ მიემართებოდნენ ორთქლმავლები, და ქალაქისაკენ აიღო გეზი. მზე უსიცოცხლოდ ანათებდა. ვინსენტმა სისუსტე იგრძნო. პლეინის ქუჩაზე, მაღაზიის ვიტრინაში, თავის ორეულს მოჰკრა თვალი. ძალიან იშვიათად შეხედავდა ხოლმე თავის თავს სხვისი თვალით. აი, როგორს იცნობენ მას ჰააგის მკვიდრნი; ჭუჭყიან, გაბურძგნულ მაწანწალას, ყველასაგან გარიყულს, ავადმყოფს, დაჩიავებულს და მოშვებულს.

პლაატი ფართო სამკუთხედად გაშლილიყო და ციხე-სიმაგრესთან ჰოფვეიერს უერთდებოდა. ამ ქუჩაზე მხოლოდ უმდიდრესი მაღაზიები იყო თავმოყრილი. ვინსენტმა ძრწოლით შედგა ფეხი ამ წმინდა სამკუთხედზე. ახლაღა იგრძნო, რამხელა უფსკრული ჰყოფდა მას პლაატისაგან. — გუპილთან მტვერს წმენდდნენ მსახურები. შესვლისთანავე მოურიდებელი ცნობისმოყვარეობით შეაჩერდნენ ვინსენტს.

ალბათ ფიქრობდნენ, ამ კაცის ოჯახს ხელთ უპყრია მთელი ევროპის ხელოვნება, ეს კი რას დაყიალობს ასე ჩამოძონძილიო.

ტერსტეგი თავის მაგიდასთან იჯდა, ზემო სართულზე. მწვანეტარიანი დანა მოემარჯვებინა და დილის ფოსტას ხსნიდა.

ტერსტეგს თვალში მოხვდა ვინსენტის პაწია, მრგვალი ყურები, წარბების ხაზიდან საკმაოდ დაბლა დაწეული. განიერი სახე ყბებს ქვემოთ უვიწროვდებოდა და ოთხკუთხა ნიკაპით თავდებოდა. მარცხენა თვალთან თმა ჩამოშლოდა შუბლზე. მოლურჯო მომწვანო თვალები ჩაციებით და უაზროდ იმზირებოდნენ.

სქელი, წითელი ტუჩები წვერისა და ულვაშის ფონზე უფრო წითელი მოჩანდა. ტერსტეგს რამდენჯერ უფიქრია, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, უშნო იყო ვინსენტი თუ ლამაზი.

— ამ დილით სულ პირველი შენ შემოხვედი მაღაზიაში, ვინსენტ, — უთხრა ტერსტეგმა, — რით შემიძლია გემსახურო?

ვინსენტმა უამბო თავისი გასაჭირი.

— რაც გამოგიგზავნეს, ის ფული სად წაიღე?

— დავხარჯე.

— რაკი ასეთი მფლანგველი ხარ, ჩემი იმედი ნუ გექნება.

თვეში 30 დღეა. ისე უნდა გაანაწილო, რომ ზედმეტი არ დაგეხარჯოს.

— მფლანგველი არა ვარ, ნახევარზე მეტი ფული მენატურეს დასჭირდა.

— მაშინ მენატურეს ნუღარ იქირავებ, შენით უფრო იოლად გახვალ.

— მენატურეს გარეშე როგორ დახატავს მხატვარი ადამიანს.

— შენც ადამიანს ნუ დახატავ. აიღე და ძროხები ან ცხვრები ხატე. მათთვის ფულის გადახდა საჭირო არ იქნება.

— არ შემიძლია ძროხების და ცხვრების ხატვა, მინჰერ არავითარი სურვილი არა მაქვს.

— შენ ადამიანების ხატვას მაინც უნდა დაანებო თავი. მათი გაყიდვა არ მოხერხდება. სჯობს, აკვარელს მოჰკიდო ხელი და სხვას ყველაფერს მოეშვა.

— აკვარელი ჩემი საქმე არ არის.

— ჩემი აზრით, მაგ ჩანახატებს შენ ნარკოტიკივით ხმარობ, გინდა ტკივილი ჩაიხშო, რაკი აკვარელი ვერ დაიმორჩილე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვინსენტმა ვერაფერი მოიფიქრა პასუხად.

— დე ბოკს არასოდეს აუყვანია მენატურე, თუმცა მდიდარი კაცია. ალბათ დამეთანხმები, რომ საუცხოოდ ხატავს. მის ნახატებზე ფასი დღითი-დღე იზრდება. ვფიქრობდი, ეგებ მისგან ცოტაოდენი მოქნილობა მაინც გადაიღოს-მეთქი, მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა, იმედი გამიცრუე, ვინსენტ! შენი ნახატები ძველებურად ტლანქი და ულაზათოა. ჰოდა, მეც დავრწმუნდი, რომ შენ მხატვრის არაფერი გცხია.

ხუთი დღის შიმშილობამ ახლა იჩინა თავი და მუხლი მოეკვეთა. მისუსტებული, ხელით გამოთლილ, მოჩუქურთმებულ იტალიურ სკამზე ჩამოჯდა. ხმა ისე ჩაუწყდა, რომ ენა ვერ მოაბრუნა.

— რატომ მეუბნებით ამას, მინჰერ? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

ტერსტეგმა ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ ცხვირზე მოისვა, მერე ტუჩის კუთხეები გაიწმინდა და წვერზე ჩამოისვა.

— იმიტომ, რომ მე ვალდებული ვარ შენი და შენი ოჯახის წინაშე. შენ სიმართლე უნდა იცოდე, ვინსენტ. ჯერ კიდევ დროა, იჩქარე, თავს უშველე. შენ მხატვრად ყოფნა არ გიწერია. შენი ნამდვილი ადგილი უნდა ეძებო ცხოვრებაში. მე მხატვრებში არასოდეს შევმცდარვარ.

— ვიცი, — უპასუხა ვინსენტმა.

— ერთი უბედურება ისაა, რომ შენ ძალიან გვიან მოეკიდე ამ საქმეს. ბავშვობაში რომ დაგეწყო, იქნებ აქამდე უკვე რამე გესწავლა. შენ ხომ ოცდაათი წლისა ხარ, ვინსენტ. ახლა უკვე აღიარებული უნდა იყო. შენი ხნისა მე უკვე ცნობილი კაცი ვიყავი. როგორ შეგიძლია წარმატების იმედი გქონდეს საერთოდ, როცა ნიჭი არა გაქვს. უფრო უარესი, რით შეგიძლია თავი იმართლო, რომ მოწყალებას სთხოვ თეოს.

— მაუვემ ერთხელ მითხრა, როცა ხატავ, ვინსენტ, ნამდვილი ხელოვანი ხარო.

— მაუვე შენი ნათესავია. მას უნდოდა შენთვის ესიამოვნებინა. მერწმუნე, რასაც მე გეუბნები, უფრო გამოსადეგია შენთვის, რადგან ეს მეგობრის რჩევაა. დროზე დაანებე თავი ხატვას. თორემ როცა მთელი სიცოცხლე ხელიდან გაგისხლტება, მერე გვიან იქნება. აი, მონახავ შენთვის შესაფერ საქმიანობას და კაცი გახდები, მერე მოხვალ ჩემთან და მადლობელი ვარო, მეტყვი.

— მინჰერ ტერსტეგ, უკვე ჩუთი დღეა პურის ფულიც არა მაქვს მარტო რომ ვიყო, არ შეგაწუხებდით. მენატურე მყავს, ღარიბი, ავადმყოფი ქალი. ფული უნდა გადავუხადო. მას ფული სჭირდება. გევედრებით, მასესხეთ ათი გულდენი, ვიდრე თეო გამომიგზავნის ფულს. დაგიბრუნებთ ვალს.

ტერსტეგი წამოდგა, ფანჯრიდან აუზში მოცურავე გედებს მიაჩერდა. ერთადერთი ეს აუზი გადარჩა იმ სასახლის აუზებიდან. გუნებაში ფიქრობდა, რა უნდოდა ვინსენტს

ჰააგაში რომ მოდიოდა, როცა ბიძამისებს ამსტერდამში, როტერდამში, ბრიუსელსა და პარიზში საკუთარი სამხატვრო მაღაზიები აქვთო:

— შენ გგონია, თუ მე ახლა ათ გულდენს გასესხებ, ამით სამსახურს გაგიწევ? — ტერსტეგი არ შემობრუნებულა. მდიდრული კოსტიუმი ეცვა, ხელები ზურგზე დაეწყო. — მე კი ვფიქრობ, რომ უკეთესი სამსახურია არაფერი არ მოგცე.

ვინსენტმა იცოდა, რა დაუჯდა ქრისტინას ის კარტოფილი და ცერცვი. ხომ არ შეიძლებოდა სულ მის კისერზე მჯდარიყო.

— მინჰერ ტერსტეგ, თქვენ მართალი ხართ. მე მხატვრად არ ვვარგივარ და არავითარი ნიჭი არ გამაჩნია. თქვენ არ შეგფერით, რომ ახლა ფული მომცეთ და დამეხმაროთ. მე თვითონ უნდა ვიშოვნო ჩემთვის საჭირო ფული და ჩემი ადგილი ვიპოვნო ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენი ყოფილი მეგობრობის ხათრით გთხოვთ, მასესხოთ ათი გულდენი.

ტერსტეგმა ჯიბიდან საფულე ამოიღო, ათგულდენიანი მოძებნა და უსიტყვოდ გაუწოდა ვინსენტს.

— გმადლობთ, — უთხრა ვინსენტმა, — დიდ სიკეთეს იჩენთ.

სახლისაკენ გაეშურა. დასუფთავებული ქუჩის ორივე მხარეს აგურის პაწია, კოხტა სახლები ჩამწკრივებულიყვნენ და ვინსენტს სიმშვიდის და მყუდროების გრძნობას უღვიძებდნენ.

ვინსენტი თავისთვის ბუტბუტებდა:

— სულ მეგობრობა შეუძლებელია. ხანდახან ჩხუბიც საჭიროა. ექვსი თვე არც მივაკითხავ ტერსტეგს, არც ხმას გავცემ, არც ჩემს ნახატებს ვუჩვენებ. დე ბოკთან შეუხვია, იფიქრა, ერთი ვნახავ, რა არის, ასე რომ იყიდებაო. რა მომხიბვლელობა აქვს დე ბოკს, რაც მე არ გამაჩნიაო. დე ბოკს ფეხები სკამზე დაეწყო და რომელიღაც ინგლისურ რომანს კითხულობდა.

— ჰელო, — წამოიძახა მან, — ნაღველი შემომაწვა, რაღაც, სულ არ შემიძლია ხატვა. დაჯექი, იქნებ რითიმე გამამხიარულო.

ჯერ ადრეა რომ სიგარა მოვწიო? ახალი ამბავი ხომ არ გაგიგია რამე?

— აბა ერთი, ნახატები მიჩვენეთ, დე ბოკ, შეიძლება? მინდა ვნახო, რატომაა, რომ თქვენ ჰყიდით მათ, ხოლო მე ვერა.

— ნიჭი, ჩემო კარგო, ნიჭი, — თქვა დე ბოკმა და უხალისოდ წამოდგა. — ბუნება გვაჯილდოვებს. ზოგს აქვს იგი, ზოგს კი არა. მე თვითონაც არ ვიცი რა არის იგი, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს, კარგად კი ვხატავ.

მან ექვსიოდე ნახატი გამოიტანა, ჯერ ისევ დასაჭიმ ქვეჩარჩოზე გაკრული, თან კვლავინდებურად ოხუნჯობდა. ვინსენტი იჯდა და აბრიალებული თვალებით სჭამდა საღებავების თხელი ფენით ნაზად დაფარულ ტილოებს.

— ჩემი სჯობს, — ბუტბუტებდა თავისთვის, — ჩემი უფრო წრფელია, ღრმაა. მე უბრალო ფანქრით მეტი შემიძლია, ვიდრე ამას მთელი ყუთი საღებავებით. ხატავს იმას, რაც ისედაც ცხადია. სურათები არაფერზე არ მეტყველებენ. მერედა, რატომ აქვს ამ კაცს ასეთი წარმატება და ამდენი ფული, როცა მე შავი პურის და ყავის საფასურზეც უარს მეუბნებიან.

ვინსენტი მიდიოდა და გზადაგზა ბუტბუტებდა.

— ამ სახლში არაჯანსაღი ატმოსფეროა. დე ბოკი უნდოა.

დამაჯერებლად ვერ მოქმედებს ჩემზე. სწორად უთქვამს მილეს „J'aimerais mieux ne rien dire que m'exprimer faiblement“ (*მე მირჩევნია სულ არაფერი ვაკეთო, ვიდრე უხეიროდ გამოვხატო ჩემი სათქმელი — ფრ.).

— ხოტბა და ფული დაე ისევ დე ბოკს ჰქონდეს. მე ჩემი სიმართლე და ნაღველ-ვარამი მირჩევნია.

ქრისტინას ჩვარი დაესველებინა და სახელოსნოს ხის იატაკს წმენდდა. თმა შავი თავსაფრით გაეკრა. სახეზე ოფლის წვეთები უკიაფებდა.

— ფული იშოვნე? — ჰკითხა და ვინსენტს ახედა.

— ჰო ათი ფრანკი.

— კარგია, არა, მდიდარი მეგობრები?

— ჰო. აჰა შენი ვალი, ექვსი ფრანკი.

სიენი ფეხზე წამოდგა და შავი წინსაფრით სახე შეიმშრალა.

— ახლა ნუ მომცემ, — უთხრა ვინსენტს, — როცა შენი ძმა გამოგიგზავნის, მაშინ მომეცი, ოთხი ფრანკი რას გეყოფა.

— მე არა მიშავს, შენ კი ფული გჭირდება.

— შენც გჭირდება. იცი, როგორ მოვიქცეთ; მე შენთან დავრჩები, ვიდრე შენი ძმის წერილი არ მოვა. ეს ათი ფრანკი კი ისე დავხარჯოთ, ვითომ ორივესია. მე უფრო მეტ ხანს ვიმყოფინებ, ვიდრე შენ.

— მერე ხატვა? მე ხომ ფელს ვეღარ მოგცემ, რომ დაგხატო.

— საჭმელი მექნება და საწოლი. განა ეს საკმარისი არ არის? მე მიხარია აქ ყოფნა. თბილად ვარ, მუშაობა არ მჭირდება, არ ვიღლები.

ვინსენტმა მკლავები მოხვია და თხელი, უხეში თმა შუბლიდან გადაუწია.

— ხანდახან, სიენ, სასწაულს ახდენ. შენ თითქმის დამარწმუნე, რომ ნამდვილად არის ღმერთი ამქვეყნად.

7.

დაახლოებით ერთ კვირაში მაუვეს მიაკითხა. მან, მართალია, მიიღო იგი თავის სახელოსნოში, მაგრამ შესვლის უმალ სხევენინგენის ტილოს ფარდა ჩამოაფარა, ასე რომ, ვინსენტმა თვალის მოკვრაც ვერ მოასწრო.

— რა გინდა? — ისე შეეკითხა, თითქოს არ იცოდა რამ მოიყვანა ვინსენტი მასთან.

— რამდენიმე აკვარელი მოვიტანე. ვიფიქრე, იქნებ ცოტაოდენი თავისუფალი დრო ჰქონდეს-მეთქი.

მაუვე ნერვიულად, აჩქარებით რეცხავდა ფუნჯებს. სამი დღეა ტანზე არ გაუხდია. სახელოსნოში ჩასთვლემდა ხოლმე დივანზე, და ძილი არ ჰყოფნიდა.

— მე ყოველთვის არა ვარ ისეთ ხასიათზე, რომ რაიმე გასწავლო. ახლა სულ გასავათებული ვარ და, ღვთის გულისათვის, სხვა დროს მომაკითხე.

— მაპატიეთ, მაუვე, — ვინსენტმა კარისაკენ გასწია. — თქვენი შეწუხება არ მინდოდა, იქნებ ხვალ საღამოს მოვსულიყავი.

მაუვემ ტილო ახადა მოლბერტს. ვინსენტის არც ერთი სიტყვა არ გაუგონია.

მეორე საღამოს ვეისენბრუჰი დაუხვდა იქ ვინსენტს. მაუვე ისტერიამდე იყო მისული. იგი შესვლისთანავე ეცა ვინსენტს, უნდოდა გამხიარულებულიყო და მეგობარიც გაერთო.

— ვეისენბრუჰ, — წამოიძახა უცებ, — ნახე რასა ჰგავს!

მაუვემ უჩვენა, როგორ ეხერხებოდა ადამიანის გამოჯავრება. სახე დასჭიმა, ნიკაპი წინ წამოსწია, რომ ვინსენტს დამსგავსებოდა. ზედგამოჭრილი კარიკატურა გამოვიდა. შემდეგ ვეისენბრუჰთან მივიდა, ნახევრად ღია თვალებით მიაცქერდა და უთხრა:

— ახლა როგორ ლაპარაკობს.

ხმა ჩაიხლიჩა, ნერვიულად არეხრეხდა და დორბლები გადმოყარა, სწორედ ისე, როგორც ვინსენტმა იცოდა.

ვეისენბრუჰი გადაფიჩინდა.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — ყვიროდა იგი, — აი როგორი ხარ სხვის თვალში, ვან გოგ. იცოდი, რომ ასეთი საფრთხობელა ხარ?

მაუვე, ნიკაპი წამოსწიე რა, და წვერი გაიბურძგნე. მოვკვდი და ეს არის!

ვინსენტი გახევდა. კუთხეში მიიკუჭა და თავისი ხმა თვითონვე ეუცნაურა.

— გაგეთიათ ლონდონის ქუჩებში წვიმიანი ღამე, ან ბორინაჟში მშიერ-მწყურვალს, უსახლკაროს და ავადმყოფს გევლოთ.

აკანკალებულიყავით ყინვიან ღამით ღია ცის ქვეშ და ვინ იცის, იქნებ ჩემსავით დანაოჭებული და ხრინწიანი გამხდარიყავით.

რამდენიმე წუთში ვეისენბრუჰი წავიდა. მაუვე მოწყვეტით დაეშვა სკამზე. წეღანდელმა სიგიჟემ ძალა წაართვა და დაასუსტა. ვინსენტი სულგანაბული არ შორდებოდა კუთხეს. ბოლოს, როგორც იქნა, მაუვემ შენიშნა იგი.

— შენ ისევ აქა ხარ?

— მაუვე, — დაიწყო ვინსენტმა ნაჩქარევად და ისე დაიჯღანა, როგორც ახლახან მაუვემ გამოაჯავრა. — რა მოხდა? მითხარით, რა დაგიშავეთ, რატომ მეპყრობით ასე.

მაუვე უხალისოდ წამოდგა და ჩამოშლილი თმა გაისწორა.

— უკმაყოფილო ვარ, ვინსენტ. შენ უკვე უნდა შეგეძლოს თვითონ ირჩინო თავი და შენი მათხოვრობით არ შეარცხვინო ვან გოგების სახელი.

ვინსენტი წუთით ჩაფიქრდა.

— ტერსტეგი იყო აქ?

— არა.

— ესე იგი აღარ აპირებთ მასწავლოთ?

— არა.

— ძალიანაც კარგი. მაშინ დავემშვიდობოთ ერთმანეთს. საჭირო არ არის დამცირება და შეურაცხყოფა. მე მუდამ მადლობელი ვიქნები იმისათვის, რაც გამიკეთეთ.

მაუვე კარგა ხანს ხმას არ იღებდა. შემდეგ უთხრა:

— გულთან ნუ მიიტან, რაც გითხარი. მე ძალიან დავიღალე, ვინსენტ. დავიღალე და ავად ვარ. რაც შემიძლია, დაგეხმარები.

მოიტანე რამე?

— დიახ. მაგრამ ახლა ამის დრო...

— მიჩვენე.

ამღვრეული თვალებით დააცქერდა ნახატს.

— შენ ცუდად ხატავ, ვინსენტ. ძალიან ცუდად. სამწუხაროა, რომ ადრე არასოდეს შემინიშნავს.

— ერთხელ მითხარით, როცა ხატავ, ნამდვილი ხელოვანიც ხარო.

— მე ეს სიტლანქე სიძლიერედ მივიღე. შენ თუ გინდა რაიმე ისწავლო, მაშინ ყველაფერი სულ თავიდან უნდა დაიწყო.

კუთხეში, ნახშირის ვედროს გვერდით, თაბაშირის ფიგურებია.

თუ გინდა, ახლავე შეგიძლია შეუდგე ხატვას.

ვინსენტმა გაოცებულმა გასწია კუთხისაკენ. თაბაშირის ფეხთან ჩამოცუცქდა. კარგა ხანს, გაოგნებულმა, აზრი ვერ მოიკრიბა. ქაღალდი ამოიღო, მაგრამ ვერაფრის დახატვა ვერ მოახერხა. შემობრუნდა. მაუვე მოლბერტთან იდგა.

— როგორ გამოდის, მაუვე?

მაუვე პაწია დივანზე დაეშვა შმაგად. წამსვე დახუჭა ამღვრეული თვალები.

— ტერსტეგმა მითხრა დღეს, ეს შენი საუკეთესო ქმნილებააო.

ცოტა ხნის შემდეგ ვინსენტმა ხმამაღლა თქვა:

— ესე იგი, ტერსტეგი იყო აქ.

მაუვე უკვე ფშვინავდა და აღარაფერი ესმოდა.

ვინსენტი მალე დამშვიდდა. თაბაშირის ფეხი წინ დაიდო და ხატვას შეუდგა. რამდენიმე საათმა განვლო. მაუვემ რომ გაიღვიძა, ვინსენტს უკვე შვიდი ჩანახატი ჰქონდა მზად. მაუვე ვეფხვივით წამოიჭრა, თითქოს სულაც არ სძინებიაო და ვინსენტს გვერდში ამოუდგა.

— მიჩვენე, — უთხრა მან — მიჩვენე.

სათითაოდ ათვალიერებდა და იმეორებდა:

— არა! არა! არა!

შემდეგ ყველა აკუწა და ნაფლეთები იატაკზე დაყარა.

— ისევ ის სიტლანქე, ისევ ის მოუქნელობა! ნუთუ არ შეგიძლია ეს ფეხი ისეთი დახატო, როგორიც არის? დავიჯერო, სწორი ხაზის გავლება არ შეგიძლია? ერთხელ მაინც დახატე ისე, რომ ზუსტად გავდეს იმას, რაც არის.

— თქვენ რა სამხატვრო აკადემიის პედაგოგივით მელაპარაკებით, მაუვე.

— სამხატვრო აკადემიები რომ გენახა, ახლა იქნებ ხატვა გცოდნოდა. აბა, კიდევ დახატე ეს ფეხი. იცოდე, ფეხი ფეხს უნდა ჰგავდეს.

მაუვემ ბაღი გადაჭრა და სამზარეულოში შევიდა. დანაყრებული ისევ თავის ტილოს მიუბრუნდა ლამპის შუქზე. დაღამდა.

საათი საათს მისდევდა. ვინსენტი გაუთავებლად ხატავდა და ხატავდა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აღიზიანებდა მის წინ საძაგლად წამოსკუპებული თაბაშირის ფეხი. როცა ჩრდილოეთ ფანჯრიდან უსიცოცხლოდ შემოეპარათ განთიადი, ვინსენტს უკვე ნახატების დიდი გროვა ეწყო წინ. ერთხელ კიდევ გადახედა მათ მაუვემ და ხელში მოკუჭა.

— არაფრად არ ვარგა, — უთხრა ბოლოს, — სულ წყალწაღებულია. შენ ხატვის ელემენტარული წესიც არ გესმის. გამიგონე, ახლა შინ წადი. ეს ფეხი თან წაიღე და ხატე და ხატე.

თვალით არ დამენახო. ვიდრე რიგიანად არ დახატავ.

— დასწყევლოს ღმერთმა, არაფერსაც არ გავაკეთებ, — იღრიალა ვინსენტმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნახშირის ვედროსაკენ მოისროლა ფეხი. თაბაშირი წამსვე დაიფშვნა.

აღარ მიხსენოთ თაბაშირი. ვერ ვიტან, მეჯავრება. ვიდრე ცოცხალი ხალხის ფეხი და ხელი არსებობს, გაკეთებულს და ხელოვნურს არაფერს დავხატავ.

— მერე, სწორია ეს? — უთხრა მაუვემ ცივად.

— მაუვე, მე ჩემს თავს არ მივცემ უფლებას ვისიმე გაყინული სქემით ვხატო, არც თქვენი, არც სხვისი. ჩემი ხასიათით და ტემპერამენტით მინდა ყველაფერი ავსახო. მე მინდა ვხატო ისე, როგორც მე ვხედავ, და არა ისე, როგორც თქვენ ხედავთ!

— მე უკვე აღარაფრით შემიძლია დაგეხმარო. — ეს ისე უთხრა მაუვემ, თითქოს ექიმი მიცვალებულს ელაპარაკებაო.

შუადღე იყო, ვინსენტმა რომ გაიღვიძა. ქრისტინას თავის უფროსი ვაჟი ჰერმანი მოეყვანა. ათი წლის ფერმკრთალ ბიჭუნას თეევზივით მწვანე, შეშინებული თვალები და ერთი ციცქნა ნიკაპი ჰქონდა. ქრისტინას მისთვის ფურცელი და ფანქარი მიეცა და ისიც წყნარად იჯდა. ბიჭუნამ არც წერა იცოდა და არც კითხვა. ვინსენტი იუცხოვა, მორცხვად მიუახლოვდა. ვინსენტმა უჩვენა, როგორ დაეჭირა ფანქარი და როგორ დაეხატა ძროხა.

პატარას მოეწონა და მალე დაუმეგობრდა კიდეც. ქრისტინამ ცოტაოდენი პური და ყველი ამოალაგა და ისაუზმეს.

ვინსენტს ქეი და მისი პატარა, ლამაზი იანი გაახსენდა. ბოღმა მოებჯინა ყელში.

— მე დღეს რაღაც ვერა ვარ კარგად და ჩემს მაგიერად ჰერმანი დახატე.

— რა მოგივიდა, სიენ?

— არ ვიცი. შიგნით სულ ყველაფერი მტკივა.

— სხვა ბავშვებზეც ასე იყავი?

— ცუდად ვიყავი, მაგრამ ასე არა. ახლა საშინლად ვარ.

— ექიმს უნდა ეჩვენო აუცილებლად.

— უფასო ექიმთან მისვლას აზრი არა აქვს. აიღებს და წამალს მოგცემს. ის წამალი კი ვერაფერ ხეირს დაგაყრის.

— სჯობს ლეიდენის სახელმწიფო საავადმყოფოში წახვიდე.

— ...მეც ვიცი, რომ სჯობს.

— მატარებელს დიდი დრო არ სჭირდება იქამდე, ხვალ დილით წაგიყვან. ჰოლანდიის ყველა კუთხიდან ჩამოდიან იქ.

— ჰო, აქებენ.

ქრისტინა მთელი დღე ლოგინში იწვა. ვინსენტი ბიჭს ხატავდა. სადილობისას ვინსენტმა ქრისტინას დედას მიუყვანა ჰერმანი და დაუტოვა. მეორე დილით ადრიანად გაემგზავრნენ ლეიდენისაკენ.

ექიმმა ქრისტინა გასინჯა, უამრავი კითხვა მიაყარა და ბოლოს უთხრა.

— ცუდად იქნებით, რა თქმა უნდა. ბავშვის მდგომარეობა არასწორია.

— შეიძლება რაიმე გაკეთდეს, ექიმო? — შეეკითხა ვინსენტი.

— ოპერაცია შეიძლება.

— საშიში ხომ არ არის?

— სასწრაფო არაფერია. ბავშვს მაშებით მოვაბრუნებთ.

ცოტაოდენი ფული დაგჭირდებათ. ოპერაციაზე არა, მაგრამ საავადმყოფოში დაწოლისათვის აუცილებლად.

ექიმი ქრისტინას მიუბრუნდა.

— ფული თუ გაქვთ?

— არც ერთი ფრანკი.

ექიმმა ამოიოხრა.

— ჩვეულებრივი ამბავია.

— რამდენი დასჭირდება, ექიმო? — იკითხა ვინსენტმა.

— დაახლოებით ორმოცდაათი ფრანკი.

— ოპერაცია რომ არ გაკეთდეს?

— მაშინ გადარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ვინსენტი წუთით ჩაფიქრდა. ძია კორმა რომ თორმეტი პეიზაჟი დაუკვეთა, უკვე თითქმის მზადაა. ესეც ოცდაათი ფრანკი დანარჩენ ოც ფრანკს კი იმ ფულიდან აიღებს, თეო რომ გამოუგზავნის, აპრილში.

— ფულს მე ვიშოვნი, ექიმო.

— კარგი. შაბათს მოიყვანეთ დილით და მე თვითონ გავუკეთებ ოპერაციას. ახლა ერთი რამ — მე არ ვიცი რა ურთიერთობაა თქვენს შორის და არც მაინტერესებს. ეს ექიმის საქმე არ არის. მაგრამ ვალდებული ვარ გითხრათ, რომ ეს პატარა ქალბატონი თუ ისევ ქუჩაში გავა, ექვს თვეში სიცოცხლეს დაემშვიდობოს.

— სიტყვას გაძლევთ, არასოდეს აღარ მივცემ უფლებას ძველ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

— კეთილი. აბა, შაბათს დილით გნახავთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ტერსტეგმა მოაკითხა.

— ვხედავ, შენ ისევ ძველებურად საქმიანობ.

— დიახ, ვხატავ.

— ფოსტით შენი ვალი მივიღე, ათი ფრანკი. მოსულიყავი მაინც, მადლობა გეთქვა.

— შორი გზაა, მინჰერ, თანაც ცუდი ამინდი იყო.

— ფული რომ დაგჭირდა, მაშინ არ გეშორა!

ვინსენტს ხმა არ გაუცია.

— ეს უზრდელობაა, ვინსენტ. შენ ამით ბევრს წააგებ. აი, რატომაა რომ მე შენი არ მჯერა და არ შემიძლია შევიძინო შენი სურათები.

ვინსენტი მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და საბრძოლველად გაემზადა.

— მე ვფიქრობდი, რომ თქვენს მიერ ჩემი ნახატების შეძენა დამოკიდებული არ იყო ჩვენს ურთიერთობაზე. მეგონა, იგი მხოლოდ ნახატის ხარისხიდან გამომდინარეობდა. არ ვარგა განსჯა სუბიექტური ანტიპათიის მიხედვით.

— რასაკვირველია, არა. აი შენ რომ მოგეხერხებინა და დაგეხატა ისეთი რამ, რისი გაყიდვაც შესაძლებელია, მე სიამოვნებით გამოვფენდი მას პლაატზე.

— მინჰერ ტერსტეგ, ნაღვაწი, რასაც ადამიანი ძალ-ღონეს შეალევს და რაშიც ჩააქსოვს მთელ თავის გრძნობას, არც მიმზიდველია და არც გასაყიდად ვარგისი. მე სულაც არ ვფიქრობ ჩემი ნახატებით ვინმეს ვასიამოვნო, ალბათ ასე სჯობს.

ტერსტეგი ჩამოჯდა, პალტოშეკრული. არც ხელთათმანი წაუძვრია. ორივე ხელით თავის ხელჯოხზე დაეყრდნო.

— იცი, ვინსენტ, ხანდახან ასე მგონია, შენ გირჩევნია კიდეც არაფერი გაყიდო. სიამოვნებით იცხოვრებ სხვის ხარჯზე.

— მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ნახატი გაიყიდება, მაგრამ ახლა გაცილებით — უფრო ბედნიერი ვარ, რადგან ისეთმა ხელოვანმა, როგორიც ვეისენბრუჰია, იმ ნახატებზე, თქვენ რომ გასაყიდად უვარგისი გეჩვენებათ, მითხრა, ეს ჭეშმარიტად კარგია და მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ ჩანახატებზეო. თუმცა, ფული ძალიან მჭირდება, მით უმეტეს ახლა, მაგრამ ჩემთვის მთავარია რაიმე სერიოზული შევქმნა.

— ეს შეიძლება ისეთმა მდიდარმა კაცმა თქვას, როგორიც დე ბოკია. შენ კი ეგ სულაც არ შეგფერის.

— მხატვრობას თავისი კანონები აქვს, ძვირფასო მინჰერ, და მას მხატვრის შემოსავალთან არაფერი ესაქმება.

ტერსტეგმა ხელჯოხი მუხლებზე დაიდო და სკამის ზურგს მიეყრდნო.

— შენი მშობლების წერილი მივიღე, ვინსენტ. მთხოვეს, რითაც შეგიძლია, დაეხმარეო. კეთილი და პატიოსანი. რადგან მე სრულიად შეგნებულად არ შემიძლია შენი სურათები ვიყიდო, ერთ პრაქტიკულ რჩევას მაინც მოგცემ. თავს რატომ იღუპავ, რას გამოხვეულხარ ამ ძონძებში? იყიდე ახალი ტანსაცმელი და შეეცადე ცოტა გაკოხტავდე. ნუ გავიწყდება, რომ ვან გოგი ხარ. აგრეთვე, უნდა ეცადო დაუახლოვდე ჰააგის ღირსეულ მკვიდრთ და არა მუშებსა და ფსკერის ადამიანებს. რატომ გიზიდავს ყველაფერი სამარცხვინო და საზიზღარი. შენ შენიშნული ხარ საეჭვო ადგილებში, საეჭვო ხალხთან. როგორ ფიქრობ, მიაღწევ ამ გზით წარმატებას?

ვინსენტი მაგიდიდან ჩამოვიდა და თავზე დაადგა ტერსტეგს.

თუკი ოდესმე შესძლებდა ამ კაცთან მეგობრობის აღდგენას, ეს ახლავე უნდა მომხდარიყო, აქვე. შეეცადა რაიმე თბილი და სასიამოვნო ეთქვა.

— სიკეთეს იჩენთ, მინჰერ, გინდათ დამეხმაროთ. მე სრულიად გულახდილად, გულწრფელად გიპასუხებთ. აბა, როგორ შემიძლია ხეირიანად მეცვას, როცა არცერთი ფრანკი არ მაბადია და არც არავითარი შემოსავალი არა მაქვს? რა თქმა უნდა, ნავსადგურებში, ბაღებში, ბაზრებში, მოსაცდელ დარბაზებსა და სამიკიტნოებში ხეტიალი არავისათვის სასიამოვნო დროსტარება არ არის, გარდა მხატვრისა! მხატვარი ყველაზე ბინძურ ადგილებს უნდა ეტანებოდეს. მხოლოდ იქ შეიძლება მონახოს ის, რისი დახატვაც ნამდვილად ღირს. მომხიბვლელ მანდილოსანთა შორის ჩაის მირთმევა არ გამოადგება. სიუჟეტის ძებნა, მუშებს შორის ცხოვრება და ნატურის ადგილზე, იქვე ჩახატვა, ძალიან ძნელი და ხანდახან ჭუჭყიანი სამუშაოა. კომერსანტის ქცევები და ტანსაცმელი ჩემი საქმე არ არის და საერთოდ არც არავისი, ვისაც მშვენიერ მანდილოსნებთან და სქელჯიბა ბატონებთან საუბარი არ სჭირდება, რომ რაიმე ძვირიანი მიჰყიდოს მათ და ფული მიიღოს.

მიწისმთხრელების ხატვა გეესტში — აი, რა მინდა მე, და რას ვაკეთებდი მთელი დღევანდელი დღე. ჩემი უშნო სახე და დაფლეთილი პალტო ზედგამოჭრილად შეეფერება იქაურობას. მეც მე ვარ და სიამოვნებითაც ვმუშაობ. როცა გამოწყობილი ვხატავ, მუშები გამირბიან, ეშინიათ ჩემი, არ მენდობიან. ჩემმა ნახატებმა უნდა უჩვენოს ხალხს, თუ რა იმსახურებს ყურადღებას. ეს ყველამ არ იცის. თუკი ხანდახან იძულებული ვარ ზრდილობას გადავუხვიო, განა მე გამართლება არა მაქვს? განა თავის დამცირებაა იმ ადამიანთა შორის ცხოვრება, ვისაც ხატავ? დამცირებაა მიხვიდე მუშებთან და ღარიბ-ღატაკებთან ქოხებში, ან მოიყვანო ისინი სახელოსნოში? ვგონებ, ჩემი პროფესია მაძლევს ამის უფლებას. თქვენ ამას ეძახით თავის დაღუპვას?

— ჯიუტი ხარ, ვინსენტ. უფროსის დარიგების არა გესმის რა. შენ უკვე დამარცხდი და კვლავაც, დამარცხება გელის. ასე იქნება სულ მუდამ.

— აი ეს ხელი ხელოვანის ხელია, მინჰერ, და რამდენიც არ უნდა მირჩიოთ, მე ჩემს მარჯვენას ვეღარ შევაჩერებ. მკითხეთ ერთი, იმ დღიდან, რაც მე ხატვა დავიწყე, ოღნავ მაინც თუ შევყოყმანებულვარ ან დავეჭვებულვარ, ან დამიხევია უკან?

თქვენც, ხომ მშვენივრად იცით, რომ მას მერე მე სულ წინ მივიწევ და თანდათანობით ძალას ვიკრებ ბრძოლაში.

— შეიძლება, მაგრამ ამ ბრძოლაში დამარცხებაა შენი ხვედრი.

ტერსტეგი წამოდგა, ხელთათმანი მაჯაზე შეიკრა და აბრეშუმის ცილინდრი დაიხურა.

— მე და მაუვე ვიზრუნებთ იმაზე, რომ აღარ მიიღო თეოს დახმარება. ეს ერთადერთი გზაა შენი გონზე მოყვანისა.

ვინსენტს გული ჩასწყდა. ახლა თეოც თუ გადაიბირეს, წასულია მისი საქმე.

— ღმერთო ჩემო, — იღრიალა უცებ, — რატომ მიკეთებთ ამას? რა დაგიშავეთ, რატომ გინდათ ჩემი განადგურება? პატიოსანი კაცი სხვას არ მოკლავს იმის გულისათვის, რატომ ჩემსავით არ აზროვნებო! ნუთუ არ შემიძლია ჩემი გზით ვიარო? გეფიცებით, აღარასოდეს შეგაწუხებთ. ერთადერთი სულიერი, ვინც ამ ქვეყნად დამრჩა, ჩემი ძმაა. რა უფლებით მართმევთ მასაც?

— ისევ შენთვის, ვინსენტ, — უთხრა ტერსტეგმა და წავიდა.

ვინსენტმა საფულეს ხელი დაავლო და ქალაქში გავარდა, იქნებ თაბაშირის ფეხი ვიყიდო სადმეო. მაუვესთან მისულს კარი იეტმა გაუღო. გაუკვირდა ვინსენტის დანახვა.

— ანტონი სახლში არ არის, — უთხრა იეტმა, — იცი, შენზე საშინლად გულმოსულია. ისიც კი სთქვა, თვალით არ დამენახოსო. ვინსენტ, რა ცუდია რომ ასე მოხდა.

ვინსენტმა თაბაშირის ფეხი შეაჩეჩა ხელში.

— თუ შეიძლება, ეს ანტონს გადაეცი, უთხარი, ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რაც მოხდა.

გატრიალდა და, ის იყო, კიბეზე უნდა ჩასულიყო, რომ იეტის ხელი იგრძნო მხარზე.

— სხევენინგენის სურათი მზადაა. ხომ არ ნახავდი?

ხმაამოუღებლად იდგა ნახატის წინ. უზარმაზარ ტილოზე მეთევზეთა კარჭაპს ცხენები მიათრევდნენ ნაპირიდან. ვინსენტმა იგრძნო, რომ ნამდვილ შედევრს უცქეროდა. ჯუჯა ცხენები, საცოდავი, მოუვლელი ჯუჯა ცხენები, შავი, თეთრი და წაბლა, მორჩილად გაქვავებულიყვნენ სურათზე. ამტანნი, თვინიერნი, დამყოლნი და წყნარნი. აი ცოტა კიდევ და მძიმე კარჭაპი ადგილზე იქნება. სულ ცოტაღა დარჩა. ცხენები ქშინავენ, ოფლში იწურებიან, მაგრამ წინააღმდეგობას არც ფიქრობენ. ისინი უკვე შეეგუენ თავიანთ ხვედრს დიდი, დიდი ხნის წინათ. ისინი უარს არ იტყვიან ასე რომ გაგრძელდეს მათი ცხოვრება, მაგრამ თუ ხვალ გასატყავებლად წაიყვანენ, რა გაეწყობა, ამისათვისაც მზად არიან.

ვინსენტმა ღრმა, ცხოვრებისეული ფილოსოფია ამოიკითხა ამ სურათში „Savoir souffrir sans se plaindre, ça c'est la seule chose pratique, c'est la grande science, la leçon à apprendre, la solution du problème de la vie“ (*უსიტყვოდ აიტანო ტანჯვა — აი რა არის მთავარი, ეს დიდი ხელოვნებაა, ეს ის გაკვეთილია, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლო. ეს ის გზაა, რომლითაც ცხოვრების საკითხი წყდება — ფრ.).

ვინსენტი მაუვესაგან განახლებული წამოვიდა. გულში ეცინებოდა, კაცმა, რომელმაც ყველაზე საშინელი დარტყმა აგემა, თვითონვე ასწავლა, როგორ აეტანა ეს დარტყმა მორჩილად.

8.

ქრისტინას ოპერაციამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ახლა ფულის გადახდა იყო საჭირო. ვინსენტმა თორმეტი აკვარელი გაუგზავნა ძია კორს და დაპირებულ ოცდაათ ფრანკს ელოდა.

ლოდინი დიდხანს დასჭირდა. ძია კორს როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გამოგზავნიდა ფულს. ამ ექიმს კი ქრისტინა უნდა მოემშობიარებინა კიდეც და მასთან ურთიერთობის წახდენა არ ივარგებდა. ვინსენტმა თავისი დარჩენილი ოცი ფრანკი რომ გაგზავნა, თვის დამდეგამდე კიდევ კარგა ბევრი დრო იყო. ისევ განმეორდა ძველი ამბავი. ჯერ შავი პური და ყავა, შემდეგ მხოლოდ შავი პური, შემდეგ მარტო წყალი, და ბოლოს ციება, სიცხე და ბოდვა. ქრისტინა თავის სახლში ჭამდა. არაფერი რჩებოდათ, რომ ვინსენტისათვის მოეტანა. როცა ყოველგვარი სახსარი ამოიწურა, ვინსენტი იძულებული შეიქნა ლოგინიდან წამომდგარიყო. სიცხით გათანგული ვეისენბრუჰის სახელოსნოსაკენ წალასლასდა.

ვეისენბრუჰს ფული თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ მომჭირნე გახლდათ. მისი სახელოსნო მეოთხე სართულზე იყო.

ჩრდილოეთ მხარეს ჭერი მინისა ჰქონდა. ოთახში ზედმეტს ვერაფერს ნახავდით. აქ არც წიგნები იპყრობდა ყურადღებას, არც ჟურნალები, არც დივანი და მოხერხებული სავარძელი. კედლებზე არც ერთი სურათი არ ეკიდა. არც ფანჯარა იყო, რომ გარეთ გაგეხედათ. — იყო მხოლოდ მისთვის საჭირო იარაღები. ზედმეტი სკამიც კი არ იდგა, რომ სტუმრისათვის შეეთავაზებინა და მისულნი იძულებულნი ხდებოდნენ ჩქარა დაეტოვებინათ იქაურობა.

— ოჰ, ეს შენა ხარ? — წაიბუზღუნა ვეისენბრუჰმა და ფუნჯის ხელიდან გაშვება არც უფიქრია. თვითონ ისე წამოადგებოდა მუშაობისას სხვას თავზე, თითქოს აქ არაფერიაო, ხოლო თუ მას მოაკითხავდა ვინმე, ისე დახვდებოდა, ხაფანგში გაბმული ლომი მასთან მონაგონი იყო.

ვინსენტმა თავისი გასაჭირი უამბო, აი ამისათვის მოვედიო.

— არა, ჩემო კარგო, — წამოიძახა ვეისენბრუჰმა, — ჩემი იმედი ტყუილად ნუ გაქვს, აქ ერთ სენტიმსაც ვერ მიიღებ.

— რატომ, ფული არა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, მაქვს! ხომ არ გგონია შენისთანა უმწიფარა ვარ, და ვერაფერს ვყიდი! ბანკში ამ წუთას იმდენი ფული მაქვს, სამი სიცოცხლე რომ მომცა მაინც მეყოფა.

— აბა რატომ არ შეგიძლიათ ოცდახუთი ფრანკი მასესხოთ? არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე! ხმელი პურის ნამცეციც არა მაქვს სახლში.

ვეისენბრუჰმა აღტაცებით მოისრისა ხელები.

— მშვენიერია! მშვენიერია! ეს შენთვის აუცილებელია!

შეგერგება კიდეც! ჯერ კიდევ შეიძლება შენგან მხატვარი დადგეს.

ვინსენტი შიშველ კედელს მიეყრდნო. ფეხებზე დგომა უჭირდა.

— შიმშილობაში რა მშვენიერებას ხედავთ, საინტერესოა?

— ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებ, ვან გოგ. ამით შენ გაიგებ რა არის ტანჯვა.

— რატომ გინდათ მაინცადამაინც დატანჯულს მიცქიროთ?

ვეისენბრუჰი თავის ერთადერთ სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და წითელ საღებავში ამოვლებული ფუნჯი ვინსენტს მიაშვირა.

— იმიტომ, რომ ტანჯვა შენ ხელოვანად გაქცევს. რაც მეტს დაიტანჯები, მით მეტ სიდიადეს შეიძენ. ამგვარად მხოლოდ ბუმბერაზი მხატვრები იქმნებიან. დამიჯერე, ვან გოგ, სავსე მუცელს ცარიელი სჯობს. და გატეხილი გული გაცილებით უკეთესია, ვიდრე ბედნიერება. გახსოვდეს ეს!

— სისულელეს ჩმახავთ, ვეისენბრუჰ, თქვენც კარგად იცით.

ვეისენბრუჰმა ფუნჯი დაუტრიალა ცხვირწინ.

— ვისაც ტანჯვა არ უნახავს, ვან გოგ, მას დასახატიც არაფერი აქვს, ბედნიერება სისულელეა. იგი ძროხების და კომერსანტების საქმეა. ხელოვანს ტანჯვა აყალიბებს. თუ გშია, გიჭირს და სასოწარკვეთილი ხარ, მადლობა თქვი! ღმერთს მადლიანი თვალით შემოუხედავს შენთვის!

— სიღარიბე ანადგურებს ადამიანს.

— დიახ! ანადგურებს სუსტებს, მაგრამ არა ძლიერთ! თუ შენ სიღარიბე გაგანადგურებს, უღირსი ყოფილხარ. ეგ ყოფილა შენი ხვედრი.

— და თქვენ თითსაც არ გაანძრევთ რომ მომეშველოთ?

— არავითარ შემთხვევაში, თუნდაც ვიცოდე, რომ უდიდესი მხატვარი ხარ. თუ შიმშილი და ტკივილი კაცს მოკლავს, ის მართლა არ ყოფილა სიცოცხლის ღირსი. ნამდვილ ხელოვანს კი ვერც ღმერთი და ვერც სატანა ვერ დასძლევს მანამ, სანამ თავის სათქმელს ბოლომდე არ იტყვის.

— კი მაგრამ, მე ხომ უკვე რამდენი წელია ვშიმშილობ, ვეისენბრუჰ; მივლია წვიმაში, თოვლში, ნახევრადშიშველს, უსახლკაროს, მშიერ-მწყურვალს, ავადმყოფს და ყველასაგან მოძულებულს. მე მეტს ვეღარაფერს ვისწავლი.

— შენ ჯერ მხოლოდ ზერელედ გიგრძვნია ტანჯვა. მთავარი ახლა იწყება. დამიჯერე, ტკივილი ერთადერთი რამაა, რასაც ამქვეყნად არასოდეს ექნება დასასრული. ახლავე სახლისაკენ გასწი და ფანქარი აიღე ხელში. რაც უფრო მოგშივდება, რაც უფრო გაგიჭირდება, მით უკეთ დახატავ.

— მით უფრო მალე დამიწუნებენ ნახატებს.

ვეისენბრუჰმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა თქმა უნდა, დაგიწუნებენ! სწორიც იქნება. მით უკეთესი შენთვის. კიდევ უფრო უბედურად იგრძნობ თავს და შემდეგი ტილო პირველს გაცილებით აჯობებს. თუ ამგვარად იწვალებ და იშიმშილებ, ხოლო შენს სურათებს წლების განმავლობაში არავინ მოიწონებს და აძაგებენ კიდეც, მაშინ შეძლებ შექმნა — მე ვამბობ შეძლებ-მეთქი შექმნა და არა შექმნი-თქო, რომელიც თამამად შეიძლება დაიკიდოს ისეთი მხატვრების ტილოებთან ერთად, როგორიცაა იან სტენი ან...

— ... ან ვეისენბრუჰი.

— სწორია. ან ვეისენბრუჰი. მე რომ ახლა ფული მოგცე. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვდავების ყოველგვარი საშუალება მოგისპო.

— ჯანდაბას უკვდავება! მე ახლა, აქვე მინდა ვხატო. ცარიელი კუჭით კი არაფერი გამოვა.

— სისულელეა, ყმაწვილო! ყველაფერი, რასაც დღეს ფასი აქვს, ცარიელი კუჭით არის დახატული. სავსე შიგნეული მარტო ხელის შემშლელია და სხვა არაფერი.

— რაღაც არ გამიგია, რომ თქვენ ამდენი გეშიმშილოთ.

— მე შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი მაქვს. ტკივილი გამოუცდელად შემიძლია წარმოვიდგინო.

— უსინდისოდ სტყუით!

— სულაც არა. მე რომ დე ბოკივით საშინლად ვხატავდე, მთელს ჩემს ქონებას გავანიავებდი და უკანასკნელი მათხოვარივით ვიცხოვრებდი. მაგრამ მე შემიძლია ცხადად გადმოვცე სრულყოფილი ტანჯვა ისე, რომ არავითარი რეალური ტანჯვა არ დამჭირდეს. აი რატომა ვარ ასეთი დიდი მხატვარი.

— აი რატომა ხართ ასეთი დიდი მკვეხარა. გამიგონეთ, ვეისენბრუჰ, იწამეთ ღმერთი და მასესხეთ ოცდახუთი ფრანკი.

— ოცდახუთ სანტიმსაც არ მოგცემ. ნამდვილად გეუბნები.

მე შენზე მეტისმეტად კარგი შეხედულება მაქვს და არ მინდა ჩემი ოცდახუთი ფრანკით წაგახდინო. შენ მალე ბრწყინვალე სურათი უნდა შექმნა, ვინსენტ. გახსოვდეს, შენი ბედი შენს ხელთაა. თაბაშირის ფეხმა დამარწმუნა ამაში, ნაგვის ვედროში ნამსხვრევებად ქცეული რომ ვნახე. აბა, ახლა გაიქეცი და უფასო სასადილოს ერთი თეფში სუპი იკმარე.

ვინსენტი წუთით მიაშტერდა ვეისენბრუჰს, შემდეგ გატრიალდა და კარი გამოაღო.

— მოიცა! — დაუძახა ვეისენბრუჰმა.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, ლაჩარი ვარ და გნებდებიო? — ცივად იკითხა ვინსენტმა.

— გამიგონე, ვან გოგ, ძუნწი ხომ არ გგონივარ, ეს პრინციპის საქმეა. შენ რომ სულელად მიმაჩნდე, მოგცემდი მაგ ოცდახუთ ფრანკს და მოგიცილებდი კიდეც თავიდან. მე შენ პატივს გცემ და ჩემს ტოლ ხელოვნად მიმაჩნიხარ. მინდა ისეთი რამ მოგცე, რასაც ფულით ვერასოდეს იყიდი და ამას მე მთელს ჰააგაში არავის მივცემდი, მაუვეს გარდა. ერთი აქ მოდი და ფარდა მისწი. კარგია. ახლა ამ ეტიუდს შეხედე. აი როგორ დავყავი და გავანაწილე, რაც ტილოზე უნდა აისახოს. ღვთის გულისათვის, მითხარი, როგორ მოგწონს, როცა სინათლიდან უყურებ.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვინსენტი ფრთაშესხმული გამოვიდა ვეისენბრუჰის სახელოსნოდან. ამ მოკლე ხანში იმდენი რამ ისწავლა და გაიგო, რასაც მთელი წელი ვერ ისწავლიდა სამხატვრო სკოლაში. გვიანღა, მხოლოდ გზაში გაახსენდა, რომ შია, აურუოლებს, ავადაა და ჯიბეში ერთი სანტიმიც არ უგდია.

9.

რამდენიმე დღის შემდეგ, სეირნობისას მაუვეს შეეჩეხა.

ვინსენტს მაინც იმედი ჰქონდა, რომ შეირიგებდა თავის მასწავლებელს, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

— მაუვე, მინდა ბოდიში მოვიხადო იმისათვის, რაც თქვენთან ჩავიდინე. ძალიან სულელურად მოვიქეცი. შეგიძლიათ ყველაფერი დაივიწყოთ და მაპატიოთ? იქნებ ჩემთან წამოსულიყავით, ჩემს ნახატებს გიჩვენებდით და ვილაპარაკებდით ცოტას.

მაუვემ გადაჭრით იუარა.

— მე შენთან აღარ მოვალ, მორჩა და გათავდა.

— ნუთუ ყოველგვარი იმედი დაკარგეთ ჩემი?

— დიახ. შენ აუტანელი ხასიათი გაქვს.

— მითხარით, რა მაქვს აუტანელი და ვეცდები გამოვასწორო.

— აღარ მაინტერესებს, რას გააკეთებ შენ.

— მე მხოლოდ ვჭამდი, მეძინა და ვმუშაობდი, როგორც ხელოვანი. მეტი არაფერი მიკეთებია, რომელია აქ აუტანელი?

— როგორ, შენ ხელოვანი გგონია თავი?!

— დიახ.

— რა სისულელეა! შენ ხომ ერთი სურათიც არ გაგიყიდია.

— განა ხელოვანი მაშინა ხარ, თუ რაიმეს ჰყიდი? მე კი მეგონა, ხელოვანი ის ადამიანია, რომელიც ეძებს და ვერასოდეს პოულობს. მე მეგონა ეს სულ სხვაა, ვიდრე „მე ვიცი, მე ვიპოვნე“. როდესაც ვამბობ, რომ ხელოვანი ვარ, მე მხოლოდ ვგულისხმობ „ვეძებ, ვიღწვი“ და ამაში მთელ სულსა და გულს ვაყოლებ.

— და მაინც შენ აუტანელი ხასიათი გაქვს.

— ცხადია, თქვენ რაღაც გგონიათ. ალბათ ფიქრობთ, „ვინსენტი რაღაცას მიმალავს, რაღაც საშინელს“, განა ასე არ არის, მაუვე? გულწრფელად მითხარით.

მაუვე უსიტყვოდ მიუბრუნდა თავის მოლბერტს და ხატვა განაგრძო. ვინსენტი გატრიალდა და ნელა გაუყვა სილიან გზას.

ვინსენტი არ შემცდარა. მართლაც მოხდა რაღაც. ჰაგამ შეიტყო მისი ურთიერთობა ქრისტინასთან.

ვინსენტს დე ბოკმა ამცნო ეს ამბავი. დე ბოკი სახეგაბადრული შემოვიდა სახელოსნოში. პაწაწა ტუჩები ეშმაკურ ღიმილს ვერ მალავდნენ. ქრისტინა იქ იყო და დე ბოკმა ინგლისურად უთხრა:

— აბა, აბა, ვან გოგ, — თავისი მძიმე შავი პალტო გაიხადა და გრძელ სიგარეტს მოუკიდა. — მთელი ქალაქი შენს საყვარელზე ლაპარაკობს. ვეისენბრუჰმაც მითხრა, მაუვეებმაც, ტერსტეგმაც. მთელი ჰაგა ამბოხებულია.

— აი, თურმე რა ყოფილა!

— სიფრთხილე გმართებს, იცოდე. ვინ არის? რომელიმე მენატურეა? მე თითქმის ყველა ვიცი!

ვინსენტმა ქრისტინას შეხედა. ქალი ღუმელთან იჯდა და ქსოვდა. რაღაც ოჯახური სითბო იყო მასში, ისე მყუდროდ უჯდა ღუმელს წინსაფარაფარებული, მხრებზე შალმოგდებული. პაწია პერანგს, ხელში რომ ეჭირა, თვალს არ აცილებდა. დე ბოკმა სიგარეტი ხელიდან გააგდო და ფეხზე წამოხტა.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — ნუთუ ეს არის თქვენი საყვარელი?

— მე არავითარი საყვარელი არა მყავს, დე ბოკ, მაგრამ, ვგრძნობ, სწორედ ამ ქალზეა ლაპარაკი.

დე ბოკმა შუბლი მოისრისა, თითქოს ოფლს იწმენდსო და ქრისტინას მიაჩერდა.

— როგორ შეგიძლია ამ ქალთან დაწოლა?

— რატომ?

— ეს ხომ ნამდვილი კუდიანი ბებრუხანაა, ჩემო კარგო!

კუდიანი ბებრუხანა და მეტი არაფერი! რას ფიქრობ! მეც არ გამიკვირდა, ტერსტეგი რამ გადარია-მეთქი. თუ საყვარელი გინდა, რატომ რომელიმე კოხტა, პაწია მენატურეს არ აიყვან?

მე შენ გეტყვი, ცოტაა ქალაქში.

— მე უკვე გითხარით, დე ბოკ. ეს ქალი ჩემი საყვარელი არ არის.

— აბა ვინ.

— ეს ჩემი ცოლია.

დე ბოკს ცივად შეაშრა ღიმილი სახეზე.

— შენი ცოლი?

— დიახ! მე მას შევირთავ!

— ღმერთო ჩემო.

შეძრწუნებულმა დე ბოკმა ზიზღით სავსე მზერა ესროლა ქრისტინას და ისე გავარდა, პალტო არც ჩაუცვამს ტანზე.

— რას ლაპარაკობდით ჩემზე? — შეეკითხა ქრისტინა.

ვინსენტი მიუახლოვდა და წუთით შეყოვნდა.

— დე ბოკს ვუთხარი, რომ ჩემი ცოლი გახდები.

ქრისტინა კარგა ხანს დუმდა, თან გაფაციცებით კერავდა. პირი ოდნავ გაღებოდა, ენას გველივით სწრაფად ამოძრავებდა და გამშრალ ტუჩებს ისველებდა.

— მართლა შემირთავ, ვინსენტ? რატომ?

— რომ არ შეგირთო, მაშინ უმჯობესი იქნებოდა, სულაც დამენებებინა შენთვის თავი. მე მინდა შენთან ოჯახური სითბოს და მწუხარების გზა გამოვიარო რომ რასაც ვიგრძნობ, ტილოზე გადავიტანო. მე ერთხელ მიყვარდა ერთი ქალი, ქრისტინა. როცა მე მასთან მივედი, ასე მითხრეს, ეზიზღებიო. მე კი ის გულწრფელად მიყვარდა, ქრისტინა, ძალიან მიყვარდა. იქიდან წამოვედი და მივხვდი, რომ ჩემი სიყვარული სამუდამოდ დასამარდა. მაგრამ სიკვდილის შემდეგ შეიძლება აღდგომა მოხდეს და ეს აღდგომა — შენა ხარ!

— მაგრამ შენ ხომ არ შეგიძლია შემირთო? ბავშვებს რა ვუყოთ? შეიძლება შენმა ძმამ ფულიც შეგიწყვიტოს.

— მე პატივს ვცემ ყველა ქალს, რომელიც დედა გახდა. ეს პაწია და ჰერმანი ჩვენთან იცხოვრებენ, დანარჩენები კი დედაშენთან იყვნენ. რაც შეეხება თეოს... ჰო... შეიძლება თავიც წამაძროს მაგრამ როცა მე მივწერ, როგორ მოხდა, ის აუცილებლად გამიგებს.

ვინსენტი ქალის ფეხებთან ჩამოჯდა. ქრისტინა ახლა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე პირველად რომ ნახა. განახლებულ ცხოვრებას ბედნიერების ნაპერწკალი გაეჩინა მის სევდიან, თაფლისფერ თვალებში. ეს განახლება მთელ მის არსებას დასტყობოდა, მართალია მისი მენატურედ გამოყენების საქმე ვერ გაუმჯობესდა, მაგრამ ძალიან მუშა და მომთმენი კი გამოდგა. თავდაპირველად ქრისტინა მეტისმეტად გაუთლელი, ავადმყოფი და საცოდავი ჩანდა. ახლა ერთიანად დამშვიდდა.

ახალმა ცხოვრებამ ძალღონე შეჰმატა. ვინსენტი ჩაცუცქული შესცქეროდა მის უხეშ სახეს, რომელსაც ძლივს შესამჩნევი სინაზე ეტყობოდა და გულში ისევ მიშლეს სიტყვები აგონდებოდა: „როგორ მოხდა, რომ ამქვეყნად ცხოვრობს ასეთი მარტოხელა, სასოწარკვეთილი ქალი.“

— სიენ, ჩვენ ვეცდებით ძალიან მომჭირნედ ვიცხოვროთ და, რაც შეიძლება, დავზოგოთ ფული, ხომ? იქნება ისეთი დროც დადგეს, რომ მე შემოსავალი სულ გამიქრეს. მე შენ ყველაფრით დაგეხმარები, ვიდრე ლეიდენში წაგიყვანდე, მაგრამ რომ დაბრუნდები, აღარ ვიცი, როგორ დაგხვდები, იქნებ ნამცეცი პურიც არ გამაჩნდეს. რა გიყოთ მაშინ შენ და ბავშვს?

ქრისტინა სკამიდან ჩამოცურდა, ვინსენტის გვერდით იატაკზე მოკალათდა, მკლავები მოხვია და თავი მის მხარს მიაყრდნო.

— ოღონდ ნება მომეცი შენთან ვიყო, ვინსენტ. მე ბევრს არ მოვითხოვ. ჰურისა და ყავის მეტი რომ არაფერი იყოს, მე მაინც კმაყოფილი ვიქნები. მიყვარხარ, ვინსენტ. შენ პირველი მამაკაცი ხარ, ასე კეთილად რომ მომეპყარი. თუ არ გინდა, ჩემი შერთვა საჭირო არ არის. მე გინდა მხატე, გინდა მამუშავე, რაც გინდა გამაკეთებინე, ოღონდ ნება, მომეცი შენთან ვიყო! პირველად ახლა ვიგრძენი, რა ყოფილა ბედნიერება, ვინსენტ! მე არაფერი არ მინდა. გავიზიარებ, რაც გაბადია და ბედს არ დავემდურები.

ვინსენტმა იგრძნო, როგორ შეიძრა ქალის მუცელში პაწია, თბილი არსება. ნაზად შეახო ხელი ქალის ულამაზო სახეს, დაუკოცნა ნაყვავილარი. თმა გაუშალა, სიყვარულით გაუსწორა თხელი, ბეჭებზე დაყრილი თმა. ქრისტინამ გახურებული. ბედნიერებით სავსე სახე მისას შეახო და წყნარად გაუხახუნა გაბურძგნულ წვერს.

— ხომ გიყვარვარ, ქრისტინა?

— ჰო, ვინსენტ.

— რა კარგია, როცა ვინმეს უყვარხარ, სხვამ რაც უნდა ისა თქვას.

— სხვას ჯანდაბამდის გზა ჰქონია, — უბრალოდ თქვა ქრისტინამ.

— მე მუშასავით ვიცხოვრებ. ჩემთვის ზედგამოჭრილი იქნება. მთავარია, ერთმანეთისა გვესმოდეს. სხვები რას იტყვიან ამას მნიშვნელობა არა აქვს. თავის მოკატუნება საჭირო არ არის, აქაოდა მაღალ წრეს ვეკუთვნიო. ჩემიანებმა დიდი ხანია გამრიყეს. მე დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი ხმელ პერზე, ჩემს საკუთარ ქოხში, რაც არ უნდა ღარიბული იყოს იგი, ვიდრე უარს ვიტყოდი შენს შერთვაზე.

იატაკზე ისხდნენ, ღუმელის სიმხურვალისაგან გავარვარებულნი. ერთმანეთს ჩახვეულნი. ეს იდილია ფოსტალიონმა დაარღვია. მან წერილი გადასცა ვინსენტს, ამსტერდამიდან.

„ვინსენტ, ეს-ეს არის გავიგე შენი უღირსი ქცევა, გთხოვ, დაივიწყო ჩემი დაკვეთა იმ ექვს ნახატზე. შენი საქმიანობა აღარ შეესაბამება ჩემი ინტერესების სფეროს.

კ. მ. ვან გოგი“.

ახლა თეოღა იყო ვინსენტის იმედი. იქნებ მანაც ხელი ჰკრას და ის ასი ფრანკი აღარ გამოუგზავნოს, ვიდრე ვინსენტი მოახერხებს და აუხსნის თუ რა დამოკიდებულებაა მასა და ქრისტინას შორის. თავისი მასწავლებლის, მაუვეს დაკარგვას აიტანს ტერსტეგის დაკარგვასაც აიტანს, ისევე როგორც ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრებისას, თუკი ექნება თავისი სამუშაო და ქრისტინა ეყოლება, მაგრამ იმ ასი ფრანკის დაკარგვას კი ვერაფრით ვერ აიტანს!

ვინსენტი გრძელ, ამაღელვებელ წერილს უგზავნიდა ძმას, ყველაფერს უხსნიდა და ევედრებოდა, გამიგე და ნუ მიმატოვებო. ვინსენტს დღენიადაგ რაღაც საშინელის გაურკვეველი შიში დასდევდა უკან. სულ ეშინოდა, იმაზე მეტი არაფერი ვიყიდო, რაც ფული მაქვსო, ან ახალი სურათი როგორ დავიწყო, ან ძველი როგორ დავასრულოო.

თეომ უკმაყოფილება გამოთქვა, თანაც ბევრი რამ უსაყვედურა, მაგრამ არ შეუჩვენებია. რჩევაც შესთავაზა, თუმცა არ უგრძნობინებია, თუ ჩემსას არ გაიგონებ, ფულს აღარ მიიღებო; და, ბოლოსდაბოლოს, თუმცა არ მოსწონდა ვინსენტის ქცევა, მაგრამ აცნობა, დანაპირებ თანხას კვლავინდებურად მიიღებო.

მაისის დამდეგი იყო. ქრისტინა ივნისის თვეში ელოდა პაწიას, ასე უთხრა ლეიდენელმა ექიმმა. ვინსენტმა გადაწყვიტა, უმჯობესი იქნება, თუ ქრისტინა

მშობიარობის შემდეგ გადმოვა ჩემთანო, ამ დროისათვის კი უკვე იმედოვნებდა შენკვეგზე სახლი დაექირავებინა. ქრისტინა ჯერჯერობით ისევ დედასთან იყო, თუმცა მთელ დღეებს ვინსენტთან ატარებდა. როცა ქრისტინა საბოლოოდ გამომჯობინდებოდა, დაქორწინებასაც მაშინ აპირებდნენ.

ვინსენტმა ქრისტინა ლეიდენში ჩაიყვანა. ცხრა საათზე ტკივილები დაიწყო. ბავშვი ორის ნახევარზე დაიბადა, მაშებით გამოათრიეს, თუმცა არაფერი ვნებია. ქრისტინამ ბევრი მწარე ტკივილები გამოიარა, მაგრამ ვინსენტი დაინახა თუ არა, მაშინვე ყველაფერი დაივიწყა.

— მალე ისევ ხატვას შევუდგებით, — უთხრა ქალმა.

ცრემლჩამდგარი თვალებით დასცქეროდა ვინსენტი. მერე რა, რომ სხვისია ბავშვი, ეს ხომ მისი ცოლია, ბავშვიც მისია და ბედნიერებისაგან გული ეკუმშებოდა.

შინ რომ დაბრუნდა, იქ მეზობელი სახლის პატრონი დაუხვდა.

— მეორე ბინის დაქირავებაზე რა გადასწყვიტეთ, მინჰერ გან გოგ? კვირაში მხოლოდ რვა ფრანკის გადახდა მოგიწევთ. მე ყველაფერს შევღებავ და შევაკეთებ. თუ თქვენ შპალერს აარჩევთ, მე თვითონ გაგიკრავთ კიდეც.

— ჯერ არა, — უთხრა ვინსენტმა, — ეგ ბინა მაშინ დამჭირდება, როცა ჩემს ცოლს მოვიყვან შინ. მანამდე კი ძმას უნდა მივწერო ამის თაობაზე.

— კეთილი, შპალერს მაინც გავაკრავ, ასე რომ, აარჩიეთ, რომელიც მოგეწონებათ; თუ ვეღარ იქირავებთ, ამითაც არაფერი დაშავდება.

თეოსთვის მეორე ბინის დაქირავება ახალი ამბავი არ იყო, ვინსენტი რამდენიმე თვეა წერდა ამას. ის სახლი გაცილებით დიდი იყო. სახელოსნოც ჰქონდა, სასადილოც, სამზარეულოც, საკუჭნაოც და სხვენზე პაწია საწოლი ოთახიც. ძველ ბინასთან შედარებით ოთხი ფრანკით ძვირი იყო კვირაში.

ქრისტინას, ჰერმანს და ახალშეძენილ პატარას ძველი სახელოსნო აღარ ეყოფოდათ. თეომ შეატყობინა, ხელფასი მომიმატეს და ამიერიდან თვეში ასორმოცდაათ ფრანკს გამოგიგზავნიო. ვინსენტმა მყისვე იქირავა სახლი. ქრისტინა ერთ კვირაში სახლში იქნებოდა და ვინსენტს უნდოდა მყუდრო და მოხერხებული ბინა დაეხვედრებინა. სახლის პატრონმა ორი კაცი დაახმარა ავეჯის გადმოტანაში. ქრისტინას დედამ კი ახალ ბინაში წესრიგი დაამყარა.

10.

ახალი სახელოსნო მეტისმეტად მყუდრო გამოვიდა. ღია ყავისფერი კედლები, ხის ქათქათა იატაკი, ყველა კედელზე ეტიუდები, ყველა კუთხეში მოლბერტი, და შუაში დიდი, ფიჭვის სამუშაო მაგიდა. ქრისტინას დედამ ფანჯრებზე თეორი ფარდები ჩამოჰკიდა. სახელოსნოს გვერდით საკუჭნაო იყო. აქ ვინსენტს თავისი სახატავი დაფები, ქაღალდები, და ხეზე გაკეთებული გრავიურები ჰქონდა შენახული. კუთხეში პატარა კარადა იყო ბოთლებით, ქილებითა და წიგნებით სავსე. სასადილო ოთახში იდგა მაგიდა, რამდენიმე უზურგო სკამი, ნავთქურა და ქრისტინას უზარმაზარი, მოწნული სავარძელი, ფანჯარასთან კი მწვანე ნაჭერგადაფარებული ბავშვის რკინის საწოლი. საწოლის თავზე რემბრანდტის გრავიურა დაეკიდა ვინსენტს. სურათზე ორი ქალი იყო გამოსახული. ერთი ბავშვს აკვანს ურწევდა, მეორე კი სანთლის შუქზე ბიბლიას კითხულობდა.

ვინსენტმა შეიძინა სამზარეულოს მთელი მოწყობილობა, რომ ქრისტინას საჭმლის კეთება გაიოლებოდა. იყიდა კიდევ ერთი დანა, ჩანგალი, კოვზი და თეფში იმ შემთხვევისათვის, თუკი თეო ესტუმრებოდათ. ზემოთ, სხვენზე განიერი საწოლი დადგა თავისთვის და ცოლისთვის, ხოლო ძველი საწოლი თავისი მოწყობილობით ჰერმანს დაუთმეს. ქრისტინას დედამ და ვინსენტმა მოაგროვეს ბლომად ჩალა, წყალმცენარეები, სელი და ლეიბი გატენეს.

როდესაც ქრისტინა საავადმყოფოდან გამოჰყავდათ, მკურნალი ექიმი, მომვლელი და უფროსი ექთანი გასაცილებლად მოვიდნენ. ვინსენტმა ახლა უფრო ცხადად იგრძნო, რომ ქრისტინას შეიძლება სერიოზულმა ხალხმაც პატივი სცეს და ყურადღება მიაქციოს. „კარგი არაფერი უნახავს“, ფიქრობდა გულში, „აბა, როგორ შეუძლია კარგი იყოს?“

ქრისტინას დედა და ჰერმანი სახლში ელოდებოდნენ მათ, ქრისტინასათვის ყველაფერი მოულოდნელი იყო, ვინსენტს სიტყვაც არ დასცდენია ახალ ბინაზე. ქრისტინა ოთახებში დარბოდა, ნივთებს ხელით ეხებოდა. — ბავშვის საწოლს, სავარძელს, ყვავილების ქოთანს, რომელიც ვინსენტმა ფანჯრის გარეთ გადგა და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

— ის პროფესორი დიდი სასაცილო ვინმეა, — ამბობდა ქრისტინა, — მეუბნება, „გამიგონე, შენ ჯინი და ლუდი თუ გიყვარს? თუ ეწევი?“ „დიახ,“ ვეუბნები, „ისე გკითხე,“ მეუბნება.

„თუ გინდა, თავს ნუ დაანებებ, მაგრამ არც ძმარი, არც მდოგვი და არც წიწაკა შენთვის არ შეიძლება. ხორცი კი კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჭამო“.

შეფიცრული საწოლი ოთახი საოცრად მიაგავდა გემის ტრიუმს. ვინსენტს ყოველღამ უწევდა ბავშვის საწოლის მაღლა ატანა, ხოლო დილით ისევ ქვევით ჩამოჰქონდა. ქრისტინა ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს და ყველაფერს ვინსენტი აკეთებდა. საწოლს ასწორებდა, ცეცხლს ანთებდა, ალაგებდა, ხვეტდა, წმენდდა. ასე ეგონა, ქრისტინასთან და მის ბავშვთან ერთად უკვე დიდი ხანია ვარ და ესენი ჩემი განუყრელი ნაწილებიაო. ქრისტინა თუმცა ჯერ მთლად მომჯობინებული არ იყო, მაგრამ განახლება და გამოცოცხლება მაინც დასტყობოდა.

ვინსენტი გულდამშვიდებული ისევ თავის საქმეს მოეკიდა.

კარგია, როცა შენი ოჯახი გაქვს და გრძნობ მის ფუსფუსსა და სითბოს. ქრისტინამ სიმხნევე და ენერგია შეჰმატა, რაც ძალიან სჭირდებოდა ვინსენტს მუშაობისათვის. აი, ოღონდ თეო არ განუდგეს და ვინსენტი ნამდვილად გამოვა რიგიანი მხატვარი.

ბორინაჟში ღმერთს ემსახურებოდა ვინსენტი. ახლა კი ახალი, ცხადი ღმერთი გაუჩნდა, სარწმუნოება, რომელიც სულ რამდენიმე სიტყვითაც გამოითქმება. მუშის ფიგურა, გადაბრუნებული, დახნული მიწა, სილიანი ნაპირი, ზღვა, ცა. ეს ყველაფერი ძალიან რთული, სერიოზული და ამავე დროს იმდენად მომხიბვლელია, რომ ღირს, ღმერთმანი, მთელი ცხოვრება იმის ცდას მოანდომო, როგორმე მასში ჩაქსოვილი პოეტურობა გამოხატო.

საღამო ხანს, სეირნობიდან დაბრუნებულს, ტერსტეგი შემოხვდა სახლის წინ.

— მიხარია, რომ გხედავ, ვინსენტ, — უთხრა ტერსტეგმა. — ვიფიქრე, მივალ, გავიგებ, როგორ არის-მეთქი.

ვინსენტს შიშით გააცია. იცოდა, რა მოჰყვებოდა ტერსტეგის ზემოთ ასვლას. ცოტა ხანს, ძალა რომ მოეკრიბა, ქუჩაში საუბრით შეაყოვნა იგი. ტერსტეგი მეგობრულად და გულთბილად ექცეოდა. ვინსენტს გული უსკდებოდა.

ოთახში რომ შევიდნენ, თავის მოწნულ სავარძელში მოკალათებული ქრისტინა ბავშვს აძინებდა. ჰერმანი ღუმელთან თამაშობდა. ტერსტეგი დიდხანს, დიდხანს უხმოდ მისჩერებოდა მათ. მერე ინგლისურად იკითხა:

— ეს ქალი და ბავშვი ვინ არიან?

— ქრისტინა ცოლია ჩემი, ეს ჩვენი ბავშვია.

— ნუთუ შენ მართლა დაქორწინდი, ვინსენტ!

— ოფიციალურად ჯერ არა, თუ ეს გაინტერესებთ.

— როგორ შეგიძლია იცხოვრო ქალთან... და ბავშვთან, როცა...

— კაცები საერთოდ ქორწინდებიან ხოლმე, განა ეს ასე არ არის?

— მაგრამ შენ ხომ შემოსავალი არა გაქვს და ძმის კისერზე ზიხარ.

— სულაც არა. თეო მე ხელფასს მაძლევს. ყველაფერი, რასაც მე ვქმნი, თეოს ეკუთვნის. ერთხელაც იქნება იგი მთელ თავის ფულს დაიბრუნებს.

— ხომ არ გაგიჟდი, ვინსენტ? ნორმალური ადამიანი ნამდვილად არ იტყვის ამას.

— ადამიანთა ქცევა ძალიან წააგავს მხატვრობას, მინჰერ.

თუ სურათს ოდნავ სხვა მხრიდან შეხედავ, მაშინვე მთელი პერსპექტივა იცვლება; ესე იგი, ეს დამოკიდებულია არა ობიექტზე, არამედ იმ ადამიანზე, რომელიც უყურებს.

— მე აუცილებლად მივწერ მამაშენს, მივწერ და გავაგებინებ, რა ხდება აქ.

— სასაცილო არ იქნება, მიიღებენ თქვენს აღმაშფოთებელ წერილს და ცოტა ხნის შემდეგ მე ვაცნობებ, რომ ჩემი ხარჯით აქ სტუმრად ვიწვევ?

— როგორ, თვითონ აპირებთ მისწეროთ?

— განა საკითხავია? რა თქმა უნდა. მაგრამ თქვენც დაითანხმებდით რომ ახლა ყველაზე არახელსაყრელი მომენტია. მამაჩემი ახალ მრევლში გადადის — ნუენნში, ჩემი ცოლის მდგომარეობა კი ისეთია, რომ მისი აღელვება ან განერვიულება ბარბაროსობა იქნება.

— მაშინ მე აღარაფერს მივწერ ჩემო კარგო, შენ ახლა იმ სულელ ადამიანს ჰგავხარ, თავის დახრჩობა რომ გადაუწყვეტია.

მე მხოლოდ გადაგარჩინო მინდა.

— ეჭვიც არ მეპარება თქვენს გულწრფელობაში, მინჰერ, ამიტომაა, რომ ვცდილობ, არ მეწყინოს რასაც ამბობთ, მაგრამ ეს საუბარი მეტისმეტად უსიამოვნოა ჩემთვის.

ტერსტეგი დაბნეული წავიდა. საერთო უკმაყოფილების ნამდვილი დარტყმა მხოლოდ ვეისენბრუჰმა აგემა. მან ერთ საღამოს სხვათაშორის შემოიარა, რომ ენახა, ვინსენტი კიდევ ცოცხალია თუ არაო.

— ჰელო! როგორც ჩანს, შენ იმ ოცდახუთი ფრანკის არქონა არაფერში დაგტყობია.

— დიახ.

— ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, რომ არ შეგიცოდე?

— მე მახსოვს სულ პირველად, მაუვესთან რომ შეგხვდით, ჯანდაბაში გაგისტუმრეთ, ახლაც იქითკენ დამილოცნიხართ.

— თუ ასე გაგრძელდა, შენგან მეორე ვეისენბრუჰი დადგება. კაცურ კაცად ყალიბდები, ვინსენტ. დამდე პატივი და გამაცანი შენი მეუღლე.

— მე დამგესლეთ, რამდენიც გესიამოვნოთ, ვეისენბრუჰ, მასთან რა ხელი გაქვთ.

ქრისტინა მწვანენაჭერგადაფარებულ აკვანს არწევდა.

გრძნობდა, მე დამცინიანო და ტანჯულ სახეს არ აცილებდა ვინსენტს. ვინსენტი მათთან მივიდა, თითქოს სურდა რაღაცისაგან დაეფარა. ვეისენბრუჰი სამივეს მიაჩერდა, შემდეგ რემბრანდტზე გადაიტანა მზერა.

— გამიგონეთ, მშვენიერი თემა გამოგდით. მე სიამოვნებით დაგხატავდით ასე ერთად და სურათს „წმინდა ოჯახს“ ვუწოდებდი.

ვინსენტი გინებით გამოენთო ვეისენბრუჰს, მაგრამ მან დროზე უშველა თავს და გარეთ გავარდა. ვინსენტი უკან შემობრუნდა. კედელზე რემბრანდტის ოფორტის გვერდით სარკე ეკიდა.

თავისი ოჯახის ანარეკლს წუთით შეავლო თვალი და უცებ შეძრწუნებულმა ვეისენბრუჰის თვალით დაინახა ყველაფერი... პატარა ნაბიჭვარი, მეძავი ქალი და გულუხვი კეთილისმყოფელი.

— რაო, რა გვიწოდა? — იკითხა ქრისტინამ.

— „წმინდა ოჯახი.“

— რას ნიშნავს?

— წმინდა მარიამი, იესო და იოსები.

ქრისტინამ ცრემლი ვერ შეიმაგრა და თავი ბავშვის საბანში ჩარგო. ვინსენტი აკვნის წინ მუხლებზე დაეშვა ნუგეშსაცემად.

ჩრდილოეთის ფანჯრიდან ბინდი მოიპარებოდა და ოთახს მშვიდ იერს აძლევდა. ვინსენტმა ერთხელ კიდევ დაინახა მთელი თავისი ოჯახი სხვისი თვალით და ეს სხვა მისი გული იყო.

— ნუ ტირი, სიენ, — უთხრა ვინსენტმა, — ნუ ტირი, ძვირფასო, აბა, თავი ასწიე და ცრემლი აღარ დამანახო. ვეისენბრუჰმა მართალი გვითხრა.

11.

თითქმის ერთდროულად მოხდა, ვინსენტმა სხევენინგენი რომ აღმოაჩინა და ზეთის საღებავებით ხატვას შეუდგა. სხევენინგენი ველზე გაშენებული პაწია სოფელია, რომელსაც ჩრდილოეთის ზღვიდან სილახვავის ორი ზოლი ჰყოფს. ნაპირს მეთევზეთა ერთანძიანი ოთხკუთხა კარჭაპები მოსდგომია, გამოხუნებული აფრებით. უკანა მხარეს მძიმე, ოთხკუთხა საჭე აქვთ ამ კარჭაპებს. თევზსაჭერი ბადეები გაუშლიათ, გაუმზადებიათ, ხოლო მათ თავზე ფრიალებს ჟღალი და მუქ-ლურჯი ფერის პაწაწინა, სამკუთხა ალმები. წითელთვლება, ლურჯი ვაგონები თევზს სოფლისაკენ მიაგორებენ. მეთევზეთა ცოლებს მუშამბის თეთრი ქუდები ჰხურავთ, ორი ოქროსფერი ქინძისთავით შეკრული.

ყველა ოჯახი ნაპირს აწყდება ხოლმე კარჭაპთა შესახვედრად.

კურზალს თავისი ნაცრისფერი დროშები აეფრიალებია. ეს იმ უცხოელთა განსასვენებელი ადგილი გახლავთ, რომელთაც ზღვის მხოლოდ გემო სიამოვნებთ, მაგრამ დახრჩობის არავითარი სურვილი არ გააჩნიათ. ნაცრისფერი ზღვა ქათქათა ქაფად ეფშვნება ნაპირს, ხოლო სიღრმეში მუქი მწვანე წყალი თანდათან ლურჯ

ფერში გადადის, ნაცრისფერი ცა ერთიანად ღრუბლებს დაუცხრილავს, ხოლო შიგადაშიგ კამკამა სილურჯე მოჩანს, თითქოს უნდა მეთევზეებს შეახსენოს, მზე ჯერ ისევ ისე ანათებს ჰოლანდიის ცაზეო. სხევენინგენში მშრომელი ხალხი ცხოვრობს, ხალხი მიწასთან და ზღვასთან შესისხლხორცებული.

ღია ცის ქვეშ ბევრი ეტიუდი დახატა ვინსენტმა და ბოლოს მიხვდა, რომ აკვარელით მხოლოდ იმის გადმოცემა შეიძლება, რასაც თვალის ერთი მოვლებით დაინახავ. აკვარელს სიღრმე აკლია, სისქე, ხასიათი და ამიტომ ის არ გამოსდის, რაც უნდა.

ეჩქარებოდა ზეთის საღებავებზე გადასვლა, თან შიშობდა, რადგან იცოდა, რამდენი მხატვარი დაღუპა ნახატის დახვეწამდე ზეთზე გადასვლამ. სწორედ ამ დროს იყო, თეო რომ ჩამოვიდა ჰააგაში.

ოცდაექვსი წლის იყო თეო და უკვე საკმაოდ ცნობილი კომერსანტის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იგი ბევრს მოგზაურობდა და ყველგან იცნობდნენ, როგორც თავისი საქმის რიგიან მცოდნეს და ნიჭიერ ახალგაზრდას. გუპილის ფირმის პარიზის ფილიალმა ბევრად გადააჭარბა „ბუსოს და ვალადონს“ (კომპანია, რომელიც „მესიეს“ სახელითაა ცნობილი) და თუმცა თეო თავის პირვანდელ საქმიანობას განაგრძობდა, სურათებით ვაჭრობა ის აღარ იყო, რაც გუპილისა და ძია ვინსენტის დროს.

სურათები ცეცხლის ფასად იყიდებოდა — მიუხედავად მათი ღირსება-ნაკლოვანებებისა — და კომერსანტებიც მხოლოდ კარგად ცნობილ მხატვრებს სწყალობდნენ. ძია ვინსენტი, ტერსტეგი და გუპილი სთვლიდნენ, რომ კომერსანტის უპირველესი მოვალეობაა გზა მისცეს დამწყებ, ახალგაზრდა მხატვრებს. ახლა კი მხოლოდ ძველ, აღიარებულ მხატვრებზე იყო მოთხოვნილება. ახალბედები: მანე, მონე, პისარო, სისლეი, რენუარი, ბერთა მორიზო, სეზანი, დეგა, გილიომენი, და სულ ახლადგამოჩეკილი მხატვრები: ტულუზ ლოტრეკი, გოგენი, სიორა და სინიაკი ყოველ ღონეს ხმარობდნენ რაღაც ახალი ეთქვათ, იმისაგან განსხვავებული, რასაც ასე გაუთავებლად იმეორებდნენ ბუგრო და აკადემიის სხვა წარმომადგენლები, მაგრამ მათ არავინ უგდებდა ყურს. ამ ახალთაობის არცერთი წარმომადგენლის არც ერთი ტილო „მესიეს“ ფირმაში არ გამოფენილა, ხოლო გაყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თეოს სძაგდა ბუგრო და სხვა აკადემიკოსები, თანაგრძნობით ეკიდებოდა ახალგაზრდებს. იგი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ფირმას როგორმე ახალი მხატვრების ნამუშევარი გამოეფინა, საზოგადოებისათვის მოეწონებინა.

მაგრამ „მესიეს“ ამ ნოვატორებს გადარეულ უმწიფარებად თვლიდა, რომელთაც არავითარი ტექნიკა არ გააჩნიათ. თეო კი მათში მომავალ კორიფეებს ხედავდა.

ქრისტინა ზემოთ დარჩა, საწოლ ოთახში. ძმები ქვედა სართულში შეხვდნენ ერთმანეთს. თეო ძმას გადაეხვია.

— საქმეზე ჩამოვედი, ვინსენტ, მაგრამ ჰააგაში ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზანი ისაა, რომ შენს განზრახვაზე ხელი აგაღებინო. იმ ქალთან ყოველგვარი კავშირი უნდა გასწყვიტო. ჯერ ის მითხარი, როგორ გამოიყურება?

— გახსოვს ჩვენი მოხუცი ძიძა ზუნდერტში, ლინ ვერმანი?

— ჰო.

— სიენი ზუსტად ისეთი ადამიანია. ერთი ჩვეულებრივი ქალია, როგორც ყველა, მაგრამ მე მასში რაღაც ამაღლებულს ვხედავ. როდესაც გიყვარს ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც არაფერი განსაკუთრებული არა აქვს და მასაც უყვარხარ ეს

უკვე ბედნიერებაა და ცხოვრების შავბნელ მხარეებს მნიშვნელობა აღარა აქვს. იმის შეგრძნებამ, რომ რაღაცას წარმოვადგენ, საჭირო ვარ, ადამიანი გამხადა, თეო, გამომაცოცხლა. მე არ მიძებნია ეს გრძნობა, იგი თვითონ დამატყდა თავს. სიენი მხატვრის მძიმე ცხოვრების ყველა გაჭირვებას იზიარებს. ისეთი ხალისით დამიჯდება ხოლმე მენატურედ, რომ, დარწმუნებული ვარ, მის სულში გაცილებით უკეთესი მხატვარი დადგება ჩემგან, ვიდრე ქეი რომ შემერთო.

თეო ბოლთას სცემდა სახელოსნოში და აკვარელით ნახატებს აკვირდებოდა.

— ვერ გამიგია, როგორ მოახერხე ამ ქალის შეყვარება, როცა ისე სასოწარკვეთილად გიყვარდა ქეი.

— არ შემყვარებია, თეო, ეს ხომ უცებ არ მოხდა. რაკი ქეიმ ზურგი შემაქცია, ამიტომ ყოველგვარი ადამიანური გრძნობა უნდა ჩაკვდეს ჩემში? აი, შენ მოხვედი ჩემთან, და ხედავ, რომ მე არა ვარ სასოწარკვეთილი, დაცემული, მაქვს ახალი სახელოსნო, ოჯახი. ჩემს სახელოსნოში არაფერი იდუმალი არ იმალება.

იგი ნამდვილია, ცხოვრებაზეა აგებული. სახელოსნო, სადაც ბავშვის აკვანი დგას, ბავშვის სკამი. აქ არაფერი მოგადუნებს, პირიქით, ყველაფერი მოქმედებისაკენ გიბიძგებს და გაცოცხლებს. ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ თუ გინდა ხატო, რასაც გრძნობ, აუცილებლად უნდა განიცადო. ოჯახურ ურთიერთობას სურათზე ვერაფრით ვერ გადმოსცემ, თუ შენ არა გაქვს თვითონ საკუთარი ოჯახი.

— ჩემთვის კლასობრივ განსხვავებას არასოდეს ჰქონია მნიშვნელობა, ვინსენტ, მაგრამ რამდენად გონივრულია...

— არა! ნუ იფიქრებ რომ მე დამცირებული ან შერცხვენილი ვარ, — გააწყვეტინა სიტყვა ვინსენტმა, — ჩემი საქმიანობის მთავარი არსი ხომ ხალხის შუაგულშია, თეო: მე მიწასთან უნდა ვიყო, ძალიან, ძალიან ახლოს, რომ ცხოვრებას ჩავეჭიდო, რომ ამდენ ჭირ-ვარამში გზა გავიკვლიო.

— გეთანხმები, — თეო ძმას მიუახლოვდა და ალერსიანად ჩახედა თვალებში. — მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია იქორწინო?

— არა, მაგრამ მე შევპირდი, რომ ჩვენ დავქორწინდებოდით.

არ მინდა შენ მას ჩემს საყვარლად თვლიდე ან კიდევ ვიღაცად, რომელიც ჩემთვის სულერთია, ვინ არის. ჩემი დაპირება ორ რამეს ნიშნავს: პირველი — სამოქალაქო წესით ქორწინებას, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, და მეორე — დავეხმაროთ ერთმანეთს, გავამხნევოთ ერთმანეთი, როგორც ცოლ-ქმარმა და ყველაფერი გავიზიაროთ.

— სამოქალაქო წესით დაქორწინებამდე, იმედია, ცოტა მოიცდი?

— კარგი, თეო! თუკი შენ გინდა. მოვიცდით, ვიდრე სურათების გაყიდვას დავიწყებ და თვეში 150 ფრანკი მაინც არ მექნება. მაშინ შენი დახმარება საჭირო აღარ იქნება. პირობას გაძლევ, ხელს არ მოვაწერ, ვიდრე დამოუკიდებელი მხატვარი არ გავხდები. როცა მე თვითონ დავიწყებ ფულის შოვნას, შენ ნელ-ნელა შემიმცირებ დახმარებას და ბოლოს სულაც აღარ შეგაწუხებ. აი მაშინ ვილაპარაკოთ უკვე დაქორწინებაზე.

— გონივრულად მსჯელობ!

— აი, ისიც მოდის, თეო. თუ გიყვარვარ, მიიღე როგორც ჩემი ცოლი და ბავშვის დედა! ეს ხომ ასეც არის.

ქრისტინა სახელოსნოში ჩამოვიდა. სადა, შავი კაბა ეცვა, თმა უკან გადაევარცხნა. ლოყები ავარდისფერებოდა, რის გამოც ნაყვავილარი სახე თითქოს გასწორებოდა.

წყნარი და სასიამოვნო იყო ქრისტინა. ვინსენტის მზრუნველმა სიყვარულმა გამოაკეთა და სიმშვიდე მიანიჭა. მან აუღელვებლად ჩამოართვა ხელი თეოს, ჩაი შესთავაზა და სთხოვა ვახშმად ჩვენთან დარჩიო. შემდეგ თავის სავარძელში მოიკალათა ფანჯარასთან და ქსოვას შეუდგა, თან ბავშვს აკვანს ურწევდა. ვინსენტი აფორიაქებული წინ და უკან დარბოდა ოთახში და თეოს ნახატებს უჩვენებდა, ნახშირით შესრულებულ ფიგურებს, აკვარელის პეიზაჟებს, ფანქრით დახატულ ჯვუფურ ეტიუდებს.

თეოს სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინსენტი დიდი მხატვარი გახდებოდა, მაგრამ არ მოსწონდა არც ერთი სურათი, რაც ვინსენტს დაეხატა... დღემდე. ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილი თეო თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე იყო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ძმის ნახატებზე თავისი გარკვეული აზრი ჩამოეყალიბებინა. მისთვის ვინსენტი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც შეუსვენებლივ ეძებს თავის თავს და ვერასოდეს ვერ პოულობს.

— თუ შენ გრძნობ, რომ გინდა ზეთის საღებავებით ხატო, — უთხრა თეომ, როცა ვინსენტმა ყველაფერი უჩვენა და თავისი წადილი გაანდო, — რატომაც არ უნდა გადახვიდე ზეთზე? რაღას უცდი?

— დარწმუნებული არა ვარ, რომ ნახატი მივარგა. მაუვემ და ტერსტეგმა მითხრეს, არ გეხერხებაო...

— ...მაგრამ ვეისენბრუჰმა ხომ გითხრა, გეხერხებაო.

საბოლოო სიტყვა შენზეა. თუ გული გიგრძნობს, რომ ფერების მეტი სიღრმე გჭირდება, მაშინ დროც მოსულა და ესაა. აბა, მიდი!

— მაგრამ, თეო, ფასს არ იკითხავ! ეს ოხერი საღებავები ოქროს ფასად ღირს.

— ხვალ დილით, საუზმისას, ჩემთან მოდი სასტუმროში.

რაც ადრე გამომიგზავნი ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოებს, მით მალე დავიბრუნებ მე ჩემს ფულს.

ვახშმისას თეო და ქრისტინა საკმაოდ მეგობრულად საუბრობდნენ. წასვლისას თეო კიბეზე შეყოვნდა და ფრანგულად გადაულაპარაკა ვინსენტს.

— საუცხოო ქალია, საუცხოო. სულ არ მეგონა!

მეორე დილით ძმები ვაგენსტრატის ქუჩას აუყვნენ. საოცარი სხვაობა იყო მათ შორის; უმცროსი გამოწკეპილიყო, ფეხსაცმელები უპრიალებდა, ტანზე გახამებული პერანგი და დაუთოებული კოსტუმი ეცვა, საყელო ადგილზე ჰქონდა, შავი ცილინდრი კოხტად მოქცეოდა გვერდზე, ნაზი წაბლისფერი წვერი ლამაზად გაეკრიჭა, გამოზომილი, დინჯი ნაბიჯით მიდიოდა. მეორეს დაგლეჯილი ფეხსაცმელები ეცვა, დაკერებული შარვალი სრულიად არ უდგებოდა მის ვიწრო პალტოს, არც საყელო ეკეთა, კეფაზე გლეხი კაცის სასაცილო ქუდი მოეგდო, ხუჭუჭა მწითური წვერი გაბურძგვნოდა და ფეხარეული მიაბოტებდა. ლაპარაკისას ხელებს გიჟივით იქნევდა აქეთ-იქით.

არც ერთს აზრადაც არ მოსვლია რა სასაცილო შესახედი იყვნენ უცხო თვალისათვის.

თეომ გუპილთან მიიყვანა ვინსენტი. უნდოდა, მისთვის საღებავები, ფუნჯები და ტილოები ეყიდნა. ტერსტეგი აღფრთოვანებული იყო თეოთი და დიდ პატივს სცემდა. გულით უნდოდა ვინსენტისთვისაც გაეგო როგორმე და შეეყვარებინა. როცა შეიტყო

რა უნდოდათ მოსულთ, თვითონვე აურჩია ყველაფერი და აეხსნა, თუ რა ღირსებები გააჩნია ამა თუ იმ ფერს.

თეომ და ვინსენტმა მთელი ექვსი კილომეტრი ფეხით გაიარეს. სილახვავიდან სხევენინგენამდე. მეთევზეთა ბარკასი ის-ის იყო ნაპირს უახლოვდებოდა. ნაპირზე, ბოძთან, მეთვალყურის ჯიხური იდგა, ნავი გამოჩნდა თუ არა, მეთვალყურე მაშინვე გარეთ გამოვიდა და ალამი ააფრიალა. ბავშვები კუდში მისდევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც კაცი მოვიდა, დაძაბუნებულ ცხენზე ამხედრებული, და ღუზის დასამაგრებლად გაეშურა.

სოფლიდან უამრავი კაცი და ქალი გამორბოდა ახალმოსულთა შესაგებებლად. როცა ბარკასი ნაპირს მოუახლოვდა, ცხენოსანი წყალში შევიდა და ღუზა გამოიყოლა. რამდენიმე ახალგაზრდამ, რომელთაც მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ეცვათ, მეთევზეები სათითაოდ ნაპირზე გადმოსვეს. თვითეულ მეთევზეს მხიარული შეძახილებით ხვდებოდნენ. ყველა რომ გადმოვიდა და ცხენებმა ბარკასი ნაპირზე გამოათრიეს, მთელი პროცესია სოფლისაკენ დაიძრა და სილის გორაკს ქარავანივით, დაწალიკებით მიჰყვა. ამხედრებული კაცი მოჩვენებასავით წამოყუდებულიყო მათ თავზე.

— აი, რა მინდა საღებავებით გადმოვიტანო, — უთხრა ვინსენტმა.

— როგორც კი იგრძნობ, რომ შენს ნამუშევარს უკვე არაუშავს, მაშინვე გამომიგზავნე. ვფიქრობ, მოვახერხებ მყიდველი ვიპოვნო პარიზში.

— აუცილებლად, თეო! როგორმე მოახერხე, რომ ჩემი სურათების გაყიდვა დაიწყოს!

12.

თეო წავიდა და ვინსენტი მაშინვე შეუდგა ზეთით ხატვას.

სამი ეტიუდი დახატა: გადასხეპილი ხეივანი გეესტის ხიდის უკან, სარბენი გზა და ბოსტანი მენდერვორში, სადაც ლურჯპერანგა კაცი კარტოფილს თხრიდა. თეთრი, ქვიშიანი მიწა ალაგ-ალაგ გადათხრილია და მწვანე ნაზარდებს შორის გამხმარი ღერები ჰყრია. შორს სიღრმეში, მწვანე ხეები და სახლის სახურავები მოჩანს. ნახატი სახელოსნოში მოიტანა, დააცქერდა და კმაყოფილი დარჩა. ასე ეგონა, ვერავინ მიმიხვდება, თუ ეს ჩემი პირველი ცდააო. ნახატი მეტად ზუსტი და ცხოვრებისეული გამოვიდა. და ნახატი ხომ ძირითადია ფერწერაში. ეს იგივე ხერხემალია, ჩონჩხია, რაზეც აიგება სხვა დანარჩენი. გაოცებული დარჩა ვინსენტი, არ ელოდა, რომ პირველი ნახატი არ გაუფუჭდებოდა.

სულმოუთქმელად დახატა პაწია ფერდობი ტყეში. წიფლის ხმელი ფოთლებით დაფარული. ღია ყავისფერ მიწას მუქ-წითელი ელფერი დაჰკრავდა, ხის ჩრდილებისაგან კიდევ უფრო მუქდებოდა. ხეებს უზარმაზარი ტოტები დაეშვა მიწისაკენ და ზოგან სრულად ფარავდა კიდეც მას. მთავარი იყო ფერები არ დაეკარგა, რომ მიწას თავისი სიღრმე, ვეება ძალა და სიდიადე შერჩენოდა. ხატვისას პირველად აღმოაჩინა, რომ იქ იმ სიბნელეში ბევრი, ძალიან ბევრი სინათლე იყო დარჩენილი. აი ეს სინათლე უნდა გადმოეტანა და თან ნაჯერი ფერის სიღრმე გადმოეცა.

შემოდგომის ჩამავალი მზის შუქზე, რომელსაც ტყის ხშირი ტევრი კიდევ უფრო ასუსტებდა, მიწა მოწითალო ყავისფერ ხალიჩას მიაგავდა. ნორჩი არყები ცისკენ აზიდულიყვნენ; ცალ მხარეს, რომელსაც მზე ანათებდა, ხასხასა მწვანე ფერად ლაპლაპებდნენ, ხოლო მეორე, დაბინდულ მხარეს, თბილი, მუქმწვანე ელფერი დასდებოდათ. ამ ნორჩი ხეების და ჟანგისფერი მიწის უკან მოჩანდა ცა, ნაზი, ღია ცისფერი, ოდნავ მოლურჯო, გამჭვირვალე. მის ფონზე მწვანე, ბუნდოვან ზოლად იკვეთებოდა პაწია ხეების და ყვითელი ფოთლების დახლართული ქსელი.

რამდენიმე ადამიანი ტყეში ფიჩხს აგროვებს, მათი სხეულები იდუმალებით მოსილ ჩრდილებად ალანდულან. ქალი დახრილა, ხმელ ტოტს წასწვდენია; მისი თეთრი ქუდი მკვეთრად მოსჩანს ჟანგისფერი მიწის ფონზე. ჯაგნარის თავზე ვიღაც კაცის სილუეტი წამომართულა. ცაზე გამოკვეთილა, უზარმაზარი და ლირიზმით სავსე.

ხატავდა ვინსენტი და გულში ფიქრობდა:

— ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან, ვიდრე ეს შემოდგომის საღამო სულ არ მიილევა მთელი თავისი იდუმალებით, სისავსით, სიდიადით.

უკვე ბინდდებოდა. უნდა ეჩქარა. ხალხს უცებ ხატავდა, ფუნჯის რამდენიმე ძლიერი მოსმით. განცვიფრებული უცქერდა ვინსენტი, ეს პაწაწინა ხეები რა მჭიდროდ ჩაკვროდნენ მიწას.

იფიქრა, მოდი მეც ასე დავხატავო, მაგრამ მიწა უკვე ისე გამკვრივებულიყო, რომ ფუნჯის ახალი მოსმა სულ ჩაიკარგა. ვინსენტმა ისევ სცადა, ისევ და ისევ, მაგრამ უნუგეშოდ, რადგან უკვე სულ ჩამობნელდა. ბოლოს მიხვდა, რომ დამარცხდა. ფუნჯი უძლური იყო გადმოეცა ის, რაც ხდებოდა ამ მსუყე, ჟანგისფერი მიწის გულში. რაღაც ქვეცნობიერმა ძალამ აიძულა ფუნჯისათვის ხელი შეეშვა, საღებავები პირდაპირ ტილოზე გამოეჭყლიტა, სადაც ხის ტანი და ფესვები უნდა ყოფილიყო. ფუნჯი აიღო, მაგრამ ახლა ტარით დაუწყო სწორება სქელ, ფერად საღებავებს.

— ესეც ასე, — წამოიძახა ვინსენტმა, როცა უკვე ღამემ დაისადგურა ტყეში.

— აი ახლა კარგად დგანან, მიწიდან ამოდიან, იქიდან, სადაც ფესვები მაგრად აქვთ გადგმული. ხომ გავაკეთე, რაც მინდოდა!

იმ საღამოს ვეისენბრუჰმა გამოუარა.

— წამო, „პულჰრიში“ წავიდეთ. დღეს იქ ცოცხალი სურათები და შარადები იქნება.

ვინსენტს მშვენივრად ახსოვდა ვეისენბრუჰის ამასწინანდელი სტუმრობა.

— არა, მადლობელი ვარ, ცოლს მარტო ვერ დავტოვებ.

ვეისენბრუჰი ქრისტინასთან მივიდა, ხელზე აკოცა, როგორ ბრძანდებითო, შეეკითხა. ბავშვსაც გაეთამაშა, გაუცინა. ცხადი იყო, აღარ ახსოვდა, რაც ამასწინათ უთხრა.

— შენი ახალი სურათები მიჩვენე, ვინსენტ!

— ვინსენტი ხალისით დასთანხმდა. ვეისენბრუჰმა აარჩია „ორშაბათის ბაზრობა“, დახრილი, პროდუქტის ალაგებაში გართული გამყიდველები, კიდევ „სუფის სასადილოსთან მომლოდინე ხალხი“, „სამი მოხუცის სურათი“, „სულით დაავადებულთა საავადმყოფოსთან“, „სხევენინგენის მეთევზეთა ბარკასი“ ზეაწეული ღუზით და მეხუთე ტილო, რომელსაც ვინსენტი მუხლებზე დადებულს ხატავდა სილახვავში ძლიერი ქარიშხლის დროს.

— ესენი იყიდება? მე სიამოვნებით ვიყიდი მათ.

— ეს რა, მორიგი ხუმრობაა, ვეისენბრუჰ?

— მხატვრობაზე მე არასოდეს არ ვხუმრობ. ეს ეტიუდები მშვენიერია. რა არის ფასი?

— თვითონ მითხარით, — გაუბედავად უთხრა ვინსენტმა.

მაინც შიშობდა, ვაითუ დამცინისო.

— კეთილი. ხუთი ფრანკი. რას იტყვი? სულ ოცდახუთი ფრანკი.

ვინსენტმა თვალები დაჭყიტა.

— ეს ძალიან ძვირია. ძია კორი ორნახევარ ფრანკს მიხდიდა.

— იმან გაგაცურა, ჩემო კარგო. ყველა კომერსანტი ერთნაირია. ერთ მშვენიერ დღეს კი იმავე სურათს ხუთი ათას ფრანკად გაყიდიან. რას მეტყვი, თანახმა ხარ?

— ვეისენბრუჰ, ხანდახან ნამდვილი ანგელოზი ხარ, ხან კი ზედგამოჭრილი სატანა!

— ეს ისე, მრავალფეროვნებისათვის, რომ მეგობრებს თავი არ შევაწყინო.

საფულე ამოიღო და ვინსენტს ოცდახუთი ფრანკი გადასცა.

— ახლა წამო, „პულჰრიში“ წავიდეთ. ცოტა გართობაც ხომ გჭირდება. ტონი ოფერმანსის მასხარაობას ვუყუროთ. ნახე, სიცილი როგორ მოგიხდეს!

ვინსენტი დათანხმდა. კლუბის დარბაზი სავსე დაუხვდათ.

ყველა იაფფასიან, მაგარ თამბაქოს ეწეოდა. პირველი ცოცხალი სურათი ნიკოლას მაასის გრავიურის მიხედვით იყო გაკეთებული, „საჯინიბო ბეთლემში“. სურათი ძალიან ლამაზ ფერებში გაკეთდა, მაგრამ შინაარსი ვერ გადმოსცეს. მეორე სურათი — „ისააკი ლოცავს იაკობს“ — რემბრანდტის მიხედვით წარმოადგინეს. მშვენიერი რებეკა მღელვარებით ელოდა, გამოვიდოდა თუ არა მისი ნომერი. დახუთულმა ჰაერმა თავი აატკია ვინსენტს. ფარსამდე ვეღარ დაიცადა და შინისაკენ გაეშურა. გზაში მამისათვის გასაგზავნი წერილი შეთხზა.

რამდენადაც შეიძლებოდა დაწვრილებით მისწერა მამას ქრისტინას ამბავი. გაუგზავნა ვეისენბრუჰისეული ოცდახუთი ფრანკი და თეოდორი ჰააგაში ჩამოიპატიჟა.

მამა ერთ კვირაში ჩამოვიდა. ცისფერი თვალები გამოხუნებოდა, სიარული უჭირდა. უკანასკნელი მათი შეხვედრა იმით დასრულდა, რომ თეოდორმა შინიდან გააგდო შვილი. მას მერე, შიგადაშიგ გულთბილ წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

თეოდორმა და ანა კორნელიამ რამდენჯერმე საცვლები, ტანსაცმელი, სიგარები, შინაურული ნამცხვრები და ხანდახან ათფრანკიანიც გამოუგზავნეს. ვინსენტმა არ იცოდა როგორ მიიღებდა მამამისი ქრისტინას. ადამიანები ხან მეტად კეთილშობილნი არიან და უგებენ ერთმანეთს, ხან კი გაბოროტდებიან და ყურს წაიყრუებენ.

ფიქრობდა, აკვნის დანახვაზე არ შეიძლება მამა სრულიად გულგრილი დარჩეს და ყველაფერი უარყოსო. აკვანი ხომ სულ სხვა რამაა. მასთან ხუმრობა არ შეიძლება. მამამ აუცილებლად უნდა აპატიოს ქრისტინას წარსული.

თეოდორს უზარმაზარი ფუთა ამოეჩარა იღლიაში. ვინსენტმა გახსნა, და რაკი ქრისტინასათვის ჩამოტანილი თბილი პალტო შერჩა ხელში, მიხვდა, ყველაფერი რიგზეაო.

ქრისტინა მაღლა ავიდა, საწოლ ოთახში, თეოდორი და ვინსენტი კი სახელოსნოში დარჩნენ.

— ვინსენტ, — უთხრა მამამ, — შენ ერთი რამ არ გიხსენებია წერილში. ეს ბავშვი შენია?

— არა. მე რომ გავიცანი, უკვე ორსულად იყო.

— ბავშვის მამა სად არის?

— მან მიატოვა ქრისტინა, — ვინსენტმა საჭიროდ არ ჩათვალა, ბავშვის მამა უცხოაო, ეთქვა.

— შენ, იმედია, შეირთავ მას, ვინსენტ, ხომ? ამგვარი ცხოვრება რა წესია?

— რა თქმა უნდა. მე მინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა დავქორწინებულიყავით ოფიციალურად, მაგრამ მე და თეომ მოვითათბირეთ, რომ უმჯობესია დავიცადო, ვიდრე თვეში ასორმოცდაათ ფრანკს არ ავიღებ ხატვით.

თეოდორმა ამოიოხრა.

— ჰო. ალბათ ასე სჯობს. ვინსენტ, დედას ძალიან უნდა, რომ შენ, ცოტა ხნით მაინც, გვესტუმრო. მეც მინდა. ნუენენი მოგეწონება. შვილო, იგი ბრაბანტის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სოფელთაგანია. ეკლესია ისეთი პაწაწინაა, ესკიმოსის ქოხს მიაგავს. შიგ ასი კაციც არ ეტევა, წარმოგიდგენია? ჩვენი სახლის გარშემო კუნელი იზრდება, ვინსენტ, ხოლო ეკლესიის უკან, სასაფლაოზე სილის საფლავებია და ხის ჯვრები.

— ხის ჯვრები? — წამოიძახა ვინსენტმა, — თეთრი?

— ჰო. სახელები შავი ასოებით ეწერა, მაგრამ ეტყობა წვიმამ წამალა.

— ეკლესიას ალბათ მაღალი, ლამაზი, წვეტიანი გუმბათი აქვს, არა მამა?

— ჰო, ძალიან კოხტა, ვინსენტ, წვრილი და ისეთი მაღალი, რომ ხანდახან ასე მგონია, პირდაპირ ღმერთთან ადის-მეთქი.

— მისი ჩრდილი ალბათ სასაფლაოზე ეფინება საღამოობით, — ვინსენტს თვალები უელავდა, — ნეტავი დამახატვინა — იქვე ახლოს მანანებით მოფენილი მინდორი და ფიჭვის ტყეა მინდორში გლეხები მუშაობენ. ჩქარა ჩამოდი ჩვენთან, შვილო.

— აუცილებლად უნდა ვნახო ნუენენი. პაწაწა ჯვრები, ეკლესიის წვეტიანი გუმბათი და მიწის მუშები. ასე მგონია, ბრაბანტს მიაგავს იქაურობა.

თეოდორი იმ განწყობით დაბრუნდა შინ, რომ თავისი ცოლი დაერწმუნებინა, ჩვენი ბიჭის საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ჩვენ გვეგონაო. ვინსენტი კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო საქმეში. ისევ და ისევ მიშლეს სიტყვები ახსენდებოდა „L'art c'est un compat; dans l'art il faut y mettre sa peau“ (*ხელოვნება ბრძოლაა, რომელშიც ადამიანი თავის თავს სწირავს — ფრ.).

თეოს სწამდა მისი, დედ-მამას ქრისტინას მიმართ არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა, ჰააგაშიც აღარავინ აწუხებდა. ახლა ყველაფერი ჩამოეხსნა და თავისუფლად შეეძლო ემუშავა.

შეშის საწყობის მეპატრონე ყველა უმუშევარს და სამუშაოს მაძებარს ვინსენტს უგზავნიდა მენატურედ. საფულე თანდათან უმსუბუქდებოდა, სამაგიეროდ ნახატები მატულობდა, ღუმელის გვერდით, აკვანში ჩაკრული ბავშვი ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დახატა ვინსენტმა. შემოდგომის წვიმიან დღეებში გარეთ ხატავდა გაზეთილ ქაღალდზე და ყოველთვის გამოსდიოდა ჩანაფიქრი. ვინსენტმა მალე ირწმუნა, რომ ცოცხალი კოლორიტი მხოლოდ იმ მხატვარს გადმოაქვს, ვინც ამ კოლორიტს ბუნებაში ნახავს, ვისაც შეუძლია გააანალიზოს ფერი და თქვას „აი ის, მონაცრისფრო მომწვანო ყვითელის და შავის ნაზავია და კიდევ სულ ცოტა ლურჯის“.

ადამიანს ხატავდა თუ პეიზაჟს, ვინსენტი სულ იმას ცდილობდა, მასში მსუბუქი მელანქოლია კი არ ჩაექსოვა, არამედ ღრმა მწუხარება აღებეჭდა. უნდოდა მაყურებელზე ისე ემოქმედნა ნახატს, რომ ეთქვათ:

„ეს მხატვარი დაკვირვებული ყოფილა და მეტად ღრმა წვდომა შესძლებიაო.“

ვინსენტმა იცოდა, რომ გარშემო მყოფთათვის იგი სრულიად უმაქნისი, ერთი უცნაური და ახირებული კაცი იყო, რომელსაც თავისი ადგილი ვერა და ვერ ეპოვნა ცხოვრებაში. ცდილობდა, ნახატებში ეჩვენებინა თუ რა იმალებოდა ასეთი უცნაური ადამიანის, ასეთი არარაობის გულში. უღარიბესი ქოხები, უბინძურესი კუთხეები, აი რა იზიდავდა მას. რაც მეტს ხატავდა, მით ნაკლებად აინტერესებდა სხვა რამ. რაც უფრო სცილდებოდა ყველაფერს, მით უფრო სწრაფად აღიქვამდა ცხოვრების ხატოვან მხარეს. ხელოვნება შეუსვენებლივ მუშაობას თხოულობს, მუშაობას, მხოლოდ მუშაობას და მუდმივ დაკვირვებას.

ერთადერთი სიძნელე ის იყო, რომ ზეთის საღებავები მეტისმეტად ძვირი ღირდა, ვინსენტი კი ჭარბად ხმარობდა მათ. როცა საღებავების მთელ მასას ტილოზე სქლად გამოჭყლეტდა, ასე ეგონა, ჩემი ფული პირდაპირ ზოიდერ-ზეში ცვივაო. ხვავიანად ხატავდა და ტილოებსაც ვეღარ აუდიოდა. დღეში იმდენ საღებავს ხარჯავდა, რაც მაუვეს მთელ ორ თვეს ეყოფოდა. ვინსენტს არ შეეძლო საღებავები დაეზოგა, არც ნელა მუშაობა შეეძლო, იფანტებოდა ფული და ივსებოდა სახელოსნო სურათებით. თეო პირველში, ათში და ოც რიცხვებში უგზავნიდა 50 ფრანკს. როგორც კი ფული მოვიდოდა, ვინსენტი წამსვე მაღაზიაში გარბოდა. იყიდდა ოქრას, კობალტს და ბერლინური ლაჟვარდის პატარა, ხოლო ნეაპოლური ყვითლის, სიენას, ულტრამარინის და გუმიგუტის დიდ ტუბებს.

შემდეგ მუშაობა ბედნიერად მიიწევდა წინ, ვიდრე საღებავები და ფული არ გამოელეოდა, რაც მიღებიდან მეხუთე ან მეექვსე დღეს ხდებოდა და ისევ თავიდან იწყებოდა გაჭირვება.

— პირდაპირ გაოცებეული იყო ვინსენტი, რამდენი რამ იყო ბავშვისათვის აუცილებლად საყიდელი. ქრისტინას გაუთავებლად სჭირდებოდა რაღაც წამლები, ახალი ტანსაცმელი, განსაკუთრებული საკვები, ახლა ჰერმანი სკოლაში დადიოდა და მასაც უნდოდა წიგნები, რვეულები და სხვა. ოჯახი ხომ პირდაპირ უძირო ქვევრს ჰგავდა; ვინსენტი ვეღარ აუდიოდა ლამპების, ჭურჭლის, საბნების, ნახშირის, შეშის, კარადების, ხალიჩების, სანთლების, თეთრეულის დანა-ჩანგლის, თეფშების, ავეჯის თუ საკვები პროდუქტის უსასრულო ნაკადს. ძალიან უჭირდა ის საცოდავი ორმოცდაათი ფრანკი მხატვრობასა და სამ, მასზე დამოკიდებულ ადამიანს შორის გაენაწილებინა.

— შენ იმ მუშას ჰგავხარ, რომელიც ფულს აიღებს თუ არა, მაშინვე ღვინის სარდაფისაკენ გაექანება, — შენიშნა ერთ დღეს ქრისტინამ, როცა ვინსენტმა კონვერტიდან ორმოცდაათი ფრანკი ამოიღო და ის იყო ცარიელი ყუთების შეგროვებას შეუდგა.

პერსპექტივისთვის ვინსენტმა სპეციალური ხელსაწყო გააკეთა, რომელსაც ორ გრძელ ფეხზე არჭობდა სილახვავში. ჩარჩოსთვის მჭედელს რკინის კუთხეები დაამზადებინა. ყველაზე მეტად ვინსენტს სხვევნინგენი იზიდავდა, ზღვა, სილახვავი, მეთევზეები და ბარკასი ცხენებით და ბადეებით. გაიდებდა მხარზე თავის მძიმე მოლბერტს, პერსპექტივის ხელსაწყოს და გაუყვებოდა სილახვავს; სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ცისა და ზღვის ცვალებადობა დაეჭირა. გვიანი შემოდგომა იდგა. მხატვრებმა კარგა ხანია თავის თბილ სახელოსნოებს მიაშურეს, ვინსენტი კი ისევ ღია ცის ქვეშ ხატავდა ქარში, წვიმაში, ნისლსა თუ ქარიშხალში. ცუდ ამინდში ჯერ კიდევ შეუმშრალ ტილოს, ქარი წამოხვეტილ სილას და მარილიან შხეფებს ახეთქებდა.

წვიმა თავიდან ფეხებამდე, წუწავდა, ქარი და სიცივე ძვალსა და რბილში უჯდებოდა, სილით ევსებოდა თვალები, ცხვირი... მაგრამ ვინსენტი უკანასკნელ წუთამდე ბედნიერებით იყო სავსე. მას ახლა ვეღარაფერი შეაჩერებდა სიკვდილის მეტი.

ერთ საღამოს ქრისტინას უჩვენა თავისი ახალი სურათი.

— ვინსენტ, — წამოიძახა ქრისტინამ, — როგორ გამოგდის ასე მიმსგავსებულად?

ვინსენტს სულ გადაავიწყდა, რომ მის წინ ერთი უსწავლელი ქალი იდგა. ასე ეგონა, ვეისენბრუჰს ან მაუვეს ველაპარაკებიო.

— მეც არ ვიცი. როგორც კი პეიზაჟი მომეწონება, დავჯდები, ავიღებ სუფთა, ქათქათა ტილოს და ვამბობ, „ეს თეთრი ტილო უნდა რაიმედ ვაქციო“. მერე კი დიდხანს, დიდხანს ვმუშაობ, შინ უკმაყოფილო ვბრუნდები და ტილოს საკუჭნაოში ვაგდებ. ცოტა ხანს ვისვენებ, შემდეგ ისევ საკუჭნაოში შევდივარ და შიშით შევცქერი ნახატს. ისევ უკმაყოფილო ვრჩები, რადგან ის ცოცხალი პეიზაჟი ჯერ კიდევ გონებაშია ცხადად ჩაბეჭდილი.

ბოლოსდაბოლოს კი ვგრძნობ, რომ ეს ნახატი გამოძახილია იმის, რამაც ასე მომხიბლა და ვხედავ, რომ ბუნებას რაღაც უთქვამს ჩემთვის, დამლაპარაკებია, მე კი ეს ყველაფერი სწრაფად ჩამიწერია. ეს ჩანაწერი — ნაჯღაბნი სიტყვებია შეცდომებით სავსე, მაგრამ მასში მაინც არის ის, რაც ტყეებმა, ქვიშამ თუ ადამიანებმა ჩამჩურჩულეს ყურში. გასაგებია?

— არა.

13.

ქრისტინას თითქმის არაფერი ესმოდა ვინსენტის საქმიანობისა. მისი აზრით, ხატის ამგვარი ჟინი მხოლოდ ერთგვარი ახირება იყო, თანაც მეტისმეტად ძვირი ახირება. იცოდა, ვინსენტის ცხოვრება შიშველ ქვაზე დასახლებას ჰგავდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია წინ აღდგომოდა ვინსენტის მიზანსწრაფვა, მისი ნელი პროგრესი და მტკივნეული განცდები სრულიად არაფერს ნიშნავდა მისთვის. ქალი მშვენიერი მეგობარი გამოდგა ყოველდღიურ ოჯახურ ცხოვრებაში, მაგრამ ოჯახური ყოფა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო ვინსენტის ცხოვრებისა.

როცა ვინსენტი თავისი გრძნობების სიტყვიერ გამოხატვას მოიწადინებდა, დაჯდებოდა და თეოს მისწერდა, მოუყვებოდა ყველაფერს, თუ რა ნახა, რა დახატა და განიცადა მთელი დღის განმავლობაში. როცა უნდოდა სხვისი განცდები გაეზიარებინა, მაშინვე ფრანგული, ინგლისური, გერმანული და ჰოლანდიური რომანების კითხვას იწყებდა. ქრისტინა მისი ცხოვრების მხოლოდ ცალფა მოზიარე იყო. მაინც კმაყოფილი დარჩა ვინსენტი.

არასოდეს უნანია მისი ცოლად მოყვანა და ერთხელაც არ უცდია ცოლის ინტელექტუალურად აღზრდა. საამისოდ ხომ ქალს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე ყველაფერი რიგზე იყო. ვინსენტი ადრიანად გამოდიოდა შინიდან, ასე ხუთ ან ექვს საათზე, და როცა სილახვავი საღამოს გრილ ბინდში გაეხვევოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა შინ დაბრუნება. მაგრამ როცა ძლიერმა ქარბუქმა რეინის სადგურის პირდაპირ, ღვინის სარდაფში მათი შეხვედრის

წლისთავი აღნიშნა და ვინსენტი იძულებული შეიქნა დილიდან საღამომდე სახლში ემუშავა, ძალიან გაძნელდა ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ოჯახში.

ისევ ფანქრით ხატვას მიუბრუნდა, ამით საღებავების ფული დაიზოგა, მაგრამ სამაგიეროდ მენატურეებს ვერ აუდიოდა შინ თუ გარეთ. ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ სულ უმნიშვნელო თანხისათვის ყველაზე მძიმე და დამამცირებელი სამუშაო შეესრულებინათ, უზარმაზარ თანხას სთხოვდნენ იმისათვის, რომ მოდელად ჰყოლოდნენ ვინსენტს. ვინსენტმა ნებართვა ითხოვა სულით დაავადებულთა საავადმყოფოში ეხატა ხალხი, მაგრამ ასე უთხრეს, ამგვარი არაფერი გვსმენია და, გარდა ამისა, ახლა იატაკებს ვაგებთო. ისე, თუ გნებავთ, მიღების დღეებში მობრძანდით და ხატეთო.

ერთადერთ იმედად ქრისტინა დარჩა. ვინსენტს ეგონა, რომ მომაგრდება და მომჯობინდება, ისევ ისე მომეხმარება, როგორც ბავშვის დაბადებამდეო. მაგრამ ქრისტინა სხვა აზრის იყო. პირველად ასე უთხრა, ჯერ კარგად არა ვარ, ცოტაც მოიცადე, აბა, რა გაჩქარებსო, მერე, როცა მოიკეთა, მოკლედ მოუჭრა, ამისათვის აბა სადა მცალიაო.

— ახლა სხვა საქმეა, ვინსენტ, — განაცხადა ერთ დღეს, — მე ბავშვს უნდა მივხედო, სახლიც დასალაგებელია და ოთხი კაცის სადილიც მოსამზადებელი.

ვინსენტი დილის ხუთ საათზე დგებოდა, საოჯახო საქმიანობაში ეხმარებოდა, რომ დღისით ქრისტინა თავისუფალი ყოფილიყო, მაგრამ არც იმან გაჭრა.

— მე რა შენი მენატურე ვარ, — ამბობდა ქალი, — მე ხომ შენი ცოლი ვარ.

— სიენ, შენი დახმარება ძალიან მჭირდება. მე არ შემიძლია ყოველდღე დავიქირაო მენატურე. გარდა ამისა, ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია რამაც შენ აქ მოგიყვანა.

ქრისტინამ ჭირვეულად იფეთქა და უცებ იმ ქრისტინას დაემსგავსა, სულ პირველად რომ ნახა ვინსენტმა.

— აი თურმე რისთვის გჭირდები! შენ ჩემზე ფულს ზოგავ!

მოსამსახურედ გინდივარ და მეტი არაფერი! თუ მე უარს ვიტყვი დახატვაზე, აიღებ და გარეთ გამსვამ, ხომ?

ვინსენტი წუთით ჩაფიქრდა და უთხრა:

— ეს ყველაფერი დედაშენმა გითხრა. შენ აზრადაც არ მოგივიდოდა ამგვარი რამ.

— დავუშვათ, ასეა, მერე რა! ტყუილია თუ?

— სიენ, შენ აღარ მიხვალ მასთან.

— რატომ? მე მიყვარს დედაჩემი, რა, უფლება არა მაქვს?

— ისინი წამლავენ ჩვენს ურთიერთობას. ისევ ძველ გზაზე დაგაყენებენ და მერე, ჩვენი ქორწილი?

— განა შენ თვითონ არ მგზავნი იქ, როცა სახლში საჭმელი თავდება? იშოვნე მეტი ფული და ნახავ, წავალ თუ არა ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ხატვაზე დაითანხმა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ქრისტინას ყველაფერი დავიწყებოდა, რაც ერთი წლის განმავლობაში ასწავლა ვინსენტმა. ხანდახან ასე ეგონა, თავს იკატუნებს ქრისტინა, და ამ ტლანქ მოძრაობებს განგებ აკეთებს, რომ თავი დავანებო და არ შევაწუხო მეტადო.

ბოლოს მართლაც მიანება თავი. მენატურის ხარჯი გაიზარდა და მასთან ერთად უფულო დღეებმა იმატა, რასაც შიმშილობა მოჰყვა. ახლა ქრისტინას უფრო მეტ ხანს

უწევდა დედასთან ყოფნა, საიდანაც მუდამ შეცვლილი ბრუნდებოდა, და მათი დამოკიდებულებაც აშკარად იცვლებოდა. ჯადოსნურ რკალში მოექცა ვინსენტი. მთელი ფული რომ ოჯახში ეხარჯა, ქრისტინა დედასთან აღარ წავიდოდა და ძველებურად ტკბილად იქნებოდნენ. მაგრამ ასე თუ მოიქცეოდა, მაშინ მუშაობაზე უნდა ეთქვა უარი. ნუთუ ამიტომ აჩუქა სიცოცხლე. რომ ახლა ვინსენტს მოუსწრაფოს?

დედასთან რომ არ გაუშვას, მაშინ ცოლიც და ბავშვებიც უნდა აშიმშილოს. არადა, ოჯახი ირღვეოდა. რა ექნა ვინსენტს?

ქრისტინა ავადმყოფი, ფეხმძიმე, ქრისტინა საავადმყოფოში, შემდეგ სახლში, მომჯობინებისას სულ სხვა ქალი იყო, მიტოვებული, უნუგეშო, საბრალო, სიკვდილის პირას მისული, ერთი კეთილი სიტყვისათვის და დახმარებისათვის უსაზღვროდ მადლიერი, ქალი, რომელმაც ყველა გაჭირვება გამოსცადა და წამიერი ნუგეშისათვის ყველაფერს გააკეთებდა, ყველაზე მხურვალე და გაბედულ პირობას მისცემდა თავის თავს და ცხოვრებას.

მაგრამ სულ სხვა იყო ქრისტინა მოკეთებული, რომლის მთელ არსებას ეტყობოდა ნოყიერი საჭმლის, წამლებისა და ზრუნვის კვალი. ძველი ტკივილი სრულიად გამქრალიყო, ნელნელა ქრებოდა მისი მისწრაფება ყოფილიყო ღირსეული ცოლი და დედა.

თანდათანობით უბრუნდებოდა პირვანდელი ცხოვრების ძვალსა და რბილში გამჯდარი, შესისხლხორცებული ჩვევები. თოთხმეტი წელი ქუჩაში გასული, თავაშვებულად ცხოვრობდა ქრისტინა, სასმელებით, სიგარებით, უწმაწურობით და ტლანქი მამაკაცებით გარშემორტყმული. ახლა, როცა მისი სხეული ჯანღონით აივსო, იმ თოთხმეტმა წელმა უცებ გადასწონა ერთი წლის ამაგი და ნაზი სიყვარული. შინაგანი გარდატეხა ხდებოდა ქალში. ვინსენტმა ჯერ ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, მაგრამ მალე გამოერკვა და მიხვდა, თუ რა უნდა დასტეხოდა თავს.

ახალი წელი ახლოვდებოდა. სწორედ ამ დროს მეტად უცნაური წერილი მოუვიდა თეოსაგან. პარიზის ქუჩაში თეოს ერთი მარტოხელა, ავადმყოფი და სასოწარკვეთილი ქალი ენახა. ქალს ფეხები სტკიოდა და მუშაობა არ შეეძლო. საბრალო თვითმკვლელობამდე იყო მისული. ვინსენტი მაგალითად ჰყავდა თეოს და თვითონაც იმგვარად მოიქცა. ქალი ერთი მეგობრის ბინაზე დააბინავა. ექიმი მიუყვანა, გაასინჯა და ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო. წერილში თეო თავის პაციენტს უწოდებდა იმ ქალს.

— როგორ გგონია, უნდა შევირთო ჩემი პაციენტი, ვინსენტ? იქნება თუ არა ეს ყველაზე კეთილშობილური საქციელი, რაც მე შემიძლია მას გავუკეთო? ოფიციალური ცერემონიალი საჭიროა? საბრალომ ბევრი რამ გადაიტანა. ამ უბედურს ერთადერთი კაცი უყვარდა და მანაც მიატოვა. რა გავაკეთო, რომ სიცოცხლე შევუნარჩუნო? ვინსენტზე ძალიან იმოქმედა წერილმა. თანაგრძნობით სავსე პასუხი მისწერა ძმას, მაგრამ ქრისტინა დღითი-დღე უარესდებოდა. როცა სახლში პურისა და ყავის მეტი არაფერი იყო, გაუთავებლად ბუზღუნებდა, მოითხოვდა მენატურეზე ფულს ნუ ხარჯავ, საჭმელზე გვჭირდებაო. ახალ კაბას თუ ვერ იყიდდა, ძველს მაშინვე შეიძულებდა, საჭმლით და ჭუჭყით მოითხუპნიდა. ვინსენტის თეორეულს და ტანსაცმელს აღარ აკერებდა. ისევ დედის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც გამუდმებით იმას ჩასჩიჩინებდა, ვინსენტი ან თვითონ გაგექცევა ან შენ გამოგაგდებს

გარეთო. რაკი მუდმივი კავშირი შეუძლებელი იყო, დროებით ერთად ყოფნას რა აზრი ჰქონდა?

ურჩიოს თეოს, შეირთოს ის პაციენტი? განა ქორწინებით შეიძლება ქალის გადარჩენა? განა მათთვის რამეს ნიშნავს ოჯახი, კარგი კვება, ჯანმრთელობის დაბრუნება, კეთილი მოპყრობა, ცხოვრების რწმენისა და სიყვარულის აღდგენა?

— დაიცადე, — აფრთხილებდა ძმას, — გაუკეთე, რაც შეგიძლია, ეს კეთილშობილური ქცევაა, მაგრამ რას გიშველის დაქორწინება! თუ ერთმანეთი შეგიყვარდებათ, დაქორწინდებით და ის იქნება. მაგრამ ჯერ ნახე, შეგიძლია თუ არა მისი გადარჩენა.

თეო თვეში სამჯერ უგზავნიდა ორმოცდაათ-ორმოცდაათ ფრანკს. ახლა, როცა ქრისტინამ ხელი აიღო ოჯახზე, ფული ძველებურად აღარ ჰყოფნიდათ. ვინსენტი გამალებული ეძებდა მენატურეებს, რომ ერთი რიგიანი ტილოსთვის მასალა ჰქონოდა.

ენანებოდა თვითეული ფრანკი, რაც მხატვრობას აკლდებოდა და ოჯახს ხმარდებოდა. ქრისტინას კი პირიქით, ყველა ის ფრანკი შურდა, რაც სახლს აკლდებოდა და სურათებზე იხარჯებოდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. ასორმოცდაათი ფრანკი ვინსენტს ყელამდე ეყოფოდა საჭმელ-სასმელად, ბინაზე და მასალაზე, მაგრამ ოთხ კაცზე მისი განაწილება დიდი გმირობა და უნუგეშო საქმე იყო. ვალებში ჩაეფლო, სახლის პატრონი, მეწაღე, ბაყალი, მეფუნთუშე, საღებავების გამყიდველი — ყველა მისი მევალე იყო. უფრო უარესი, ახლა თეოს ხელფასი შეუმცირეს. ვინსენტი ყველა წერილში ევედრებოდა „თუ შეგიძლია, ცოტა ადრე გამომიგზავნე ფული, ყოველ შემთხვევაში, დროს ნუ გადააცილებ. სახლში ორად ორი სუფთა ფურცელი და ფანქრის ერთი ბეწო ნატეხი მიგდია. მოდელისათვის და საჭმლისათვის ხომ ერთი ფრანკიც არა მაქვს“.

თვეში სამჯერ წერდა ამგვარ წერილს ვინსენტი. ფულს მიიღებდა თუ არა, მაშინვე ვალებს ისტუმრებდა და დარჩენილი ათი დღე უფულოდ იჯდა.

თეოს „პაციენტს“ ოპერაცია დასჭირდა. სიმსივნე უნდა ამოეკვეთათ ფეხზე. ქალი კარგ საავადმყოფოში მოათავსა თეომ.

ამავე დროს იძულებული იყო ნუენენშიც ეგზავნა ფული, რადგან ახალი მრევლი ძალიან პატარა აღმოჩნდა და თეოდორის შემოსავალი არ ჰყოფნიდა ოჯახს. ამგვარად, თეო საკუთარი თავის გარდა არჩენდა თავის „პაციენტს“, ვინსენტს, ქრისტინას, ჰერმანს, პატარა ანტონს და ოჯახს ნუენენში. მისი ხელფასი უკანასკნელ სანტიმამდე იყო განაწილებული და ვინსენტისათვის ზედმეტის გამოგზავნა არ შეეძლო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მარტის ერთ დღეს ვინსენტს ერთადერთი ფრანკი დარჩა ჯიბეში, ისიც ისეთი დაგლეჯილ-დაფლეთილი, რომ არც ერთმა გამყიდველმა არ მიიღო. სახლში წამლადაც ვერ იპოვიდი საჭმლის ნამცეცს. თეოს ფულის მიღებამდე ცხრა დღე დარჩენილიყო. ამ ხნის განმავლობაში ქრისტინას დედამისი ერთიანად ჩაიგდებდა ხელში. ამისი ძალიან ეშინოდა ვინსენტს.

— სიენ, — უთხრა ბოლოს, — ბავშვს ვერ ვაშიმშილებთ.

სჯობს, დედას მიუყვანო, ვიდრე თეოს ფული მოვა.

უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ორივეს ერთი ჯავრი უტრიალებდა გულში, მაგრამ გამხელას ვერც ერთი ვერ ბედავდა.

— ჰო, — უთხრა ქრისტინამ, — მგონი ასე სჯობს.

იმ დახეული ფულით შავი პური და ცოტა ყავა იყიდა. მენატურე ნისიად მოჰყავდა სახლში. ვინსენტს ნერვები ჰქონდა დამწყდარი. ნახატი ზედმიწევნით ტლანქი და მშრალი გამოსდიოდა.

მის დამშეულ სხეულს უფულობა მალე დაეტყო. არ ემუშავა არ შეეძლო, არადა გრძნობდა, რომ ძველებურად ვეღარ ხატავდა.

მეცხრე დღეს, ზუსტად ოცდაათში, თეოს წერილი და ოცდაათი ფრანკი მოვიდა. მის „პაციენტს“ ოპერაცია მშვიდობიანად გადაეტანა და ახლა სადღაც ბინაზე მოეწყო კიდეც. ფინანსურ კრიზისს თავისი დაღი დაესვა თეოზე და სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა იგი. ძმას ატყობინებდა, „ვშიშობ, მომავალში ვეღარაფრით დაგეხმარებიო“.

ამ ფრაზამ კინაღამ ჭკუიდან შეშალა ვინსენტი. ნუთუ თეოს იმის თქმა უნდა, რომ ფულს მეტს აღარ გამოგიგზავნიო? ეს არც ისეთი საშინელებაა, მაგრამ, ვაი თუ თეოს არ მოსწონს მისი ჩანახატები, რომელსაც თითქმის ყოველდღე უგზავნის ძმას, რომ აჩვენოს, აი როგორ მივიწევ წინო. იქნებ ფიქრობს თეო, რომ ვინსენტს არავითარი ნიჭი არ გააჩნია და მომავალში მისი იმედი აღარ აქვს.

ღამეებს თეთრად ათენებდა ვინსენტი და შეწუხებული გაუთავებლად წერდა ძმას, ევედრებოდა, გამაგებინე, რას აპირებო, და სასოწარკვეთილი გამოსავალს ეძებდა, ეგებ ცხოვრების რაიმე სახსარი მე თვითონ ვიშოვნოო, მაგრამ ამაოდ.

14.

წამოსაყვანად რომ მიაკითხა ქრისტინას, იქ დედამისი, ძმა, ძმის საყვარელი და ვიღაც უცხო კაცი დახვდა ვინსენტს. ქრისტინა შავ სიგარას ქაჩავდა და ჯინს მიირთმევდა. სხევენინგენზე დაბრუნება, ეტყობოდა, დიდად არ გახარებია.

ცხრა დღეს დედის ჭერქვეშ ყოფნამ ძველ ჩვევებს და მახინჯ ცხოვრებას დაუბრუნა იგი.

— თუ მინდა, კიდევაც მოვწევ, — ყვიროდა ქრისტინა, — შენ რა ნება გაქვს, დამიშალო. მე ხომ თვითონ ვშოულობ მათ.

ექიმმა ასე თქვა, შეგიძლია ჯინიც დალიო და ლუდიცო.

— მართალია, როგორც წამალი ... მადისათვის.

ქრისტინა ხრინწიანი ხმით არორხოდა.

— წამალი! წამალი! წადი შე...

მათი გაცნობის დღიდან მსგავსი უხამსობა პირველად ესმოდა ქრისტინასაგან.

ვინსენტი გაცოფდა, ჭკუა აღარ ეკითხებოდა. ქრისტინაც ვალში არ რჩებოდა.

— შენ ჩემზე სულ აღარ ზრუნავ, — ღრიალებდა ქალი, — საჭმელსაც ვერ მაჭმევ. რატომ არ შეგიძლია მეტი ფული იშოვნო? კაცი ხარ თუ რა ჯანდაბა ხარ, მითხარი!

ცივი ზამთარი უხალისოდ უთმობდა გაზაფხულს გზას. ვინსენტის მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა. ვალმა იმატა. საჭმელი არ ყოფნიდა და კუჭი უხმებოდა. ყლაპვაც კი უჭირდა, კუჭის ტკივილი ახლა კბილებზე გადაუვიდა, მთელი ღამე ტკივილებისაგან იტანჯებოდა. ტკივილმა ყურებზე გადაინაცვლა და მთელი დღე აწვალა.

ქრისტინას დედამ ახლა ამათთან უხშირა სიარულს, აღარ ფიქრობდა, ქრისტინა ბედნიერია გათხოვებითო. ერთხელ ძმასაც მიასწრო იქ, მაგრამ ვიდრე ხმის ამოღებას მოასწრებდა, — ის უკვე გარეთ გავარდა.

— რატომ მოვიდა, — იკითხა ვინსენტია — რა უნდოდა შენგან?

— მეუბნებიან, ვინსენტი გაგდებას გიპირებსო.

— შენ მშვენივრად იცი, რომ მე არასოდეს ვიზამ ამას, სიენ.

შენ აქ იქნები, ვიდრე თვითონ არ მოინდომებ წასვლას.

— დედა მეუბნება უნდა წახვიდეო, აქ საშიმშილოდ ჯდომას აზრი არა აქვსო.

— მერედა სად წახვალ?

— შინ წავალ, რასაკვირველია.

— ბავშვებსაც თან წაიყვან?

— შიმშილობას ეს არა სჯობს! მე ვიმუშავებ და თავს თვითონ ვირჩენ.

— სად იმუშავებ?

— სადმე...

— დამლაგებლად? თუ ისევ სამრეცხაოში?

— ...ალბათ.

ცხადი იყო, ცრუობდა ქრისტინა.

— მითხარი, რა უნდათ, რას გაკეთებინებენ?

— ისე ... ცუდს არაფერს ... ფულსაც ვიშოვნი.

— გამიგონე, სიენ, შენ რომ შინ დაბრუნდე, დაიღუპები და ეგ არის! შენ კარგად იცი, დედაშენი ქუჩაში გაგიშვებს. გახსოვს, რა გითხრა ექიმმა? ძველ ცხოვრებას რომ დაუბრუნდე, დაიღუპებიო.

— არაფერიც არ დავიღუპები. მე თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— ეს იმიტომ, რომ ნორმალურად ცხოვრობდი. მაგრამ თუ ისევ...

— ღმერთო დიდებულო, ვის მოსწონებია ისეთი ცხოვრება, მაგრამ შენ თვითონ არ მაიძულებ?

ვინსენტი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ხელი შემოხვია მხარზე. ქრისტინას თმაც არ დაევარცხნა.

— დამიჯერე სიენ, მე შენ არასოდეს არ მიგატოვებ. ვიდრე თანახმა იქნები გაიზიარო ის, რაც მაბადია, ვიყოთ ერთად.

ოღონდ გაფრთხილებ, დედაშენი და შენი ძმა არ დამანახო. მათ შენი დაღუპვა უნდათ. სიტყვა მომეცი, შენთვის გეუბნები, იცოდე, რომ მეტი აღარ შეხვდები მათ.

— კარგი.

ორი დღის შემდეგ მუშაობა რომ დაასრულა და სახლში დაბრუნდა, სახელოსნო ცარიელი დახვდა. არც ვახშამი დახვედრია შინ. ქრისტინა დედამისთან წასულიყო. ვინსენტი რომ მივიდა, სვამდა.

— ხომ გითხარი, მიყვარს დედაჩემი-მეთქი, — განაცხადა შინისაკენ მომავალმა, — და უფლება მაქვს ვნახო, როცა მინდა.

მე ხომ შენი საკუთრება არ ვარ. რაც მინდა, იმას გავაკეთებ.

ქრისტინა ისევ ძველმა ცხოვრებამ ჩაითრია. თუკი ვინსენტი რაიმეს შეუსწორებდა, ან აუხსნიდა, რომ იგი თვითონვე ცდილობს განუდგეს, ქალი პასუხობდა:

— მე მშვენივრად მესმის, შენ აღარ გინდა ჩემთან ცხოვრება.

ვინსენტი უჩვენებდა, ნახე, როგორი ჭუჭყიანი და უპატრონო გახდა ჩვენი სახლიო. ამაზე პასუხობდა. მართალია, ზარმაცი ვარ, უვარგისი. თავიდან ასეთი ვიყავი და რას იზამ, ვერ გამოვსწორდებიო.

ვინსენტი ეუბნებოდა, დაგღუპავს ეგ შენი სიზარმაცეო, ის კი გაიძახოდა, ვიცი, წყალწაღებული ვარ, ჰოდა, ავდგები და მართლაც წყალში გადავვარდებიო.

ქრისტინას დედა ახლა ყოველ დილით წამოადგებოდათ ხოლმე თავზე და ვინსენტს ქრისტინასთან მარტო ყოფნის საშუალება ერთმეოდა, რაც ასე ძვირფასი იყო მისთვის. ოჯახი აირია. ვისაც როდის უნდოდა, მაშინ ჭამდა. ჰერმანი ჭუჭყიანი და ჩამოხეული დადიოდა. სკოლასაც ჩამორჩა. ქრისტინა სულ გაზარმაცდა, სამაგიეროდ სმას უხშირა. ეწეოდა კიდეც. ვინსენტმა არ იცოდა, საიდან შოულობდა ფულს.

ზაფხული დადგა. ვინსენტი ისევ ღია ცის ქვეშ გავიდა სამუშაოდ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ისევ სჭირდებოდა საღებავები, ფუნჯები, ტილოები, ჩარჩოები, მოზრდილი მოლბერტები.

თეო ატყობინებდა ჩემი „პაციენტის“ მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ საქმე მეტად სერიოზულია და აღარ ვიცი, ახლა როგორ მოვიქცეო.

ვინსენტმა თავის პირად ცხოვრებაზე თვალი დახუჭა და მთლიანად ხატვას მიეცა. იცოდა, რა ორომტრიალი იყო ოჯახში და გრძნობდა, რომ ქრისტინა მასაც უფსკრულისკენ ექაჩებოდა. სასოწარკვეთილი ცდილობდა ხატვაში ჩაფლულიყო. ყოველ დილით, როცა ახალ ტილოს იღებდა, ფიქრობდა, ახლა ისეთ სურათს დავხატავ, ისეთ ლამაზს და სრულყოფილს, რომ მაშინვე გაიყიდება და სახელგანთქმული კაცი გავხდებიო. ყოველ საღამოს დანაღვლიანებული ბრუნდებოდა შინ და ეჭვი აღარ ეპარებოდა, ჩემს დაოსტატებას კიდევ ბევრი დრო დასჭირდებაო.

ვინსენტის ერთადერთი ნუგეში პატარა ანტონი იყო. ბავშვი სიცოცხლის განსახიერებას წარმოადგენდა, რასაც კი მიაწოდებდნენ, ყველაფერს მადიანად მიირთმევდა, თანაც კისკისებდა და ჟღურტულებდა. ბავშვი ხშირად იჯდა ვინსენტთან, სახელოსნოს კუთხეში, იატაკზე. უცქერდა, როგორ ხატავდა და მხიარულად ჭყლოპინებდა, შემდეგ გასუსული და თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა კედლებზე გამოფენილ ნახატებს. რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პატარას ქრისტინა, მით უფრო მეტად შეიყვარა იგი ვინსენტმა. ანტონი მისი გასული ზამთრის საქციელის გამართლება და ღირსეული ჯილდო იყო.

ერთხელ ვეისენბრუჰმა შემოიარა. ვინსენტმა ამ წლის სურათები უჩვენა, თანაც საშინელი უკმაყოფილება გამოთქვა.

— არა უშავს, — გაამხნევა ვეისენბრუჰმა. — გავა დრო და მერე რომ ამ ნახატებს შეხედავ, მიხვდები, რამდენად გულწრფელია, როგორ მოქმედებენ მნახველზე. მიდი, ჩემო კარგო, გულს ნუ გაიტეხ.

ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილი დარტყმა იგემა ვინსენტმა.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი. გაზაფხულზე ლამპა წაუღო ხელოსანს შესაკეთებლად. ხელოსანმა დაჟინებით სთხოვა ორი თეფში მაქვს და გინდა თუ არა წაიღეო.

— ფული არა მაქვს, — უპასუხა ვინსენტმა. — — არაფერია, რა საჩქაროა. წაიღე და როცა ფული გექნება, მაშინ მომეცი. ორი თვის შემდეგ ამ ხელოსანმა კარები შემოგლიჯა სახლში. კარგა ზორბა კაცი იყო, კისერი თითქმის თავის სისქისა ჰქონდა.

— რა, გინდა გამაცურო? — იკითხა მოსულმა, — რასა ჰგავს ეს, მიგაქვს საქონელი და ფულის გადახდას აღარ აპირებ!

— ახლა ფული არა მაქვს. როგორც კი მივიღებ, მაშინვე გადაგიხდი.

— სტყუი! შენ ეს-ეს არის მეწაღეს მიეცი ფული.

— მე ახლა ვმუშაობ, — მოუჭრა ვინსენტმა, — როცა ფული მექნება, მაშინ გადაგიხდი, ახლა გთხოვ დამტოვო.

— ფულს მომცემ და დაგტოვებ. არადა ფეხსაც არ მოვიცვლი.

ვინსენტმა ანგარიშმიუცემლად კარისაკენ უბიძგა.

— ახლავე გადი აქედან.

ხელოსანსაც ეს უნდოდა. ხელის კვრა ასე არ უნდაო და მარჯვენა ხელი შიგ სახეში გაუშალა. ვინსენტი კედელს მიენარცხა.

ხელოსანმა მეორედ მოუქნია. ახლა იატაკზე გაიშოტა ვინსენტი.

მოჩხუბარმა უსიტყვოდ დატოვა იქაურობა.

ქრისტინა დედასთან იყო. ატირებული ანტონი ვინსენტთან მიბობღდა და ხელი მოუთათუნა სახეზე. ვინსენტი მალე მოვიდა გრძნობაზე, საწოლ ოთახში ძლივსძლივობით აითრია ტანი და საწოლზე გაწვა.

სახე არ დაშავებია. ტკივილს არ გრძნობდა. არც დაცემით სტკენია რამე. მაგრამ იმ ორმა მოქნეულმა მუშტმა რაღაც ჩასწყვიტა შიგ გულში და თითქოს დაამარცხა იგი. ამას ცხადად გრძნობდა.

ქრისტინა დაბრუნდა. საწოლ ოთახში ავიდა. სახლში არც ფული იყო და არც საჭმელი, ქალს ხშირად უკვირდა, საერთოდ როგორ არის ვინსენტი ცოცხალიო. ახლა იგი განდაგან გადაწოლილიყო ლოგინზე. თავი და ხელები ერთ მხარეს გადაეკიდნა, ფეხები მეორეზე.

— რა მოხდა? — იკითხა ქრისტინამ.

ვინსენტმა კარგა ხანს იწვალა, რომ როგორმე ბალიშზე მიედო თავი.

— სიენ, მე უნდა წავიდე აქედან.

— ...ჰო ...ვიცი.

— აუცილებლად უნდა წავიდე. სადმე, სოფელში. დრენტში ალბათ. იქ უფრო გაგვიიოლდება ცხოვრება.

— როგორ, მეც თან მიგყავარ? დრენტი საშინელი სოროა, ვინსენტ. მერე, შენ რომ ფული შემოგაკლდება და მშივრები ვიქნებით, რა გავაკეთო მე იქ?

— არ ვიცი, სიენ. უნდა შენც იშიმშილო ალბათ.

— პირობას მაძლევ, რომ იმ ასორმოცდაათ ფრანკს მხოლოდ ოჯახში დახარჯავ? მოდელზე და საღებავებზე არ გადაყრი?

— არ შემიძლია, სიენ. ჩემთვის ისაა მთავარი.

— შენთვის!

— აბა შენთვის სულ არაფერს ნიშნავს, ან რატომ უნდა ნიშნავდეს.

— მე სიცოცხლე მინდა, ვინსენტ. მშიერი კი როგორ ვიცოცხლებ?

— მეც ასევე ვერ ვიცოცხლებ თუ არ ვხატე.

— ფული შენია, ვინსენტ .... ამიტომ, როგორც შენ გინდა ...

მე მესმის. ცოტა ფული მაინც თუ გაქვს? წამო იმ ღვინის სარდაფში წავიდეთ, რეინის სადგურის პირდაპირ.

იქაურობა ღვინის სუნს გაეჟღინთა. უკვე საკმაოდ შებინდებული იყო, მაგრამ სინათლე ჯერაც არ აენთოთ. ის ორი მაგიდა, რომელსაც მაშინ უსხდნენ, თავისუფალი იდგა. ქრისტინა იქითკენ გაეშურა. თითო ჭიქა ღვინო დაუკვეთეს. ქრისტინა ჭიქის ძირს უსვამდა ხელს. ვინსენტს გაახსენდა, როგორ აღაფრთოვანა მისმა ნაჯაფმა ხელებმა ორი წლის წინათ, როცა ზუსტად ასევე აყოლებდა ჭიქას ხელს.

— მეუბნებოდნენ, მიგატოვებსო, — ქრისტინა ხმადაბლა ლაპარაკობდა. — თუმცა მე თვითონაც ვიცოდი.

— მე არ მინდა შენი მიტოვება, სიენ.

— ეს მიტოვება არ არის, ვინსენტ. შენ ჩემთვის კარგის მეტი არაფერი გიკეთებია.

— თუ შენ კვლავ გინდა ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იყო, წაგიყვან დრენტში.

ქრისტინამ თავი გაიქნია.

— არა, ჩვენ ორივეს მაინც არ გვეყოფა.

— ხომ გესმის ჩემი, სიენ? მეტი რომ მქონდეს, მოგცემდი, არ დავიზარებდი, მაგრამ როცა უნდა ავირჩიო შენ დაგაპურო თუ ჩემი მხატვრობა ...

ქრისტინამ ვინსენტის ხელს თავისი დაადო. ხელისგული დაკოჟრებოდა.

— ყველაფერი რიგზეა. შენ ოღონდ არ იდარდო. რაც შეეძლო, მიკეთებდი. ეგ არის, დრო: მოვიდა... მეტი არაფერი.

— გინდა ერთად ვიყოთ, სიენ? თუ შენ ბედნიერი იქნები, დავქორწინდეთ და წამოდი ჩემთან ერთად დრენტში.

— არა. მე დედას ვერ დავტოვებ. ჩვენ ორივეს ჩვენ-ჩვენი საკუთარი ცხოვრება გვაქვს. ყველაფერი კარგად იქნება. ჩემი ძმა აპირებს იმ თავის საყვარელს და მე ახალი სახლი გვიშოვნოს.

ვინსენტმა ჭიქა გამოცალა. ბოლოში ემჟავა ღვინო.

— სიენ, ყველანაირად ვცდილობდი დაგხმარებოდი. მე შენ მიყვარდი და მინდოდა მთელი ჩემი სიკეთე, რაც კი მებადა, სულ შენთვის მომეცა. სამაგიეროდ, მეც მინდა ერთი რამ გთხოვო.

მხოლოდ ერთი რამ.

— რა? — ყრუდ იკითხა ქრისტინამ.

— ნუ დაუბრუნდები ისევ ქუჩას შენ ეს დაგღუპავს! ანტონის გულისთვის, არ გინდა ასეთი ცხოვრება.

— შეიძლება კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დავლიოთ?

— შეიძლება.

მან ერთი მოსმით ნახევრამდე დასცალა ჭიქა.

— მე ის ვიცი, რომ ფული არ მექნება სამყოფი. მით უმეტეს, ამდენი ბავშვია სარჩენი და თუ ქუჩაში გავალ, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ ასე მინდა, არა. მე იძულებული ვარ და სხვა გზა არა მაქვს.

— თუ შენ იმუშავებ და ფული სამყოფი გექნება, მაშინ?

პირობა მომეცი, რომ მაშინ არ დაუბრუნდები ძველს.

— კარგი, სიტყვას გაძლევ.

— მე შენ ყოველ თვეში გამოგიგზავნი ფულს, სიენ. ბავშვებისათვის. მე მინდა ბიჭი ბედნიერი იყოს.

— კარგად იქნება ... ისევე როგორც ყველა სხვა.

ვინსენტმა თეოს მისწერა, სოფელში ვაპირებ წასვლას და ქრისტინასთან ყველაფერი გათავდაო. პასუხად თეომ სასწრაფოდ ასი ფრანკი გამოუგზავნა რიგგარეშე, რომ ვალები გაესტუმრებინა და შეატყობინა, მოხარული ვარ შენი გადაწყვეტილებისო. „ჩემი პაციენტი ერთ ღამეს გაუჩინარდა“, წერდა თეო, „ის ახლა სრულიად ჯანმრთელია, მაგრამ ჩვენ ვერა და ვერ მოვახერხეთ საერთო ენის გამონახვა მან ყველაფერი თან წაიღო და არ ვიცი ახლა სად არის. თუმცა, ასე სჯობს. ახლა ჩვენ ორივე თავისუფალი ვართ“.

ვინსენტმა მთელი ავეჯი ზემოთ აიტანა, საწოლ ოთახში.

ფიქრობდა, ოდესმე კიდევ ჩამოვალ ჰააგაშიო. დრენტში გამგზავრების წინა დღეს ნუენენიდან წერილი და ამანათი მიიღო. დედა თამბაქოს და შინაურ ხაჭაპურს უგზავნიდა შვილს.

— როდის ჩამოხვალ შინ, რომ სასაფლაოს ხის ჯვრები დახატო? — ეკითხებოდა მამა.

ვინსენტმა მაშინვე იგრძნო, როგორ მიუწევდა შინისაკენ გული. ავად იყო ვინსენტი, დამშეული, გადაღლილი, ნერვებმოშლილი და სასოწარკვეთილი. ახლა შინ წავა, დედასთან. იქ რამდენიმე კვირაში ჯანზეც მოვა და სულიერადაც დაისვენებს.

გაიხსენა ბრაბანტი, მისი ველ-მინდვრები, მინდორში მომუშავე გლეხები და მაშინვე უცნაური სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა, რაც ასე სწყუროდა ამდენი თვის განმავლობაში.

ქრისტინამ და ორმა ბავშვმა იგი სადგურზე გააცილა. დამუნჯებულნი იდგნენ ბაქანზე. მატარებელი ჩამოდგა და ვინსენტი შიგ ჩაჯდა. ქრისტინა იდგა, ანტონი გულზე აეკრა, ჰერმანისათვის ხელი ჩაეკიდა. ვიდრე მატარებელი მზით გაჩახჩახებულ კაშკაშა სინათლეზე არ გამოვიდა, ვინსენტს თვალი არ მოუცილებია მათთვის. მერე კი ქალი სამუდამოდ შთანთქა სადგურის პირქუშმა ბნელეთმა.

წიგნი მეოთხე
ნუენენი

1.

ნუენენის მღვდლის სახლი თეთრად შეღებილი, ქვის ორსართულიანი შენობა იყო, უზარმაზარი, სალტეშემოვლებული ბაღით. აქ რამდენიმე თელა და სამი ტოტებშემოკაფული მუხის ხე ხარობდა. ყვავილნარებს შორის პაწია აუზიც გაეკეთებინათ.

ნუენენში ორი ათას ექვსასი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ ამათგან მხოლოდ ასი თუ იქნებოდა პროტესტანტი. ერთი ბეწო ეკლესია ჰქონდა თეოდორს. ნუენენში გადმოსვლა მისთვის უკან დახევას ნიშნავდა ხალხმრავალი ქალაქისა და სავაჭრო ცენტრის — ეტენის შემდეგ.

ნუენენი ერთი ციცქნა სახლების გროვა იყო და მეტი არაფერი, ეინდჰოვენისაკენ, ამ რაიონის უდიდესი ქალაქისაკენ, მიმავალი გზის ორსავე მხარეს გაშენებული. მოსახლეობას ფეიქრები და გლეხები შეადგენდნენ, რომელთა ქოხები სოკოებივით

მოფენოდა მინდორს. ტრადიციული და წინაპართა ადათებით გაზრდილი ხალხი ცხოვრობდა ნუენენში, ხალხი ღვთისმოშიში და ღვთისმოყვარე.

მღვდლის სახლის სადარბაზო კარის თავზე შავად ელავდა რკინის ციფრები 1764. სახლს კიბე არ ჰქონდა. ქუჩიდან სადარბაზო კარით პირდაპირ განიერ ჰოლში შეხვიდოდით, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფდა სახლს. ხელმარჯვნივ, სასადილო ოთახსა და სამზარეულოს შორის უზარმაზარი კიბე ადიოდა მაღლა, საწოლ ოთახში, ვინსენტისა და კორის ოთახი ზედ სასტუმრო ოთახის თავზე იყო.

დილაობით აქედან კარგად მოჩანდა, როგორ ამობრწყინდებოდა მზე თეოდორის წვეტიანი ეკლესიის თავზე და თავის უნაზეს, ათასფერ სხივებს როგორ დააფენდა აუზის წყლის ზედაპირს. შებინდებისას, როცა ფერები დილასთან შედარებით ჩამუქდებოდა, ფანჯარასთან მიმჯდარი ვინსენტი თვალმოუშორებლად უცქერდა ზეთის საღებავების სქელ ფენასავით როგორ ზანტად ეფინებოდა ბინდი წყალს, შემდეგ კი ნელ-ნელა იცრიცებოდა და უჩინარდებოდა.

უყვარდა ვინსენტს მშობლები და მათაც უყვარდათ იგი. სამივემ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მათი ურთიერთობა მუდამ ერთსულოვანი და მეგობრული ყოფილიყო. ვინსენტმა გული იჯერა ჭამით და ძილით. ხანდახან მინდორშიც დასეირნობდა, ყველას ესაუბრებოდა, ხატავდა, კითხვას კი სრულიად ანება თავი. ოჯახის ყველა წევრი მეტისმეტად ფრთხილად ეკიდებოდა ვინსენტს და ისიც ასევე პასუხობდა. შეგნებულად იქცეოდნენ ასე, ვიდრე რამეს იტყოდნენ, სათქმელს სწონიდნენ და ფიქრობდნენ, სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს თანხმობა არ დაირღვესო, ამ თანხმობამ კი მანამდე გასტანა, ვიდრე ვინსენტი ავადმყოფობდა. იგი თავს ვერ იგრძნობდა თავისუფლად, თუკი ეცოდინებოდა, რომ მის გარშემო მყოფნი არ იზიარებენ მის საფიქრალს. როცა ერთხელ მამამ შენიშნა, გოეთეს „ფაუსტის“ წაკითხვას ვაპირებ, იგი თენ ქეითმა თარგმნა და უეჭველად არ იქნება მეტისმეტად ამორალურიო, ვინსენტს ბოღმა მოაწვა.

მხოლოდ ორი კვირით იყო ვინსენტი დასასვენებლად ჩამოსული, მაგრამ ბრაბანტი მეტისმეტად უყვარდა და იფიქრა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებიო. უნდოდა მშვიდად და უბრალოდ გადმოეტანა ტილოზე ბუნება, არ ეთქვა იმაზე მეტი, რასაც ხედავდა. ვინსენტს სხვა არაფერი უნდოდა, ოღონდ სადმე მიყრუებულ სოფელში ეცხოვრა და ამ სოფლის ყოფა ეხატა. თავისი კეთილი მამობილის, მილეს კვალობაზე, მასაც უნდოდა გლეხებთან ყოფილიყო, გასცნობოდა მათ, ეხატა ისინი. მტკიცედ სწამდა ვინსენტს, რომ არსებობს ხალხი, რაღაც განგებით ქალაქში ჩასული და იქ დარჩენილი, რომელთაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ახსოვთ სოფელი, ენატრებათ მშობლიური ველ-მინდვრები და იქაური ადამიანები.

ვინსენტი სულ ფიქრობდა, ერთხელაც იქნება ჩავალ ბრაბანტში და სამუდამოდ დავრჩები იქო. მაგრამ ნუენენში ვერ დარჩებოდა, თუკი მშობლები არ მოისურვებდნენ ამას.

— გაჟეჟილს გატეხილი სჯობია, მამა, — უთხრა ერთ დღეს თეოდორს, — მოდი ერთხელ და სამუდამოდ გავუგოთ ერთმანეთს.

— ჰო, ვინსენტ. მეც ძალიან მინდა. ვხედავ, რომ შენი ნახატებისგან ბოლოს და ბოლოს რაღაც გამოვა და ძალიან მიხარია.

— კეთილი, მაშინ გულახდილად მითხარი, შევძლებთ, ვიცხოვროთ თანხმობით? გინდათ, რომ მე თქვენთან დავრჩე?

— ჰო.

— რამდენ ხანს?

— რამდენიც შენ გინდა. ეს შენი სახლია. შენი ადგილი აქ არის, ჩვენთან.

— რომ ვერ მოვრიგდეთ?

— გაზვიადება არ ღირს. ვეცადოთ მშვიდად ვიცხოვროთ და გავუგოთ ერთმანეთს.

— სახელოსნოს რა ვუყო? თქვენ ხომ არ გინდათ, რომ მე სახლში ვიმუშაო.

— ამაზეც ვიფიქრე. ის სამრეცხაო ხომ არ გამოგვეყენებინა, ბაღში რომ დგას? შენს ნებაზე იქნები, როგორც გინდა, არავინ შეგაწუხებს!

სამრეცხაო სამზარეულოს გაგრძელებას წარმოადგენდა, მხოლოდ გამავალი კარი არ ჰქონდა შუაში. ამ ფიცრული ოთახის პატარა, მაღალი ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა. თიხის იატაკი ზამთარში მუდამ ნესტიანი იყო.

— ცეცხლი დავანთოთ, იქაურობა კარგად გამოშრება, მერე ფიცრის იატაკი დავაგოთ და სულ მოწყობილი იქნები. აბა, რას იტყვი?

ვინსენტმა მიმოიხედა. დიდი უბადრუკი ოთახი იყო და ძალიან წააგავდა ადგილობრივ გლეხთა ქოხებს, მაგრამ ნამდვილი სოფლური სახელოსნო კი გამოვიდოდა.

— ფანჯარა თუ გეპატარავება, — უთხრა თეოდორმა, — მე ცოტა ფული მაქვს გადანახული და შემიძლია გავადიდებინო.

— არა, არა, ყველაფერი რიგზეა. აქ მოდელზე იმდენი შუქი იქნება, თითქოს მის საკუთარ ქოხში ვხატავდე.

ოთახში ძირგამძვრალი კასრი შემოათრიეს და ცეცხლი გააჩაღეს. როცა კედლები და ჭერი სრულიად გამოშრა და თიხის იატაკი ქვასავით გამაგრდა, ფიცრები დააგეს. ვინსენტმა გადმოიტანა თავისი საწოლი, მაგიდა, სკამი და მოლბერტი. თეთრად შეფეთქილ კედლებზე თავისი ეტიუდები ჩამოკიდა, სამზარეულოს კედელზე უზარმაზარი ასოებით „ვოგი“ მიაწერა.

ახლა უკვე მზად იყო ჰოლანდიელი მილე გამხდარიყო.

2.

ნუენენის მკვიდრთაგან ყველაზე საინტერესო ხალხი ფეიქრები იყვნენ. ისინი პაწაწინა, ისლით გადახურულ, თიხის ოროთახიან ქოხებში ცხოვრობდნენ. ერთ ოთახში, სადაც ფანჯრის მსგავსი ციცქნა ხვრელიდან დღის სინათლის ვიწრო ზოლი ძლივს აღწევდა, ცხოვრობდა ოჯახი. ოთახს, იატაკიდან სამი ფუტის სიმაღლეზე, ოთხკუთხა ნიშები ჰქონდა, რასაც საწოლებად ხმარობდნენ. აქვე იდგა მაგიდა, რამდენიმე სკამი, ტორფის ღუმელი და უხეშად გამოჩორკნილი კარადა ჯამ-ჭურჭლისათვის. იატაკი თიხის იყო, ოღროჩოღრო. კედლები მიწით შელესილი. მეორე ოთახში საქსოვი დაზგა იდგა. ეს ოთახი პირველთან შედარებით სამჯერ უფრო პატარა იყო და ძირს დაწეული სახურავი კიდევ უფრო პატარას აჩენდა.

თითოეულ ფეიქარს, თუ შეუსვენებლივ იმუშავებდა, კვირაში სამოცი იარდის სიგრძის ნაჭერი შეეძლო მოექსოვა. ვიდრე კაცი ქსოვდა, ცოლს ძაფი უნდა ეხვია. ამ მუშაობის საფასურად კვირაში ორნახევარ ფრანკს იღებდნენ. როცა მზა პროდუქტს დამკვეთს აბარებდნენ, მორიგ შეკვეთას ერთი ან ორი კვირის შემდეგ იღებდნენ.

ვინსენტმა შეამჩნია, რომ ფეიქრები ბორინაჟელ მემაღაროელებს არა ჰგავდნენ, სხვა ყაიდისანი იყვნენ. ამ უენო ადამიანებისაგან ვერასოდეს გაიგონებდი ხმამაღალ ლაპარაკს.

ეტლში შებმული ცხენებივით ცქვიტები და ინგლისში გადასაყვანად გემზე ასხმული ცხვრებივით უწყინარნი იყვნენ.

ვინსენტი მალე დაუმეგობრდა მათ. უპრეტენზიო ხალხი იყო ფეიქრები; სხვა არაფერი უნდოდათ, ოღონდ იმდენი სამუშაო ჰქონოდათ, რომ კარტოფილი, ყავა და ხანდახან ლორის ნაჭერიც ეყიდათ. საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, რომ ვინსენტს მუშაობისას ეხატა ისინი. ვინსენტი არც ერთ ოჯახში ისე არ მივიდოდა, ბავშვებისათვის ტკბილეული ან მოხუცისათვის თამბაქო არ მიეტანა.

ერთხელ ერთ ძველ, მომწვანო-მოყავისფრო მუხის ხის დაზგას წააწყდა; ამაზე ამოეკვეთათ 1730 წელი. ამ დაზგის გვერდით, ფანჯარასთან, რომელიც ამწვანებულ მინდორს გადაჰყურებდა, ბავშვის სკამი იდგა. პატარა საათობით თვალდაჭყეტილი შესცქეროდა განუწყვეტლივ მოქანავე საფეიქრო მაქოს. ერთი უბადრუკი ოთახი იყო, თიხის იატაკიანი, მაგრამ ვინსენტმა მასში რაღაც სიმყუდროვე და სილამაზე დაინახა და გადაწყვიტა ტილოზე გადმოეტანა.

დილაობით ადრიანად დგებოდა და მთელ დღეებს მინდორში ან გლეხთა და ფეიქართა ქოხებში ატარებდა. ყველასთან შინაურულად გრძნობდა თავს. იცოდა, ფუჭად არ ჩაუვლიდა ის უთვალავი საღამოები, რასაც მაღაროელებთან, ტორფის მეწარმეებთან თუ გლეხებთან გაატარებდა, ცეცხლისპირას ჩაფიქრებული. დილიდან საღამომდე გლეხებთან ტრიალებდა ვინსენტი. მათ ცხოვრებას აკვირდებოდა, სწავლობდა და ბოლოს იმდენად გაუჯდა ტანში, რომ სხვა საფიქრალი აღარაფერი დარჩა. იგი გამალებით ეძებდა თუ რა იყო ce qui ne passe pas dans ce qui passe (*წარუვალი წარმავალთა შორის — ფრ.).

ყველაზე მეტად ადამიანის ფიგურის ხატვა იტაცებდა ვინსენტს, მაგრამ ახლა ახალი ლტოლვა გაუჩნდა — კოლორიტი.

დათავთავებულ პურის ყანებს მუქი ოქროსფერი დასდებოდა და ეს მოწითალო და მოყვითალო ბრინჯაოსფერი კაშკაშა ლურჯი ცის ფონზე გასაოცარი სიმკვეთრით იხატებოდა.

სურათის სიღრმეში ქალებს ხატავდა, მეტად ტლანქებს, ენერგიულებს, მზით გარუჯულებს, დამტვერილი ლურჯი კაბებით, თმაშეკრეჭილებს, შავბერეტიანებს.

როცა ზურგზე მოლბერტწამოკიდებული და იღლიაში შეუმჩრალტილოებამოჩრილი ვინსენტი შარაგზას გაუდგებოდა, ხედავდა, როგორ შეუმჩნევლად აიწეოდა ფარდები და გაოცებული თუ შეშფოთებული ქალების ცნობისმოყვარე მზერას გაიყოლებდა თან. სახლში ისევ გაახსენდებოდა ის ანდაზა, გაუეუილს გატეხილი სჯობსო, მაგრამ ფიქრობდა, ჩვენს ოჯახში ეს ანდაზა რაღაც არ გამოდისო. მათ ურთიერთობას არც გაუეუილი ეთქმოდა და არც გატეხილი, არამედ რაღაც გაურკვეველი, გამოუცნობი. ელისაბედი ვერ იტანდა ძმას. შიშობდა, ვინსენტის ამგვარი უცნაურობის გამო ნუენენში ვერ გავთხოვდებიო.

ვილემინას თუმცა უყვარდა ვინსენტი, მაგრამ ძალიან მოსაწყენ ადამიანად თვლიდა და ვინსენტი ბოლო ხანს უმცროს ძმას, კორს დაუმეგობრდა.

საერთო მაგიდასთან არასოდეს სადილობდა ვინსენტი. სადმე კუთხეში დაიდგამდა თეფშს მუხლებზე, წინ სკამზე იმ დღის ჩანახატებს გაიმწკრივებდა,

დაკვირვებით მიაჩერდებოდა და თუ რამე არ მოეწონებოდა, მაშინვე ნაკუწებად აქცევდა. ოჯახის წევრებს თითქმის არ ელაპარაკებოდა, ისინიც იშვიათად ეტყოდნენ რასმე. ხმელ პურზედაც იოლად გადავიდოდა, არ უნდოდა ჭამაში ნებივრობა. ხანდახან, თუკი მაგიდასთან მსხდომთაგან რომელიმეს, მისთვის საყვარელი მწერლის სახელი დასცდებოდა, ისიც მაშინვე ჩაებმებოდა კამათში. ისე კი გრძნობდა, რომ რაც ნაკლებს ეტყოდნენ ერთმანეთს, მით უკეთესი დამოკიდებულება ექნებოდათ.

3.

მთელი ერთი თვე სულ მინდორში ხატავდა ვინსენტი. ბოლო დროს უცნაური გრძნობა დასჩემდა ვიღაცა მალულად მითვალთვალებსო. კარგად იცოდა, ნუენინის მკვიდრთ ცოტა არ იყოს აოცებდა მისი საქმიანობა. მინდორში მომუშავე გლეხები, შესასვენებლად თოხის ტარს დაეყრდნობოდნენ და გაკვირვებულ მზერას მიაპყრობდნენ, მაგრამ ეს რაღაცა სხვა იყო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არა მარტო უთვალთვალებდნენ, არამედ გამუდმებით კვალდაკვალ დაჰყვებოდნენ კიდეც. ბევრს ეცადა თავიდან ამოეგდო ეს ფიქრი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოიცილა იმის შეგრძნება, რომ ვიღაცის წყვილი თვალი მოუშორებლად მოსჩერებია მის ზურგს. მინდორში გასული კარგა ხანს აქეთ-იქით იცქირებოდა, იქნება შევნიშნო ვინმეო, მაგრამ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო გარშემო. ერთხელ, როცა მოულოდნელად შემოტრიალდა, მოეჩვენა, ქალის თეთრმა კაბამ გაიფრიალა და ხეს მიეფარაო, მეორედ, ფეიქრის სახლიდან რომ გამოვიდა, ვიღაც გასხლტა და თავქვე დაეშვა. მესამედ, ტყეში ხატავდა და ცოტა ხნით წყაროზე ჩავიდა. მოლბერტთან დაბრუნებულს, სველ ტილოზე თითების ანაბეჭდი დახვდა.

მთელი ორი კვირა მოუნდა, ვიდრე ამ ქალს დაიჭერდა. ერთხელ მინდორში მიწისმხვნელებს ხატავდა, შორიახლოს ერთი ძველი, მიტოვებული ფურგონი ეგდო. ქალი ამ ფურგონს ამოფარებოდა. ვინსენტმა მოხვეტა თავისი ტილო და მოლბერტი და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს სახლში წასვლას აპირებდა. ქალი მაშინვე გატრიალდა. ვინსენტი უჩუმრად მიჰყვა უკან. ქალმა მათ მეზობლად მდგარ სახლში შეუხვია.

— ვინ ცხოვრობს ჩვენგან ხელმარჯვნივ, დედა? — იკითხა ვინსენტმა იმავე საღამოს, სადილობისას.

— ბეგემანების ოჯახი.

— ვინ არიან?

— არაფერი არ ვიცი. დედაა და ხუთი ქალიშვილი. მამა ალბათ გარდაეცვალათ.

— რა ხალხია?

— ვერ გეტყვი. მეტისმეტად კარჩაკეტილები უნდა იყვნენ.

— კათოლიკეები არიან?

— არა, პროტესტანტები. მამა მაგათი მღვდელი იყო.

— გოგოებიდან, რომელიმე ხომ არ არის გაუთხოვარი?

— ყველა გაუთხოვარია. რატომ მეკითხები?

— ისე, მაინტერესებს. ოჯახს ვინ არჩენს?

— არავინ. ალბათ შეძლებული ხალხია.

— რომელიმეს სახელი ხომ არ იცი?

— არა. — დედა გაოცებული შესცქეროდა ვინსენტს.

მეორე დღეს ისევ იმ ადგილას მივიდა მინდორში. უნდოდა, ლურჯხალათიანი გლეხები მოწეული ხორბლისა და წიფლის ხეების ფონზე დაეხატა. გლეხებს უხეში, შავი ხალათები ეცვათ, ლურჯად მოჩითული. მზისა და ქარისაგან გამოხუნებულ ტანსაცმელს მქრქალი, მშვიდი ფერი დასდებოდა და მათი კანის ფერს უფრო ხაზგასმით აჩენდა.

ჯერ შუადღეც არ იყო, რომ იგრძნო, როგორ წამოეპარა ის ქალი უკან. თვალის კუთხიდან შენიშნა, როგორ მოეფარა მისი კაბა მიტოვებულ ფურგონს.

— დღეს აუცილებლად უნდა დავიჭირო, — ჩაიბუტბუტა ვინსენტმა, — თუნდაც ამ სურათის შუაგზაზე მიტოვება დამჭირდეს.

ვინსენტს ჰეიზაუის პირველი შთაბეჭდილება ფუნჯის რამდენიმე მოსმით მარდად გადმოჰქონდა ტილოზე. ძველი ჰოლანდიური სურათებიც იმიტომ იტაცებდა, რომ ისინი სწრაფად იყო შესრულებული. დიდი მხატვრები რაიმე საგანს ერთი მოსმით ხატავდნენ და შემდეგ აღარ ასწორებდნენ. ხატვისას ჩქარობდნენ, რათა არ დაეკარგათ წარმოდგენაში შექმნილი პირველი შთაბეჭდილების ხატი და ის განწყობილება, რაც მათ ჩანაფიქრს ხორცს შეასხამდა.

შემოქმედებითი წვა მოეძალა და ქალი სულ გადაავიწყდა.

ერთმა საათმა განვლო. ვინსენტმა როგორღაც მიმოიხედა და დაინახა, რომ ქალს საფარველი მიეტოვებინა და ახლა ფურგონს უკან იდგა. იფიქრა, მოდი, ერთი ნახტომით იქ გავჩნდები, დავიჭერ და ვკითხავ რა უნდა, რას დამდევსო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოსწყდა სურათს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიიხედა; მისდა გასაოცრად, ქალი ახლა ფურგონის წინ იდგა და დაჟინებით უცქერდა. პირველად იყო, ასე სააშკარაოზე რომ გამოვიდა.

ვინსენტი გამალებული ხატავდა. რაც მეტი გულმოდგინებით მუშაობდა, მით უფრო უახლოვდებოდა ქალი და რაც უფრო მეტი ვნება იღვრებოდა ტილოზე, მით უფრო მოჯადოებულივით აშტერდებოდა აელვარებული თვალები მის ზურგს. ვინსენტმა ოდნავ მიაბრუნა მოლბერტი; რომ შუქი დასცემოდა სურათს და დაინახა, რომ ქალი ახლა მასა და იმ ფურგონს შორის იდგა. შელოცვილს ჰგავდა, თითქოს. მძინარე წამომდგარა და დადისო. ნელ-ნელა, უჩუმრად მოიწევდა მისკენ, თითქოს უკან დახევა უნდა, მაგრამ რაღაც მაგიური ძალა უნებლიეთ წინ-წინ ექაჩებაო. ვინსენტმა იგრძნო, უკვე ჩემს ზურგს უკან დგასო, ელვისებურად მოტრიალდა და სახეში შეხედა. შეშინებული, შეშფოთებული სახე ჰქონდა იმ ქალს. გეგონებოდათ, რაღაც გამოუცნობი გრძნობები მოსძალებია და ვერ მოუთოკავსო.

ქალი სურათს უცქერდა, ვინსენტს კი არა, ვინსენტი ელოდა, იტყვის რამესო, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს. ვინსენტი ისევ სურათს მიუბრუნდა და რამდენიმე ენერგიული მოსმით დაასრულა კიდეც. ქალი არ განძრეულა. ვინსენტი გრძნობდა, როგორ ეხებოდა ტანზე მისი კაბა.

მოსაღამოვდა. ქალი რამდენიმე საათს გაუნძრევლად იდგა.

ვინსენტს დაძაბულმა მუშაობამ არაქათი გამოაცალა. გასავათებული წამოდგა და ქალისაკენ შეტრიალდა.

ქალს პირი გაუშრა. ენით ჯერ ზედა ტუჩი მოისველა და მერე ქვედა. ალმურმოდებულ ტუჩებზე ნერწყვი მაშინვე შეაშრა, ცალი ხელი ყელზე მიეჭირა, თითქოს სული ეხუთებაო. რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა.

— მე ვინსენტ ვან გოგი ვარ, თქვენი მეზობელი, თუმცა ალბათ თქვენ ეს იცით.

— დიახ! — ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა მან.

— თქვენ ბეგემანების ერთ-ერთი ქალიშვილი ხართ, რა გქვიათ?

ქალი შეტორტმანდა და რომ არ წაქცეულიყო, ვინსენტს სახელოზე მოეჭიდა. გამშრალი ენით ისევ მოისველა ტუჩები და თავს ძალა დაატანა პასუხი გაეცა.

— მარგო.

— მერე, რას დამდევ, მარგო ბეგემან? აგერ უკვე რამდენი კვირაა რაც შეგნიშნე.

ყრუ ძახილი აღმოხდა მის ტუჩებს. ვინსენტის მკლავი შმაგად ჩაბღუჯა და გულწასული მიწაზე დაეცა.

ვინსენტმა დაიჩოქა, ცალი ხელი თავქვეშ ამოუდო, ხოლო მეორეთი თმა გადაუწია შუბლიდან. ჩამავალი მზე წითელ შუქს აფენდა მინდვრებს და გლეხები ზანტად მიეშურებოდნენ შინისაკენ. ვინსენტისა და მარგოს მეტი აქ არავინ იყო. ვინსენტი სახეზე დააცქერდა, ლამაზი არ ეთქმოდა ქალს. ოცდაათ წელს კარგად გადაცილებული იქნებოდა. ტუჩებთან, მხოლოდ მარცხენა მხარეს, ვიწრო ზოლი თითქმის კისრამდე ჩასდევდა.

ჭორფლიანი უპეები ჩალურჯებოდა. სახეზე უკვე ნაოჭებიც გასჩენოდა.

ვინსენტს ცოტაოდენი წყალი ჰქონდა მათარაში და ფუნჯების საწმენდი ნაჭრით სახე დაუსველა მარგოს. ქალმა თვალი გაახილა. ლამაზი თვალები ჰქონდა, მუქი თაფლისფერი, ალერსიანი, იდუმალებით სავსე. ვინსენტმა ახლა ხელი დაისველა და სახეზე მოუსვა. ამ შეხებამ შეაკრთო ქალი.

— უკეთა ხარ, მარგო?

ქალი გარინდებული იწვა და მის მომწვანო-ლურჯ თვალებს შესცქეროდა, ალერსით სავსეს, გულში ჩამწვდომსა და გამგებს.

შემდეგ თავი ვეღარ შეიკავა და გულამოსკვნით აქვითინდა.

მკლავები ყელზე შემოაჭდო ვინსენტს, მიიზიდა და მის მწითურ წვერში ჩარგო სახე.

4.

მეორე დღეს სოფლიდან მოშორებით, დანიშნულ ადგილას შეხვდნენ ერთმანეთს. მარგოს თეთრი ბატისტის, გულდახურული, ლამაზი კაბა ჩაეცვა, ხელში ჩალის ქუდი ეჭირა, ცოტა ნერვიულობდა, მაგრამ გუშინდელთან შედარებით თავშეკავებული გამოიყურებოდა. ვინსენტმა პალიტრა მაშინვე გვერდზე გადადო. ამ ქალს თუმცა ქეის დახვეწილი სილამაზისა არა ეცხო რა, მაგრამ ქრისტინასთან შედარებით მეტად მიმზიდველი იყო.

ვინსენტი ფეხზე წამოდგა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. მას არ მოსწონდა, როცა ქალს ტანზე კაბა ეცვა ქვედაწელი და ჟაკეტი გაცილებით ერჩივნა. ჰოლანდიელ ეგრეთწოდებული დარბაისელი მანდილოსნები არც დასახატად იტაცებდა და არც საცქერლად. ჩვეულებრივი მსახური გოგონა ერჩია, რადგან ძალიან ხშირად შარდენის ქალებს მიაგავდნენ.

მარგომ თითის წვერებზე აიწია და ისე უბრალოდ, ჩვეულებრივად აკოცა, თითქოს დიდი ხნის შეყვარებულები ყოფილიყვნენ და ათრთოლებული წუთით მიეკრო. ვინსენტმა პალტო გაუშალა ძირს, თვითონ კი სკამზე დაჯდა. მარგო მუხლზე დაეყრდნო და ისეთნაირად შეაცქერდა ვინსენტს, რომ ამდენი სითბო ჯერ არც ერთი ქალის თვალებში არ დაუნახავს.

— ვინსენტ! — ქალს მარტო სახელის წარმოთქმაც სიამოვნებას გვრიდა.

— რაო, მარგო, — ვინსენტმა არ იცოდა, რა ექნა ან რა ეთქვა.

— შენ ალბათ წუხელ ცუდი რამ იფიქრე ჩემზე.

— ცუდი? არა. რატომ უნდა მეფიქრა ცუდი?

— შენ არ დაიჯერებ, ვინსენტ, მაგრამ გუშინ, შენ რომ გაკოცე, ეს ჩემი პირველი კოცნა იყო.

— რატომ? ნუთუ არავინ გყვარებია ადრე?

— არა.

— სამწუხაროა.

— ჰოო? — ქალი წუთით გაჩერდა. — შენ ალბათ გიყვარდა ვინმე.

— ჰო.

— ბევრი?

— არა. მხოლოდ ... სამი.

— მათაც უყვარდი?

— არა, მარგო, მათ არა.

— რატომ მერე?

— სიყვარულში ბედი არასოდეს მქონია.

მარგო ახლოს მიუჩოჩდა და მკლავი მუხლზე ჩამოადო. მერე ხელი სიანცით მის სახეზე მოატარა ჯერ ზორბა, კეხიან ცხვირს შეეხო, შემდეგ ხორცსავსე, გაპობილ ტუჩებს და მკვრივ მრგვალ ნიკაპს. უცნაურმა ჟრუოლამ აიტანა და ხელი გასწია.

— რა ძლიერი ხარ, — ლუღლუღებდა ქალი, — ყველაფერი ღონიერი გაქვს, მკლავები, ნიკაპი, წვერიც. შენისთანა კაცი ჯერ არ მინახავს.

ვინსენტმა ორივე ხელი უხეშად სტაცა სახეზე. ქალის სიყვარული და მგზნებარება ვინსენტსაც გადაედო.

— ცოტა მაინც მოგწონვარ? — ქალი აღელვებული იყო.

— ჰო.

— გინდა მაკოცო?

ვინსენტმა აკოცა.

— ძალიან გთხოვ, ცუდად არ გამიგო, ვინსენტ. არ ვიცი, რა ვქნა. იცი, მე შენ...შემიყვარდი...და თავი ვერ შევიკავე.

— შეგიყვარდი? მართლა შეგიყვარდი? რატომ?

ქალი წამოიწია და ტუჩის კუთხეში აკოცა.

— აი ამიტომ.

გარინდებულნი ისხდნენ. იქვე შორიახლოს გლეხთა სასაფლაო იყო. აგერ უკვე რამდენი წელია ეს გლეხები იმ მიწის ქვეშ განისვენებდნენ, რომელსაც სიცოცხლეში სულ თხრიდნენ და ბარავდნენ, ვინსენტს ძალიან უნდოდა ნახატში ეთქვა, თუ რა ჩვეულებრივი რამაა სიკვდილი; ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც შემოდგომის ფოთოლცვენა. ოდნავ ამობურცული მიწა და ხის ჯვარი. სასაფლაოს კედლის იქით

მწვანედ აბიბინებულიყო მინდორი და ისე შორს გაჭიმულიყო, გეგონებოდა იქ, დასალიერზე, ცას შეერთებიაო.

— ჩემს შესახებ რამე თუ იცი, ვინსენტ, — წყნარად იკითხა ქალმა.

— ძალიან ცოტა.

— იმათ.. არავის უთქვამს შენთვის...ჩემი ასაკი?

— არა.

— მე ოცდაცხრამეტი წლისა ვარ და სულ მალე ორმოცის გავხდები. აგერ უკვე ხუთი წელია ვამბობ, ორმოც წლამდე თუ არავინ შემიყვარდება, თავს მოვიკლავ-მეთქი.

— სიყვარულზე ადვილი რა არის, მარგო?

— ასე გგონია?

— ჰო. მაგრამ ძნელი ის არის, შენც უყვარდე ვინმეს.

— არა. ნუენნში ეს ადვილი არ არის. უკვე ოცი წელია მინდა თავდავიწყებით შევიყვარო ვინმე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე.

— არასოდეს გყვარებია?

ქალმა გვერდზე მიიხედა.

— ერთხელ... როცა პატარა ვიყავი... ერთი ბიჭი მომწონდა, — ჰოო?

— ის კათოლიკე იყო და იმათ გააგდეს.

— იმათ?

— დედამ და დებმა.

ქალმა მუხლებზე დაიჩოქა, ლამაზი თეთრი კაბა სულ ამოესვარა თიხნარ მიწაში. ნიდაყვი მუხლებზე დააყრდნო და სახე ხელებში ჩარგო. ვინსენტის მუხლები ოდნავ ეხებოდა მის გვერდს.

— ქალის ცხოვრება ცარიელია, ვინსენტ, თუ მას სიყვარული არ გააჩნია.

— ვიცი.

— ყოველ დილით ვეუბნებოდი ჩემს თავს: „აი, დღეს ნამდვილად შევიყვარებ ვინმეს! სხვა ქალებს ხომ უყვართ, მე რა, მათზე ნაკლები ვარ?“ შემდეგ დაღამდებოდა და ისევ მარტო ვიყავი, უბედური. ასე გაუთავებლად მიედინებოდა ცარიელი, უღიმღამო დღეები. სახლში არაფერს ვაკეთებ, მსახურები გვყავს, და ყოველ წუთს სიყვარულს ველოდი. — საღამოთი ვფიქრობდი, გინდა მკვდარი ვყოფილიყავ და გინდა ცოცხალი, დღეს მაინც უქმად „ჩაიარა დღემ“. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე გამოჩნდება და შემიყვარდება-მეთქი. წლები მიჰქროდა, ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი, ორმოცი ახლოვდებოდა და სიყვარული კი არსად ჩანდა. მაგრამ შენ მოხვედი, ვინსენტ! ბოლოს და ბოლოს მეც ხომ შევიყვარე!

ეს გამარჯვების შეძახილს ჰგავდა. თითქოს რაღაც დიდი წარმატებისათვის მიეღწიოს. წამოიწია და ტუჩები მიუშვირა საკოცნელად. ვინსენტმა ფაფუკი თმა ყურს უკან გადაუწია.

ქალმა მკლავები ყელზე შემოაჭდო და ჩქარ-ჩქარა, მხურვალედ ჰკოცნიდა. მხატვრის პატარა სკამზე. იჯდა ვინსენტი, პალიტრა გვერდზე გადაედო, წინ სასაფლაო იყო, გვერდით მუხლმოყრილი ქალი, რომლის მოზღვავებულმა ვნებამ ერთიანად შთანთქა იგი და სიცოცხლეში პირველად იგემა ქალის მათრობელა

სიყვარულის ძალა. ცახცახმა აიტანა, რადგან გრძნობდა, თუ რაოდენ წმინდა იყო ეს გრძნობა.

მარგო მის ფეხებთან, მიწაზე დაეშვა და თავი მუხლებზე მიაყრდნო. სახეზე ალმური მოსდებოდა და თვალები უბრწყინავდა. სუნთქვა უჭირდა. სიყვარულისაგან აღგზნებულს ოცდაათ წელზე მეტს არ მისცემდი. ვინსენტი გაოგნებული ეფერებოდა ხელით მის ნაზ სახეს. მარგომ ხელი დაუჭირა, აკოცა და გავარვარებულ ლოყაზე მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

— მე ვიცი, რომ შენ არ გიყვარვარ. — ქალი წყნარად ლაპარაკობდა, — ამის მოთხოვნა მეტისმეტი იქნებოდა ღმერთს მხოლოდ იმას ვემუდარებოდი, მე შემაყვარე-მეთქი. იმაზე ოცნებასაც ვერ ვბედავდი, რომ შეიძლება ვინმემ მეც შემიყვაროს.

მთავარია შენ გიყვარდეს, ხომ მართალია, ვინსენტ. ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თვითონ უყვარდე სხვას.

ვინსენტის მეხსიერებაში ურსულა და ქეი ამოტივტივდა.

— ჰო.

ქალი ლურჯ ცას შესცქეროდა და ვინსენტის მუხლს თავს უხახუნებდა.

— ნებას მომცემ, შენთან ვიყო? თუ ლაპარაკი ხელს გიშლის, წყნარად ვიჯდები და კრინტსაც არ დავძრავ. ოღონდ, ნება მომეცი შენს გვერდით ვიყო. პირობას გაძლევ, მუშაობაში ხელს არ შეგიშლი.

— რა თქმა უნდა, შეგიძლია წამოხვიდე. მაგრამ ერთი ეს მითხარი, მარგო, თუკი ნუენნში კაცები არ არიან, რატომ არ წახვედი აქედან? ცოტა ხნით მაინც წასულიყავი სადმე. თუ ფული არა გაქვთ?

— როგორ არა, ფულის მეტი რა გვაქვს. პაპაჩემმა დიდძალი ქონება დაგვიტოვა.

— წასულიყავი ამსტერდამში ან ჰააგაში. იქ ვინმეს გაიცნობდი.

— არ გამიშვეს.

— შენი დები არც ერთი არ არის გათხოვილი, არა?

— არა, ძვირფასო, ხუთივე გაუთხოვრები ვართ.

ვინსენტს თითქოს დენმა დაუარა. ძვირფასო, პირველად გაიგონა ქალისაგან. გამოსცადა, რა მწარეა, როცა ვიღაც გიყვარს, ხოლო ის კი შენს გრძნობებს არ პასუხობს, მაგრამ არ იცოდა რა ტკბილია, როცა ასეთი კარგი ქალი მთელი თავის არსებით შეგიყვარებს. მარგოს სიყვარული მისთვის რაღაც საოცარი შემთხვევითობა იყო, რაშიც ვინსენტს არავითარი წილი არ მიუძღოდა თითქოს. ამ ერთმა, უბრალო სიტყვამ, ასე თბილად და ტკბილად ნათქვამმა, მთელი გონება აუფორიაქა, მარგო თავისკენ მიიზიდა და გულში ჩაიკრა მისი ათრთოლებული სხეული.

— ვინსენტ, ვინსენტ, — ჩურჩულებდა ქალი, — ძალიან მიყვარხარ.

— რა უცნაურად ჟღერს როცა ამბობ მიყვარხარო.

— ჩემი მოლოდინის წლებს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს.

შენ ღირდი ამდენ ლოდინად, ჩემო კარგო, ძვირფასო. ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება ვინმე ისე შემყვარებოდა, როგორც ახლა შენ მიყვარხარ.

— მეც მიყვარხარ მარგო, — უთხრა ვინსენტმა.

მარგომ ოდნავ დაიწია უკან.

— ნუ ამბობ მაგას, ვინსენტ. შეიძლება, დრო რომ გავა, მერე ცოტა მოგეწონო. ახლა ერთადერთი იმას გთხოვ, ნება მომეცი, მე მიყვარდე.

ქალი ხელიდან გაუსხლტა. პალტო მის გვერდით, მიწაზე გაშალა და ზედ დაჯდა.

— იმუშავე, ძვირფასო, ხელი არ უნდა შეგეშალოს. მიყვარს მუშაობისას შენი ყურება.

5.

თითქმის ყოველდღე დაჰყვებოდა მარგო ვინსენტს. ხანდახან მთელი ათი კილომეტრის გავლა უწევდათ, ვიდრე ვინსენტი შესაფერ ადგილს იპოვნიდა დასახატად და სახლში სიცხისაგან გასავათებული და დაქანცული ბრუნდებოდნენ. მარგოს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური. ქალი საოცრად შეიცვალა. მონაცრისფერო ყავისფერი თმა ღია წაბლისფერი გაუხდა და უბზინავდა. თხელი, უფერული ტუჩები ახლა ხორცსავსე, წითელ ბაგეებად ექცა. მშრალი, თითქმის დანაოჭებული კანი დაურბილდა, თბილი და სასიამოვნო გაუხდა. თვალებში სხივი ჩაუდგა, მკერდი გაევსო, ხმაშიც მეტი სიცოცხლე დაეტყო. მარდად და მტკიცედ მიაბიჯებდა. სიყვარულმა უცნაური გაზაფხული ააყვავა მასში და მის ნექტარს დაწაფებული ნახევრად მთვრალს ჰგავდა. სულ იმას ცდილობდა, ვინსენტისათვის რითიმე ესიამოვნებინა. ხან საუზმეს წაუღებდა მინდორში, ხან პარიზიდან რომელიმე რეპროდუქციას გამოუწერდა, რასაც აღფრთოვანებული ვინსენტი ლაპარაკში სრულიად შემთხვევით ახსენებდა და არასოდეს უცდია ხელი შეეშალა მუშაობაში. როცა ვინსენტი ხატავდა, ქალი გასუსული გვერდით ეჯდა. იმავე შმაგი ჟინით შეპყრობილი, რასაც ვინსენტი თავის ნახატებში აქსოვდა.

მარგოს მხატვრობისა არა გაეგებოდა რა, მაგრამ ყველაფერში ჩაწვდომის საოცარი ალღო ჰქონდა. უდროო დროს და უადგილო ადგილას არას იტყოდა. ვინსენტის აზრით, მარგოს ქვეცნობიერი ალღო ჰქონდა. მის წარმოდგენაში ქალი კრემონის ვიოლინოს ჰგავდა, რომელიც ბრიყვი ხელოსნების ხელში აწყობის მაგივრად უარესად მოშლილიყო.

— ნეტავი ათი წლის წინ მაინც შემხვედროდა, — ფიქრობდა ვინსენტი.

ერთხელ, როცა ვინსენტს ის-ის იყო, ახალი სურათი უნდა დაეწყო, მარგომ ჰკითხა!

— რატომ გგონია, რომ აი ეგ პეიზაჟი, რომელიც ახლა აირჩიე, კარგი გამოვა ტილოზე?

ვინსენტი ჩაუფიქრდა.

— ვისაც მუშაობა უნდა, დამარცხება არ უნდა აშინებდეს.

როცა ვხედავ, რა უაზროდ მომჩერებია სუფთა ტილო, მინდა ყველაფერი ხელდახელ გადმოვიტანო ზედ.

— მართლაც რომ ხელდახელ იცი ხატვა. არაფერი მინახავს ისე სწრაფად იქმნებოდეს, როგორც შენი სურათები.

— სხვანაირად არ გამოდის. ცარიელი ტილო პირდაპირ მაგიჟებს. ასე მგონია, მიყურებს და მეუბნება, შენ არაფერი არ იცი, არაფერი გეხერხებაო.

— თითქოს გიწვევს, არა?

— ჰო. ამ სუფთა ტილოს მე უნიჭო და სულელი ვგონივარ, მაგრამ ისიც ვიცი, თუ როგორ უფრთხის იმ გაბედულ მხატვარს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ სძლია ჯადო-სიტყვას „არ შეგიძლია“. ცხოვრებაც ასეა, მარგო, ადამიანს იგი უაზრო, უნუგეშო და უიმედო სიცარიელედ აჩვენებს თავს, ზუსტად ისევე, როგორც აი ეს ტილო.

— ჰო, მართლაც რომ ასეა, არა?

— მაგრამ ვისაც სწამს და ამასთან ძალ-ღონეც მოსდევს, ეს სიცარიელე რას შეაშინებს. იგი წინ მიიწევს, მოქმედებს, აშენებს და ბოლოს და ბოლოს ეს თეთრი სიცარიელე ჭრელი ცხოვრების ათასფერ სახეს იღებს.

ვინსენტი ბედნიერი იყო მარგოს სიყვარულით. ქალს არასოდეს უძებნია მასში რაიმე ნაკლი. რაც არ უნდა გაეკეთებინა ვინსენტს, მარგოს ყველაფერი სწორად მიაჩნდა. ერთხელაც არ წამოსცდენია, რა ტლანქი მიხრა-მოხრა გაქვს, რა ხრინწიანი ხმა; ან რა ულამაზო ცხვირ-პირიო. არც იმას საყვედურობდა, რა არის, ფულის შოვნა სულ არ შეგიძლიაო. ერთი სიტყვით, მარგოს სხვა არა უნდოდა რა ოღონდ კი ეხატა ვინსენტს როცა შებინდებისას სახლისკენ გასწევდნენ, ვინსენტი წელზე ხელს მოხვევდა და ალერსიანად უყვებოდა თავისი ცხოვრების ავ-კარგს, უხსნიდა, რატომაა, რომ მას ერთი უბრალო გლეხის ხატვა ურჩევნია, ვიდრე რომელიმე წარჩინებული პირის ან რატომ მოსწონს გლეხი გოგონას ჭუჭყიანი, დაკერებული ლურჯი კაბა უფრო მეტად, ვიდრე დარბაისელი მანდილოსნის სამოსი.

მარგო არაფერს ეკითხებოდა და ყველაფერზე თავს უქნევდა.

ვინსენტი არ ცდილობდა კარგად მოეჩვენებინა თავი და მარგოს უყვარდა იგი ისეთი, როგორიც იყო.

ვერ იქნა და ვერ მიეჩვია თავის ახალ მდგომარეობას ვინსენტი. ყოველდღე ელოდა, საცაა ბოლო მოეღება ჩვენს ურთიერთობასო. მარგო შეიცვლება, ბრაზიანი და მკაცრი გახდება და რაც ნაკლი მაქვს, ყველას ერთად მომახლისო. მაგრამ მარგოს ზაფხულის სიცხესთან ერთად კიდევ უფრო გაუღვივდა სიყვარული. ისეთი სისავსით უყვარდა ვინსენტი, როგორც მხოლოდ მოწიფულ ქალს ძალუძს. ვინსენტს აწუხებდა ის, რომ ქალი ცუდს ვერაფერს ხედავდა მასში და ცდილობდა თვითონვე გამოეწვია ეს გრძნობა. ამიტომ იყო, რომ რამდენადაც შეეძლო, მუქ ფერებში დაუხატა მთელი თავისი უკუღმართი ცხოვრება.

მაგრამ ქალის თვალში ეს უკუღმართობა კი არ იყო, არამედ, მიზეზი მისი ქცევისა.

— ვინსენტმა უამბო, რა მარცხი იგემა ამსტერდამსა და ბორინაჟში.

— აი, რა იყო დამარცხება, — უთხრა ვინსენტმა — რაც გავაკეთე, ყველაფერში შევცდი, ხომ ასეა?

ქალმა ალერსიანად გაუღიმა.

— მეფე არასოდეს არ შეცდება.

ვინსენტმა აკოცა.

მეორე დღეს მარგომ უთხრა:

— დედაჩემი შენზე მეუბნება, გაფუჭებული კაციაო. გაუგია, ჰააგაში ვიღაც მეძავებთან ჰქონდა კავშირიო მე ვუთხარი, ეს ბოროტი ხალხის მონაჭორი იქნება-მეთქი — ვინსენტმა ქრისტინას ამბავი უამბო მარგოს ისევ ის ძველი სევდა და ნაღველი ჩაუდგა გულში, რაც სიყვარულმა განუდევნა.

— იცი რა, ვინსენტ, შენ რაღაცით იესო ქრისტეს მაგონებ.

ალბათ, მამაჩემიც ასე იფიქრებდა შენზე.

— ამის მეტი ვერაფერი იპოვნე სათქმელი, მას მერე, რაც გითხარი, ორი წელი მეძავთან ვცხოვრობდი-მეთქი?

— ის შენი ცოლი იყო და არა მეძავი. შენ მას ვერაფრით უშველე, მაგრამ აბა, რა შენი ბრალია. არც იმაში ხარ დამნაშავე, რომ ბორინაჟელებსაც ვერაფერში გამოადექი, ხომ გაგიგონია, მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო.

— მართალია, ქრისტინა ცოლი იყო ჩემი. ჩემს ძმას, თეოს ვეუბნებოდი ახალგაზრდობაში, თუ კარგ ცოლს ვერ შევირთავ, მაშინ ცუდს მოვიყვან-მეთქი. სულ არარაობას ცუდი არა სჯობს!

ცოტა არ იყოს, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ეს პირველად იყო ქორწინება რომ ახსენეს.

— იცი, ერთადერთი, გული რაზე მწყდება, — უთხრა მარგომ, — ნეტავი ქრისტინასთან გატარებული ის ორი წელიც ჩემი ყოფილიყო.

ვინსენტი აღარ ცდილობდა მარგოს სიყვარულს წინ აღდგომოდა და ბოლოს მიიღო ეს სიყვარული.

— ახალგაზრდობაში, მარგო, ხშირად ვფიქრობდი, ყველაფერი ბედია მეთქი, რაღაც შემთხვევითობა, ან გაუგებრობა, რასაც არავითარი მიზეზი არ გააჩნია. მაგრამ რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ყველაფერს ბევრად უფრო ღრმა და სერიოზული საფუძველი აქვს. ადამიანების უმრავლესობის ხვედრია, რაღაც განგებით დიდხანს ეძებოს სინათლე.

— როგორც მე შენ გეძებდი.

ამასობაში მქსოველის დაბალ კარს მიადგნენ. ვინსენტმა ხელი მოუჭირა ხელზე. მარგომ გაუღიმა ერთგული, სათნო ღიმილით. ვინსენტი ფიქრობდა, ამდენი წლის განმავლობაში ნეტავი რატომ შემომწყრა ბედი და ეს სიყვარული დამაკარგვინაო. ისლით გადახურულ ქოხში კარი შეაღეს. ზაფხული შემოდგომამ შეცვალა და დღეები ისე კაშკაშა აღარ იყო. ოთახში, დაზგის თავზე ლამპა ჩამოეკიდნათ. რაღაც წითელ ნაჭერს ქსოვდნენ. ფეიქარი და მისი ცოლი ძაფს ასწორებდნენ სინათლის შუქზე. მათი შავი, მოხრილი სხეულები ცხადად იკვეთებოდა უკვე მოქსოვილი წითელი ნაჭრის ფონზე და გრძელ ჩრდილებად ეფინებოდა დაზგის ძელსა და კადონებს. მარგომ და ვინსენტმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. ვინსენტმა ასწავლა ქალს თუ როგორ შეენიშნა ამ ღარიბ ქოხებში მიჩქმალული სილამაზე.

ნოემბერში, ფოთოლცვენისას, როცა ხეები სრულიად გაშიშვლდა, მთელს ნუენენში მარგოსა და ვინსენტის მეტი არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო. სოფელს უყვარდა მარგო, ვინსენტს კი არ ენდობოდნენ და ეშინოდათ კიდეც მისი. მარგოს დედა და ოთხი და რა ღონეს არ ხმარობდნენ, ოღონდ ერთმანეთისთვის დაეცილებინათ ისინი. მარგო ამბობდა, ჩვენ მეგობრები ვართ, მეტი არაფერი და რას ხედავთ იმაში ცუდს, რომ მინდორში ერთად დავხეტიალობთო. ბეგემანების თვალში მაწანწალა იყო ვინსენტი. ელოდნენ, აიკრეფს თავის გუდანაბადს და მალე აიბარგება აქედანო. ასე რომ, დიდად მაინც არ სწუხდნენ. სოფელი კი მართლაც ძალიან სწუხდა. ერთთავად იმას გაიძახოდნენ, ეს უცნაური ვან გოგი კარგს არაფერს იზამს და ბეგემანები ინანებენ, თუ ქალიშვილი დროზე არ გამოგლიჯეს ხელიდანო.

ვინსენტს უკვირდა, რატომ ვეჯავრები ყველასო. ხალხისაგან შორს იყო, ვნება არავისთვის მოჰქონდა. აინუნშიაც არ მოსდიოდა, თუ რამდენად შეუფერებელი იყო იგი ამ მიყრუებული, პატარა სოფლისათვის, სადაც საუკუნეების განმავლობაში არა იცვლებოდა რა.

გაიგო თუ არა, რომ აქაურები მას მუქთახორად თვლიდნენ, სულ ჩაიქნია მათზე ხელი. ერთხელ მედუქნე დინ ვან ბეკმა გზაზე გამოსძახა ვინსენტს, თითქოს მთელი სოფლის სახელით უნდოდა მისი გამოწვევა.

— შემოდგომა მოვიდა და ამინდი გაფუჭდა, ა?

— დიახ.

— ალბათ, მალე თქვენც მუშაობას შეუდგებით, ა?

ვინსენტმა მოლბერტი შეისწორა ზურგზე.

— დიახ. აი ახლაც მინდორში მივდივარ.

— არა, მე მუშაობაზე გეუბნებით, — უთხრა მედუქნემ, — ნამდვილ მუშაობაზე, რასაც თქვენ მთელი წელია ეწევით.

— ჩემი მუშაობა მხატვრობა გახლავთ — მშვიდად მიუგო ვინსენტმა.

— მე მგონი, მუშაობა ნიშნავს იმას, რაშიც ფულს გაძლევენ, საქმიანობას.

— როგორც ხედავთ, მინჰერ ვან დენ ბეკ, მინდორში სიარული ისეთივე საქმიანობაა ჩემთვის, როგორც ვაჭრობა თქვენთვის.

— დიახ, მაგრამ მე ჩემს საქონელს ვყიდი! აი, თქვენ ყიდით, რასაც ხატავთ?

ყველა, ვისთანაც კი ვინსენტს რაიმე საერთო ჰქონდა სოფელში, ამ კითხვას უსვამდა. ვინსენტს უკვე აღარ შეეძლო ამის მოსმენა.

— ვყიდი, ხანდახან. ჩემი ძმა სურათებით ვაჭრობს და ის ყიდულობს ხოლმე.

— მუშაობას მოჰკიდეთ ხელი, მინჰერ. სიზარმაცე არას გარგებთ. რომ დაბერდებით ვინ უნდა გარჩინოთ?

— სიზარმაცე?! მე ხომ თქვენზე ორჯერ მეტს ვმუშაობ — რას ჰქვია მუშაობა, ჯდომას და თხიპვნას? ასე ბავშვები ერთობიან. დუქანში ვაჭრობა, ხვნა, თესვა — აი, რა შეგფერის.

ამხელა კაცი ბავშვი ხომ არა ხარ, ტყუილად რომ კარგავ დროს!

ვინსენტმა კარგად იცოდა რომ დინ ვან ბეკის პირით ახლა მთელი სოფელი მეტყველებდა და რომ ამ გაუთლელი ხალხისათვის მუშა და ხელოვანი ორი სხვადასხვა მცნება იყო. მისთვის სულ ერთი გახდა, რას ლაპარაკობდნენ ისინი და გზაზე შემხვედრთ თითქმის ვერც ამჩნევდა. როცა ის იყო, ნუენენელების უნდობლობამ უკიდურესობას მიაღწია, მოულოდნელად უბედურება დაატყდა ვინსენტს, რამაც სრულიად შესცვალა მისდამი დამოკიდებულება.

ჰელმონდის სადგურზე, მატარებლიდან ჩამოსვლისას. ანა კორნელიამ ფეხი მოიტეხა. ქალი მაშინვე სახლში გააქანეს.

ექიმმა ოჯახის წევრებს დაუმალა, მაგრამ შიშობდა, რომ ეს შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ვინსენტს ბევრი არ უფიქრია, მაშინვე ანება ხატვას თავი. ბორინაჟში კარგი გაკვეთილი მიიღო ავადმყოფის მოვლაში. ექიმმა უყურა, უყურა და ბოლოს უთხრა:

— რომელი ქალი მოუვლის ასე. ვხედავ, დედათქვენი სანდო ხელს აბარია.

ნუენენის მკვიდრნი რამდენადაც ულმობელნი სჩანდნენ განკითხვისას, იმდენად მეტი სიკეთე გამოიჩინეს გაჭირვების ჟამს.

მოდიოდნენ ვან გოგებთან ტკბილეულითა და წიგნებით დატვირთულნი და ნუგეშს სცემდნენ. ყველანი განცვიფრებით შესცქეროდნენ ვინსენტს. იგი დედამისს თეთრეულს უცვლიდა, თავის ხელით ბანდა, აჭმევდა, თაბაშირიან ფეხს უსწორებდა.

ორი კვირა გავიდა და მთელი ნუენენი უკვე სხვა თვალით უყურებდა ვინსენტს. ვინც კი მოვიდოდა, ვინსენტი ყველას თავისი ტოლივით ელაპარაკებოდა და მათთან ერთად მსჯელობდა, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან უბედურება, რა კვება სჭირდება ავადმყოფს, რამდენად უნდა იყოს გამთბარი ოთახი.

ამგვარი საუბრით დაუახლოვდნენ ვინსენტს და მიხვდნენ, რომ ვინსენტიც მათსავით ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ანა კორნელია ცოტა მომჯობინდა და ვინსენტი ყოველდღე გამოსძებნიდა ხოლმე ცოტა თავისუფალ დროს, რომ ისევ ხატვისთვის მოეკიდა ხელი. მეზობლები უღიმოდნენ, სახელს უძახდნენ. ქუჩაში რომ მიდიოდა, უკვე აღარავინ უთვალთვალებდა ფარდას ამოფარებული.

მარგო გვერდიდან არ მოსცილებია ვინსენტს. იგი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ვინსენტის ასეთი გულისხმიერება არ აოცებდა. ერთხელ ავადმყოფის ოთახში ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— ადამიანის ანატომიის ცოდნა ბევრი რამის გასაღებია, — ეუბნებოდა ვინსენტი, მაგრამ მისი სწავლა ფული ღირს. არის ერთი შესანიშნავი წიგნი, ჯონ მარშალის „ანატომია მხატვრებისათვის“, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს.

— შენ ფული არა გაქვს?

— არა, და არც მექნება, ვიდრე სურათების გაყიდვას არ დავიწყებ.

— იცი რა, ვინსენტ, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს თუ შენ ნებას მომცემ მე გასესხო ფული. ხომ იცი, სისტემატური შემოსავალი მაქვს და ვერასოდეს ვერ ვახერხებ მის გამოყენებას.

— შენ ძალიან კეთილი ხარ, მარგო, მაგრამ არ შემიძლია.

მარგოს აღარ დაუჟინია, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ვინსენტს ჰააგიდან მიღებული ამანათი გადასცა.

— ეს რა არის? — იკითხა ვინსენტმა.

— გახსენი და ნახავ.

ზონარში პაწაწინა ბარათი იყო ჩატანებული. ამანათში მარშალის წიგნი იდო, ხოლო ბარათში ეწერა „მოგილოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერებას გისურვებთ“.

— ჩემი დაბადების დღე რომ არ არის დღეს! — წამოიძახა ვინსენტმა — არა, — გაიცინა მარგომ, — ჩემია! ორმოცი წლის გავხდი, ვინსენტ, შენ მე სიცოცხლე მაჩუქე. აჰა, ძვირფასო, ახლა შენ გამომართვი ეს. დღეს მე ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა შენც ბედნიერი იყო.

ისინი ვინსენტის სახელოსნოში ისხდნენ, ბაღში. სახლში არავინ იყო, ვილემინა დედას ადგა თავზე, საღამო ხანი იყო.

ჩამავალი მზე თავის უკანასკნელ სხივებს ჰფენდა თეთრად შეღებილ კედლებს. ვინსენტი ნაზად შეეხო წიგნს. პირველად იყო, თეოს გარდა ვიღაც სხვა რომ ცდილობდა ესიამოვნებინა მისთვის. წიგნი საწოლზე ისროლა და მარგოს მოეხვია. ქალს სიყვარულმა ოდნავ დაუნისლა თვალები. რამდენიმე თვე იყო, რაც მინდორში ერთმანეთს ძველებურად ვეღარ ეფერებოდნენ.

ეშინოდათ, ვინმემ არ დაგვინახოსო. მარგო მუდამ მთელი არსებით, გულწრფელად ენდობოდა ვინსენტის ალერსს. უკვე ხუთი თვე გავიდა, რაც ქრისტინას დაშორდა. ვინსენტს არ უნდოდა თავისთვის იმდენი უფლება მიეცა, რაც მარგოს და მის სიყვარულს რითიმე დაამცირებდა.

ვინსენტმა თაფლისფერი, ჭკვიანი თვალები დაუკოცნა. ქალმა გაუღიმა, შემდეგ თვალები მილულა და ვინსენტი მის გაპობილ ბაგეს დაეწაფა. მათი სხეულები მაგრად ეკვროდნენ ერთმანეთს. საწოლი იქვე იდგა და ზედ ჩამოსხდნენ. ჩახვეულებს სულ გადაავიწყდათ, რომ უსიყვარულოდ ბევრი, ძალიან ბევრი წელი გაეტარებინათ.

მზე ჩავიდა და შუქი აღარ კიაფობდა თეთრ კედელზე. ოთახი ბინდში ჩაიძირა. მარგო სახეზე ეფერებოდა და სიყვარულმოძალებული რაღაცას ლუღლუღებდა. ვინსენტი გრძნობდა, რომ იგი სადღაც უფსკრულისკენ გაექანა, რასაც კარგი არაფერი მოჰყვებოდა. სასწრაფოდ გაუსხლტა მარგოს ხელიდან და ზეზე წამოხტა, შემდეგ მოლბერტს მიეჭრა და დაწყებული ნახატი ხელში მოკუჭა. სიჩუმეს მხოლოდ აკაციის ხეში მიმალული კაჭკაჭის ჩხავილი და შინისაკენ მიმავალი ძროხების ზანზალაკების წკრიალი არღვევდა. ცოტა ხნის შემდეგ მარგომ წყნარად, უბრალოდ უთხრა:

— ძვირფასო. თუ შენ გინდა, ყველაფრის უფლება გაქვს.

— რატომ? — ვინსენტი არ მობრუნებულა.

— იმიტომ, რომ მიყვარხარ.

— არ შეიძლება.

— მე შენ უკვე გითხარი, ვინსენტ, მეფე არასოდეს არ შეცდება.

ვინსენტმა ცალ მუხლზე დაიჩოქა. მარგოს ბალიშზე მიედო თავი. ვინსენტს ისევ ის ნაოჭი მოხვდა თვალში, მარჯვენა ლოყას რომ გასდევდა და ზედ აკოცა. შემდეგ ნაზად დაუკოცნა მთელი სახე, ცხვირის ფართო ნესტოები და ტუჩები მის ათი წლით გაახალგაზრდავებულ სახეს გაუხახუნა. ვინსენტის ყელზე შემოჭდობილი მარგო ამ ბინდბუნდში ოცი წლის ლამაზ გოგონას ჰგავდა.

— მეც მიყვარხარ, მარგო, — უთხრა ვინსენტმა, — ადრე ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ასეა.

— რა კარგი ხარ, რომ მეუბნები, ძვირფასო, — მინაბული ჩურჩულებდა ქალი. — ვიცი, რომ შენ სულ ცოტათი მოგწონვარ. მე კი ძალიან მიყვარხარ. ჩემთვის ესეც საკმარისია.

ურსულა და ქეისავით რა თქმა უნდა, არ ჰყვარებია მარგო.

ის კი არა და ქრისტინაც უფრო მეტად უყვარდა, მაგრამ ამ ქალისადმი, რომელიც ასე მინდობოდა მის მკლავებს, რაღაც თბილი და სასიამოვნო გრძნობა ჰქონდა. იცოდა, ადამიანებს შორის არ არსებობს ურთიერთობა, რაშიც სიყვარული არ ერიოს და გული სტკიოდა, რატომაა, რომ იმ ერთადერთი ქალისადმი, რომელსაც ასე თავდავიწყებით ვუყვარვარ, ყველაზე ნაკლები გრძნობა მაქვსო. ის იარა, რაც ურსულას და ქეის უპასუხო სიყვარულმა დაუტოვა, ჯერაც არ მოშუშებოდა. ვინსენტი პატივს სცემდა მარგოს უსაზღვრო სიყვარულს, მაგრამ რაღაც უცნაური ზიზღის გრძნობა აეკვიატა. ამ ბნელ ოთახში, სადაც იგი დაჩოქილი იდგა და ხელი იმ ქალის თავქვეშ ამოედო, ვისაც იგი ისე ძლიერ უყვარდა, როგორც მას ურსულა და ქეი, მიხვდა ვინსენტი თუ რატომ შეაქცია იმ ორმა ქალმა მას ზურგი.

— მარგო, ჩემი ცხოვრება არც ისე იოლია, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუ მას ჩემთან ერთად გაიზიარებ.

— სიამოვნებით გავიზიარებ, ძვირფასო.

— ჩვენ შეგვიძლია ნუენენში დაგრჩეთ, თუ სჯობს დავქორწინდებით თუ არა, წავიდეთ აქედან?

ქალმა ალერსიანად გაუხახუნა თავი მის ხელს.

— როგორ თქვა რუთმა — „სადაცა იყოფოდე შენ, ვიყოფოდე მეცა შენ თანა“.

6.

მეორე დღეს, სრულიად მოულოდნელად, როდესაც ორივემ თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა ოჯახს საშინელი ჭექაქუხილი ატყდა. ვან გოგების ოჯახში მთავარი დაბრკოლება ფული იყო. როგორ შეიძლება ვინსენტმა ცოლის შერთვაზე იფიქროს, როცა თვითონ თეოს კმაყოფაზეა.

— ჯერ ფულის შოვნა და გზის გაკაფვა გჭირდება ცხოვრებაში, შემდეგ კი შეიძლება დაქორწინდე კიდეც, — უთხრა მამამ.

— თუ მე გზა ჩემი ხელოვნების ჭეშმარიტებით გავიკაფე, კაი დროს მივიღებ ფულს, — უპასუხა ვინსენტმა.

— ჰოდა, ცოლიც მაშინ შეირთე, ახლა არა.

მაგრა ვან გოგების მღელვარება რა შედარება იყო იმ ორომტრიალთან, რაც მათ მეზობლად, ქალებთან ხდებოდა. ბეგემანების ხუთი გაუთხოვარი ქალიშვილი გაჭირვებაში მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს. სოფლის თვალში ახლა მარგოს გათხოვება დანარჩენი დების დამარცხება იქნებოდა, ამიტომ, დედამ გადასწყვიტა, ოთხის გაუბედურებას სჯობს ერთმა თქვას ბედნიერებაზე უარიო.

იმ დღეს მარგო აღარ გაჰყვა გლეხების დასახატად. საღამოთი სახელოსნოში მიაკითხა ვინსენტს თვალებდაწითლებულმა და ქუთუთოებშესიებულმა. ახლა უკვე ემჩნეოდა, რომ ორმოცი წლის იყო. ქალი სასოწარკვეთილი ჩაეკრა ვინსენტს.

— მთელი დღეა შენ გლანძღავენ, — უთხრა მან. — ვერ წარმომიდგენია, ადამიანს ამდენი ცუდი ჩაედინოს და ცოცხალი იყოს.

— ხომ იცოდი, რომ ასე იქნებოდა.

— ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, ასე თუ გაგიმეტებდნენ.

ვინსენტმა ნაზად მოხვია ხელი და ლოყაზე აკოცა.

— თქვენებს მე მოვუვლი, — უთხრა ვინსენტმა. — ამაღამ ნავახშმევს მოვალ და ვეცდები დავარწმუნო, რომ არც ისე ურიგო კაცი ვარ.

ბეგემანებთან შეაბიჯა თუ არა, მყისვე იგრძნო, რომ მტრულ გარემოცვაში მოხვდა. ავის მომასწავებელი ატმოსფერო გამეფებულიყო აქ, ექვსი ქალის სამფლობელოში, სადაც არასოდეს გაისმოდა კაცის ძლიერი ხმა და ვაუკაცური ნაბიჯები.

სასტუმრო ოთახში მიიღეს. ცივ ოთახში შმორის სუნი იდგა.

რამდენიმე თვე ისე გავიდოდა, აქ არავინ შემოიხედავდა. ვინსენტმა ოთხივე დის სახელი იცოდა, მაგრამ სახეზე არც ერთს არ იცნობდა. ყველანი მარგოს ცოცხალ კარიკატურას მიაგავდნენ. უფროსმა დამ, რომელიც ოჯახს მეთაურობდა, თავის თავზე აიღო ვინსენტის დაკითხვა.

— როგორც მარგომ გვითხრა, მისი ცოლად თხოვნა გადაგიწყვეტიათ, ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა მოუვიდა თქვენს ცოლს, ჰააგაში რომ გყავდათ?

ვინსენტი ქრისტინას ამბავს მოჰყვა. ატმოსფერო კიდევ უფრო დაიძაბა.

— რამდენი წლისა ხართ, მინჰერ ვან გოგ?

— ოცდათერთმეტის.

— გითხრათ თუ არა მარგომ, რომ იგი...

— დიახ, ვიცი რამდენი წლისაც არის.

— ნება მომეცით გკითხოთ, რა შემოსავალი გაქვთ თვეში?

— ასორმოცდაათი ფრანკი.

— რა წყაროებიდან გაქვთ ეს შემოსავალი?

— ძმა მიგზავნის.

— ესე იგი, ძმა გარჩენთ!

— არა, ხელფასს მაძლევს, სამაგიეროდ რასაც ვხატავ, მას ეკუთვნის.

— რამდენი სურათი აქვს ჯერ გაყიდული?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი.

— სამაგიეროდ მე ვიცი. მამათქვენს თუ ვერწმუნებით, თქვენს ძმას ჯერ ერთი სურათის გაყიდვაც ვერ მოუხერხებია.

— არ გაუყიდია და გაყიდის. მომავალში მათ მეტი ფასი ექნებათ, ვიდრე ახლა.

— მერე რა იქნება, არავინ იცის. სჯობს ფაქტებით ვილაპარაკოთ.

— ვინსენტი უფროსი დის კუშტ, ულამაზო სახეს დააცქერდა.

არა, ამისაგან თანაგრძნობის არავითარი იმედი არ არის.

— მაშ ასე: შემოსავალი არა გაქვთ. — განაგრძო ქალმა. — ნება მომეცით გკითხოთ, რით აპირებთ ცოლის რჩენას?

— ჩემს ძმას სწორად მიაჩნია, რომ თვეში ასორმოცდაათი ფრანკი მომცეს. რატომ? ეს მისი საქმეა და არა თქვენი. ჩემთვის ეს იგივეა, რაც ხელფასი. მის მისაღებად ბევრი შრომა მჭირდება. მე და მარგო ამ თანხით თავს როგორმე გავიტანთ, მომჭირნეობით.

— რაში გვჭირდება! — წამოიძახა მარგომ, მე საკმარისად მაქვს ფული, რომ თავი ჩემით ვირჩინო.

— შენ ხმა გაკმინდე, მარგო, — ბრძანა უფროსმა დამ.

— კარგად გახსოვდეს, მარგო, — უთხრა დედამ, — მე შემიძლია შეგიწყვიტო ეგ შენი შემოსავალი თუ შენ რითიმე შეარცხვენ ოჯახის სახელს.

ვინსენტს გაეღიმა.

— განა ჩემი ცოლობა სამარცხვინოა?

— ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით თქვენს შესახებ, მინჰერ ვან გოგ, და რაც ვიცით, არც ისე სახარბიელო უნდა იყოს თქვენთვის. რამდენი ხანია, რაც მხატვრობას მიჰყავით ხელი?

— სამი წელია.

— და ჯერ სახელიც ვერ მოიხვეჭეთ. რამდენი წელი დაგჭირდებათ კიდევ?

— არ ვიცი.

— სანამ მხატვარი გახდებოდით, მანამდე რა იყავით?

— კომერსანტი, მასწავლებელი, წიგნების გამყიდველი, სასულიერო სემინარიის სტუდენტი და ევანგელისტი.

— და არაფერმა არ გაგიმართლათ, ხომ?

— არა, მე თვითონ მივატოვე ყველაფერი.

— რატომ?

— ეგენი არც ერთი ჩემი საქმე არ იყო.

— მხატვრობას როდის ანებებთ თავს?

— არასოდეს, — წამოიძახა მარგომ.

— ჩემის აზრით, მინჰერ ვან გოგ, — თქვა უფროსმა დამ. — თქვენ მეტისმეტ კადნიერებას იჩენთ, თუ გგონიათ რომ მარგოს შეირთავთ. თქვენ ხომ ნამდვილი წყალწაღებული ადამიანი ხართ. ერთი ფრანკიც კი არ გაბადიათ; ისიც ვერ მოგიხერხებიათ, რომ სასარგებლო საქმეს მოეკიდოთ და მუქთახორა მაწანწალასავით დაყიალობთ აქეთ-იქით. აბა, როგორ შეგვიძლია ჩვენი და ცოლად გამოგაყოლოთ?

ვინსენტმა ჩიბუხი ამოიღო, მაგრამ მაშინვე ისევ ჯიბეში შეინახა.

— მარგოს მე ვუყვარვარ. და მეც მიყვარს იგი. ჩემთან ბედნიერი იქნება. ჩვენ დაახლოებით ერთი წელი აქ ვიცხოვრებთ და შემდეგ საზღვარგარეთ წავალთ. იგი სიყვარულისა და ყურადღების მეტს ვერაფერს ნახავს ჩემგან.

— თქვენ მას მიატოვებთ, — წამოიძახა ერთმა დამ გამყინავი ხმით.

— მოგბეზრდებათ და მიატოვებთ! ალბათ ისევ იმნაირი ქალის გულისთვის, ჰააგაში რომ გყავდათ.

— თქვენ მარგოს ფულის გულისთვის ირთავთ! — მხარი აუბა მეორემ.

— ვერ მოგართვეს, — განაცხადა მესამემ. — მარგოს შემოსავალს დედა ქონებად აქცევს!

მარგოს ცრემლი მოერია. ვინსენტი ფეხზე წამოხტა. მიხვდა, ამ გაანჩხლებულ შინაბერებზე დროს დაკარგვას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის უჯობდა, ეინდჰოვენში ჯვარი დაეწერა მარგოზე და მყისვე პარიზს გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ ჯერჯერობით არ უნდოდა ბრაბანტიდან წასვლა. აქ ჯერ კიდევ უნდა ემუშავა, თუმცა იმაზე ფიქრიც კი ზარავდა, რა მოუვიდოდა საწყალ მარგოს ამ გადაღრჯუებული ქალების ხელში.

მეორე დღიდანვე დაიწყო მარგოს წამება. უკვე მოთოვა და ვინსენტი იძულებული შეიქნა სახელოსნოში ემუშავა. ბეგემანები მარგოს იქ არ უშვებდნენ. დილიდანვე, ადგებოდა თუ არა, იწყებოდა ვინსენტის ლანძღვა და მარგოც იძულებული იყო ესმინა, ვიდრე არ დაღამდებოდა და თავს არ მოიმძინარებდა.

ორმოცი წლის განმავლობაში ოჯახთან იყო მარგო დაკავშირებული. ვინსენტს კი რამდენიმე თვეა, რაც იცნობდა. ეჯავრებოდა მარგოს დები, ეჯავრებოდა, რადგან მათ მოუშხამეს სიცოცხლე. მაგრამ სიძულვილი განა რა არის, თუ არა სიყვარულის ერთ-ერთი, ყველაზე გაურკვეველი სახე, რომელიც ხანდახან მოვალეობის მძლეთამძლე გრძნობას ბადებს ადამიანში.

— არ მესმის, რატომ არ შეგიძლია ჩემთან ერთად წამოხვიდე სადმე, — უთხრა ერთხელ ვინსენტმა, — ან სულაც აქ დავქორწინდეთ. მაგათი თანხმობის გარეშე არ შეიძლება?

— ნებას არ დამრთავენ.

— ვინ, დედაშენი?

— დები. დედა არაფერს ამბობს, მაგრამ მხარს უჭერს მათ.

— რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვიან შენი დები.

— გახსოვს, ერთხელ მოგიყევი, ბავშვობისას ერთი ბიჭი მიყვარდა-მეთქი?

— ჰო.

— მათ ჩაშალეს ყველაფერი. დებმა. არ ვიცი რატომ, მთელი ჩემი სიცოცხლე სულ წინ მეღობებიან. გადავწყვეტ, ქალაქში წავალ, ნათესავებს მოვინახულებ-მეთქი, არ მიშვებენ. კითხვა მომინდება და რაც კარგი წიგნებია სახლში, მიმალავენ.

როცა ვინმე კაცს სახლში მოვიპატიჟებდი, წავიდოდა თუ არა, ისე გაასწორებდნენ მიწასთან, მერე ვეღარც ვუყურებდი სახეში. სულ მინდოდა, რაღაც გამეკეთებინა ცხოვრებაში, მედდა გამოვსულიყავი ან მუსიკა მესწავლა. მაგრამ არა, მე უნდა მეაზროვნა ისე, როგორც ისინი აზროვნებდნენ, მეცხოვრა ზუსტად მათებურად.

— ახლა?

— ახლა ნებას არ მაძლევენ შენ გამოგყვე.

და ახლახან გამოღვიძებული სიცოცხლის ხალისი უეცრად სულ ჩაკვდა მასში; ხმა შეეცვალა, პირი გაუშრა, პაწაწინა ჭორფლი დაეტყო უპეებში.

— მაგათი დარდი ნუ გაქვს, მარგო, ჩვენ დავქორწინდებით, მორჩა და გათავდა. ჩემი ძმა რა ხანია მთხოვს პარიზში ჩამოდიო, ჰოდა იქ ვიცხოვროთ.

ქალი ხმას არ იღებდა. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი იატაკს მიშტერებოდა. საცოდავად აბუზულიყო. ვინსენტი გვერდით მიუჯდა და მის ხელს დასწვდა.

— მაგათი თანხმობის გარეშე რომ გამომყვე, გეშინია?

— არა. — მარგოს სულ დაეკარგა ხმა, და სიმტკიცის ნატამალიც არ ეტყობოდა. — ერთმანეთს თუ დაგვაშორეს, თავს მოვიკლავ, ვინსენტ. მას მერე, რაც მე შენ შეგიყვარე, ვერ ავიტან ამას. თავს მოვიკლავ და ის იქნება.

— სხვას რას აბარებ ანგარიშს. ჯერ დავქორწინდეთ და იმათ მერე ვუთხრათ.

— მე იმათ წინ ვერ აღვუდგები. ბევრნი არიან, როგორ მოვერევი.

— სულაც ნუ ებრძვი. ცოლად გამომყევი და ამით გათავდება ყველაფერი.

— გათავდება?! გათავდება კი არა მაშინ დაიწყება, რაც დაიწყება. შენ ჩემს დებს არ იცნობ.

— არც მინდა ვიცნობდე, ამაღამ კიდევ ერთხელ ვცდი ლაპარაკს.

კარის დირეს გადასცდა თუ არა, იცოდა, წყლის ნაყვა იქნებოდა ამათთან ლაპარაკი. დაავიწყდა ვინსენტს, რა ცივად შეხვდნენ პირველად.

— ჩვენ ეგ უკვე გავიგეთ, მინჰერ ვან გოგ, — თქვა მარგოს დამ, — მაგრამ ჩვენზე არ მოქმედებს თქვენი ლაპარაკი, რადგან ყველაფერი გადაწყვეტილია. ჩვენ გვინდა მარგო ბედნიერი იყოს და არ დავუშვებთ მის დაღუპვას. მოდი შევთანხმდეთ, თუ ორი წლის შემდეგ თქვენ ისევ გენდომებათ მაგის ცოლად შერთვა, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება.

— ორი წლის შემდეგ! — წამოიძახა ვინსენტმა.

— ორ წელიწადში მე აღარ ვიქნები, — წყნარად თქვა მარგომ.

— აბა სად წახვალ?

— მოვკვდები. თავს მოვიკლავ, თუ ვინსენტს არ გამაყოლებთ.

„როგორ ბედავ ასე ლაპარაკს!“ ,„ნახე, უკვე ეტყობა მისი გავლენა“, აბობოქრდნენ დები. ვინსენტს ისღა დარჩენოდა, იქაურობას გასცლოდა.

მარგოს გამწარებულ ცხოვრებას წლების განმავლობაში უკვალოდ არ ჩაევლო. არც ნერვები უვარგოდა, და არც მაინცდამაინც ჯანმრთელი იყო. ხუთი ქალის თავგანწირულ შემოტევას ვეღარ გაუძლო. დღითი-დღე ელეოდა ძალ-ღონე.

ოცი წლის გოგონას შეიძლება იოლად გადაელახა წინააღმდეგობა, მაგრამ ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა. სახე დაუნაოჭდა, თვალებში ისევ ძველმა ნაღველმა დაისადგურა, კანი გაუუხეშდა და ავადმყოფურად ყვითელი გაუხდა. ტუჩებთან, მარჯვენა ლოყაზე, ნაოჭი კიდევ უფრო ჩაუღრმავდა.

მარგოს სილამაზესთან ერთად ვინსენტის გატაცებაც გაჰქრა.

ვინსენტს არასოდეს ჰყვარებია მარგო და არც მაინცდამაინც ეპიტნავებოდა მისი ცოლად შერთვა. ახლა კი უკვე სულ აღარ უნდოდა. ვინსენტს რცხვენოდა თავისი გულცივობის და ცდილობდა, როგორმე მხურვალე სიყვარული ეჩვენებინა ქალისათვის. ვერ გაეგო, ქალი ხვდებოდა მის ნამდვილ დამოკიდებულებას თუ არა.

— შენ ისინი უფრო გიყვარს თუ მე, მარგო? — ჰკითხა ერთხელ ვინსენტმა, როცა მარგომ მოახერხა და სახელოსნოში მოაკითხა.

მარგომ გაოცებით და საყვედურით შეხედა.

— ვინსენტ!

— მაშინ რატომ მანებებ თავს?

ქალი დაქანცული ბავშვივით მიესვენა მის მკლავებში. ხმა სულ მიკნავებოდა.

— რომ ვიცოდე ისე გიყვარვარ, როგორც მე მიყვარხარ, თუნდაც მთელი ქვეყანა ამხედრებულიყო, ვერაფერი დამაკავებდა. მაგრამ შენთვის ეს ისე უმნიშვნელოა... იმათთვის კი — იმდენს ნიშნავს...

— მარგო, ცდები, მე შენ მიყვარხარ...

ქალმა ტუჩებზე ხელი მიადო.

— არა, ძვირფასო. შენ მხოლოდ ცდილობდი... მაგრამ არ შეგიძლია. ამაზე არც იფიქრო. მირჩევნია მე მიყვარდე უფრო მეტად.

— რატომ არ მოშორდები იმათ და შენი თავის ბატონპატრონი არ გახდები?

— ადვილი სათქმელია. შენ ძლიერი ხარ. ვისაც გინდა დასჯაბნი. მე უკვე ორმოცი წლის ქალი გარ... ნუენენში დავიბადე.

ეინდჰოვენს არასოდეს გავცილებივარ. ნუთუ არ გესმის, ძვირფასო, რომ არ შემეძლო ვინმეს ან რაიმეს მოვწყდომოდი მთელი ჩემი სიცოცხლე.

— მესმის.

— ეს რომ შენ გინდოდეს, ვინსენტ, მე ძალ-ღონეს არ დავიშურებდი. მაგრამ საუბედუროდ მხოლოდ მე მინდა. ესეც რომ არა, უკვე გვიანაა... თანაც ჩემი ცხოვრება თითქმის დასრულდა...

მარგო ჩურჩულით ლაპარაკობდა. ვინსენტმა ნიკაპზე ხელი მოჰკიდა და თავი აუწია. თვალები ცრემლით ავსებოდა.

— ჩემი პაწია გოგო, — ეუბნებოდა ვინსენტი, — ჩემი საყვარელი მარგო.

ჩვენ შეგვიძლია მთელი სიცოცხლე ერთად ვიყოთ. ერთი შენი სიტყვა საკმარისია ამისათვის. მოდი, ამაღამვე ჩაალაგე შენი ტანსაცმელი, თქვენები რომ დაიძინებენ, და ფანჯრიდან გადმომაწოდე. ეინდჰოვენამდე ფეხით მივალთ, იქ კი მატარებელში ჩავსხდებით და პარიზში წავალთ.

— არ გამოვა ძვირფასო. ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ. თუმცა, მე მაინც გავიტან ჩემსას.

— მარგო, აღარ შემიძლია შენი უბედურების ყურება.

ქალმა სახეში შეხედა. ცრემლშემშრალმა გაუღიმა.

— არა, ვინსენტ, მე ბედნიერი ვარ. რაც მინდოდა, ეკვე მივიღე. ძალიან ტკბილი იყო შენი სიყვარული.

ვინსენტმა აკოცა. ტუჩებს მისი ცრემლების მარილიანი გემო შერჩენოდათ.

— აღარ თოვს, — თქვა მარგომ ცოტა ხნის შემდეგ. — ხვალ წახვალ მინდორში დასახატად?

— ჰო, ალბათ.

— სად იქნები? საღამოთი მეც მოვალ.

მეორე დღეს გვიანობამდე შერჩა ხატვას ვინსენტი. თავზე ბეწვის ქუდი ეხურა, მაღალყელიანი ჯემპრი ეცვა. საღამოხანს ცას მოიასამნისფრო-ოქროსფერი შეეპარა. მის ფონზე კოტეჯების შავი სილუეტები და მუქ-წითელი ჯაგნარის ზოლი მოჩანდა. ამათ თავზე წამომდგარიყო რამდენიმე შავი ალვა. მინდორს დახნული მიწის შავ ზოლებს შორის გამოხუნებული, დამჭკნარი ბალახი შერჩენოდა, ხოლო თხრილების ნაპირებს გამხმარი ლერწმების გრძელი რიგი მიჰყვებოდა.

მარგომ სწრაფი ნაბიჯით გადმოჭრა მინდორი. ტანზე ის თეთრი კაბა ეცვა, რომელშიც სულ პირველად გაიცნო ვინსენტმა, მხრებზე შალი მოეხვია. ლოყები ავარდისფერებოდა. იმ ქალს მიაგავდა, სულ რამდენიმე კვირის წინ აფეთქებულმა სიყვარულმა წარმტაცად რომ ააყვავა. ხელში პაწია კალათა ეჭირა.

მკლავები ყელზე შემოაჭდო და ვინსენტმა იგრძნო, რა გამალებით — უძგერდა გული. თავი გადაუწია და თაფლისფერ თვალებში ჩახედა. სევდის არავითარი ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა მის თვალებს.

— რა იყო? — ჰკითხა ვინსენტმა. — მოხდა რამე?

— არა, არა! — წამოიძახა ქალმა, — ოღონდ... ოღონდ მე ძალიან ბედნიერი ვარ... რომ ისევ შენთან ვარ.

— თეთრი კაბა რატომ ჩაგიცვამს?

მარგო წუთით დადუმდა და მერე უთხრა:

— სადაც არ უნდა იყო, ვინსენტ, ერთი რამ გახსოვდეს.

— რა, მარგო?

— ის, რომ მე შენ მიყვარხარ! მუდამ გახსოვდეს, რომ მე შენ მიყვარდი ყველა სხვა ქალზე მეტად.

— რატომ კანკალებ ასე?

— არაფერია. არ მიშვებდნენ. იმიტომ დამაგვიანდა. შენ უკვე ამთავრებ?

— ჰო, ახლავე.

— მაშინ, მოდი, მე აქ დავჯდები, როგორც ყოველთვის, და შენ იმუშავე. იცი, ძვირფასო, არასოდეს მდომებია გზაზე გადაგღობებოდი ან ხელი შემეშალა შენთვის. ოღონდ კი შენ ნება მოგეცა ჩემთვის, მყვარებოდი.

— ჰო, მარგო, — ვინსენტმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა რა ეთქვა.

— იმუშავე, ძვირფასო, და დაასრულე... სახლში ერთად წავიდეთ.

მარგოს გააჟრჟოლა. შალი მაგრად შემოიკრა მხრებზე.

— ვიდრე ხატვას შეუდგები, ვინსენტ, ერთხელ კიდევ მაკოცე. როგორც... მაშინ... შენთან, სახელოსნოში... ერთმანეთს ჩახვეულებმა ბედნიერება რომ ვიგრძენით.

ვინსენტმა ნაზად აკოცა. მარგომ კაბა გაშალა და მის უკან ჩამოჯდა. მზე ცისკიდურს მიეფარა. ზამთრის ცივი საღამო ჩამოწვა ველზე და უშფოთველმა ბინდმა ჩაყლაპა ისინი.

უცებ ბოთლი გაწკრიალდა. მარგო მუხლებზე წამოიჭრა, ყრუდ წამოიყვირა და აცახცახებული ძირს დაეცა. ვინსენტი მაშინვე წამოხტა და მარგოს მიეჭრა. ქალს თვალი დაეხუჭა. სახე თითქოს დამცინავ ღიმილს დაემანჭა. კრუნჩხვისაგან მთელი ტანი უხტოდა, მკლავები მოწყვეტით დაშვებოდა ძირს. ვინსენტი დაიხარა და თოვლზე დაგდებულ ბოთლს დააცქერდა.

პატარა ბოთლს თეთრი ფხვნილი შერჩენოდა ყელზე. სუნი არაფრისა ჰქონდა.

ვინსენტმა მარგო ხელში აიტაცა და შმაგად გაიჭრა მინდორში. ნუენენამდე თითქმის კილომეტრი აშორებდათ. ეშინოდა, სოფელში მისვლამდე არაფერი დაემართოსო. ჯერ ვახშმობის დრო არ იყო. ხალხი სახლების წინ ჩამომსხდარიყო გარეთ. ვინსენტმა მთელ სოფელში სირბილით გაატარა მარგო.

ბეგემანების სახლის კარი ფეხის კვრით შეაღო და ქალი სასტუმრო ოთახში, დივანზე დააწვინა. დედამისი და დები მყისვე შემოცვივდნენ ოთახში.

— მარგომ თავი მოიწამლა! — დაიყვირა ვინსენტმა, — მე ექიმს მოვიყვან.

ვინსენტი გულამოვარდნილი მივარდა ექიმთან და ვახშამი მიატოვებინა.

— დარწმუნებული ხართ, რომ სტრიქნინი იყო? — იკითხა ექიმმა.

— დიახ, ძალიან ჰგავდა.

— და სახლამდე ცოცხალი მიიყვანეთ?

— დიახ.

მარგო დივანზე იკრუნჩხებოდა. ექიმი მისკენ დაიხარა.

— მართალია, სტრიქნინი მიუღია, — თქვა მან, მაგრამ, ეტყობა რაღაც ტკივილგამაყუჩებელთან ერთად. სუნზე ეტყობა, ოპიუმის ნაყენი უნდა იყოს. არ სცოდნია, რომ ოპიუმს შხამსაწინააღმდეგო მოქმედება აქვს.

— მაშ, იცოცხლებს, ექიმო? — იკითხა დედამ.

— შესაძლოა. მაგრამ, საჭიროა ახლავე უტრეჰტში წავიყვანოთ. ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ უტრეჰტის საავადმყოფოში დავაწვინოთ?

— ჩემი აზრით, საავადმყოფო საჭირო არ არის. სჯობს დროებით სანატორიუმში მოვათავსოთ. იქ ერთი კარგი სანატორიუმი შეგულება. ეტლი მოამზადეთ. ეინდჰოვენში ბოლო მატარებელს მაინც ჩავუსწროთ.

ხმაგაკმენდილი ვინსენტი ბნელ კუთხეში იდგა მთლად გაშეშებული. ეტლი სახლის კართან გაჩერდა. ექიმმა მარგო საბანში შეახვია და გარეთ გამოიყვანა. დედა და ოთხი და უკან მიჰყვა. ვინსენტი ბოლოს გამოვიდა სახლიდან. ვან გოგების ოჯახიც გარეთ გამოსულიყო. მთელ სოფელს ბეგემანების სახლთან მოეყარა თავი. როცა ექიმმა ხელში აყვანილი მარგო გარეთ გამოიყვანა, ხალხმა ხმა გაკმინდა. მარგო ეტლში ჩააწვინეს, ქალებიც ჩასხდნენ. ვინსენტი ეტლს აეტუზა. ექიმმა აღვირს მოჰკიდა ხელი. მარგოს დედა შემოტრიალდა, და ვინსენტი რომ შერჩა ხელში, იღრიალა:

— შენი ბრალია! შენ მომიკალი შვილი!

ხალხმა ვინსენტს შეხედა. ექიმმა მათრახი გადაუჭირა ცხენებს და ეტლი ტაატით მიეფარა თვალს.

7.

ვიდრე ანა კორნელია ფეხს დაიშავებდა, სოფელს არ ეპიტნავებოდა ვინსენტი, რადგან არ ენდობოდნენ და ვერც გაეგოთ რა კაცი იყო, თუმცა ეჯავრებათო, იმასაც ვერ იტყოდით.

ახლა კი მთელი სოფელი მტრად მოეკიდა. ზურგი შეაქციეს, ზიზღს ვერ ფარავდნენ. აღარავინ ელაპარაკებოდა, არც არავინ ამჩნევდა მას. განკიცხულად იქცა ვინსენტი.

ეს ამბავი დიდად არ ადარდებდა, რადგან მქსოველები და გლეხები კვლავინდებურად მეგობრულად იღებდნენ, მაგრამ როცა მეზობლებმა ფეხი ამოიკვეთეს მათი სახლიდან და მის მშობლებსაც აღარ კითხულობდნენ, მიხვდა, რომ მისი აქ გაჩერება შეუძლებელი იყო.

იცოდა, ყველაზე კარგი გამოსავალი ის იქნებოდა, სულ გასცლოდა ბრაბანტს და მშობლებს ჩამოხსნოდა. მაგრამ, აბა, სად წასულიყო. ბრაბანტში სახლი ჰქონდა და უნდოდა თავისი დღე და მოსწრება აქ ეცხოვრა, უნდოდა ეხატა მქსოველები და გლეხები, ამაში ხედავდა თავისი მუშაობის ერთადერთ გამართლებას. რა სჯობს როცა ზამთარში ფაფუკ თოვლში ეფლობი, შემოდგომაზე — გაყვითლებულ ფოთლებში, ზაფხულში — მწვანე თავთავში, ხოლო გაზაფხულზე — ქორფა ბალახში; როცა მთიბავებსა და გლეხის გოგოებში გაერევი, ზაფხულში უკიდეგანო ზეცა დაგცქერის, ზამთარში კოცონს უზიხარ და გრძნობ, რომ ასე იყო დასაბამიდან და ასე იქნება აწ და მარადის.

ვინსენტს ვერ წარმოედგინა მილეს „ანგელოსის“ მსგავსი ღვთაებრივი რამ თუ შეიძლებოდა კაცის მარჯვენას შეექმნა.

უბრალო, გლეხურ ყოფაში ჭეშმარიტებას ხედავდა ვინსენტი, უსასრულო რეალობას. უნდოდა სულ ღია ცის ქვეშ ყოფილიყო, რომ რასაც ნახავდა, ყველაფერი იქვე ჩაეხატა. მერე რა, რომ ბუზები შეაწუხებს, მტვერითა და სილით აივსება, ხოლო საათობით მინდორ-ველად და ჯაგნარში თრევისაგან ტილოები სულ დაეფხაჭნება. ეს არაფერი. სამაგიეროდ, სახლში დაბრუნებული კმაყოფილებით გაიხსენებს, რომ სულ ახლახანს ცხოვრების პირისპირ იდგა და მისი უბრალოების რაღაც სუსტი ანარეკლი მაინც გადმოიტანა ტილოზე. დაე, მის ტილოებს ლორის სუნი და კარტოფილის ოხშივარი ასდიოდეს — ეს ხომ ჯანსაღი სუნია. თავლა აბა რისი თავლაა, თუ იქ ნეხვის სუნი არ იტრიალებს. თუ მინდორს მწიფე თავთავის, სასუქისა და ნაკელის სუნი ასდის — აი ეს არის ნამდვილი ჯანსაღი სუნი, განსაკუთრებით ქალაქელებისათვის.

ვინსენტმა იოლად მოაგვარა საქმე. გზასთან ახლოს კათოლიკური ეკლესია იდგა, მის გვერდით კი დარაჯი ცხოვრობდა.

დარაჯი, იოჰან შაფრატი, თერძი იყო. ცოლად მეტისმეტად ღვთისნიერი ქალი ჰყავდა — ადრიანა. ამ ქალმა ვინსენტს ორი ოთახი მიაქირავა, თან საოცრად კმაყოფილი დარჩა, რაკი ისეთ კაცს დაეხმარა, რომელსაც მთელმა სოფელმა შეაქცია ზურგი.

შაფრატების სახლს გრძელი დერეფანი ჰქონდა. მარჯვენა მხარეს ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ხოლო მარცხნივ უზარმაზარი მისაღები ოთახი იყო, რომელიც გზას გადაჰყურებდა და შედარებით მომცრო ოთახში გადიოდა. დიდი ოთახი ვინსენტის სახელოსნოდ იქცა, ხოლო პატარაში მისი ბარგი-ბარხანა ეწყო.

ღამით სხვენზე იძინებდა, სადაც ერთ მხარეს შაფრატები სარეცხს ჰკიდებდნენ, ხოლო მეორე მხარეს მაღალი საწოლი და სკამი იდგა. რომ დაღამდებოდა, ვინსენტი ტანსაცმელს სკამის ზურგზე მიაფენდა, საწოლზე ახტებოდა, ყალიონს გააჩაღებდა, თან დაისის ნელი-ნელ ჩამობნელებით ტკბებოდა და ისე იძინებდა.

სახელოსნოს კედლებზე აკვარელითა და ცარცით ნახატები გამოფინა. იმ კაცებისა და ქალების პორტრეტები, ზანგებივით ფართო, ოდნავ პაჭუა ცხვირი, განიერი ყბები და დიდი ყურები რომ ჰქონდათ. აქვე ეკიდა მქსოველების, საქსოვი დაზგების, ფეიქარი ქალებისა და კარტოფილის დარგვით გართული გლეხების სურათები.

ვინსენტი ძალიან დაუმეგობრდა თავის უმცროს ძმას — კორს. მათ ერთად შეაკოწიწეს კარადა ჭურჭლისათვის, მოაგროვეს ოცდაათამდე ჩიტის ბუდე, ათასნაირი ხავსი თუ მცენარე, რასაც მინდორში ნახავდნენ, მოზიდეს საქსოვი მაქოები, სართავი ჯარები, ლოგინის სათბურები, სამიწათმოქმედო იარაღები, ძველი ქუდები, ხის ფეხსაცმელები, ჭურჭელი და ყველა ის წვრილმანი, რაც სოფლად მაცხოვრებელ კაცს შეიძლება დასჭირდეს. ოთახის ერთ კუთხეში პაწაწინა ხეც კი დარგეს.

ვინსენტმა მუშაობა გააჩაღა. აღმოჩნდა, რომ ბისტრი და ბიტუმი, რომელთაც ბევრი მხატვარი საერთოდ არ ხმარობს, მის ფერებს მეტ სისავსეს და სიმაძღრეს აძლევდა. ხოლო თუ უნდოდა რომ ლილისფერის და იასამნისფერის გვერდით ყვითელი კარგად გამოჩენილიყო, მაშინ ძალიან ცოტა ყვითელი უნდა ეხმარა.

ისიც გაიგო ვინსენტმა, რომ სიმარტოვე თურმე ერთგვარი პატიმრობაა.

მარტში თეოდორი ერთი ავადმყოფის სანახავად წავიდა და შინ დაბრუნებისას თავისი სახლის უკანა კიბიდან გადმოვარდა.

ვიდრე ანა კორნელია გამოსვლას მოასწრებდა, იგი უკვე მკვდარი იყო. თეოდორი ძველი ეკლესიის გვერდით დაასაფლავეს, ბაღში. დასაფლავების დღეს თეო ჩამოვიდა. იმ ღამეს ვინსენტის სახელოსნოში ძმებმა ბევრი ისაუბრეს, ჯერ ოჯახურ ამბებზე, და შემდეგ თავიანთ საქმიანობაზე.

— ახალ ადგილას მთავაზობენ გადასვლას და თვეში ათას ფრანკს მპირდებიან, — უთხრა თეომ.

— მერე შენ თანახმა ხარ?

— არა. მე ვფიქრობ, ეს ფირმა სუფთა კომერციული ინტერესებით იფარგლება.

— მე მახსოვს, მწერდი, რომ გუპილიც...

— მართალია. „მესიეც“ უარს არ იტყვის დიდ მოგებაზე, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, აგერ უკვე თორმეტი წელია, იქ ვმუშაობ და რაღაც ერთ-ორ ზედმეტ ფრანკს ხომ არ დავხარბდები? ვინ იცის, იქნებ ოდესმე რომელიმე ფილიალს მაინც ჩავუდგე სათავეში. აი მაშინ კი იმპრესიონისტების გაყიდვას დავიწყებ.

— იმპრესიონისტების? სადღაც წავიკითხე მგონია ეგ სიტყვა. რა ხალხია?

— ახალგაზრდა პარიზელი მხატვრები არიან: ედუარდ მანე, დეგა, რენუარი, კლოდ მონე, სისლეი, კურბე, ლოტრეკი, გოგენი, სეზანი, სიორა.

— სახელი საიდანღა დაირქვეს?

— 1874 წლის ნადარის გამოფენიდან. კლოდ მონეს იქ ასეთი ტილო ჰქონდა გამოფენილი: „Impression, Soleil Levant“ (*შთაბეჭდილება აისი — ფრ.). კრიტიკოსმა ლუი ლერუამ ამ გამოფენას იმპრესიონისტების გამოფენა უწოდა და მას მერე შერჩათ ეს სახელი.

— ღია ფერებში ხატავენ თუ მუქში?

— ო, არა, ღია ფერებში. მუქი ჭირივით ეჯავრებათ.

— თუ ასეა, მათთან მუშაობა არ გამომადგება. მე ახლა პალიტრის შეცვლას ვაპირებ და მინდა კიდევ უფრო ჩავამუქო.

— პარიზში რომ ჩამოხვალ, იქ სხვა ჭკუაზე დადგები.

— შეიძლება. რომელიმე მათგანი თუ ჰყიდის თავის სურათებს?

— დიურან რიუელი. ხანდახან მანეც ჰყიდის ხოლმე. ეს არის და ეს.

— აბა რითი ცხოვრობენ?

— ღმერთმა უწყის. ვისაც როგორ შეუძლია, ისე გააქვს თავი. რუსო ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლის, გოგენი თავის ძველ მეგობრებს ესესხება, ბირჟიდან, სიორას დედა არჩენს, სეზანს — მამა. დანარჩენები საიდან შოულობენ ფულს, წარმოდგენა არა მაქვს.

— თეო, შენ მათ ყველას იცნობ?

— ჰო. ნელ-ნელა ყველა გავიცანი. „მესიეს“ რამდენი არ ვეხვეწე, იმპრესიონისტებს ერთი პატარა კუთხე მაინც გამოვუყოთ-მეთქი, მაგრამ გაგონებაც არ უნდათ.

— შენ მე ძალიან დამაინტერესე მაგ მხატვრებით. რა არის, თეო, ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა მხატვრებთან სიახლოვე, შენ კი ყურსაც არ იბერტყავ, რომ ვინმე გამაცნო — თეო ფანჯარასთან მივიდა. დარაჯის სახლს ეინდჰოვენის გზიდან პაწია ამწვანებული მინდორი ჰყოფდა.

— მაშინ ჩამოდი და ჩემთან იცხოვრე პარიზში, — უთხრა თეომ, — ეს მაინც არ აგცდება.

— ჯერ არა, მზად არა ვარ. აქ უნდა ვიმუშაო კიდევ.

— აბა როგორ გინდა. სოფელში გამოკეტილი მხატვრებს საიდან გაიცნობ!

— მართალი ხარ, თეო, მაგრამ ერთი რამ არ მესმის. შენ ხომ ჩემი არც ერთი ნახატი არ გაგიყიდია. მე მგონი, არც გიცდია გაყიდვა, ხომ ასეა, მართალი მითხარი!

— ჰო.

— რატომ მერე?

— შენი ნახატები მცოდნე ხალხს ვუჩვენე. ასე მითხრეს...

— უხ, ეს მცოდნე ხალხი! — ვინსენტმა მხრები აიჩეჩა. — ვიცი, ვიცი, რა გაცვეთილი აზრების პატრონნიც არიან. გაიგე, თეო, რომ მაგათ ჭეშმარიტი ხელოვნების არაფერი გაეგებათ.

— არ გეთანხმები. შენი ნახატები შეიძლება გაიყიდოს კიდეც, მაგრამ...

— თეო, თეო, შენ ეხლა იგივეს გაიმეორებ, რასაც ჩემს ეტენურ ჩანახატებზე ამბობდი.

— შენ ხატვის ალღო გაქვს, ვინსენტ. ხანდახან ცოტაც და სრულყოფამდე მიდიხარ. ყოველ ახალ ნახატს სულმოუთქმელად ველი, ასე მგონია, უკვე მიაღწიე შენსას, მაგრამ ჯერჯერობით...

— რაც შეეხება მათ გაყიდვას თუ არ გაყიდვას, — გააწყვეტინა ვინსენტმა და ჩიბუხი ღუმელში გამოფერთხა, — უკვე ძველი ისტორიაა და აღარ შემიძლია მაგის მოსმენა.

— შენ ამბობ, რომ აქ ჯერ კიდევ გჭირდება მუშაობა. აბა, შენ იცი, საქმეს მიხედე და დროზე მორჩი. რაც მალე გადმოხვალ პარიზში, მით უკეთესია შენთვის. მაგ ეტიუდების მაგივრად სჯობს დასრულებული ნახატები გამომიგზავნო. ეტიუდები არავის აინტერესებს.

— იცი რა, ძალიან ძნელია თქვა, სად მთავრდება ეტიუდი და სად იწყება ნახატი მოდი, ვხატოთ თეო, რამდენიც შეგვიძლია და ვიყოთ ის, რაც ვართ, ჩვენი ნაკლით თუ ღირსებით. ჩვენი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ფული, მე რომ მაძლევ და ვიცი რა გიჯდება შენ მისი შოვნა, უფლებას გაძლევს ჩემი ქმნილებები სანახევროდ შენად ჩასთვალო.

— ოჰ, კარგი ერთი — თეო ოთახის კუთხისკენ გაემართა და ხეზე ჩამოკონწიალებულ ძველებურ ჩაჩს გაეთამაშა.

8.

ვიდრე მამა ცოცხალი ჰყავდა, ვინსენტი ხანდახან მაინც მიდიოდა სახლში, ხან საკვახშმოდ, ხან ისე, უბრალოდ შეივლიდა ხოლმე. თეოდორის გარდაცვალების შემდეგ დამ, ელისაბედმა, აგრძნობინა ვინსენტს persona non grata (*არასასურველი პიროვნება — ლათ.) ხარო. ოჯახს უნდოდა ღირსეული ადგილი სჭეროდა საზოგადოებაში. დედა ფიქრობდა, ვინსენტი თავის თავს თვითონაც მშვენივრად მოუვლის და სჯობს მე ქალიშვილებს მივხედოო.

ნუენენში სულ მარტო დარჩა ვინსენტი. ხალხის ნაცვლად მხოლოდ ბუნება შერჩა გვერდით და ვინსენტიც სასოწარკვეთილი ეკვეთა ბუნებას. მისი ყოველი ცდა ამაო იყო, ვიდრე პალიტრას ძველებური კოლორიტი არ დაუბრუნა. მაშინ კი მოითოკა ბუნება და ისიც დაჰყვა მხატვრის ნებას.

როცა მარტოობის სევდა შემოაწვებოდა, მაშინვე ის გაახსენდებოდა, ვეისენბრუჰს რომ მიადგა სახელოსნოში. რა ქება-დიდება შეასხა მაშინ ამ ენამწარე კაცმა ტანჯვა-წამებას. თავის საყვარელ მილესთან კი ვეისენბრუჰის ფილოსოფია უფრო დამაჯერებლად ნახა: „მე სულაც არ ვცდილობ როგორმე ჩავახშო ტანჯვა, რადგან ძალიან ხშირად იგი ხელოვანს საშუალებას აძლევს უფრო ძლიერად გამოხატოს სათქმელი“.

ვინსენტი ერთი გლეხის, დე გრუტის ოჯახს დაუმეგობრდა.

ოჯახი ხუთი კაცისაგან შედგებოდა! დედა, მამა, ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. ყველანი მინდორში მუშაობდნენ. დე გრუტებს, უმეტესი ბრაბანტელი გლეხების მსგავსად, ისევე უხდებოდათ მეტსახელი — „პირგამურულები“, როგორც ბორინაჟელ მაღაროელებს. ოღონდ ესენი რაღაცით ზანგებს წააგავდნენ. განიერი ნესტოები, კეხიანი ცხვირი, დიდი სქელი ტუჩები და კარგა მოზრდილი, წვეტიანი ყურები ჰქონდათ. შუბლთან შედარებით სახის ნაკვთები მეტისმეტად წინ წამოწეული ჩანდა.

თავები კი წვრილი და წინწილა. ეს გლეხები ქოხებში ცხოვრობდნენ. ყველა კედელზე ნიში გაეკეთებინათ, რასაც საწოლებად ხმარობდნენ. ოთახის შუაგულში იდგა მაგიდა, ორი სკამი და უამრავი ყუთი. ხის გამჭვარტლულ ჭერზე ნავთის ლამპა ჩამოეკიდათ.

დე გრუტები კარტოფილიჭამია ხალხი იყო. ვახშამზე თითო ჭიქა შავ ყავას სვამდნენ, ხოლო კვირაში ერთხელ თითო ნაჭერ ლორსაც მიირთმევდნენ. ისინი კარტოფილს რგავდნენ, კარტოფილს იღებდნენ და კარტოფილს ჭამდნენ. აი რას წარმოადგენდა მთელი მათი ცხოვრება.

სტიენ დე გრუტი ჩვიდმეტი წლის მხიარული გოგონა იყო.

მუშაობისას თეთრ, განიერ ქუდს იხურავდა. შავ ბლუზაზე თეთრი საყელო ეკეთა. ვინსენტს ჩვეულებად ექცა მათთან ყოველ საღამოს სიარული. ის და სტიენი მხიარულად ხარხარებდნენ ხოლმე.

— მიყურეთ, — ყვიროდა გოგონა, — რა ბრწყინვალე ქალბატონი ვარ. მე მხატავენ! ხომ არ მიბრძანებთ, ახალი ქუდი დავიხურო, მინჰერ?

— არა, სტიენ. შენ ისედაც ლამაზი ხარ.

— ლამაზიო. მე?!

და სიცილისაგან იგუდებოდა. დიდი, ცოცხალი თვალები, მხიარული გამოხედვა და სიცოცხლით სავსე სახე ჰქონდა გოგონას. როცა წელში მოხრილი კარტოფილს

იღებდა მიწიდან, მის სხეულში ვინსენტი ისეთ მოხდენილობას და სიცოცხლეს ხედავდა, რომ ქეიც ვერ მოვიდოდა მასთან. მიხვდა ვინსენტი, სხეულის დახატვისას მთავარია მოძრაობა გამოხატო და ძველი მხატვრების უდიდესი ნაკლი სწორედ ამ მოძრაობის უქონლობაა. ვინსენტმა ყველანაირად დახატა დე გრუტების ოჯახი. მინდორში მუშაობისას, სადილობისას, ოხშივარასულ კარტოფილს რომ შეექცეოდნენ. მის ზურგს ამოფარებული სტიენი ჩუმჩუმად თვალს აპარებდა სურათისაკენ და ეხუმრებოდა ვინსენტს. კვირაობით გოგონა სუფთა ქუდს იხურავდა, ქათქათა საყელოს გაიკეთებდა და მინდორში სასეირნოდ მიჰყვებოდა.

ეს იყო გლეხების ერთადერთი გართობა.

— თქვენ მარგო ბეგემანს უყვარდით? — ჰკითხა ერთხელ სტიენმა.

— ვუყვარდი.

— მერე რატომ იკლავდა თავს?

— იმიტომ, რომ ოჯახმა უფლება არ მისცა ცოლად გამომყოლოდა.

— სულელი ყოფილა. იცით, მე რას ვიზამდი?. თავს კი არ მოვიკლავდი, უბრალოდ მეყვარებოდით!

გოგონამ სახეში შესცინა და ფიჭვის ტყისკენ გაიქცა. მთელი დღე მხიარულად გაატარეს ფიჭვის ტყეში. აქ სხვა წყვილებიც ხვდებოდნენ მათ. სტიენს სიცილის ბუნებით მომადლებული ნიჭი ჰქონდა. საკმარისი იყო ვინსენტს რაიმე ვთქვა ან გაეკეთებინა, რომ იგი მაშინვე თავშეუკავებლად ხარხარებდა. თან წარამარა ხელს ჰკრავდა ვინსენტს, უნდოდა მიწაზე დაეგდო.

როდესაც სახლში ხატვისას არ მოეწონებოდა სურათი, მაშინვე ყავას გადაუსხამდა ზედ, ან ცეცხლში აგდებდა. სახელოსნოშიც ხშირად აკითხავდა დასახატად და რომ წავიდოდა, ოთახი თავდაყირა იდგა.

ასე გაიარა ზაფხულმა და შემოდგომამ. დადგა ზამთარი.

მოთოვა და ვინსენტი იძულებული შეიქნა სულ სახელოსნოში ემუშავა. ნუენენის მცხოვრებთ დიდად არ მოსწონდათ მენატურედ ყოფნა და ფულის გულისთვის რომ არა, სულაც არ მოვიდოდნენ მასთან. ერთხელ, ჰააგაში, სამკაციანი ეტიუდი რომ დაეხატა, ოთხმოცდაათამდე ადამიანის დახატვა მოუხდა.

ახლა დე გრუტების ოჯახის დახატვას ფიქრობდა, კარტოფილს და ყავას რომ შეექცეოდნენ, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სავარჯიშოდ ყველა იქაური მცხოვრები ეხატა.

კათოლიკეთა მოძღვარი ფრიად შეწუხებული გახლდათ, რაკი დარაჯმა ისეთი კაცი დააყენა თავის ბინაზე, რომელიც პროტესტანტი იყო და ამასთან მხატვარიც, მაგრამ ვინსენტი წყნარი და ზრდილობიანი გამოდგა და მის გასაგდებად ხელმოსაკიდი მიზეზი ვერაფერი იპოვა, ერთხელ ადრიანა შაფრატი აღელვებული შევარდა ვინსენტის ოთახში.

— მამა პაუველსს დაუყოვნებლივ სურს თქვენი ნახვა.

ანდრიას პაუველსი ზორბა, სახეწითელი კაცი აღმოჩნდა.

სახელოსნოს თვალი შეავლო თუ არა, გაიფიქრა, ასეთი საშინელი არეულობა ჯერ არ მინახავსო.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — თავაზიანად ჰკითხა ვინსენტმა.

— თქვენ არაფრით. მაგრამ მე შემიძლია სამსახური გაგიწიოთ. ვეცდები ამ საქმიდან გამოგიყვანოთ, თუ დამიჯერებთ და ისე მოიქცევით, როგორც დაგარიგებთ.

— რა საქმეზე მელაპარაკებით, მამაო?!

— იგი კათოლიკეა. თქვენ კი პროტესტანტი, მაგრამ მე ეპისკოპოსს სპეციალურ ნებართვას გამოვთხოვ. მზად იყავით, რამდენიმე დღეში ჯვარს დაგწერთ.

ვინსენტმა ნაბიჯი წადგა წინ, რომ ფანჯარასთან მისულიყო და სინათლეზე გარკვევით დაენახა მოძღვრის სახე.

— არ მესმის, რას მეუბნებით, მამაო, — უთხრა ვინსენტმა.

— როგორ თუ არ გესმით. თავის მოკატუნება რა საჭიროა.

სტიენ დე გრუტი ორსულადაა. ახლა საჭიროა ოჯახი შერცხვენას გადავარჩინოთ.

— უყურე მაგ ეშმაკის ფეხს!

— სწორი ბრძანებაა. ეშმაკი, დიახ, სწორედ ეშმაკის ხელი ურევია ამ საქმეში.

— დარწმუნებული ხართ, მამაო, იქნებ სცდებით?

— მე არასოდეს განვსჯი ვინმეს, ვიდრე მამხილებელი საბუთი არ მექნება.

— და სტიენმა გითხრათ... ნუთუ მან თქვა... მე დამასახელა?

— არა. სახელი არავისი უთქვამს.

— მაშინ რატომ მაწერთ ამ პატივს მაინცდამაინც მე?

— თქვენ ბევრჯერ გხედავდნენ ერთად. განა აქ, სახელოსნოში, ხშირად არ დადიოდა?

— როგორ არა.

— კვირაობით მინდორშიაც დასეირნობდით ერთად.

— დიახ.

— ჰოდა, ამაზე მეტი საბუთი რა საჭიროა?

ვინსენტი წუთით გაჩუმდა და შემდეგ წყნარად მიუგო:

— მე ძალიან ვწუხვარ, მამაო, მითუმეტეს, რომ საქმე ჩემს პატარა მეგობარს, სტიენს ეხება. მაგრამ გარწმუნებთ, გარდა მეგობრობისა, არავითარი სხვა ურთიერთობა მე მასთან არ მქონია.

— და თქვენ გგონიათ მე ამას დავიჯერებ?

— არა, — უპასუხა ვინსენტმა, — არა მგონია.

იმავე საღამოს, მინდვრიდან დაბრუნებულ სტიენს ქოხთან ვინსენტი დახვდა. ოჯახის დანარჩენი წევრები სახლში შევიდნენ სავახშმოდ. სტიენი ვინსენტის გვერდით ჩამოჯდა.

— სულ მალე თქვენ კიდევ ერთი ვიღაცის დახატვა მოგიწევთ.

— ესე იგი, მართალი ყოფილა, სტიენ?

— მართალია. გინდა ხელი მოკიდე!

სტიენმა ვინსენტის ხელი აიღო და მუცელზე მიიდო. ვინსენტმა იგრძნო, როგორ წამობურცვოდა მუცელი.

— ეს-ეს არის მამა პაუველსმა მაუწყა, ბავშვის მამა შენ ხარო.

სტიენს გაეცინა.

— ნეტავი მართლა შენ იყო. თუმცა, შენ არასოდეს გქონია ამის სურვილი, ხომ მართალია?

ვინსენტმა თვალი შეავლო ამ მუშაობისაგან გაოფლილ, მზით გარუჯულ გოგონას, მის უსწორ-მასწორო, კარგა ზორბა ნაკვთებს, უზარმაზარ ცხვირს, სქელ ტუჩებს. სტიენი იღიმებოდა.

— ნეტავი მართლა მე ვიყო, სტიენ.

— მამა პაუველსმა გითხრა შენ ხარო? სასაცილოა პირდაპირ!

— რა არის სასაცილო.

— საიდუმლო რომ გითხრა, არ გამთქვამ?

— გეფიცები.

— ეს ბავშვი მისი ტაძრის დარაჯისაა.

ვინსენტმა უნებლიედ დაუსტვინა.

— თქვენებმა იციან?

— რა თქმა უნდა, არა, არასოდეს არ ვეტყვი. მაგრამ ის იციან, რომ შენ არაფერ შუაში ხარ.

ვინსენტი ქოხში შეჰყვა. დე გრუტების ოჯახში ცვლილება არ იგრძნობოდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარისო.

ოჯახმა სტიენის ორსულობა ისე მიიღო, თითქოს ვიღაცის ძროხა დამაკებულიყოს. ვინსენტიც ძველებურად მიიღეს. სჯეროდა ვინსენტს, იცოდა ამ ხალხმა, რომ უბრალო იყო მათთან.

სოფელი კი სხვანაირად ფიქრობდა. ადრიანა შაფრატი კარს უკან უსმენდა, ახალი ამბავი საჩქაროდ მეზობლებს აცნობა და ერთ საათში ნუენენის ორი ათას ექვსასივე ოჯახმა იცოდა, რომ სტიენ დე გრუტი ვინსენტისაგან დაორსულებულიყო და მამა პაუველსს სურდა ძალით დაექორწინებინა.

ნოემბერი მოვიდა და ზამთარიც თან მოიყოლა. დრო იყო გამგზავრებაზე ეფიქრა ვინსენტს. ნუენენში ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა. ყველაფერი რაც დასახატი იყო, უკვე დახატა, რაც სასწავლი იყო გლეხურ ყოფაში — ისწავლა. ამ სოფელში, ახალი სიძულვილის ატმოსფეროში აღარ უნდოდა ცხოვრება.

ცხადი იყო წასვლის დრო დადგა. მაგრამ სად წასულიყო?

ერთხელ, შეწუხებულმა ადრიანამ კარზე დაუკაკუნა:

— მინჰერ ვან გოგ, — უთხრა მან, — მამა პაუველსი ამბობს, ვინსენტმა სასწრაფოდ დასტოვოს აქაურობა და სადაც უნდა იქ წავიდესო.

— კეთილი. დაე ისე იყოს, როგორც მას სურს.

ვინსენტი სახელოსნოში დაბორიალებდა და თავის ნამუშევრებს შესცქეროდა. აი მისი ორი წლის მონური შრომის შედეგი, ასობით ეტიუდი — მქსოველები, მათი ცოლები, საქსოვი დაზგები, მინდორში მომუშავე გლეხები, მღვდლის სახლის ეზოს კუთხეში მდგარი ალვის ხეები, ძველი ეკლესიის გუმბათი, ველები და ჯაგნარები, ზოგი მზის პაპანაქებით გათანგული, ზოგიც ზამთრის გრილ ნისლში გახვეული.

თითქოს რაღაც ტვირთი დააწვა ვინსენტს. ყველა სურათი რაღაცნაირი შემთხვევითი ჩანახატი იყო. რამდენიც გინდათ, იმდენი სცენა ჰქონდა ბრაბანტელ გლეხთა ცხოვრების ამსახველი, მაგრამ არც ერთ მათგანში არ მოჩანდა ის საერთო, რაც აქაურებს გააერთიანებდა. ის სული, რაც გლეხის ქოხში ტრიალებდა კარტოფილის ოხშივართან ერთად. სად არის მისი ბრაბანტელი გლეხის „ანგელოსი“? და ვიდრე მას არ დახატავს, როგორ წავიდეს აქედან?

კალენდარს შეხედა. პირველ რიცხვამდე თორმეტი დღე იყო დარჩენილი. ადრიანას დაუძახა.

— მამა პაუველსს უთხარით, რომ ქირა პირველ რიცხვამდე მაქვს გადახდილი და მანამდე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან.

ხელი მოჰხვია მოლბერტს, საღებავებს, ტილოს, ფუნჯებს და დე გრუტების ქოხისკენ გასწია. სახლში არავინ დაუხვდა.

ვინსენტმა ფანქარი აიღო და ოთახის მოწყობილობის ხატვას შეუდგა. დე გრუტები მინდვრიდან რომ დაბრუნდნენ, ვინსენტმა ნახატი აკუწა. ოჯახი ცხელ კარტოფილს, ყავას და ლორს შეექცა. ვინსენტმა მოლბერტზე სუფთა ტილო დადო და მანამდე იჯახირა, ვიდრე დე გრუტები დასაძინებლად არ დაწვნენ.

იმ ღამეს სახელოსნოში გააგრძელა სურათი. დღისით მთელი დღე ეძინა. გამოღვიძებულს უკმაყოფილების უცნაური განცდა დაეუფლა, ის სურათი ცეცხლს მისცა და კვლავ დე გრუტებისკენ გაეშურა.

ძველი ჰოლანდიელი მხატვრებისაგან ისწავლა ვინსენტმა, რომ ნახატი და ფერი ერთი განუყოფელი მთელია. დე გრუტები ისევ ძველებურად შემოუსხდნენ მაგიდას. ვინსენტს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამ ხალხმა, ახლა ლამპის შუქზე რომ შეექცეოდნენ ვახშამს, თვითონ მოიწია ეს კარტოფილი. თეფშზეც იმავე ხელმა დააწყო, რომელმაც მიწა თხარა. უნდოდა მათში ის მძიმე ფიზიკური შრომა ამეტყველებულიყო, რომელმაც პატიოსანი გზით მათ „პური მათი არსობისა“ მისცა.

ვინსენტი ძველი ჩვეულებისამებრ ეკვეთა ტილოს. გასაოცარი სიჩქარით და მონდომებით ხატავდა. ფიქრი უკვე საჭირო აღარ იყო. იმდენი გლეხი, ქოხი და ვახშმად მჯდარი ოჯახი დაეხატა, რომ ახლა მექანიკურად მუშაობდა.

— დღეს მამა პაუველსი იყო ჩვენთან, — თქვა ქალბატონმა დე გრუტმა.

— რა უნდოდა? — იკითხა ვინსენტმა.

— ფული შემოგვთავაზა, ოღონდ ვინსენტს თქვენთან ნუ ახატვინებთო.

— მერე, თქვენ რა უთხარით?

— ვუთხარით, რომ თქვენ ჩვენი მეგობარი ხართ.

— ყველა ოჯახი შემოიარა, — ჩაურთო სტიენმა, — მაგრამ ყველამ ის უთხრა, გვირჩევნია, ვინსენტის ერთი სუ ავიღოთ, ვიდრე თქვენი მოწყალებაო.

მეორე დილით ისევ გაანადგურა ვინსენტმა საღამოს დახატული. გააფთრებისა და უძლურების გრძნობა დაეუფლა. ათი დღე დარჩა. სამუდამოდ მიდიოდა ნუენენიდან. აქ გაჩერება აუტანელი იყო, მაგრამ ისე ვერ წავიდოდა, თუ მილესადმი მიცემულ პირობას სისრულეში არ მოიყვანდა.

ყოველ საღამოს დე გრუტებთან იყო და მანამ ხატავდა, ვიდრე მათ ძილი არ მოერეოდათ მაგიდასთან ჯდომისაგან. ყოველ ღამე ეძებდა ახალ ფერთა შეხამებას, ახალ პროპორციებს, მაგრამ ერთიდაიგივეს ხედავდა — ისევ დამარცხდა, ისევ არასრულყოფილია მისი სურათები.

თვის ბოლო დღეც გათენდა. ვინსენტი სიგიჟემდე იყო მისული. ეს დღეები ძილი არ მიჰკარებია და ნახევრად მშიერი დადიოდა. ნერვების დარჩენილი ენერგიით სულდგმულობდა რაც მეტად მარცხდებოდა, მით მეტს ღელავდა. მინდვრიდან დაბრუნებულ დე გრუტებს სახლში დახვდა. მოლბერტი დაედგა, ფერებიც შეეზავებინა, ტილო ჩარჩოზე გადაეჭიმა. დღეს უკანასკნელი ცდა იყო. ხვალ დილით სამუდამოდ სტოვებდა ბრაბანტს.

რამდენიმე საათს თავაუღებლად მუშაობდა. დე გრუტები მიუხვდნენ ვინსენტს. ვახშამს რომ მორჩნენ, არ წამომდგარან, თავიანთ დიალექტზე წყნარად გააგრძელეს მინდვრების თაობაზე საუბარი. ვინსენტს არ ესმოდა რას ხატავდა. საღებავებს დაუფიქრებლად აცხებდა ტილოს, არც ის ესმოდა, რა უნდოდა მის ხელს ამ

მოლბერტთან. ათი საათისათვის დე გრუტებს ძილი მოერიათ და ვინსენტსაც არაქათი გამოეცალა. შესაძლებლობის ყოველგვარი ზღვარი ამოიწურა. მოკრიბა თავისი ბარგი-ბარხანა, სტიენს აკოცა, მერე მთელ ოჯახს დაემშვიდობა და სახლისაკენ ისე წალასლასდა, თითქოს ყოველგვარი გრძნობისაგან დაცლილიყო.

სახელოსნოში რომ მივიდა, სურათი სკამზე დასდო, ყალიონი გააჩაღა და ნახატს დააცქერდა. არ ვარგოდა. არ გამოვიდა, რაღაცა აკლდა კიდევ. ისევ დამარცხდა წყალში ჩაეყარა ორი წლის შრომა ბრაბანტში.

ჩიბუხი ბოლომდე მოსწია და ბარგის ჩალაგებას შეუდგა.

ყველა ეტიუდი და ნახატი ჩამოხსნა და დიდ ყუთში ჩააწყო.

შემდეგ მოწყვეტით დაეშვა დივანზე.

არ გაუგია რამდენ ხანს იწვა ასე. წამოდგა. ტილო ჩამოგლიჯა, კუთხეში მიაგდო და ახალი გადაჭიმა. ფერები შეაზავა, დაჯდა და მუშაობას შეუდგა.

„ყოველი ცდა ამაოა, ვიდრე პალიტრას ძველი კოლორიტი არ დაუბრუნდება. მაშინ კი მოითოკება ბუნება და დაჰყვება მხატვრის ნებას“. „On croit que j'imagine — ce n'est pas vrai — je me souviens“ (*ჰგონიათ რომ მე ვიგონებ — ტყუილია — მე ვიხსენებ — ფრ.).

მოხდა ის, რაც პიტერსენმა უთხრა ბრიუსელში. იგი მეტისმეტად ახლოს იდგა მოდელთან. ამით პერსპექტივას ვერ აფასებდა. ვინსენტი რაღაცნაირად უერთდებოდა ბუნებას, იღვრებოდა მასში. ახლა კი ბუნება ჩაეღვარა მთელ მის არსებას.

სურათი კარგად მოწეული. მტვრიანი, გაუთლელი კარტოფილის ფერში დახატა. სუფრა ჭუჭყიანი აფარია, კედელი გაბოლილია, ხის გაურანდავ ჭერზე ლამპა ჰკიდია. სტიენი მამას კარტოფილს აწოდებს. კარტოფილს ოხშივარი ასდის. დედა ყავას ასხამს. ძმას ჭიქა ტუჩებთან მიუტანია. ყველას მშვიდი სახე აქვს, ცხოვრებას ჩვეული მოთმინებით შეგუებული.

მზე ამოვიდა და სუსტი შუქი შემოანათა ოთახში. ვინსენტი სკამიდან წამოდგა, დაწყნარდა, სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა.

იმ თორმეტი დღის მღელვარება სრულიად გაჰქრა. სურათს შეხედა. მას ლორის სუნი და კარტოფილის ოხშივარი ასდიოდა.

გაეღიმა. როგორც იქნა, დახატა თავისი „ანგელუსი“. დაიჭირა ის ზოგადი, რასაც ყველა ერთეულში ხედავდა. ამიერიდან აღარასოდეს მოკვდებოდა ბრაბანტელი გლეხი.

სურათს კვერცხის ცილა გაუსვა. ნახატებით და ეტიუდებით სავსე ყუთი სახლში წაიღო, დედას დაუტოვა და გამოემშვიდობა. შემდეგ ისევ სახელოსნოში დაბრუნდა, ახლადდახატულს „კარტოფილისჭამიები“ მიაწერა, მასთან ერთად რამდენიმე შედარებით უკეთესი სურათი ამოირჩია და პარიზისაკენ გაემგზავრა.

წიგნი მეხუთე
პარიზი

1.

— გამოდის რომ, შენ ჩემი ბოლო წერილი არ მიგიღია, ხომ? — ჰკითხა თეომ მეორე დილით, როცა ძმები ყავას და ფუნთუშებს შეექცეოდნენ.

— ალბათ, — უთხრა ვინსენტმა, — განა რას იწერებოდი?

— ახალ ამბავს. გუპილთან დაწინაურება მივიღე.

— რა კაცი ხარ, თეო, გუშინ ერთი სიტყვაც არ დაგცდენია!

— შენ ისე იყავი აღელვებული, რომ მოსმენის თავი არ გქონდა. მონმარტრის ბულვარის გალერეა ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა.

— რა კარგია, თეო შენი საკუთარი სურათების გალერეა!

— არც მთლად ჩემი საკუთრებაა, ვინსენტ. გუპილის ფირმის პოლიტიკას კვალში უნდა მივყვე. მაგრამ, იცი, ნება დამრთეს იმპრესიონისტები გამომეფინა ანტრესოლში, ასე რომ...

— მერე, ვინ გამოჰკიდე?

— მონე, დეგა, პისარო და მანე.

— არც ერთი არ გამიგია.

— თუ ასეა, მაშინ წამომყევი გალერიაში და უცქირე რამდენიც გენებოს.

— თეო, შენ რაღაც ულვაშებში გეცინება!

— ისე, უბრალოდ. წასვლის დროც მოვიდა. გალერეამდე ყოველდღე ფეხით მივდივარ. ყავა ხომ არ გინდა კიდევ?

მადლობელი ვარ, არა, არა, ნახევარი დამისხი, ეშმაკმა დალახვროს, თეო, მაინც კარგია, რომ ისევ ერთად ვართ და ერთად ვსაუბმობთ.

— მე სულ ველოდი, ვინსენტ, რომ შენ პარიზში ჩამოხვიდოდი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სჯობდა ივნისამდე დაგეცადა, ვიდრე ლეპიკის ქუჩაზე გადავსახლდებოდი. იქ სამი დიდი ოთახი გვექნება. როგორც ხედავ, აქ მუშაობა არ შეიძლება.

ვინსენტმა სკამი შემოატრიალა და ოთახს თვალი მოავლო, თეოს ეჭირა ერთი დიდი ოთახი, კაბინეტი და პაწაწკინტელა სამზარეულო. ოთახი ლუი ფილიპეს სტილის ავეჯით ყურთამდე გამოევსო. ხეირიანად მობრუნების საშუალებაც არ იყო.

— მოლბერტი რომ დაიდგას, — თქვა ვინსენტმა, — ამისათვის საჭირო იქნება ამ მშვენიერი ავეჯის რომელიმე ნაწილის გარეთ გატანა.

— მართალია, აქაურობა ძალიან გადაიტვირთა, მაგრამ რომ იცოდე, როგორ გამიმართლა. — ავეჯი კარგ ფასში ვიყიდე და სწორედ ის არის, რაც ახალი ბინისთვის მინდოდა. წავიდეთ, ვინსენტ. ბულვარამდე ჩემი საყვარელი გზით უნდა წაგიყვანო. შენ ვერ გაიგებ, რა არის პარიზი, ვიდრე დილაადრიანად არ იგრძნობ მის სუნს.

თეომ მძიმე, შავი პალტო ჩაიცვა, გულზე თოვლივით ქათქათა ყელსახვევი შეიკრა, თმის ჯაგრისი ერთი კიდევ შეახო შუაზე გაყოფილ კულულებს, სათუთად შეისწორა ულვაში და ნიკაპზე წამოზრდილი ნაზი წვერი. შემდეგ შავი ცილინდრი დაიხურა, ხელთათმანები და ხელჯოხი აიღო და სადარბაზო კარისაკენ გაემართა.

— მზადა ხარ, ვინსენტ? ღმერთო ჩემო! რას დამსგავსებიხარ, პარიზის გარდა, სხვაგან რომ ასე მორთული გამოხვიდე, აუცილებლად დაგაპატიმრებენ.

— განა რას უწუნებენ ჩემს მორთულობას! — ვინსენტმა ტანზე დაიხედა. — ორი წელია ეს პალტო მაცვია და ჯერ მაგის მსგავსი არაფერი უთქვამთ ჩემთვის.

თეოს გაეცინა.

— არაფერია. პარიზელებს შენისთანები არ უკვირთ. ამაღამ, გალერეას რომ დავხურავ, ვეცდები, რაიმე გიყიდო.

ხრახნილ კიბეს ჩამოჰყვნენ, კონსიერჟის ოთახს ჩაუარეს და ლავალის ქუჩაზე გავიდნენ. კარგა განიერი ქუჩა იყო, საამო საცქერი, მდიდრული მაღაზიებით სავსე. რა გინდა რომ აქ არ იყიდებოდა, წამლები, სურათის ჩარჩოები, ანტიკვარული ნივთები.

— ჩვენი სახლის მესამე სართულს შეხედე, რა მშვენიერი ქალბატონები გამოუჭიმიათ! — უთხრა თეომ.

ვინსენტმა აიხედა და ქალის სამ ბიუსტს წააწყდა. პირველს ეწერა ქანდაკება, შუათანას — არქიტექტურა, ხოლო მესამეს — მხატვრობა.

— ვითომ რატომ მიუმსგავსებიათ მხატვრობა ამ დამანჭული მეძავისათვის?

— არ ვიცი, — უპასუხა თეომ, — მაგრამ რაც არ უნდა იყოს, შენ იმ სახლში მოხვედი, სადაც საჭიროა.

ჩაუარეს ანტიკვარულ მაღაზიას, „Le vieux Rouen“ (*ძველი რუანი — ფრ.), სადაც თეომ თავისი ავეჯი შეიძინა და სულ მალე მონმარტრის ქუჩაზე გამოვიდნენ, რომელმაც მიხვეულ-მოხვეული გზით კლიშის გამზირზე აიყვანა, მონმარტრის გორაზე, საიდანაც ქალაქის ცენტრისკენ დაეშვნენ. დილის მზის შუქი მთელ ქალაქში ჩაღვრილიყო და გამოღვიძებული პარიზის სურნელი ავსებდა იქაურობას. ხალხი კაფეებში ყავას და ფუნთუშებს შეექცეოდა, ხილ-ბოსტნეულის, ხორცის და ყველის მაღაზიები იღებოდა და სავაჭროდ ემზადებოდა.

ეს ფუსფუსა ვაჭართა კვარტალი სავსე იყო პატარ-პატარა მაღაზიებით. მშრომელი ხალხი უკვე ქუჩაში გამოფენილიყო.

დიასახლისები დახლზე დაწყობილ საქონელს ხელს ახებდნენ და გამყიდველებს გაცხარებით ევაჭრებოდნენ.

ვინსენტმა ხარბად ჩაისუნთქა.

— პარიზი! ამდენი წლის შემდეგ!

— დიან, პარიზი. ევროპის დედაქალაქი, ხელოვნების ბურჯი.

ვინსენტი დაათრო და გააბრუა ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებამ. თვალი აუჭრელდა გარსონების შავ-წითელ ზოლიანი ტანსაცმლისაგან. დიასახლისებს გრძელი პურები შეუხვევლად ამოეჩარათ იღლიაში. გზის პირას ურიკები იდგა. ფოსტლებში ფეხწაყრილი მოახლეები კარებიდან იცქირებოდნენ.

გამოწკეპილი საქმოსნები სამსახურისკენ მიეშურებოდნენ.

როცა ეს ურიცხვი ძეხვეულის მაღაზიები, საკონდიტროები, საფუნთუშეები, სამრეცხაოები და კაფეები ჩათავდა, მონმარტრი შატოდენის უზარმაზარ მოედანს შეუერთდა. ამ მოედანზე ექვსი ქუჩა იყრიდა თავს და ამის გამო მრგვალი აღარ იყო.

მოედანი გადაჭრეს და Notre Dame de Lorette-ს (*ლორეტის ღვთისმშობლის ტაძარი — ფრ.) ჩაუარეს. ამ შავი ქვით ნაგებ, ოთხკუთხა, ჭუჭყიან ტაძარს სამი ანგელოზი წამოსკუპებოდა სახურავზე, რომლებიც ხელაპყრობილნი თითქოსდა ლურჯ ლაჟვარდში გასაფრენად გამზადებულიყვნენ. კარის თავზე წარწერა შენიშნა ვინსენტმა და ყურადღებით დააცქერდა.

— ეს „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ლიტონი სიტყვებია თუ საქმე, თეო?

— მე მგონი, საქმეა. მესამე რესპუბლიკა მოიკიდებს ალბათ ფეხს. როიალისტები სულ განადგურდნენ. ახლა სოციალისტები ეტანებიან ძალაუფლებას. ემილ ზოლა

მეუბნებოდა ამას წინათ, შემდეგი რევოლუცია მეფეების წინააღმდეგ კი აღარ იქნება, არამედ კაპიტალიზმის წინააღმდეგო.

— ზოლა! შენ მას იცნობ, თეო?

— პოლ სეზანმა გამაცნო. ჩვენ ყველანი კვირაში ერთხელ კაფე „ბატინიოლში“ ვიკრიბებით, შენც წაგიყვან იქ.

შატოდენის მოედნიდან მონმარტრის ქუჩა სულ სხვა იყო.

ვაჭართა უბანი უფრო მდიდრულმა ატმოსფერომ შესცვალა.

მაღაზიები და კაფეები გაიზარდა, ხალხიც უკეთ ჩაცმული დადიოდა, შენობებიც გაცილებით ლამაზი იყო. გამოჩნდა მუზიკ ჰოლები, რესტორნები, სასტუმროები. ურიკების ნაცვლად ეტლები დაგრიალებდნენ.

ძმები ცოცხლად მიაბიჯებდნენ. ზამთრის მზე სასიამოვნოდ ანათებდა და ირგვლივ დედაქალაქის მდიდრული, საინტერესო ცხოვრების სურნელი ტრიალებდა.

— რაკი შინ მუშაობის პირობები არა გვაქვს, — უთხრა თეომ, — ჩემი რჩევაა კორმონის სტუდიაში წახვიდე.

— რას წარმოადგენს ეგ სტუდია?

— კორმონი ისეთივე აკადემიკოსია, როგორც მასწავლებელთა უმეტესობა, მაგრამ თუ შენ მისი კრიტიკული შეფასება არ დაგაინტერესებს, თავს არ შეგაწყენს.

— ძვირია ეგ სტუდია?

თეომ ხელჯოხი მოუთათუნა თეძოზე.

— არ გითხარი, დამაწინაურეს-მეთქი? სულ მალე მე ერთერთი იმ პლუტოკრატთაგანი გავხდები, ვისაც ზოლა მომავალი რევოლუციით ემუქრება და განადგურებას უქადის.

მონმარტრის ქუჩა უზარმაზარ მონმარტრის ბულვარს შეუერთდა, სადაც უნივერმაღები, ქარვასლები და მდიდრული მაღაზიები მრავლდებოდნენ. ამ ბულვარზე, რომელსაც რამდენიმე კვარტლის იქით იტალიელების კვარტალს ეძახდნენ და ოპერის მოედნამდე გრძელდებოდა, ქალაქის მთავარი მაჯისცემა იგრძნობოდა. ჯერ ადრე იყო და ქუჩაში ხალხი არ ჩანდა, მაგრამ მაღაზიის გამყიდველები მათ მოლოდინში ფუსფუსებდნენ.

გუპილის გალერეის ის ფილიალი, რომელიც თეოსთვის ჩაებარებინათ, ცხრამეტ ნომერში იყო და მონმარტრისგან ერთი კვარტალი ჰყოფდა. ვინსენტმა და თეომ ამ ბულვარზე გადაიარეს, შუა ადგილას წუთით ლამპიონთან შეჩერდნენ, რომ მომავალი ეტლისათვის გზა დაეთმოთ და გალერეისკენ გაემართნენ.

კოხტად გამოწყობილმა კლერკებმა პატივისცემით თავი დაუკრეს სალონში შემოსულ თეოს. ვინსენტს გაახსენდა, კლერკი რომ ვიყავი, მეც ასე ვუკრავდი თავს ტერსტეგს და ობახსო. ოთახში დახვეწილობისა და კულტურის ისეთი ატმოსფერო იყო, რაც, ვინსენტს ეგონა, დიდი ხანია გადამავიწყდაო. კედლებზე ბუგროს, ენგრისა და დელაროშის ტილოები ეკიდა. მთავარი სალონიდან კიბეები მაღლა ადიოდა, პატარა აივანზე.

— შენ რომ სურათები გაინტერესებს, მაღლაა, ანტრესოლში, — უთხრა თეომ, — ცქერით გულს რომ იჯერებ, ჩამოდი და შენი აზრი მითხარი.

— ნეტა რას იცინი ულვაშებში!

თეომ ახლა ხმამაღლა გაიცინა.

— A toute à l'heure, — უთხრა ძმას და თავის კაბინეტში შევიდა.

2.

— საგიუეთში ვარ თუ ეს რა ამბავია?

ვინსენტი გაოგნებული მივიდა იმ ერთადერთ სკამთან, რომელიც ანტრესოლში იდგა, ზედ ჩამოჯდა და თვალები მოისრისა. თორმეტი წლისა რომ იყო, იმ დღიდან მოკიდებული დღემდე მხოლოდ მუქფერი, პირქუში სურათები ენახა; სურათები, რომელთაც ვერც კი შეამჩნევდით ფუნჯის შენახებს, სადაც ყოველი შტრიხი ზუსტი და სრულყოფილი იყო, და ერთი ფერი თანდათანობით, ჰარმონიულად გადადიოდა მეორეში.

ამ სურათების მსგავსი, ასე მხიარულად რომ შესციცინებდნენ კედლებიდან, არც ენახა და არც გაეგონა რამე. აქ არსად ჩანდა ძველებური სინატიფე, ზომიერების გრძნობა. გამქრალიყო ის ყოვლისმომცველი ყავისფერი ფერი, რაც მოუშორებლად თან სდევდა ევროპის მხატვრობას საუკუნეების განმავლობაში. ამ სურათებზე მზე დუღდა და გადმოდიოდა. სიცოცხლით სავსე, კაშკაშა ფერებს გაენათებინათ ტილოები. ბალერინები კულისებში — სურათზე წითელი, მწვანე და ლურჯი ტონები გაბედულად მოეთავსებინათ გვერდიგვერდ.

ხელმოწერას შეხედა. დეგა.

აქ იყო მთელი სერია მდინარის პირას დახატული პეიზაჟებისა. აქაც შუაზაფხულის ბუღი, პაპანაქება და მცხუნვარე მზე. მხატვარი მონე. ერთ ასეთ კაშკაშა სურათში გაცილებით მეტი სინათლე, სიცოცხლე და სურნელება იყო, ვიდრე ყველა იმ სურათებში, რაც აქამდე ენახა ვინსენტს. მონეს უმუქესი ფერი ასჯერ უფრო ღია იყო ჰოლანდიის მუზეუმის ნებისმიერი სურათის ყველაზე ღია ფერთან შედარებით. ფუნჯის ყოველ მოსმას სითამამე ეტყობოდა, შიგ თვალებში შემოსცქეროდა და ცხოვრების რიტმს შერწყმოდა. ტილო სქლად დაეფარა კაშკაშა, მაძღარ და სავსე ფერებს.

ვინსენტი ერთი სურათის წინ შეჩერდა. კაცს შავი პერანგი ეცვა, თავისი პატარა ნავის საჭეს ნამდვილი გალური გულმოდგინებით ჩაფრენოდა. აი ტიპიური ფრანგი ადამიანი — რა მხიარულად ატარებს კვირა საღამოს. ცოლი გულხელდაკრეფილი უზის გვერდით. ვინსენტმა მხატვრის გვარს შეხედა.

— ისევ მონე!? — წამოიძახა ხმამაღლა. — საოცარია, არავითარი მსგავსება არ არის იმ პეიზაჟებთან.

კარგად დააკვირდა. შეშლია, მანე ყოფილა, მონე კი არა.

ის ამბავი გაახსენდა, მანეს „პიკნიკი ველად“ და „ოლიმპია“ რომ გამოფინეს. თურმე პოლიცია იძულებული შეიქნა თოკები შემოევლო მათ ირგვლივ, რომ ხალხს დანა არ დაესვა, ან არ მიეფურთხებინა ზედ.

ვინსენტს ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ მანეს ტილოები მას ემილ ზოლას აგონებდა. ერთი კი იყო — ორივე გამალებული ეძებდა ჭეშმარიტებას, ორივეს შორსმჭვრეტელობის გაბედული გრძნობა გააჩნდა და იცოდნენ, რომ ყოველგვარ სიმახინჯეში აუცილებლად არის თავისებური სილამაზე. ხატვის ტექნიკას დაუკვირდა. აღმოჩნდა, რომ მანე მხოლოდ სუფთა, შეურეველ ფერებს ხმარობდა. ეს ფერები თანდათანობით კი არ გადადიოდნენ ერთმანეთში, არამედ უცებ; ძალიან ბევრი

დეტალი დაუსრულებელი მონახაზი იყო მხოლოდ, ხოლო ტონი, კონტურები და შუქ-ჩრდილი გარკვეული მოხაზულობისა კი არ იყო, არამედ ერთმანეთში იხლართებოდა, ერთმანეთს შერეოდა.

— მართლაც ასე აღიქვამს თვალი — გაიფიქრა ვინსენტმა.

უცებ საიდანღაც მაუვეს ხმა ჩაესმა თითქოს „ნუთუ არ შეგიძლია, სწორი ხაზი იპოვნო, ვინსენტ?“

ვინსენტი ისევ სკამზე ჩამოჯდა და სურათებში ჩაიძირა.

ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა თუ რა უბრალო რამეს შეეტანა სიახლე სურათებში. ამ მხატვრებს ჰაერით აევსოთ ტილოები!

და სწორედ ამ ცოცხალ, მოძრავ, სავსე ჰაერს ისეთი ძალა ჰქონდა, რომ გრძნობდი, როგორ დაეფარა მას საგნამდე მანძილი. იცოდა ვინსენტმა, აკადემიური აზრით ჰაერი არ არსებობდა. ეს იგივე სიცარიელე იყო, სადაც ისინი უძრავად, უსიცოცხლოდ ათავსებდნენ საგნებს.

მხატვართა ახალთაობა კი! მათ ჰაერი აღმოაჩინეს! აღმოაჩინეს სინათლე, სუნთქვა, ატმოსფერო, მზე. მათ დაინახეს საგნები იმ უხილავი ძალებით შეპყრობილი, რითაც ავსილა ეს მთრთოლვარე ნაკადი. მიხვდა ვინსენტი, ძველმა მხატვრობამ თავისი დრო მოჭამა. ფოტოაპარატები და აკადემიკოსები ზუსტ ასლს იღებენ. მხატვრებს კი სუბიექტური აღქმა გააჩნიათ, მათ იმ მზით გაჟღენთილი ჰაერის დანახვაც კი ძალუძთ, რაც გარშემო აკრავთ. ამ მხატვრებმა სრულიად ახალი სიტყვა თქვეს ხელოვნებაში.

ფეხარეული ჩამოჰყვა კიბეს. თეო მთავარ სალონში ელოდა. გაღიმებული მზერა შეანათა ძმას.

— რას იტყვი, ვინსენტ?

— ოჰ, თეო! — უნებურად აღმოხდა ვინსენტს. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა მაგრამ ვერ მოახერხა. ანტრესოლისკენ აიხედა, მერე შემოტრიალდა და გალერეიდან გავარდა.

ბულვარს გაუყვა, ვიდრე რვაწახნაგა შენობას არ მიადგა.

ოპერის თეატრი იცნო. ქვის სახლებს შორის ხიდს მოჰკრა თვალი და მდინარისაკენ გაემართა. წყლის პირას ჩაცუცქდა და სენაში ჩაჰყო ხელი. მერე ხიდი ისე გადაჭრა, ბრინჯაოს მხედრისაკენ არც კი გაუხედია. მარცხენა სანაპიროს ლაბირინთს გაჰყვა. აუჩქარებლად აიარა აღმართი, სასაფლაო უკან მოიტოვა და უზარმაზარ რკინიგზის სადგურს მიადგა. დაავიწყდა სენაზე რომ გადავიდა და პოლიციელს ჰკითხა, ლავალის ქუჩა სად იქნებაო.

— ლავალის ქუჩა? თქვენ ქალაქის სულ სხვა მხარეს მოხვდით, მუსიე. ეს მონპარნასია. ახლა ქვემოთ ჩადით, სენაზე გადადით და მონმარტრს აჰყევით მაღლა.

დიდხანს იხეტიალა ვინსენტმა პარიზში უგზოუკვლოდ.

მოიარა მდიდრული მაღაზიებით სავსე დიდი სუფთა ბულვარები, მიხვეულ-მოხვეული, ჭუჭყიანი შუკები, ვაჭართა ქუჩები, ღვინის მაღაზიების გაუთავებელი რიგით. ისევ გორაკის კორტოხზე ავიდა, ამჯერად პარიზის ტრიუმფალურ თაღთან.

აღმოსავლეთით გაჭიმულ გრძელ ბულვარს გადახედა, რომელსაც აქეთ-იქით არმიად მიჰყვებოდა შეფოთლილი ხეების ზოლი. ბულვარი უზარმაზარ მოედანს უერთდებოდა, სადაც ეგვიპტური ობელისკი იყო წამომართული. დასავლეთით დაბურული ტყე მოჩანდა.

კარგა შებინდებული იყო ლავალის ქუჩა რომ იპოვა. ყრუ ტკივილი და უცნაური მოთენთილობა იგრძნო. პირდაპირ თავისი ნახატების ფუთას მიეჭრა, გახსნა და იატაკზე გაშალა.

ტილოებს დააცქერდა. ღმერთო! რა ბნელი და კუშტია ყველა, რა ტლანქია და უსიცოცხლო. თურმე გასულ საუკუნეს ხატავდა და გუმანითაც ვერაფერს მიმხვდარიყო.

ღამდებოდა, თეო შინ რომ დაბრუნდა. თავის სურათებს მიშტერებული ვინსენტი ისევ იატაკზე იჯდა. თეომ ძმის გვერდით ჩაიმუხლა. დღის დარჩენილი შუქი სულ გაიპარა და ოთახი წყვდიადში ჩაიძირა, თეო ხმას არ იღებდა.

— ვინსენტ, — უთხრა ბოლოს. — ვიცი, რასაც გრძნობ. — გაოგნებული ხარ. დიდებულია, ხომ მართალია? ის, რაც აქამდე წმიდათაწმიდა იყო მხატვრობაში, ჩვენ სრულიად უარვყავით.

ვინსენტის მოჭუტული თვალების სევდიანი მზერა თეოსას წააწყდა. წააწყდა და ჩააჟინდა.

— თეო, რატომ არაფერს მეუბნებოდი? რატომ არ ვიცოდი მე ეს? რატომ აქამდე არ ჩამომიყვანე აქ? შენ ხომ მთელი ექვსი წელი დამაკარგვინე.

— დაგაკარგვინე? რა სისულელეს როშავ! შენ შენს საქმეს აკეთებდი. შენ ხატავ, როგორც ვინსენტ ვან გოგი და არავის არ ჰგავხარ. აქამდე რომ ჩამოსულიყავი, ვიდრე შენებურ, დამახასიათებელ გამოსახვას შესძლებდი, პარიზი მისებურად გაგოქვეფდა.

— რაღა ვქნა ახლა? ერთი ამ ნაცოდვილარს შეხედე! — და ერთ უზარმაზარ, პირქუშ ტილოს ფეხი წაჰკრა. — უსიცოცხლოა, თეო, ვის სჭირდება ეს!

— რა უნდა ვქნაო, მეკითხები. გეტყვი. შენ იმპრესიონისტებისაგან ფერი და კოლორიტი უნდა ისწავლო. ერთადერთი ეს არის, რაც შენ გჭირდება. იცოდე, სხვა არაფერი. არავის მიბაძო, ვინსენტ. თავი არ დაიღუპო. პარიზმა არ გაგსრისოს, გაფრთხილებ.

— კი მაგრამ, თეო. გამოდის, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. რასაც მე ვაკეთებდი სწორი არ არის.

— შენ ყველაფერს სწორად აკეთებ გარდა... ფერისა და კოლორიტისა. იმ დღიდან, როცა ბორინაჟში ფანქარს მოჰკიდე ხელი, შენ ნამდვილი იმპრესიონისტი ხარ. შეხედე ამ ნახატებს! შეხედე, როგორი ფუნჯის მოსმა გაქვს შენ! მანამდე არავინ ხატავდა ასე. ახლა კონტურებს შეხედე! შენ ხომ არც ერთ მკვეთრ მონახაზს არ აკეთებ. შეხედე ამ სახეებს, ხეებს, მინდვრად მომუშავე ადამიანებს! აი შენი აღქმა! ტლანქია, სრულყოფილებას მოკლებულია, იმიტომ რომ შენი სუბიექტური მიდგომითაა დანახული. იმპრესიონისტი სხვა კი არაფერია: ხატავენ ისე, რომ არ ჰგავდეს სხვის ნახატს, წესებისა და ნორმების ჩარჩოში არ იყოს მოქცეული. შენც ასეთი ხარ, ვინსენტ და შენ იმპრესიონისტი ხარ, განურჩევლად იმისა, გინდა შენ ეს თუ არა.

— რას ამბობ, თეო, როგორ არ მინდა!

— პარიზის მხატვრების ახალთაობა იცნობს შენს ტილოებს. არა, ისინი აღიარებულნი არ არიან, მაგრამ ახლა გარკვეულ ექსპერიმენტებს აწარმოებენ. მათ შენი გაცნობა უნდათ.

იმედია, მათგან ბევრ საინტერესოს ისწავლი.

— ჩემი ტილოები უნახავთ? ახალგაზრდა იმპრესიონისტები ჩემს ნამუშევარს იცნობენ?

ვინსენტმა მუხლზე წამოიწია, რომ უფრო გარკვევით დაენახა თეოს სახე. თეოს ზუნდერტი მოაგონდა, საბავშვო ოთახში იატაკზე რომ თამაშობდნენ ხოლმე.

— რა თქმა უნდა. როგორ გგონია, ამდენი წელი გულხელდაკრეფილი ვზივარ პარიზში? იმათი აზრით შენ საოცრად გამჭრიახი თვალი და ნამდვილი ხელოვანის მარჯვენა გაქვს. ახლა ერთი რამ გჭირდება მხოლოდ, მეტი სინათლე მისცე შენს პალიტრას და ცოცხალი, გამჭვირვალე ჰაერის ხატვა ისწავლო.

განა ბედნიერება არ არის, ვინსენტ, იმ საუკუნეში იცხოვრო, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ძვრები ხდება?

— თეო, შე კუდიანო, შე ბებერო კუდიანო!

— აბა, წამოხტი ზეზე, შუქი აანთე. ჩავიცვათ და წავიდეთ, ვისადილოთ. Brasserie Universelle-ში უნდა წაგიყვანო. მთელს პარიზში ყველაზე გემრიელი „შატობრიანი“ მაგ რესტორანშია. მე შენ ნამდვილ ბანკეტს გადაგიხდი. შამპანურით უნდა აღვნიშნოთ ის დიადი დღე, როცა პარიზი და ვინსენტ ვან გოგი ერთად შეიყარნენ.

3.

მეორე დილით ვინსენტმა თავისი სახატავი მოწყობილობა მოკრიბა და კორმონის სტუდიისაკენ გაეშურა. ეს სტუდია უზარმაზარი ოთახი აღმოჩნდა, მესამე სართულზე. დღისით სინათლე ჩრდილოეთ მხრიდან შემოდიოდა. ერთ კუთხეში მენატურე იდგა, პირით კარისკენ მიბრუნებული შიშველი კაცი.

ოცდაათამდე სკამი და მოლბერტი გაბედულად დაედგათ მოსწავლეთათვის. კორმონმა ვინსენტი ჩაწერა და მოლბერტი მიუჩინა.

დაახლოებით საათმა რომ განვლო, ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო და ვიღაც ქალი შემოვიდა. ყბა აეხვია და ცალი ხელი ზედ მიედო. შიშველი კაცის დანახვაზე შეშინდა, ღმერთო ჩემოო, წამოიძახა და გარეთ გავარდა.

ვინსენტმა მეზობელს ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, რა დაემართა იმ ქალს?

— ყოველდღე ასე ხდება. ეგ ქალი კბილის ექიმს ეძებდა და კარი შეეშალა. შიშველი კაცის დანახვისთანავე ავიწყდებათ კბილის ტკივილი. ეგ კბილის ექიმი აქედან თუ არ გადავიდა სადმე, ნამდვილად გაკოტრდება. თქვენ ახალი მოსული უნდა იყოთ, არა?

— დიახ, მესამე დღეა, რაც პარიზში ჩამოვედი.

— თქვენი სახელი?

— ვან გოგი. თქვენი?

— ანრი ტულუზ-ლოტრეკი. თეო ვან გოგის რამე ხართ?

— ძმა არის ჩემი.

— ესე იგი, ვინსენტი გქვიათ! მოხარული ვარ რომ გაგიცნობთ. თქვენი ძმა სურათებით საუკეთესო მოვაჭრეა მთელს პარიზში. იგი ერთადერთი ადამიანია, ვინც ცდილობს ახალგაზრდებს გასაქანი მოგვცეს; არა მარტო ცდილობს, არამედ თავგადაკლული იბრძვის ჩვენი გულისათვის. თუკი ოდესმე პარიზი აღიარებს ჩვენს ხელოვნებას თეო ვან გოგის დამსახურება იქნება. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს იგი.

— მეც.

ვინსენტი მოსაუბრეს დააკვირდა. ლოტრეკს ისეთი თავი ჰქონდა, თითქოს კეფა ჩამოუთლიათო. ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი ბრტყელ თავთან შედარებით მეტისმეტად წინ წამოწეოდა, შავი, გაბურძგნილი წვერი ნიკაპიდან ქვემოთ კი არ ეზრდებოდა, არამედ ზემოთ.

— ამ სოროში რამ მოგიყვანათ, კორმონთან? — ჰკითხა ლოტრეკმა.

— სადღაც ხომ უნდა ვხატო. თქვენ რამ მოგიყვანათ?

— არ ვიცი. ღმერთმანი. გასულ თვეს საროსკიპოში ვცხოვრობდი მაღლა, მონმარტრზე. გოგოებს ვხატავდი. აი, მესმის სამუშაო! სტუდიაში ხატვა ბავშვური გართობაა.

— იმ გოგოების ეტიუდებს სიამოვნებით ვნახავდი.

— მართლა?

— დიახ, რატომაც არა!

— ჩემზე ამბობენ გიჟიაო, რაკი მოცეკვავე გოგონებს, მასხარებს და მეძავებს ვხატავ. მე კი მათში ნამდვილ ხასიათს ვხედავ.

— მეც. და ჰააგაში დავქორწინდი კიდეც ერთ მეძავზე.

— Bien! რა ხალხი ხართ ეს ვინ გოგები! აბა, მიჩვენეთ, მოდელი როგორ ჩახატეთ.

— ინებეთ. ოთხი ცალია.

ლოტრეკი ჩანახატებს დააცქერდა და ბოლოს უთხრა:

— მე და თქვენ კარგად შევეწყობით ერთმანეთს, ჩემო კარგო, ჩვენ ერთნაირად ვაზროვნებთ. კორმონმა ნახა ეს ნახატები?

— არა.

— ნახავს თუ არა, გათავებული საქმეა. მაშინვე გაგაცამტვერებთ. ერთხელ მე მეუბნება, „ლოტრეკ, თქვენ მეტისმეტად აზვიადებთ, მუდამ აზვიადებთ. ყოველი თქვენი შტრიხი, ნამდვილი კარიკატურაა“.

— თქვენ კი ალბათ უპასუხეთ „ეს, ჩემო ძვირფასო კორმონ, ხასიათია და არა კარიკატურა“.

ლოტრეკის შავ, წვრილ თვალებს გაოცება დაეტყო.

— ესე იგი, თქვენ გინდათ ნახოთ ჩემი გოგოების პორტრეტები.

— დიახ.

— თუ ასეა, წავედით. ამ მკვდრებთან რა გვინდა!

ლოტრეკს სქელი, მოკლე კისერი ჰქონდა, მხარბეჭი საკმაოდ განიერი. მაგრამ ფეხზე რომ წამოდგა, ენიშნა ვინსენტს — კოჭლი ყოფილიყო მისი ახალი ნაცნობი. ფეხზე წამომდგარი ისევ იმ სიმაღლისა იყო, რაც დამჯდარი. ზორბა ტანი წინ გადმოხროდა, ფეხები კი მეტისმეტად წვრილი და უსუსური ჰქონდა.

კლიშის ბულვარს დაუყვნენ. ლოტრეკი მთელი ტანით ეყრდნობოდა თავის ხელჯოხს. ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა, რომ სული მოეთქვა, თან რომელიმე ორი შენობის ჰარმონიულ ურთიერთშეთანხმებაზე მიუთითებდა. მულენ რუჟამდე ერთი კვარტალი იყო დარჩენილი, მონმარტრის გორაზე რომ აუხვიეს, ლოტრეკმა კიდევ უფრო მოუხშირა შესვენებას.

— თქვენ ალბათ გაინტერესებთ, ვან გოგ, რა დაემართათ ჩემს ფეხებს. ყველას საშინლად აინტერესებს. გეტყვით.

— ო, არა! საჭირო არ არის!

— რატომ, ხომ უნდა გაიგოთ.

ლოტრეკი გადმოიხარა და თავის ჯოხს ახლა მხრით დაეყრდნო.

— დაბადებიდან სუსტი კიდურები დამყვა. თორმეტი წლისას, საცეკვაო ოთახის იატაკზე ფეხი გამიცურდა და მარჯვენა მენჯის ძვალი გამიტყდა. მეორე წელს თხრილში ჩავვარდი და ახლა მარცხენა გამიტყდა. მას მერე ფეხები აღარ გამზრდია.

— თავს ალბათ უბედურად გრძნობთ, არა?

— სულაც არა. ჯანმრთელს მხატვრად გახდომა არ მეწერა.

მამაჩემი ტულუზის გრაფი გახლდათ. ეს ტიტული მემკვიდრეობით ჩემზე უნდა გადმოსულიყო. რომ მომენდომებინა, ახლა მარშლის კვერთხი მექნებოდა ხელში და ამხედრებული, საფრანგეთის მეფის გვერდით ვიჯირითებდი. რასაკვირველია, თუ კი ეყოლებოდა საფრანგეთს მეფე. Mais sacrebleu (*ეშმაკმა დალახვროს — ფრ.), რად მინდა გრაფობა, როცა შეიძლება მხატვარი ვიყო.

— დიახ, გრაფების დღეები დათვლილია.

— წავიდეთ, ხომ? აი იქ, ხეივნის ბოლოში, დეგას სახელოსნოა. ჩემზე ამბობენ, დეგას ბაძავსო, რაკი ის ბალერინებს ხატავს და მე მულენ რუჟის გოგონებს. ილაპარაკონ, რამდენიც გაეხარდებათ. მოვედით, ფონტენის ქუჩა, 19 bis. პირველ სართულზე ვცხოვრობ, ალბათ მიხვდით.

ლოტრეკმა კარი შეაღო და ვინსენტს გზა დაუთმო.

— მარტო ვცხოვრობ, — უთხრა ლოტრეკმა — ჩამოჯექით, იქნებ მონახოთ სადმე ადგილი.

ვინსენტმა მიმოიხედა. უამრავი ტილოებით, ჩარჩოებით, მოლბერტებით, სკამებით, პატარა კიბეებით და ჩვრებით სავსე სახელოსნოში ორი უზარმაზარი მაგიდა იდგა. ერთზე იშვიათი ღვინოები და სხვადასხვა ფერის ლიქიორით სავსე გრაფინები ელაგა. მეორეზე გორად დახვავებულიყო საცეკვაო ჩუსტები, პარიკები, ძველი წიგნები, ქალის კაბები, ხელთათმანები, წინდები, უხამსი ფოტოსურათები, ძვირფასი იაპონური გრავიურები. ამ არეულობაში ლოტრეკს ძალიან პატარა ადგილი რჩებოდა სამუშაოდ.

— რა მოხდა, ვან გოგ? ვერ მოახერხეთ დასაჯდომი ადგილის პოვნა? ეგ ხარახურა მისწიეთ და სკამი მოიტანეთ ფანჯარასთან. იმ საროსკიპოში ოცდაშვიდი გოგოა. ყველასთან მეძინა სათითაოდ. დამეთანხმეთ, რომ აუცილებელია დაიძინო ქალთან, თუ გინდა ბოლომდე გაუგო მას.

— დიახ.

— ესეც ეტიუდები. კაპუცინის ბულვარზე ერთ კომერსანტთან დამქონდა ნახატები. ერთხელ მეუბნება: „რა ამბავია, ლოტრეკ, რატომ გიზიდავთ ყოველგვარი სისაძაგლე?

რატომაა, რომ ყოვლად ბინძურ და გახრწნილ ხალხს ხატავთ?

ეს ქალები პირდაპირ საზიზღრობაა, მეტი არაფერი. შეხედეთ, რა ავხორცული და უზნეო სახეები აქვთ. განა თანამედროვე ხელოვნება იმას ამბობს, სიმახინჯე ხატეთო! რამ დაგაბრმავათ ეს მხატვრები, რომ მშვენიერების ნაცვლად ამქვეყნიურ ნაძირალებს მისდგომიხართ და ხატავთ!“ მე კი ვეუბნები, „უკაცრავად, მაგრამ გული მერევა და არ მინდა ეს საუცხოო ხალიჩები დაგისვაროთ-მეთქი.“ შუქი გყოფნით, ვან გოგ? ხომ არ დალევდით რამეს? აბა, მითხარით, რას აირჩევთ? რაც გაგეხარდება, სულო და გულო, ყველაფერი მაქვს.

კოჭლობით გზა გაიკვლია სკამებს, მაგიდებსა და ჩვრებს შორის, რაღაც სასმელი ჩამოასხა და ვინსენტს მიაწოდა.

— მოდი, გაუმარჯოს უმსგავსობას, — წამოიძახა ლოტრეკმა, — შორს აკადემიისაგან!

ვინსენტმა ცოტა მოსვა და იმ ოცდაშვიდი ქალის ეტიუდებს დააცქერდა, მონმარტრის საროსკიპოში რომ ჩაეხატა ლოტრეკს. მხატვარს რაც დაენახა და აღექვა, ის გადმოეტანა ფურცელზე. ეს იყო უბრალოდ დახატული პორტრეტები, არც მორალურად და არც ეთიკურად შელამაზებული. ქალებს სახეზე აღბეჭდოდათ გაჭირვება, ტანჯვა, უგრძნობლობამდე მისული ავხორცობა, ველური თავაშვებულობა და სულიერი გამოფიტვა.

— გლეხების პორტრეტები თუ მოგწონთ, ლოტრეკ?

— დიახ. ოღონდ მეტისმეტი სენტიმენტების გარეშე.

— იცით, მე გლეხებს ვხატავ. საოცარია, რომ ეს ქალები ძალიან ჰგვანან გლეხებს. სულის მებაღეებს, თუ შეიძლება ასე ითქვას. მიწა და ადამიანები — ეს ერთი და იგივე მატერიის სხვადასხვა ფორმაა, ხომ მართალია? ქალის სხეულიც ასეა, განაყოფიერება სჭირდება, რომ ახალი სიცოცხლე იშვას. კარგია ეს ტილოები, ლოტრეკ. თქვენ სთქვით ის, რაც ნამდვილად ღირსეულია.

— თქვენის აზრით, სიმახინჯე არ არის მათში?

— თქვენ კომენტარები გიკეთებიათ ცხოვრებაზე, მეტად სწორი და ზუსტი. ეს კი სილამაზის უმაღლესი ზომაა, არ მეთანხმებით? ამ ქალების გაიდეალება ან მათდამი სენტიმენტალური მიდგომა მათი დამახინჯების საწინდარი იქნებოდა, რადგან პორტრეტები გაუბედავი და ყალბი გამოვიდოდა. თქვენ სინამდვილე გადმოიტანეთ, სწორედ ისე, როგორც დაინახეთ იგი. სილამაზეც ესაა, განა არა?

— ღმერთო, დიდებულო! თქვენისთანა ხალხი რატომ ბევრი არ იბადება? დალიეთ კიდევ! ეს ეტიუდები თვითონ დაათვალიერეთ. უცქირეთ, რამდენიც გენებოთ!

ვინსენტმა სინათლეს მიუშვირა ტილო, წუთით ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცის გახსენებას ლამობსო, და უეცრად წამოიძახა:

— დომიე! აი ვის მაგონებს ეს სურათი.

ლოტრეკს სახე გაუბრწყინდა.

— დიახ, — დომიე! უდიდესი მხატვარი და ერთადერთია ადამიანი, ვისგანაც ოდესმე მისწავლია რამე. ღმერთო! რა დიდებული სიძულვილი შეეძლო ამ კაცს.

— კი მაგრამ, რატომ უნდა ხატო რაიმე, თუკი გძულს? მე მუდამ იმას ვხატავ, რაც მიყვარს.

— დიდი ხელოვნება სიძულვილისაგან ჩნდება, ვან გოგ.

როგორც ჩანს, ძალიან მოგეწონათ ჩემი გოგენი.

— რა სთქვით, ვისია ეს ნახატი?

— პოლ გოგენის. იცნობთ?

— არა.

— აუცილებლად გაიცანით. ეს ქალი კუნძულ მარტინიკის მკვიდრია. გოგენი იქ ცხოვრობდა რამდენსამე ხანს. იგი პირდაპირ ჭკუას ჰკარგავს ყოველგვარ პრიმიტივზე. მაგრამ ჩინებული მხატვარია. ჰყავდა ცოლი, სამი ბავშვი და საკმაოდ მომგებიანი ადგილი ბირჟაზე, რასაც წელიწადში ოცდაათი ათასი ფრანკი

შემოსავალი მოჰქონდა. თხუთმეტ ათასს იმაში ხარჯავდა. რომ ყიდულობდა პისაროს, მანეს და სისლეის, ქორწილის დღეს ცოლის პორტრეტი დახატა. ქალმა ეს კეთილშობილურ საქციელად ჩაუთვალა. გოგენი კვირა-დღეობით იჯდა და ხატავდა ხოლმე. ბირჟის სამხატვრო კლუბი გაგიგონიათ? ერთხელ მანეს უჩვენა თავისი ნახატები და იმანაც ძალიან მოუწონა.

„რას ამბობთ“, უთხრა გოგენმა, „მე მხოლოდ მოყვარული ვარ.“ „არა,“ უპასუხა მანემ, „მოყვარულები არ არსებობენ.

ისინი მხოლოდ ცუდად ხატავენ“. ეს ამბავი გოგენს ჭაჭის არაყივით შიგ ტვინში აუვარდა და მას მერე ვეღარ გამოფხიზლდა. ბირჟა მიატოვა და ოჯახით ერთ წელიწადს რუანში ცხოვრობდა, ვიდრე დანაზოგი ეყო. მერე ცოლ-შვილი ცოლის მშობლებთან გაუშვა სტოკჰოლმში. მას მერე თავისი მარიფათით გააქვს თავი.

— საინტერესოა!

— იცოდეთ, უფრთხილდით. ძალიან უყვარს მეგობრების წვალება. გამიგონეთ, ვან გოგ, რა იქნება, მულენ რუჟი და ელიზე-მონმარტრი რომ გიჩვენოთ? მე იქ ყველა გოგოს ვიცნობ. გიყვართ ქალები, ვან გოგ? მე მინდოდა მეთქვა, მათთან დაძინება-მეთქი? მე მიყვარს. აბა, რას იტყვით, წავიდეთ ერთ ღამეს?

— აუცილებლად.

— კეთილი. ახლა კი მგონი დროა კორმონთან დავბრუნდეთ. წასვლამდე კიდევ ხომ არ დაგველია? აი ასე. ერთიც და ეს ბოთლიც დავცალეთ. ფრთხილად, მაგიდა არ გადამიყირავოთ. არაფერია, მოსამსახურე დაალაგებს. სულ მალე აქედან გადავალ. მდიდარი კაცი ვარ, ვან გოგ. მამაჩემს ძალიან ეშინია არ შევაჩვენო, ასეთი გონჯი რომ მომავლინა ამქვეყნად და არაფერს მაკლებს. ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადავდივარ, ჩემი ნახატების მეტი არაფერი მიმაქვს თან. ცარიელ სახელოსნოს ვქირაობ და ნელ-ნელა ყველაფერს ვიძენ. მერე ყველაფერი ყელში ამომდის და ისევ ახალ სახელოსნოში გადავდივარ. მართლა, როგორი ქალები მოგწონთ? ქერა? მწითური?

ამ კარების ჩაკეტვა არ ღირს. შეხეთ, ეს თუნუქის სახურავები შავ ოკეანესავით არ მოედინება კლიშის ბულვარზე?

ფუი, დალახვროს ეშმაკმა, რას ვიკატუნებ თავს. დავყრდნობივარ ამ ჯოხს და გიჩვენებთ ლამაზ სანახებს, იმიტომ რომ ღვთის პირიდან გადავარდნილი სიმახინჯე ვარ და ერთბაშად რამდენიმე ნაბიჯის მეტს ვერ ვადგამ! თუმცა, ასეა თუ ისე, ჩვენ ყველანი მახინჯები ვართ. წავიდეთ!

4.

თავდაპირველად ყველაფერი იოლი ჩანდა. საჭირო იყო ძველი პალიტრა უკუეგდო, ახალი, ცოცხალი ფერის საღებავები ეყიდნა და იმპრესიონისტივით ეხატა. პირველ დღეს იჯახირა ვინსენტმა და ბოლოს გაოცებული და ცოტა არ იყოს გულნატკენიც დარჩა. მეორე დღეს განცვიფრებამდე მივიდა.

მერე და მერე ეს განცვიფრება ტკივილმა შესცვალა, რაც სიბრაზეში და ბოლოს შიშში გადაიზარდა. ერთი კვირის თავზე გააფთრებული ადგილს ვერ პოულობდა. მთელი თვე დიდ ჯაფაში გაატარა, ცდილობდა როგორმე კოლორიტისთვის მიეგნო, მაგრამ ვერ იქნა და ახალბედობის საზღვარს ვერ გადასცდა.

ნახატები ძველებურად მუქი, დაბინდული და უსიცოცხლო გამოსდიოდა. ლოტრეკი მუდამ გვერდზე ეჯდა ვინსენტს კორმონთან, ხედავდა ლანძღვა-გინებით მისი ნახატების ფრიალს, მაგრამ თავს იკავებდა, რომ რამე რჩევა მიეცა.

უჭირდა ვინსენტს, მაგრამ რა შედარება იყო თეოს გასაჭირთან. თეო ბუნებით წყნარი, მოკრძალებული და ფაქიზი ადამიანი იყო. მისი მეტისმეტი სინატიფე ყველაფერში იჩენდა თავს, ჩაცმა-დახურვაში, მოქცევაში; მის სახლსაც ეტყობოდა და სამუშაო კაბინეტსაც. ვინსენტის სიცოცხლისუნარიანობისა და ენერგიის მას არაფერი ეცხო.

ის პატარა ბინა, რომელიც ეჭირა ლავალის ქუჩაზე, სრულიად საკმარისი იყო მისთვის და მისი ლუი ფილიპეს დროინდელი ავეჯისათვის. ერთ კვირაში ვინსენტმა ყველაფერი გააოხრა და ოთახი თავდაყირა დადგა. იგი გამწარებული სცემდა ბოლთას, თან ფეხის კვრით იცილებდა გზიდან ავეჯს, ტილოები, ფუნჯები და საღებავის ცარიელი ტუბები იატაკზე მოფინა, დივანი და მაგიდები ჭუჭყიანი ტანსაცმლით დაამშვენა, ჭურჭელი დალეწა, ყველაფერი საღებავით მოთხუპნა. ერთის სიტყვით, თეოს წესრიგის ყოველგვარი ნასახი მოსპო.

— ვინსენტ, ვინსენტ, — ყვიროდა თეო, — რა ველური ვინმე ხარ!

ვინსენტი დამწყვდეულივით გადი-გამოდიოდა ოთახში, თითებს იკვნეტდა და თავისთვის ბურტყუნებდა. ბოლოს მოცელილივით დაეშვა კოხტა სავარძელზე.

— ყველაფერი ამაოა, — ოხრავდა იგი, — მეტისმეტად გვიან დავიწყე. ახლა მე საკმაოდ დავბერდი და რაღა შემცვლის.

ო, ღმერთო! თეო, არ ვცდილობდი განა! ამ კვირაში ოცი ტილო დავიწყე. მაგრამ უკვე გამომიმუშავდა ჩემებური ტექნიკა. რა ვქნა, თავიდან ხომ არ დავიწყებ! წასულია ჩემი საქმე! ჰოლანდიაშიც ვეღარ დავბრუნდები, რაც აქ ვნახე, იმის მერე ცხვრები ვხატო?! ჩამოსვლა დამგვიანებია და ამ ახალ ნაკადში როგორ ჩავერთო. ღმერთო, რა წყალში ჩავვარდე!

ზეზე წამოხტა, კარს მიაწყდა, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა და ისევ მიაჯახუნა კარი, შემდეგ ფანჯარა გააღო, წუთით რესტორან „ბატაის“ მიაჩერდა და უცებ ისეთი ძალით მიხურა ფანჯარა, კინაღამ მინა ჩამოლეწა. მერე წყლის დასალევად სამზარეულოში გავარდა, ნახევარი ჭიქა წყალი იატაკზე დაღვარა და ოთახში რომ შემოიჭრა, ნიკაპზე ორივე მხარეს წურწურით ჩამოსდიოდა წყალი.

— მითხარი, თეო, მითხარი რამე! თავი დავანებო? მაინც ეს დღე მელის, არა? ასე არ არის?

— რა ბავშვივით იქცევი, ვინსენტ! ერთი წუთით დაწყნარდი და მომისმინე. შეწყვიტე ბოლთის ცემა. ასე ვერ გელაპარაკები, არ შემიძლია. და თუ ღმერთი გწამს, გაიხადე ჩექმები, ან არადა ამ ავეჯს ნუ ურახუნებ წარამარა ფეხს.

— გამიგონე, თეო, აგერ უკვე ექვსი წელია მარჩენ. მერე, რა მიიღე სანაცვლოდ? უსიცოცხლო-ყავისფერი ნახატების გროვა და შენს კისერზე მჯდარი მუქთახორა.

— გაიხსენე, ვინსენტ, მაგ გლეხების ხატვა რომ მოინდომე, შესძელი ერთ კვირაში დაგეძლია ყველაფერი? თუ ამისათვის ხუთი წელი დაგჭირდა?

— კი მაგრამ, მე მაშინ ის-ის იყო ვიწყებდი.

— აი დღეს კი კოლორიტს იწყებ! ვინ იცის, ეგებ ამასაც ხუთ წელს მოუნდე.

— როდისღა დავასრულო სწავლა, თეო? — იქნებ მთელი ჩემი ცხოვრება მოსწავლე უნდა ვიყო. ახლა ოცდაცამეტი წლისა ვარ. დასწყევლოს ეშმაკმა, ჩამოყალიბებული მხატვარი როდისღა გავხდები?

— ეს საბოლოო წინააღმდეგობაა, ვინსენტ. მე ყველაფერი მინახავს, რაც ამ ბოლო დროს დახატულა ევროპაში. ჩემს ანტრესოლში გამოფენილმა მხატვრებმა სრულიად ახალი სიტყვა სთქვეს ხელოვნებაში. როგორც კი გააღიავებ შენს პალიტრას...

— ო, თეო, ნუთუ შენ გჯერა, რომ მე შევძლებ ამას? ნუთუ შენ არ ფიქრობ ჩემზე არაფრის მაქნისიაო.

— მაგას არა, მაგრამ სულელიაო, კი. ხელოვნების ისტორიაში უდიდესი გადატრიალება ხდება, ეს კი ამბობს, ერთ კვირაში რატომ ვერ ავითვისეო! წამო, გარეთ გავიაროთ, გამოვცოცხლდეთ. ერთი ხუთი წუთი რომ კიდევ გამაჩერა აქ, შენთან ერთად, შეიძლება გავგიჟდე.

მეორე დღეს ვინსენტი კორმონთან გვიანობამდე შეჰყვა ხატვას, შემდეგ თეოს მიაკითხა სახელოსნოში. აღრიანი აპრილის საღამო იდგა. ქვის ექვსსართულიან სახლებს ამ გაცრეცილ ბინდ-ბუნდში მოვარდისფრო-მარჯნისფერი ედო. მთელი პარიზი აპერიტივს დასწაფებოდა. მონმარტრის ქუჩაზე, ყველა კაფეში, აჟრიამულებული ხალხმრავლობა იყო. წყნარი მუსიკა იღვრებოდა კაფედან, ისვენებდნენ მთელი დღის მუშაობით გადაღლილი პარიზელები. გაზის ნათურები აენთოთ; რესტორნებში ოფიციანტები ფუსფუსებდნენ, სუფრებს აფარებდნენ, იკეტებოდა უნივერმაღები, კლერკები რკინის ფარდებს უშვებდნენ, ქუჩაში გამოტანილი დახლებიდან საქონელს ალაგებდნენ.

თეო და ვინსენტი აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ. შატოდენის მოედანი გადაჭრეს. ამ ექვსი ქუჩის თავშესაყარს ექვსივე მხრიდან აწყდებოდა ეტლების ნაკადი. ჩატარეს ნოტრ დამ დე ლორეტს და ლავალის ქუჩას აუყვნენ მაღლა.

— აპერიტივი ხომ არ დაგველია, ვინსენტ?

— კარგი. ოღონდ ისეთ ადგილას დავსხდეთ, რომ ხალხის თვალიერება შეგვეძლოს.

— მაშინ „ბატაიში“ წავიდეთ, აბატისის ქუჩაზე, იქნებ ვინმე ნაცნობიც ვნახოთ.

რესტორან „ბატაიში“ უმთავრესად მხატვრები დადიოდნენ.

გარეთ მხოლოდ ოთხი თუ ხუთი მაგიდა გამოეტანათ, შიგნით კი ორი უზარმაზარი, მყუდრო დარბაზი იყო. მადამ ბატაი მხატვრებს მუდამ ერთ დარბაზში უშვებდა, დანარჩენებს კი მეორეში. ერთი შეხედვით გაარჩევდა ვინ ვინ იყო.

— გარსონ! — გასძახა თეომ, — მომიტანე კუმელი ეკო ორი ნული.

— მე რა დავლიო, თეო?

— კუანტრო გასინჯე. შენ ჯერ მოგიწევს ყველაფრის ჭაშნიკი ნახო, ვიდრე რაიმეს აირჩევდე.

ოფიციანტმა სინით ჭიქები მოიტანა და მაგიდაზე დაუდგა.

ფასი შავი ციფრებით ეწერა სინზე. თეომ სიგარას მოუკიდა, ვინსენტმა კი თავისი ყალიონი გააჩაღა. შავწინსაფრიანმა მრეცხავმა ქალებმა ჩაუარეს კაფეს, დაუთოებული თეთრეულით სავსე კალათები იღლიაში ამოეჩარათ. შემდეგ მუშამ გაიარა, ხელში ქაშაყი ეჭირა და კუდით მიჰქონდა. ვის არ ნახავდით აქ. ბლუზებში გამოწყობილ მხატვრებს, ჯერ კიდევ შეუმშრალი ტილოები რომ ისევ მოლბერტზე

ჰქონდათ გადაჭიმული, შავ ცილინდრსა და ნაცრისფერ, კუბოკრულ პალტოებში გაწკეპილ საქმოსნებს, ნაჭრის ფოსტლებში ფეხწაყრილ დიასახლისებს, ღვინის ბოთლით ან შეხვეული ხორცით ხელში, გრძელკაბიან, წვრილწელა ლამაზმანებს, პაწაწინა, ფრთით დამშვენებული ქუდებით.

— დიდებული აღლუმია, არა, თეო?

— ჰო. პარიზი მხოლოდ აპერიტივის დროს იღვიძებს როგორც წესი და რიგია.

— სულ ვფიქრობ... რა აქვს პარიზს ასეთი კარგი?

— მართალი გითხრა, არ ვიცი. ეს მარადიული საიდუმლოებაა. თვითონ ფრანგებს აქვთ რაღაცნაირი ხასიათი, თავისუფლების მოყვარულნი არიან, მომთმენნი, იოლად უყურებენ ამ ცხოვრებას... ჰელო, აი ერთი ჩემი ნაცნობი მოდის და ძალიან მინდა გაგაცნო. საღამო მშვიდობისა პოლ, როგორა ხარ?

— კარგად, გმადლობთ, თეო.

— ეს ჩემი ძმაა, ვინსენტ ვან გოგი. ვინსენტ, ეს პოლ გოგენია. დაჯექი, პოლ, შენს საყვარელ აბსენტზე დაგვეწვიე.

გოგენმა ჭიქა ასწია, ენის წვერი დაისველა და სასაზე მოისვა.

— როგორ მოგწონთ პარიზი, მუსიე ვან გოგ, — მიუბრუნდა იგი ვინსენტს.

— ძალიან მომწონს.

— Tien! C'est curieux! (*დახეთ, აი საოცრება — ფრ.) არის ხალხი, ვისაც მოსწონს. მე თუ მკითხავთ, ნაგვის ვედროა, მეტი არაფერი. და ეს ნაგავი ცივილიზაციაა.

— კუანტრო დიდად არ მომწონს, თეო, რა გავსინჯო კიდევ, რას მირჩევ?

— აბა აბსენტი ნახეთ, მუსიე ვან გოგ, — შესთავაზა გოგენმა, — ის ერთადერთი სასმელია მხატვრის საკადრისი.

— შენ რას იტყვი, თეო?

— მე რას მეკითხები, თვითონ გადასწყვიტე. გარსონ, აბსენტი მოიტანე! დღეს რაღაც ნასიამოვნები გამოიყურები, პოლ, რაშია საქმე, სურათი ხომ არ გაგიყიდნია?

— არა, თეო, რა სისულელეა! ამ დილით გასაოცარი ამბავი გადამხდა თავს.

თეომ თვალი ჩაუკრა ვინსენტს.

— გვიამბე, პოლ. გარსონ! კიდევ ერთი აბსენტი მუსიე გოგენს.

გოგენმა ენა დაისველა აბსენტით და დაიწყო:

— თქვენ ალბათ იცით ფრენიეს ჩიხი, ფორნოს ქუჩაზე.

ჰოდა, დილის ხუთი საათია. უცებ მესმის ქალბატონ ფურელის, მეეტლის ცოლის ყვირილი, მიშველეთ, ჩემმა ქმარმა თავი ჩამოიხრჩოო. მე მაშინვე წამოვხტი, ჩავიცვი შარვალი (მთავარია წესიერება!), დანას ხელი დავტაცე, ჩავირბინე და თოკი გადავჭერი. ის საწყალი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ გაცივება ვერ მოესწრო. ვიფიქრე, ლოგინში ჩავაწვენ-მეთქი.

„ხელი არ ახლო, — იყვირა ქალბატონმა ფურელმა, — ჯერ პოლიცია მოვიდეს!“.

ჩემი სახლის მეორე მხარეს ერთ კაცს თხუთმეტ იარდიანი ბოსტანი აქვს და ბოსტნეულით ვაჭრობს. მივედი და ვეუბნები: „ნესვი ხომ არ გექნებათ?“ „როგორ არა, მუსიე, თანაც ძალიან მწიფეა.“ საუზმეზე ისე გემრიელად გიახელით ეს ნესვი, რომ ჩამომხრჩვალი კაცი ერთხელაც არ გამხსენებია. როგორც ხედავთ, ცხოვრებაში რაღაც კარგიც არის. თუ არის შხამი, არის შხამსაწინააღმდეგო საშუალებაც. სტუმრად ვიყავი მიწვეული. საზოგადოება მოვხიბლო-მეთქი და ჩემი საუკეთესო პერანგი

ჩავიცვი. იქ ეს მომხდარი ამბავი მოვყევი. არავინ შეწუხებულა, იღიმებოდნენ და ისიც კი მთხოვეს, იმ თოკის ნაგლეჯს ხომ ვერ მოგვცემთ, რითაც თავი ჩამოიხრჩოო.

ვინსენტი პოლ გოგენს მისჩერებოდა. გოგენი ბარბაროსს მიაგავდა თავისი დიდი, შავთმიანი თავით. უზარმაზარი ცხვირი მარცხნიდან მარჯვნივ მოღრეცოდა. დიდი, ნუშისმაგვარი თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და მკაცრი მელანქოლიით ავსებოდა. სახის ძვლები ამობურცოდა წარბებზე, ყვრიმალზე და ლოყებზე. ნამდვილი გოლიათი იყო, პირველყოფილი ადამიანის ცხოველმყოფელობით სავსე.

თეოს გაეღიმა.

— პოლ, მე მგონია, ცოტა გადაჭარბებული გამოგდის შენი სადიზმი და ბუნებრივად აღარ ჩანს. ჩემი წასვლის დროც მოვიდა. სადილად ვარ მიწვეული. ვინსენტ, შენც ხომ არ წამოხვიდოდი?

— ჩემთან დარჩეს, თეო, — უთხრა გოგენმა, — მინდა გავიცნო ეს შენი ძმა.

— კეთილი. ოღონდ მეტისმეტად ნუ ამოავსებ შენი აბსენტით. მიჩვეული არ არის. გარსონ, გვიანგარიშე!

— კარგი ძმა გყავს, ვინსენტ, — უთხრა გოგენმა, — მაგრამ ეს არის, რომ ეშინია ახალგაზრდა მხატვრები გამოფინოს, თუმცა შეიძლება ვალადონიც უშლის ხელს.

— მას უკვე გამოფენილი აქვს მონეს, სისლეის, პისაროს და მანეს ტილოები.

— მართალია, მაგრამ სად არის სიორა? გოგენი? სეზანი?

ტულუზ-ლოტრეკი? ჩვენ ვბერდებით და დრო კი მიდის.

— ტულუზ-ლოტრეკს იცნობთ?

— ანრის? რა თქმა უნდა! ვინ არ იცნობს! გადასარევი მხატვარია, მაგრამ ცოტა უცნაური. ასე ჰგონია, თუკი ხუთი ათას ქალთან დაიძინებს, თავის თავს დაუმტკიცებს სრულყოფილი მამაკაცი ვარო. ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, გულს უღრღნის თავისი უფეხობა. საღამოთი ამ გულისტკივილს სასმელით და ქალებით ჰკლავს. მეორე დილით ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. ეს უცნაურობა რომ არ სჭირდეს, მაგისთანა მხატვარი მეორე არ იქნება. აი აქ უნდა შევუხვიოთ. ჩემი სახელოსნო მეოთხე სართულზეა. კიბეზე ფრთხილად, ერთი საფეხური ჩამოტეხილია.

გოგენი ოთახში შეუძღვა და სინათლე აანთო. ამ უბადრუკ მანსარდაში იდგა მოლბერტი, რკინის საწოლი, მაგიდა და ერთი სკამი. კართან ნიში იყო, სადაც რამდენიმე საკმაოდ უხამსი ფოტოსურათი ეკიდა.

— ამ სურათებით თუ ვიმსჯელეთ, სიყვარულზე მეტისმეტად ამაღლებული შეხედულება არ უნდა გქონდეთ!

— სად ჩამოჯდებით, სკამზე თუ საწოლზე? მაგიდაზე თუთუნი დევს, შეგიძლიათ ყალიონი გააჩაღოთ. რაც შეეხება ქალებს, მე მიყვარს ისინი, მითუმეტეს მსუქანი და ბიწიერი ქალები. მათი ინტელექტი ნერვებს მიშლის. სულ მინდა ერთი ზორბა საყვარელი გავიჩინო, და ვერაფრით ვერ მოვახერხე.

თითქოს ჩემდა დასაცინად, ყველა ორსული გამოდგა. ის მოთხრობა ხომ არ წაგიკითხავთ, ამას წინათ ყმაწვილმა მოპასანმა რომ გამოაქვეყნა? ეს მწერალი ზოლას პროტეჟეა. ერთი კაცი, რომელსაც სქელი ქალები მოსწონს, საშობაოდ სუფრას გაშლის სახლში ორი კაცისთვის და გარეთ გამოდის, რომ ვინმე ნახოს. ერთ, მისთვის სავსებით შესაფერ ქალს წააწყდება კიდეც, მაგრამ სუფრასთან ხეირიანად დასხდომასაც ვერ მოასწრებენ, რომ ეს ქალი აიღებს და პატარა ბიჭს შობს!

— რასაც თქვენ ამბობთ, ეს ხომ სიყვარული არ არის, გოგენ!

გოგენი საწოლზე გაიშოტა, დაკუნთული მკლავი თავქვეშ ამოიდო და პირდაპირ შეუღებავ ჭერს შეაბოლა.

— არ გეგონოს, ვინსენტ, რომ მე სილამაზის წვდომის უნარი არ გამაჩნდეს, მაგრამ რაღაცნაირად არ მჭირდება ეს სილამაზე. არც ვიცი რას ნიშნავს სიყვარული. რომ მომკლა, ვერაფრით ვერ მათქმევინებ — „მე შენ მიყვარხარ“, არა, საყვედურს არ ვამბობ, ქრისტეს სიტყვებს ვიმეორებ: „ხორცი არს ხორცი და სული არს სული“. ამის გამოა, რომ სულ მცირე თანხა თავისუფლად აკმაყოფილებს ჩემს ხორცს, ხოლო სული მშვიდობიანად განისვენებს თავისთვის.

— თქვენ, გეტყობათ, იოლად მოგიგვარებიათ საქმე.

— არა, რა თქმა უნდა, სულერთი არ არის, ვინ გიწევს ლოგინში. ისეთ ქალთან, რომელიც სიამოვნებას იღებს, მე თვითონ ორჯერ მეტ სიამოვნებას ვგრძნობ. მაგრამ მირჩევნია ონანიზმამდე მივიდე, ვიდრე გრძნობები ვხარჯო. მე მათ მხატვრობისათვის ვინახავ!

— ამ ბოლო დროს მეც მაგ აზრამდე მივედი. არა, გმადლობთ, მეტი აბსენტი აღარ შემიძლია. თქვენ დალიეთ, მე რას მიყურებთ. ჩემს ძმას, თეოს, ძალიან მოსწონს თქვენი ნახატები. შეიძლება, მეც მიჩვენოთ თქვენი ეტიუდები?

გოგენი ზეზე წამოხტა.

— არ შეიძლება. ეს ეტიუდები ჩემი პირადი საკუთრებაა, ისივე როგორც წერილები. მაგრამ, მე მაინც გიჩვენებთ. თან ამ სინათლეზე კარგად არც კი გამოჩნდება. თუმცა, რაკი ასე ძალიან გაინტერესებთ...

გოგენმა მუხლებზე დაიჩოქა, საწოლს ქვეშიდან ნახატების მთელი დასტა გამოათრია და აბსენტის ბოთლებს მიაყუდა.

ვინსენტი რაღაც უჩვეულოს ელოდა, მაგრამ, გოგენის ნახატებმა ცოტა არ იყოს, გააოცეს კიდეც. ყველა სურათში მოჩანდა მზით გაჩახჩახებული ხეები, რომელთაც ვერც ერთი ბოტანიკოსი ვერ წარმოიდგენდა. ცხოველები, რომელთა არსებობა კუვიესაც კი გაუკვირდებოდა. ადამიანები რომლებიც მხოლოდ გოგენს შეეძლო შეექმნა, ზღვა, თითქოსდა ვულკანის კრატერიდან ამოხეთქილიყო, ცა, რომელზეც ვერც ერთი ღმერთი ვერ გაჩერდებოდა; ტლანქი, ბეჭებგანიერი ხალხი, რომელთა პირველყოფილ, მიამიტ თვალებში გამოუცნობი საიდუმლოება იმალებოდა. ეს ზღაპარივით სურათები ვარდისფერით, იასამნისფერითა და კაშკაშა წითელი ფერით იყო შესრულებული. ამ უცნაური დეკორაციების ველური ფლორა და ფაუნა მზით ავსებულიყო და ერთნაირად გათანგულიყო.

— თქვენ ლოტრეკივით ხართ, — ბუტბუტებდა ვინსენტი, — გძულთ, გძულთ, რაც ძალი და ღონე გაქვთ.

გოგენს გაეცინა.

— აბა, რა აზრისა ხართ ჩემს ნახატებზე, ვინსენტ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. დრო მომეცით, მოვიფიქრო. თუ შეიძლება, კიდევ მოვალ თქვენთან და ვნახავ ამ სურათებს.

— როცა გინდოდეთ, მობრძანდით. პარიზელი ახალგაზრდა მხატვრებიდან ჩემსავით კარგად მხოლოდ ერთი ხატავს — ჟორჟ სიორა. ისიც პრიმიტივისტია. პარიზის დანარჩენი ჩერჩეტები ცივილიზებულები არიან.

— ჟორჟ სიორა? — რაღაცა არ გამიგონია.

— დარწმუნებული ვარ. მთელს ქალაქში ერთ კომერსანტსაც ვერ ნახავთ, რომ მისი ტილოს გამოფენა უნდოდეს. და მაინც ის დიდი მხატვარია.

— ძალიან მინდა მისი გაცნობა, გოგენ.

— მიგიყვანთ მასთან, ოღონდ მერე. ახლა კი ვისადილოთ, ბრუანში წავიდეთ. ფული გაქვთ? მე ორიოდე ფრანკი მაქვს.

ეს ბოთლიც თან წავიღოთ. ასე აჯობებს. თქვენ წინ წადით. მე ლამპას მოვანათებ, ვიდრე ნახევრამდე ჩახვალთ, რომ კისერი არ მოიტეხოთ.

5.

ღამის ორი საათი იქნებოდა, სიორას სახლს რომ მიადგნენ.

— როგორ გგონიათ, არ გავაღვიძებთ? — იკითხა ვინსენტმა.

— ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა, არა. მთელ ღამეს მუშაობს და დღის უმეტეს ნაწილსაც მუშაობაში ატარებს. საერთოდ თუ სძინავს, არა მგონია, აი, მოვედით. ეს ჟორჟის დედის სახლია. ერთხელ მეუბნება — „ჩემს ბიჭს, ჟორჟს, უნდა რომ ხატოს. ძალიანაც კარგი, დაე, ხატოს. მე იმდენი ფული მაქვს, რომ ორივეს გვეყოფა. მთავარია, ის იყოს ბედნიერი.“ ჟორჟიც სამაგალითო შვილია. არ სვამს, არ ეწევა, არ იგინება, ღამე შინაა, არც ქალებს დასდევს, ფულსაც არაფერში ხარჯავს, გარდა მისთვის აუცილებელი ნივთებისა. მისი ერთადერთი ნაკლი მხატვრობაა. ამბობენ, სადღაც, აქვე, ვიღაც საყვარელიც ჰყავს და შვილიცო, მაგრამ თვითონ სიტყვაც არ დასცდენია მათზე.

— მთელი სახლი ჩაბნელებულია, — უთხრა ვინსენტმა, — როგორ გინდა ისე შეხვიდე, ყველა არ გააღვიძო?

— ჟორჟს მანსარდა აქვს. სინათლეს ალბათ მეორე მხრიდან დავინახავთ. კენჭი შევუგდოთ ფანჯარაში. დაიცა, მე ვესვრი. შემთხვევით მესამე სართულის ფანჯარას რომ მოახვედრო, დედამისს გავაღვიძებთ.

ჟორჟ სიორა კარის გასაღებად ჩამოვიდა. ტუჩებზე თითი მიიდო, მოსულნი ზემოთ აიყვანა და მანსარდის კარი მიხურა.

— ჟორჟ, — უთხრა გოგენმა, — მე მინდა ვინსენტ ვან გოგი გაგაცნო, თეოს ძმა. ნამდვილი ჰოლანდიელივით ხატავს, თორემ ისე მშვენიერი ყმაწვილია.

სიორას მანსარდა კარგა მოზრდილი იყო და თითქმის სახლის მთელი სიგრძე ეჭირა. კედლებზე უზარმაზარი, დაუმთავრებელი ტილოები ეკიდა, მათ წინ კი საბჯენები იდგა. მაღალი, ოთხკუთხა მაგიდა პირდაპირ გაზის ლამპის ქვეშ იდგა და ზედ ჯერ კიდევ სველი ტილო იდო.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობის, მუსიე ვან გოგ, — ძალიან გთხოვთ, სულ ცოტა ხნით მაპატიეთ, კარგი? ვიდრე საღებავი გაშრებოდეს, ბარემ დავასრულებ რაც დარჩა.

მაღალ ტაბურეტზე აძვრა და ტილოს ზედ გადაეფარა. გაზის ლამპა ყვითელ, თანაბარ შუქს აფრქვევდა. საღებავების ოცამდე ქილა ერთ სწორ ხაზზე იყო მაგიდაზე გამწკრივებული. სიორამ ფუნჯი აიღო, ასეთი პაწაწკინტელა ფუნჯი ჯერ არ ენახა ვინსენტს, ფრთხილად ჩააწო საღებავში და მათემატიკური სიზუსტით შეუდგა წერტილების დასმას ტილოზე. წყნარად, აუღელვებლად მუშაობდა. მანქანასავით ზუსტი, გამოზომილი მოძრაობა ჰქონდა. წერტილი, წერტილი, წერტილი, წერტილი.

ფუნჯი ვერტიკალურად ეჭირა ხელში, საღებავში ოდნავ ჩააწებდა და უთვალავ პაწაწინა წერტილს სვამდა სურათზე.

ვინსენტი პირდაღებული შესცქეროდა. ბოლოს, როგორც იქნა, სიორა შემოტრიალდა.

— მორჩა, — თქვა მან, — როგორც იქნა, გამოვთხარე ეს ადგილი.

— ვინსენტს ხომ არ უჩვენებდი, ჟორჟ? — შეეკითხა გოგენი. — საიდანაც ეს ჩამოვიდა, იქ ძროხებს და ცხვრებს ხატავენ. თანამედროვე მხატვრობის არსებობა მხოლოდ ერთი კვირაა, რაც შეიტყო.

— ამ სკამზე მოგიწევთ ამოსვლა, მუსიე ვან გოგ.

ვინსენტი ტაბურეტზე აძვრა და ტილოს დააცქერდა. მსგავსი რამ არასოდეს უნახავს, არც ცხოვრებაში, არც მხატვრობაში. სურათი წარმოადგენდა გრანდ-ჟატის კუნძულს. სხვადასხვა ფერის წერტილების უსასრულო რაოდენობით დახატული ადამიანები არქიტექტურულ ნაგებობებს მიაგავდნენ და გუთური ტაძრის სვეტებივით აღმართულიყვნენ. ბალახი, მდინარე, ნავები, ხეები, — ყველაფერი ბუნდოვანი იყო და გაურკვეველი ფერის წერტილებით გაკეთებული. მთელი ტილო მეტისმეტად ღია და კაშკაშა ფერით იყო შესრულებული, ვერც მანე, ვერც დეგა და ვერც გოგენი ვერ გაბედავდა ამგვარი ღია ფერის ხმარებას. სურათი რაღაც გაურკვეველ ჰარმონიაში წიაღსვლას ჰგავდა. სურათი ცოცხალი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორც ბუნებაშია. ჰაერი გასაოცრად ბრწყინავდა და კაშკაშებდა და არსაიდან სიოს ერთი შებერვაც არ იგრძნობოდა. ეს იყო ფუსფუსა ცხოვრების ერთ წერტილში გაყინული სურათი, სადაც სამუდამოდ შეჩერებულიყო ყოველგვარი მოძრაობა.

გოგენი ვინსენტის გვერდით იდგა და მისი სახის გამომეტყველებაზე ეცინებოდა.

— არაფერია, ვინსენტ. ჟორჟის სურათები პირველ ნახვაზე ასე აოცებს ყველას. ვეღარ გამოერკვიე? რაზე ფიქრობ?

ვინსენტი დამნაშავესავით მიუბრუნდა სიორას.

— მაპატიეთ, მუსიე, მაგრამ ამ ცოტა ხანში იმდენი უცნაური რამ ვნახე, რომ ვერც კი გავრკვეულვარ. მე ჰოლანდიურ ტრადიციებზე გავიზარდე. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რას წარმოადგენდნენ იმპრესიონისტები და აი უცებ აღმოჩნდა, რომ ის, რაც ადრე მწამდა, ერთი ხელის მოსმით განადგურდა — გასაგებია, — თქვა სიორამ წყნარად, — ჩემი მეთოდი გადატრიალებას ახდენს მთელს ფერწერაში. აბა ერთის შეხედვით როგორ შესძლებთ მის შეცნობას. დღემდე, მუსიე, მხატვრობა სუბიექტურ ემოციებზე იყო დამყარებული. ჩემი მიზანია იგი აბსტრაქტულ მეცნიერებამდე დავიყვანო. ჩვენ უნდა შეგვეძლოს დავახარისხოთ ჩვენი შეგრძნებები და ჩვენი გონება მათემატიკური სიზუსტით ვამუშაოთ. ყოველი ადამიანური შეგრძნება შეიძლება, და აუცილებელიც არის, დავიყვანოთ ერთ გარკვეულ ფერზე, შტრიხზე, ტონზე, ხედავთ ამ პატარა ქილებს მაგიდაზე?

— დიახ, უკვე კარგა ხანია შევამჩნიე.

— თითოეული ქილა, მუსიე ვან გოგ, შეიცავს ადამიანის ერთ რომელიმე გრძნობას. ჩემი ფორმულის მიხედვით ისინი შეიძლება ფაბრიკებში დამზადდეს და აფთიაქში გაიყიდოს.

საჭირო აღარ იქნება ფერების ალალ-ბედზე შერევა. ამ მეთოდმა თავისი დრო მოჭამა. ამიერიდან მხატვარი მივა აფთიაქში და მისთვის სასურველ ფერს შეიძენს. ახლა მეცნიერების საუკუნეა და მე მინდა მხატვრობა მეცნიერებად ვაქციო.

სუბიექტურობა უნდა დაიკარგოს და მხატვრობა ისევე ზუსტი იყოს, როგორც, ვთქვათ, არქიტექტურა. გასაგებია, მუსიე?

— გასაგებია, — უთხრა ვინსენტმა, — ოღონდ არ გეთანხმებით.

გოგენმა ვინსენტს უბიძგა და სიორას მიუბრუნდა:

— გამიგონე, ჟორჟ, რატომ ამბობ გინდა თუ არა, ეს ჩემი მეთოდიაო. შენ დაბადებულიც არ იყავი ჯერ, პისარომ რომ გამოიგონა.

— ტყუილია!

სიორას სისხლი მოაწვა სახეზე. სკამიდან წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა, თითები რაფაზე ააკაკუნა და უეცრად გოგენს ეცა.

მ — ვინ თქვა პისარომ გამოიგონაო ეს ჩემამდე? მე გეუბნები, რომ ჩემი მეთოდია. პირველმა მე მოვიფიქრე. პისარომ ჩემგან ისწავლა პუანტილიზმი. მთელი ხელოვნების ისტორია ზეპირად ვიცი ანტიკური რომაელებიდან მოყოლებული და გელაპარაკები, ჩემამდე ეს არავის მოსვლია აზრად. როგორ ბედავ...!

სიორამ გამეტებით იკბინა ტუჩზე, ერთო საბჯენთან მივიდა და აბუზულმა ზურგი შეაქცია ვინსენტს და გოგენს.

ვინსენტი გაოცებული იყო ამ მეტამორფოზით. იმ კაცს, რომელიც ახლახანს მაგიდასთან იჯდა, ტილოზე წახრილი ჰქონდა სწორი, დახვეწილი ნაკვთები, მშვიდი მზერა და ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერის დინჯი ქცევა. ნამდვილი პედაგოგივით აუჩქარებლად ლაპარაკობდა. მთელს მის არსებას იგივე აბსტრაქტულობის კვალი აჩნდა, რაც მის სურათებს.

მანსარდის კუთხეში მიკუნჭული კაცი კი სხვა იყო. იგი ახლა გაჩეჩილი წვერიდან გამობურცულ ხორცსავსე ტუჩს იკბენდა და სულ ახლახანს კოხტად გადავარცხნილ ყავისფერ, ხუჭუჭა თმას იბურძგნიდა.

— კარგი ერთი, ჟორჟ, — უთხრა გოგენმა და თვალი ჩაუკრა ვინსენტს, — ყველამ იცის, რომ შენი საკუთარი მეთოდია.

შენ რომ არა, არავითარი პუანტილიზმი არ იქნებოდა.

სიორა მოლბა და მაგიდისაკენ წამოვიდა. წეღანდელი გაბრაზება ნელ-ნელა ჩამოსცილდა მის თვალებს.

— მუსიე სიორა, — უთხრა ვინსენტმა, — როგორ შეიძლება მხატვრობა განყენებულ მეცნიერებად იქცეს, როცა სუბიექტური შეგრძნებები განაგებენ მას?

— მიყურეთ! ახლავე გიჩვენებთ.

სიორამ ფერადი ცარცით სავსე ყუთი აიღო და იატაკზე დაჯდა. გაზის ლამპის შუქი სუსტად აღწევდა აქამდე. საოცრად გარინდებული ღამე იყო. ვინსენტმა ერთ მხარეს ჩაიჩოქა, ხოლო მეორე მხრიდან გოგენი ჩაცუცქდა. სიორა ჯერ კიდევ ვერ დაწყნარებულიყო და აღელვებული ლაპარაკობდა.

— ჩემის აზრით, — თქვა მან, — მხატვრობაში არსებული ყველა ეფექტი შესაძლებელია ფორმულამდე დაიყვანო; ვთქვათ, მინდა დავხატო ცირკის არენა. აი, აქ იქნება შეუკაზმავ ცხენზე შემჯდარი მხედარი, აქ მისი მწვრთნელი, აქ კი მაყურებელი. ჩემი მიზანია გამოვხატო მხიარულება. აბა რომელია სამი ძირითადი ელემენტი მხატვრობაში? შტრიხი, ტონი და ფერი. კეთილი და პატიოსანი. იმისათვის, რომ გადმოვცე მხიარულება, ყველა ხაზს ვავლებ ჰორიზონტალურად. აი ასე.

ვიღებ ღია, ცოცხალ ფერებს, რომ თბილი ტონები სჭარბობდეს. აი ასე. გასაგებია! ნუთუ ეს არ იძლევა მხიარულებაზე ზოგად წარმოდგენას?

— შესაძლოა, — უთხრა ვინსენტმა, — შესაძლოა ეს კიდევაც იყოს ზოგადი წარმოდგენა მხიარულებაზე, მაგრამ აბა სად არის თვითონ მხიარულება?

სიორამ ქვემოდან ამოხედა. სახეზე ჩრდილი ეფინებოდა, მაგრამ ვინსენტმა მკაფიოდ დაინახა მისი ლამაზი სახე.

— მე სულაც არ მჭირდება მხიარულება. ჩემთვის მხიარულების არსია მთავარი. პლატონი ხომ წაგიკითხავთ?

— დიახ.

— ჰოდა, მხატვარს უნდა ახსოვდეს, მთავარი ის კი არ არის ზუსტად გადმოხატო საგანი, არამედ გადმოსცე მისი არსი. როცა ცხენს ვხატავთ, ის რომელიმე გარკვეული ცხენი კი არ არის, რომელსაც ქუჩაში ვნახავთ და ვიცნობთ. ამისათვის ფოტოაპარატია საკმარისი. ჩვენ უფრო შორს მივდივართ. როცა ცხენს ვხატავთ, მუსიე ვან გოგ, მთავარია დავიჭიროთ ის პლატონისეული ცხენობა, ცხენის არსი. კაცს თუ ვხატავთ, არ უნდა გამოვიდეს რომელიმე კონსიერჟი, ცხვირზე მეჭეჭით, არამედ უნდა გვიჩვენებდეს კაცობას საერთოდ, და ჰქონდეს ის ძირითადი, რაც აერთიანებს ყველა კაცს. გასაგებია?

— გასაგებია, — უთხრა ვინსენტმა — ოღონდ არ გეთანხმებით.

— არაფერია, გავა დრო და დამეთანხმებით.

სიორა წამოდგა. ხალათი გაიძრო და იმით იატაკზე დახატული ცირკი წაშალა.

— ახლა ვნახოთ როგორ გადმოიცემა მწუხარება. ყველა შტრიხი ეშვება ძირს, აი ასე. უმეტესად ცივი ტონები სჭარბობს, ასე. ფერებიც შედარებით მუქია. ხედავთ! ესეც თქვენი მწუხარება! ბავშვსაც კი შეუძლია დახატოს. ტილოს განაწილებისათვის საჭირო მათემატიკური ფორმულები მოცემული იქნება ერთ პატარა წიგნში. მე უკვე ჩამოვაყალიბე ისინი. მხატვარი წაიკითხავს ამ წიგნს, წავა აფთიაქში, იყიდის საჭირო საღებავებს და მოცემული წესებით დაიწყებს ხატვას. იგი მეცნიერიც იქნება და ნამდვილი მხატვარიც. შეუძლია ნებისმიერ შუქზე იმუშაოს. იქნება ეს მზის შუქი თუ გაზის სინათლე. დამოუკიდებლად იმისა, ვინ იქნება მხატვარი, ვინმე ბერი თუ დარდიმანდი კაცი, შვიდი წლის თუ სამოცდაათის — ყველა მიიღებს არქიტექტურულად ზუსტ, ზოგადად სრულყოფილ სურათს.

ვინსენტი თვალებს ახამხამებდა და გოგენს გაეცინა.

— ამას ალბათ გიჟი ჰგონიხარ, ჟორჟ.

სიორამ ეს ნახატიც ხალათით გაწმინდა და შემდეგ ხალათი ბნელი კუთხისაკენ მოისროლა.

— მართლა, მუსიე ვან გოგ?

— არა, არა, — იუარა ვინსენტმა. — მე თვითონ იმდენჯერ დამიძახეს გიჟი, რომ სამუდამოდ შემჯავრდა ეს სიტყვა.

ერთი კი უნდა ვთქვა, რომ თქვენი იდეები საკმაოდ უცნაურია.

— ეს მაინც ამბობს კიო, ჟორჟ, — არ ცხრებოდა გოგენი.

უეცრად ძლიერი კაკუნი გაისმა კარზე.

— Mon Dieu! - შეიცხადა გოგენმა, — ისევ გავაღვიძეთ დედაშენი! ასე მითხრა, ერთხელ კიდევ რომ გნახო აქ ღამე მოსული, ტყავს გაგაძრობო.

სიორას დედა შემოვიდა. გრძელი ხალათი ეცვა და საღამური ჩაჩი ეხურა.

— ჟორჟ, ხომ შემპირდი, ღამეს აღარ გავათენებ მუშაობითო? აჰ, ეს შენა ხარ, პოლ? საინტერესოა, რატომ არ მიხდი ბინის ქირას? მაშინ საწოლსაც დაგიდგამდი აქ.

— ოღონდაც თქვენთან შემომიშვით, მადამ, და მე სულ არ მომიწევს არავითარი ქირის გადახდა.

— არა, დიდი მადლობა. ჩემს ოჯახში ერთი მხატვარიც კმარა. აი, ყავა და ფუნთუშები მოგიტანეთ. თუ მუშაობა გინდათ, ჭამაც უნდა გინდოდეთ. ახლა მგონი მომიწევს ძირს ჩავიდე და შენი აბსენტი მოვიტანო, არა პოლ?

— თქვენ ხომ არ გამოგიცლიათ ის ბოთლი, მადამ სიორა?

— პოლ, ტყავს გაგაძრობ-მეთქი რომ შეგპირდი, კი არ დამვიწყებია.

ვინსენტი სიბნელიდან გამოვიდა.

— დედა, — უთხრა სიორამ, — ეს ჩემი ახალი მეგობარია, ვინსენტ ვან გოგი.

მადამ სიორამ ხელი ჩამოართვა.

— ჩემი შვილის ნებისმიერი მეგობრის მობრძანება სასიამოვნოა, თუნდაც ღამის ოთხი საათი იყოს თქვენ რას დალევთ, მუსიე?

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ერთ ჭიქა გოგენის აბსენტს.

— არა და არა! — წამოიძახა გოგენმა, — მადამ სიორა ისედაც გამოზოგილად მასმევს, თვეში მხოლოდ ერთ ბოთლს.

რამე სხვა დალიე. სულერთია, აბსენტს და წყალწყალა შარტრეზს ერთმანეთისაგან ვერ არჩევ.

სამი მხატვარი და მადამ სიორა იქამდე შეჰყვნენ საუბარს ყავისა და ფუნთუშების მირთმევით, სანამ ამომავალი მზის ყვითელი შუქი არ შემოკიაფდა ოთახში.

— დროა, ტანზე ჩავიცვა, — თქვა მადამ სიორამ, — როგორმე საღამოთი გამოიარეთ, მუსიე ვან გოგ. მე და ჟორჟს სადილზე დაგვეწვიეთ. მოხარული ვიქნებით.

გამოცილებისას სიორამ უთხრა:

— ვშიშობ, წესიერად ვერ აგიხსენით ჩემი მეთოდი. როცა გინდოდეთ გამოიარეთ, ერთად ვიმუშაოთ. გაიგებთ ჩემს მეთოდს და დარწმუნდებით, რომ მხატვრობა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლა კი ისევ ჩემს ტილოს უნდა მივუბრუნდე.

ვიდრე დავიძინებდე, კიდევ ერთი ადგილი დამრჩა ამოსათხრელი. მოკითხვა გადაეცით თქვენს ძმას.

ვინსენტი და გოგენი ქვიან ხეობასავით უკაცურ ქუჩას ჩაჰყვნენ და მონმარტრის მთაზე ავიდნენ. პარიზს ჯერ ისევ ეძინა.

სახლის ფანჯრებზე მწვანე დარაბები მჭიდროდ ჩარაზულიყო, მაღაზიის ვიტრინებზე ფარდა ეფარა. პაწაწინა ფურგონებს უკვე მოეტანათ ბაზარში ბოსტნეული, ხილი, ყვავილები და ცარიელები ისევ სოფლისაკენ ბრუნდებოდნენ.

— მოდი, ამ მთის წვერზე ავიდეთ და მზის ამოსვლა ვნახოთ, — შესთავაზა გოგენმა.

— სიამოვნებით.

კლიშის ბულვარი გაიარეს და ლეპიკის ქუჩას მიჰყვნენ, რომელიც მულენ დე ლა გალეტთან უხვევდა და ზიგზაგებით ადიოდა მონმარტრის მთაზე. სახლები თანდათან გამეჩხერდა, ხეებითა და ყვავილებით დაფარული პატარა მდელოები გაიშალა მათ წინ. უეცრად ლეპიკის ქუჩა გათავდა და ისინიც ჯაგნარში გამავალ ბილიკს მიადგნენ.

— გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, გოგენ, — უთხრა ვინსენტმა, — რა აზრისა ხარ სიორაზე.

— ჟორჟზე? ვიცოდი, რომ შემეკითხებოდი. დელაკრუას მერე კაცი არ მეგულება, რომელიც ისე გრძნობდეს ფერებს, როგორც ჟორჟი. მას ხელოვნებაზე ინტელექტუალური თეორიები აქვს. ეს, რა თქმა უნდა, სულ ტყუილია. მხატვრები არ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ რას და როგორ ხატავენ. თეორიები კრიტიკოსების საქმეა. ჟორჟი, იმედია, თავისი კოლორიტულობით გარკვეულ ხარკს გაიღებს, მისი გუთური არქიტექტურა კი იმდენს იზამს, პრიმიტივიზმს დააჩქარებს მხატვრობაში. მაგრამ ჟორჟი გიჟია, ნამდვილი გიჟი, თუმცა, თვითონაც ნახე!

კარგა გვარიანად გაჯახირდნენ ასვლაში, მაგრამ მთის წვერამდე მიაღწიეს თუ არა, მთელი პარიზი გადაეშალათ თვალწინ — შავი სახურავების ნამდვილი ზღვა. ღამის ბინდბუნდიდან აქა-იქ ტაძრების წინწილა გუმბათებსაც ამოეყოთ თავი. სინათლის კლაკნილი ზოლივით ლაპლაპა სენა შუაზე ჰყოფდა ქალაქს. მონმარტრიდან სახლების რიგი თავდაღმა ჩადიოდა სენამდე და შემდეგ ისევ მაღლა მიემართებოდა, მონპარნასზე. მზე ის იყო ამოიწვერა და მისი შუქი ვენსენის ტყეში ჩაღვრილიყო, მაგრამ ქალაქის საპირისპირო მხარეს, ბულონის ტყემდე ვერ აღწევდა და იქაურობა ჯერ კიდევ თვლემდა.

ქალაქის სამი მთავარი ორიენტირი, ოპერის თეატრი ცენტრში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი აღმოსავლეთით და ტრიუმფალური თაღი დასავლეთით, სხვადასხვა ფერის ქვით ნაგები ყორღანებივით წამოჭიმულიყო.

6.

თეოს პაწია ბინაში, ლავალის ქუჩაზე, როგორც იქნა მშვიდობამ დაისადგურა. თეო ღმერთს მადლობას სწირავდა ამ წყალობისათვის, მაგრამ მშვიდობამ დიდხანს ვერ გასტანა.

იმის მაგივრად, რომ დინჯად, გულმოდგინედ გაეხალისებინა თავისი მოძველებული პალიტრა, ვინსენტმა ახალი მეგობრების მიბაძვა დაიწყო. იმპრესიონისტად გახდომის წყურვილმა სულ გადაავიწყა ის, რაც აქამდე გაეგო და ესწავლა მხატვრობაში. მისი ტილოები სიორას, ტულუზ-ლოტრეკისა და გოგენის ნახატების უნიჭო ასლებს დაემსგავსა. თვითონ ეჭვიც არ ეპარებოდა დიდი ტრიუმფით მივიწევ წინო.

— გამიგონე, ჩემო კარგო, — უთხრა ერთ საღამოს თეომ, — რა გქვია შენ?

— ვინსენტ ვან გოგი.

— დარწმუნებული ხარ? იქნებ ჟორჟ სიორა ან პოლ გოგენი?

— რა ეშმაკად მეკითხები მაგას, თეო?

— ნუთუ მართლა გგონია, რომ შეიძლება ჟორჟ სიორა გახდე? განა არ იცი, რომ დასაბამიდან დღემდე მხოლოდ ერთი ლოტრეკი არსებობს და, მადლობა ღმერთს, ერთადერთი გოგენი! მათი მიბაძვა რა სისულელეა, ვინსენტ!

— ვინ თქვა რომ ვბაძავ? მე ვსწავლობ მათგან.

— არა. ბაძავ. მიჩვენე შენი ბოლო ნამუშევარი და მე გეტყვი, ვისთან იქნებოდი წუხელ.

— კი მაგრამ, განა მე წინ არ მივიწევ, თეო? ნახე, რამდენად ნათელი გახდა ჩემი სურათები.

— შენ დღითიდღე უკან-უკან მიდიხარ და ყოველ ახალ სურათში სულ უფრო ნაკლებად სჩანს ვინსენტ ვან გოგი. ეს გზა გამარჯვებამდე ვერ მიგიყვანს. ამას წლობით გულმოდგინე მუშაობა სჭირდება. ნუთუ ისე დაჩიავდი, რომ იძულებული ხარ სხვებს მიბაძო? რატომ არ შეგიძლია მათგან მხოლოდ ის შეითვისო, რაც საჭიროა შენთვის?

— თეო, მე შენ გეუბნები, ეს ტილოები კარგია.

— მე კი გეუბნები რომ საშინელია.

ბრძოლა უკვე გაჩაღდა.

ყოველ საღამოს, როცა დაღლილ-დაქანცული თეო გალერეიდან ბრუნდებოდა, ვინსენტი სულმოუთქმელად ელოდა ძმას, რომ ახალი ტილო ეჩვენებინა. ქუდის მოხდას და პალტოს გაძრობას არ დააცდიდა, ისე ეცემოდა.

— აი! იქნებ ახლაც თქვა, ეს ტილო არ ვარგაო! ან შენი პალიტრა არ გაუმჯობესებულაო! უყურე, რამდენი მზეა! შეხედე ამ...!

თეოს ან ტყუილი უნდა ეთქვა და კმაყოფილ ძმასთან სასიამოვნოდ გაეტარებინა საღამო, ან სიმართლე არ დაემალა, რასაც დილამდე გაცხარებული კამათი მოჰყვებოდა. თეო საშინლად გადაიღალა. ტყუილის თქმა ყველაფერს სჯობდა, მაგრამ არ შეეძლო.

— როდის იყავი დიურან-რიუელთან უკანასკნელად, — ჰკითხა ერთხელ ილაჯგაწყვეტილმა თეომ.

— რა მნიშვნელობა აქვს?

— მიპასუხე, რასაც გეკითხები.

— კარგი, — უთხრა ვინსენტმა, — წუხელ.

— იცი თუ არა, ვინსენტ, რომ პარიზის დაახლოებით ხუთი ათასი მხატვარი ცდილობს ედუარდ მანეს მიბაძოს? და უმეტესობა ამას გაცილებით უკეთ აკეთებს, ვიდრე შენ.

ბრძოლის ველი ორივეს ვერ იტევდა და ერთ-ერთის დამარცხება გარდუვალი იყო.

ვინსენტმა ახალი გზა მონახა. ერთხელ იმდენი მოახერხა, რომ ყველა იმპრესიონისტი ერთ ტილოზე მოათავსა.

— დიდებულია, — უთხრა თეომ იმ საღამოს, — ამ სურათს „შეჯამებას“ დავარქმევთ. ყოველ ნაწილს თავის სახელს მივაწებებთ. აი, ეს ხე ზედგამოჭრილი გოგენია, ის გოგონა, კუთხეში. ნამდვილი ტულუზ-ლოტრეკი, მზით განათებული ნაკადული წმინდა წყლის სისლეია, ტონი მონესია, ფოთლები პისაროსი, ჰაერი სიორასი, ხოლო ის გამოსახულება, შუაში, მანესი.

ვინსენტი ფარხმალს არ ჰყრიდა. მთელი დღე გაფაციცებული მუშაობდა და საღამოთი, თეო რომ ბრუნდებოდა, პატარა ბავშვივით ისმენდა საყვედურებს. თეო სასადილო ოთახში იძინებდა, ასე რომ ვინსენტს ღამით მუშაობის საშუალება არ ჰქონდა; ძმასთან გაუთავებელმა ჩხუბმა მოსვენება დაუკარგა თეოს და ძილი გაუტყდა. მათი ყოველი შეჯახება იმით მთავრდებოდა, რომ გასავათებულ თეოს სინათლით გაჩახჩახებულ ოთახში ჩაეძინებოდა, ვინსენტი კი გამწარებული განაგრძობდა ხელების ქნევას. თეო იმ იმედით ითმენდა, რომ სულ მალე ლეპიკის ქუჩაზე

გადავიდოდნენ, სადაც მას საწოლი ოთახი ექნებოდა საიმედოდ ურდულით ჩარაზული.

როცა ვინსენტს თავის საკუთარ მხატვრობაზე ლაპარაკი მოღლიდა, ახლა ხელოვნებაზე მსჯელობით, სურათების ყიდვა-გაყიდვაზე და მხატვრების უკუღმართ ცხოვრებაზე ლაპარაკით ათევინებდა თეოს ღამეებს.

— თეო, ერთი რამ არ მესმის, — საყვედურობდა ძმას, — აი, შენ პარიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გალერეის მმართველი ხარ და არ შეგიძლია შენი ძმის ერთი ტილო მაინც გამოჰკიდო.

— ვალადონი არ მაძლევს ნებას.

— სცადე განა?

— ათასჯერ.

— კარგი, დავუშვათ ჩემი სურათები არ ვარგა. მაგრამ სიორა? გოგენი? ლოტრეკი?

— ყოველთვის, როცა ეგენი ახალ ტილოს მომიტანენ, ვალადონს პირდაპირ ვევედრები, ანტრესოლში მაინც გამოვფინოთ-მეთქი.

— შენ ხარ მაგ გალერეის ბატონ-პატრონი თუ კიდევ ვინმე სხვა?

— ვაი, რომ მე მხოლოდ ვმსახურობ იქ.

— თუ ასეა, აუცილებლად უნდა წახვიდე მანდედან. ეს დაცინვაა, თეო, დაცინვა და მეტი არაფერი. შენს ადგილას მე ვერ ავიტანდი ამას. აუცილებლად წავიდოდი.

— მოდი, საუზმისას ვილაპარაკოთ ამაზე, ვინსენტ. დღეს ძალიან დავიღალე, მეძინება.

— მე კი არ შემიძლია ხვალამდე მოვიცადო. მე მინდა სწორედ ახლა გელაპარაკო. მითხარი, თეო, რა ხეირია იმაში, სულ მანე და დეგა გამოჰფინო? ეგენი უკვე აღიარებულნი არიან.

მაგათი სურათები იყიდება კიდეც. ახლა ახალგაზრდებს სჭირდებათ გზის გაკაფვა.

— მადროვე! იქნება ერთ სამ წელიწადში...

— არა! სამ წელს ვერ მოვიცდით ჩვენ. ახლა უნდა ვიმოქმედოთ. რა არის, თეო, რატომ არ მიატოვებ იქაურობას და შენს საკუთარ გალერეას არ გახსნი? აბა, დაფიქრდი, არავითარი ვალადონი, არავითარი ბუგრო, არავითარი ჰენერი!

— ამას ფული სჭირდება, ვინსენტ. მე კი არაფერი მაქვს გადანახული.

— ფულს როგორმე ვიშოვიდით.

— სურათების გაყიდვა ნელა მიიწევს ხოლმე წინ, იცოდე!

— კეთილი და პატიოსანი. ჩვენც დღე და ღამეს გავასწორებთ მუშაობით, ვიდრე ფეხზე არ დადგები.

— მერე, ამ ხნის განმავლობაში რა ვქნათ? ჭამა ხომ გვინდა?

— შენ მსაყვედურობ, რომ მე არ შემიძლია ჩემით ვირჩინო თავი, ხომ?

— ღვთის გულისათვის, ახლა დაწექი, ვინსენტ. მეტი აღარ შემიძლია.

— არ დავწვები. მინდა, სიმართლე ვიცოდე. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ სტოვებ გუპილს, არა? მე გყავარ სარჩენი? მოდი, სიმართლე მითხარი. მე შენ მაჯლაჯუნასავით გაწევარ და ძირს მიგაქანებ! მე გაიძულებ იმუშაო! მე რომ არა, შენ თავისუფალი იქნებოდი.

— მე რომ შენზე უფროსი ვიყო, ან შენზე ღონიერი, ერთ კაი ალიყურს გაჭმევდი ახლა. ვატყობ, მომიწევს გოგენს დავუძახო და ჩემს მაგივრად გავალახინო შენი თავი.

დაიმახსოვრე, ჩემი ვალია ჩემი დღე და მოსწრება გუპილს ვემსახურო, შენ კი გევალება შენი დღე და მოსწრება ხატო. იმის ნახევარი, რასაც მე გუპილთან ვიღებ, შენია. იმის ნახევარი, რასაც შენ ხატავ, ჩემი. ახლა კი მოუსვი ჩემი ლოგინიდან და დამაძინე, თორემ იცოდე, პოლიციას დავუძახებ!

მეორე საღამოს თეომ ვინსენტს კონვერტი გადასცა და უთხრა:

— თუ ამაღამ თავისუფალი ხარ, შეგვიძლია ამ წვეულებაზე წავიდეთ.

— ვინ მართავს წვეულებას?

— ანრი რუსო. მოსაწვევი ნახე.

მოსაწვევზე ორი პატარა ლექსი და ხელით დახატული ყვავილები იყო.

— რა კაცია? — იკითხა ვინსენტმა.

— ჩვენ მას მებაჟეს ვეძახით. ორმოც წლამდე გადასახადებს ჰკრეფდა სოფლებში. კვირაობით ხატავდა ხოლმე, გოგენის არ იყოს. პარიზში ხუთი წლის წინ ჩამოვიდა და ბასტილიის მოედანთან, მუშათა კვარტალში დასახლდა. არავითარი განათლება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, ხატავს, ლექსებსაც წერს, მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნის, მუშების შვილებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლის, პიანინოზე უკრავს და რამოდენიმე მოხუცს ხატვის გაკვეთილებსაც აძლევს.

— რას ხატავს?

— ფანტასტიკურ ცხოველებს, კიდევ უფრო ფანტასტიკური ჯუნგლების ფონზე. ჯუნგლები კი მხოლოდ ბოტანიკურ ბაღში თუ უნახავს. ნამდვილი გლეხია, ბუნებით პრიმიტივი, თუმცა პოლ გოგენი სულ დასცინის.

— შენ რა აზრისა ხარ მის ნახატებზე, თეო?

— იცი რა, არც ვიცი რა გითხრა. ისე, ყველა გიჟს და სულელს ეძახის.

— ასეთია?

— რაღაცნაირი ბავშვური და მიამიტია. ამ საღამოს მივალთ მასთან და შენ თვითონ ნახავ. ყველა თავისი ნახატი კედელზე უკიდია.

— ალბათ შეძლებული კაცია, რაკი წვეულებებს მართავს!

— არა, პარიზში მაგაზე ღარიბ მხატვარს ვერ ნახავ, იმდენად რომ, იმ ვიოლინოს, რომელზეც ბავშვებს ასწავლის დაკვრას, გირაოდ იღებს, რადგან ყიდვის საშუალება არა აქვს. ამ წვეულებებს კი თავისი გარკვეული მიზანი აქვთ, თუმცა თვითონვე ნახავ.

რუსოს სახლში მხოლოდ მუშები ცხოვრობდნენ. რუსოს ოთახი მეოთხე სართულზე იყო. ქუჩაში ერთი ჟრიამული გაჰქონდათ ბავშვებს. სახლში შესვლისთანავე გეცემოდათ სამზარეულოს, სამრეცხაოს და საპირფარეშოს ერთმანეთში შეზავებული სუნი.

თეოს კაკუნზე ანრი რუსომ გააღო კარი. დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო, აგებულებით ვინსენტს მიაგავდა. ჰქონდა მოკლე, კოტიტა თითები, ოთხკუთხა თავი, ქვასავით მკვრივი ცხვირი და ნიკაპი და ფართოდ გახელილი, მიამიტი თვალები.

— პატივი დამდეთ, რომ მობრძანდით მუსიე ვან გოგ, — თქვა მან წყნარი, სასიამოვნო ხმით.

თეომ ვინსენტი გააცნო. რუსომ დაბრძანდითო, შესთავაზა.

ოთახი მხიარული ფერებით იყო აჭრელებული. რუსოს გლეხური, თეთრ-წითელი ტილოს ფარდები ჩამოეკიდა ფანჯრებზე.

კედლებზე გამოკიდული სურათები უცნაური ცხოველებით, ჯუნგლებითა და ყოვლად წარმოუდგენელი პეიზაჟებით იყო სავსე.

ოთხი პატარა ბიჭი კუთხეში იდგა, ძველი, დანჯღრეული პიანინოს გვერდით. აღელვებულებს ვიოლინოები ეკავათ ხელში. ბუხრის თავზე შინაურული ნამცხვრები ეწყო, რომელიც რუსოს თავისი ხელით გამოეცხო და კვლიავის თესლიც მოეყარა ზედ. სკამძელები და სკამები გაფანტულად იდგა ოთახში.

— თქვენ პირველი მოხვედით, მუსიე ვან გოგ, — უთხრა რუსომ. — კრიტიკოსმა გილიომ პილმა პატივი დამდო და მითხრა, ჩემს კომპანიას მოვიყვანო.

უცებ ქუჩიდან ხმაური მოისმა — ჯერ ბავშვების მხიარული შეძახილები და შემდეგ. ქვაფენილზე ეტლის თვლების ჭრიალი. რუსო კარის გასაღებად გავარდა. დერეფანში ქალების სასიამოვნო ხმები ისმოდა.

— ნუ გაჩერდებით, ნუ გაჩერდებით, — როხროხებდა კაცის ხმა, — ცალი ხელი მოაჯირს მოჰკიდეთ, მეორე კი ცხვირზე მოიჭირეთ!

ამ ენამახვილობას მხიარული სიცილი მოჰყვა. ნათქვამი რუსომაც გაიგონა, მერე ვინსენტისკენ მოტრიალდა და გაუღიმა. ვინსენტმა იფიქრა, ჯერ არ მინახავს კაცს ასეთი ნათელი, გულუბრყვილო თვალები ჰქონდეს, ყოველგვარი ბოროტებისა და ღვარძლისაგან დაცლილიო.

ათი თუ თორმეტი ადამიანი შემოიჭრა ოთახში. კაცებს ფრაკები ეცვათ, ქალებს ლამაზი კაბები, კოხტა ფეხსაცმელები და გრძელი, თეთრი ხელთათმანები. შემოვიდნენ და თან შემოიყოლეს ძვირფასი სუნამოს, პუდრის, აბრეშუმისა და ძველებური მაქმანის სურნელება.

— აბა, ანრი! — დაუძახა გილიომ პილმა თავისი ბოხი, როხროხა ხმით. — როგორც ხედავთ, მოვედით. მაგრამ დიდხანს ვერ დავრჩებით. პრინცესა დე ბოილის მეჯლისზე მივდივართ. აბა, მანამდე გამირთე სტუმრები.

— ო, როგორ მინდოდა თქვენი გაცნობა, — წამოიძახა ერთმა გამხდარმა, წაბლისფერთმიანმა გოგონამ, რომელსაც ღრმად გულამოჭრილი კაბა ეცვა, — წარმოგიდგენიათ, ეს არის ის უდიდესი მხატვარი, რომელზეც მთელი პარიზი ლაპარაკობს. ხელზე ხომ არ მაკოცებდით, მუსიე რუსო?

— გაფრთხილდი, ბლანშ, — უთხრა ვიღაცამ. — ხომ იცი...

ეს მხატვრები...

რუსომ გაიღიმა და აკოცა მის ხელს. ვინსენტი კუთხეში მიიყუჟა. პილი და თეო ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. დანარჩენები დაწყვილებულნი დააბიჯებდნენ ოთახში, თითოეულ სურათთან რაღაცას ამბობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ხელით ეხებოდნენ ფარდებს, ნივთებს, სულ გადაქექეს ყოველი კუთხე-კუნჭული, რომ რაიმე სამხიარულო ეპოვნათ.

— დაბრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო. — გამოაცხადა რუსომ, — ახლა ჩემი ორკესტრი ერთ-ერთ ჩემს ნაწარმოებს შეასრულებს, რომელიც მე მუსიე პილს მივუძღვენი.

მას ეწოდება „შანსონ რავალი“.

— მოდით, ყველანი აქ მოდით, — დაიძახა პილმა, — რუსო გართობას გვიპირებს, ჟანი! ბლანშ! ჟაკ! მოდით, დასხედით.

ნახეთ, რა დიდებული რამ იქნება.

ოთხი აკანკალებული ბიჭი ერთადერთ პიუპიტრთან იდგა და ვიოლინოს აწყობდა. რუსო პიანინოს მიუჯდა და თვალები დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, დავიწყოთო და დაკვრას შეუდგა. ნაწარმოები უბრალო პასტორალი აღმოჩნდა.

ვინსენტს მოსმენა აინტერესებდა, მაგრამ დამსწრეთა დაცინვით სავსე წამოძახილები საშუალებას არ აძლევდა. დასასრულს მხურვალე ტაში დასცხეს. ბლანში პიანინოს მიუახლოვდა, რუსოს მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— მშვენიერი იყო, მუსიე. დიდი ხანია ამგვარად არაფერს უმოქმედია ჩემზე.

— პირმოთნეობას იჩენთ, მადამ.

ბლანში აკისკისდა.

— გილიომ, გაიგონეთ? პირმოთნეობას მწამებს!

— ახლა სხვა ნაწარმოებს მოგასმენინებთ, — განაცხადა რუსომ.

— რომელიმე შენი საკუთარი სიმღერა გვიმღერე, ანრი!

შენ ხომ ბევრი გაქვს დაწერილი.

რუსოს პატარა ბავშვივით გაეღიმა.

— კეთილი, მუსიე პილ. გიმღერებთ, თუ გნებავთ.

მაგიდასთან მივიდა, ლექსების რვეული აიღო და ერთ-ერთი აარჩია. შემდეგ კვლავ პიანინოს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო. ვინსენტი მოხიბლა მელოდიამ. სიმღერის სიტყვები ცოტა გაიგონა, და რაც გაიგონა, ისიც ძალიან მოეწონა. მაგრამ მელოდია და სიტყვები რაღაც ვერ შეეწყო ერთმანეთს. ბრბო ღრიალებდა. გილიომს მხარზე ურტყამდნენ და გაიძახოდნენ:

— ოჰ! გილიომ, ნამდვილი კუდიანი ხარ, შე ეშმაკო, შენა!

დაკვრას რომ მორჩა, რუსო სამზარეულოში გავიდა, ულაზათო ფინჯნებით ყავა შემოიტანა და სტუმრებს ჩამოურიგა.

მოსულნი კვლიავის მარცვლებს აცლიდნენ ნამცხვრებს და ერთმანეთს ყავაში უყრიდნენ. ვინსენტი თავის ყალიონს აბოლებდა კუთხეში.

— ახლა, ანრი, შენი უკანასკნელი ნამუშევრები გვიჩვენე.

აი, რა გვაინტერესებს ჩვენ. გვინდა მოვასწროთ, აქვე ვნახოთ, შენს სახელოსნოში, ვიდრე ლუვრში არ წაუღიათ.

— რამდენიმე მართლაც კარგი სურათი მაქვს ახალი, — გამოტყდა რუსო, — თუ გნებავთ, ახლავე ჩამოვხსნი კედლიდან.

სტუმრებმა მაგიდასთან მოიყარეს თავი და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სურათების შემკობაში:

— აი ეს ნამდვილი ღვთაებრივი ქმნილებაა, — წამოიძახა ბლანშმა, — აუცილებლად უნდა ვიყიდო ჩემი ბუდუარისთვის!

უამისოდ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ! ძვირფასო მეტრ, რა ღირს ეს უკვდავი შედევრი?

— ოცდახუთი ფრანკი.

— ოცდახუთი ფრანკი! წარმოგიდგენიათ, ხელოვნების ასეთი უდიდესი ნაწარმოები მხოლოდ ოცდახუთი ფრანკი ღირს. ხომ არ მომიძღვნიდით მე?

— დიდი პატივი იქნება ჩემთვის.

— ფრანსუაზას შევპირდი, ერთ სურათს შენც მოგიტანმეთქი, — თქვა პილმა. — ანრი, ჩემი საცოლესთვის მინდა.

მირჩიე, საუკეთესო, რაც შენს ყალამს შეუქმნია!

— ვიცი, რაც უნდა მოგცეთ, მუსიე პილ!

რუსომ სურათი ჩამოხსნა. რაღაც ზღაპრული ჯუნგლიდან უცნაური ცხოველი იჭვრიტებოდა. ყველანი პილს ეცნენ.

— რა არის?

— ლომია.

— არა, ვეფხვია!

— გელაპარაკებით, ჩემი მრეცხავია, მაშინვე ვიცანი!

— ეს უფრო მოზრდილი ტილოა, მუსიე, — დატკბა რუსო, — ამიტომ ოცდაათი ფრანკი ეღირება.

— ღირს, ანრი, ნამდვილად ღირს. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი შვილიშვილი ამ უნიკალურ ტილოს სამიათას ფრანკად გაყიდის.

— მეც მინდა, მეც, — წამოიძახეს დანარჩენებმა. — ჩემს მეგობარსაც უნდა წავუღო. ასეთი გამოფენა წლეულს მეორე არ იქნება.

— ახლა კი წავედით, — გამოაცხადა პილმა. — მეჯლისზე დაგვაგვიანდება. ნახატები არ დაგრჩეთ. პრინცესა დე ბოილისთან ნახეთ რა ამბავი ატყდეს ამაზე. ნახვამდის, ანრი! ჩინებულად გავატარეთ დრო. აბა, შენ იცი, ერთი ასეთი წვეულება მალე!

— ნახვამდის, ძვირფასო მეტრ! — უთხრა ბლანშმა და სუნამოდაპკურებული ცხვირსახოცი აუფრიალა ცხვირწინ. — მე თქვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ. თქვენ სამუდამოდ იცოცხლებთ ჩემს მეხსიერებაში.

— მოეშვი, ბლანშ, — დაუძახა ვიღაცა კაცმა, — საწყალს ამაღამ აღარ დაეძინება.

აურიამულებულნი დაუყვნენ კიბეებს, თან ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და აქოთებულ დერეფანში ძვირფასი სუნამოს სურნელებას სტოვებდნენ.

თეო და ვინსენტი კარისაკენ გაეშურნენ. რუსო მაგიდასთან იდგა და დახვავებულ ფულს დასჩერებოდა.

— რა იქნება, რომ მარტო წახვიდე სახლში, თეო? — უთხრა ვინსენტმა. — მე დავრჩებოდი, გავიცნობდი.

თეო წავიდა. რუსოს არ შეუნიშნავს როგორ მიხურა ვინსენტმა კარი და როგორ მიეყრდნო ზედ. იგი გამალებული ითვლიდა ფულს.

— ოთხმოცი ფრანკი, ოთხმოცდაათი ფრანკი, ასი, ასხუთი...

უცებ აიხედა და ვინსენტის მზერას წააწყდა. ფული გვერდზე გასწია, გაჩერდა და გულუბრყვილოდ გაუცინა.

— მოიხსენით ნიღაბი, რუსო, — უთხრა ვინსენტმა, — მეც გლეხი ვარ და მხატვარი.

რუსო ვინსენტს მიუახლოვდა და მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— თქვენმა ძმამ მიჩვენა თქვენი ჰოლანდიელი გლეხების პორტრეტები. კარგია. გაცილებით უკეთესია, ვიდრე მილეს სურათები. მე ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მიცქერია მათთვის და აღტაცებული ვარ თქვენით, მუსიე.

— მე კი თქვენს ტილოებს შევცქეროდი, მუსიე რუსო, ვიდრე ესენი... ერთმანეთს ასულელებდნენ. მეც აღტაცებული ვარ თქვენით.

— გმადლობთ. ხომ არ დაჯდებოდით? თუთუნი ხომ არ გნებავთ ყალიონისათვის? აი, ას ხუთი ფრანკი დამრჩა, მუსიე; ახლა თამბაქოსაც ვიყიდი, საჭმელსაც და სუფთა ტილოებსაც.

მაგიდას აქეთ-იქით მიუსხდნენ და ხმაამოუღებლად, მეგობრულად აბოლებდნენ ჩაფიქრებულნი.

— თქვენ ალბათ იცით, რომ გიჟს გეძახიან, რუსო.

— დიახ, ვიცი. მეც გავიგე, რომ ჰაგაში თქვენც მოგნათლეს გიჟად.

— მართალია.

— იფიქრონ, რაც გაეხარდებათ. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ტილოები ლუქსემბურგის მუზეუმს დაამშვენებს.

— ჩემები კი ლუვრს, — უთხრა ვინსენტმა.

ერთმანეთს შეხედეს, მიუხვდნენ სათქმელს და გულიანად გაეცინათ.

— ისინი არ სცდებიან, — თქვა ვინსენტმა, — ჩვენ გიუები ვართ!

— მოდით, აღვნიშნოო ეს ამბავი! — შესთავაზა რუსომ.

7.

ოთხშაბათს, სადილობას ცოტაღა უკლდა, გოგენმა რომ მოაკაკუნა კარზე.

— შენმა ძმამ მთხოვა, დღეს კაფე „ბატინიოლში“ წაიყვანეო.

თვითონ საქმე აქვს და გვიანობამდე დარჩება გალერეაში. ო, ეს ტილოები მართლაც საინტერესოა, შეიძლება ვნახო?

— რა თქმა უნდა ზოგი მათგანი ბრაბანტში ვხატე, ზოგი ჰააგაში.

გოგენი დიდხანს მისჩერებოდა სურათებს. რამდენჯერმე ასწია ხელი და ისე დააღო პირი, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო. როგორც სჩანდა, უჭირდა ეთქვა, რასაც ფიქრობდა.

— მაპატიე, რომ გეკითხები, ვინსენტ, — უთხრა ბოლოს, — მაგრამ შენ ბნედა ხომ არ გჭირს?

ვინსენტი ის-ის იყო ცხვრის ტყაპუჭს იცვამდა, რომელიც თეოს გულის გასახეთქად რომელიღაც საკომისიო მაღაზიაში აღმოაჩინა და ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს მისი ჩაცმა. ამ შეკითხვაზე შემობრუნდა და გოგენს მიაჩერდა.

— რა ხომ არ მჭირს?

— ბნედა. აი, ნერვული შეტევები რომ მოსდით ხოლმე.

— რამდენადაც ვიცი, არა. რატომ მეკითხები.

— იმიტომ რომ... ეს შენი სურათები .. ასე მგონია, საცაა იფეთქებენ მეთქი როცა შენს ნახატებს ვუყურებ და ეს პირველად არ მემართება რაღაცნაირად ვღიზიანდები ჩემდა უნებურად. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ტილო თუ არა, მე აუცილებლად ავფეთქდები. იცი, ყველაზე უფრო სად მოქმედება შენი სურათები?

— აბა სად?

— ნაწლავებში. მთელი გულ-მუცელი მიტრიალებს. ისე ვღიზიანდები და ვნერვიულობ, რომ თავს ვერ ვიკავებ.

— კუჭში გამხსნელ საშუალებად ხომ არ გამეყიდა ჩემი ნახატები? მოდი, ერთი სურათი შენს საპირფარეშოში ჩამოკიდე, მერე მიდი და ერთსა და იმავე დროს უცქირე.

— სერიოზულად გეუბნები, ვინსენტ, ასე მგონია, შენს სურათებთან დიდხანს ვერ ვიცხოვრებდი ერთ კვირაში შევიშლებოდი ჭკუიდან.

— წავიდეთ, არა?

მონმარტრის ქუჩით კლიშის ბულვარისკენ გაეშურნენ.

— ისადილე უკვე? — ჰკითხა გოგენმა.

— არა. შენ?

— არც მე „ბატაიში“ ხომ არ შევიდეთ?

— ბრწყინვალე აზრია. ფული გაქვს?

— არც ერთი სანტიმი. შენ არა გაქვს?

— ჯიბეებგამოფხეკილი ვარ, როგორც ყოველთვის. თეოს ველოდი, მოვა და სადმე წამიყვანს-მეთქი.

— აუჰ! ვეღარ გვისადილია და ეს არის!

— წამო, მაინც შევიდეთ და ვნახოთ, რა აქვთ დღეს?

ლეპიკის ქუჩას მაღლა აჰყვნენ და შემდეგ მარჯვნივ შეუხვიეს, აბატისის ქუჩაზე. მადამ ბატაის შესასვლელთან, ხელოვნურ ხეზე ჰქონდა გაკრული მელნით დაწერილი მენიუ.

— მმმ, — შეიცხადა ვინსენტმა, — ბატკნის ხორცი მწვანე მუხუდოთი, ჩემი საყვარელი კერძი.

— ვერ ვიტან ბატკანს, — უთხრა გოგენმა, — კიდევ კარგი, რომ ვერ ვსადილობთ.

— Quelle blague (*რა სისულელეა — ფრ.).

უკანვე დაუყვნენ ქუჩას და მალე პატარა სამკუთხა ბაღს მიადგნენ მთის ძირას.

— უყურე! — წამოიძახა გოგენმა, — პოლ სეზანს სძინავს იმ სკამ-ძელზე. ვერ მივმხვდარვარ, რატომ იდებს თავის ფეხსაცმელებს თავქვეშ ეს იდიოტი. მოდი, გავაღვიძოთ.

გოგენმა ქამარი მოიხსნა, ორად მოკეცა და შიშველ ფეხებზე შემოარტყა მძინარეს. სეზანმა ტკივილისაგან შეჰყვირა და ზეზე წამოხტა.

— უხ, შე სადისტო, გოგენ! შენი ჭკუით ხუმრობაა ეს? ნუ მაიძულებ რომ გაგიხეთქო ეგ თავი.

— ასე მოგიხდება, რას წამოგიყრია ტიტველი ფეხები ჭუჭყიანი ფეხსაცმელები კი თავქვეშ ამოგიდევს. ვითომ ბალიშის მაგივრობას გიწევს? უმაგისოდ უკეთესად არ დაწვები?

სეზანმა ჯერ ერთი ფეხის ტერფი მოისრისა, მერე მეორესი და ბუზღუნით ჩაიცვა ფეხზე.

— ბალიშად სულაც არ მიდევს. თავქვეშ იმიტომ ვიდებ, რომ დამეძინება, არავინ მომპაროს.

გოგენი ვინსენტს მიუბრუნდა:

— ისე ლაპარაკობს, გაჭირვებული მხატვარი გეგონება.

მამამისი ბანკის მფლობელი გახლავთ და პროვანსში ექსის ნახევარიც მას ეკუთვნის. პოლ, გაიცანი, ეს ვინსენტ ვან გოგია, თეოს ძმა.

სეზანმა ხელი ჩამოართვა ვინსენტს.

— ნეტავი ნახევარი საათით ადრე მაინც შეგხვედროდი, სეზან, — უთხრა გოგენმა. — ერთად ვისადილებდით. „ბატაიში“ ბატკნის ხორცი აქვთ მუხუდოთი. ასეთი გემრიელი რამ ჯერ არ მიჭამია.

— მართლა გემრიელი იყო? მართლა? — დაინტერესდა სეზანი. — — გემრიელი? გემრიელი კი არა, დიდებული რამ იყო, არა ვინსენტ?

— რა თქმა უნდა!

— თუ ასეა, ალბათ მეც იქ წავალ. წამოდით რა, დამეწვიეთ!

— არც ვიცი, შემიძლია თუ არა კიდევ ჭამა. შენ შესძლებ, ვინსენტ?

— არა მგონია, მაგრამ რაკი მუსიე სეზანი გვთხოვს...

— კარგი რა, გოგენ! ხომ იცი, როგორ მეჯავრება მარტო ჭამა. თუ ცხვრის ხორცი აღარ გინდა, მაშინ რამე სხვა შეუკვეთე.

— კარგი, შენი ხათრით წამოვალ. წამო, ვინსენტ!

ისევ „ბატაისკენ“ გაუყვნენ აბატისის ქუჩას.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო, — მიესალმათ ოფიციანტი, — რას ინებებთ?

— მოგვიტანეთ სამი ბატკნის ხორცი, — განაცხადა გოგენმა.

— კეთილი. ღვინო რომელი მოგართვათ?

— ღვინო შენ აირჩიე, სეზან, ჩემზე უკეთ ერკვევი ამაში.

— ჯერ ვნახოთ რა აქვთ, სენტ-ესტეფი, ბორდო, სოტერნი, ბონი...

— აქაური პომარი დაგილევია? — ისე ჩაურთო გოგენმა, თითქოს მისთვის სულერთიაო. — ჩემის აზრით, აქ ყველაზე კარგი უნდა იყოს.

ერთი ბოთლი პომარი მოგვიტანეთ, — უთხრა სეზანმა ოფიციანტს.

გოგენმა სულმოუთქმელად მოასუფთავა თავისი თეფში და სეზანს მიუბრუნდა, რომელიც ჯერ შუა ჭამაში იყო.

— სხვათა შორის, პოლ, ამბობენ, ზოლას „შემოქმედება“ ათასობით იყიდება.

სეზანს შავ თვალებში სიბრაზე ჩაუდგა და უგემურად გადაყლაპა ლუკმა. მერე ვინსენტს ჰკითხა.

— თქვენ წაიკითხეთ ეგ წიგნი, მუსიე?

— ჯერ არა. ეს-ეს არის „ჟერმინალის“ კითხვას მოვრჩი.

— „შემოქმედება“ ცუდი წიგნია, — თქვა სეზანმა, — ყალბია; გარდა ამისა, ეს ყველაზე საშინელი გამცემლობაა, რაც მეგობრობის ნიღბით მომხდარა ოდესმე. მწერალი მხატვარზე მოგვითხრობს, მუსიე ვან გოგ. ჩემზე! ემილ ზოლა და მე ძველი მეგობრები ვართ. ერთად ვიზრდებოდით ექსში. სკოლაშიც ერთად დავდიოდით აქ. ძმებიც არ იქნებიან ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც მე და ემილი ვიყავით. მთელი ჩვენი ახალგაზრდობა სულ მხარში ვედექით ერთმანეთს. ორივე იმაზე ვოცნებობდით, დიდი მხატვრები გამოვსულიყავით. ახლა კი, აი, რა გამიკეთა!

— რა გაგიკეთათ? — დაინტერესდა ვინსენტი.

— დამცინა. ყბად ამიღო. მთელი პარიზის სასაცილო გამხადა. მე სულ ვუზიარებდი ჩემს თეორიებს სინათლისა და ზედაპირზე სხეულების განაწილების შესახებ, პალიტრის შეცვლა-გაახლებაზე, ისიც მისმენდა, ამყვებოდა, გამომტყუებდა ხოლმე ყველაფერს. ამას თურმე იმისთვის სჩადიოდა, რომ მასალა მოეგროვებინა, მერე წიგნი დაეწერა და ეჩვენებინა, რა სულელი ვინმე ვარ მე.

სეზანმა ღვინო გამოსცალა, შემდეგ ისევ განაგრძო. წვრილ, კუშტ თვალებში სიძულვილი უელავდა.

— ზოლამ სამი მხატვარი შეგვაერთა იმ მხატვარში, მუსიე ვან გოგ. მე, ბაზილი და კიდევ ერთი საბრალო ყმაწვილი, რომელიც მანეს სახელოსნოს იატაკს უგვიდა. ის ბიჭი მხატვრად გახდომაზე ოცნებობდა, მაგრამ ბოლოს იმედგაცრუებულმა თავი ჩამოიხრჩო. ზოლას მე გამოვყავარ ერთ მეოცნებე, გზააბნეულ კაცად, რომელსაც ჰგონია, სიახლე შეაქვს მხატვრობაში, მაგრამ თურმე იმიტომ არ ხატავს ჩვეულებრივად, რომ არავითარი ნიჭი არ გააჩნია. ზოლა მაიძულებს ჩემი შედევრის საბჯენზე ჩამოვიხრჩო თავი, რადგან, როგორც იქნა, ვხვდები, რომ ის, რაც მე გენიოსის შემოქმედება მეგონა, შეშლილის თხუპვნა ყოფილა და სხვა არაფერი. მე მეორე ხელოვანს მიპირისპირებს, იმასაც ექსიდან, — ერთ სენტიმენტალურ

მოქანდაკეს, რომელიც ახალს არაფერს ამბობს და ყოვლად უვარგის, აკადემიურ ნაგავს ძერწავს — აი ამ კაცს გვიხატავს დიდ ხელოვნად.

— პირდაპირ სასაცილოა, — თქვა გოგენმა, — მე მახსოვს, ზოლამ პირველმა დაუჭირა მხარი ედუარდ მანეს წამოყენებას ახალ მხატვრობაში. არც ერთ სულიერს იმპრესიონიზმისათვის იმდენი ხარკი არ გაუღია, რაც ემილმა გაიღო.

— მართალია, იგი პატივს სცემდა მანეს, იმიტომ რომ ედუარდმა აკადემიკოსები უარყო. მაგრამ როცა მე მოვინდომე იმპრესიონისტებზე შორს წავსულიყავი, შეშლილი და იდიოტი მიწოდა. რაც შეეხება თვითონ ემილს, იგი საშუალო ინტელექტის კაცია და მეტად არასაიმედო მეგობარი. აქამდეც უნდა დამენებებინა მაგასთან სიარულისათვის თავი. ისე ცხოვრობს, როგორც წყეული ბურჟუა. მდიდრული ხალიჩებით მორთული იატაკები, ბუხარზე ლარნაკები, მოსამსახურეები, ხელით გამოთლილი, ორნამენტებით დამშვენებული ხის მაგიდა. სადაც იგი თავის შედევრებს წერს: ფუჰ! ნამდვილი ბურჟუაა, მანე მაგასთან რას მოვა. ისე კი ფერი ფერსა და მადლი ღმერთსო, მაგათზეა ზედგამოჭრილი. ამიტომაც შეეწყვნენ ერთმანეთს. რაკი მე იმავე ქალაქში დავიბადე, სადაც ემილი, და რაკი ერთად გავიზარდეთ, ასე ჰგონია, მე არ შემიძლია რაიმე ღირსეული შევქმნა.

— გავიგე, რამდენიმე წლის წინ რაღაც ბროშურა დაუწერია შენს ნახატებზე, რომლებიც დამოუკიდებელთა სალონში იყო გამოფენილი. რა დაემართა იმ ბროშურას?

— დახია, გოგენ! დახია, როცა ის-ის იყო გამომცემლობისათვის უნდა გადაეცა.

— კი მაგრამ, რატომ? — იკითხა ვინსენტმა.

— შეეშინდა კრიტიკოსებმა ჩემი ძველი მეგობრის მფარველობა არ დამწამონო. ის ბროშურა რომ დაბეჭდილიყო, ახლა ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. იმან კი აიღო და „შემოქმედება“ გამოაქვეყნა სანაცვლოდ. ესეც თქვენი მეგობრობა.

დამოუკიდებელთა სალონში ასი კაციდან ოთხმოცდაცხრამეტი დგას და ჩემზე იცინის. დიურან-რიუელმა დეგა, მონე და ჩემი მეგობარი გილიომენი გამოჰფინა. მე ასე მითხრა, ორ გოჯ ადგილსაც არ დაგითმობო. თქვენს ძმასაც, მუსიე ვან გოგ, ეშინია ჩემი ანტრესოლში გამოკიდება. პარიზში ერთადერთი მოვაჭრე, ვინც ჩემი ნახატები ვიტრინაში გამოჰკიდა — მამილო ტანგია; იმ საწყალს კი ისიც არ შეუძლია, შიმშილით სული რომ სძვრებოდეს, ვინმე მილიონერს ნამცეცი პური მაინც მიჰყიდოს.

— იმ ბოთლში ცოტა პომარი ხომ არ დარჩა, სეზან? — ჰკითხა გოგენმა. — გმადლობთ. ზოლასი იცი რა არ მომწონს, მრეცხავ ქალებს ნამდვილი მრეცხავებივით ალაპარაკებს, მაგრამ საკმარისია სხვა გმირებზე გადავიდეს, წამსვე ავიწყდება სტილი გამოცვალოს.

— პარიზი პირდაპირ ყელში ამომივიდა. ახლა ისევ ექსში დავბრუნდები და მთელი სიცოცხლე ფეხსაც არ მოვიცვლი იქიდან. ერთი მთა არის იქ, უზარმაზარ ველზე წამოჭიმული, ხელისგულივით დასცქერის არე-მარეს. პროვანსში კაშკაშა, ნათელი მზეა და რა კოლორიტია! ო, რომ იცოდე, რა კოლორიტია! მამული მეგულება, ზედ იმ მთის კორტოხზე გასაყიდი; სულ ფიჭვის ხეებში ჩაფლული. სახელოსნოს ავიშენებ, გავაშენებ ვაშლის ბაღს, გარშემო მაღალ, ქვის გალავანს შემოვავლებ და თავზე დამტვრეულ ბოთლებს დავატან, რომ ვერავინ შემომეპაროს. მერე აღარასოდეს აღარ მოვშორდები პროვანსს, აღარასოდეს, აღარასოდეს!

— განდეგილი იქნები, ჰა? — ჩაიბუტბუტა გოგენმა თავის ჭიქაში.

— დიახ, განდეგილი.

— ექსელი განდეგილი! კარგად ჟღერს. ახლა დროა კაფე „ბატინიოლში“ წავიდეთ. ალბათ უკვე ყველანი იქ არიან.

8.

მართლაც, თითქმის ყველანი იქ იყვნენ. ლოტრეკს იმდენი თეფში ეწყო წინ, ლამის ნიკაპამდე სწვდებოდა. ჟორჟ სიორა რაღაცას ხმადაბლა ესაუბრებოდა ანკეტენს, გამხდარ, აყლაყუდა მხატვარს, რომელიც ცდილობდა იმპრესიონისტების მეთოდით ეხატა იაპონური გრავიურები. ანრი რუსო თავის ნამცხვრებს იღებდა ჯიბიდან და რძიან ყავაში აწებდა. თეო კი გაცხოველებული ეკამათებოდა ორ ცნობილ პარიზელ კრიტიკოსს.

კაფე „ბატინიოლი“ კლიშის ბულვარის თავში იყო და ადრე მას გარეუბნის კაფეს ეძახდნენ. ედუარდ მანე და მის გარშემო შემოკრებილი პარიზელი მხატვრები დადიოდნენ აქ. მანეს გარდაცვალებამდე ბატინიოლის სკოლის წარმომადგენლები კვირაში ორჯერ იკრიბებოდნენ. ლეგრო, ფანტენ-ლატური კურბე, რენუარი — ყველა ესენი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

აქ შექმნეს თავიანთი თეორიები ხელოვნებაზე; ახლა კი ახალი თაობა დაეპატრონა ამ სკოლას.

სეზანმა ემილ ზოლას მოჰკრა თვალი. მოშორებით მდგარი მაგიდისკენ გასწია, რომ ამ ბრბოს მოსცილებოდა და ყავა შეუკვეთა. გოგენმა ვინსენტი გააცნო ზოლას და თვითონ ტულუზ-ლოტრეკს მიუჯდა გვერდით. ზოლა და ვინსენტი მარტონი დარჩნენ.

— დავინახე, რომ პოლ სეზანთან ერთად შემოხვედით, მუსიე ვან გოგ. უეჭველად რაიმეს გეტყოდათ ჩემზე!

— დიახ.

— რაო, რა გითხრათ?

— თუ არ ვცდები, თქვენმა წიგნმა მეტისმეტად ატკინა გული.

ზოლამ ამოიოხრა და ტყავის ბალიშებიანი სავარძლიდან მაგიდა გასწია, რომ თავისი უზარმაზარი ღიპისთვის ცოტა ადგილი გაეთავისუფლებინა.

— გაგიგიათ მკურნალობის შვინინგერული მეთოდი? — ჰკითხა მან. — ამბობენ, ჭამის დროს თუ არავითარ სითხეს არ მიიღებს ადამიანი, თვეში ოცდაათ გირვანქას დაიკლებსო.

— არ გამიგია.

— გული მტკიოდა, როცა პოლ სეზანზე ვწერდი წიგნს, მაგრამ ყოველი სიტყვა სრული ჭეშმარიტებაა შიგ. აი, თქვენ მხატვარი ხართ. ნუთუ თქვენი მეგობრის პორტრეტს შეცვლით, იმის გამო, ვასიამოვნო პატრონსო? რა თქმა უნდა, არა.

პოლი მშვენიერი ყმაწვილია და წლების განმავლობაში ჩემი უახლოესი მეგობარიც იყო. მაგრამ მისი ნახატები პირდაპირ სასაცილოა. ჩემი ოჯახი კიდევ როგორღაც იტანს მათ, მაგრამ როცა მეგობრები მესტუმრებიან, იძულებული ვარ პოლის სურათები ჩამოვხსნა და სადმე დავმალო, რომ აბუჩად არ აიგდოს ვინმემ.

— ნუთუ მართლა ასე ცუდად ხატავს?

— საშინლად, მუსიე ვან გოგ, საშინლად. თქვენ არ გინახავთ ამიტომაც არ გჯერათ. ხუთი წლის ბავშვივით ჯღაბნის.

გეფიცებით, ეჭვიც არ მეპარება, რომ მართლაც შეშლილა ჭკუაზე.

— გოგენი დიდ პატივს სცემს მას.

— გული მისკდება პირდაპირ, — განაგრძო ზოლამ, — როცა ვხედავ რა ფუჭად ფლანგავს ცხოვრებას სეზანი თავის ფანტასტიკაში. მაგას ის ურჩევნია ექსში დაბრუნდეს და მამამისის ადგილი დაიკავოს ბანკში. იქნება კიდევ რამე გამოვიდეს მისგან. მაგრამ ასე თუ გაგრძელდა... ერთ მშვენიერ დღეს მართლაც ჩამოიხრჩობს თავს, როგორც „შემოქმედებაში“ ვუწინასწარმეტყველე. წაიკითხეთ „შემოქმედება“, მუსიე?

— ჯერ არა. „ჟერმინალი“ დავასრულე ახლახანს.

— მართლა? მერედა, როგორ მოგეწონათ?

— ჩემის აზრით, ბალზაკის შემდგომ ასეთი ჩინებული ნაწარმოები მეორე არ დაწერილა.

— დიახ. ეს ჩემი შედევრი გახლავთ. იგი შარშან ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა „ჟილ ბლაზში“. ბლომად ფული მომცეს. ახლა, წიგნად რომ გამოიცა, ექვსი ათასზე მეტი ეგზემპლარი უკვე გაყიდულია. არასოდეს არ მქონია ამხელა შემოსავალი.

ვაპირებ, მედანში ჩემს სახლს ახალი ნაწილი მივაშენო. ამ წიგნმა უკვე ოთხი გაფიცვა და ამბოხება გამოიწვია საფრანგეთის მაღაროებში. „ჟერმინალი“ უზარმაზარ რევოლუციას მოიყოლებს თან, ხოლო როცა ეს მოხდება, მშვიდობით კაპიტალიზმო! თქვენ რას ხატავთ, მუსიე... რა თქვა გოგენმა, რა გქვიათ თქვენ?

— ვინსენტი. ვინსენტ ვან გოგი. თეო ვან გოგი ძმაა ჩემი.

ზოლამ ფანქარი დადო, რომლითაც ქვის მაგიდაზე რაღაცას წერდა და ვინსენტს შეაჩერდა.

— უცნაურია.

— რა?

— თქვენი სახელი. სადღაც გამიგია თითქოს.

— შეიძლება თეომ მახსენა თქვენთან.

— თეომ კი, მაგრამ ეს რაღაც... მოიცათ, მოიცათ! ეს იყო...

ეს იყო... „ჟერმინალი!“ მაღაროელებთან ხომ არ ყოფილხართ სადმე?

— დიახ. ბელგიაში. ორ წელს ვცხოვრობდი ბორინაჟში.

— ბორინაჟი! მცირე ვამი! მარკასი!

ზოლამ თვალები დაჭყიტა. მისი ფართო სახე მთლად დაეფარა წვერს.

— აჰ, ეს თქვენა ხართ მეორე ქრისტე!

ვინსენტს ალმური მოედო.

— ამით რისი თქმა გინდათ?

— მე ხუთიოდე კვირა დავყავი ბორინაჟში. „ჟერმინალისთვის“ მასალას ვკრებდი. პირგამურულებმა მიამბეს, ერთი ღვთისნიერი კაცი გვყავდა მქადაგებლადო.

— თუ შეიძლება, ხმას დაუწიეთ!

ზოლამ თითები გადააჭდო ერთმანეთს და თავის ღიპს მიაწვა.

— რისი გრცხვენიათ, ვინსენტ! — უთხრა მან, — ის, რის გაკეთებაც თქვენ გეწადათ, ნამდვილად ღირსეული საქმე იყო, ოღონდ მცდარი გზა ირჩიეთ. რელიგია

ვერაფრით დაეხმარება ხალხს. მხოლოდ უღარიბესი სულის ადამიანებს ჰგონიათ, ამქვეყნიური ტანჯვა იმქვეყნიურ ნეტარებას დაგვიმკვიდრებსო.

— მე მეტისმეტად გვიან მივედი მაგ დასკვნამდე.

— თქვენ ორი წელი დაჰყავით ბორინაჟში, ვინსენტ. იმ საცოდავებს ყველაფერი მიეცით, თქვენი წილი საჭმელი, ფული, ტანსაცმელი, თქვენ კი სიკვდილის პირამდე მიხვედით. მერე, რა გამოვიდა აქედან? არაფერი. გიჟი გიწოდეს და ეკლესიიდან მოგკვეთეს. თქვენი წასვლის შემდეგ კი მაღაროელები ისევ იმ დღეში დარჩნენ, როგორშიაც მანამდე იყვნენ.

— უარესში.

— აი ჩემი ხერხი კი გაჭრის. ქაღალდზე დაწერილი სიტყვა რევოლუციის საწინდარი გახდება. ახლა მთელს ბელგიასა და საფრანგეთში მაღაროელს ვერ ნახავთ, რომელმაც კითხვა იცოდეს და ჩემი წიგნი არ წაეკითხოს. არ არის არც ერთი კაფე, არც ერთი, თუნდაც უბადრუკი ქოხი, სადაც კითხვისაგან გაქექილი „ჟერმინალი“ არ მოიძებნებოდეს. ვინც არ იცის კითხვა, სხვას აკითხებს და ისე ისმენს. ოთხი გაფიცვა უკვე მოხდა. ასობით კიდევ დაიწყება. მთელი ქვეყანა ფეხზეა დამდგარი. „ჟერმინალი“ ახალ საზოგადოებას შექმნის. რაც თქვენმა რელიგიამ ვერ მოახერხა. მერე, რას ვიღებ მე ამის საფასურად, როგორ გგონიათ?

— რას?

— ფულს. ათასობით ფრანკს. ხომ არ დაგველია რამე?

ლოტრეკის მაგიდასთან კამათი გაცხოველდა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

— როგორ ბრძანდება თქვენი „ჩემი მეთოდი“, სიორა? — ეკითხებოდა ლოტრეკი და თან თითებს ატკაცუნებდა.

სიორა ყურადღებას არ აქცევდა. ისეთი დახვეწილი სახე და ნიღაბივით წყნარი, უშფოთველი მზერა ჰქონდა, გეგონებოდათ კაცის სახე კი არ არის, არამედ მთელი კაცობრიობის სილამაზე გაერთიანებულა მასშიო.

— ერთმა ამერიკელმა, ოგდენ რუდმა წიგნი დაწერა ფერების გარდატეხაზე. ჩემის აზრით, ჰელმჰოლცის და შევრალის შემდეგ ეს უდავოდ პროგრესული ნაბიჯია, თუმცა სუპერვილის შრომების დონემდე ვერ აღწევს. თქვენთვის სასარგებლო იქნებოდა იმისი წაკითხვა.

— მე არ ვკითხულობ წიგნებს მხატვრობაზე, — უპასუხა ლოტრეკმა, — ეგ მოყვარულების საქმეა.

სიორამ შავ-თეთრი კუბოკრული პიჯაკი შეიხსნა და ფართო, წინწკლებიანი, ლურჯი ჰალსტუხი შეისწორა.

— მოყვარული შენ თვითონა ხარ, — უთხრა სიორამ, — რადგან ფიქრი გჭირდება რომელი ფერი ვიხმაროო.

— ფიქრი სულაც არ მჭირდება. მე ქვეცნობიერად ვგრძნობ ხოლმე.

— მეცნიერება — ეს მეთოდია, ჟორჟ! — ჩაურთო გოგენმა, — წლობით გულმოდგინე მეცადინეობამ და ცდებმა ფერების მეცნიერული გამოყენების დონემდე მიგვიყვანა.

— ეს საკმარისი არ არის, ჩემო კარგო. ჩვენი საუკუნე ობიექტურ მიდგომას მოითხოვს. შთაგონებებმა, ექსპერიმენტებმა და შეცდომებმა კარგა ხანია თავისი დრო მოჭამა.

— მე მაგ წიგნების კითხვა სულ არ შემიძლია, — თქვა რუსომ. — თავი მტკივა ხოლმე. მერე თავის ტკივილი რომ მოვიშორო, მთელი დღე თავაუღებლად უნდა ვხატო.

ამან საერთო სიცილი გამოიწვია. ანკეტენი ზოლას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— წაიკითხეთ, ამ საღამოს გაზეთში როგორ აკრიტიკებენ „ჟერმინალს?“

— არა. რაო, რას ამბობენ?

— კრიტიკოსი მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე გახრწნილ მწერლად გთვლით თქვენ.

— ეგ ძველია. ნუთუ ახალი ვერაფერი მოიგონეს?

— ისინი მართალნი არიან, ზოლა, — უთხრა ლოტრეკმა. — ჩემის აზრით, თქვენი წიგნები მეტისმეტად სექსუალური და უხამსია.

— ჰოო, თანაც თქვენთვის უხამსობა უცხო ხილი არ უნდა იყოს.

— ეგეც შენ, ლოტრეკ!

— გარსონ! — დაუძახა ზოლამ. — ყველას მოუტანე ღვინო !

— ახლა კი დავიღუპეთ, — წასჩურჩულა სეზანმა ანკეტენს. — როცა ემილი მთელ საზოგადოებას ჰპატიჟებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საათიანი ლექცია გვაქვს მოსასმენი.

ოფიციანტმა ჭიქები ჩამოარიგა. მხატვრებმა ყალიონი გააჩაღეს და ერთად შექუჩდნენ. გაზის ლამპების შუქი კლაკნილ ხაზებად ეფინებოდა იქაურობას. მეზობელი მაგიდიდან წყნარი, ხმადაბალი საუბარი ხელს არ უშლიდათ ამათ.

— ჩემს წიგნებს ამორალურს ეძახიან, — დაიწყო ზოლამ, — იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თქვენს ნახატებს თვლიან ამორალურად, ანრი! ხალხს არ ესმის, რომ ხელოვნებაში არავითარი მორალი არ არსებობს. მთელი ხელოვნება თვითონაა ამორალური; განა ცხოვრებაც ასე არ არის? ჩემთვის არ არსებობს უხამსი ნახატები ან წიგნები. ისინი ცუდად გააზრებულნი ან ცუდად შესრულებულნი არიან. ტულუზ-ლოტრეკის დახატული მეძავი სავსებით ზნეობრივია, რადგან იმ სილამაზეს გვიჩვენებს, რაც მისი გარეგნობის ქვეშ იმალება. ბუგროს დახატული გლეხის გოგონა კი ამორალურია, რადგან ისე სენტიმენტალურადაა დახატული და იმდენად ტკბილია, რომ შეხედავ თუ არა, მაშინვე გული გერევა.

— მართალია, — დაეთანხმა თეო.

ვინსენტმა შენიშნა, რომ მხატვრები პატივს სცემენ ზოლას, იმიტომ კი არა, რომ მან წარმატებას მიაღწია, — წარმატება ჩვეულებრივი გაგებით, სძულდათ კიდეც. — არამედ იმიტომ, რომ ზოლას მუშაობის სფერო მათ ძნელი და საიდუმლოებით მოცული ეჩვენებოდათ. ყველანი ყურადღებით უსმენდნენ ზოლას თითოეულ სიტყვას.

— ყოველი ადამიანის ტვინისთვის, ორგვარი აღქმა არსებობს, სინათლე და სიბნელე, ტკბილი და მწარე, კარგი და ცუდი. ბუნებას კი ეს ორგვარობა არ ახასიათებს. ამქვეყნად არც ბოროტი არსებობს და არც კეთილი. არსებობს მხოლოდ ყოფა და ქმედება. როდესაც ჩვენ მოქმედებას ვუჩვენებთ, ამით ცხოვრებასაც აღვწერთ. როცა ამ მოქმედებას სახელს ვარქმევთ, მაგალითად გარყვნილებას ან უხამსობას — ეს უკვე სუბიექტური განსჯაა.

— კი მაგრამ, ემილ, — უთხრა თეომ, — ხომ არ შეიძლება ადამიანს არავითარი მორალური კანონები არ ჰქონდეს.

— მორალი რელიგიას წააგავს, — ჩაერია ტულუზ-ლოტრეკი, — ეს ისეთი ნარკოტიკია, რაც ხალხს თვალს უბრმავებს ცხოვრების მრუში მხარე დაინახოს.

— ეს თქვენი ამორალობა ანარქიზმია და სხვა არაფერი, — თქვა სიორამ, — თანაც ნიჰილისტური ანარქიზმი. ეგ ადრეც ნაცადი ხერხია, მაგრამ ვერ იხეირა.

— რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული ნორმები, რომელთაც ჩვენ უნდა დავემორჩილოთ, — დაეთანხმა ზოლა, — საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თითოეულმა ადამიანმა გარკვეული მსხვერპლი უნდა გაიღოს. მე მორალის წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ იმ უვიცობის, რომელიც „ოლიმპიას“ მიაფურთხებს და მოპასანს დაჰგმობს. მერწმუნეთ, საფრანგეთში დღესდღეობით მორალი მხოლოდ და მხოლოდ სექსუალურ სფეროში ტრიალებს. დაე, ხალხმა იძინოს, ვისთანაც მოეპრიანება. ჩემთვის მორალი სულ სხვა რაიმეს ნიშნავს.

— ამან ერთი სადილი მომაგონა, რომელიც რამდენიმე წლის წინად გავმართე. — თქვა გოგენმა. — ერთმა დაპატიჟებულმა კაცმა მითხრა, „იცით რა, მეგობარო, მე არ შემიძლია ჩემი ცოლი მოვიყვანო თქვენს სადილებზე, როცა თქვენი საყვარელი იქნება იქ“. „კეთილი“, ვუთხარი მე, „საღამოსთვის მას სადმე გავგზავნი“. სადილი რომ დასრულდა და სახლში წავიდნენ, ამ ჩვენმა პატიოსანმა ქალბატონმა, რომელმაც მთელი საღამო ამთქნარა, მთქნარებას თავი ანება და ქმარს ეუბნება, „მოდი, ცოტა უხამსობაზე ვილაპარაკოთ, ვიდრე თვითონვე გავაკეთებდეთ“, ქმარი კი პასუხობს, „თუ გინდა, მარტო ვილაპარაკოთ, ამ საღამოს ზომაზე მეტი გეახელითო“.

— ესეც თქვენ მაგალითი, — იყვირა ზოლამ, რომ სიცილი ჩაეხშო.

— მოდით, ცოტა ხნით ეთიკას თავი დავანებოთ და ისევ ხელოვნების ამორალურობას დავუბრუნდეთ, — თქვა ვინსენტმა — ჩემს სურათებზე არავის უთქვამს უხამსიაო, მაგრამ ხშირად მადანაშაულებდნენ უფრო მეტ ამორალურობაში, რასაც უმსგავსოება ჰქვია.

— სწორია, ვინსენტ, — დაემოწმა ტულუზ-ლოტრეკი.

— დიახ. ხალხისთვის ეს უზნეობის ახალი სახეა, — თქვა გოგენმა, — ნახეთ რა გვიწოდა „მერკურ დე ფრანსის“ ამ თვის ნომერმა? უმსგავსოების კულტი.

— მეც მაგას არ მწამებენ! — წამოიძახა ზოლამ. — ამასწინათ ერთი გრაფის მეუღლე მეუბნება, „ძვირფასო, მუსიე ზოლა, თქვენისთანა უჩვეულო ნიჭის პატრონს რაში სჭირდება ქვები ატრიალოს, იმის გამო, რომ ნახოს თუ რა ბინძური მწერები დაცოცავენ მის ქვეშ?“

ლოტრეკმა ძველი გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო ჯიბიდან.

— მომისმინეთ, რა თქვა ერთმა კრიტიკოსმა ჩემს ნახატებზე, რომელიც დამოუკიდებელთა სალონშია გამოფენილი.

„ტულუზ-ლოტრეკს უდაოდ საყვედური ეთქმის იმის გამო, რომ საშინლად იტაცებს ფუქსავატი დროსტარების, უხამსი სიამოვნებისა და „ზნედაცემულ ადამიანთა“ ხატვა.

მისთვის უცხოა სხეულის ჭეშმარიტი სილამაზე, ფორმის მოქნილობა და მოძრაობის პლასტიკურობა. მართალია, იგი ოსტატურად გვიხატავს უკუღმართ, გაუთლელ და უზნეო ქმნილებებს, მაგრამ აბა, ვის რაში სჭირდება ასეთი გარყვნილება?“

— ფრანს ჰალსის ანარეკლი, — ჩაიბუტბუტა ვინსენტმა.

— სწორი შენიშვნაა, — თქვა სიორამ, — თქვენ შეიძლება გარყვნილები არ იყოთ, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც სცდებით.

ხელოვნებას აბსტრაქტულ მცნებებთან აქვს საქმე, როგორიცაა კოლორიტი, შტრიხი და ტონი. ვერც ერთი ამათგანი ვერ გამოდგება სოციალური პირობების

გასაუმჯობესებლად ან უმსგავსოების საძებრად. მხატვრობა მუსიკას უნდა ჰგავდეს და ყოველდღიური ცხოვრებიდან მოწყვეტილი უნდა იყოს.

— გასულ წელს გარდაიცვალა ვიქტორ ჰიუგო, — თქვა ზოლამ, — მასთან ერთად დაიმარხა მთელი ხელოვნება. ხელოვნება მომხიბლავი ჟესტების, რომანტიკის, ოსტატური ტყუილისა და ირიბი ნათქვამის. ჩემი წიგნები ახალ ხელოვნებას ქადაგებენ. მეცხრამეტე საუკუნისაგან დაცლილ ხელოვნებას. თქვენი ნახატებიც ასევეა. ბუგრო ჯერ ისევ. ფარფატებს პარიზში, მაგრამ მასზე ცუდად იმოქმედა ედუარდ მანეს ტილომ „პიკნიკი ველად“, ხოლო ის დღე, როცა მანემ „ოლიმპია“ დაასრულა, პირდაპირ სიკვდილი იყო მისთვის. მართალია, მანე აღარ არის ჩვენს რიგებში, აღარც დომიეა, მაგრამ ჩვენ გვყავს ისეთი მხატვრები, როგორიცაა ლოტრეკი და გოგენი.

რომლებიც პირნათლად განაგრძობენ მათ დაწყებულ საქმეს.

— ვინსენტ ვან გოგიც მიუმატე მათ, — წამოიძახა ტულუზ-ლოტრეკმა.

— ვინსენტი პირველია მათ შორის, — დაიძახა რუსომ.

— აბა, ვინსენტ, — გაუღიმა ზოლამ, — უმსგავსოების კულტს გაკუთვნებენ ესენი. მითხარით, თანახმა ხართ თუ არა.

— მე მაგ კულტს აკვნიდან ვეკუთვნოდი უკვე, — უპასუხა ვინსენტმა.

— ახლა კი, მოდით, ჩვენი მანიფესტი ჩამოვაყალიბოთ, ბატონებო! — წინადადება შემოიტანა ზოლამ. — პირველი: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჯურის ჭეშმარიტება სილამაზეს შეიცავს, დამოუკიდებლად იმისა, რა უგვანო სახეც არ უნდა ჰქონდეს მას. გვჯერა, რომ მახინჯ სინამდვილეს მეტი სილამაზე აქვს, ვიდრე ლამაზ ტყუილს, სოფელს მეტი აქვს პოეზია, ვიდრე მთელი პარიზის სალონებს, ერთად აღებულს.

ჩვენ გვიყვარს ტკივილი, რადგან იგი არის უდიდესი გრძნობა ყველა ადამიანურ გრძნობათა შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გრძნობიერი სიყვარული ლამაზია, თუნდაც ეს ეხებოდეს რომელიმე ზნედაცემულ მეძავსა და მის მაჭანკალს. ჩვენ ადამიანს უმსგავსოებაზე მაღლა ვაყენებთ, ტკივილს მშვენიერებაზე მაღლა, ხოლო ტლანქი, შეულამაზებელი რეალობა მთელი პარიზის სიმდიდრეს გვირჩევნია. ვიღებთ ცხოვრებას ისეთს, როგორიც არის, ყოველგვარი მორალური განსჯის გარეშე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუჩის ქალი არაფრით ჩამოუვარდება წარჩინებულ მანდილოსანს, კონსიერჟი გენერალს, ხოლო გლეხი სჯობს რომელიმე კაბინეტში გამოჭიმულ მინისტრს, რადგან ყველა ესენი ბუნების ნაწილნი არიან, მასში ჩახლართულ-ჩაქსოვილნი.

— ჭიქები ასწიეთ, ბატონებო! — დაიძახა ტულუზ-ლოტრეკმა, — შევსვათ ამორალურობისა და უმსგავსოების სადღეგრძელო. დაე, მან დაამშვენოს და განაახლოს ქვეყნიერება!

— სისულელეა! — თქვა სეზანმა.

— და კიდევ ერთხელ „სისულელეა!“ — დაემოწმა ჟორჟ სიორა.

9.

ივნისის პირველ რიცხვებში თეო და ვინსენტი ახალ ბინაში გადავიდნენ მონმარტრზე, ლეპიკის ქუჩის 54 ნომერში.

ახალი ბინა ლავალის ქუჩიდან შორს არ იყო. მონმარტრის ქუჩას რამდენიმე კვარტალით უნდა აჰყოლოდნენ მაღლა, კლიშის ბულვარამდე, შემდეგ მიხვეულ-მოხვეულ ლეპიკის ქუჩას გაუყვებოდნენ და მულენ დე ლა გალეტს ჩაუვლიდნენ გვერდით. აქაურობა სოფელს მიაგავდა.

ვან გოგებს მეოთხე სართულზე ეჭირათ სამი ოთახი, კაბინეტი და სამზარეულო. სასადილო ოთახს თეოს ლუი ფილიპეს ავეჯმა მყუდრო იერი მისცა. აქვე დადგეს უზარმაზარი ღუმელი, რომელიც მათ პარიზის ცივი ზამთრისაგან დაიფარავდა.

თეოს ბინის მორთვის ნიჭი ჰქონდა. ყველაფერში უყვარდა წესრიგი. სასადილოს გვერდით თეოს საწოლი ოთახი იყო. ვინსენტი კაბინეტში იძინებდა, რომლის უკან სახელოსნო ჰქონდა, პატარა ოთახი ერთი ფანჯრით.

— ამიერიდან კორმონთან აღარ მოგიხდება მუშაობა, ვინსენტ, — უთხრა თეომ. ძმები ავეჯს აწყობდნენ და აწესრიგებდნენ სასადილო ოთახში.

— მადლობა ღმერთს, მაგრამ ცოტა ხანს მაინც მომიწევს მისვლა. შიშველი ქალის სხეულის ხატვაზე მინდა ვივარჯიშო.

თეომ დივანი განდაგან დადგა ოთახში და იქაურობა მოათვალიერა.

— რამდენი ხანია არც ერთი ტილო არ დაგისრულებია ბოლომდე, ხომ მართალია? — ჰკითხა ძმას.

— ჰო.

— რატომ მერე?

— რა აზრი აქვს? ვიდრე ფერების რიგიანად შეზავებას არ ვისწავლი. სად დავდგათ ეს სავარძელი, თეო? ლამპის ქვეშ თუ ფანჯარასთან? ახლა, რაკი ჩემი საკუთარი — სახელოსნო მაქვს...

მეორე დილით უთენია წამოხტა ვინსენტი, მოლბერტი გამართა, სუფთა ტილო გადაჭიმა ჩარჩოზე, თეოს ნაყიდი, ახალი, წკრიალა პალიტრა ამოიღო, ფუნჯები გარეცხა, გაასუფთავა. თეოს ადგომის დრო რომ მოვიდა, ყავა მოადუღა და საკონდიტროდან სულ ახალი, ფხვიერი ნამცხვარი ამოიტანა.

თეომ ბურანში დაინახა, როგორი ფუსფუსით გააწყო საუზმე ვინსენტმა.

— აგერ უკვე სამი თვეა, ვინსენტ, რაც შენ სკოლაში ხარ, — უთხრა თეომ ძმას. — არა, კორმონს არ ვგულისხმობ, პარიზის სკოლაზე გეუბნები! შენ აქ ნახე ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ევროპის ხელოვნებაში შექმნილა სამი საუკუნის განმავლობაში. შენ უკვე მზადა ხარ...

ვინსენტმა საუზმეს თავი ანება და ზეზე წამოხტა.

— მაშინ დავიწყებ...

— დაჯექი და საუზმე დაასრულე. დრო ბევრი გაქვს. დარდი ნურაფრის გექნება. საღებავებსაც გიყიდი, ტილოებსაც, რამდენიც გენებოს; ყველანაირად ვეცდები ხელი შეგიწყო.

შენ კი გირჩევნია კბილებს მიხედო და იმკურნალო. მინდა, ჯანმრთელს გხედავდე. ღვთის გულისათვის, დინჯად და აუჩქარებლად იმუშავე.

— რა სისულელეს მელაპარაკები, თეო, როდის იყო, რომ მე დინჯად და აუჩქარებლად ვმუშაობდი?

იმ საღამოს გალერეიდან დაბრუნებულ თეოს ვინსენტი გააფთრებული დაუხვდა შინ. ექვსი წელი, იმდენ გაჭირვებასა და ვაი-უბედურებაში, შეუჩერებლად მიდიოდა

წინ. ახლა კი, როცა ყველაფერი მზამზარეული ჰქონდა, სამარცხვინოდ უძლური აღმოჩნდა.

ათი საათი იყო, როცა თეომ, როგორც იქნა, დააწყნარა ძმა და სასადილოდ რომ გამოვიდნენ, ვინსენტს ცოტა არ იყოს რწმენაც დაუბრუნდა. თეო გაფითრებული და გადაღლილი ჩანდა.

მომდევნო კვირეები ნამდვილი ტანჯვა იყო ორივე ძმისთვის. ყოველ საღამოს ვინსენტი სრულიად შეცვლილი ხვდებოდა თეოს. საწოლი ოთახის ურდული ვერაფერში გამოადგა.

ვინსენტი თითქმის რიჟრაჟამდე ეჯდა ლოგინზე და კამათში ათენებდა. თუკი თეოს ჩაეძინებოდა, შეანჯღრევდა და ისე აღვიძებდა.

— მოეშვი მაგ ბოლთის ცემას, — სთხოვდა ერთ ღამეს თეო, — და გეყოფა მაგ წყეული აბსენტის ყლაპვა. გოგენს მაგითი კი არ დახვეწია თავისი პალიტრა. გამიგონე, შე მართლა შტერო, ერთი წელი მაინც გჭირდება, ვიდრე შენი ნახატების ავკარგს შეამჩნევდე. ასე კი თავს დაიავადმყოფებ და რას მოიმკი? ნახე, როგორ გახდი და განერვიულდი. ასე როგორ გინდა იმუშაო!

ზაფხულის პაპანაქება დადგა პარიზში. მზე ულმობლად სწვავდა ქუჩებს. პარიზელები თავიანთ საყვარელ ღია კაფეებს ღამის პირველ, ორ საათამდე არ სცილდებოდნენ და გამაგრილებელ წყლებს წრუპავდნენ. მონმარტრი სხვადასხვა ფერად აფეთქებულ ყვავილებს დაეფარათ. ლაპლაპა სენა ზანტად მიედინებოდა ამწვანებულ ხეებსა და კორდებს შორის.

ყოველ დილით ვინსენტი წამოიკიდებდა თავის მოლბერტს და პეიზაჟის საძებრად მიეშურებოდა. ჰოლანდიაში არასოდეს უნახავს ასეთი მცხუნვარე, კაშკაშა მზე, არც ასეთი მრავალრიცხოვანი, მდიდარი კოლორიტი. თითქმის ყოველ საღამოს გუპილთან მიდიოდა, სადაც გაცხოველებული კამათი იყო ანტრესოლის გარშემო გაჩაღებული.

ერთხელ გოგენმა მოაკითხა, რომ ფერების შეზავება ესწავლებინა.

— სად ყიდულობ ამ საღებავებს? — ჰკითხა მან.

— თეომ მიყიდა სადღაც.

— მამილო ტანგისთან უნდა იყიდო. იგი ყველაზე იაფად ჰყიდის. თანაც ნისიად მოგცემს, როცა გიჭირს.

— ვინ არის ეგ მამილო ტანგი? შენ ერთხელაც ახსენე.

— როგორ, — ჯერ არ გაგიცვნია? ღმერთო ჩემო, რაღას უცდი. მხოლოდ შენ და მამილო ტანგი ხართ ჩემს ნაცნობებში ისეთები, რომლებსაც კომუნისტური სულისკვეთება გაქვთ სისხლში. დაიხურე ეგ შენი მშვენიერი კურდღლის ქუდი. ახლავე მივდივართ კლოზელის ქუჩაზე.

როგორც კი გარეთ გამოვიდნენ, გოგენმა დაიწყო:

— მამილო ტანგი პარიზში ჩამოსვლამდე მებათქაშედ მუშაობდა, აქ რომ ჩამოვიდა, ჯერ მანეს უქნიდა საღებავებს, შემდეგ სადღაც კონსიერჟის ადგილი მოძებნა. მის მაგივრად ცოლი მუშაობდა, თვითონ კი საღებავებს დაატარებდა და ჰყიდდა. ასე გაიცნო პისარო, მონე, სეზანი, და რაკი იმათაც მოეწონათ ტანგი, შემდეგ ჩვენ ყველანი მასთან ვყიდულობთ საღებავებს. ამბოხება რომ მოხდა, ტანგიმ კომუნისტებს დაუჭირა მხარი. ერთ დღეს საგუშაგო პოსტზე ჩასთვლიმა და ამასობაში ვერსალელების ბანდა შემოეპარა. მაგ საცოდავმა ვერაფრით ვერ ესროლა ადამიანს

და თოფი გააგდო ხელიდან. ღალატი დასწამეს, ორი წლით გალერა მიუსაჯეს ბრესტში, მაგრამ ჩვენ დავიხსენით იქიდან.

ცოტაოდენი ფული ჰქონდა გადანახული და იმით კლოზელის ქუჩაზე მაღაზია გახსნა. ფასადი ლოტრეკმა შეუღება ლურჯად. ტანგიმ პირველმა გამოჰფინა სეზანის ტილოები. მას მერე, რასაც კი ვხატავთ, მასთან მიგვაქვს. იმიტომ კი არა, რომ რამეს ჰყიდის, სულაც არა! იცი რა, მამილო ტანგის ძალიან უყვარს მხატვრობა, მაგრამ ღარიბი კაცია და არ შეუძლია სურათები იყიდოს. ამიტომაც გამოფენილი აქვს სურათები თავის მაღაზიაში. მთელი დღე ზის და ტკბება მათი ცქერით.

— შენ გინდა სთქვა, რომ რაც არ უნდა შეაძლიონ, მაინც არ გაყიდის სურათს?

— არაფრით არ გაყიდის. იგი მხოლოდ იმ სურათებს გვართმევს, რომელიც მოსწონს და მერე ისე ეჩვევა სურათს, რომ ვერ წარმოუდგენია მასთან განშორება. ერთხელ, იქ ვიყავი და ამ დროს შემოვიდა ერთი კოხტად გამოწკეპილი ჯენტლმენი, მოეწონა სეზანის ნახატი და ეკითხება, რა ღირსო. პარიზის ნებისმიერი მოვაჭრე დიდის სიამოვნებით გაყიდდა იმ ტილოს სამოც ფრანკად. მამილო ტანგი კი კარგა ხანს მიაჩერდა სურათს და მერე ეუბნება „აჰ, ეს სურათი. მართლაც რა მშვენიერი სეზანია. ექვსას ფრანკზე ნაკლებ ვერაფრით ვერ მოგცემთ მაგას“. ის კაცი დამფრთხალი გავარდა გარეთ, მამილო ტანგიმ კი ტილო ჩამოხსნა და თვალცრემლიანმა წინ დაიდო.

— არ მესმის, რა აზრი აქვს მაშინ იქ ნახატების გამოფენას!

— მამილო ტანგი უცნაური კაცია. მხატვრობაში ერთადერთი საღებავების გაქნა ესმის,.. მაგრამ მიუხედავად ამისა, გასაოცარი ალღო აქვს ნამდვილი ხელოვნების შეცნობისა.

თუკი ოდესმე შენი რომელიმე ნახატი მოგთხოვოს, აუცილებლად მიეცი. ფაქტიურად ეს იქნება აღიარება პარიზის ხელოვნებაში. ესეც კლოზელის ქუჩა. აი, აქ უნდა შევუხვიოთ.

კლოზელი პატარა ქუჩა აღმოჩნდა, რომელიც მსხვერპლთა ქუჩას ანრი მონეს ქუჩასთან აერთებდა. აქ ნახავდით უამრავ პატარ-პატარა მაღაზიას, რომელთა თავზე თეთრდარაბებიანი, ორ ან სამ სართულიანი სახლები იყო. მამილო ტანგის მაღაზია ქალთა დაწყებითი სკოლის პირდაპირ იდგა.

მამილო ტანგი იაპონურ გრავიურებს ათვალიერებდა, რომელიც ის-ის იყო მოდაში შემოვიდა პარიზში.

— მამილო, ჩემი მეგობარი მოგიყვანეთ, ვინსენტ ვან გოგი.

წმინდა წყლის კომუნისტია.

— მოხარული ვარ, რომ ჩემს მაღაზიაში გხედავთ, — უთხრა მამილო ტანგიმ წყნარი, თითქმის ქალური ხმით.

ტანგი ტანმორჩილი, სახეპუტკუნა კაცი იყო და ერთგული ძაღლის თვალები ჰქონდა. ფართოფარფლიანი ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა. მოკლე მკლავები, კოტიტა თითები და ჯაგარივით სქელი წვერი ჰქონდა. მარჯვენა თვალი მარცხენასთან შედარებით უფრო მოჭუტოდა.

— მართლა კომუნისტი ხართ, მუსიე ვან გოგ? — ჰკითხა მან მორცხვად.

— არ ვიცი რას ეძახით კომუნისტს, მაგრამ ჩემის აზრით, ყველა ადამიანმა უნდა იშრომოს თავისი უნარის და შესაძლებლობის მიხედვით, ხოლო სამაგიეროდ მიიღოს ის, რაც აუცილებელია მისთვის.

— აი ხედავთ, არავითარი ფილოსოფია არ სჭირდება, — გაიცინა გოგენმა.

— პოლ, — უთხრა მამილო ტანგიმ, — შენ ხომ ბირჟაზე გიმუშავნია, მითხარი, განა ფული არ ხდის ადამიანს ცხოველად?.

— დიახ. სწორედ ისევე, როგორც უფულობა.

— არა, უფულობა კი არა, საჭმელისა და ყველაფერი აუცილებლის არქონა.

— მართალია, მამილო ტანგი, — დაემოწმა ვინსენტი.

— ეს ჩვენი მეგობარი, პოლი, — განაგრძო ტანგიმ, — ვერ ინელებს ხალხს, რომლებიც ფულს ხვეტენ, მაგრამ ჩვენც არანაკლებ ვეჯავრებით, რადგან ფულს ვერ ვშოულობთ. თუმცა, რაღა დაგიმალოთ, მირჩევნია მეორე კატეგორიის ხალხს ვეკუთვნოდე. ვინც დღეში ორმოცდაათ სანტიმზე მეტს ხარჯავს, ნამდვილი არამზადაა.

— თუ ასეა, ვგონებ აუცილებლობის ძალამ მომივლინა კეთილისმყოფელი, — თქვა გოგენმა, — მამილო ტანგი, ხომ არ მომცემდით ნისიად საღებავებს? ვიცი, საკმაოდ ბევრი მმართებს თქვენი, მაგრამ ვერ ვიმუშავებ, თუკი...

— რა თქმა უნდა, პოლ, მოგცემ, აბა რას ვიზამ! მე რომ ნაკლებად ვენდობოდე ხალხს, ხოლო შენ კი მეტად ენდობოდე, ორივესთვის კარგი იქნებოდა. სად არის შენი ახალი სურათი, რომ შემპირდი მოგცემო? იქნება გავყიდო როგორმე და საღებავების ფულსაც დავიბრუნებდი.

გოგენმა თვალი ჩაუკრა ვინსენტს.

— ერთს კი არა, ორს მოგიტან ერთად და დაგიკიდებ. ახლა თუკი მომცემ ერთ ტუბს შავს, ერთს ყვითელს...

— ჯერ ვალი გაისტუმრე. თუ არადა არავითარ საღებავსაც არ მიიღებ!

სამივე ერთდროულად მიტრიალდა ამ ხმაზე. მადამ ტანგიმ გვერდითი ოთახიდან შემოაბიჯა მაღაზიაში და კარი მიაჯახუნა. ამ გაკნაჭულ ქალს მკაცრი, დალეული სახე და ბრაზიანი თვალები ჰქონდა. შემოსვლისთანავე ეცა გოგენს.

— შენ რა გგონია, აქ საქველმოქმედო მოღვაწეობა გვაქვს გამართული? შენის აზრით, ტანგის კომუნიზმი გვეყოფა საჭმელად? გირჩევნია, ვალები გაისტუმრო შე თაღლითო, თუ არ გინდა პოლიციას დავუძახო.

გოგენმა, რამდენადაც შეეძლო, მომხიბლავად გაუღიმა, მადამ ტანგის ხელი აიღო და ნაზად ემთხვია ზედ.

— აჰ, ჩემო ქსანთიპა, რა მომხიბლავი ხართ ამ დილით.

მადამ ტანგის ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ ამ სიმპატიურმა ველურმა იგი ქსანთიპად მონათლა, მაგრამ რაკი სახელის ჟღერადობა მოეწონა, ნასიამოვნები დარჩა.

— ნუ გგონია, რომ ასე იოლად გამაცურებ, შე უსაქმურო.

მთელი ჩემი სიცოცხლე მაგ საღებავებს შევალიე, შენ კი მოდიხარ და მატყავებ.

— ჩემო უძვირფასესო ქსანთიპა, ნუ ხართ ასე მკაცრი.

თქვენ ხომ ხელოვანი ხართ ბუნებით, ეს თქვენს მშვენიერ სახეზე გაწერიათ.

მადამ ტანგიმ წინსაფარი აიწია, თითქოს უნდოდა ხელოვანის ყოველგვარი ნიშანწყალი ჩამოეწმინდა სახიდან.

— ფუჰ! — წამოიძახა მან. — სახლში ერთი ხელოვანიც საკმარისია. ალბათ უკვე გითხრათ, რომ სურს დღეში ორმოცდაათ სანტიმად იცხოვროს. ჰკითხეთ ერთი, სად იშოვნის მაგ ორმოცდაათ სანტიმს, მე რომ არ ვმუშაობდე?

— მთელი პარიზი თქვენს მომხიბლაობასა და უნარიანობაზე ღაღადებს, ძვირფასო მადამ!

გოგენი წელში მოიხარა და ისევ ემთხვია მადამ ტანგის გაუხეშებულ ხელს. ქალი აშკარად მოლბა.

— მართალია, არამზადა და მლიქვნელი ხარ, მაგრამ რა გაეწყობა, ამჯერად კიდევ მოგცემ საღებავებს, ოღონდ გახსოვდეს, რომ ვალი გაქვს გადასახდელი.

— ამ სიკეთისათვის, ჩემო მშვენიერო ქსანთიპა, მე აუცილებლად დავხატავ თქვენს პორტრეტს. ოდესმე მას ლუვრში დაკიდებენ და ჩვენ ორივე უკვდავყოფილნი ვიქნებით.

შემოსასვლელი კარის ზარი გაწკრიალდა და ვიღაც უცნობმა შემოაბიჯა მაღაზიაში.

— ის ნახატი, ვიტრინაში რომ გაქვთ, — თქვა მან. — ის ნატურმორტი, ვისია?

— პოლ სეზანის.

— სეზანი? არასოდეს გამიგია. იყიდება?

— არა, არა, ის უკვე...

მადამ ტანგიმ წინსაფარი მოიგლიჯა, ტანგი ხელის კვრით ჩამოიცილა გზიდან და მყიდველს ეცა.

— რასაკვირველია, იყიდება. მართლაც რა მშვენიერი ნატურმორტია, ხომ მეთანხმებით, მუსიე? გინახავთ ოდესმე ასეთი საუცხოო ვაშლები? რაკი ასე მოგეწონათ, მუსიე, ძვირად არ მოგყიდით.

— რა ღირს?

— რა ღირს, ტანგი? — ჰკითხა ცოლმა და მის ხმაში მუქარა გაისმა.

ტანგის ხმა ჩაუწყდა.

— სამასი...

— ტანგი!

— ორასი...

— ტანგი!

— კარგი, კარგი, ასი ფრანკი.

— ასი ფრანკი? — გაიკვირვა მოსულმა, — უცნობ მხატვარში? ძალიან ძვირია. თუ გნებავთ, ოცდახუთ ფრანკს მოგცემთ.

მადამ ტანგიმ ელვის სისწრაფით გამოაცურა სურათი ვიტრინიდან.

— შეხედეთ, მუსიე, რამხელა ტილოა. აქ ოთხი ვაშლი ხატია. ოთხი ვაშლი ერთად ასი ფრანკი ღირს. თქვენ კი მხოლოდ ოცდახუთ ფრანკს იძლევით. მაშინ აიღეთ და ერთი ვაშლი იყიდეთ.

კაცი წუთით დააცქერდა სურათს და ბოლოს დაეთანხმა.

— კეთილი, ასეც მოვიქცევი. ჩამომიჭერით მთელ სიგრძეზე ეგ ვაშლი და ვიყიდი.

მადამ ტანგი მეზობელ ოთახში გავარდა, მაკრატელი შემოიტანა და ერთი ვაშლი ჩამოჭრა ტილოს, შემდეგ ქაღალდში გაახვია, მყიდველს გადასცა და ოცდახუთი ფრანკი მიიღო. კაცმა იღლიაში ამოიჩარა ნავაჭრი და მაღაზიიდან გავიდა.

— ჩემი საყვარელი სეზანი, — ოხრავდა ტანგი, — ვიტრინაში იმიტომ დავდე, ხალხი შეხედავს და ბედნიერი გააგრძელებს-მეთქი გზას.

მადამ ტანგიმ დასახიჩრებული ტილო დახლზე დაუდო.

— ამის შემდეგ თუ ვინმე მოვიდეს, სეზანი მოგთხოვოს და ფული არ ეყოს, თითო ვაშლი გაატანე. რაც შეგაძლიონ, გამოართვი. სხვა რაში გამოგადგება, ის კი რამდენსაც გინდა, იმდენს დაგიხატავს. შენ რაღა გაცინებს, გოგენ! ეს შენც გეხება.

ჩამოგიხსნი მაგ სურათებს, დავჭრი და შენს ტიტველ ქალებს ცალ-ცალკე გავყიდი, თითოს ხუთ ფრანკად.

— ძვირფასო ქსანთიპა, — უთხრა გოგენმა, — რა ცუდია, რომ ასე გვიან შევხვდით ერთმანეთს. თქვენ რომ ჩემი პარტნიორი ყოფილიყავით ბირჟაზე, ახლა მთელი პარიზის ბანკი ჩვენს ხელთ იქნებოდა.

როგორც კი მადამ ტანგიმ დასტოვა იქაურობა, მამილო ტანგი ვინსენტს მიუბრუნდა.

— თქვენ მხატვარი ხართ, მუსიე? მაშ, იმედია, საღებავებს ჩემგან იყიდით. იქნება ნება მომცეთ თქვენი სურათები ვნახო!

— სიამოვნებით. რა შესანიშნავი იაპონური გრავიურებია.

იყიდება?

— დიახ. ეს ახლა მეტისმეტად შემოვიდა მოდაში, მას მერე, რაც ძმებმა გონკურებმა მათი კოლექციის შეგროვება დაიწყეს. ჩვენი მხატვრების ახალთაობას უკვე ეტყობა მათი ზეგავლენა.

— აი ეს ორი ძალიან მომწონს, სიამოვნებით ვიმუშავებდი მათზე. რა ღირს?

— თითო სამი ფრანკი.

— ვყიდულობ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ დამავიწყდა. ამ დილით უკანასკნელი ფრანკი დავხარჯე. გოგენ, შენ ხომ არ გექნება ექვსი ფრანკი?

— შენ რა, დამცინი?

ვინსენტმა გულდაწყვეტილმა დააწყო გრავიურები დახლზე.

— მაშინ უნდა დავტოვო, მამილო ტანგი.

მამილო ტანგიმ სასწრაფოდ ხელში შეაჩეჩა გრავიურები მისმა კეთილმა სახემ მორცხვად გაუღიმა.

— თქვენ ეს მუშაობისათვის გჭირდებათ. წაიღეთ, ძალიან გთხოვთ. ფულს სხვა დროს გადამიხდით.

10.

თეომ გადაწყვიტა ვინსენტის ახალშეძენილი მეგობრები მოეწვია შინ, მაგრად მოხარშეს ორმოცდაათამდე კვერცხი, იყიდეს მთელი კასრი ლუდი და ნამცხვრებითა და ფუნთუშებით აავსეს უთვალავი სინი. მხატვრებმა სასადილო ოთახი ისე გაბოლეს თამბაქოთი, რომ როცა ზორბა გოგენი ერთი კუთხიდან მეორეში მიემართებოდა, გეგონებოდათ, ოკეანის უზარმაზარი ლაინერი ნისლში მიიკვლევს გზასო. ლოტრეკმა კუთხეში მოიკალათა, თეოს საყვარელი სავარძლის სახელურზე კვერცხს ამტვრევდა და ნაჭუჭებს ხალიჩაზე ჰყრიდა. რუსო მეტად აღელვებული მოვიდა, რადგან ვიღაც მანდილოსნისაგან სუნამოდაპკურებული ბარათი მიიღო, თქვენით მეტად მოხიბლული ვარ და მსურს შეგხვდეთო. თვალებდაჭყეტილი გაუთავებლად ჰყვებოდა ამ ამბავს. სიორას ახალი იდეები გასჩენოდა, სეზანი ფანჯარასთან მიემწყვდია და უხსნიდა. ვინსენტი ლუდს ასხამდა კასრიდან, თან გოგენის უხამს ანეკდოტებზე იცინოდა, რუსოს გაოცებასაც იზიარებდა, ნეტა ის ქალი ვინ უნდა იყოსო,

იქით ლოტრეკს ეკამათებოდა, რა უფრო ნათლად გადმოსცემს შთაბეჭდილებას, წერტილები თუ ხაზებიო და, ბოლოს, როგორც იქნა, სეზანი გამოჰგლიჯა სიორას ხელიდან.

იქაურობა გუგუნებდა. აქ თავმოყრილი მხატვრები ძლიერი ადამიანები იყვნენ, საშინელი ეგოისტები და ძველ ტრადიციებს მგზნებარედ შეჭიდებულნი. თეო მათ მანიაკებს ეძახდა.

კამათობდნენ, ჩხუბობდნენ, იგინებოდნენ, იცავდნენ თავიანთ თეორიებს და ჰგმობდნენ ყველა დანარჩენს. ბოხი, როხროხა ხმები ჰქონდათ. მათ მოსაწონს ვერაფერს ნახავდი ამ ქვეყნად.

თეოს სასადილო ოთახი ოცჯერ უფრო ვრცელი რომ ყოფილიყო, მაინც ვერ აიტანდა ამ აღელვებული, ხმაურიანი ხალხის ბობოქარ ძალას.

სტუმრების სიცხოველე ვინსენტსაც გადაედო, ისიც გაუთავებლად იქნევდა ხელებს და ენად გაიკრიფა. თეოს კი გასკდომაზე ჰქონდა თავი. ასეთი აურზაური უცხო იყო მისთვის.

ყველა აქ მყოფი ძალიან უყვარდა თეოს. განა მათ გამო არ იყო, რომ გამუდმებით და უთავბოლოდ ებრძოდა გუპილს?

მაგრამ გრძნობდა, რომ მათი უხეში ხასიათი, მათი მოურიდებელი საუბარი აუტანელი იყო. თეოს ბევრი რამ ჰქონდა ქალური. როგორღაც ტულუზ-ლოტრეკმა თავისი ჩვეული მოურიდებლობით იოხუნჯა, რა ცუდია, რომ თეო ვინსენტის ძმაა.

იგი შესანიშნავი ცოლი იქნებოდა მისთვისო.

თეოს ისევე უჭირდა ბუგროს ნახატების გაყიდვა, როგორც ვინსენტს გაუჭირდებოდა მათი ხატვა. მაგრამ იძულებული იყო, რადგან, თუკი ბუგროს გაჰყიდდა, ვალადონი უფლებას აძლევდა, დეგა გამოეფინა. ერთხელაც იქნება, დაითანხმებს ვალადონს, სეზანი გამოჰკიდოს, შემდეგ გოგენი ან ლოტრეკი და ოდესმე, ვინ იცის, იქნებ ვინსენტ ვან გოგიც...

ერთხელ კიდევ გადახედა ამ აურიამულებულ, გაბოლილ ოთახს, შემდეგ შეუმჩნევლად გასხლტა გარეთ და მარტოდმარტო მიჰყვა მონმარტრს. ჩაფიქრებული გასცქეროდა პარიზის მოციმციმე ლამპიონებს.

გოგენი გაცხარებული ეკამათებოდა სეზანს. ცალ ხელში კვერცხი და ფუნთუშა ჩაებღუჯა, ხოლო მეორეში ლუდის ტოლჩა. ერთთავად იმას ტრაბახობდა, მთელს პარიზში კაცს ვერ ნახავთ, ჩემსავით შეეძლოს ყალიონი ედოს პირში და ისე სვამდეს ლუდსო.

— შენი ტილოები მეტისმეტად ცივია, სეზან, — ყვიროდა იგი, — ყინულივით ცივი. ვუყურებ და პირდაპირ ვიყინები.

მთელი მილის სიგრძის ტილო გექნება ალბათ დახატული და გრძნობის ნატამალიც კი არა გაქვს შიგ.

— სულაც არ მინდა გრძნობა ჩავაქსოვო, — პასუხობდა სეზანი, — ეს მწერლების საქმეა. მე მხოლოდ ვაშლებს და პეიზაჟებს გხატავ.

— არა, შენ იმიტომ არ ხატავ გრძნობით, რომ არავითარ გრძნობა არ გაგაჩნია. შენ მხოლოდ თვალებით ხატავ და სხვა არაფრით.

— აბა სხვები რითი ხატავენ?

— რითაც გინდა, — გოგენმა ოთახს მოავლო თვალი, — ლოტრეკი, მაგალითად, ღვიძლით ხატავს, ვინსენტი გულით, სიორა ტვინით, ეს კი ისევე ცუდია, როგორც თვალებით ხატვა. რუსო თავისი ფანტაზიით ხატავს.

— შენ თვითონ რითი ხატავ, გოგენ?

— ვინა, მე? რა ვიცი. არასოდეს მიფიქრია ამაზე.

— მე გეტყვი, — უთხრა ლოტრეკმა. — შენ შენი კაცობით ხატავ.

როდესაც ხარხარი მიწყდა, სავარძლის სახელურზე მისვენებულმა სიორამ იყვირა:

— თქვენ შეიძლება დასცინოთ იმ ადამიანს, რომელიც ტვინით ხატავს, მაგრამ მე სწორედ ამ გზით აღმოვაჩინე, როგორ უნდა გავაძლიეროთ ორმაგად ჩვენი ტილოების ეფექტურობა.

— ნუთუ ამ ბოდვას ხელახლა უნდა ვუსმინო, — ამოიოხრა სეზანმა.

— სეზან, აბა მორჩი, გოგენ, დაჯექი სადმე, რას წამომდგარხარ ფეხზე, რუსო, გეყოფა მაგ შენს თაყვანისმცემელზე ლაქლაქი, ლოტრეკ, მესრულე ერთი კვერცხი, ვინსენტ, მომაწოდე ერთი ფუნთუშა, ახლა კი სმენა იყოს და გაგონება!

— რა მოხდა, სიორა? ასე აღელვებული ჯერ არ მინახავხარ იმ დღის მერე, როცა ვიღაც ყმაწვილმა შენს ტილოს მიაფურთხა განკიცხულთა სალონში.

— მომისმინეთ! რას წარმოადგენს თანამედროვე მხატვრობა? სინათლეს. როგორ სინათლეს? გრადუირებულ შუქს, ერთმანეთში გარდამავალი სხვადასხვა ფერის წერტილებით...

— ეს მხატვრობა არ არის, ეს პუანტილიზმია.

— ღვთის გულისათვის, ჟორჟ, რა არის, ინტელექტუალურ აღზრდას გვიპირებ?

— კრინტი! ჩვენ ვხატავთ სურათებს. შემდეგ რას ვაკეთებთ? შემდეგ გაძლევთ ამ სურათებს რომელიმე უვიცს, რომელიც მოოქროვილ ჩარჩოში ჩასვამს ,ას და ამით ყოველგვარ ეფექტს ჰკლავს. შემომაქვს წინადადება, არავითარ შემთხვევაში არ გავყიდო სურათი, ვიდრე მას ჩვენ თვითონვე არ ჩავსვამთ ჩარჩოში და 8 ფერად არ შევღებავთ, რომ იგიც სურათის ნაწილად იქცეს.

— კი მაგრამ, სიორა, ამით ყველაფერი არ დამთავრდება.

სურათი საჭირო დაიკიდოს კედელზე. თუკი ოთახის ფერი არ შეეფერება მას, ამით დაიკარგება სურათიც და ჩარჩოც.

— მართალია. ამიტომ ოთახიც შესაფერ ფერად ხომ არ შეგვეღება?

— კარგი აზრია, — დაეთანხმა სიორა.

— მაშინ რა ვუყოთ იმ სახლს, სადაც ეს ოთახია?

— ან იმ ქალაქს, სადაც ეს სახლი დგას?

— უჰ, ჟორჟ, რა დამთხვეული აზრები მოგდის თავში.

— ან, რა მოსდევს ტვინით ხატვას!

— თქვე ბრიყვებო, თქვენ როგორ დახატავთ ტვინით, სადა გაქვთ მაგდენი ტვინი?!

— შეხედეთ ჟორჟის სახეს! ჩქარა, ჩქარა! ნახეთ, რა გააფთრებულია ჩვენი მეცნიერი.

— რა არის, სულ უნდა იჩხუბოთ? — იყვირა ვინსენტმა, — რატომ არ გინდათ შეერთებული ძალით ვიმუშაოთ ყველამ?

— შენ ერთადერთი კომუნისტი ხარ ჩვენს შორის ვინსენტ, — უთხრა გოგენმა, — მოდი, გვითხარი ბარემ, რა გამოვა ერთად რომ ვიმუშაოთ?

— კარგი, — თქვა ვინსენტმა და კვერცხის ყვითელი გული პირში ჩაიტენა, — გეტყვით. ერთი აზრი მომივიდა თავში. რა ვართ ახლა ჩვენ? არაფერი. მანემ, დეგამ, სისლეიმ და პისარომ ყველაფერი გააკეთეს, ისინი აღიარებულნი გახდნენ და მათი ტილოები დიდ გალერეებს ამშვენებს. ესე იგი, ისინი დიდი ბულვარის მხატვრები არიან, ჩვენ კი ისეთ ფართო გზას ვერ ვადგივართ და პატარა ბულვარის მხატვრებად დავრჩით. რატომ არ უნდა გამოვფინოთ ჩვენი ნახატები მუშათა სასადილოებში? თვითეული ჩვენთაგანი, ვთქვათ, მოიტანს ხუთ ტილოს, ყოველ საღამოს გადავინაცვლებთ ახალ რესტორანში, და გავყიდით იმ ფასად, რასაც მუშები მოგვცემენ. გარდა ამისა, ხალხი გაიცნობს ჩვენს ნახატებს, თანაც ღარიბებს ვუჩვენებთ ნამდვილ ხელოვნებას და საშუალებას მივცემთ, სულ უმნიშვნელო თანხით შეიძინონ შესანიშნავი სურათები.

— ნახეთ, — წამოიძახა რუსომ და აღელვება დაეტყო სახეზე, — რა მშვენიერი აზრია.

— მე თითო ტილოს თითო წელს ვანდომებ, — ჩაიბურტყუნა სიორამ, — ხომ არ გგონიათ, წავალ და ვიღაც ჩერჩეტ დურგალს ხუთ სუდ მივყიდი?

— შენ შეგიძლია ეტიუდები გამოიტანო გასაყიდად!

— კი მაგრამ, ერთიც ვნახოთ და რესტორანში არ დაგვაკიდებინონ ჩვენი სურათები!

— დაგვაკიდებინებენ.

— რატომაც არა? იმათ ეს არაფერი დაუჯდებათ, იქაურობა კი გალამაზდება.

— მერე ვინ მოაგვარებს ამ საქმეს? ვინ შეარჩევს რესტორნებს?

— მე უკვე ვიფიქრე ამაზე, — დაიძახა ვინსენტმა, — ჩვენ ამ საქმეს მამილო ტანგის დავაკისრებთ. იგი მოძებნის რესტორანს, ჩამოჰკიდებს სურათებს და ის მოჰკრებს ფულსაც.

— რა თქმა უნდა. იმაზე უკეთ ვერავინ გაუძღვება ამას.

— რუსო, ნუ დაიზარებ, გაიქეცი მამილო ტანგისთან. უთხარი, ძალიან საჭირო საქმეა და გეძახიან-თქო.

— ჩემი იმედი ნუ გექნებათ, — განაცხადა სეზანმა.

— რა დაგემართა? — დაინტერესდა გოგენი. — გეშინია შენს ნახატებს მუშების თვალი არ ეცეს?

— მაგიტომ არა. ამ თვის ბოლოს ექსში მივდივარ.

— მოდი, ერთხელ მაინც ვცადოთ, სეზან, — სთხოვა ვინსენტმა, — თუ არ გამოგვივა, შენ მაინც არაფერს კარგავ.

— კარგი, თანახმა ვარ.

— როცა რესტორნები მოგვბეზრდება, — თქვა ლოტრეკმა, — შეგვიძლია საროსკიპოში გადავინაცვლოთ. მონმარტრზე მე ყველა ვიცი. იქ უკეთესი მყიდველები გვეყოლება და ფულსაც მეტს ავიღებთ.

მამილო ტანგი აქოშინებული მოვარდა. რუსო გზადაგზა უყვებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ყველაფერი უკუღმა უთხრა. ტანგის ჩალის ქუდი გვერდზე მოღრეცოდა და ფუნჩულა სახეზე აღელვება ეტყობოდა.

როცა საქმეში გაერკვა, წამოიძახა:

— დიახ, დიახ. ვიცი, სადაც უნდა წავიდეთ. რესტორან „ნორვენში“. მაგ რესტორნის პატრონი ჩემი მეგობარი კაცია.

კედლები სულ ცარიელი აქვს და თვითონაც კმაყოფილი დარჩება. შემდეგ მეორე ადგილას წავალთ, პიერის ქუჩაზე. ასეთი რესტორნები ყელამდეა პარიზში.

— როდის მოეწყობა მცირე ბულვარის კლუბის პირველი გამოფენა? — იკითხა გოგენმა.

— რაღაზე გადავდოთ? — თქვა ვინსენტმა, — მოდით, ხვალვე გავხსნათ!

ტანგი ცალ ფეხზე შეხტა, ქუდი მოიხადა, შემდეგ ისევ ჩამოიფხატა თავზე.

— ხვალვე, ხვალვე! დილით ყველამ მომიტანეთ ნახატები. საღამოსთვის მე თვითონ დავკიდებ რესტორან „ნორვენში“. ხალხი რომ მოვა, ნამდვილი სენსაცია იქნება. საშობაო სანთლებივით გავყიდით სურათებს. რას მისხამთ? ლუდს? კარგია გაუმარჯოს მცირე ბულვარის კომუნისტურ კლუბს! გაუმარჯოს მისი პირველი გამოფენის წარმატებას!

11.

მეორე დღეს, შუადღისას, მამილო ტანგიმ მოუკაკუნა ვინსენტს კარზე.

— მე ახლა სუყველას ჩამოვუარე და გავაფრთხილე, — უთხრა მან. — „ნორვენში“ იმ შემთხვევაში გამოჰფენენ სურათებს, თუკი ჩვენც ვისადილებთ იქ.

— კარგი.

— მაშ, ყველაფერი რიგზეა. სხვებიც თანახმა არიან. სურათებს ხუთის ნახევარზე დავკიდებთ. შეგიძლია ოთხ საათზე ჩემთან მოხვიდე მაღაზიაში? ყველანი იქ ვიკრიბებით.

— მოვალ.

როცა ვინსენტი კლოზელის ქუჩაზე პატარა ლურჯ მაღაზიას მიუახლოვდა, მამილო ტანგი უკვე სურათებს აწყობდა ურიკაზე. დანარჩენები მაღაზიაში იყვნენ, აბოლებდნენ და იაპონურ გრავიურებზე მსჯელობდნენ.

— ესეც ასე, — წამოიძახა მამილო ტანგიმ, — უკვე ყველაფერი მზადაა!

— მოდით, მაგ ურიკის წაყვანაში მოგეხმარებით, მამილო ტანგი, — შესთავაზა ვინსენტმა.

— არა, არა. ეს ჩემი საქმეა.

ურიკა შუა ქუჩაში გამოაგორა და ნელა შეუყვა აღმართს.

მხატვრები დაწყვილებულნი მისდევდნენ უკან. წინ გოგენი და ლოტრეკი მიუძღოდნენ. მათ ერთად სიარული მოსწონდათ, რადგან იცოდნენ, რა სასაცილო შესახედავები იყვნენ. სიორა აღელვებული რუსოს ნაამბობს ისმენდა. თურმე, იმ საღამოს მეორე სურნელოვანი ბარათი მიეღო რუსოს. ვინსენტი და სეზანი უკან მისდევდნენ. სეზანი დაბღვერილი მიაბიჯებდა და თან რაღაცას ბურტყუნებდა.

— გამიგონე, მამილო ტანგი, — გასძახა გოგენმა, როცა კარგა მანძილი გაიარეს, — ალბათ ძალიან მძიმეა მაგ უკვდავი შედევრებით დატვირთული ურიკა, მოდი, ცოტას მოგეხმარები.

— არა, არა, — წამოიძახა ტანგიმ და ნაბიჯს აუჩქარა, — ამ რევოლუციის მედროშე მე ვარ. პირველმა ტყვიამ მე უნდა გამგმიროს.

სასაცილო სანახავი იყო ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, უცნაურად გამოწყობილი მხატვრების პროცესია, ერთ ჩვეულებრივ ურიკას რომ ჩასდგომოდა

კვალში, მაგრამ გამხიარულებულ გამვლელთა მზერას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მათთვის. სიცილითა და მხიარული საუბრით მიაბიჯებდნენ წინ.

— ვინსენტ. — დაუძახა რუსომ, — გითხარი, წერილი რომ მომივიდა ამ საღამოს? ესეც სურნელოვანი. ისევ იმ ქალისაგან.

რუსომ ვინსენტთან მიირბინა. და ვინ მოსთვლის მერამდენედ მოჰყვა ის ამბავი. როცა დაასრულა და სიორას წამოეწია, და ლოტრეკმა დაუძახა ვინსენტს.

— იცი ვინ არის რუსოს თაყვანისმცემელი?

— არა. საიდან უნდა ვიცოდე?

ლოტრეკმა ჩაიხითხითა.

— გოგენი. ამან გაუბა რუსოს სამიჯნურო ქსელი. იმ საწყალს ჯერ სატრფო არ ჰყოლია. გოგენი ერთ-ორ თვეს წერილებს დააყრის, მერე კი პაემანს დაუნიშნავს. ქალის ტანსაცმელს გადაიცვამს და რუსოს შეხვდება მონმარტრზე ერთ ოთახში; ჩვენ ყველანი ჭუჭრუტანიდან ვუყურებთ. ვნახოთ ერთი, როგორ მოექცევა რუსო თავის პირველ სიყვარულს.

უხ, რა იქნება!

— რა საზიზღარი ხარ, გოგენ!

— რა მოხდა, ვინსენტ, — გაიცინა გოგენმა, — გენიალური ხუმრობაა.

როგორც იქნა, „ნორვენსაც“ მიადგნენ. ერთი უბრალო რესტორანი იყო ღვინის სარდაფსა და საჯინიბოს შორის მოთავსებული. ფარდა მყვირალა ყვითელი ფერისა ჰქონდა, შიგნით კედლები კი ცისფერი. დარბაზში ოცამდე მაგიდა იდგა, თეთრწითელ სუფრაგადაფარებული. უკანა მხარეს, სამზარეულოს კედელთან, მეპატრონის დახლი იყო.

მთელი საათი ყაყანებდნენ მხატვრები და ვერაფრით ვერ მორიგდნენ, რომელი სურათი სად დაეკიდათ. მამილო ტანგიმ არ იცოდა რა წყალში ჩავარდნილიყო. რესტორნის მეპატრონე გაბრაზდა, რადგან სადილობის დრო ახლოვდებოდა, რესტორანი კი არეულ-დარეული იყო. სიორამ უარი განაცხადა, ჩემს სურათებს საერთოდ არ დავკიდებ, იმიტომ რომ ცისფერი კედლები სრულიად ჩაჰკლავენ ჩემს ცასო. სეზანი ამბობდა, ჩემს ნატურმორტებს არაფრის გულისთვის არ დავკიდებ ლოტრეკის „უბადრუკი აფიშების“ გვერდითო. რუსო კი თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა, რადგან მის ნახატებს დარბაზის ბოლოში, სამზარეულოს კედელზე დაუპირეს ჩამოკიდება. ლოტრეკი დაჟინებით მოითხოვდა. ერთი ჩემი დიდი ტილო საპირფარეშოში დავკიდოთო, ადამიანი ყველაზე დიდ მჭვრეტელობით უნარს იქ იძენსო.

სასოწარკვეთილმა მამილო ტანგიმ ვინსენტს სთხოვა:

— ეს ორი ფრანკი გამომართვი, თუ შეგიძლია, ცოტა დაუმატე და ესენი აი იმ ბარში გახვეტე, პირდაპირ. თხუთმეტი წუთით მაინც რომ დამტოვოთ მარტო, ყველაფერს მოვაგვარებ.

ამ ხერხმა გაჭრა. როცა მხატვრები ისევ რესტორანს დაუბრუნდნენ, გამოფენა უკვე მზად იყო. ესენიც დაშოშმინდნენ და მოზრდილ მაგიდას შემოუსხდნენ შემოსასვლელთან ახლოს.

მამილო ტანგის წარწერა გაეკეთებინა: „ეს ნახატები იყიდება, იაფად. ცნობებისათვის მეპატრონეს მიმართეთ.“

ექვსის ნახევარი იყო. სადილობამდე ნახევარი საათი დარჩა. მხატვრები ბავშვებივით ცქმუტავდნენ. კარის ყოველ გაღებაზე ერთდროულად იქით იხედებოდნენ იმედმოცემულნი, მაგრამ „ნორვენის“ კლიენტები ექვს საათზე ადრე არაფრით არ მოვიდოდნენ.

— ვინსენტს შეხედე, — წასჩურჩულა გოგენმა სიორას. — ნახე, რა პრიმადონასავით ღელავს.

— მოდი, დღევანდელ სადილზე დავნაძლევდეთ, გოგენ, — შესთავაზა ლოტრეკმა, — რომ მე უფრო ადრე გავყიდი სურათს, ვიდრე შენ.

— ვნახოთ.

— სეზან, — ახლა ამას მიუბრუნდა ლოტრეკი, — შენ კი სამს ერთზე გენიძლავები.

შეურაცხყოფილი სეზანი ერთიანად გაჭარხლდა, დანარჩენები კი ახარხარდნენ.

— გახსოვდეთ, — თქვა ვინსენტმა, — ყიდვა-გაყიდვა მამილო ტანგის საქმეა. არც ერთი თქვენთაგანი არ შეევაჭროთ მყიდველებს.

— რატომ არავინ მოდის? — იკითხა რუსომ. — უკვე დროა.

კედლის საათზე ისარი ექვსს მიუახლოვდა. საყოველთაო აღელვებამ თანდათან იმატა. ბოლოს ყოველგვარი ოხუნჯობაც მიწყდა. არც ერთი თვალს არ აცილებდა შემოსასვლელ კარს, ყველანი რაღაცნაირი დაძაბულნი იყვნენ.

— ასეთი გრძნობა მაშინაც არ მქონია, როცა „დამოუკიდებელთა“ გამოფენაზე გამოვიტანე ტილოები მთელი პარიზელი კრიტიკოსების დასანახად, — გამოტყდა სიორა.

— შეხედეთ, შეხედეთ! — ჩურჩულით თქვა რუსომ, — ან, ის კაცი ქუჩაზე გადმოდის და აქეთ მოდის, ჩვენსკენ.

მაგრამ იმ კაცმა ქუჩა გადმოჭრა და გვერდზე გაუხვია. კედლის საათმა ექვსჯერ დაჰკრა. ბოლო ჩამოკვრაზე კარი გაიღო და მუშა შემოვიდა. ღარიბულად ეცვა. მოხრილი ზურგი და ჩამოცვენილი მხრები მის დაღლილობაზე მეტყველებდა.

— ახლა, — თქვა ვინსენტმა, — ვნახოთ, რა მოხდება.

მუშა ზანტად გაემართა ოთახის მეორე კუთხისაკენ, ქუდი საკიდზე მოისროლა და დაჯდა. ექვსივე მხატვარი, თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მას. მუშამ გულმოდგინედ ჩაიკითხა მენიუ, კერძი შეუკვეთა და ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ დიდი კოვზით ხვრეპდა სუპს. თვალი ერთხელაც არ მოუწყვეტია თეფშიდან.

ნელ-ნელა რესტორანი გაივსო. რამდენიმე ქალიც მოვიდა კაცებთან ერთად. როგორც ეტყობოდა, ყველას თავისი ამორჩეული ადგილი ჰქონდა და იქ სხდებოდნენ. მოსვლისთანავე მენიუს კითხულობდნენ, ხოლო შემდეგ ისე ერთობოდნენ ჭამაში, ერთხელაც არ ასწევდნენ თავს მაღლა. დანაყრებულები ყალიონს აბოლებდნენ, საუბრობდნენ, საღამოს გაზეთს ფურცლავდნენ და კითხულობდნენ.

— სადილი უკვე მოგართვათ, ბატონებო? — შვიდი საათი იქნებოდა, ოფიციანტმა რომ იკითხა.

პასუხი არავის გაუცია. ოფიციანტი წავიდა. შემოვიდნენ ვიღაც კაცი და ქალი.

ქუდის დაკიდებისას ამ კაცმა რუსოს ვეფხვი შენიშნა, ჯუნგლებიდან რომ იმზირებოდა, და თანამგზავრს მიუთითა მასზე.

მხატვრებს სუნთქვა შეეკრათ. რუსომ წამოიწია. ქალმა რაღაც უპასუხა წყნარად და გაიცინა. ისე დასხდნენ, რომ მათი თავები თითქმის ერთმანეთს ეხებოდა და მენიუს დააცქერდნენ.

რვას თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, ოფიციანტმა დაუკითხავად ჩამოარიგა სუპი, მაგრამ არავინ მიჰკარებია მას. სუპი გაცივდა და ოფიციანტმა უკანვე წაიღო. შემდეგ მეორე მოიტანა. ლოტრეკი საწებელში რაღაცას ხატავდა ჩანგლით. მხოლოდ რუსო მიირთმევდა. დანარჩენებმა, სიორას ჩათვლით, თითო ბოთლი მუავე წითელი, ღვინო გამოსცალეს. რესტორანში ჩამოცხა. საჭმლისა და მთელი დღე მზეზე მომუშავე ხალხის ოფლის სუნი დატრიალდა.

მუშებმა ერთიმეორის მიყოლებით გაასწორეს ანგარიში, ნახვამდისო, უხალისოდ გასძახეს სასადილოს მეპატრონეს და დასტოვეს იქაურობა.

— მაპატიეთ, ბატონებო, — თქვა ოფიციანტმა, — მაგრამ უკვე ცხრის ნახევარია და რესტორანი იკეტება.

მამილო ტანგიმ სურათები ჩამოხსნა, გარეთ გამოზიდა, და საღამოს ბინდში ზანტად გააგორა ურიკა შინისაკენ.

12.

ძველი გუპილისა და ბიძია ვან გოგის სული სამუდამოდ გაჰქრა გალერეებიდან. მათი ადგილი ახალმა პოლიტიკამ დაიჭირა. ახლა ისევე გულგრილად ჰყიდდნენ სურათებს, როგორც ნებისმიერ სხვა საქონელს, მაგალითად, ფეხსაცმელს ან ქაშაყს. თეოს გამუდმებით აიძულებდნენ, ოღონდ მეტი მოგება ჰქონოდა გალერეას და ყოვლად უვარგისი სურათებით ევაჭრა.

— გამიგონე, თეო, — ეუბნებოდა ვინსენტი, — რატომ თავს არ ანებებ გუპილს?

— შენ გგონია სხვა ფირმები უკეთესია? — უხალისოდ პასუხობდა თეო. — გარდა ამისა, უკვე კარგა ხანია ამათთან ვარ და ისევ აქ მირჩევნია.

— არა, აუცილებლად უნდა წახვიდე. მე გიბრძანებ რომ წახვიდე. ეგენი დღითი დღე გიწამლავენ სიცოცხლეს. ჩემზე ნუ სწუხარ, როგორმე გავიტან თავს. თეო, შენ მთელ პარიზში ყველაზე ცნობილი და მიღებული კაცი ხარ ახალგაზრდა მოვაჭრეთა შორის. რატომ არ გინდა შენი საკუთარი გალერეა გახსნა?.

— ო, ღმერთო ჩემო, ისევ თავიდან დაიწყე?

— იცი რა, თეო, ერთი გენიალური აზრი მაქვს. მოდი, კომუნისტური სამხატვრო მაღაზია გავხსნათ. ჩვენ ყველანი ჩვენს ნახატებს მოგცემთ და, რაც შემოსავალი გვექნება, თანაბრად გავინაწილოთ. ყველა დავდებთ ფულს რამდენიც შეგვიძლია და პარიზში პატარა მაღაზიას გავხსნით, ხოლო ჩვენ კი ქალაქგარეთ ერთ სახლს ვიქირავებთ, იქ ვიცხოვრებთ და ვიმუშავებთ. პორტიემ ერთხელ ლოტრეკის ნახატი გაყიდა, მამილო ტანგიმ კი სეზანის რამდენიმე სურათი. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პარიზის ახალგაზრდა მოყვარულთა ყურადღებას მივიპყრობთ. იმ სახლს, ქალაქგარეთ, ბევრი ფული არ დასჭირდება და უფრო იაფი დაგვიჯდება ერთად ცხოვრება, ვიდრე პარიზში სხვადასხვა ბინებში ცალ-ცალკე ვიხადოთ, ფული.

— ვინსენტ, ისე მტკივა თავი, რომ პირდაპირ მისკდება.

მოდი, დამაძინე რა, შეიძლება?

— არა, არა. ძილი კვირასაც გეყოფა. მომისმინე, თეო..

სად მიდიხარ? კარგი, ბატონო, გაიხადე, თუ გინდა, მე მაინც უნდა გელაპარაკო. აი აქ ჩამოვჯდები, სასთუმალთან. თუკი შენ გიჭირს გუპილთან გაჩერება, ხოლო ახალგაზრდა მხატვრები თანახმა იქნებიან, ჩვენ შეგვიძლია ცოტაოდენი ფული მოვაგროვოთ...

მეორე საღამოს მამილო ტანგი და ლოტრეკი მოეყვანა ვინსენტს შინ. თეოს კი იმედი ჰქონდა, საღამოთი ვინსენტი სახლში არ იქნებაო. მამილო ტანგის მოუთმენლობისაგან უციმციმებდა თავისი წვრილი თვალები.

— მუსიე ვან გოგ, რა ბრწყინვალე აზრია. თქვენ აუცილებლად უნდა დაგვთანხმდეთ. მეც გამოვკეტავ ჩემს მაღაზიას და თქვენთან ერთად გადმოვსახლდები ქალაქგარეთ. საღებავებს გავქნი, ტილოებს გადავჭიმავ, ჩარჩოებს გავაკეთებ. საჭმელი მექნება და ბინა, მეტი რაღა მინდა.

თეომ წიგნი გვერდზე გადასდო და ამოიოხრა.

— მერე, მაგ წამოწყებას ფული არ უნდა? უფულოდ როგორ გავხსნით მაღაზიას, როგორ ვიქირავებთ სახლს, როგორ გამოვკვებავთ ამდენ ხალხს?!

— აი, ფული მოვიტანე! — წამოიძახა მამილო ტანგიმ. — ორას ოცი ფრანკი. ესაა მთელი ჩემი გადანახული კაპიტალი. აიღეთ, მუსიე ვან გოგ, ჩვენი კოლონიისათვის დაგვჭირდება.

— ლოტრეკ, შენ ჭკვიანი კაცი ხარ. მითხარი, რას ფიქრობ ამ სისულელეზე?

— ჩემის აზრით, დიდებული წამოწყებაა. დღესდღეობით ჩვენ არა მარტო პარიზთან გვიხდება ჭიდილი, არამედ ერთმანეთთანაც. თუკი შეერთებული ძალით...

— კეთილი. აი შენ შეძლებული ადამიანი ხარ. დაგვეხმარები ჩვენ?

— არა, რა თქმა უნდა, არა. მაშინ ეს დახმარების გაღება იქნება და კოლონიასაც აზრი დაეკარგება. მეც მამილო ტანგივით ორას ოც ფრანკს გადავიხდი.

— სისულელეა და მეტი არაფერი! თქვენ ხომ წარმოდგენაც არა გაქვთ რა არის ბიზნესი...

მამილო ტანგიმ თეოსთან მიირბინა და მისი ხელი ჩაბღუჯა.

— ძვირფასო მუსიე ვან გოგ, გევედრებით, ნუ ეძახით ამას სისულელეს. სისულელე კი არა დიდებული აზრია! თქვენ აუცილებლად, აუცილებლად...

— სხვა გზა აღარა გაქვს, თეო! — უთხრა ვინსენტმა, უნდა დაგვთანხმდე. ჩვენ გადავწყვიტეთ, ფულს შევკრებთ თუ არა შენ აგირჩიოთ მმართველად. გუპილსაც დაემშვიდობე. გეყო მათი პატივისცემა. ამიერიდან შენ კომუნისტური სამხატვრო კოლონიის ხელმძღვანელი იქნები.

თეომ ხელი მოისვა თვალებზე.

— მხატვრები კი არა, ვატყობ, ველური ცხოველების ჯოგი მეყოლება.

მეორე საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულ თეოს სახლი აღელვებული მხატვრებით დახვდა სავსე. თამბაქოს ბოლი ლურჯი ნისლივით იდგა ოთახში, ხოლო როხროხა ხმებისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ვინსენტი თეოს კოხტა მაგიდაზე წამოსკუპულიყო და ბრძანებებს იძლეოდა.

— არა, არა, — გაჰყვიროდა იგი. — არავითარ ხელფასს არ მივიღებთ. ფული საერთოდ არ გვექნება. ფულს თვალითაც ვერ ვნახავთ წლობით. თეო სურათებს გაყიდის, ჩვენ კი მივიღებთ საჭმელს, ბინას და მასალას მუშაობისათვის.

— ვისი ნახატებიც არ გაიყიდება? — იკითხა სიორამ, — როდემდე უნდა შევინახოთ ისინი?

— მანამდე, ვიდრე თვითონ ენდომებათ ჩვენთან ყოფნა და ჩვენთან მუშაობა.

— იფ, რა კარგია, — აბუზღუნდა გოგენი, — მაშინ მთელი ევროპის უნიჭო მხატვრები ჩვენთან მოიყრიან თავს.

— მუსიე ვან გოგიც მოსულა! — წამოიძახა მამილო ტანგიმ. თეო კარს მიყრდნობოდა და სტუმრებს ათვალიერებდა. — გაუმარჯოს ჩვენს მმართველს!

— გაუმარჯოს თეოს! ვაშა! ვაშა. — იხუვლეს მხატვრებმა.

ყველანი საშინლად აღელვებულები იყვნენ. რუსო კითხულობდა, შეიძლება თუ არა ვიოლინოს გაკვეთილები კოლონიაშიც გავაგრძელოო. ანკეტენი ამბობდა, სამი თვის ბინის ქირა გადასახდელი მაქვს და რაც შეიძლება ჩქარა წავიდეთ ქალაქგარეთო. სეზანი კატეგორიულად მოითხოვდა, თუ კაცს თავისი საკუთარი ფული ექნება, როგორც უნდა, ისე დახარჯოსო.

— არა, ასე არავითარი კომუნა არ გამოვა, — იყვირა ვინსენტმა, — ჩვენ ყველამ ყველაფერი თანაბრად უნდა გავინაწილოთ.

ლოტრეკი დაინტერესდა, ქალები გვეყოლება თუ არა კოლონიაშიო. გოგენმა წინადადება წამოაყენა, ყველას დაევალოს, თვეში ორი სურათი მაინც დახატოსო.

— მაშინ მე არ მოვდივარ! — წამოიძახა სიორამ. — მე თითო ტილოს თითო წელს ვანდომებ.

— ახლა მასალის საქმე როგორ იქნება? — იკითხა მამილო ტანგიმ. — ყველა ერთნაირად მიიღებს საღებავებს და ტილოებს თუ არა?

— რა თქმა უნდა, არა. — თქვა ვინსენტმა. — ჩვენ ყველაფერს ავიღებთ იმდენს, რამდენიც გვჭირდება, არც მეტი და არც ნაკლები. საჭმელიც ასევე იქნება.

— კი მაგრამ, ფულს რომ მივიღებთ, იმას რა ვუყოთ? მერე, სურათების გაყიდვას რომ დავიწყებთ! ვინ მიიღებს მოგებას?

— მოგებას არავინაც არ მიიღებს, — თქვა ვინსენტმა. — როგორც კი ცოტაოდენი ფული დაგვიგროვდება, მაშინვე ახალ სახლს ვიყიდით ბრეტანში. შემდეგ კიდევ სხვა სახლს — პროვანსში. ყველგან გვექნება ასეთი სახლები და ჩვენც ვიმოგზაურებთ, ხან ერთში წავალთ, ხან მეორეში.

— მერე გზის ფული? ბილეთის ფულს მოგებიდან ავიღებთ?

— რამდენი შეგვიძლია ვიმოგზაუროთ? ვინ გადასწყვეტს ამას?

— ერთიც ვნახოთ და ერთ სეზონზე ერთ რომელიმე სახლში მოიყარა ყველამ თავი, ვინ იქნება იქ ზედმეტი, როგორ გავიგოთ?

— თეო, შენ ხომ ჩვენი ხელმძღვანელი ხარ, აგვიხსენი, როგორ იქნება, ყველას შეუძლია ჩვენს კოლონიაში შემოსვლა?

თუ გარკვეული რაოდენობის წევრები გვეყოლება? ხატვაც რაიმე სისტემით იქნება? მენატურეები თუ გვეყოლება კოლონიაში?

განთიადისას დაიშალნენ სტუმრები. ქვედა სართულის მცხოვრებნი ჭერზე ცოცხის ტარის კაკუნით გასავათდნენ. ოთხ საათზე თეო დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ვინსენტმა, მამილო ტანგიმ და რამდენიმე, შედარებით მხურვალე ენთუზიასტმა ახლაც არ მოასვენეს და მოითხოვდნენ, განცხადება დაწერე და ამ თვის ბოლოსვე დატოვე გუპილიო.

რაც დრო გადიოდა, მღელვარება სულ უფრო იზრდებოდა.

პარიზელი მხატვრები ორ ბანაკად დაიყვნენ. ძველი, წელმაგარი მხატვრები ვან გოგებს გიუებს ეძახდნენ, დანარჩენები კი გაუთავებლად ბჭობდნენ და მსჯელობდნენ ახალ ექსპერიმენტზე.

ვინსენტი დღე და ღამეს ასწორებდა მუშაობით. ათასი რამ იყო საფიქრალი და გადასაწყვეტი. საიდან ეშოვნათ ფული, სად გაეხსნათ მაღაზია, რა ფასები დაეწესებინათ, ვინ მიეღოთ წევრად, ვინ მართავდა მათ კოლონიას და როგორ. თეო სულ ძალით ჩაითრიეს ამ არეულობაში. ვან გოგების ბინა ყოველ საღამოს ხალხით იყო სავსე. რეპორტიორები ახალ ამბებს ელოდნენ, კრიტიკოსები ახალ მიმართულებაზე მსჯელობდნენ.

მთელი საფრანგეთის მხატვრებს პარიზში მოეყარათ თავი, რომ ახალ ორგანიზაციას შეერთებოდნენ.

თუკი თეო ხელისუფალი იყო, ვინსენტი მის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა. მან შეადგინა უთვალავი გეგმები, პროექტები, ბიუჯეტები, ხარჯთაღრიცხვები, წესები, კანონები, მანიფესტები, პამფლეტები, რათა მთელი ევროპა გასცნობოდა კომუნისტური სამხატვრო კოლონიის მიზნებს.

ვინსენტი ისე გაერთო, რომ ხატვა აღარ ახსოვდა.

მათი ახალი ორგანიზაციის სალარო უკვე სამი ათას ფრანკს ითვლიდა. მხატვრები რასაც შოულობდნენ, უკანასკნელ ფრანკამდე მოჰქონდათ. კლიშის ბულვარში დიდი ვაჭრობა გაჩაღდა. ყველა მხატვარი თვითონვე ჰყიდდა თავის ნახატებს. მთელი ევროპიდან მოდიოდა და მოდიოდა წერილები. ზოგჯერ ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული ფულიც იდო შიგ. პარიზელი ხელოვნების მოყვარულები ვან გოგებთან იყრიდნენ თავს, უერთდებოდნენ მათ წამოწყებას და წასვლისას იქვე მდგარ სალაროში აგდებდნენ ფულს. ვინსენტი მდივანიც იყო და ხაზინადარიც, თეომ განაცხადა, ხუთი ათასი ფრანკი მაინც უნდა მოგროვდეს, ვიდრე-საქმეს შევუდგებოდეთო. შემდეგ თვითონვე მოძებნა ერთი პატარა მაღაზია ტრონშეს ქუჩაზე, რომელიც, მისი აზრით, შესაფერ ადგილას მდებარეობდა, ვინსენტმა კი სენ-ჟერმენ-ან-ლეს ტყეში ძველი მამული აღმოაჩინა, სულ ჩალის ფასად. კოლონიაში შესვლის მსურველმა მხატვრებმა თავისი ტილოებით იხუვლეს ლეპიკის ქუჩისაკენ და მალე თეოს ბინაში მობრუნებაც გაჭირდა. ასობით ადამიანი მიმოდიოდა აქ. ისინი რაღაცეებს ამტკიცებდნენ, ჩხუბობდნენ, იგინებოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და გამალებული იქნევდნენ ხელებს. თეო გააფრთხილეს, ასე თუ გაგრძელდა, სხვაგან მოძებნეთ ბინაო.

თვის ბოლოს ლუი ფილიპეს ავეჯი ნამსხვრევებად იქცა.

ვინსენტს სადღა ჰქონდა იმის დრო, თავისი პალიტრა მოჰგონებოდა! მას ელოდა უამრავი წერილი, რომელზეც პასუხი უნდა გაეცა, ხალხი, რომელთაც ინტერვიუს მიღება სურდათ, სახლები, რომლებიც უნდა ენახა, ახალბედა მხატვრები, რომელთაც უნდა გასცნობოდა და დაეინტერესებინა. გაუთავებელი ლაპარაკისაგან ხმა ჩაეხლიჩა, თვალები ავადმყოფურად უელავდა. აღარც ჭამა ახსოვდა, აღარც ძილი, და ციბრუტივით ტრიალებდა.

გაზაფხულისათვის ხუთი ათასი ფრანკიც მოგროვდა. თეო თვის პირველი რიცხვისათვის აპირებდა გუპილისგან წამოსვლას. გადაწყდა ეყიდათ ის მაღაზია, ტრონშეს ქუჩაზე. ვინსენტმა სენ-ჟერმენის სახლის პატრონს ბე დაუტოვა. თეომ, ვინსენტმა, მამილო ტანგიმ, ლოტრეკმა და გოგენმა კოლონიის წევრების სია

შეადგინეს. სურათების უზარმაზარი გროვიდან თეომ აარჩია, რითი გახსნიდნენ გამოფენას. რუსო და ანკეტენი წაკინკლავდნენ, ვინ შიგნიდან შეღებავდა მაღაზიას და ვინ გარედან. თეო უკვე აღარ ბრაზობდა, რომ ძილის საშუალებას არ აძლევდნენ. იგი ახლა ისევე ჩაითრია ამ წამოწყებამ, როგორი მონდომებითაც ვინსენტი მოეკიდა სულ თავიდან. თეო ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ როგორმე ყველაფერი მოეგვარებინათ, რათა ზაფხულისათვის უკვე გაეხსნათ კოლონია.

ძმები ახლა იმაზე კამათობდნენ, სად შეეძინათ მეორე სახლი, ატლანტის ოკეანისა თუ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას.

ერთხელ, ოთხი საათი იყო, ვინსენტი ქანცგაწყვეტილი რომ დაწვა დასაძინებლად. თეომ აღარ გააღვიძა დილით. შუადღემდე იძინა ვინსენტმა და რომ გამოიღვიძა, დაღლილობას აღარ გრძნობდა, თავის სახელოსნოში შევიდა. მოლბერტზე დადებული ტილო რამდენიმე თვის წინ დაეწყო. პალიტრაზე საღებავები გამშრალიყო, დამსკდარიყო და მტვერი დასდებოდა. საღებავის ტუბები კუთხეებში ეყარა. ფუნჯებიც აქვე იყო, ზედ შემხმარი საღებავებისაგან გაქვავებული.

უცებ რაღაც სუსტმა ხმამ წასჩურჩულა: „დაიცა, ვინსენტ.

ვინა ხარ შენ, მხატვარი? ან იქნებ კომუნისტური ორგანიზატორი“.

ვიღაც მხატვრების მოტანილი უნიჭო სურათები თეოს ოთახში გაზიდა და საწოლზე დაახვავა. ახლა სახელოსნოში მხოლოდ მისი ტილოები დარჩა. სათითაოდ მოლბერტზე დააწყო და თითების კვნეტით გულმოდგინედ დააკვირდა.

დიახ, მართლაც რომ წინ წასულა. ნელ-ნელა იმდენი სინათლე მიიღო მისმა კოლორიტმა, რომ საცაა გამჭვირვალე ელვარებამდე მივიდოდა. აღარც სხვას ბაძავდა. მის ნახატებზე ვერც ერთი მისი მეგობრის შტრიხსაც ვეღარ ნახავდით. მხოლოდ ახლა მიხვდა ვინსენტი, რომ თავისებური სტილი გამომუშავებოდა მასაც, რისი მსგავსიც არა ენახა რა. თვითონაც არ იცოდა, როგორ მოახერხა ეს.

ვინსენტმა თავისებურად გადაამუშავა იმპრესიონისტთა მანერა და რაღაც უცნაურ, თავისებურ ხელწერას მიაგნო. შემდეგ კი უცებ ყველაფერი გათავდა.

სულ ბოლო ნამუშევარი დადო მოლბერტზე და კინაღამ იყვირა. აი უკვე თითქმის, თითქმის დაიჭირა რაღაც! მის სურათებში ცხადად ჩანს ეს რაღაც, სრულიად ახალი. ეს იმ იარაღის კვალი იყო, რომელსაც მთელი ზამთრის განმავლობაში ჟანგი სჭამდა.

ამდენი ხნის დასვენებამ საშუალება მისცა საღად დაენახა თავისი ნაღვაწი. და ვინსენტმაც დაინახა, რომ ეს იყო მისებური, იმპრესიონისტული გამოსახვა.

სარკე აიღო და თავი შეათვალიერა. წვერი წამოზრდოდა, თმაც შესაჭრელი ჰქონდა, პერანგი გაჭუჭყიანებოდა, შარვალი ხბოს ნაღეჭს ჰგავდა. უთო გაახურა, შარვალი დააუთოვა, თეოს სუფთა პერანგი ჩაიცვა, სალაროდან ხუთი ფრანკი ამოიღო და საპარიკმახეროსკენ გასწია. თავი რომ მოიწესრიგა, სასწრაფოდ გუპილისაკენ გაეშურა.

— თეო, — სთხოვა ძმას. — შეგიძლია ცოტა ხნით გარეთ გამოხვიდე?

— რა მოხდა?

— ქუდი დაიხურე. აქ სადმე კაფე ხომ არ გეგულება, სადაც მარტონი ვიქნებით?

როცა ძმები კაფეს მიყრუებულ კუთხეში მყუდროდ ჩამოსხდნენ, თეომ უთხრა:

— იცი, ვინსენტ, მთელი თვის განმავლობაში პირველადაა, მარტო რომ ვართ.

— ჰო, თეო. რა სულელი ვიყავი მთელი ამ ხნის განმავლობაში.

— რატომ ამბობ მაგას?

— თეო, გულახდილად მითხარი, ვინა ვარ მე, მხატვარი?

თუ კომუნისტური კლუბის ორგანიზატორი?

— რას ამბობ, ვინსენტ!

— მე ისე გავები ამ კოლონიის საქმეში, რომ ხატვისთვის დრო აღარ დამრჩა. კოლონია რომ გაიხსნება, მაშინ ხომ სულ ვეღარ მოვიცლი.

— მართალი ხარ.

— თეო, მე ხატვა მინდა. შვიდი წელი განა იმისთვის ვიჯახირე, რომ სხვა მხატვრებს ვუპატრონო?! მომენატრა ჩემი ფუნჯები, თეო, და ისე მომწყურდა ხატვა, რომ ლამისაა პირველივე მატარებლით გავშორდე პარიზს.

— კი მაგრამ, ვინსენტ, ახლა, როცა ყველაფერი...

— ხომ გითხარი, სულელი ვიყავი-მეთქი; გინდა გულახდილად გითხრა, თეო?

— მინდა.

— იმ სხვა მხატვრების ნახატები პირდაპირ გულს მირევს.

მათი ყველაფერი მომბეზრდა, ლაპარაკი, თეორიები, გაუთავებელი აყალმაყალი. რას იცინი, თეო. ვიცი, სულ მე ავტეხე ეს ალიაქოთი. საქმეც ეს არის. იცი, რა მითხრა მაუვემ? კაცი ან მხატვარი უნდა იყოს, ან მხატვრობაზე იმსჯელოსო. ორივეს ერთად ვერ შესძლებსო. ნუთუ იმიტომ მარჩენდი ამ შვიდი წლის განმავლობაში, რომ ახლა ჩემს ორატორობას უსმინო?!

— შენ ძალიან ბევრი გააკეთე კოლონიისათვის, ვინსენტ.

— ჰო, მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი მზადაა იქ წასასვლელად, მივხვდი, რომ არ მინდა წასვლა. მე იქ ვერც ვიცხოვრებ და ვერც ვიმუშავებ. არ ვიცი, როგორ გითხრა...

მაგრამ შენ მაინც გამიგებ, თეო. როცა მე მარტოკა ვიყავი ბრაბანტში ან ჰაagაში, სულ ვფიქრობდი, რომ რაღაცას წარმოვადგენდი. მარტო ვიყავი და მთელ ქვეყანას ვეჭიდებოდი. მხატვარი ვიყავი და თითქოს ჩემს მეტი მხატვარი არ არსებობდა.

ყოველ ჩემს ნახატს ფასი ჰქონდა; ვიცოდი, რომ ნიჭიერი ვიყავი და ერთხელაც იქნებოდა, მთელი ქვეყანა იტყოდა, ეს კაცი დიდი მხატვარიაო.

— ახლა?

— ახლა კი ვაი, რომ მე ერთ-ერთი მრავალთაგანი გავხდი.

ასობით ჩემნაირი მხატვარი მახვევია გარს. ყოველ მათგანში ჩემს თავს ვხედავ. გაიხსენე, რა საცოდავია ჩვენთან, სახლში დახვავებული ტილოები, კოლონიაში შემოსვლის მსურველებმა რომ გამოგვიგზავნეს. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, დიდი მხატვარი გავხდებიო. იქნება მეც ისეთი ვარ. ვინ იცის? ახლა რით შემიძლია თავი დავირწმუნო? პარიზში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი რამდენი სულელი იტყუებს მთელი სიცოცხლე თავს. ახლა კი ვიცი. ვიცი და გული მტკივა.

— ეს შენ არ გეხება, ვინსენტ!

— შეიძლება, მაგრამ ეჭვის ჭიას ვეღარაფრით მოვიცილებ ამის შემდეგ. როცა მარტო ვარ, სოფელში, მავიწყდება, რომ ათასობით ტილო იხატება დღეში. ასე მგონია, ჩემი ნახელავი ერთადერთია და მშვენიერ საჩუქრად მოევლინება ქვეყნიერებას. მე ხატვას თავს მაინც ვერ დავანებებდი, თუნდაც მცოდნოდა კიდეც, რომ ჩემი ნახატები არაფრად ვარგა, მაგრამ...

ეს ილუზია... ძალიან შველის მხატვარს. გამიგე?

— ჰო, ვინსენტ.

— გარდა ამისა, მე ქალაქის მხატვარი არა ვარ. ეს ჩემი საქმე არ არის. მე სოფელი უნდა ვხატო. ძალიან მინდა ისევ საყვარელ ველებს დავუბრუნდე. მინდა, მცხუნვარე მზე ვიპოვნო, რომელიც ისე დამწვავს და გამომაშრობს, რომ ხატვის სურვილის მეტი არაფერი შემრჩება.

— ასე რომ... შენ გინდა... დასტოვო... პარიზი?

— ჰო. სხვა გზა არა მაქვს.

— მერე, კოლონია?

— მე წავალ, მაგრამ შენ გააგრძელებ ჩვენს დაწყებულ საქმეს.

თეომ თავი გაიქნია.

— არა, უშენოდ არა!

— რატომ?

— არ ვიცი, მე ამას შენი გულისთვის ვაკეთებდი... რაკი შენ გინდოდა!

ძმები წუთით დადუმდნენ.

— განცხადება უკვე დაწერე, თეო?

— არა. პირველისთვის ვაპირებდი.

— მოდი, ის ფული პატრონებს დავუბრუნოთ.

— კარგი... შენ როდის წახვალ?

— როცა ჩემს პალიტრას საკმაო შუქი ექნება.

— გასაგებია!

— შემდეგ წავალ. სამხრეთში, ალბათ. სად, ჯერ არ ვიცი, მთავარია, მარტო ვიყო. და ვხატო, ვხატო, ვხატო; სულ მარტომ.

ვინსენტმა მისთვის ჩვეული მოუქნელობით ხელი გადახვია თეოს.

— თეო, მითხარი, რომ არ გეჯავრები. ამხელა საქმე დავიწყე, შენც ჩაგითრიე და ახლა შუა გზაზე ვტოვებ!

— მეჯავრები?!

თეომ სევდიანად გაუღიმა ძმას. მისი ხელი ნაზად ეფერებოდა ვინსენტის ხელს.

— არა... რა თქმა უნდა, არა. მე ყველაფერი მესმის. შენ მართალი ხარ, ვინსენტ. აბა... მიდი... ჩქარა გამოცალე ეგ ჭიქა, გუპილთან არ დამაგვიანო.

13.

მომდევნო ერთი თვე გულმოდგინე მუშაობაში გაატარა ვინსენტმა და, თუმცა მისი პალიტრა ახლა სხვებივით სუფთა და ნათელი იყო, მაინც ვერ მიაგნო გამოხატულების იმ ფორმას, რაც სავსებით დააკმაყოფილებდა მას. ჯერ ეგონა, ნახატის ბრალიაო და შეეცადა დინჯად, აუჩქარებლად ემუშავა.

საღებავების ნელი სმა ტილოზე ნამდვილი ტანჯვა იყო მისთვის, შედეგი კი კიდევ უარესი. შემდეგ შეეცადა ფუნჯის კვალი არ დაემჩნია ტილოზე. მისთვის ჩვეული სქელი მასის ნაცვლად საღებავს თხელ ფენად აცხებდა. მაინც არაფერი ეშველა. ისევ და ისევ გრძნობდა, რომ სულ მალე მოძებნიდა იმ ერთადერთ გზას, რომელიც შეაძლებინებდა გამოეხატა ის, რაც უნდოდა და როგორც უნდოდა. მაგრამ ეს გზა ჯერ არ ჩანდა.

— თითქმის მივაღწიე ჩემსას, — ბურტყუნებდა ერთ საღამოს, — თითქმის, მაგრამ სავსებით მაინც არა. ნეტავი გამაგებინა, რა მიშლის ხელს.

— მე შემიძლია გითხრა, რაც გიშლის. — უთხრა თეომ და ნახატი ჩამოართვა ძმას.

— შეგიძლია? მერე, მითხარი!

— პარიზი.

— პარიზი?

— დიახ, პარიზი. ეს შენი გაკვეთილი იყო და ვიდრე აქა ხარ, მოსწავლეზე მეტი ვერაფრით ვერ იქნები. გახსოვს ჩვენი სკოლა ჰოლანდიაში, ვინსენტ? ჩვენ გვასწავლიდნენ, როგორ აკეთებენ სხვები რაიმეს, როგორ კეთდება ესა თუ ის, მაგრამ ჩვენ თვითონ არასოდეს გვიკეთებია რამე.

— შენ ამბობ, რომ მე აქ შესაფერისი თემა ვერ მომიძებნია?

— არა. მე ვამბობ, რომ შენ არ შეგიძლია აქ მოსწყდე შენს მასწავლებლებს. ძალიან გამიჭირდება უშენობა, ვინსენტ, მაგრამ მაინც უნდა წახვიდე. ასეა საჭირო. სადმე, ამქვეყნად, აუცილებლად იქნება ისეთი ადგილი, სადაც შენც იპოვი შენსას. არ ვიცი, სად იქნება ეს. შენ თვითონვე უნდა მოძებნო.

მაგრამ სკოლას კი აუცილებლად უნდა მოწყდე, ვიდრე გვიან არ არის.

— იცი, ამ ბოლო დროს რომელ ქვეყანაზე ვოცნებობ?

— არა.

— აფრიკაზე.

— აფრიკაზე? მართლა?

— ჰო. მთელი ამ ცივი და გაუთავებელი ზამთრის განმავლობაში სულ მენატრებოდა მცხუნვარე მზე. დელაკრუამ ხომ იქ იპოვნა თავისი კოლორიტი, იქნება მეც გამიმართლოს.

— აფრიკა ძალიან შორსაა, ვინსენტ.

თეო ჩაფიქრებული ჩანდა.

— თეო, მე მზე მინდა. მთელი თავისი სიმხურვალით და პაპანაქებით. სამხრეთი მთელი ზამთარია თავისკენ მეწევა უზარმაზარი მაგნიტივით. ჰოლანდიაში წარმოდგენაც არ მქონდა, რა იყო მზე. ახლა კი მაგის გარეშე ვერ წარმომიდგენია ხატვა. პარიზის ზამთარი ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი.

და ასე მგონია, ჩემი ფუნჯი და პალიტრაც მაგ სიცივეს ჰყავს შებოჭილი. მე არ ვეკუთვნი იმ ხალხს, რომლებიც სხვათაშორის აკეთებენ ყველაფერს. როგორც კი აფრიკის მზე ტანში გამჯდარ სიცივეს მომაცილებს და ჩემს პალიტრაზე ცეცხლს დაანთებს...

— ვნახოთ, — უთხრა თეომ. — ვიფიქროთ. იქნება შენ მართალი ხარ.

პოლ სეზანმა გამოსათხოვარი საღამო გაუმართა მეგობრებს. მან მამამისის მეშვეობით შეიძინა ის მამული, რომელიც მთის კორტოხიდან დაჰყურებდა ექსს და ახლა სამშობლოში მიეშურებოდა, სახელოსნოს მოსაწყობად.

— შენც წადი პარიზიდან, ვინსენტ, — ურჩევდა სეზანი. — პროვანსში ჩამოდი, ოღონდ ექსში არა, ეს ჩემი სამფლობელოა, სადმე მოშორებით. იქ ისეთი ცხელი და კაშკაშა მზეა, რომლის ბადალს მთელს დუნიაზე ვერ ნახავ. პროვანსში ისეთ სუფთა, ნათელ კოლორიტს იპოვნი, რომ არც დაგესიზმრება. მე ამის შემდეგ ფეხსაც არ მოვიცვლი იქიდან.

— მეც მივდივარ, — თქვა გოგენმა. — ისევ ჩემს ტროპიკებს დავუბრუნდები. შენ რომ გგონია, პროვანსის მზეა, რაც არისო, სეზან, აბა მარკიზის კუნძულებზე ნახე! იქ მზეც და კოლორიტიც ხალხივით პრიმიტიულია.

— თქვენ, მგონია, მზის თაყვანისმცემლები გახდით, — თქვა სიორამ.

— რაც შემეხება მე, — განაცხადა ვინსენტმა, — ვაპირებ აფრიკაში წავიდე!

— უჰ, რა კარგია! — ჩაიდუდუნა ლოტრეკმა. — მეორე დელაკრუა გვეყოლება.

— მართლა ამბობ, ვინსენტ? — ჰკითხა გოგენმა.

— ჰო. მაგრამ პირდაპირ აფრიკაში კი არ წავალ, ჯერ სადმე, პროვანსში გავჩერდები, რომ მზეს შევეჩვიო.

— მარსელში ვერ წახვალ, — გააფრთხილა სიორამ. — ეგ მონტიჩელის ქალაქია.

— ექსში ვერ წავალ, იმიტომ რომ სეზანისაა, ანტიბი მონესია, მარსელი მართლაც რომ „ფადას“ ეკუთვნის და ვერავინ წაართმევს. აბა, მირჩიეთ ვინმემ, საით წავიდე!

— მოიცა, — იყვირა ლოტრეკმა. — მე გეტყვი, სად წახვიდე. არლზე რას იტყვი!?

— არლი? ძველი რომაელების დასახლება?

— დიახ. რონაზეა, მარსელიდან რამდენიმე საათის სავალზე. ერთხელ როგორღაც მოვხვდი იქ. იქაურ კოლორიტთან დელაკრუას აფრიკული პეიზაჟები გახუნებული გეგონება.

— ხომ არ მატყუებ? მართლა ცხელი მზეა?

— მზე? მზე ისეთია, პირდაპირ შეგშლის ჭკუიდან. ახლა არლელი ქალები ნახე! ასეთი ლამაზი ქალები იშვიათია. ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ ბერძენი წინაპრების სწორი, ჩამოთლილი ნაკვთები, რაც რომაელი დამპყრობლების ძლიერ, ძარღვიან სხეულს შერწყმია. საოცარია, მაგრამ აღმოსავლური სული ტრიალებს იქ. მე მგონი, ეს სარკინოზთა რბევის შედეგია მერვე საუკუნეში. ერთხელ იქ ნამდვილი ვენერა ამოთხარეს.

და ეს წმინდა წყლის არლელი ქალი იყო.

— საკმაოდ მიმზიდველად ჟღერს, — გამოტყდა ვინსენტი.

— მიმზიდველნი მართლაც არიან. ჯერ მისტრალმა წამოუბეროს, შენ მერე ნახე!

— მისტრალი რაღაა? — დაინტერესდა ვინსენტი.

— მიხვალ და ნახავ. — ჩაიცინა ლოტრეკმა.

— ცხოვრების პირობები როგორია? იაფობაა?

— იქ ფულს ვერც ვერაფერზე დახარჯავ, მხოლოდ საჭმელზე და ბინაზე. ეს კი ძვირი არ არის. თუ მართლა აპირებ პარიზიდან წასვლას, რატომ არ გესინჯა არლი?

— არლი, — ბუტბუტებდა ვინსენტი, — არლი და არლელი ქალები. ერთი ასეთი ქალი დამახატინა ნეტავ!

პარიზმა საოცრად მოქანცა ვინსენტი. აქ მეტისმეტად ბევრი აბსენტი ყლაპა, უამრავი თამბაქო აბოლა, ბევრი იწვალა.

პარიზი ყელში ამოუვიდა. უნდოდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა გაქცეულიყო სადმე, სადაც წყნარად, მშვიდად, მთელ თავის ენერგიას მხოლოდ ხატვას შეალევდა. მას ახლა მზე სჭირდებოდა, სხვა არაფერი. რაღაცნაირად გრძნობდა, რომ რვა წლის გულმოდგინე შრომის ნაყოფს სულ მალე მოიწევდა. ის, რაც დღემდე დაეხატა, ჯერჯერობით ბევრს არაფერს ნიშნავდა. წინ კიდევ ერთი პატარა დაბრკოლება დარჩა და ვინ იცის, ეგებ იმან შეუქმნას თუნდაც რამდენიმე ისეთი ტილო, რაც გაამართლებს მთელ მის ცხოვრებას.

როგორ თქვა მონტიჩელიმ? ათი წელი გულდაგულ უნდა ვიშრომოთ, რომ ბოლოს ორი-სამი კარგი ტილო დავხატოთო.

პარიზში ვინსენტს არც ზრუნვა აკლდა, არც მეგობრობა, არც სიყვარული. თეო ცდილობდა სიმყუდროვე შეექმნა მისთვის, აჭმევდა, ასმევდა, სახატავ მასალებს იმაზე მეტს ყიდულობდა, ვიდრე საჭირო იყო, ძალ-ღონეს არ იშურებდა, ოღონდ ძმას არ მოჰკლებოდა რამე. თანაგრძნობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

იცოდა ვინსენტმა, პარიზიდან წასვლა და მისი გასაჭირში ჩავარდნა ერთი იქნებოდა. მარტოკას თეოს გამოგზავნილი ფულის განაწილება გაუჭირდებოდა. ნახევარჯერ მშიერი ივლიდა.

იჯდება მთელი დღე რომელიმე მიგდებულ კაფეში, ვერც საღებავებს იყიდის რამდენიც საჭიროა, არც ხმის გამცემი ეყოლება გვერდით.

— ნახე, როგორ მოგეწონება არლი, — უთხრა ტულუზ-ლოტრეკმა მეორე დღეს.

— სიწყნარეა, არავინ ხელს არ გიშლის, მშრალი ჰავა, საუცხოო კოლორიტი, მთელს ევროპაში ვერ ნახავ ადგილს, სადაც ნამდვილი იაპონური ფერების ასეთი სინათლე იყოს.

მხატვრისთვის პირდაპირ სამოთხეა. მე ასე რომ არ ვიყო პარიზზე მიჯაჭვული, აუცილებლად წავიდოდი იქ.

იმ საღამოს თეო და ვინსენტი კონცერტზე წავიდნენ, ვაგნერი მოისმინეს. სახლში ადრე დაბრუნდნენ და მთელი საღამო თავიანთ ბავშვობას იხსენებდნენ ზუნდერტში. მეორე დილით ვინსენტმა ყავა მოუდუღა ძმას და როცა თეო გალერეაში წავიდა, ისე დააწკრიალა და დაასუფთავა სახლი, რაც მათი გადმოსვლის დღიდან არ ღირსებია იქაურობას. კედელზე რამდენიმე ნახატი ჩამოჰკიდა, ნატურმორტი, მამილო ტანგის პორტრეტი, თავისი განუყრელი ჩალის ქუდით, მულენ დე ლა გალეტის პეიზაჟი, შიშველი ქალის სურათი ზურგიდან და ელისეს მინდვრების ეტიუდი.

საღამოს შინ დაბრუნებულ თეოს წერილი დახვდა სასადილო მაგიდაზე.

„ძვირფასო თეო, არლში წავედი, როგორც კი ჩავალ, მაშინვე მოგწერ.

კედელზე რამდენიმე ნახატი დაგიკიდე, რომ არ დამივიწყო.

ნახვამდის, ვინსენტი.“

წიგნი მეექვსე
არლი

1.

არლის მზე შიგ შუბლში ეტაკა ვინსენტს.

მისი უზარმაზარი, ლიმონისფერი, ცახცახა ბურთი ლურჯად მოკამკამე ცაზე დასრიალებდა და იქაურობას თვალისმომჭრელი შუქით ავსებდა. აუტანელი პაპანაქება და უჩვეულოდ გამჭვირვალე ჰაერი სრულიად ახალ, გამოუცნობ სამყაროს ქმნიდა.

ადრიანი დილა იყო, როცა ვინსენტი მესამე კლასის ვაგონიდან გადმოვიდა და მიხვეულ-მოხვეულ გზას დაადგა, რომელიც სადგურიდან ლამარტინის ქუჩისაკენ მიემართებოდა. ბაზრის მოედნიდან ამ გზას ცალ მხარეს რონის სანაპირო გასდევდა, ხოლო მეორე მხარეს კი კაფეებისა და ყოვლად უბადრუკი სასტუმროების რიგი.

ცხელი, ტროპიკული მზით გაბრუებული არლი ისე მიკვროდა მთის ფერდობს, გეგონებოდა კალატოზის ქაფჩას მიულესია ზედო.

ვინსენტისთვის სულერთი იყო სად იცხოვრებდა. როგორც კი მოედანზე გამოვიდა, პირველივე შემხვედრ სასტუმროში — „ოტელ დე ლა გარში“ შეაბიჯა და ნომერი აიღო. ოთახში იდგა სპილენძის საშინელი საწოლი, პირსაბანი, ტაშტი, გაბზარული თუნგი და ერთი უხეირო სკამი. სასტუმროს პატრონმა მოუტანა აგრეთვე შეუღებავი მაგიდა. მოლბერტის დასადგმელად ადგილი არ კმაროდა, მაგრამ ვინსენტი დიდად არ ნაღვლობდა, რადგან მთელი დღე ღია ცის ქვეშ აპირებდა მუშაობას.

ჩემოდანი საწოლზე დააგდო და ქალაქის დასათვალიერებლად გაეშურა. ლამარტინის მოედნიდან ქალაქის ცენტრისკენ ორი გზით შეიძლებოდა წასვლა. მარცხნივ, ტრამვაის ხაზი წრიული მარშრუტით უვლიდა ქალაქს და გარეუბნისკენ მიემართებოდა, შემდეგ რომაელთა ფორუმსა და ამფითეატრს უგანებდა და ზანტად, მიხვეულ-მოხვეული გზით, მთის წვერისაკენ იღებდა გეზს. ვინსენტმა უმოკლესი გზა ირჩია და ვიწრო ქუჩების ლაბირინთს მიჰყვა. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა აღმართი აათავა და თაკარა მზით ავსილ მერიის მოედანზე გამოვიდა. გზადაგზა ცივი ქვის ყორეშემოვლებულ, ოთხკუთხა ეზოებს ხვდებოდა. გეგონებოდათ, რომაელთა შემოსევის დღიდან მათთვის თითიც არავის დაუკარებიაო. ჭკუიდან შემშლელი, მცხუნვარე მზის თავიდან ასაცილებლად, სახლები მეტისმეტად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. შუა ქუჩაში ხელი რომ გაეშალა ვინსენტს, ორივე მხარეს თავისუფლად შეეხებოდა სახლის კედლებს. ხოლო მისტრალისაგან თავის დასაღწევად, ქუჩები დაგრეხილ ლაბირინთებად შეფენოდა ფერდობს და ყოველი ათი იარდის შემდეგ ხან მარჯვნივ უხვევდა და ხან მარცხნივ. ქუჩები ნაგვით იყო სავსე. ბინძური ბავშვები ამ ჭუჭყს ქექავდნენ; ირგვლივ ყველაფერს უსუფთაობისა და სიძველის სუნი ასდიოდა.

ვინსენტმა მერიის მოედანი გადაჭრა და პატარა ხეივნით ბაზრისაკენ მიმავალ მთავარ ქუჩაზე გავიდა. შემდეგ პარკზე გადაიარა და ფრთხილად დაეშვა რომაელთა ამფითეატრისაკენ. მარდად აჰყვა საფეხურებს და თეატრს თავზე მოექცა. იქ ქვის სკამზე ჩამოჯდა, ფეხები ქვემოთ, ასობით საფეხურისაკენ ჩამოუშვა, ყალიონი გააბოლა და თავის სამფლობელოს გადახედა, რომლის ბატონ-პატრონად და მბრძანებლად თვითონვე დაინიშნა თავი.

მის წინ გადაშლილი ქალაქი ათასფერი შადრევანივით მოსხლეტით ეშვებოდა რონასაკენ. სახლის სახურავები რთული ნახაზივით, უჩვეულოდ მისდევდნენ ერთმანეთს. ყველა სახლი ოდესღაც წითელი ფერის კრამიტით გადაეხურათ, მაგრამ ულმობელი მზის მცხუნვარებას მათთვის ძველი ფერის ყოველგვარი ნასახი წაერთმია და სხვადასხვა ფერად გამოეხუნებინა, დაწყებული ლიმონისფერიდან და ნაზი ვარდისფერიდან, მუქ ლილისფერ-ყავისფერით გათავებული.

იმ მთის ძირში, რომელზეც არლი იყო გაშენებული, ფართო, ჩქარი რონა უეცრად უხვევდა და შემდეგ ლარივით გაჭიმული პირდაპირ ხმელთაშუა ზღვისაკენ მიეშურებოდა. ორივე მხარეს ქვიანი სანაპირო გასდევდა მდინარეს. მის ნაპირას აგებული პატარა ქალაქი ტრინკეტაი დახატულივით მოჩანდა აქედან. ვინსენტის ზურგსუკან მთები მიჯროდა ერთმანეთს, თეთრ, გამჭვირვალე უსასრულობაში მაღლა ატყორცნილი, ხოლო წინ კი მთელი პანორამა გადაშლილიყო — დახნული მინდვრები, აყვავებული ბაღები, მონტმაჟურის მაღალი გორა, ნაყოფიერი ველები,

ათასობით შავ ბელტად ქცეული და ეს ყველაფერი, სადღაც შორს, შორს, პირველად საწყისში იყრიდა თავს.

ყველაფერ ამას ისეთი ცოცხალი ფერი ედო, რომ ვინსენტი გაშტერებული იფშვნეტდა თვალებს. ცა ისეთი სუფთა, ღრმა ცისფერი იყო, რომ უკვე ფერის ყოველგვარი შეგრძნება ქრებოდა და უსასრულობაში იკარგებოდა. ეს ველ-მინდვრები ხომ სიმწვანის უჩვეულო, გამაგიჟებელ განსახიერებას წარმოადგენდა. თვალისმომჭრელი, ლიმონისფრად მოელვარე მზე, სისხლივით წითელი მიწა, მონტმაჟურის თავზე ობლად შერჩენილი, თოვლივით ქათქათა ღრუბელი, გასაოცარ ვარდისფრად აფეთქილი ბაღები... არა, ასეთი ფერების არსებობა პირდაპირ დაუჯერებელია. ნუთუ შეიძლება ეს ტილოზე გადმოიტანოს?

რომც გადმოიტანოს, როგორ დააჯეროს ვინმე, რომ ეს ფერები მართლაც არსებობენ?! ლიმონისფერი, ლურჯი, მწვანე, წითელი, ვარდისფერი — ეს ხუთივე ფერი უხვად გადმოეფრქვია ბუნებას, მთელი თავისი სისავსით.

ვინსენტი ტრამვაით დაბრუნდა ლამარტინის მოედანზე, მოლბერტს, საღებავებს, ტილოს ხელი დასტაცა და რონის სანაპიროს გაუყვა. ნუში ყვაოდა. მზე თვალისმომჭრელ თეთრ მუქად ირეკლებოდა მდინარის ზედაპირზე და თვალებს სტკენდა. ქუდი შინ დარჩენოდა. მზის მცხუნვარებამ მწითური თავი გაუხურა და სრულად განუდევნა პარიზიდან წამოყოლილი სიცივე, დაღლილობა. მოთენთილობა და უცნაური მოყირჭების გრძნობა, რითაც ყელამდე აავსო იგი ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებამ.

დაახლოებით ერთი კილომეტრი რომ გაიარა, ასაწევი ხიდი დაინახა რონაზე. ხიდზე პატარა ურიკა გადადიოდა და ლურჯი ცის ფონზე მუქ სილუეტად იკვეთებოდა. მდინარეც ლურჯი იყო. აგურისფერ ნაპირებზე მწვანე ბალახი ბიბინებდა. რამოდენიმე ქალი, რომელთაც უსახელო კაბები ეცვათ და ნაირფერი ქუდები ეხურათ, განცალკევებით მდგარი ხის ჩრდილქვეშ თეთრეულს რეცხავდა მდინარეში.

ვინსენტმა მოლბერტი დადგა, ღრმად ჩაისუნთქა და თვალები დახუჭა. თვალღია ამ კოლორიტის აღქმა შეუძლებელი იყო. გადაივიწყა სიორას მეცნიერული პუანტილიზმი, გოგენის პრიმიტიული დეკორატიულობა, სეზანის წარმოდგენები სხეულთა განაწილებაზე, ლოტრეკის შტრიხი, კოლორიტი და მისი ღვარძლიანი სიძულვილი.

ახლა დარჩა მხოლოდ ვინსენტი და სხვა აღარაფერი.

სადილობისას სასტუმროში დაბრუნდა. ბარში პატარა მაგიდას მიუჯდა და აბსენტი მოითხოვა. იმდენად აღელვებული იყო და სავსე გრძნობით, რომ ჭამის თავი აღარ ჰქონდა. მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა კაცმა შენიშნა, რომ ვინსენტს ხელები, სახე, ტანსაცმელი საღებავით მოთხუპნოდა და გამოელაპარაკა.

— მე პარიზელი ჟურნალისტი გახლავართ, — გამოემცნაურა იგი, — უკვე სამი თვეა აქა ვარ და მასალას ვკრებ, რომ პროვანსულ დიალექტზე წიგნი დავწერო.

— მე ამ დილით ჩამოვედი პარიზიდან, — უთხრა ვინსენტმა.

— ასეც ვიფიქრე. დიდხანს აპირებთ დარჩენას?

— დიახ, ალბათ.

— მე თუ მკითხავთ, არ გირჩევთ. არლისთანა საზიზღარ ადგილს ვერსად შეხვდებით დედამიწის ზურგზე.

— რატომ გგონიათ?

— არ მგონია. ვიცი. უკვე სამი თვეა აქაურ ხალხს ვუყურებ და გეუბნებით, ნამდვილად შეშლილნი არიან. აბა ერთი კარგად დააკვირდით, თვალებში ჩახედეთ მათ. მთელს ტარასკონის ოლქში ერთ ნორმალურ ადამიანს ვერ იპოვნით.

— საოცარია, — შენიშნა ვინსენტმა.

— გავა ერთი კვირა და თქვენც ამ აზრის იქნებით. არლის მიდამოები ყველაზე უბადრუკი და ღვთისპირისაგან წყეული ადგილია მთელს პროვანსში. ნახეთ, რა მზე იყო დღეს? ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოსდის ამ ხალხს, რომელთაც დღითიდღე აბრუებს ასეთი მზე?! გელაპარაკებით, ნამდვილად გამოაშრობს ტვინს ეგ მზე. ახლა მისტრალი. ჯერ არ იცით, არა, რა არის მისტრალი? ცოტაც მოიცათ, ჩემო კარგო და ნახავთ. წელიწადში ორას დღეს გადარეულივით დააცხრება ხოლმე ამ ქალაქს. ქუჩაში თუ წაგასწრო, სახლის კედელზე მიგაგდებს და მიგალესავს ზედ. მინდორში თუ დახვდი, ძირს დაგცემს და ლამისაა მიწაში ჩაგაძვრინოს. მთელ გულმუცელს გადმოგიტრიალებს და იმ ზომამდე მიგიყვანს, ითქვრებ, ცოტაც და ვეღარ ავიტანო. მე მინახავს, რომ ეგ წყეული გრიგალი ფანჯრებს ლეწავს, ხეებს ძირიანად აძრობს, ღობეებს ანგრევს, ხოლო ხალხს და ცხოველებს ისე ანარცხებს მიწაზე, მიფიქრია, ახლა სულ დაგლეჯს და გაფანტავს-მეთქი, უკვე სამი თვეა აქა ვარ და ვგრძნობ, რომ ცოტა არ იყოს მეც გამოვიცვალე. მაგრამ ხვალ დილით აქ აღარ ვიქნები!

— ცოტას ხომ არ აზვიადებთ, — უთხრა ვინსენტმა, — აქაურები ბევრი არ მინახავს, მაგრამ ვინც ვნახე, სავსებით ნორმალური მეჩვენა.

— თქვენ ჯერ არ იცნობთ მათ. გავა დრო და გაიგებთ, რა ხალხია. იცით, რა დასკვნამდე მივედი?

— არა. რა დასკვნამდე მიხვედით? აბსენტს ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ. ჩემის აზრით, არლი ბნედითაა შეპყრობილი.

ეს ავი ზნე ისეთნაირად იპყრობს მას და ისეთ ნერვულ დაძაბულობამდე მიჰყავს, რომ საცაა პირზე დუჟმომდგარი კრუნჩხვებისაგან დაიგრიხება-მეთქი, მგონია.

— მერე, მისულა მანდამდე?

— არა. საქმეც ეგ არის. აქაურობა სულ კრიზისის პირას დგას და ჯერ კრიზისი არ დადგომია. აგერ უკვე სამი თვეა ველი, ან რევოლუცია იფეთქებს, ან მერიის მოედანზე ვულკანი ამოხეთქავს-მეთქი. რამდენჯერ ისიც მიფიქრია, ახლა ყველა ჭკუიდან შეიშლება და ერთმანეთს ყელს გამოღადრავენ-მეთქი, მაგრამ სწორედ იმ წუთას, როცა ის-ის არის, აფეთქება უნდა დაიწყოს, მისტრალი რამდენიმე დღით ცხრება და მზეც ღრუბლებს ეფარება.

— მაშასადამე, — გაიცინა ვინსენტმა, — თუკი შეტევა არ მოსდის, არლს ბნედიანს ვერ დავუძახებთ, ხომ მართალია?

— მართალია, — უპასუხა ჟურნალისტმა, — მაგრამ, ჩემის აზრით, იგი მაინც ეპილეპტოიდურია.

— ეგ რაღა ჯანდაბაა?

— მე ახლა სტატიას ვწერ ჩემი გაზეთისთვის პარიზში. ეს იდეა ერთმა გერმანულმა წერილმა მომცა.

მან ჟურნალი ამოაცოცა ჯიბიდან და ვინსენტს წინ გადაუშალა მაგიდაზე.

— ამ ექიმებმა შეისწავლეს ასობით შემთხვევა, როცა ადამიანის ნერვიული მოშლილობა იქამდე მიდის, რომ ეპილეპსიის მდგომარეობას ემსგავსება, მაგრამ შეტევით არასოდეს არ მთავრდება. ამ სქემაზე ნაჩვენებია, აი ამ კლაკნილი ხაზით,

მათი ნერვული აღელვება. ექიმები ამას ხანგამოშვებით ციებცხელებას ეძახიან. ჰოდა, ყოველ ასეთ ავადმყოფს, რაც დრო გადის, სულ უფრო უძლიერდება ეს დაძაბულობა, ვიდრე ოცდათხუთმეტ, ოცდათვრამეტ წელს არ მიაღწევს. დაახლოებით ოცდათექვსმეტი წლისას ნამდვილი ეპილეპტური შეტევა მოსდის. შემდეგ კიდევ ხუთი, ექვსი ასეთი შეტევა და ერთორ წელიწადში სულსაც განუტევებს.

— ეს ხომ მეტისმეტად ნაადრევი სიკვდილია, — უთხრა ვინსენტმა. — სწორედ მაგ ასაკში მოდის კაცი ჭკუაზე.

ჟურნალისტმა ისევ ჯიბეში ჩაიდო თავისი ჟურნალი.

— თქვენ ამ სასტუმროში აპირებთ გაჩერებას? — ჰკითხა მან ვინსენტს. — ჩემი სტატია თითქმის მზადაა. დაიბეჭდება თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნით. ჩემი აზრი ასეთია: არლი ეპილეპტოიდური ქალაქია. საუკუნეების განმავლობაში ხშირდებოდა მისი მაჯისცემა. პირველი შეტევა უკვე მოახლოვდა.

საცაა, იფეთქებს კიდეც. თანაც ძალიან მალე. როგორც კი ეს მოხდება, ჩვენ საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. დაიწყება კაცისკვლა, აქაურობა ცეცხლს მიეცემა, ადგილი ექნება ძალადობას და საყოველთაო განადგურებას! შეუძლებელია, რომ ეს ქალაქი გამუდმებით იმყოფებოდეს ასეთი ტანჯვისა და ღონემიხდილობის მდგომარეობაში. რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც. მე ვტოვებ ამ ქალაქს, ვიდრე ხალხს დუჟი არ მოსდგომია პირზე. ჩემი რჩევაა, თქვენც განერიდოთ აქაურობას!

— გმადლობთ, — უთხრა ვინსენტმა. — მე მომწონს აქ.

ახლა კი ჩემი წასვლის დროა. ხვალ დილით ხომ გნახავთ? არა?

მაშ, კეთილი მგზავრობა. სტატიის გამოგზავნა არ დაგავიწყდეთ.

2.

ვინსენტი ყოველ დილით ალიონზე დგებოდა და რამდენიმე კილომეტრზე მიჰყვებოდა მდინარის ნაპირს, ან ქალაქის გარეუბანში დახეტიალობდა, რომ რაიმე მომხიბვლელი ადგილი ენახა დასახატად. საღამოობით უკვე მთლიანად დასრულებული ტილო მოჰქონდა შინ. დასრულებული, იმიტომ, რომ აღარაფერი ჰქონდა დასამატებელი. ივახშმებდა თუ არა, მაშინვე ლოგინს მიაშურებდა და იძინებდა.

ვინსენტი ანგარიშმიუცემლად, მანქანასავით მუშაობდა და შეუსვენებლად ხატავდა; ერთ ტილოს სულმოუთქმელად მოსდევდა მეორე, ისე რომ, ხეირიანად არც ესმოდა რას აკეთებდა.

ხეხილის ბაღები აყვავებული ხეებით იყო გადაპენტილი და ვინსენტს ერთი სული ჰქონდა ყველაფერი ჩაეხატა, არაფერი გამორჩენდა. თავს აღარ იტეხდა იმაზე ფიქრით თუ როგორი იყო მისი ნახატები. ისე, უბრალოდ ხატავდა. ექვსი წლის დაძაბულმა შრომამ ახლა იფეთქა და ზღვა ენერგიად მოაწყდა.

ზოგჯერ, როცა უთენია იწყებდა ხატვას, შუადღისთვის ტილო მზად იყო. ვინსენტი შინისაკენ გაეშურებოდა, ერთ ფინჯან ყავას დალევდა და სუფთა ტილოთი ხელში ახლა სხვა მხარეს მიდიოდა.

არ იცოდა, კარგი იყო მისი სურათები თუ ცუდი, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ახალმა ფერებმა სულ დაათრო და გააბრუა იგი.

არავინ ელაპარაკებოდა ვინსენტს. დიდად არც თვითონ ირჯებოდა, რომ ვინმეს გამომცნაურებოდა. იმ მცირე ენერგიას, რაც ხატვისგან რჩებოდა, მისტრალთან ბრძოლას ანდომებდა. კვირაში სამი დღე უხდებოდა მიწაში ღრმად ჩარჭობილ პალოზე მიბმულ მოლბერტთან მუშაობა. ყოველ შემობერვაზე მოლბერტი თოკზე გადაფენილი ზეწარივით ირწეოდა წინ და უკან. ღამღამობით ისე უხურდა და თრთოდა მთელი სხეული, თითქოს კარგა მაგრად მიუბეგვიათო.

უქუდოდ დადიოდა და თაკარა მზისაგან შეუმჩნევლად გასცვივდა თმა კეფაზე. საღამოთი, სასტუმროს რკინის საწოლზე წამოწოლილს, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს შუაცეცხლში ჰქონდა თავი შეყოფილი. კაშკაშა მზემ მხედველობაზეც იმოქმედა და ველების სიმწვანეს ცის სილურჯისაგან ვეღარ ანსხვავებდა. თუმცა, მუშაობის შემდეგ სასტუმროში დაბრუნებული ხედავდა, რომ მისი ნახატები ახლახან ნანახი მომაჯადოებელი ბუნების შეუდარებელ განმეორებას წარმოადგენდა.

ერთხელ, მთელი დღე მოუნდა ხეხილის ბაღის დახატვას.

მიწა იასამნისფერი იყო, ღობე წითელი, ხოლო ორ, ვარდისფრად გადაპენტილ ატმის ხეს ფონად ლურჯი ცა ჰქონდა, სუფთა, კრიალა, თეთრ ღრუბლებთან ლამაზად შეხამებული.

ჯერ ასეთი არაფერი დამიხატიაო, ჩაიბურტყუნა ვინსენტმა თავისთვის.

სასტუმროში წერილი დახვდა, ატყობინებდნენ, ანტონ მაუვე გარდაიცვალაო, ჰააგაში. ახლად დახატულ ატმის ხეს მიაწერა „ძღვნად მაუვეს. ვინსენტი და თეო“ და ვილებომენზე გაგზავნა სურათი.

მეორე დილით აყვავებული ქლიავის ბაღი აღმოაჩინა. ის იყო გაახურა მუშაობა, რომ უეცრად გრიგალი ამოვარდა.

ზღვის მსგავსად მოაწყდებოდა და მიწყნარდებოდა. წყნარ შუალედებში მზე გამობრწყინდებოდა და ხეხილის ყვავილებიც თეთრად იწყებდა ციმციმს. ყოველ წუთს შეიძლებოდა ქარს მისი მოლბერტი მიწაზე წამოექცია, მაგრამ ვინსენტი შეუმჩნევლად ხატავდა და ხატავდა. ის დრო მოაგონდა, სხეევენინგენში წვიმასა და ქარიშხალში, ფუნჯი რომ ეჭირა ხელში და აღრიალებული ოკეანე გაცოფებული ეხლებოდა მასა და მის მოლბერტს. ტილოზე თეთრი ფერი სჭარბობდა, ყვითელ, ლურჯსა და იასამნისფერთან შედარებით. როცა დაასრულა, მისდა გასაოცრად ნახატზე მისტრალი დაინახა, თუმცა სულაც არ უცდია მისი დახატვა.

— ხალხს ეგონება, მთვრალს უხატავსო, — თვითონვე გაეცინა ვინსენტს.

თეოს გუშინდელი წერილი გაახსენდა. თურმე ტერსტეგი პარიზში ჩამოსულა, სისლეის ნახატები უნახავს და თეოსთვის უთქვამს, მე მგონი, ამის დამხატავი ცოტა გადაკრულში ყოფილაო.

— ტერსტეგს ჩემი აქაური ნახატები რომ აჩვენა, — გაიფიქრა ვინსენტმა, — ნამდვილად იტყოდა, ეს სულ წყალწაღებული ლოთის ნახელავიაო.

არლის მკვიდრნი სათოფეზეც არ ეკარებოდნენ ვინსენტს.

ყოველ დილით გამთენიისას ხედავდნენ, როგორ გადიოდა ქალაქგარეთ მძიმე მოლბერტწამოკიდებული, უქუდოდ, ნიკაპი ენერგიულად წამოეწია წინ და თვალებში ავადმყოფური ცეცხლი უკიაფებდა. საღამოობით, დაბრუნებისას, ორი ჩავარდნილი თვალი ნაკვერჩხალივით უელავდა, კეფა შებრაწული მწვადივით დასწითლებოდა,

იღლიაში სველი ტილო ჰქონდა ამოჩრილი და ხელების ქნევით რაღაცას ლაპარაკობდა თავისთვის.

ქალაქმა სახელი შეარქვა და ყველა ასე ახსენებდა ხოლმე:

ფუ-რუ (*Fou-Roux — მწითური გიჟი — ფრ.).

— იქნებ მართლაც მწითური გიჟი ვარ და მეტი არაფერი, — ეუბნებოდა ვინსენტი თავის თავს. — რა ვუყოთ მერე?!

სასტუმროს პატრონი, რაც შეეძლო, ყვლეფდა ვინსენტს.

მაგრამ ჭამის საკითხი ვერაფრით ვერ მოაგვარა ვინსენტმა. აქაურები, თითქმის ყველანი, შინ ამზადებდნენ საჭმელს. რესტორნებში ძვირი იყო. მიუხედავად ამისა, ყველა რესტორანი შემოიარა, მაგრამ ხეირიანი წვნიანიც ვერსად ნახა.

— ნუთუ არ შეიძლება, კარტოფილი შემიწვათ, მადამ — ჰკითხა ერთგან.

— არ შემიძლია, მუსიე.

— მაშინ, იქნება ბრინჯი გქონდეთ.

— ბრინჯი ხვალ გვექნება.

— მაკარონი ხომ არ გექნებათ?

— მაკარონისთვის ჩვენი ღუმელი არ კმარა.

— ბოლოს სრულიად ანება საჭმელზე ფიქრს თავი, და რაც შეხვდებოდა, იმას მიირთმევდა. მშიერი მუცელი ხელს არ უშლიდა მცხუნვარე მზეში თავდავიწყებით ემუშავა. ნოყიერი საჭმლის მაგივრად აბსენტით, თუთუნითა და დოდეს ტარტარენის მოთხრობებით კმაყოფილდებოდა, უთვალავი საათის დაძაბულმა მუშაობამ მოლბერტთან სულ დააწყვიტა ნერვები.

ახლა რაიმე აღმგზნები საშუალება სჭირდებოდა. აბსენტი აღიზიანებდა და მეორე დღეს სულ აღგზნებული იყო, ამას მისტრალიც ემატებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მცხუნვარე მზე ისევ აშრობდა და ანელებდა.

ზაფხული დადგა. ირგვლივ ყველაფერი გადაიხრუკა. მთელ არემარეს ძველი ოქროს, ბრინჯაოსა და სპილენძის ფერი დაედო, მომწვანო ლაჟვარდისფერი ცის სიმხურვალით განათებული. რასაც კი მზის შუქი მიწვდებოდა, ყველაფერი გოგირდისფერი ხდებოდა. ვინსენტის ნახატებიც ყვითელ ფერს აევსო.

ევროპის მხატვრობისთვის, აღორძინების ხანის შემდეგ, უცხო იყო ყვითელი ფერი, მაგრამ ეს დიდად არ ადარდებდა ვინსენტს. ტუბებიდან ყვითელი საღებავი უხვად იღვრებოდა მის ტილოზე, და ამ მზედაკრულ, მზით გარუჯულ-გაშავებულ სურათებს ჰაერით ავსებდა.

ვინსენტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კარგი სურათის დახატვა ისევე ძნელია, როგორც ბრილიანტის ან მარგალიტის პოვნა.

იგი უკმაყოფილო იყო თავისი თავითაც და ნახატებითაც, მაგრამ იმედს არ ჰკარგავდა. ერთიც იქნება და რიგიანად დავხატავ მეცო. ეს იმედი დიდხანს მოჩვენებითი იყო, და მაინც საკუთარ არსებობას მხოლოდ და მხოლოდ ხატვის დროს გრძნობდა. პირადი ცხოვრება ვინსენტისთვის არ არსებობდა. იგი მანქანად იქცა, ბრმად მხატავ მანქანად, რომელსაც ყოველ დილით საჭმელის, სასმელისა და საღებავების ჩასხმა სჭირდებოდა, საღამოობით კი დასრულებულ ნახატს აბრუნებდა უკან.

მერე და რისთვის? გასაყიდად? რასაკვირველია, არა! მათი ყიდვა არავის სურდა და ეს მშვენივრად იცოდა ვინსენტმა.

მაშ რაღაზე ჩქარობს? რატომ ერეკება ასე და აიძულებს თავის თავს ხატოს ათობით ახალი ტილო. როცა მისი რკინის საწოლის ქვეშ უკვე ტევა აღარ არის!

წარმატების ყოველგვარი სურვილი ჩაიფერფლა. ხატავდა ვინსენტი იმიტომ, რომ არ შეეძლო არ ეხატა, იმიტომ, რომ ამით სულიერი ტანჯვა უმსუბუქდებოდა და ეს იყო მისთვის ერთადერთი გონებრივი საზრდო. დაე, ნურც ცოლი ეყოლება, ნურც შვილი, ნურც სახლ-კარი ექნება; უსიყვარულოდაც გასძლებს როგორმე, უფუფუნებოდაც, უსმელ-უჭმელიც. ღმერთი რომ ღმერთია, ისიც კი აღარ სჭირდება ახლა. ერთადერთი რამ არის ამ ქვეყნად, ურომლისოდაც ვერ იცოცხლებს. რასაც გაცილებით მაღლა აყენებს თავის თავზე და რაც მის ცხოვრებას უდრის. ეს არის ძალა და უნარი ქმნისა, შემოქმედებისა.

3.

ვინსენტი ბევრს ეცადა, ვინმე მენატურე დაექირავებინა, მაგრამ არლის მცხოვრებნი ვერაფრით ვერ დაითანხმა. ასე ეგონათ, ვინსენტი დაგვამახინჯებსო, და ეშინოდათ მეგობრების სასაცილო არ გამხდარიყვნენ. ვინსენტი დარწმუნებული იყო, მასაც რომ ბუგროსავით ლამაზად ეხატა, მაშინ ხალხს აღარ შერცხვებოდა მისი დახატული პორტრეტის. ბოლოს და ბოლოს, პორტრეტებზე ფიქრს თავი ანება და მხოლოდ პეიზაჟების ხატვას მოეკიდა.

შუა ზაფხული იყო. ირგვლივ სიცხის ბუღი და პაპანაქება ტრიალებდა, ხოლო ქარი სრულიად მიწყდა. მის პალიტრაზე გოგირდისფერი ყვითელი ღია ჩალისფერმა შესცვალა. ვინსენტს რენუარი და მისი სუფთა, კოხტა შტრიხები ედგა მუდამ თვალწინ. პროვანსის გამჭვირვალე ჰაერში ისეთი ნაზი და კამკამა იყო ყველაფერი, როგორც იაპონურ გრავიურაზე.

ერთხელ, დილაადრიანად ერთი გოგონა შენიშნა ვინსენტმა; მზით გარუჯულს, ფერფლისფერი თმა და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ღია ვარდისფერი ჩითის ბლუზის ქვეშ მკაფიოდ მოუჩანდა მკვრივი, ოდნავ ამობურცული მკერდი. მის ქალწულებრივ ნაკვთებში იმდენი უბრალოება იმალებოდა, რამდენიც ამ ველ-მინდვრებს ჰქონდა. დედამისი საკმაოდ უცნაური გარეგნობის ქალი იყო. მისი გამოხუნებული, ლურჯ-ყვითელი კაბა სრულიად არ ეხამებოდა კაშკაშა მზით განათებულ თოვლივით თეთრსა და ლიმონისფერ ყვავილებს. ორივე დედაშვილმა მცირე თანხის საფასურად რამდენიმე საათს ახატინა თავი ვინსენტს.

იმავე საღამოს, სასტუმროში დაბრუნებულ ვინსენტს იმ მზით გარუჯულ გოგონაზე ფიქრი აეკვიატა. ძილი არ ეკარებოდა. არლში იყო რამდენიმე საროსკიპო, სადაც ხუთი ფრანკი ღირდა შესვლა და სადაც ძირითადად ზუავები დადიოდნენ. ეს ის ზანგები იყვნენ, რომლებიც სამხედრო წვრთნას გადიოდნენ საფრანგეთის არმიისათვის.

რამდენიმე თვე იყო ქალისთვის ხმა არ გაეცა ვინსენტს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რამდენიმეჯერ ყავა და თამბაქო იყიდა. მოაგონდა მარგოს ჟინიანი ჩურჩული, მისი ხელების შეხება სახეზე, რასაც სიყვარულით სავსე კოცნა მოსდევდა.

ფეხზე წამოიჭრა. ლამარტინის მოედანი გადაჭრა და ქვის სახლების შავ ლაბირინთს შეერია. რამდენიმე წუთის შემდეგ საშინელი ხმაური მოისმა. ვინსენტი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა იქითკენ და რიკოლეტის ქუჩაზე მდებარე სახლთან

სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ჟანდარმებს მთვრალი იტალიელების მიერ მოკლული ორი ზუავი მიჰყავდათ ეტლით. მათი ორი წითელი ფესი ქვაფენილზე ეგდო და სისხლის გუბეში ცურავდა.

ჟანდარმებს ის იტალიელები დაეჭირათ და ციხეში მიათრევდნენ. ხალხის გაბოროტებული ბრბო უკან მისდევდა და გაჰკიოდა:

— სახრჩობელა მაგათ! სახრჩობელა მაგათ!

ვინსენტმა ამ ალიაქოთით ისარგებლა და შეუმჩნევლად შევარდა საროსკიპოში, რიკოლეტის ქუჩაზე, პირველ ნომერში.

მისი მეპატრონე ლუი გამოეგება და დარბაზის მარცხნივ, ერთ პატარა ოთახში შეიყვანა, სადაც რამდენიმე წყვილი იჯდა და სვამდა.

— ერთი პატარა გოგო მყავს, რაშელი, ძალიან კარგია, — შესთავაზა ლუიმ. — ხომ არ ინებებთ? თუ შესახედად არ მოგეწონებათ, მაშინ რომელიმე სხვა აირჩიეთ თქვენ თვითონ.

— აბა მიჩვენეთ!

ვინსენტი მაგიდას მიუჯდა და ყალიონი გააბოლა. დარბაზიდან ხარხარი მოისმა და ოთახში ცეკვა-ცეკვით შემოვიდა გოგონა. იგი მაგიდას მეორე მხრიდან მიუჯდა და გაიღიმა.

— მე რაშელი მქვია.

— მართლა? — წამოიძახა ვინსენტმა. — შენ ხომ სულ ბავშვი ხარ!

— უკვე თექვსმეტი წლისა ვარ, — ამაყად უპასუხა გოგონამ.

— რამდენი ხანია აქა ხარ?

— ლუისთან? წელიწადი იქნება.

— აბა კარგად დამენახვე!

ლამპის ყვითელი შუქი ზურგიდან ეცემოდა და სახე არ უჩანდა. რაშელი კედელს მიეყრდნო, მერე ნიკაპი მაღლა ასწია და სინათლისაკენ მოაბრუნა თავი, რომ ვინსენტს დანახვებოდა.

მრგვალი, მსუქანი სახე ჰქონდა, ფართოდ გახელილი, უაზრო, ლურჯი თვალები და ხორცსავსე ყელი და ნიკაპი.

— ლამაზი ყოფილხარ, რაშელ! — უთხრა ვინსენტმა.

გოგონას უშინაარსო თვალებში ბავშვური, ანცი ღიმილი აუთამაშდა. მერე შეირხა და ვინსენტის ხელს დასწვდა.

— რა კარგია რომ მოგწონვარ. მიყვარს, როცა მოვწონვარ კაცებს. ასე უფრო სასიამოვნოა ყველაფერი, ხომ მართალია?

— რა თქმა უნდა. მე, მე მოგწონვარ?

— შენ ძალიან სასაცილო ხარ, ფუ-რუ.

— ფუ-რუ?! შენ იცი მე ვინა ვარ?

— ერთხელ ლამარტინის მოედანზე დაგინახე. რას დახეტიალობ ხოლმე, იმ სიმძიმე რაღაცით ზურგზე? თანაც უქუდოდ! მზე არ გაცხუნებს? თვალები სულ დაგწითლებია არ გეწვის?

ვინსენტს მის ბავშვურ გულუბრყვილობაზე გაეცინა.

— რა საყვარელი ხარ, რაშელ. დამიძახებ ჩემს ნამდვილ სახელს თუკი გეტყვი რა მქვია?

— რა გქვია?

— ვინსენტი.

— არა. ფუ-რუ მირჩევნია. შენ ხომ არ გეწყინება ფუ-რუ რომ დაგიძახო? მოდი რა, რამე დავლიოთ. ის ბებერი ლუი დარბაზიდან მითვალთვალებს.

ხელი ყელზე მიიდო და ვინსენტმა დაინახა, როგორ ჩაეფლო მისი თითები ფაფუკ ხორცში. ცარიელ თვალებში ისევ ჩაუდგა ღიმილი. მიხვდა ვინსენტი, მომავალი სიამოვნების მოლოდინს მოასწავებდა ეს ღიმილი და იცოდა, რომ ისიც გრძნობდა ამ სიამოვნებას. რაშელს ჩაშავებული, მაგრამ სწორი, ლამაზი კბილები ჰქონდა. ხორცსავსე ქვედა ტუჩი დაბლა დასწეოდა და თითქმის ეხებოდა კიდეც მის მსუქან ნიკაპს.

— შეუკვეთე ღვინო, — უთხრა ვინსენტმა, — ოღონდ ძალიან ძვირიანი არ გინდა. ფული ბევრი არა მაქვს.

ღვინო რომ მოიტანეს, რაშელმა უთხრა:

— ჩემს ოთახში ხომ არ დაგველია? იქ გაცილებით მეტი სიმყუდროვეა.

— მაგას რა სჯობს!

ქვის კიბეები აიარეს და რაშელის პატარა ოთახში შევიდნენ. აქ იდგა ერთი ვიწრო საწოლი, კარადა და სკამი. თეთრად შეღებილ კედელზე იულიუსის რამდენიმე ფერადი მედალიონი ეკიდა. კარადის თავზე ორი დაგლეჯილ-დაფლეთილი თოჯინა იდო.

— ესენი სახლიდან წამოვიღე, — აუხსნა რაშელმა. — აჰა, ფუ-რუ, აიღე. ეს ჟაკია, ეს კი კატერინა. მე სახლობანას ვეთამაშები ხოლმე მაგათ. უჰ, ფუ-რუ, რა სასაცილო ხარ!

ვინსენტს ერთ ხელში ერთი თოჯინა ეჭირა, მეორეში-მეორე და სულელივით უაზროდ იღიმებოდა. რაშელი გულიანად იცინოდა. მერე თოჯინები გამოსტაცა ხელიდან და ისევ კარადის თავზე წამოასკუპა; სანდლები წაიძრო, კუთხეში მიყარა და კაბა გაიხადა.

— დაჯექი, ფურუ მოდი, სახლობანა ვითამაშოთ. შენ მამა იქნები, მე დედა. გიყვარს სახლობანას თამაში?

ტანდაბალი, ჩაპუტკუნებული გოგო იყო რაშელი. ჩასუქებული თეძოები, კარგა გვარიანად ამობურცული მკერდი და მრგვალი, მსუქანი მუცელი ჰქონდა.

— რაშელ, — უთხრა ვინსენტმა, — იცოდე, თუ ფუ-რუს დამიძახებ, მეც მოგიგონებ ზედმეტ სახელს.

რაშელმა ხელი ხელს შემოჰკრა და მუხლებზე დაუსკუპდა ვინსენტს.

— დამარქვი რა! ძალიან მიყვარს, როცა ახალ სახელს მიგონებენ.

— კარგი. მაშინ შენ ჩემი მტრედი იქნები.

რაშელის განაწყენებული ცისფერი თვალები მაშინვე მოიღრუბლა.

— რატომ მტრედი, მამი?

ვინსენტი ნაზად შეეხო მის ქალწულებრივ, კოხტა მუცელს, — იმიტომ რომ, ჰგავხარ მტრედს, მასაც შენსავით უწყინარი თვალები და პაწაწინა, პუტკუნა ღიპი აქვს.

— მტრედად ყოფნა კარგია?

— ჰო, აბა რა. მტრედი ძალიან ლამაზი და საყვარელია...

შენც ხომ ასეთი ხარ.

რაშელი მისკენ გადაიხარა, ყურზე აკოცა, მერე ზეზე წამოხტა და ორი ჭიქა გამოიტანა ღვინისთვის.

— რა სასაცილო ყურები გაქვს, ფუ-რუ, — იცინოდა რაშელი და თან ღვინოს ხვრეპდა. ცხვირს ჭიქაში ყოფდა და ისე სვამდა, როგორც პატარა ბავშვებმა იციან.

— მოგწონს? — ჰკითხა ვინსენტმა.

— ჰო. როგორ რბილია და მრგვალი, ლეკვის ყურივით.

— წაიღე, შენი იყოს.

რაშელი აკისკისდა. ჭიქა ასწია და ტუჩებთან მიიტანა. ის იყო უნდა დაელია, რომ ვინსენტის ნათქვამი გაახსენდა და ისევ ახარხარდა. შავი ღვინო მის მარცხენა ძუძუზე მოწანწკარებდა, მერე მის მტრედის მუცელს ჩამოჰყვა და ფეხებს შორის ჩაიკარგა.

— რა კარგი ხარ, ფუ-რუ. ყველას გიჟი ჰგონიხარ, მაგრამ შენ არა ხარ გიჟი, ხომ?

ვინსენტი დაიჭყანა.

— ვარ, ცოტა.

— იქნები ჩემი საყვარელი? — ჰკითხა რაშელმა. — უკვე მთელი თვეა, არავინ არა მყავს. მოხვალ ჩემთან ყოველ საღამოს?

— ვერა, ჩემო მტრედო.

რაშელმა ტუჩები დაბურცა.

— რატომ?

— სხვას რომ თავი დაგანებოთ, ფული არა მაქვს.

რაშელმა მარჯვენა ყურზე უჩქმიტა ხუმრობით.

— თუკი ხუთი ფრანკი არა გაქვს, მაშინ ეს ყური მოიჭერი და მომეცი. მინდა შენი ყური. კარადის თავზე დავდებ და ყოველ საღამოს ვეთამაშები ხოლმე.

— მერე, ხუთ ფრანკს რომ მოგიტან, დამიბრუნებ?

— რა სასაცილო ხარ, ფუ-რუ, და რა კარგი ხარ. ნეტავი ყველა კაცი შენისთანა იყოს.

— მოგწონს აქ ყოფნა?

— აბა რა! კარგ დროს ვატარებთ და ყველაფერი ძალიან მომწონს... გარდა იმ ზუავებისა.

რაშელმა ჭიქა დადგა და ყელზე შემოაჭდო მკლავები. ვინსენტმა იგრძნო, როგორ შეეხო ტანზე მისი ფაფუკი მუცელი; ხოლო კვირტებივით ამობურცულმა ძუძუს თავებმა თითქოს გაუხვრიტეს სხეული. რაშელი ვინსენტის ტუჩებს დაეკონა და ვინსენტმა იგრძნო, რომ მისი ქვედა ტუჩის შიგნითა, რბილ მხარეს ჰკოცნიდა.

— კიდევ მოხვალ ჩემთან, ფუ-რუ? არ დამივიწყებ და სხვასთან არ წახვალ?

— მოვალ, ჩემო მტრედო.

— მოდი, გინდა ახლა სახლობანა ვითამაშოთ?

ნახევარ საათში ვინსენტმა დასტოვა იქაურობა. წყურვილი ახრჩობდა, რომელსაც მხოლოდ ბევრი, ბევრი ჭიქა, სუფთა, ცივი წყალი თუ დაუოკებდა.

4.

ვინსენტი მიხვდა, რომ რაც უფრო კარგად იყო საღებავი გაქნილი, მით უფრო უკეთ იუღინთებოდა იგი ზეთით. ზეთი მხოლოდ გამხსნელ საშუალებას წარმოადგენდა და ვინსენტს დიდად არ ადარდებდა იგი, თანაც მისი ნახატის უხეში შესახედაობაც სულერთი იყო მისთვის. იმის მაგივრად, რომ პარიზიდან გამოეწერა საღებავი, რომელიც ღმერთმა უწყის რამდენი საათის წინ იყო ქვაზე გაქნილი,

გადაწყვიტა, თავისი ხელით გაექნა. თეოს თხოვნით მამილო ტანგიმ გამოუგზავნა ქრომი, მალაქიტი, სინგური, ტყვიისებური აგურისფერი, კობალტი და ულტრამარინი. ვინსენტმა ისინი თვითონვე გაქნა თავის ოთახში. ასე საღებავი გაცილებით უფრო იაფი უჯდებოდა, თანაც უფრო ახალიც იყო და გამძლეც.

ახლა ის აღარ მოსწონდა, თუ როგორ იწოვდა ტილო საღებავს. ის თხელი ფენა, რითაც მზა ტილოები იყო დაფარული, მის სქელ საღებავს ხეირიანად ვერ იწოვდა. თეომ გადაუჭიმავი, სუფთა ტილოც გამოუგზავნა. საღამოთი პატარა, პლასტმასის თასზე ხსნიდა გრუნტს და ტილოზე უსვამდა, რომ მეორე დღისთვის მზად ჰქონოდა.

ჟორჟ სიორამ ასწავლა, თუ როგორ შეერჩია ჩარჩო სურათისთვის. როცა თავისი პირველი არლური ნახატები თეოს გაუგზავნა, თან რჩევაც მიაყოლა, როგორი ხის ჩარჩო შეერჩია მათთვის და რა ფერად შეეღება. მაგრამ მაინც ვერ მოისვენა, ვიდრე თვითონვე არ დაიწყო ჩარჩოს გაკეთება, რომ თავისი თვალით ენახა სურათი მასში. იყიდა გაშალაშინებული ფიცრის ნაჭრები, დაჭრა სასურველ ზომებად და სურათის შესაფერ ფერად შეღება.

ახლა ვინსენტი თვითონ ქნიდა საღებავებს, ამზადებდა ტილოს დასაჭიმ ქვეჩარჩოებს, გრუნტავდა ტილოს, აკეთებდა ჩარჩოს და ხატავდა.

— ცუდია, რომ არ შემიძლია მე თვითონ ვიყიდო ჩემი ნახატები, — ბურდღუნებდა თავისთვის, — მაშინ მთლიანად თვითმომსახურებაზე გადავიდოდი.

მისტრალმა ისევ გაახსენა თავი. ისევ გაშმაგდა ბუნება. ცაზე ღრუბლის ერთი ბეწო ნაგლეჯიც არ ჩანდა. საშინელ სიმშრალეს და საზარელ სიცივეს კაშკაშა მზე ახლდა მუდამ თან.

ვინსენტი ნატურმორტს ხატავდა შინ. დახატა ლურჯი მომინანქრებული ყავადანი, ოქროსვარაყიანი ღია ლურჯი ფერის ფაიფურის ფინჯანი, თეთრი სარძევე, ცისფერი კვადრატებით, მაიოლიკის ტოლჩა, წითელი, მწვანე და ყავისფერით მოხატული და ბოლოს ორი ფორთოხალი და სამი ლიმონი.

ქარი რომ ჩადგა, ვინსენტი ისევ გარეთ გამოვიდა და რონას სანაპირო დახატა, მერე ტრინკეატის რკინის ხიდი, სადაც ცასაც და მდინარესაც აბსენტის ფერი ედო, სანაპიროს იასამნის ფერი დაჰკრავდა, ხოლო ხიდის მოაჯირზე იდაყვებით დაყრდნობილი ხალხი მოშავო ფერისა იყო. თვითონ ხიდი ლურჯად დახატა და შავ ფონზე მხიარული აგურისფერით და მალაქიტის მწვანით გააცოცხლა. ცდილობდა ნახატი მეტისმეტად სევდიანი და სევდისმომგვრელი გამოსულიყო.

ნაცვლად იმისა, ნანახი პეიზაჟის ზუსტი ასლი გადმოეღო, ვინსენტი ისეთ ფერებს არჩევდა, რომ მისი სუბიექტური მიდგომა გამოჩენილიყო ნათლად. ახლა დარწმუნდა, რომ რაც პისარომ უთხრა, სრული ჭეშმარიტება იყო. „თამამად შეგიძლია გააზვიადო ის ეფექტი, რასაც საღებავები ქმნიან, დამოუკიდებლად იმისა, ეხამებიან ისინი ერთმანეთს თუ არა“. მოპასანის „პიერი და ჟანის“ შესავალშიც იგივე აზრი იყო გამოთქმული, „მწერალს უფლება აქვს გააზვიადოს და თავის რომანში შექმნას სამყარო უფრო წარმტაცი და მიმზიდველი, ვიდრე ჩვენია“.

ერთხელ მთელი დღე თავაუღებლად მუშაობდა მზის გულზე მინდორში. დახატა უზარმაზარი დახნული ველი, იასამნისფერი ბელტებით სავსე. მთესველის თეთრ-ლურჯი ფიგურა ჰორიზონტზე. შორს, დასალიერზე, მოჩანდა დათავთავებული პურის ყანის ვიწრო ზოლი. ნახნავს თავს დაჰყურებდა ყვითელი ცა და ყვითელი მზე.

პარიზელი კრიტიკოსები იტყოდნენ, მეტისმეტად ჩქარა ხატავს ვინსენტიო, მაგრამ ვინსენტი სხვაგვარად ფიქრობდა, განა რა ამოძრავებდა მას, თუ არა გრძნობა, თუ არა წრფელი აღფრთოვანება ბუნებით გამოწვეული? ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო ხანდახან, რომ ვერც კი გრძნობდა როგორ ხატავდა და ფუნჯის ერთი მოსმა ისე თანმიმდევრულად და მწყობრად მიჰყვებოდა მეორეს, როგორც სიტყვები ლაპარაკისას, ხომ შეიძლება ისევ დაუდგეს მძიმე წუთები, შთაგონებისგან დაცლილი. ნათქვამია, ბალს ქერქი მაშინ გააძვრე, როდესაც ეცლებაო, და დრო ტყუილად რად უნდა დაკარგოს?

მოლბერტი ზურგზე წამოიკიდა და მონტმაჟურის მთისკენ მიმავალ გზას გაუდგა შინისაკენ. სწრაფი ნაბიჯით მიაბიჯებდა და მალე მის წინ ნელა მიმავალ კაცს და ბიჭს წამოეწია. მოხუცი რულენი იცნო, არლის ფოსტალიონი. ვინსენტი ხშირად ხვდებოდა რულენს კაფეში, რამდენჯერ უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევა არასოდეს მისცემია.

— გამარჯობათ, მუსიე რულენ, — უთხრა ვინსენტმა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ, მუსიე მხატვარო, გამარჯობათ.

დღეს ხომ კვირაა და მე და ჩემი ბიჭი სასეირნოდ გამოვედით.

— დიდებული დღეა დღეს, არა?

— დიახ, ძლივს არ ჩადგა ეს წყეული მისტრალი! დღეს დახატეთ რამე, მუსიე?

— დიახ.

— მე გაუნათლებელი კაცი ვარ და მხატვრობის არა გამეგება რა, მაგრამ დიდ პატივად ჩავთვლი, თუ ნებას მომცემთ ვნახო თქვენი ნახატები.

— სიამოვნებით.

პატარა ბიჭი წინ გაიქცა, ხტუნვა-ხტუნვით. ვინსენტი და რულენი მხარდამხარ მიაბიჯებდნენ. ვიდრე რულენი სურათს უცქერდა, ვინსენტი ფოსტალიონს დააკვირდა. რულენს ფოსტალიონის ლურჯი ქუდი ეხურა. ალერსიანი, მაგრამ გამომცდელი თვალები ჰქონდა. გრძელ, ოთხკუთხად შეჭრილ, ხშირ წვერს კისერი დაეფარა და ფოსტალიონის ლურჯ ფორმაზე ეფინებოდა. ვინსენტმა გაიფიქრა, რულენი ისეთივე რბილი ხასიათის და მეოცნებე იქნება, როგორც მამილო ტანგიო. რაღაცნაირი რბილი ადამიანი იყო, ხოლო მისი უბრალო, გლეხური სახე სრულიად არ შეეფერებოდა მის ფუშფუშა, ბერძნულ წვერს.

— მე ერთი უვიცი კაცი ვარ, — დაიწყო ისევ რულენმა, — და მაპატიეთ თუ ისე ვერ ვთქვა, როგორც საჭიროა. ეს თქვენი პურის ყანა სულ ნამდვილსა ჰგავს, სწორედ ისეთს, როგორიც იქ იყო, სადაც დაგინახეთ რომ ხატავდით.

— ესე იგი, თქვენ მოგწონთ სურათი?

— არა, მომწონს-მეთქი, ვერ ვიტყვი. მაგრამ აი აქ კი რაღაცნაირად იმოქმედა ჩემზე.

და რულენმა მკერდზე მოისვა ხელი.

ცოტა ხნით მონტმაჟურის მთასთან შეყოვნდნენ. წითელი მზე ძველი ეკლესიის უკან ეფარებოდა დასალიერს, თავის უკანასკნელ სხივებს კლდეებს შორის წამოზრდილ ფიჭვის ხეების ტანს და წიწვებს აფენდა და გეგონებოდათ აგურისფერი ცეცხლი ჩაღვრილა მათშიო. უფრო მოშორებით მდგარი ხეები კი მომწვანო-მოლურჯო ცის ფონზე პრუსიული ლაჟვარდისფერით დახატულს მიაგავდა. თეთრ სილას და თეთრ ქვებს ოდნავ მოლურჯო ფერი დაჰკრავდა.

— აი ესეც თითქოს ცოცხალია, არა მუსიე? — უთხრა რულენმა.

— დიახ. და დარჩება კიდეც ასე ცოცხალი, ჩვენ კი აღარ ვიქნებით.

ნელა მიაბიჯებდნენ და თან წყნარად, მეგობრულად მუსაიფობდნენ. რულენი სულ უმნიშვნელო საგნებზე ლაპარაკობდა. თუმცა უბრალო ადამიანის ჭკუა ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ ღრმა ინტუიცია ეტყობოდა. თვეში ას ოცდათხუთმეტ ფრანკს იღებდა და ამით არჩენდა ოჯახს, ცოლს და ოთხ ბავშვს. ოცდახუთი წელი ფოსტალიონად ემუშავა და დაწინაურება არ ღირსებია; ეს კი იყო, რომ რაღაც უმნიშვნელო პროცენტები ემატებოდა მის ხელფასს.

— ახალგაზრდობაში, მუსიე, — ამბობდა იგი, — ძალიან ბევრს ვფიქრობდი ღმერთზე. რაც დრო გადიოდა, მეც თანდათან მეკარგებოდა რწმენა. ამ თქვენს დახატულ პურის ყანაში, ან ამ მონტმაჟურის დაისში კიდევ შეიძლება დაინახო ღმერთი, მაგრამ როცა ხალხზე ფიქრობ... ან მათ მიერ შექმნილ, ამ ჩვენს ცხოვრებაზე...

— მართალია, რულენ, მაგრამ მე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ შეუძლებელია ამ ცხოვრებით ღმერთზე იმსჯელო. ცხოვრება იმ ეტიუდსა ჰგავს, რომელიც ვერ გამოსვლია მხატვარს. დავუშვათ, რომელიმე მხატვარს არ გამოუვიდა სურათი, რას ვაკეთებთ ამ დროს? გული არ ვატკინოო, ენას კბილს ვაჭერთ. თუმცა, სრული უფლება გვაქვს, გვინდოდეს, უკეთ ხატოს.

— დიახ, დიახ, — წამოიძახა რულენმა, — სულ ოდნავ უკეთ მაინც.

— იმისათვის, რომ ხელოვანის სიავკარგეზე ვიმსჯელოთ, მისი სხვა ნამუშევრებიც უნდა ვნახოთ. ეს ქვეყანა ნაჩქარევადაა ერთ-ერთ იმ შაბნელ დღეს შექმნილი, როცა მის შემქმნელს გონება რიგიანად ვერ უჭრიდა.

ქარიან შარაგზაზე ბინდი ჩამოწვა. კობალტისფერ ცაზე უკვე ვარსკვლავები აკიაფდნენ. რულენმა თავისი. ალერსიანი, გულუბრყვილო თვალები შეანათა ვინსენტს.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა სხვა სამყაროც არსებობდეს, მუსიე?

— არ ვიცი, რულენ. მას მერე, რაც ხატვამ გამიტაცა, სხვა ყველაფერზე ფიქრს თავი ვანებე. ისე კი, ეს ცხოვრება რაღაცნაირად ვერ არის სავსე, ხომ მართალია? ხანდახან მგონია, მატარებლის კუპეში ვზივარ და ერთი ადგილიდან ისე გადავყავართ მეორეზე, როგორც ტიფს ან ჭლექს გადაჰყავს ადამიანი ერთი სამყაროდან მეორეში.

— ოჰ, ეს მხატვრები, ძალიან ბევრ რამეზე ფიქრობთ!

— რულენ, მიყავით სიკეთე! ნება მომეცით დავხატო თქვენი პორტრეტი. არლის მცხოვრებნი რატომღაც არ მეკარებიან.

— ეს დიდი პატივი იქნება ჩემთვის, მუსიე. მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე გინდათ დამხატოთ? ასეთი უშნო კაცი.

— თუკი სადმე არსებობს ღმერთი, რულენ, ჩემის აზრით მას აუცილებლად თქვენისთანა წვერი და თვალები აქვს.

— დამცინით, მუსიე.

— პირიქით, სრულიად გულწრფელად გეუბნებით.

— ხვალ საღამოს ვახშმად ხომ არ დაგვეწვეოდით? მართალია, კერძებით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ ძალიან გაგვეხარდება თქვენი მოსვლა.

რულენის ცოლი გლეხის ქალი აღმოჩნდა და რაღაცით მადამ დენის მიაგავდა. თეთრ-წითელ სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე ეწყო მოშუშული ხორცი

კარტოფილით, შინ გამომცხვარი პური და ერთი ბოთლი მუავე ღვინო. ნავახშმევს ვინსენტი მადამ რულენის ხატვას შეუდგა, თან ფოსტალიონს ემუსაიფებოდა.

— რევოლუციის დროს რესპუბლიკელებს დავუჭირე მხარი, — უთხრა რულენმა, — მაგრამ რა მოვიგე? გინდ მეფეები გვყოლია და გინდ მინისტრები, ჩვენ, საწყალ ხალხს, მაინც არაფერი გვშველის. ასე მეგონა, რაკი რესპუბლიკა გვექნება, ყველა ყველაფერს თანაბრად გავინაწილებთ-მეთქი.

— რას ამბობთ, რულენ.

— მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ვცდილობ გავიგო, მუსიე, რატომაა რომ ერთს ყველაფერი აქვს, ხოლო მეორეს კი არაფერი. ზოგი წელებზე ფეხს იდგამს, ზოგი კი გულხელდაკრეფილი ზის. შეიძლება მეტისმეტად უვიცი ვარ და იმიტომ არ მესმის. როგორ გგონიათ, განათლება რომ მქონდეს, მაშინ მივხვდებოდი ამის მიზეზს?

ვინსენტმა რულენს ახედა, ხომ არ დამცინისო. მაგრამ რულენის სახეს ისევ მისთვის ჩვეული გულუბრყვილობა ემჩნეოდა და სხვა არაფერი.

— შესაძლოა, ჩემო კარგო, — უთხრა ვინსენტმა, — შესაძლოა განათლებულ ხალხს ესმოდეს კიდეც. მაგრამ მეც ისეთივე უბრალო კაცი ვარ, როგორც თქვენ და ამიტომ არც მე მესმის და ვერც ვურიგდები ამ ამბავს.

5.

ყოველ დილით ოთხ საათზე დგებოდა ვინსენტი. სამი-ოთხი საათი სიარულს უნდებოდა, ვიდრე შესაფერ ადგილს იპოვნიდა და შემდეგ გვიანობამდე ხატავდა. უკან ათი-თორმეტი კილომეტრის გავლა ვერაფერი სიამოვნება იყო, მაგრამ იღლიის ქვეშ ამოჩრილი სველი ტილოს შეგრძნება ძალას მატებდა.

ერთ კვირაში შვიდი მოზრდილი ტილო დახატა. კვირის ბოლოს კი არაქათი სულ გამოეცალა. ზაფხული ჯერ არ მიწურულიყო, მაგრამ ვინსენტი უკვე გადაიღალა. იასამნისფერი მისტრალი ამოიჭრა, მტვერი ააკორიანტელა და თეთრად დააფინა ხეებზე. ვინსენტი იძულებული გახდა შინ მჯდარიყო.

თექვსმეტი საათი გაუნძრევლად ეძინა.

ფული არ ჰქონდა, რადგან ხუთ შაბათს უკანასკნელი ფრანკი დახარჯა, ხოლო თეოს წერილი და ორმოცდაათი ფრანკი ორშაბათ საღამომდე არ მოვიდოდა. აბა რა თეოს ბრალი იყო.

იგი ყოველ ათ დღეში ერთხელ უგზავნიდა ორმოცდაათ ფრანკს ძმას, ხატვისთვის საჭირო ყველა სხვა საგნებთან ერთად. ვინსენტი პირდაპირ შეშლილი იყო იმაზე, რომ თავისი ნახატები თვითონვე ენახა ჩარჩოში ჩასმული და იმდენ ჩარჩოს უკვეთავდა, რამდენზეც ფული არ ჰყოფნიდა. დარჩენილ ოთხ დღეს ოცდასამ ჭიქა ყავას სვამდა იმ ერთადერთ ცალ პურთან ერთად, რასაც მეფუნთუშე ნისიად აძლევდა.

რაკი ასე მძიმე ყოფაში იყო, ახლა თავის ნამუშევარსაც სხვა თვალით უცქერდა. ასე ეგონა, რომ ეს სურათები ვერ ანაზღაურებდნენ იმ სიკეთეს, რასაც თეო იჩენდა. ნეტავი შემეძლოს როგორმე ფული ვიშოვნო და თეოს დავუბრუნო მისი ვალიო, ფიქრობდა. სათითაოდ ათვალიერებდა ნახატებს და რწმუნდებოდა, არაფერი სცხია იმ ფასის, რაც მე მიჯდება ამათი ხატვაო. და შიგადაშიგ თუ რომელიმე რიგიანი სურათი ურევია, ისიც ვინმესგან რომ მეყიდა, გაცილებით იაფი დამიჯდებოდაო.

მთელი ზაფხული არ უფიქრია თავის ნამუშევრებზე, ახლა კი ერთბაშად მოაწყდა ფიქრები მის გონებას. მართალია, სულ მარტო იყო, მაგრამ რაღაცნაირად ფიქრის დრო არ რჩებოდა, რადგან კარგად მომართული მექანიზმივით გაუჩერებლად მუშაობდა. ახლა უცებ მაწონივით აუმჟავდა ტვინი. არც ფული ჰქონდა, რომ რამე ეჭამა, ან რაშელთან წასულიყო. ამიტომ გადაწყვიტა რაც ამ ზაფხულს ვხატე, ყველაფერი საშინელია და არც ერთი არ ვარგა რამედო.

— რაც არ უნდა იყოს, — იმშვიდებდა თავს, — ეს ჩემი დახატული ტილო სუფთას მაინც სჯობს. მეტი რაღა მინდა. ეს არის ჩემი გამართლება და უფლება მაქვს ვხატო..

ვინსენტს ჯიუტად სჯეროდა, რომ არლში ყოფნით ინდივიდუალობას შეინარჩუნებდა. ცხოვრება ხანმოკლეა. თანაც ელვის უსწრაფესად გარბის. რაკი მხატვრად ყოფნა უწერია, ისღა დარჩენია ხატოს და ხატოს.

— ჩემი თითები უკვე დამყოლი გახდა, — ფიქრობდა გუნებაში, — სხვა დანარჩენს ჯანდაბამდის გზა ჰქონია.

საღებავების გრძელი სია შეადგინა და თეოს გაუგზავნა. მერე უეცრად თავში გაუელვა, რომ იქ ჩამოთვლილ ფერებში არც ერთი არ იყო ისეთი, რომელიც შეიძლებოდა რომელიმე ჰოლანდიელი მხატვრის პალიტრაზე გეპოვნათ, იქნებოდა ეს მაუვე, მარისი თუ ვეისენბრუჰი. არლმა საბოლოოდ მოსწყვიტა იგი ჰოლანდიურ ტრადიციებს.

ორშაბათს ფული მოვიდა და ვინსენტმა ისეთი ადგილი აღმოაჩინა, სადაც ერთ ფრანკად შეიძლებოდა დანაყრებულიყო კაცი. ეს იყო ერთიანად ნაცრისფერი, საკმაოდ უცნაური რესტორანი, ნაცრისფერი ასფალტის იატაკი ქუჩის ტროტუარს მიაგავდა, კედელზე ნაცრისფერი შპალერი გაეკრათ, მწვანე დარაბები მუდამ დახურული იყო. კარებზე მწვანე ფარდა ეკიდა, რომ მტვერი არ შემოსულიყო შიგნით. დარაბებიდან ძალიან ვიწრო, დანასავით მახვილი მზის შუქი მოიპარებოდა.

ერთკვირიანი დასვენების შემდეგ ვინსენტმა გადაწყვიტა რამდენიმე ღამისეული პეიზაჟი დაეხატა. ეს ნაცრისფერი რესტორანი ჩახატა ვახშმობისას, როცა ოფიციანტები გაჩქარებულნი გარბი-გამორბოდნენ. მერე დახატა სქელი და თბილი კობალტისფერი ცა, უთვალავი პროვანსული, მოკაშკაშე ვარსკვლავებით მოჭედილი, ლამარტინის მოედნიდან. შემდეგ შარას გაუყვა და მთვარის მუქზე კვიპაროსები გააცოცხლა ტილოზე. დახატა ღამის კაფე, რომელიც დილამდე მუშაობდა. აქ ის ხალხი იყრიდა თავს, ვისაც ფული არ გააჩნდა, რომ სადმე დასაძინებლად წასულიყო, ან ისეთი გალეშილი მთვრალი იყო, რომ შინ წასვლის თავი არ ჰქონდა.

ერთ ღამეს კაფე გარედან ჩახატა, მეორე ღამეს კი შიგნიდან. ვინსენტი შეეცადა წითელი და მწვანე ფერის შეხამებით ადამიანთა უსაშინლესი ვნებები გადმოეცა. კაფეს შიდა მხარე სისხლისფერი წითელი და მუქი ყვითელი ფერით დახატა, შუაში კი მწვანე ბილიარდის მაგიდა მოათავსა. ოთხი ლიმონისფერი ლამპა აგურისფერ და მომწვანო შუქს გამოსცემდა.

ერთმანეთთან შეუხამებელი და ყოვლად შეუფერებელი წითელი და მწვანე ტონებით იყო აგრეთვე შესრულებული მაწანწალების მძინარე ფიგურები. უნდოდა ყველასთვის ცხადი გამხდარიყო, რომ ეს კაფე ისეთი ადგილსამყოფელია, სადაც ადამიანი სრულ განადგურებამდე მიდის, ჭკუიდან ირყევა და შესაძლოა კაციც მოკლას.

არლის მკვიდრნი მეტისმეტად გაამხიარულა იმ ამბავმა, რომ მათი ფუ-რუ ღამღამობით ხატავდა ქუჩებში, ხოლო დღისით ეძინა. ვინსენტის ყოველი ნაბიჯი სასაცილო იყო მათთვის.

თვის პირველი რიცხვიდან სასტუმროს მეპატრონემ არა მარტო გააძვირა ნომრის ფასი, არამედ იმ საკუჭნაოს გადასახადიც მოსთხოვა, სადაც ვინსენტი თავის ტილოებს ინახავდა. ამ სიხარბით გაშმაგებულ ვინსენტს ჭირივით შესჯავრდა სასტუმრო. ის ნაცრისფერი რესტორანი, სადაც იკვებებოდა, სავსებით აკმაყოფილებდა, მაგრამ იქ წასასვლელად ათ დღეში მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ ჰყოფნიდა ფული. ზამთარი კარზე მოადგა, სახელოსნო კი ჯერაც არ ჰქონდა. სასტუმროს ნომერში ცხოვრება ვინსენტს არც მოსწონდა და დამამცირებლადაც კი მიაჩნდა. იმ ნაყარნუყარმა საჭმელმა, რასაც იაფფასიან რესტორნებში ჭამდა, ისევ გაუხსენა მუცლის ტკივილი.

უკვე დრო იყო მუდმივ საცხოვრებელ ბინაზე ეზრუნა, რომ სახელოსნოც ჰქონოდა.

ერთ საღამოს, მოხუც რულენთან ერთად, ლამარტინის მოედანზე გადადიოდა და სასტუმროს მეზობლად, ყვითელ სახლზე გამოკრულ აბრას მოჰკრა თვალი: „ქირავდება“. სახლი ორი ნაწილისაგან შედგებოდა და შუაში ეზო ჰქონდა. პირით მოედნისკენ იდგა და ფერდობზე შეფენილი ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა აქედან. ვინსენტი დაფიქრებული შეაჩერდა სახლს.

— მეტისმეტად დიდია, — უთხრა რულენს, — თორემ სიამოვნებით ვიცხოვრებდი ასეთ სახლში.

— აუცილებელი არ არის მთელი სახლი იქირაოთ, მუსიე.

შეგიძლიათ, ვთქვათ, მარჯვენა ნაწილი აიღოთ.

— მართლაც! რამდენი ოთახი იქნება იქ თქვენი აზრით?

ძვირი ეღირება?

— იქნება ასე სამი, ოთხი ოთახი. არა მგონია ძვირი იყოს, ყოველ შემთხვევაში, რასაც სასტუმროში იხდით, იმის ნახევარიც კი არ დასჭირდება. თუ გინდათ ხვალ საღამოს წამოგყვებით და ერთად ვნახოთ. შეიძლება დაგეხმაროთ და ხელსაყრელ ფასში მოვურიგდეთ მაგის პატრონს.

მეორე დილით ვინსენტი ისე იყო აღელვებული, რომ არაფრის გაკეთების თავი არ ჰქონდა. მთელი დღე ლამარტინის მოედანზე ბოლთას სცემდა. ის ყვითელი სახლი ყველა მხრიდან დაათვალიერა. სახლი საკმაოდ გამძლე და მზიანი იყო. დაკვირვებით დააცქერდა და შენიშნა, რომ ორივე მხარეს ცალ-ცალკე შესასვლელი ჰქონდა და რომ მარცხენა მხარე უკვე დაკავებული იყო.

შუადღისას რულენი გამოცხადდა და ერთად შევიდნენ სახლის მარჯვენა ნაწილში. პატარა ჰოლი კარგა მოზრდილ ოთახში გადიოდა, შემდეგ კი უფრო მომცროში. კედლები თეთრად შეეღებათ. ჰოლი და მეორე სართულზე ამავალი კიბე სუფთა წითელი აგურის იყო. მაღლა კიდევ ერთი მოზრდილი ოთახი და კაბინეტი აღმოჩნდა. იატაკზე წითელი ფილა ეგო, თოვლივით ქათქათა კედლებზე მზის სხივი ციმციმებდა.

რულენს მეპატრონე წინასწარ გაეფრთხილებინა და იგი ახლა მაღლა უცდიდა მოსულთ. ის და რულენი რამოდენსამე ხანს პროვანსულ დიალექტზე რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და ვინსენტმა ბევრი ვერაფერი გაიგო. ბოლოს ფოსტალიონ ვინსენტს მიუბრუნდა:

— ზუსტად უნდა იცოდეს რამდენ ხანს გაჩერდებით აქ.

— უთხარით, საუკუნოდ-თქო.

— თანახმა ხართ, თუნდაც ექვსი თვით მაინც იქირაოთ?

— აბა რა! რა თქმა უნდა!

— მაშინ, ამბობს, თვეში თხუთმეტ ფრანკად მივცემო.

თხუთმეტი ფრანკი! ეს ამხელა სახლი! სასტუმროში ხომ სამ ამდენს იხდის! ეს იმაზეც იაფია, რასაც ჰაგაში იხდიდა თავის სტუდიაში. თავისი საკუთარი სახლი, თვეში თხუთმეტ ფრანკად. ვინსენტმა სასწრაფოდ ამოიღო ფული.

— აჰა! ჩქარა! მიეცით მაგ კაცს. უთხარით, მე ვქირაობ ამ სახლს.

— მეკითხება, როდის აპირებს გადმოსვლასო.

— დღეს, ახლავე.

— კი მაგრამ, მუსიე, აქ ავეჯი არ არის. როგორ შეგიძლიათ ახლავე გადმოსვლა.

— ლეიბს ვიყიდი და ერთ სკამს. ო, რულენ, თქვენ არც კი იცით, რას ნიშნავს იმ საშინელ სასტუმროში ცხოვრება. მე ახლავე უნდა გადმოვიდე აქ.

— როგორც გენებოთ, მუსიე.

სახლის პატრონი წავიდა. რულენი სამსახურში დაბრუნდა, ვინსენტი ოთახებში დაბორიალებდა, ხან მაღლა, ხან დაბლა და თავის სამფლობელოს ყოველ კუთხე-კუნჭულს ათვალიერებდა. გუშინ მიღებული ორმოცდაათი ფრანკიდან ოცდაათი ჯერ კიდევ ჯიბეში ჰქონდა. გარეთ გავარდა. იყიდა იაფფასიანი ლეიბი, სკამი და შინ წაიღო. გადაწყვიტა, პირველ სართულზე საწოლი მექნება, მაღლა კი სახელოსნოო. ლეიბი წითელ ფილაზე დააგო, ხოლო სკამი მაღლა, სახელოსნოში აიტანა. შემდეგ უკანასკნელად მიაკითხა თავის სასტუმროს.

მეპატრონემ ვინსენტის ვალს ზედმეტი ორმოცი ფრანკი მიუმატა და განუცხადა, ვიდრე ფულს არ გადაიხდით, თქვენს ტილოებს ვერ მიიღებთო. ვინსენტი იძულებული შეიქნა პოლიციისათვის მიემართა, მაგრამ ოცი ფრანკი მაინც გადაახდევინეს.

იმავე საღამოს ვინსენტმა იპოვა ვიღაც ვაჭარი, რომელმაც ნისიად მისცა პატარა გაზქურა, ორი ქოთანი და ნავთის ლამპა.

ვინსენტს სამი ფრანკი დარჩა მხოლოდ. ამით იყიდა ყავა, პური, კარტოფილი და ხორცი სუპისათვის. უკანასკნელი სანტიმიც დახარჯა. ქვემოთ პატარა ოთახში სამზარეულო მოაწყო.

ღამით, როცა ლამარტინის მოედანი და მისი ყვითელი სახლი წყვდიადმა შთანთქა, ვინსენტმა სუპი მოხარშა და ყავა მოადუღა პატარა ქურაზე. რაკი მაგიდა არ ჰქონდა, ლეიბზე ქაღალდი გაშალა და ვახშამი ზედ დააწყო. ფეხმორთხმული იატაკზე დაჯდა ლეიბთან. დანა-ჩანგლის ყიდვა დავიწყებოდა.

ხორცს და კარტოფილს ფუნჯის ტარით იღებდა ქვაბიდან. ამის გამო საჭმელს საღებავის გემო დაჰკრავდა ოდნავ.

ვახშამს რომ მორჩა, ლამპა აიღო და წითელი აგურის კიბეს აჰყვა მეორე სართულზე. ცარიელი ოთახი სევდისმომგვრელად გამოიყურებოდა. მთვარით განათებული ფანჯრის ფონზე გარინდებულივით გაქვავებულიყო მოლბერტი. ფანჯრიდან ბინდჩაწოლილი ბაღი მოჩანდა ლამარტინის მოედანზე.

დასაძინებლად ლეიბზე დაწვა. დილით, გაიღვიძა თუ არა, ფანჯრები გააღო და მაშინვე თვალში მოხვდა ამწვანებული ბაღი, ამომავალი მზე და ქალაქის მიხვეულ-მოხვეული გზა.

ვინსენტმა თვალი მოავლო იატაკის წითელ, კრიალა ფილებს, თოვლივით თეთრ, ქათქათა კედლებს, უჩვეულოდ ვრცელ ოთახებს. ყავა მოადუღა. რაკი ჭიქა არ

ჰქონდა, პირდაპირ ქვაბიდან დალია ყავა. დაბორიალებდა ოთახებში და თან გეგმებს აწყობდა, თუ როგორ მოაწყობდა სახლს, რომელ სურათს სად დაკიდებდა კედელზე და რა ბედნიერად იცხოვრებდა თავის ნამდვილ, საკუთარ სახლში.

მეორე დღეს პოლ გოგენის წერილი მოვიდა. იტყობინებოდა, პორტ-ავენში, ბრეტანში, ერთი უბადრუკი კაფეს მეპატრონეს ვყავარ ჩაკეტილი ავადმყოფი და ღარიბ-ღატაკიო.

„ამ სოროს ვერაფრით ვერ დავაღწიე თავი," წერდა გოგენი, „რაკი საშუალება არა მაქვს ვალები გავისტუმრო, მეპატრონემ ჩემი ნახატები ჩაკეტა და არ მაძლევს. ყველა იმ უბედურებათაგან, რაც ადამიანს შეიძლება დაატყდეს თავს, არაფერი ისე არ მაგიუებს, როგორც უფულობა. რას იზამ, სამუდამო სიღატაკე ყოფილა ჩემი ხვედრი".

ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენი მხატვარია ამქვეყნად გაჭირვებული, ავადმყოფი, ყველასაგან მოძულებული და დამცირებული. შიმშილსა და ტანჯვაში უნდა აღმოხდეთ მათ სული.

მერედა რატომ? დააშავეს რამე? განა რა ცოდვა ადევთ ასეთი, რომ ყველას გაურიყავს? აბა, იმ საცოდავებმა როგორ დახატონ რიგიანი რამე? მომავალში მხატვარი... უჰ, რა კოლორიტი ექნება და რა კაცი იქნება, მსგავსიც არაფერი შობილა ჯერ.

მომავალში მხატვრები აღარ იცხოვრებენ იაფფასიან კაფეებში, არ ივლიან ზუავების საროსკიპოში.

საბრალო გოგენი. ლპება სადღაც ბრეტანში, იმ დამპალ სოროში, აღარც ჯანმრთელობა მოსდევს, რომ ხატოს, აღარც მეგობრები ჰყავს გვერდით და არც საჭმელის და ექიმის ფული აქვს. ვინსენტის აზრით, გოგენი ბუმბერაზი მხატვარი და დიდი ადამიანი იყო. ხომ შეიძლება მოკვდეს გოგენი! ან სულაც ხატვას ანებოს თავი! რა უბედურება დატრიალდება მაშინ მთელი ხელოვნებისათვის.

ვინსენტმა წერილი ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გამოვარდა, რონას სანაპიროს დაუყვა. ნავმისადგომთან ნახშირით დატვირთული ბარჟა იდგა. წვიმას ქვანახშირი დაესველებინა და ბზინავდა.

წყალს მოყვითალო-თეთრი და მონაცრისფერო-მარგალიტისფერი ედო. იასამნისფერი ცა დასავლეთ მხარეს აგურისფერი იყო, ხოლო ქალაქში იისფერი შუქი იღვრებოდა. თეთრ და ლურჯხალათიან, ჭუჭყიან მუშებს ქვანახშირი ნაპირზე გადმოჰქონდათ.

ეს იყო წმინდა წყლის ჰოკუსაი... მოაგონდა პარიზი, მამილო ტანგის იაპონური გრავიურები... და პოლ გოგენი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ვინსენტს.

ახლა უკვე იცის რასაც გააკეთებს. მისი ყვითელი სახლი საკმაოდ ვრცელია და თავისუფლად დაიტევს ორ კაცს. ორივეს ცალ-ცალკე ექნება საწოლი ოთახიც და სახელოსნოც თუ თვითონ მოამზადებენ კერძებს, გაქნიან საღებავებს და მომჭირნედ იცხოვრებენ, თვეში ას ორმოცდაათი ფრანკი უნდა ეყოთ. ბინის ქირა ხომ იგივე დარჩება, საჭმელზე დაეხარჯებათ ცოტა მეტი. რა კარგია, რომ ისევ ეყოლება მეგობარი გვერდით, მხატვარი მეგობარი, რომელიც ყველაფერს გაუგებს და უთანაგრძნობს. ახლა რამდენ საოცრებას ასწავლის გოგენი მხატვრობაში!

აქამდე ვერც ხვდებოდა, რა საშინელება იყო სიმარტოვე.

თუკი ვინსენტის ას ორმოცდაათი ფრანკი არ ეყოფათ, იქნებ თეო დათანხმდეს ორმოცდაათი ფრანკით მეტი გამოუგზავნოს, ხოლო გოგენი კი თვეში თითო სურათს გაუგზავნის სამაგიეროდ.

დიახ! დიახ! მან აუცილებლად უნდა ჩამოიყვანოს გოგენი არლში. პროვანსის თაკარა მზე ყველაფრისაგან განკურნავს მას.

განა მან არ განკურნა თვითონ ვინსენტიც! ცოტაც და მათი სახელოსნოს მუშაობა სრული სვლით წავა წინ. ეს იქნება მხატვრების პირველი სახელოსნო სამხრეთ საფრანგეთში. გაგრძელდება დელაკრუას და მონტიჩელის ტრადიცია. მათი ნახატები აივსება მზის შუქით და გასაოცარი კოლორიტით, რათა მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რა უჩვეულო ბუნება იცის სამხრეთში.

გოგენს შველა სჭირდება!

ვინსენტი უეცრად მიტრიალდა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა შინისკენ. სულმოუთქმელად აირბინა წითელი ქვის საფეხურები და აღელვებული ოთახების განაწილებას შეუდგა.

„მე და პოლი აქ დავიძინებთ, ზემოთ. ქვემოთ კი სახელოსნოები გვექნება. ვიყიდი საწოლებს, ლეიბებს, თეთრეულს, სკამებს, მაგიდებს; ნამდვილი სახლი გვექნება! კედლებს მზესუმზირისა და აყვავებული ხეხილის ბაღის სურათებით მოვრთავთ.

ოჰ, პოლ, პოლ, რა კარგია რომ ისევ ჩემთან იქნები!“

6.

მაგრამ ყველაფერი არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ვინსენტს ეგონა. თეო მართალია დათანხმდა დამატებით ორმოცდაათი ფრანკის გამოგზავნაზე, მაგრამ ახლა გზის ფული იყო საჭირო, რისი შოვნა ვერც თეომ მოახერხა და ვერც თვითონ გოგენმა. გოგენი ისე დაეუძლურებინა ავადმყოფობას, რომ არაფრის თავი არ ჰქონდა, არც მგზავრობის, არც ვალებიდან თავის დაღწევის და არც არავითარი ენთუზიაზმის გამოჩენის რაიმე გეგმის მიმართ. ელვასავით დაჰქროდა წერილების მთელი დასტა არლს, პარიზსა და პონტ-ავენს შორის.

ვინსენტს თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი ყვითელი სახლი. თეოს გამოგზავნილი ფულით იყიდა მაგიდა და კამოდი.

„წლის ბოლოს“, წერდა იგი თეოს, „მე სულ სხვა კაცი ვიქნები. არ გეგონოს, რომ ისევ მომინდება სადმე გადავსახლდე. არავითარ შემთხვევაში. ამიერიდან ჩემი დღე და მოსწრება არლში უნდა ვიცხოვრო. მინდა სამხრეთის მხატვარი ვიყო.

შენ კი გახსოვდეს, რომ არლში ისე შეგიძლია დასასვენებლად ჩამოსვლა, როგორც საკუთარ სახლში. რაც შემიძლია, ვეცდები ისე მოვაწყო აქაურობა, რომ შენ ჩამოხვიდე და კარგად დაისვენო ხოლმე“.

ვინსენტი ცდილობდა შეძლებისდაგვარად ცოტა დაეხარჯა ყოველდღიურ წვრილმანებზე, დანარჩენ ფულს კი მთლიანად სახლს ახმარდა. ყოველდღე ორჭოფობდა, რაზე დაეხარჯა ფული: თავის თავზე თუ სახლზე? რა ეყიდა, ხორცი თუ ის მაიოლიკის სურა? ახალი ფეხსაცმელი თუ მწვანე საბანი გოგენის საწოლისათვის? დაუკვეთოს ფიჭვის ხის ჩარჩო თავისი ახალი სურათისათვის თუ მოწნული სკამები იყიდოს?

და მუდამ პირველ რიგში სახლი იდგა.

თავისი ყვითელი სახლი რაღაცნაირ სიმშვიდის გრძნობას უღვიძებდა ვინსენტს, რადგან, ასე ეგონა, მომავალს ვაწესრიგებო. ეყო ამდენი წანწალი და უგზო-უკვლოდ ხეტიალი. მორჩა, ამიერიდან ფეხს აღარ მოიცვლის აქედან. ვინსენტი რომ აღარ იქნება, მის ადგილს სხვა მხატვრები დაიჭერენ. ვინსენტი შექმნის და დააფუძნებს მუდმივ სახელოსნოს, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემენ მხატვრები, — სამხრეთის ცხოვრების ამსახველი მხატვრები. ვინსენტს სურვილი გაუჩნდა სახლის კედლები ისეთნაირად მოეხატა, რომ გამოესყიდა ის ფუჭად დახარჯული ფული, რაც მას დასჭირდა.

ახალი შემართებით ჩაითრია მუშაობამ. კარგად იცოდა, რომ რაც უფრო დიდხანს უცქერის პეიზაჟს, მით უფრო ნათლად და ღრმად ხედავს მას. ორმოცდაათჯერ მაინც მივიდა მონტმაჟურის მთასთან და მის ძირში გაშლილ მინდორს აკვირდებოდა. მისტრალი საშუალებას არ აძლევდა ფუნჯის ყოველ მოსმაში შთაგონება და გრძნობა ჩაექსოვა, მოლბერტსაც უმოწყალოდ აქნევდა წინ და უკან. ვინსენტი დილის შვიდი საათიდან თავაუღებლად მუშაობდა საღამოს ექვს საათამდე.

დღეში თითო ტილო!

— ხვალ ნამდვილი პაპანაქება იქნება, — უთხრა ერთ საღამოს რულენმა, როცა უკვე გვიანი შემოდგომა იდგა. ისინი ლამარტინის კაფეში ისხდნენ და ლუდს შეექცეოდნენ. — ზევიდან კი ზამთარი დადგება.

— როგორი ზამთარი იცის არლში? — ჰკითხა ვინსენტმა.

— ყოვლად საზიზღარი. გაუთავებლად წვიმს, სულ ქარია და სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. მაგრამ, ეს არის, რომ დიდხანს არ გრძელდება. ორ თვეში ისევ დათბება.

გამოდის, რომ ხვალ უკანასკნელი მზიანი დარი იქნება, ხომ? ერთი ადგილი მეგულება და აუცილებლად მინდა დავხატო. წარმოიდგინეთ შემოდგომის ბაღი, რულენ, ორი ბოთლისფერი კვიპაროსის ხე, ფორმითაც რომ ბოთლს მიაგავს, და სამი პატარა წაბლის ხე, თამბაქოსფერი და აგურისფერი ფოთლებით შემოსილი. აქა-იქ ფოთლებს ლიმონისფერი ყვითელიც გადაჰკრავს, ხის ტანი იისფერია. იქვეა ორი პაწია ბუჩქი, ერთი სისხლივით წითელი, ხოლო მეორე მუქი შინდისფერი ფოთლებით დაფარული. ცოტა სილა, ბალახი და ლურჯად მოკამკამე ცა.

— აჰ, მუსიე, როცა თქვენ რაიმეს აღწერთ, ასე მგონია, მე ბრმა ვარ-მეთქი.

მეორე დილით, მზე რომ ამოვიდა, ვინსენტი უკვე ფეხზე იყო. არაჩვეულებრივ გუნებაზე იდგა. წვერი მაკრატლით შეისწორა, თმა, რაც არლის ცხელ მზეს გადაურჩა, გადაივარცხნა, ჩაიცვა ერთადერთი რიგიანი კოსტუმი და თავზე პარიზიდან ჩამოტანილი კურდღლის ქუდი დაიხურა, თითქოს მზესთან დამშვიდობების ნიშნად.

გამართლდა რულენის ვარაუდი. ცაზე ვეებერთელა მზე ამოგორდა, ყვითელი, თაკარა მზე. კურდღლის მრგვალი ქუდი თვალებს ვერ უფარავდა და მზე თვალს სჭრიდა. ის ბაღი ორი საათის სავალზე იყო აქედან, ტარასკონის გზაზე. ხეები დამრეცად მიკვროდნენ ერთმანეთს ფერდობზე. ვინსენტმა პურის ყანაში დადგა მოლბერტი და დახნულ მიწაში ჩაარჭო, ისე რომ გვერდიდან უყურებდა იმ ბაღს. ქუდი მოიხადა, მიწაზე დაადგა, კურტაკი გაიხადა და ქათქათა ტილო დადო მოლბერტზე. თუმცა აღრიანი დილა იყო, მაგრამ მზე ულმობლად სწვავდა კეფას, თვალწინ უცნაური ნაპერწკლები უტრიალებდა, რასაც უკვე კარგა ხანია შეეჩვია კიდეც.

პეიზაჟს დააკვირდა, ფერები შეარჩია, გუნებაში მონახაზიც გააკეთა. ახლა უკვე მზად იყო სახატავად, ფუნჯები დაალბო, ტუბებს თავი მოხსნა, გაწმინდა შპახტელი, რითაც საღებავის სქელ ფენას ასწორებდა. მერე ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ბაღს, წარმოდგენაში ის პეიზაჟი თავის ტილოზე გადმოიტანა, შემდეგ საღებავები შეაზავა პალიტრაზე და ფუნჯი ასწია.

— რატომ ჩქარობ ასე, ვინსენტ? — გაისმა ვიღაცის ხმა ზურგს უკან.

ვინსენტი მიტრიალდა.

— ჯერ ადრეა, ძვირფასო, წინ მთელი დღე გვაქვს სამუშაოდ ვინსენტი გაოცებული მისჩერებოდა ქალს. იგი საკმაოდ ნორჩი იყო, ოღონდ ბავშვი აღარ ეთქმოდა. მისი ლურჯი თვალები არლის ღამეულ, კობალტისფერ ცას მიაგავდა. ზურგზე დაფენილ, გაშლილ თმას ლიმონისფერი ედო. ისეთი დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა, ქეი ვოსი მონაგონი იყო, ამასთანავე, ეტყობოდა, რომ სამხრეთელი ქალის მგზნებარე სისხლი უდუღდა ძარღვებში. მზედაკრულს, მომღიმარი წითელი ბაგეებიდან ოლეანდრის ყვავილივით თეთრი კბილები მოუჩანდა.

ოთხკუთხა ვერცხლის ბალთით შეკრული, გრძელი, თეთრი კაბა ტანზე შემოტმასნოდა. ფეხზე უბრალო სანდლები ეცვა.

თვალში გეცემოდათ მისი ძლიერი, მკვრივი სხეულის დახვეწილი, კოხტად მოყვანილი ნაკვთები.

— მე დიდხანს ვიყავი შენგან შორს, ვინსენტ, — უთხრა ქალმა.

შემდეგ წამოვიდა და ვინსენტსა და მოლბერტს შორის ჩადგა, თეთრ ტილოს მიეყრდნო და ის პეიზაჟი სრულიად დაფარა. მზე ყვითლად აციმციმდა მის თმაში და ლიმონისფერი შუქი დააფინა მხრებზე. ქალი ისე გულღიად, ალერსიანად უღიმოდა, რომ ვინსენტმა თვალები მოიფშვნიტა, ავად ხომ არა ვარ ან ხომ არ მესიზმრებაო.

— შენ ჩემი არ გესმის, ძვირფასო, ჩემო საყვარელო ბიჭო, — ეუბნებოდა ქალი, — კი როგორ გაიგებ, როცა ამდენი ხანია ასე შორსა ვარ შენგან.

— ვინა ხარ?

— მეგობარი ვარ, ვინსენტ. ყველაზე ერთგული მეგობარი ამქვეყნად.

— ჩემი სახელი ვინ გითხრა? მე შენ პირველად გხედავ.

— მართალია, მაგრამ სამაგიეროდ მე მინახავხარ ძალიან, ძალიან ბევრჯერ.

— რა გქვია?

— მაია.

— მეტი არაფერი? მარტო მაია?

— შენთვის მარტო მაია, ვინსენტ.

— რატომ გამომყევი აქ, მინდორში?

— იმიტომ, რატომაც დაგყვები მთელ ევროპაში... რომ შენს გვერდით ვიყო.

— ვიღაცაში გეშლები. მე ის არა ვარ, ვინც შენ გგონივარ.

ქალმა თეთრი, გრილი ხელი გავარვარებულ კეფაზე გადაუსვა და გახურებული, მწითური თმა უკან გადაუწია. მისი გრილი ხელი და სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა ღრმა ჭიდან ამოღებული ცივი წყალივით გადაევლო ვინსენტს.

— ვინსენტ ვან გოგი ერთადერთია და მე იგი არავისში არ მეშლება.

— მაინც, შენი აზრით, რამდენი წელია, რაც მიცნობ?

— რვა წელია, ვინსენტ.

— რას ამბობ, რვა წლის წინ მე ვიყავი...

— ...ჰო, ძვირფასო, ბორინაჟში.

— მაშინაც მიცნობდი?

— სულ პირველად, გვიანი შემოდგომის ერთ საღამოს დაგინახე. შენ მარკასის წინ იჯექი, ჟანგმოკიდებულ ბორბალზე.

— ...და ვუყურებდი როგორ ბრუნდებიან მაღაროელები შინ.

— ჰო. მაშინ გნახე სულ პირველად. მარტოკა იჯექი. მე უსიტყვოდ ვაპირებდი ჩავლას, მაგრამ შენ უცებ კონვერტი და ფანქარი ამოიღე ჯიბიდან და ხატვას შეუდექი. მი ზურგს უკან დაგიდექ, შენს ნახატს დავაცქერდი. და როცა დავინახე...

შემიყვარდი.

— შეგიყვარდი? მე შეგიყვარდი?

— ჰო, ვინსენტ, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, შენ შემიყვარდი.

— მაშინ ალბათ ასე უშნო არ ვიყავი.

— არა, შენ ისეთი კარგი ხარ ახლა, რომ მაშინ ამის ნახევარიც არ იყავი.

— შენი ხმა... მაია... ისე უცნაურად ჟღერს. ასე ალერსიანად მე მხოლოდ ერთი ქალი მელაპარაკებოდა.

— მარგო. მასაც ისევე უყვარდი, როგორც მე მიყვარხარ.

— შენ იცნობ მარგოს?

— ბრაბანტში ორი წელი გავატარე. ყოველდღე შენს გვერდით ვიყავი მინდორში, იმ სამრეცხაო ოთახში, შენი სამზარეულოს გვერდით, და გიყურებდი, როგორ მუშაობდი. ბედნიერი ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ მარგოს უყვარდი.

— ესე იგი, შენ უკვე აღარ გიყვარდი?

ქალმა გრილი თითები გადაუსვა თვალებზე.

— რას ამბობ, როგორ არ მიყვარდი! იმ დღის შემდეგ, როცა პირველად გნახე, სულ მიყვარხარ.

— მერე, არ ეჭვიანობდი მარგოზე?

ქალმა გაიღიმა. უძირო სევდა და თანაგრძნობა დაეფინა მის სახეს. ვინსენტს მენდეს და კოსტა მოაგონდა.

— არა, მარგოზე არ ვეჭვიანობდი. მისი სიყვარული სასარგებლო იყო შენთვის. მაგრამ ქეი ვოსი რომ გიყვარდა, ის კი არ მომწონდა. მან შენ გული გატკინა.

— ურსულა რომ მიყვარდა, მაშინ მიცნობდი?

— ეგ ჩემამდე იყო.

— არც მაშინ მოგეწონებოდი ალბათ.

— არა.

— სულელი ვიყავი.

— ხანდახან საჭიროც არის სულელი იყო თავში, რომ ბოლოს დაბრძენდე.

— კი მაგრამ, თუკი ბრაბანტშიც გიყვარდი და ჩემთან იყავი, რატომ მაშინ არ მოხვედი?

— შენ მზად არ იყავი, ვინსენტ.

— ახლა?... მზადა ვარ?

— დიახ.

— და შენ ისევ გიყვარვარ? ახლაც... დღესაც... ამ წუთასაც?

— ახლაც, დღესაც, ამ წუთასაც და საუკუნოდაც:

— როგორ შეგიძლია გიყვარდე? შეხედე, რას მიგავს ღრძილები, არც ერთი კბილი ჩემი აღარ არის, თვალები სიფილისიანივითა მაქვს ჩაწითლებული. სახეზე ძვლების მეტი აღარაფერი დამრჩა. უშნო ვარ, ჩემსავით უშნოს მეორეს ვერ ნახავ!

ნერვებმოშლილი, უნაყოფო და თავით ფეხამდე მოწამლული, აი რა ვარ ახლა მე. როგორ შეგიძლია გიყვარდეს ასეთი ხეიბარი?

— დაჯექი, ვინსენტ!

ვინსენტი თავის სკამზე ჩამოჯდა. ქალმა ნახნავში ჩაიმუხლა.

— დაიცა! — იყვირა ვინსენტმა. — მიწით დაგესვრება ეგ თეთრი კაბა. ჩემს კურტაკს დაგიგებ ძირს!

ქალმა ნაზად შეაჩერა.

— ძალიან ბევრჯერ დაუსვრია მიწას ჩემი კაბა შენს დევნაში, ვინსენტ, მაგრამ ისევ მალე სუფთავდებოდა.

თეთრი, ძლიერი ხელით ნიკაპი აუწია და ნაზად შეუსწორა ყურსუკან ხვეული თმა.

— უშნო არა ხარ, ვინსენტ. ლამაზი ხარ. შენ ეწამე, ეწამა შენი საბრალო სხეულიც, სადაც მოთავსებულია სული, რომელსაც ვერაფერი შეეხება. სწორედ ეგ სული მიყვარს მე.

დადგება დღე, როცა მუშაობით განაწამები შენი სხეული განადგურდება, სული კი იცოცხლებს... სამარადისოდ. და მასთან ერთად იცოცხლებს ჩემი სიყვარულიც.

მზე უკვე კარგა მაღლა ამოცურდა ცაზე და მხურვალე სხივები ულმობლად გადმოაფრქვია ვინსენტს და ქალს.

— მოდი, სადმე ჩრდილში წაგიყვან, — შესთავაზა ვინსენტმა. — აი იქ, გზის გადაღმა კვიპაროსები დგას. ჩრდილში უფრო კარგად იგრძნობ თავს.

— მე აქაც ბედნიერი ვარ შენთან. მზეს კი არ ვუფრთხი, რადგან ბავშვობიდანვე თანშეზრდილი ვარ მასთან.

— დიდი ხანია არლში ხარ?

— შენ ჩამოგყევი, პარიზიდან.

ვინსენტი გაბრაზებული ზეზე წამოიჭრა და სკამს ფეხი წაჰკრა.

— მატყუარა ხარ! შენ აქ ვიღაცამ გამოგგზავნა, რომ მე დამცინო. ჩემი წარსულიც მოუყოლია! მოგისყიდეს და გინდა გამასულელო! გასწი, გამშორდი მე არ მსურს შენთან ლაპარაკი.

ქალი ღიმილჩამდგარი თვალებით უცქერდა.

— არა, ძვირფასო, მატყუარა არა ვარ. მე ვარ ყველაზე ნამდვილი, რაც შეიძლება არსებობდეს შენს ცხოვრებაში.

ჩემს შენდამი სიყვარულს კი ვერაფერი ჩაჰკლავს.

— სტყუი! შენ მე არ გიყვარვარ. დამცინი და ახლა მიყურე!

ვინსენტმა უხეშად მოხვია მკლავები. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— ახლავე შეწყვიტე დაცინვა, თორემ იცოდე რაღაცას გატკენ.

— მატკინე, ვინსენტ, ეს ხომ პირველი არ იქნება. ტკივილის გარეშე არ არსებობს სიყვარული.

— ასე ხომ? ესეც შენ!

მაგრად მიიკრა ქალი, შემდეგ მისი ტუჩები მოძებნა, ჰკბენდა და ძალით ჰკოცნიდა.

ქალმა ოდნავ გააღო ფაფუკი, თბილი ბაგეები, რომ მისი პირის სიტკბო მთლიანად შეესვა ვინსენტს. ქალი მთელი თავისი არსებით მინდობოდა ვინსენტს და ერთიანად მის საკუთრებად ქცეულიყო.

უეცრად ვინსენტმა მოიშორა იგი და მთვრალივით სკამისკენ წაიბორძიკა. ქალი ისევ მიწაზე დაეშვა მის ფეხთან. ცალი ხელა მუხლზე ჩამოადო და ნიკაპით დაეყრდნო ზედ. ვინსენტის ხელი მისი გრძელი, ლიმონისფერი თმის ტევრში ჩაიძირა.

— ახლა დარწმუნდი? — ჰკითხა ქალმა.

ვინსენტი კარგა ხანს ხმაამოუღებლად იჯდა და ბოლოს უთხრა:

— მაშ შენ ჩემთან ერთად ჩამოხვედი არლში. ჩემი მტრედი იცი?

— რაშელი საუცხოო გოგონაა.

— და შენ არც მისი წინააღმდეგი ხარ?

— შენ მამაკაცი ხარ ვინსენტ და ქალი გჭირდება. რაკი ჯერ ჩემი მოსვლის დრო არ იყო, შენ სადმე უნდა წასულიყავი, ახლა კი.

— ახლა?

— ახლა აღარ გჭირდება და არც არასოდეს დაგჭირდება.

— ესე იგი, შენ ამბობ...

— რა თქმა უნდა, ვინსენტ, ძვირფასო, მე ხომ მიყვარხარ.

— ან კი რატომ გიყვარვარ? მე ყოველთვის ვძულდი ქალებს.

— შენ სიყვარულისთვის არა ხარ გაჩენილი. შენთვის მუშაობაა მთავარი.

— მუშაობა? ფუი, რა სისულელეა! რა ფასი აქვს ჩემს ნახატებს? ვის სჭირდება? ვინ იყიდის მათ? ან ვინ იქნება, რომ ერთი გამამხნევებელი სიტყვა მაინც წამოსცდეს, მითხრას, მშვენივრად დაგინახავს ბუნება და ლამაზად გადმოგიხატავსო!

— დრო მოვა და მთელი ქვეყანა იტყვის მაგას, ვინსენტ.

— დრო მოვაო! ზღაპარია ეგ! ისეთივე ზღაპარი, როგორც ის, რომ შეიძლება მე ჯანმრთელი კაცი გავხდე, მქონდეს ოჯახი, და მხატვრობა საარსებო წყარო იყოს ჩემთვის. რვა უსასრულოდ გრძელი წელია ვხატავ. ამ ხნის განმავლობაში ერთი კაციც არ მინახავს ჩემი ნახატის ყიდვა მონდომებოდეს.

სულელი ვარ, აბა რა!

— მართალია, მაგრამ შენს სისულელეში იმდენი სილამაზეა! მას შემდეგ, როცა შენ აღარ იქნები, მთელი ქვეყანა გაიგებს შენს სათქმელს. ის ტილოები, რომელშიც ახლა ას ფრანკსაც არავინ გაძლევს, მილიონად გაიყიდება. ნუ იცინი, რასაც გეუბნები, სრული ჭეშმარიტებაა. შენი ნახატები ამსტერდამის, ჰააგის, პარიზის, დრეზდენის, მიუნჰენის, ბერლინის, მოსკოვისა და ნიუ-იორკის მუზეუმებს დაამშვენებენ. მათ ფასი არ ექნებათ, იმიტომ რომ არავინ მოისურვებს მათ გაყიდვას. შენს შემოქმედებაზე წიგნები დაიწერება, რომანები და პიესები შენს ცხოვრებას აღწერენ. თუკი სადმე ორი, მხატვრობის მოყვარული კაცი შეხვდება ერთმანეთს, ვინსენტ ვან გოგის სახელი წმიდათაწმიდა იქნება მათთვის.

— შენი ტუჩების გემო რომ არ მქონდეს აქამდე პირში, ვიტყოდი, მძინავს ან ნამდვილად შევიშალე-მეთქი.

— მოდი, გვერდით მომიჯექ, ვინსენტ. მომეცი შენი ხელი.

მზე ზენიტზე იდგა. მთასა და ველზე გოგირდისფერი ყვითელი ბუღი ტრიალებდა. ვინსენტი ნახნავში იწვა, ქალის გვერდით. ექვსი თვე იყო, რაშელისა და რულენის გარდა არავინ გამოლაპარაკებია. სიტყვების უზარმაზარი ნაკადი აზვავდა მასში. ქალი

ღრმად ჩასცქეროდა მის თვალებს და ვინსენტი ენად გაიკრიფა. უამბო ურსულას შესახებ, როცა იგი კლერკად მუშაობდა გუპილთან, უამბო თუ რის გაკეთებას ლამობდა და როგორ დამარცხდა, შემდეგ როგორ შეიყვარა ქეი და როგორ უნდოდა ქრისტინასთან ერთად შეექმნა ოჯახი. უთხრა რა იმედებს ამყარებდა მხატვრობაზე და რამდენჯერ მონათლეს გიუად. ისიც გაუზიარა თუ რატომ უნდოდა, რომ მისი ნახატი ტლანქი ყოფილიყო, სურათს თითქოსდა დაუმთავრებელი სახე ჰქონოდა და კოლორიტი ცოცხალი, მყვირალა ფერებით შეექმნა, არც ის დაუმალია, თუ რის გაკეთებას აპირებდა მხატვრობისათვის და მხატვრებისათვის და როგორ გადაიღალა ამდენი დაძაბულობისა და ავადმყოფობისაგან.

რაც მეტს უამბობდა, მით უფრო მატულობდა მისი მღელვარება. სიტყვები ისე იღვრებოდა, თითქოს საღებავის ტუბებს სცლის ტილოზეო. მთელი სხეულით ლაპარაკობდა, ხელებით, მკლავებით, მხრებით. წინ და უკან დადიოდა და ნერვიულად ტოკავდა. მაჯა აუჩქარდა, სისხლი აუდუღდა; გავარვარებულმა მზემ თითქოს ჟინიანი ენერგიით აავსო.

ქალი წყნარად უსმენდა და არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია. თვალებში ხედავდა ვინსენტი, რომ კარგად ესმოდა ქალს მისი. ქალი ხარბად დასწაფებოდა ვინსენტის ნაამბობს და მაინც მწყურვალივით ელოდა, აბა, კიდევ რას იტყვისო.

უნდოდა ბოლომდე გაეგო და მიეღო ყველაფერი ის, რასაც ვეღარ იტევდა ვინსენტის არსება და გაცემას ლამობდა.

უცბად დადუმდა. მთელი სხეული აუცახცახდა, თვალები ჩაუწითლდა, სახეზე ალმური მოედო და მუხლი მოეკვეთა.

ქალი წაეტანა და თავისკენ მიიზიდა.

— მაკოცე, ვინსენტ.

ვინსენტმა ტუჩებში აკოცა. წეღანდელივით გრილი აღარ იყო მისი ტუჩები. გვერდიგვერდ იწვნენ რბილ, დახნულ მიწაზე. ქალი ნაზად უკოცნიდა თვალებს, ყურებს, ცხვირს, ზედა ტუჩის პაწია ღარს; ტკბილი ენით ეხებოდა მის ენას, ნაზად ეფერებოდა მის წვერს, მხრებს და მკლავებს. ქალის კოცნამ უცნაური, მტანჯველი ჟინი გაუღვიძა, რომლის მსგავსი არაფერი განეცადა ვინსენტს. მთელ ტანში ისეთი ყრუ ტკივილი გაუჯდა, რასაც მარტო სხეული ვეღარ დაუამებდა. ჯერ არც ერთი ქალი არ მისცემია მას ასეთი მხურვალე, სიყვარულით სავსე კოცნით. ვინსენტმა მაგრად მიიკრა ქალი და იგრძნო მისი სიცოცხლით სავსე სხეულის სიმხურვალე ნაზი, თეთრი კაბის ქვეშ.

— დაიცა, — უთხრა ქალმა.

გვერდზე შეკრული ბალთა გაიხსნა და კაბა გაიძრო. მზედაკრული ტანიც სახესავით ოქროსფერი ჰქონდა. ეს იყო ქალწულის, ხელშეუხები ქალწულის სხეული. ვინსენტს ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ქალს ამგვარი სრულყოფილი სხეული ჰქონოდა. არც ის ეგონა, რომ ვნება შეიძლებოდა სუფთა, ასე მშვენიერი და დამათრობელი ყოფილიყო.

— რატომ თრთი, ძვირფასო, — უთხრა ქალმა, — მოდი, მაგრად მომეკარ. ნუ თრთი ასე, ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო, ჩემო საყვარელო. მე შენი ვარ და შენ გეკუთვნი.

მზე უკვე გადახრილიყო და დასალიერისაკენ ეშვებოდა.

მთელი დღის პაპანაქებას მიწა გაეხურებინა. მას ხორბლის სუნი ასდიოდა, ხორბლის, რომელიც დაეთესათ, მოეყვანათ, მოემკათ და რომლის ჩამკვდარი ნაწილი ისევ მიწას ჩარჩენოდა. ეს იყო სიცოცხლის სუნი, მსუყე, სასიამოვნო სუნი იმ სიცოცხლისა, რასაც მიწა შობს და რაც ისევ მიწას უბრუნდება.

ვინსენტის მღელვარება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ყოველი ძარღვი უთრთოდა და სადღაც შიგნით, რომელიღაც წერტილში ტკივილს გრძნობდა. ქალს მკლავები გაეშალა, თავისი სითბო გადაეშალა და მთლიანად მისცემოდა მის ალერსს, დასწაფებოდა იმ ამოხეთქილ სიშმაგეს და ვნებას, რაც თანდათან აღიზიანებდა ვინსენტს და ვეღარ დასტეოდა ტანში. ქალის უნაზესი ალერსი შეუცნობლად მიაქანებდა თავდავიწყების უკანასკნელ წამამდე.

ბოლოს, გასავათებულმა, ქალის მკერდზე მიიძინა.

რომ გაიღვიძა, აღარავინ ჰყავდა გვერდით. მზე ჩასულიყო.

ცალ ლოყაზე, რომლითაც გაოფლილი მიწას დამხობოდა, კარგა მოზრდილი გოროხი აკვროდა. გრილ მიწას ნეშომპალის სუნი ასდიოდა. ვინსენტმა კურტაკი ჩაიცვა, კურდღლის ქუდი დაიხურა, მოლბერტი ზურგზე: წამოიკიდა და ტილო იღლიაში ამოიჩარა. ბნელ შარას ნელა გაუყვა შინისაკენ.

შინ რომ მივიდა, მოლბერტი და ტილო ლეიბზე ისროლა და გარეთ გამოვიდა ყავის დასალევად. ცივი ქვის მაგიდას იდაყვით დაეყრდნო, ზედ ნიკაპი ჩამოსდო და თავიდან იხსენებდა, როგორ მოხდა ყველაფერი.

— მაია, — ბუტბუტებდა თავისთვის, — მაია. ნუთუ არასოდეს გამიგონია აქამდე ეს სახელი? იგი ნიშნავს... ნიშნავს...

ნეტავი რას. უნდა ნიშნავდეს?

მეორე ჭიქა ყავაც დალია. ერთ საათში ისევ გადაჭრა ლამარტინის მოედანი და თავის ყვითელ სახლში დაბრუნდა. ცივი ქარი ამოიჭრა და წვიმას აპირებდა.

წეღან მოლბერტი რომ დააგდო ძირს, ლამპა არ აუნთია.

ახლა მოუკიდა და მაგიდაზე დადგა. ყვითელმა შუქმა ოთახი გაანათა. უცებ რაღაც ჭრელი მოხვდა თვალში, ლეიბზე დაგდებული. გაოცებული მიუახლოვდა და ტილო ხელში აიღო:

სურათზე შემოდგომის ბაღი იყო გამოსახული, კაშკაშა შუქით განათებული. აი ორი ბოთლისფერი კვიპაროსის ხე, ფორმითაც რომ ბოთლს მიაგავს, სამი დაბალი წაბლის ხე თამბაქოსფერი და აგურისფერი ფოთლებით შემოსილი. აქა-იქ ღია ყვითელი ფოთლები და იისფერი ტანი. აი, ორი ბუჩქი სისხლივით წითელი და შინდისფერი. წინ სილა, ბალახი და ზემოთ ლურჯი, კამკამა ცა, უზარმაზარი, ლიმონისფრად მოცახცახე ცეცხლის ბურთით.

ვინსენტი გაოგნებული უცქერდა სურათს. შემდეგ ფრთხილად ჩამოჰყიდა კედელზე. თვითონ ლეიბთან დაბრუნდა, ფეხმორთხმული დაჯდა და ღიმილით მიაჩერდა ნახატს.

— ეს კარგია, — თქვა ხმამაღლა, — მართლაც კარგია.

7.

ზამთარი დადგა. ვინსენტი თავის თბილ სახელოსნოს აღარ სცილდებოდა. თეომ მოიწერა, რომ გოგენი პარიზში ჩამოვიდა ერთი დღით, რაღაც ვერ იყო დაწყობილ

ჭკუაზე და არავითარ შემთხვევაში არ სურს არლის გაგონებაც კიო. ვინსენტის წარმოდგენაში მისი ყვითელი სახლი არა მარტო ორი კაცის უბრალო ბინა იყო, არამედ მთელი სამხრეთელი მხატვრების საერთო სახელოსნოს წარმოადგენდა. როგორც კი ის და გოგენი მუშაობას ააწყობენ, მერე სახლის გაფართოებაზეც იზრუნებენ. ისინი სიამოვნებით მიიღებენ ნებისმიერ მხატვარს, ვინც კი მოინდომებს მათთან ყოფნას, ოღონდ სამაგიეროდ თვეში ერთი ტილო უნდა გაუგზავნოს თეოს. მალე თეოს იმპრესიონისტების კარგა ბლომად სურათები ექნება ხელთ, დატოვებს გუპილს და დამოუკიდებელთა გალერეას გახსნის პარიზში.

ვინსენტმა გოგენს აგრძნობინა წერილში, რომ სახელოსნოს უფროსიც შენ იქნები და იმ მხატვართა უფროსიც, ვინც ჩვენთან იცხოვრებს და იმუშავებსო. ვინსენტი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეეძლო ეკონომიურად ეცხოვრა, რომ საწოლი ოთახისთვის დარჩენოდა ფული. კედლები ღია იისფერად შეღება. იატაკზე წითელი ფილა ეგო. იყიდა ძალიან ღია, ღია, მომწვანო-ლიმონისფერი ზეწრები და ბალიშისპირები, ღია წითელი საბანი. ხის საწოლი და სკამები ახლადშედღვებილი კარაქის ფერად შეღება, ტუალეტის მაგიდა აგურისფრად, ტაშტი ლურჯად, ხოლო კარი იასამნისფრად. კედელზე რამდენიმე სურათი ჩამოჰკიდა, დარაბები გააღო, საწოლი ოთახი მთელი თავისი მოწყობილობით ტილოზე გადაიტანა, და თეოს გაუგზავნა. უნდოდა ძმასაც სცოდნოდა, რა მყუდრო ოთახი ჰქონდა მას. სურათი ისეთ ნაზ ფერებში დახატა, რომ იაპონურ გრავიურას ჰგავდა.

რაც შეეხებოდა გოგენის ოთახს, ეს უკვე სხვა საქმე იყო. ვინსენტს არ უნდოდა სახელოსნოს უფროსს იაფფასიანი ავეჯი ჰქონოდა. მადამ რულენი უმტკიცებდა, რომ კაკლის ხის საწოლი, რომლის ყიდვაც ძალიან უნდოდა ვინსენტს, სამას ორმოცდაათ ფრანკზე იაფი არ დაჯდებაო, ასეთი დიდი თანხა კი ვინსენტს არ ჰქონდა. ვინსენტი ფარხმალს მაინც არ ჰყრიდა და ნელ-ნელა იძენდა ოთახისთვის საჭირო სხვადასხვა წვრილმანს, რასაც ხშირად მისი ჯიბეგაფხეკილობა მოსდევდა ხოლმე.

როცა მენატურის ფული აღარ ჰქონდა, იდგა სარკის წინ და ავტოპორტრეტს ხატავდა. ერთხელ რაშელი მოვიდა და ის დახატა. კვირაში ერთხელ, საღამოობით, მადამ რულენი მოდიოდა თავისი ბავშვებით. მადამ ჟინუ, იმ კაფეს მეპატრონეს ცოლი, სადაც ვინსენტი დადიოდა, არლელი ქალის ტანსაცმელით დახატა. ერთ საათში სურათი მზად იყო. ფონი ღია ლიმონისფერი დაუხატა, სახე ნაცრისფერი, კაბა შავი, პრუსიული ლაჟვარდისფერი წინწკლებით მოჩითული. ქალი აგურისფერი ხის ნათხოვარ სავარძელში იჯდა და იდაყვებით მწვანე მაგიდას დაყრდნობოდა.

ერთხელაც, ერთი სახეგალეული, ხარივით სქელკისერა და ვეფხვივით ჭრელთვალება ზუავი ბიჭი მეტად უმნიშვნელო ფასად დათანხმდა დახატვაზე. ვინსენტმა წელს ზემოთ დახატა მისი პორტრეტი. ბიჭს ლურჯი ფორმა ეცვა, გამოხუნებული, მოწითალო აგურისფერი თასმებით შეკრული, გულზე ორი, ღია ყვითელი ვარსკვლავი ეკეთა. მზით გახუნებულ, ფოცხვერივით თავზე წითელი ფესი ეხურა. ფონი მწვანე იყო. სურათი მყვირალა, ყოვლად შეუსაბამო, კონტრასტული ფერების კომბინაცია გამოვიდა, მაგრამ იმ ზუავის ხასიათს ზუსტად უდგებოდა.

ვინსენტი საათობით იჯდა ფანჯარასთან ფანქრითა და ქაღალდით ხელში, ცდილობდა დაეხვეწა ხატვის ტექნიკა, რომ რამდენიმე მოსმით შესძლებოდა დაეხატა კაცის, ქალისა და ბავშვის სხეული, ცხენისა თუ ბავშვის ფიგურა, თანაც ყველაფერი თავის რიგზე. ყოფილიყო. თავიდან დახატა ზაფხულში შესრულებული სურათები. ასე

ეგონა, წელიწადში ორმოცდაათი ეტიუდი რომ გამაყიდინა ორას ფრანკად, არც ისეთი უსინდისო ვიქნები და ჭამა-სმაც დამსახურებული მექნებაო.

ამ ზამთარში ბევრი რამ ისწავლა და გაიგო ვინსენტმა; მიხვდა, რომ თუ არ გინდა ადამიანის სხეული შუშას მიაგავდეს, არამცდაარამც არ შეიძლება მისი პრუსიული ლაჟვარდით დახატვა; რომ მისი კოლორიტი არ იყო ჯერ კიდევ ისეთი გამომხატველი, როგორიც უნდა ყოფილიყო; რომ სამხრეთის ფერებში, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი წითელის და მწვანის, აგურისფერის და ლურჯის, გოგირდისფერის და იასამნისფერის დაპირისპირებაა; რომ ძალიან უნდა მისი ნახატი ისევე დამამშვიდებლად მოქმედებდეს ადამიანზე, როგორც ვთქვათ, მუსიკა, ხოლო კაცების და ქალების სახეებში რაღაც ღვთაებრივი ჩააქსოვოს, რასაც სიმბოლურად წმინდანთა შარავანდედით გამოხატავენ თავის გარშემო და რაც მხოლოდ საღებავის სიკაშკაშით და ცახცახა ფერებით შეიძლებოდა გადმოეცა. და ბოლოს იმასაც მიხვდა, რომ თუ კაცს სიღარიბე უწერია ბედად, მას სიღარიბეში ამოხდება კიდეც სული.

ერთ-ერთი ძია ვან გოგი გარდაიცვალა და თეოს უმნიშვნელო მემკვიდრეობა დაუტოვა. რაკი ვინსენტს ოცნებად ჰქონდა გოგენი ჰყოლოდა გვერდით, თეომ გადაწყვიტა იმ მემკვიდრეობის ნახევარი არლში გაეგზავნა, გოგენის ოთახის მოსაწყობად. ვინსენტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გაუთავებლად სულ იმას ცდილობდა, კიდევ რითიმე დაემშვენებინა თავისი ყვითელი სახლი. აპირებდა დაეხატა რამდენიმე პანო არლის საუცხოო მზესუმზირებით — ეს იქნებოდა ყვითელისა და ლურჯის წარმტაცი სიმფონია.

გოგენი არც უფასო მგზავრობამ გაახარა. რატომღაც, ვინსენტს ვერაფრით ვერ გაეგო რატომ. გოგენს ერჩივნა პონტ-ავენში უსაქმოდ მჯდარიყო. ვინსენტი კი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ დროზე მოერთო სახლი, რათა უფროსის ჩამოსვლისთვის სახელოსნო მზად ყოფილიყო.

გაზაფხული დადგა. ყვითელი სახლის უკანა ბაღი ისე გადაიპენტა ოლეანდრის ყვავილებით, რომ ვინსენტი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. უამრავი ყვავილებით დახუნძლულ ტოტებზე აქა-იქ ჩამომჭკნარებიც მოჩანდა. ახლად ამოყრილი მწვანე კვირტები კი დაბერილიყვნენ და გაშლას ლამობდნენ, რომ ხეს გაუთავებლად ჰქონოდა ყვავილები.

ისევ წამოიკიდა ვინსენტმა თავისი მოლბერტი და გარეთ გამოვიდა მზესუმზირების საძებრად, რომ თავისი პანო მოეხატა. გადახნულ ველებს ნაცრისფერი ედო და გლეხური ხის ფეხსაცმელები მოაგონა ვინსენტს. კესანე ყვავილივით ლურჯ ცაზე ნაგლეჯ-ნაგლეჯ დაცურავდნენ ბამბის ფთილასავით თეთრი ღრუბლები. რამდენიმე მზესუმზირა ადგილზე დახატა, თან ძალიან სწრაფად, როცა ის-ის იყო მზე ამოდიოდა, დანარჩენები კი დაგლიჯა, შინ წაიღო და მწვანე ლარნაკში დახატა.

სახლის ფასადი ხელმეორედ შეღება ყვითლად, რამაც მეტისმეტად გაამხიარულა ლამარტინის მოედნის მკვიდრნი.

სახლის ყველა სამუშაოს მორჩა, ამასობაში ზაფხულიც მოვიდა და თან მოიტანა თაკარა მზე, შმაგი მისტრალი, უცნაურად დაძაბული ჰაერი და მთაზე მიკრული ქალაქის გადაღლილობა და მოთენთილობა.

სწორედ ამ დროს ჩამოვიდა გოგენი. იგი უთენია გადმოვიდა მატარებლიდან და განთიადს პატარა, ღამის კაფეში დაელოდა. კაფეს მეპატრონემ შეხედა თუ არა წამოიძახა:

— აჰ, ეს თქვენა ხართ მისი მეგობარი! მაშინვე გიცანით!

— რომელ მეგობარზე მელაპარაკებით, დალახვროს ეშმაკმა!

— მუსიე ვან გოგმა თქვენი გამოგზავნილი ავტოპორტრეტი მიჩვენა. ზედგამოჭრილად ჰგავხართ იმ სურათს, მუსიე.

გოგენი ვინსენტის გასაღვიძებლად გაეშურა. შეხვედრა მეტისმეტად ხმაურიანი და გულისამაჩუყებელი იყო. ვინსენტმა მაშინვე დაათვალიერებინა გოგენს სახლი, მოეხმარა ბარგის გახსნაში და კითხვები დააყარა, რა არის ახალი პარიზშიო.

რამდენიმე საათს გული ვერ იჯერეს ლაპარაკით.

— დღეს აპირებ ხატვას, გოგენ?

— შენ რა, კაროლიუს დიურანი ხომ არ გგონივარ, ჩამოვდივარ მატარებლიდან, ვიღებ პალიტრას და იქვე ვიხატავ თვალწარმტაც დაისს!

— არა, მე ისე გკითხე.

— ჰოდა, სულელურ კითხვებს ნუ იძლევი.

— მაშინ მეც დამისვენია დღეს. წამო, ქალაქი გიჩვენო.

მერიის მოედანზე გაიყვანა და ქალაქის განაპირა, ბაზრისკენ მიმავალი ქუჩით მთის ფერდობზე აიყვანა. ზუავები ბარაკებიდან გამოსულიყვნენ და მარშით დადიოდნენ მინდორზე.

მათ წითელ ფესებს თითქოს ცეცხლი წაკიდებოდა მზეზე.

ვინსენტმა რომაელთა ფორუმის წინ გაშენებული პატარა ბაღისკენ აიღო გეზი. არლის მკვიდრნი გარეთ გამოსულიყვნენ, რომ დილის ჰაერით ესუნთქათ. ვინსენტი გაცხარებული უმტკიცებდა გოგენს, არლელები მეტისმეტად ლამაზები არიანო.

— როგორ მოგწონან არლელები, გოგენ? — ეკითხებოდა ვინსენტი.

— რაღა დაგიმალო, დიდად არ ვგიჟდები.

— შენ ფორმას რას უყურებ, შეხე, რა კანი აქვთ. შეხედე, როგორი კოლორიტი მიუცია მზეს მათთვის!

— საროსკიპოსების საქმე როგორ არის, ვინსენტ!

— მარტო ხუთფრანკიანი დაწესებულებებია, ზუავებისთვის.

ისევ ყვითელ სახლში დაბრუნდნენ და ახლა ოჯახს მიხედეს.

სამზარეულოს კედელზე ყუთი მიაჭედეს და ფულის ნახევარი შიგ ჩადეს — ამდენი და ამდენი თამბაქოსთვისო, ამდენი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვისო, ესეც ბინის ქირაო. ყუთის თავზე ქაღალდი და ფანქარი დადეს, რომ აღენიშნათ ყოველი ფრანკი, რასაც ყუთიდან ამოიღებდნენ. მეორე ყუთში დანარჩენი ფული ჩადეს ოთხად გაყოფილი, რომ ყოველ კვირას საჭმლის ფული თანაბრად ჰქონოდათ განაწილებული.

— როგორც ვიცი, შენ კარგი მზარეული ხარ, გოგენ, ხომ მართალია?

— საუცხოო. მეზღვაურად რომ ვმუშაობდი, მაშინ ვისწავლე.

— მაშ კერძების მომზადება შენ დაგევალება. დღეს კი შენს პატივსაცემად სუპს მე მოვხარშავ.

როცა ვინსენტმა სუპი დაასხა, გოგენმა პირიც ვერ დააკარა.

— არ მესმის, როგორ მოახერხე ამ წუმპე ნაზავის შექმნა.

ზუსტად ასევე უგემურად თითხნი ფერებს მაგ შენს ტილოებზე.

— ნეტავი რას უწუნებ ჩემს ფერებს?

— იცი რა, ჩემო კარგო, შენ ჯერ ისევ ნეო-იმპრესიონიზმში იქექები. დროა, ახალი მიდგომა ეძებო. ეს მეთოდი სრულიად არ შეესაბამება შენს ბუნებას.

ვინსენტმა სუპი გვერდზე გასწია.

— ასე ერთი შეხედვით დაასკვენი ეგ? ერთი ამ კრიტიკოსს დამიხედეთ!

— აბა, შენ თვითონ შეხედე, ბრმა ხომ არა ხარ! აი ეს გადარეული ყვითელი ფერი, მაგალითად, პირდაპირ სამარცხვინოა.

ვინსენტმა მზესუმზირების პანოს შეხედა კედელზე.

— სულ ეს არის, რასაც ჩემი მზესუმზირებისთვის იმეტებ?

— არა, რა თქმა უნდა, ნაკლი სხვაც ბევრი აქვს!

— მაგალითად?

— მაგალითად, არა აქვს ჰარმონიულობა. მეტისმეტად მონოტონურია და დაუსრულებელსა ჰგავს.

— სტყუი!

— დაჯექი, ვინსენტ. ძალიან გთხოვ აგრე ნუ მიყურებ, ლამისაა შემჭამო თვალებით. მე შენზე უფროსი ვარ და მეტი გამეგება. შენ ჯერ ისევ ძიებაში ხარ, ვინსენტ. მე დამიჯერე და გასწავლი როგორ უნდა ხატვა.

— მაპატიე, პოლ. დიდად მოხარული ვიქნები თუ რამეს მასწავლი.

— უპირველეს ყოვლისა, თავიდან ამოიგდე ყოველგვარი სისულელე. მთელი დღეა მეისონიესა და მონტიჩელის გაიძახი, ეგენი ორივე წყალწაღებულია. იცოდე, ვიდრე შენ მაგათი მხატვრობით იქნები აღფრთოვანებული, ვერ შესძლებ რიგიანად ხატო.

— მონტიჩელი ბუმბერაზი მხატვარია. მაგასავით არავის ესმის კოლორიტის ფასი.

— ის იდიოტი ლოთი იყო და მეტი არაფერი.

ვინსენტი ფეხზე წამოხტა და მრისხანედ მიაჩერდა გოგენს, სუპიანი თეფში წითელი ფილის იატაკზე გადმოვარდა და ნამსხვრევებად იქცა.

— არ გაბედო ფადაზე მაგისი თქმა! მე იგი ღვიძლ ძმასავით მიყვარს. ის, რომ იგი ლოთი იყო და შეშლილი, ბოროტი ენების მონაჭორია. აბა როგორ შეეძლო ლოთს დაეხატა ის, რაც მონტიჩელიმ დახატა. უდიდეს გონებრივ დაძაბულობას, გააწონასწორო ექვსი ძირითადი ფერი, მეტისმეტ გულმოდგინებას და ზუსტ გაანგარიშებას, როცა ნახევარ საათში ათას რამეზე გჭირდება კაცს ფიქრი, ჯანსაღი ტვინი სჭირდება, და სხვათა შორის, ფხიზელი ტვინი. შენ კი რა გგონია, მაგ ჭორებს რომ იმეორებ, იმ დედაკაცზე უკეთესი ხარ, ვინც თითხნის მაგ ჭორებს?

— უჰ, უჰ, — ახახულა ცაშიაო, ქარი უქრის თავშიაო.

ვინსენტი ისე შეტორტმანდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ბოღმა ყელში მოაწვა და ახრჩობდა. უნდოდა, როგორმე დაეთრგუნა თავისი სიბრაზე, მაგრამ რაკი ვერ შესძლო, თავის ოთახში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

8.

მეორე დღეს ჩხუბი არცერთს აღარ ახსოვდა. ერთად მიირთვეს ყავა და შესაფერისი პეიზაჟის საძებნელად თავ-თავისი გზით გაეშურნენ. საღამოთი, როცა იმ მუშაობისაგან ქანცგამოცლილი ვინსენტი, რასაც იგი ექვსი ძირითადი ფერის გაწონასწორებას ეძახდა, შინ დაბრუნდა, გოგენი სადილს ამზადებდა და გაზის პაწია

ქურასთან ფუსფუსებდა. თავდაპირველად მშვიდად საუბრობდნენ; შემდეგ კი ლაპარაკი მხატვრობასა და მხატვრებზე ჩამოვარდა, რადგან ეს იყო ერთადერთი თემა, რაც ორივეს აინტერესებდა.

და ბრძოლა კვლავ განახლდა.

ვინსენტს სძაგდა ყველა ის მხატვარი, რომელთაც გოგენი აღმერთებდა. ვინსენტის საყვარელი მხატვრები კი პირდაპირ ზიზღს გვრიდნენ გოგენს. მხატვრობაში სულ უმნიშვნელოსაც ვერაფერს იპოვიდით ისეთს, რაზეც ამათ შეეძლოთ შეთანხმება. სხვაზე, რაზეც გინდათ, საკმაოდ მშვიდად და მეგობრულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მხატვრობა ორივეს სული და გული იყო. ორივე, რაც შეეძლო, გააფთრებული იცავდა თავის შეხედულებებს. გოგენი ორჯერ უფრო ძლიერი იყო ვინსენტზე, მაგრამ სამაგიეროდ ვინსენტის სიფიცხე აბათილებდა მის ფიზიკურ ძალას.

ისეთ საგნებზე ლაპარაკის დროსაც კი, რაზეც თანხმდებოდნენ კიდეც, ისე იფეთქებდა ორივე, რომ ბოლოს ომში ნამყოფი ქვემეხებივით უხურდათ თავები.

— შენ ვერაფრით ვერ იქნები მხატვარი, — განუცხადა ერთხელ გოგენმა, ვიდრე იმას არ ისწავლი, რომ წახვიდე, მოგეწონოს პეიზაჟი, მერე შინ დაბრუნდე და მშვიდად დახატო ნანახი.

— სულაც არ მჭირდება მშვიდად ხატვა! რატომ არ გესმის შე შტერო, რომ მე მინდა სწორედ ასე მგზნებარედ ვხატო!

ამიტომაც ჩამოვედი არლში.

— ეს შენი ნახატები მხოლოდ ბუნების მონური მიბაძვაა.

როდისღა უნდა ისწავლო შემოქმედებითი იმპროვიზაციით ხატვა!

— იმპროვიზაციით? ღმერთო ჩემო!

— და კიდევ. კარგი იყო ყურადღებით გესმინა სიორასათვის. მხატვრობა აბსტრაქტული მეცნიერებაა, ჩემო კარგო. აქ არც შენი თეორიებია საჭირო და არც შენი მორალი.

— რა მორალი, ხომ არ გაგიჟდი!

— თუ შენ ქადაგების ხასიათზე ხარ, ვინსენტ, სჯობს ისევ ეკლესიას დაუბრუნდე. მხატვრობა კი სხვა არაფერია თუ არა კოლორიტი, შტრიხი და ფორმა. მხატვარმა დეკორატიულობა უნდა დაინახოს ბუნებაში, ეს არი და ეს.

— დეკორატიულობა, — ჩაიბუზღუნა ვინსენტმა, — თუ შენ სხვას ვერაფერს ხედავ ბუნებაში, ის დროა რომ ისევ შენი ბირჟა ეძებო.

— ბირჟას თუ დავუბრუნდი, კვირაობით შენს ქადაგებაზე ვივლი. აბა მიბრძანეთ თქვენ რას ხედავთ ბუნებაში, მეთაურო!

— მე ვხედავ მოძრაობას, გოგენ, ცხოვრებისეულ რიტმს.

— შეიძლება, მაგრამ მე არ გეთანხმები.

— როცა მე მზეს ვხატავ, მინდა ვაჩვენო, რა გასაოცარი სისწრაფით ბრუნავს იგი და რა თვალისმომჭრელ შუქსა და აუტანელ სიმხურვალეს გვიგზავნის ჩვენ. პურის ყანაში კი, ვცდილობ ჩანდეს ის პაწაწინა ატომები, რაც ხორბალს ჯერ ჯეჯილად აქცევს, შემდეგ კი დათავთავებულ ყანად. ჩემს დახატულ ვაშლში ხალხმა წვენი უნდა დაინახოს, რასაც ვაშლის კანი ფარავს, და ის თესლი, რომელიც გარეთ მოიწევს და განაყოფიერებას ლამობს.

— ვინსენტ, რამდენჯერ მითქვამს, რომ მხატვარს თეორიები არ სჭირდება.

— აი ეს სურათი ავიღოთ, გოგენ. შეხედე ამ ვენახს! არ გეგონება ეს მწიფე მტევნები საცაა დასკდებიან და შიგ თვალში მომესხმება მისი წვენიო! ახლა ამ ხევს შემოხედე. მინდოდა მნახველს ის მილიონობით ტონა წყალიც ეგრძნო, რასაც მასში ჩაუვლია. ხოლო როცა ადამიანებს ვხატავ, ვცდილობ, მთელი მისი ცხოვრება ჩანდეს პორტრეტში, თუ რა ნახა და რა განიცადა ამ კაცმა!

— მაგით რისი თქმა გინდა?

— აი რა, გოგენ. ის მიწა, რომელიც ხორბალს ზრდის, ის წყალი, რომელსაც ეს ხევი ურეცხავს, ან ამ ყურძნის წვენი და ის ცხოვრება, რაც ამ კაცს გაუვლია, — ეს ყველაფერი ერთი და იგივეა. ცხოვრების ეს მჭიდრო კავშირი მისი რიტმის ერთიანობას უდრის. რიტმის, რომელიც ყველას და ყველაფერს ამოძრავებს ადამიანს, ვაშლს, ხევს, გადახნულ მინდორს, პურის ყანაში ჩამდგარ ურიკას, სახლს, ცხენსა თუ მზეს. ის, რაც დღეს შენი სხეულია, გოგენ, ხვალ შეიძლება ყურძნის მტევნად იქცეს, რადგან თქვენი ორივეს არსი განუყოფელია.

როცა მიწისმხვნელს ვხატავ, მინდა ვაჩვენო, რომ ეს კაცი ხორბლის მარცვლის მსგავსად ამ შავს მიწაში ჩავა და მიწა კი ისევ კაცად აქცევს მას. მე მინდა ყველამ იგრძნოს, რომ თვით ის მზეც, რომელიც ჩაღვრილია ამ გლეხში, მინდორში, ხორბალში, გუთანსა თუ ცხენში, სხვა არაფერია თუ არა ისევ ეს ყველაფერი, ერთად აღებული. როცა შესძლებ შეიგრძნო ეს საყოველთაო რიტმი, რითაც მთელი სამყარო მოძრაობს, შეგიძლია თქვა, რომ გესმის ცხოვრება. სწორედ ეს არის ის, რასაც ღმერთს ეძახიან.

— სწორია, მეთაურო! — წამოიძახა გოგენმა.

ვინსენტი საშინლად ღელავდა და თავით ფეხამდე თრთოდა. გოგენის სიტყვები ისე მოხვდა, თითქოს სილა გააწნესო.

პირგაღებული უაზროდ შედგა.

— აბა ამიხსენი, რას ნიშნავს ეგ „სწორია, მეთაურო!“

— ეს ნიშნავს, რომ დროა კაფეს მივაშუროთ და აბსენტი მივირთვათ.

ორი კვირა გავიდა. ერთ შაბათ საღამოს გოგენმა უთხრა:

— წამო, ის შენი დაწესებულება ვნახოთ. იქნება ერთი კაი პუტკუნა გოგო ვიპოვნო.

— ოღონდ რაშელს ხელი არ ახლო. ის ჩემია.

ქვიანი შუკების ლაბირინთს გაჰყვნენ და საროსკიპოში შევიდნენ. რაშელმა ვინსენტის ხმა რომ გაიგონა, ხტუნვა-ხტუნვით მოირბინა და ყელზე მოეხვია.

ვინსენტმა გოგენი გააცნო ლუის.

— მუსიე გოგენ, — უთხრა ლუიმ. — თქვენ ხომ მხატვარი ხართ. მე შარშან ორი ახალი სურათი ვიყიდე პარიზში. თუ შეიძლება მითხარით, რა აზრისა ხართ მათზე.

— სიამოვნებით. სად შეიძინეთ სურათები?

— გუპილთან. ოპერის მოედანზე. აი აქ მიკიდია, წინა ოთახში. შემობრძანდით.

რაშელმა მარცხენა ოთახში შეიყვანა ვინსენტი, ხელის კვრით სკამზე დასვა და მუხლებზე დაუსკუპდა.

— ექვსი თვეა აქ დავდივარ, — აბუზღუნდა ვინსენტი, — და ლუის ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის, თქვენი აზრი მითხარით ჩემს სურათებზეო.

— მისი ჭკუით შენ მხატვარი არა ხარ, ფუ-რუ.

— იქნებ არც სცდება.

— მე შენ აღარ გიყვარვარ, — რაშელი გასაბუტად მოემზადა.

— რატომ გგონია, ჩემო მტრედო?

— რამდენი კვირაა აღარ მოსულხარ ჩემთან.

— არ მეცალა ჩემი მეგობრისთვის ოთახს ვაწყობდი.

— როცა არ მოდიხარ ხოლმე, მაშინაც გიყვარვარ?

— მაშინაც მიყვარხარ.

რაშელმა პატარა, მრგვალ ყურებზე უჩქმიტა და შემდეგ სათითაოდ აკოცა.

— აბა თუ გიყვარვარ, ფუ-რუ, მაჩუქე ეს შენი პაწია, სასაცილო ყურები! ხომ შემპირდი გაჩუქებო.

— აჰა, წაიღე და შენი იყოს.

— ისე მეუბნები, ფუ-რუ, თითქოს მიკერებული გქონდეს როგორც ჩემს თოჯინას აქვს.

უცებ მეზობელი ოთახიდან ხმაური მოისმა. ვიღაცამ ისე დაიჭყივლა, ვერ გაიგებდი, იცინის თუ ტკივილისაგან ყვირისო. ვინსენტმა რაშელი ძირს ჩამოსვა, ჰოლი გადაირბინა და მეზობელ ოთახში შევარდა.

გოგენი აბუზულიყო, იატაკზე იჯდა და ერთიანად კანკალებდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ლუის ლამპა ეჭირა ხელში და გაკვირვებული დასჩერებოდა. ვინსენტი დაიხარა, მხრებში სწვდა მეგობარს და შეანჯღრია.

— პოლ, პოლ, რა დაგემართა?!

გოგენი რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ ენა ვერ მოებრუნებინა. ცოტა ხნის შემდეგ როგორც იქნა ამოღერღა: — ვინსენტ... უკვე... შური იძიეს ჩვენზე... შეხედე... შეხედე... იქ, კედელზე... ის ორი სურათი... რომელიც ლუიმ გუპილთან იყიდა... თავისი საროსკიპოსთვის. ორივე ბუგროს ნახატია.

უეცრად ზეზე წამოიჭრა და კარისკენ გავარდა.

— დაიცა, — დაუძახა ვინსენტმა და უკან გამოენთო. — საით?

— ფოსტაში. ბატინიოლის კლუბს დეპეშა უნდა გავუგზავნო.

შუა ზაფხული იდგა მთელი თავისი მცხუნვარებით და პაპანაქებით. ბუნება კაშკაშა ფერებს აევსო. ყველგან თვალს ჭრიდა ხასხასა მწვანე, ლურჯი, ყვითელი და წითელი ფერი.

მზის სხივი რასაც კი სწვდებოდა, ულმობლად სწვავდა ყველაფერს. რონას სანაპირო სიცხის ციმციმა ბუღით ავსებულიყო.

მზე უმოწყალოდ აცხუნებდა ორივე მხატვარს. გამოთაყვანებული, გამოშტერებული დაიარებოდნენ და წინააღმდეგობის გაწევის არავითარი უნარი აღარ შერჩენოდათ. დროდადრო მისტრალი ამოიჭრებოდა, და ახლა ეს სცემდა მათ დაქანცულ სხეულს, უწეწავდა ნერვებს და ისე აქნევდა მათ თავებს აქეთიქით, რომ ეგონათ აი ახლა გამისკდება ან ძირში მომძვრებაო.

მიუხედავათ ამისა, ყოველ დილით, მზე ამოვიდოდა თუ არა, გარეთ გადიოდნენ და მანამდე ხატავდნენ, ვიდრე დღის ლურჯ ლაჟვარდისფერს ღამისეული გაცრეცილი ლურჯი ფერი არ შეცვლიდა.

ვინსენტსა და გოგენს შორის ახალი ომი გაჩაღდა... ვინსენტი მოქმედი ვულკანივით ფეთქდებოდა, გოგენი კი იმ გავარვარებულ ლავას მიაგავდა, რომელიც ჯერ ისევ მიწაში დუღს და ბუყბუყებს. ღამღამობით, როცა დაღლილ-დაქანცულებს ძილი არ ეკარებოდათ თანაც ისე იყვნენ განერვიულებულები, რომ წყნარად ჯდომაც არ შეეძლოთ, ერთმანეთს დაეძგერებოდნენ ხოლმე. ფული ნელ-ნელა

აკლდებოდათ. გასართობად ვერსად დადიოდნენ და დაგროვილ ზღვა ვნებას ერთმანეთის გაღიზიანებას ანდომებდნენ. გოგენი სულ იმას ცდილობდა როგორმე გაემწარებინა მეგობარი და როცა ნახავდა, რომ ვინსენტს უკვე ბოღმა აღრჩობდა, მაშინვე მიახლიდა, სწორია უფროსოო.

— ვინსენტ, რა გასაკვირია, რომ ვერ ხატავ, მთელი სახელოსნო თავდაყირა დაგიყენებია. შეხედე რა არეულობაა შენს საღებავების ყუთში. ღმერთო, დიდებულო, ეგ ჰოლანდიური ტვინი დოდეთი და მონტიჩელით რომ არ გქონდეს დანაგვიანებული, იქნება. ცოტა გონი მოგეკრიფა და ოდნავ მაინც მოგეწესრიგებინა შენი ცხოვრება.

— შენ ვინ გეკითხება, გოგენ. ეს სახელოსნო ჩემია. შენსას კი როგორც გაგეხარდება, ისე მოუარე.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, აი რას გეტყვი; შენი ტვინიც ზუსტად ისეთივე დაწყობილია, როგორც ეს საღებავების ყუთი. ევროპის ნებისმიერი საფოსტო მარკების მჭღაბნელი მოგწონს და ის არ გესმის, რომ დეგა...

— დეგა! აბა ერთი დამისახელე მაგ შენი დეგას სურათი, რომელიც ღირსი იყოს მილეს ტილოებს ამოუდგეს გვერდით.

— მილე! ეგ სენტიმენტალისტი! ეგ...

ვინსენტი მილეს თავის სულიერ მამად თვლიდა და მის ლანძღვაზე პირდაპირ გაავდებოდა ხოლმე. გადარეულივით გამოენთებოდა გოგენს ოთახიდან ოთახში. გოგენი გარბოდა.

სახლი არც თუ ისე ფართო ასპარეზი იყო სარბენლად. ვინსენტი ღრიალებდა, დორბლებს ჰყრიდა და მუშტებს უტრიალებდა გოგენს ცხვირწინ. სამხრეთის დახუთული, ტროპიკული ღამე ბევრჯერ ყოფილა მათი ცხარე შეტაკების მოწმე.

მუშაობით ორივე თავდაუზოგავად მუშაობდა. ცდილობდნენ, რაც შეიძლება შემოქმედებითად და ნაყოფიერად გამოეყენებინათ თავისი თავიც და ბუნებაც. დღისით კაშკაშა პალიტრას ეჭიდებოდნენ, ღამ-ღამობით კი ერთმანეთის უტეხ მეს.

თუ ისე მოხდებოდა, რომ არ იჩხუბებდნენ, მათი მეგობრული „საუბარი“ იმდენად ცხარე იყო, რომ ორივეს ძილი უფრთხებოდა. თეოს გამოგზავნილი ფული მოვიდა. მაშინვე იყიდეს თამბაქო და აბსენტი. ამ სიცხეში ჭამის თავი მაინც არ ჰქონდათ. ასე ეგონათ, აბსენტი ნერვებს დაგვიწყნარებსო, მაგრამ პირიქით მოხდა.

ისევ ამოიჭრა ის აუტანელი, შმაგი მისტრალი. ისევ სახლს მიეჯაჭვნენ მხატვრები. გოგენს მუშაობა არ შეეძლო. დროს გასაყვანად ვინსენტს დასცინოდა და ისიც მაშინვე ფეთქდებოდა. ჯერ არ ენახა გოგენს, რომ მარტო სიტყვით ასე გაგიჟებულიყოს ადამიანი.

გოგენს ვინსენტის მეტი საქმე არაფერი ჰქონდა და რაც შეეძლო აღიზიანებდა მას.

— გირჩევნია დაწყნარდე, ვინსენტ, — უთხრა გოგენმა ერთხელ, როცა უკვე მეხუთე დღე იყო მისტრალი უბერავდა, რაც, ყვითელ სახლში ატეხილ ქარიშხალთან შედარებით ნაზი სიო გეგონებოდათ.

— შენს თავს მიხედე, გოგენ!

— იცი რა, ვინსენტ, შემიძლია რამდენიმე კაცი დაგისახელო, ვისთანაც კარგა ხანს ვცხოვრობდი ერთ ჭერქვეშ და ვინც ჩემთან კამათის ნიადაგზე ჭკუიდან შეიშალა.

— შენ რა, მემუქრები?

— არა, გაფრთხილებ.

— მაშ შენი გაფრთხილება შენთვის შეინახე.

— კეთილი. მაგრამ თუ რამე მოხდეს, მე ხელი დამიბანია — ოჰ, პოლ, პოლ, რა არის, აღარ გვეყოფა ამდენი ჩხუბი!?

ვიცი, რომ ჩემზე უკეთესი მხატვარი ხარ; ვიცი, რომ ბევრი რამ შეგიძლია მასწავლო. მაგრამ სულაც არ მინდა, რომ ვერ მიტანდე, გესმის? ცხრა წელიწადი მონურ შრომაში გავატარე და, ღმერთმანი, რაღაც მეც გამომდის, ხომ მართალია? მითხარი რომ ასეა. რა, არა? ხმა ამოიღე, გოგენ.

— სწორია, მეთაურო!

მისტრალი ჩაცხრა. ისევ გამოეფინა ხალხი ქუჩებში. ძველებურად აკაშკაშდა თაკარა მზე და მასთან ერთად უცნაური განგაში მოედო არლს. პოლიციას საქმე გაუჩნდა — ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავდით ბოროტმოქმედებასა და ძალმომრეობას. ხალხს უძირო, დაუოკებელი სიშმაგე ჩადგომოდა თვალებში. არავინ იცინოდა, ხმას არავინ იღებდა. კრამიტის სახურავები ლამის დაადნო მზემ. ლამარტინის მოედანზე იყო ერთი გაუთავებელი ჩხუბი და დანების ტრიალი. იგრძნობოდა, რომ რაღაც უბედურება უნდა დატრიალებულიყო. გადაქანცული არლი ვეღარ აიტანდა ამდენ დაძაბულობას. რონის სანაპირო გეგონებოდათ საცაა იფეთქებს და უთვალავ ნამსხვრევებად იქცევაო.

ვინსენტს კი პარიზელი ჟურნალისტი გაახსენდა.

— ნეტავი რა მოხდება, — ეკითხებოდა თავის თავს. — მიწისძვრა თუ რევოლუცია?!

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვინსენტი მაინც თავშიშველი ხატავდა მინდორში. მას ეს კაშკაშა, თვალისმომჭრელი მცხუნვარება სჭირდებოდა, რომ სხეულში ჩაღვროდა და აზვავებული ვნება კიდევ უფრო აებობოქრებინა. მისი გონება გავარვარებულ თონეს მიაგავდა, სადაც ელვის სისწრაფით ცხვებოდა დაბრაწული, ცხელ-ცხელი ტილოები.

ყოველ ახალ ტილოსთან, ახალ წარმატებასთან ერთად გრძნობდა, რომ ცხრა წლის შრომის შედეგი იყო ეს რამდენიმე კვირის შემოქმედებითი წვა. თვითონვე სჯეროდა, რომ სრულყოფილი და ჭეშმარიტი ხელოვანი იყო. ახლა გაცილებით უკეთ ხატავდა, ვიდრე შარშან ზაფხულში. იმასაც გრძნობდა, რომ მომავალში ვეღარასოდეს შექმნიდა ისეთ ნახატებს, სადაც ასე ძლიერად იქნებოდა გადმოცემული მისი და ბუნების ნამდვილი რაობა.

— ხატვას დილის ოთხ საათზე იწყებდა და გვიანობამდე ფუნჯს არ უშვებდა ხელიდან, ვიდრე პეიზაჟი ღამის ბინდბუნდში არ შთაინთქმებოდა. დღეში ახლა ორ, ხანდახან სამ ტილოსაც ასრულებდა. თითოეულ ტილოში იმდენ გრძნობას აქსოვდა, რომ იგი ერთი წლის სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

მისთვის წლებს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. დრო ახლა თითქოს მის მიერ შექმნილი ნახატების რაოდენობით იზომებოდა და არა კალენდარის შრიალა ფურცლებით.

ვინსენტი გრძნობდა, რომ შემოქმედების უკიდურეს წერტილამდე მივიდა. ეს იყო მისი ცხოვრების უმაღლესი მწვერვალი. ამისათვის იღვწოდა მთელი თავისი სიცოცხლე. ახლანდელი მდგომარეობა რამდენ ხანს გასტანდა არ იცოდა. იცოდა მხოლოდ, რომ უნდა ეხატა რაც შეიძლება მეტი... და კიდევ მეტი. ამ კულმინაციას, უსასრულობას, ამ რაღაც პაწაწკინტელა მომენტს აუცილებლად უნდა ჩაებღაუჭოს,

როგორმე შეინარჩუნოს და მანამდე გაჭიმოს, ვიდრე ყველა იმ სურათს არ დახატავს, რაც ასე აფორიაქებს მის სულს.

დღისით ორივე ხატავდა, ღამეს ჩხუბში ატარებდნენ; ამდენმა უძილობამ, შიმშილმა, მზით, კოლორიტით, მღელვარებით, თამბაქოთი და აბსენტით ყელამდე ავსებამ, ბუნებასთან ჭიდილმა და მუშაობამ, ერთმანეთის გაღიზიანებამ და გაუთავებელმა კინკლაობამ სულ უფრო და უფრო გაამწვავა მათი ურთიერთობა.

მზე იყო და ულმობლად სწვავდა, მისტრალი ციბრუტივით ატრიალებდა. ფერები თვალს სჭრიდა. აბსენტი ცეცხლივით ეკიდებოდა მშიერ კუჭს. სამხრეთის ცხელ, დახუთულ ღამეში ატეხილი ქარიშხლისგან ყვითელ სახლს ზანზარი გაჰქონდა.

— ერთხელ ვინსენტი მინდორში დაგდებულ სახნისს ხატავდა, გოგენმა კი ამასობაში ვინსენტის პორტრეტი დახატა. ვინსენტი დიდხანს აკვირდებოდა თავის პორტრეტს. პირველად ახლა მიხვდა თუ რას ფიქრობდა გოგენი მასზე.

— ეს მართლაც მე ვარ. — თქვა ბოლოს, — ოღონდ გაგიჟებული.

იმ საღამოს კაფეში წავიდნენ. ვინსენტმა აბსენტი შეუკვეთა. უცებ აბსენტიანი ჭიქა გოგენს გაუქანა სახეში. გოგენმა აიცილა. მერე ბავშვივით აიყვანა ხელში. ატატებული გადაატარა ლამარტინის მოედანი. გონს რომ მოვიდა, უკვე ლოგინში იწვა ვინსენტი და მაშინვე ღრმა ძილს მიეცა.

— გოგენ, ძვირფასო, — მოუბოდიშა მეორე დილით. — ბუნდოვნად მახსოვს, რომ გაწყენინე.

— მიპატიებია, ვინსენტ, — უთხრა გოგენმა, — მაგრამ გუშინდელი ამბავი შეიძლება კიდევ განმეორდეს. ის ჭიქა რომ მომხვედროდა, ხომ შეიძლებოდა მოთმინება დამკარგვოდა და იქვე მიმეხრჩვე. ასე რომ, ნება მომეცი შენს ძმას მივწერო და ვუთხრა უკან ვბრუნდები-მეთქი.

— არა! არა! პოლ, შენ არ გააკეთებ ამას. ნუთუ ყვითელ სახლს დატოვებ და წახვალ! მე ხომ ყველა კუთხე-კუნჭული შენთვის მოვაწყე აქ.

მთელი დღე გაცხარებულ კამათში გაატარეს. ვინსენტი რა ღონეს არ ხმარობდა, ოღონდ გოგენი შეენარჩუნებინა გვერდით. გოგენი ჯიუტობდა. ვინსენტი ემუდარებოდა, რას არ ჰპირდებოდა, ილანძღებოდა, იმუქრებოდა, ცრემლებიც კი გადმოჰყარა. ამჯერად გამარჯვება ვინსენტს ერგო. ასე ეგონა, ჩემი ყოფნა-არყოფნა გოგენის ყოლაზეა დამოკიდებულიო. საღამოსთვის გოგენი უკვე გასავათებული იყო. და რაკი წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ ჰქონდა, დათანხმდა.

მთელი სახლი დამუხტულივით დაძაბულიყო. გოგენს რატომღაც ძილი არ ეკარებოდა. გათენებისას ჩასთვლიმა მხოლოდ.

რაღაც უცნაურმა შეგრძნებამ გამოაღვიძა. ვინსენტი თავს დასდგომოდა და დასჩერებოდა.

— რა დაგემართა, ვინსენტ? — მკაცრად ჰკითხა მან.

ვინსენტი ოთახიდან გავიდა, ლოგინში ჩაწვა და ღრმა ძილს მიეცა.

მეორე ღამეს ისევ იმ უცნაურმა გრძნობამ გამოაღვიძა გოგენი. ვინსენტი კვლავ თავთან ედგა და სიბნელეში მიშტერებოდა.

— ვინსენტ! ახლავე დაწექი!

ვინსენტი გატრიალდა.

იმ საღამოს ისევ წაეჩხუბნენ ერთმანეთს, ოღონდ ახლა სუპის გამო.

— საღებავები ჩაგისხამს შიგ, მე რომ იქით ვიყურებოდი, — იყვირა გოგენმა.

ვინსენტმა გაიცინა. კედელთან მივიდა და ცარცით დაწერა:

Je suis Saint Esprit.

Je suis Saint d'esprit.

(*მე ვარ წმინდა სული.

მე მაქვს ჯანსაღი სული — ფრ.).

ამის შემდეგ რამდენიმე დღით ცოტა დაწყნარდა. დაღლილი და განადგურებული ადამიანის სახე ჰქონდა. ხანდახან თუ გამოელაპარაკებოდა გოგენს. არაფერს ხატავდა. არც კითხულობდა. გაუნძრევლად იჯდა სკამზე და სადღაც უსასრულობაში იცქირებოდა.

მეოთხე დღე იყო მისტრალი მძვინვარებდა. საღამოთი გოგენს სთხოვა, წამო, ცოტა გავისეირნოთო.

— მოდი, პარკში წავიდეთ, — უთხრა ვინსენტმა. — რაღაც უნდა გითხრა.

— კი მაგრამ, აქ ვერ მეტყვი? აქ ხომ მეტი სიმყუდროვეა.

— არა, დამჯდარი ლაპარაკი არ შემიძლია. აუცილებლად უნდა ვიარო.

— რახან არა, რა გაეწყობა!

ტრამვაის ხაზს გაჰყვნენ,. რომელიც მარცხნივ, ქალაქის გარეუბნისკენ უხვევდა. მისტრალი შიგ სახეში სცემდათ და წელში მოხრილნი ისე მიიწევდნენ წინ, თითქოს რაღაც სქელ, ბლანტ სითხეში მოძრაობენო. ქარი თითქმის მიწამდე ხრიდა პარკში დარგულ კვიპაროსებს.

— რისი თქმა გინდა, მითხარი, — უთხრა გოგენმა.

გოგენი იძულებული იყო ყურში ეყვირა ვინსენტისთვის:

რადგან ქარი მანამდე ფანტავდა სიტყვებს, ვიდრე ისინი ვინსენტამდე მიაღწევდნენ.

— პოლ, რამდენიმე დღეა, რაც ვფიქრობ. ერთი ბრწყინვალე აზრი დამებადა.

— მაპატიე, მაგრამ ცოტა არ იყოს, არ მჯერა მაგ შენი ბრწყინვალე აზრების.

— ჩვენ, მხატვრები, მწარედ დავმარცხდით. და იცი რატომ?

— რა? არაფერი არ მესმის. ყურში ჩამძახე!

— იცი, რატომ დავმარცხდით ჩვენ, მხატვრები?

— არა. რატომ?

— იმიტომ, რომ ცალ-ცალკე ვხატავთ.

— რაო, რას მიედ-მოედები!

— ზოგ რამეს კარგად ვხატავ, ზოგს კი ცუდად. აი ყველამ რომ ერთად ვხატოთ!

— მეთაურო, ყველაფერი გასაგებია!

— გახსოვს ძმები ბოთები? ჰოლანდიელი მხატვრები.

ერთს პეიზაჟი ეხერხებოდა, მეორეს-ადამიანების ხატვა. ისინი ერთად ხატავდნენ. ერთი პეიზაჟს ხატავდა, მეორე კი ადამიანებს და მშვენივრად გამოსდიოდათ. რა? არ მესმის. ახლოს მოდი.

— მე გითხარი, მერე-მეთქი.

— პოლ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, შენ და მე. სიორა, სეზანი, ლოტრეკი, რუსო. ჩვენ ერთ ტილოზე უნდა ვხატოთ.

აი მაშინ გვექნება მხატვართა ნამდვილი კომუნა. თითოეული დახატავს იმას, რაც ეხერხება. სიორა ჰაერს, შენ პეიზაჟს, სეზანი საგნებს, ლოტრეკი ადამიანებს, მე მზეს,

მთვარეს და ვარსკვლავებს. და ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთი დიდი მხატვარი. აბა, რას იტყვი?

— ახახულა ცაშიაო, ქარი უქრის თავშიაო.

გოგენი თავშეუკავებლად როხროხებდა. მის დამცინავ ხარხარს ქარი შიგ სახეში ახლიდა ვინსენტს ზღვის ტალღასავით.

— მეთაურო, — უთხრა გოგენმა, როცა ცოტა სული მოითქვა. — თავს მოვიჭრი, თუ მაგაზე ბრწყინვალე აზრი შეიძლება ვინმეს მოუვიდეს თავში. მაპატიე, მაგრამ ისე მეცინება, თავს ვერ ვიკავებ.

გოგენი ბილიკზე მიბარბაცებდა, მუცელზე ხელი მიეჭირა და ხარხარებდა.

ვინსენტი გახევდა.

უეცრად შავი ჩიტების გუნდი დაეშვა ციდან. ათასობით შავი ჩიტი ჩხავილით, ფრთების ცემით დაეშვა მის თავზე. ჯერ თავს ზემოთ ევლებოდნენ და ფრთებს უტყლაშუნებდნენ, შემდეგ დაეხვივნენ, ზოგი თმაში შეუძვრა, ზოგი ცხვირში, პირში, ყურებში, თვალებში და ვინსენტს მათი სქელი, შავი, მოფარფატე ფრთებისაგან სული შეეხუთა.

გოგენი დაბრუნდა.

— წამო, ვინსენტ, ლუისთან მივიდეთ. ეგ შენი ფასდაუდებელი იდეა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ.

ვინსენტი უსიტყვოდ გაჰყვა რიკოლეტის ქუჩისკენ.

გოგენი თავის გოგოსთან ერთად მაღლა ავიდა.

ვინსენტი კაფეში დარჩა. რაშელი მუხლებზე დაუსკუპდა.

— შენ არ წამოხვალ ჩემთან, ფუ-რუ? — ჰკითხა მან.

— არა.

— რატომ?

— ხუთი ფრანკი არა მაქვს.

— მაშინ შენი ყური მომეცი!

— კარგი.

გოგენი მალე დაბრუნდა. ორივე ყვითელი სახლისაკენ გაეშურა. გოგენმა სწრაფად გადაყლაპა ვახშამი და უხმოდ გავიდა სახლიდან. ლამარტინის მოედანზე რომ გადადიოდა, ზურგს უკან ნაცნობი ნაბიჯები მოესმა: მოკლე, ჩქარი, არეული.

სწრაფად მიტრიალდა.

ვინსენტი უკან მოსდევდა. ხელში გახსნილი სამართებელი ეჭირა.

გოგენი გაუნძრევლად იდგა და თვალს არ აცილებდა ვინსენტს.

ვინსენტი შორიახლო შედგა. იდგა ამ სიბნელეში და გოგენს აკვირდებოდა. შემდეგ თავი ჩაღუნა, გატრიალდა და შინისკენ გაიქცა.

გოგენი სასტუმროში წავიდა. ოთახი აიღო, კარი ჩაკეტა და დასაძინებლად დაწვა.

ვინსენტი შინ დაბრუნდა. წითელი ფილის საფეხურები აიარა და თავის საწოლ ოთახში შევიდა. აიღო სარკე, რომელთანაც ვინ იცის რამდენჯერ დაუხატავს თავისი პორტრეტი.

სარკე ტუალეტის მაგიდაზე დადგა და კედელს მიეყრდნო.

შეათვალიერა ჩასისხლიანებული თვალები.

აი, აღსასრულის ჟამიც დადგა. მისი ცხოვრება დასრულდა ეს ცხადად ეწერა სახეზე.

ახლა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

სამართებელი ასწია. იგრძნო, როგორ მიებჯინა ბასრი ლითონი ყელზე.

ვიღაცის იდუმალი ხმები რაღაც უცნაურ ფრაზებს ჩასჩურჩულებდნენ.

არლის მზე თვალისმომჭრელ კედლად აღიმართა სარკეზე.

სამართებელი ძალუმად ჩამოისვა და მარჯვენა ყური ჩამოითალა.

მის ადგილას პაწაწინა ნახვრეტი დარჩა.

სამართებელი ხელიდან გააგდო. თავზე პირსახოცი შემოიხვია. სისხლი შეუჩერებლად წვეთავდა იატაკზე.

ტაშტიდან ყური ამოიღო. გარეცხა. ჯერ რამდენიმე ცალ სახატავ ქაღალდში გაახვია, მერე გაზეთი შემოაკრა გარედან.

თავზე ბასკური ბერეტი ჩამოიფხატა, რომ პირსახოცი დაემალა. კიბეზე ჩავიდა და ქუჩაში გამოვიდა. ლამარტინის მოედანი გადაჭრა, გორაკს აჰყვა და რიკოლეტის ქუჩაზე, ნომერ პირველში ზარი დარეკა.

კარი მოსამსახურემ გააღო.

— რაშელს დამიძახეთ.

რაშელი მაშინვე იქ გაჩნდა.

— ოჰ, შენა ხარ, ფუ-რუ. გინდოდა რამე?

— რაღაც მოგიტანე.

— მე? საჩუქარი?

— დიახ.

— რა კარგი ხარ, ფუ-რუ.

— იცოდე, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. ჩემგან სამახსოვროდ გქონდეს.

— რა არის?

— გახსენი და ნახავ.

რაშელმა გახსნა. შეძრწუნებული ყურს დააცქერდა. მერე მოცელილივით ჩაიკეცა ქვაფენილზე.

ვინსენტი წავიდა. ქვევით დაეშვა. ლამარტინის მოედანი გადაკვეთა. ყვითელ სახლში შევიდა, კარი ჩაკეტა და ლოგინში ჩაწვა.

მეორე დილით, რვის ნახევარზე, შინ დაბრუნებულ გოგენს ხალხის ბრბო დახვდა კარებთან. სასოწარკვეთილი რულენი ხელებს იმტვრევდა.

— რა უყავით თქვენს ამხანაგს, მუსიე, — ჰკითხა ერთმა, ნესვივით ქუდიანმა კაცმა. ტონი საკმაოდ მკაცრი და უხეში ჰქონდა.

— არ ვიცი.

— ოჰ, როგორ არა... მშვენივრად იცით... იგი მკვდარია.

გოგენი კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა. ხალხი ისე უცქერდა, თითქოს მისი გაგლეჯა ან წახრჩობა უნდაო.

— წამოდით, მუსიე, მაღლა ავიდეთ, — ძლივს ამოღერღა გოგენმა. — იქ გავარკვიოთ ყველაფერი.

დაბლა, ორივე ოთახის იატაკზე სველი პირსახოცები ეყარა. კიბე სისხლით იყო მორწყული ვინსენტის საწოლ ოთახამდე.

ვინსენტი ლოგინში იწვა, ზეწარში გახვეული და თოფის ჩახმახივით შემართული. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გოგენი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად

შეეხო. თბილი იყო. გოგენს ელვის უმალ დაუბრუნდა ძველებური ენერგია და მხნეობა.

— ჰქენით სიკეთე, მუსიე, — უთხრა მან ხმამაღლა პოლიციის უფროსს. — ფრთხილად გააღვიძეთ ეს ყმაწვილი. მე თუ მიკითხოს, უთხარით, პარიზში წავიდა-თქო, ჩემი დანახვა შეიძლება საბედისწერო გახდეს მისთვის პოლიციის უფროსმა ექიმი და ეტლი გამოიძახა. ვინსენტი საავადმყოფოში წაიყვანეს. რულენი ოხრავდა და კვალდაკვალ მისდევდა ეტლს.

9.

ექიმი ფელიქს რეი, არლის საავადმყოფოს ახალგაზრდა მკურნალი, ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი კაცი იყო. ოთხკუთხა თავი და ყალყზე შემდგარი შავი თმა ჰქონდა. ჭრილობა შეუხვია და სარდაფივით ოთახში დააწვინა ვინსენტი, საიდანაც ყოველი ნივთი უკლებლივ გაატანინა გარეთ. შემდეგ თვითონაც გარეთ გამოვიდა და ოთახის კარი ჩაკეტა.

საღამო ხანს, — როცა მაჯას უსინჯავდა თავის პაციენტს, ვინსენტს გაეღვიძა. ჯერ ჭერს მიაშტერა თვალები, მერე თეთრად შეფეთქილ კედლებს და ბოლოს ფანჯრიდან გახედა საღამოს ცის სილურჯეს. ნელ-ნელა მზერა ექიმ რეის სახეზე გადაიტანა.

— გამარჯობათ, — უთხრა წყნარად.

— გამარჯობათ, — უპასუხა რეიმ.

— სადა ვარ?

— არლის საავადმყოფოში ხართ.

— უჰ!

ტკივილმა სახე დაუმანჭა. ხელი ასწია, უნდოდა მარჯვენა ყურისკენ წაეღო. რეიმ შეაჩერა.

— ხელის შეხება არ შეიძლება. — უთხრა მან.

— ...დიახ ...მახსოვს ...მახსოვს.

— ძალიან სუფთა, კოხტა ჭრილობა გაქვთ, ჩემო კარგო.

რამდენიმე დღეში ვეცდები ფეხზე დაგაყენოთ.

— ჩემი მეგობარი რა იქნა?

— პარიზში დაბრუნდა.

— ...აა, გასაგებია. მოწევა შეიძლება?

— ჯერ არა.

რეიმ ჭრილობა მოუბანა და ხელახლა შეუხვია.

— ისეთი არაფერი დაგმართვიათ. — დაამშვიდა, რეიმ. — ბოლოს და ბოლოს, ამ კომბოსტოთი ხომ არ გვესმის, თავზე რომ წამოგვზრდია. სმენაზე არ იმოქმედებს, ნუ გეშინიათ.

— რა კეთილი ხართ, ექიმო. ეს ოთახი რატომ... დაგიცარიელებიათ ასე?

— მე ყველაფერი გავატანინე, რომ თქვენ დამეცავით.

— ვისგან?

— თქვენივე თავისაგან.

— ...დიახ .. გასაგებია.

— ახლა კი უნდა წავიდე. ექთანს გამოვგზავნი, რომ ვახშამი მოგიტანოთ. წყნარად იწექით და ეცადეთ არ გაინძრეთ.

ამდენი სისხლის დაკარგვა ძალიან დაგასუსტებდათ.

მეორე დილით, თვალი რომ გაახილა, სასთუმალთან თეო ეჯდა და მისი ხელი ეჭირა ხელში. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და არც ცდილობდა მათ დამალვას.

— თეო... მუდამ... როცა ვიღვიძებ... და ძალიან მჭირდები...

გვერდით ხარ ხოლმე.

თეო ხმას არ იღებდა.

— საცოდაობა არ არის ამ სიშორეზე შენი ჩამოყვანა?

როგორ გაიგე?

— გოგენის დეპეშა მივიღე გუშინ. და საღამოს მატარებელს მივუსწარი.

— გოგენს ძალიან დაუშავებია, ტყუილად დაგახარჯვინა ამდენი ფული. შენ მთელი ღამეა აქ ზიხარ, თეო?

— ჰო, ვინსენტ.

ძმები წუთით დადუმდნენ. მერე თეომ უთხრა:

— მე ველაპარაკე ექიმ რეის. ასე მითხრა, მზის დაკვრა მოსვლიაო. მზეზე უქუდოდ მუშაობდი, ხომ?

— ჰო:

— აი, ხომ ხედავ, ასე არ უნდა მოქცეულიყავი. ამის შემდეგ აუცილებლად დაიხურე ხოლმე ქუდი. არლში მზის დაკვრა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა თურმე.

ვინსენტმა ნაზად მოუჭირა ძმას ხელზე ხელი. თეოს გული აუჩუყდა, ყელში რაღაც გაეჩხირა და ვერაფრით ვერ მოახერხა მისი ჩაყლაპვა.

— ახალი ამბავი მაქვს შენთვის, ვინსენტ. მაგრამ ალბათ სჯობს რამდენიმე დღე გაცალო და მერე გითხრა.

— სასიხარულო ამბავია, თეო?

— მე მგონი, გაგეხარდება.

პალატაში რეი შემოვიდა.

— აბა, როგორ გრძნობს თავს ჩვენი ავადმყოფი?

— ექიმო, შეიძლება ძმამ ახალი ამბავი მითხრას?

— ვფიქრობ, შეიძლება. ერთი წუთით, აბა, მიჩვენეთ.

კარგია, ყველაფერი რიგზეა. ახლა ძალიან სწრაფად შეგიხორცდებათ ჭრილობა.

როცა ექიმი ოთახიდან გავიდა, ვინსენტმა სთხოვა ჩქარა მითხარიო.

— ვინსენტ, — დაიწყო თეომ. — მე... იცი... ერთ გოგონას შევხვდი.

— მართლა, თეო:

— ჰო, ჰოლანდიელია. იოჰანა ბიურგერი, ჩემის აზრით, ძალიან წაგავს დედას.

— შენ ის გიყვარს, თეო?

— ჰო. მე ისე გამიჭირდა უშენოდ პარიზში, ვინსენტ. შენს ჩამოსვლამდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მერე ერთი წელი ვცხოვრობდით ერთად და...

— მე მეტისმეტად ძნელი ასატანი ვიყავი, თეო. ალბათ ძალიან გაგაწვალე.

— ოჰ, ვინსენტ. ნეტავი იცოდე, რამდენჯერ მიფიქრია სახლში დაბრუნებულს, იქ, ლეპიკის ქუჩაზე, ნეტავი ან ვინსენტის კართან დაყრილი ფეხსაცმელები დამანახა ახლა ან მისი სველი ტილოები, ჩემს საწოლზე დაგდებული-მეთქი.

მორჩა, გვეყოფა ლაპარაკი, შენ დასვენება გჭირდება. ვისხდეთ ასე წყნარად ერთმანეთის გვერდით.

თეო ორ დღეს დარჩა არლში. იგი მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, რაც ექიმმა რეიმ დაარწმუნა, ვინსენტი ჩქარა მოიკეთებს და მასზე ისე ვიზრუნებ, როგორც არა მარტო ჩემს პაციენტზე, არამედ როგორც ჩემს მეგობარზეო.

რულენი თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა და ყვავილები მოჰქონდა. ღამ-ღამობით ვინსენტს მოლანდებები დასჩემდა. უძილობის თავიდან ასაცილებლად რეი ბალიშზე და ლეიბზე ქაფურს უსხამდა.

ოთხი დღე გავიდა. რეიმ რაკი ნახა, რომ ვინსენტი სრულიად ნორმალურ ჭკუაზეა, კარის ჩაკეტვას თავი ანება და უკანვე შეატანინა ავეჯი პალატაში.

— შეიძლება წამოვდგე და ტანზე ჩავიცვა, ექიმო? — ჰკითხა ვინსენტმა.

— თუკი თავს ღონივრად გრძნობთ! ცოტა ჰაერზე გაისეირნეთ და მერე ჩემს კაბინეტში შემოდით.

არლის საავადმყოფო ორსართულიანი შენობა იყო, უზარმაზარ ოთხკუთხედად აგებული. შუაში ბაღი ჰქონდა; ათასფერ ყვავილებსა და ლერწმებს შორის გამავალ ბილიკებზე ხრეში მოეყარათ. ვინსენტმა ცოტა ხანს ბაღში ისეირნა და შემდეგ რეის კაბინეტში შევიდა, პირველ სართულზე.

— თავს როგორა გრძნობთ? — ჰკითხა ექიმმა.

— საუცხოოდ.

— მითხარით, ვინსენტ; რატომ ჩაიდინეთ ეგ?

ვინსენტი კარგა ხანს დუმდა.

— არ ვიცი, — უთხრა ბოლოს.

— რას ფიქრობდით, მაგას რომ აკეთებდით?

— მე... სულაც... არ ვფიქრობდი, ექიმო.

ვინსენტმა რამდენიმე დღეში აღიდგინა დაკარგული ენერგია. ერთხელ, დილით, როცა რეის კაბინეტში იჯდა და ექიმს ესაუბრებოდა, უეცრად პირსაბანზე დადებულ სამართებელს ხელი დაავლო და გახსნა.

— გასაპარსი ხართ, ექიმო, — უთხრა მან. — მოდით, გაგპარსოთ..

რეი კუთხეში მიიკუნჭა და სახეზე ხელი აიფარა.

— არა! არა! ხელი გაუშვი მაგას!

— მე მართლაც საუცხოო დალაქი ვარ, ექიმო! კარგად გაგპარსავთ.

— ვინსენტ! ახლავე დადეთ ეგ სამართებელი!

ვინსენტმა გაიცინა. სამართებელი დაკეცა და პირსაბანზე დადო.

— მორჩა და გათავდა. აბა რამ შეგაშინათ.

მეორე კვირის ბოლოს რეიმ ხატვის ნება დართო ვინსენტს.

ექთანი ყვითელ სახლში გაგზავნა და მოლბერტი და ტილო მოატანინა. ვინსენტისთვის რომ ესიამოვნებინა, რეი მენატურედაც დაუდგა. ვინსენტი ნელა მუშაობდა, დღეში სულ რამდენიმე წუთს. როცა პორტრეტი მზად იყო, მან იგი ექიმს უძღვნა.

— ჩემგან სამახსოვრო გქონდეთ, ექიმო. მე სხვა არაფრით შემიძლია მადლობა გადაგიხადოთ.

— გმადლობთ, ვინსენტ. ეს დიდი პატივია ჩემთვის.

ექიმმა სურათი შინ წაიღო და კედელზე ნაპრალის დასაფარად ჩამოჰკიდა.

ვინსენტი კიდევ ორ კვირას დარჩა საავადმყოფოში. დახატა მზით ავსებული საავადმყოფოს ბაღი. მუშაობისას ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი ეხურა თავზე. იმ ბაღის დახატვას მთელი ორი კვირა მოანდომა.

— ყოველ დღე მომაკითხეთ, მნახეთ. — უთხრა რეიმ, როცა საავადმყოფოს ჭიშკართან ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა. — არ დაივიწყოთ, რომ არც აბსენტი შეიძლება თქვენთვის, არც აღელვება და არც მზეში უქუდოდ მუშაობა.

— პირობას გაძლევთ, ყველაფერს შევასრულებ, ექიმო.

დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

— მე თქვენს ძმას მივწერ, რომ სრულიად ჯანმრთელი გაგიშვით აქედან.

ვინსენტმა გაიგო, რომ სახლის პატრონი აპირებდა მის გარეთ გამოსტუმრებას და ყვითელი სახლის ვიღაც თამბაქოთი მოვაჭრისათვის მიქირავებას. ვინსენტი საოცრად შეეჩვია ყვითელ სახლს. იგი თითქოს ის ფესვი იყო, რომელიც მან პროვანსის მიწაში გადგა. მთელი სახლი, შიგნით თუ გარეთ, მისი ფუნჯით იყო მოხატული. ვინსენტის წყალობით გახდა იგი ასე მყუდრო. მიუხედავად იმ უბედური შემთხვევისა, ვინსენტი მაინც თვლიდა, რომ ეს მისი საკუთარი სახლია, და გადაწყვიტა არაფრის გულისათვის, არავის არ დავუთმობ მასო.

თავდაპირველად მარტო დაძინებისა ეშინოდა კიდეც, რადგან მის უძილობას ქაფურმა ბევრი ვერაფერი უშველა. ექიმმა რეიმ კალციუმის ბრომიდი დაუნიშნა, რომ როგორმე მოლანდებები მოეშორებინა, რაც მეტისმეტად აშინებდა ვინსენტს.

ბოლოს და ბოლოს ჩაჩუმდნენ ყველა ის ხმები, რომლებიც იდუმალ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ ყურში და მხოლოდ და მხოლოდ კოშმარების დროს თუ გაახსენებდნენ თავს.

ვინსენტი ჯერ ისევ სუსტად იყო და მუშაობა არ შეეძლო.

მისი გონება თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც სრულად დაიწმინდა. სისხლი სულ უფრო და უფრო ცოცხლად უვლიდა ძარღვებში, მადაც მოემატა. რულენთან ერთად საკმაოდ მადიანად ისადილა რესტორანში. განცდილი ტანჯვის ნიშანწყალიც აღარ შერჩენოდა. მადამ რულენის დაწყებული პორტრეტის ხატვაც განაგრძო, რაც იმ უბედური შემთხვევის გამო დაუსრულებელი დარჩა. ვინსენტს ძალიან მოსწონდა როგორ ცვალებადობდა მისი წითელი ფერი ტილოზე, ვარდისფერიდან დაწყებული და აგურისფერით გათავებული, როგორ ღიავდებოდა და ლიმონისფერდებოდა ყვითელი და რა ათასფერი ტონი ჰქონდა მწვანე საღებავს.

ვინსენტის ჯანმრთელობა ნელა უმჯობესდებოდა და ასევე ნელა მიიწევდა მისი მუშაობაც წინ. ადრე ეგონა, ადამიანს შეიძლება ხელი ან ფეხი დაუზიანდეს და განიკურნოს, მაგრამ ვერ წარმოედგინა თუ შეიძლება ტვინი დაუზიანდეს კაცს თავში და ისიც განიკურნოს.

ერთ საღამოს რაშელს მიაკითხა, რომ მისი ჯანმრთელობის ამბავი გაეგო.

— ჩემო მტრედო, — უთხრა, — მაპატიე, რომ გული გატკინე.

— არაფერია, ფუ-რუ. შენ ამაზე არ იდარდო. ჩვენს ქალაქში ეგ ჩვეულებრივი ამბავია.

ვინსენტს ნაცნობებიც უმტკიცებდნენ, პროვანსში ყველა ან ციებ-ცხელებით ავადდება, ან მოჩვენებები მოსდის ან სულაც გიჟდებაო.

— არაფერი ისეთი არ მომხდარა, ვინსენტ, — უთხრა რულენმა. — აქ, ტარტარენის მიწაზე, ცოტ-ცოტას ყველა ვაფრენთ.

— ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენ ისევე კარგად გავუგებთ ერთმანეთს, როგორც ერთი ოჯახის წევრები.

გაიარა კიდევ რამდენიმე კვირამ. ვინსენტი ახლა ისე მომაგრდა, რომ მთელი დღე თავის სახელოსნოში მუშაობდა.

აღარც სიგიჟეზე ფიქრობდა და აღარც სიკვდილზე. გრძნობდა, რომ თითქმის სრულიად ნორმალურ ადამიანად იქცა.

ბოლოს გაბედა და გარეთ გამოვიდა სახატავად. მცხუნვარე მზე კაშკაშა ყვითელ ცეცხლად წაკიდებოდა პურის ყანებს.

მაგრამ ვინსენტმა ვერაფრით ვერ მოახერხა მისი ტილოზე გადმოტანა. იგი ახლა რეჟიმში იყო ჩამდგარი, ნორმალურად იკვებებოდა, ნორმალურად ეძინა, გაურბოდა ყოველგვარ სულიერ მღელვარებას.

ახლა იმდენად ნორმალური და ჩვეულებრივი ადამიანი გახდა, რომ ხატვა აღარ შეეძლო.

— თქვენ ნევრასთენიითა ხართ შეპყრობილი, ვინსენტ, — უთხრა ექიმმა რეიმ. — მთლად ნორმალური არასდროს იქნებოდით. რადგან არც ერთი მხატვარი არ შეიძლება ნორმალური იყოს. ნორმალური ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება ხელოვანი, და ვერ შეძლებს ხელოვნების ნაწარმოები შექმნას. ჩვეულებრივი ადამიანები ჩვეულებრივად ჭამენ, სვამენ, სძინავთ, ასრულებენ ყოველდღიურ საქმეს და ასევე ჩვეულებრივად კვდებიან. თქვენ ზედმეტად მგრძნობიარე ხართ ცხოვრებისა და ბუნების მიმართ. ამიტომაცაა, რომ თქვენ მეტი გამოხატვის უნარი გაგაჩნიათ, ვიდრე ჩვენ ყველას. მაგრამ გაფრთხილდით, მაგ თქვენს მეტისმეტ მგრძნობელობას მსხვერპლად არ შეეწიროთ. ყველა ხელოვანს ემუქრება ეგ საფრთხე.

იცოდა ვინსენტმა, თუ სურს ყვითელი ფერის ის უმაღლესი ტონი დაიჭიროს, რითაც ავსილია ყველა მისი არლური სურათი, აუცილებლად უნდა უკიდურესობამდე მივიდეს, მეტისმეტად დაიძაბოს, საშინლად აღელდეს და ნერვის ყოველი პაწია ბოჭკოც კი გაიშიშვლოს.

თუ ამ მდგომარეობამდე მივა, მაშინ ისევ ბრწყინვალედ დახატავს, როგორც ადრე. მაგრამ ეს გზა უცილობლად მიიყვანს დაღუპვამდე.

— ხელოვანი იმის ხელოვანია, რომ თავისი საქმე აკეთოს, — ეუბნებოდა ვინსენტი თავის თავს. — რას ვსულელობ, რა თავში ვიხლი ამ სიცოცხლეს, თუ ისე ვერ დავხატავ, როგორც მინდა.

ისევ უქუდოდ გავიდა მინდორში, რომ მზით დამთვრალიყო. ხარბად დაეწაფა ცის კამკამა სილურჯეს, ცეცხლოვან, ყვითელ ბურთს, ამწვანებულ მინდორ-ველებს და ნაირფერად აფეთქილ ყვავილებს. მისტრალი დაუზოგავად სცემდა, სქელი ღამისეული ცა სულს უხუთავდა, მზესუმზირებმა ხომ სულ გადარიეს და აუფორიაქეს მთელი გონება. რაც უფრო იზრდებოდა მისი მღელვარება, მით უფრო მეტად ეკარგებოდა მადა.

ისევ მარტო ყავაზე გადავიდა, აბსენტსაც სვამდა, ეწეოდა კიდეც. ძილი გაუტყდა, მთელი ღამე ნანახი კოლორიტი ელანდებოდა მის ჩაწითლებულ თვალებს. ეს ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ წამოიკიდებდა ზურგზე მოლბერტს და სახატავად მინდორში გადიოდა.

ისევ დაუბრუნდა შემოქმედებითი ენერგია, ბუნების ყოვლისმომცველი რიტმის შეგრძნება; ძველებურად სულმოუთქმელად-ხატავდა ვეებერთელა ტილოს სულ

რამდენიმე საათში და ავსებდა მას მზის კაშკაშა, თვალისმომჭრელი შუქით. დღეში ისევ თითო ტილო იხატებოდა, მაგრამ ამასთანავე დღითიდღე მატულობდა. მისი სულიერი დაძაბულობა. შეუსვენებლივ დახატა ოცდაჩვიდმეტი ტილო.

ერთ დილას საშინლად მოთენთილს გამოეღვიძა. მუშაობა ვერ შესძლო. მთელი დღე დამჯდარმა გაატარა. კედლისთვის თვალი არ მოუცილებია. თითქმის არც განძრეულა ადგილიდან.

აჩურჩულდნენ ისევ ის იდუმალი ხმები და უცნაურ, ძალიან უცნაურ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ ყურში. საღამოთი ნაცრისფერ რესტორანში წავიდა და პატარა მაგიდას მიუჯდა. სუპი შეუკვეთა. მოუტანეს. უეცრად ვიღაცის ხმამ გამაფრთხილებლად ჩასწივლა ყურში.

სუპიანი თეფში იატაკზე ისროლა. იგი ნამსხვრევებად იქცა.

— თქვენ ჩემი მოწამვლა გინდათ! — დაიღრიალა მან — მოწამლული სუპი მომიტანეთ!

შემდეგ ფეხზე წამოხტა და მაგიდა ააყირავა. იქ მყოფთაგან ზოგი გარეთ გავარდა, დარჩენილები გაოცებულნი შესცქეროდნენ.

— თქვენ ყველას ჩემი მოწამვლა გინდათ! — გაჰყვიროდა ვინსენტი. — გინდათ რომ მოვკვდე! მე დავინახე, როგორ ჩამიყარეთ სუპში საწამლავი!

რესტორანში ორი ჟანდარმი შემოვიდა და ვინსენტი საავადმყოფოში წაათრიეს.

ოცდაოთხ საათში სრულიად დამშვიდდა და ექიმ რეის უამბო რაც მოხდა. ყოველდღე ცოტა-ცოტას მუშაობდა, ქალაქგარეთ დასეირნობდა, ვახშმობისას საავადმყოფოში ბრუნდებოდა და იძინებდა. ხანდახან სრულიად უმიზეზოდ აუწერელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა, ხან კი განვლილი დრო და მომხდარი ამბები თვალის დახამხამებაში ავიწყდებოდა.

რეიმ ისევ დართო ხატვის ნება. ვინსენტმა დახატა ეზოს გადაღმა გაშენებული ატმის ხეები, ზეთისხილის ჭალა ალპების ფონზე, დაძველებული, მწვანეში გადამავალი ვერცხლისფერი ფოთლებით. დახნულ მიწას აგურისფერი მისცა.

სამი კვირის თავზე თავის ყვითელ სახლში დაბრუნდა. ამასობაში მთელი ქალაქი და განსაკუთრებით ლამარტინის მოედნის მკვიდრნი, ვინსენტის წინააღმდეგ ამხედრდნენ. ჩამოთლილი ყური და მოწამლული სუპი საკმარისი აღმოჩნდა, რომ არლის მცხოვრებნი მოთმინებიდან გამოსულიყვნენ. ყველას ურყევად სწამდა, რომ ხატვა ნამდვილად აგიჟებს ადამიანს.

როცა ვინსენტს ხვდებოდნენ ქუჩაში, უტიფრად უცქეროდნენ, მოურიდებლად ხან რას მიაძახებდნენ და ხან რას, ან სულაც გაეცლებოდნენ გზიდან.

არც ერთ რესტორანში საპარადო კარიდან არ უშვებდნენ.

არლელი ბავშვები ყვითელ სახლთან გროვდებოდნენ და ვინსენტის გამოსაჯავრებლად თამაშობდნენ.

— ფუ-რუ! ფუ-რუ! — ყვიროდნენ ბავშვები. — მეორე ყურიც მოიჭერი!

ვინსენტი ფანჯრებს კეტავდა, მაგრამ მათი ყვირილი და სიცილ-ხარხარი მაინც ისმოდა.

— ფუ-რუ! ფუ-რუ!

— გიჟო! გიჟო!

სიმღერაც შეთხზეს და მის ფანჯრებთან მღეროდნენ.

ფუ-რუ იყო გიჟი კაცი,
მოითალა ყური დანით.
ახლა ვეღარ გააგონებ,
თუნდ იყვირო მთელი ძალით.

ვინსენტი სახლიდან მიიპარებოდა, რომ ბავშვებს დამალვოდა. მაგრამ აბეზართა მხიარული ბრბო სიმღერითა და სიცილ-ხარხარით კვალდაკვალ დაჰყვებოდა, ქუჩაშიც და მინდორშიც.

დღითიდღე სულ უფრო და უფრო მეტი ბავშვი იყრიდა თავს ყვითელ სახლთან. ვინსენტმა ბამბით გამოიტენა ყურები. იდგა მოლბერტთან და ადრე დახატულ სურათებს იხატავდა. ბავშვების ხმები მაინც აღწევდა და ტვინს უხვრეტდა.

ბიჭები სულ გათავხედდნენ. საწვიმარ ღარზე მაიმუნებივით მიბობღავდნენ, ფანჯრის რაფაზე სხდებოდნენ, ოთახში იჭვრიტებოდნენ და ზურგს უკან მისძახოდნენ:

— ფუ-რუ! მეორე ყურიც მოიჭერი! მოგვეცი შენი ყური!

ლამარტინის მოედანზე დღითიდღე იზრდებოდა მღელვარება. ბიჭებმა ფიცრები მოიტანეს, სახლს მიადგეს და მეორე სართულზე აძვრნენ. ფანჯრებს ამტვრევდნენ, შიგ იჭყიტებოდნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ, ვინსენტს ესროდნენ. ქვემოთ მდგარი ბრბო მაღლა ასულებს ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა, თან გაჰყვიროდა და მღეროდა.

— მოგვეცი შენი მეორე ყური! ჩვენ შენი მეორე ყური გვინდა!

— ფუ-რუ! გინდა კამფეტი? ფრთხილად, მოწამლულია!

— ფუ-რუ! გინდა სუპი? ფრთხილად, მოწამლულია!

ფუ-რუ იყო გიჟი კაცი,
მოითალა ყური დანით.
ახლა ვეღარ გააგონებ,
თუნდ იყვირო მთელი ძალით.

ფანჯრის რაფაზე შემოსკუპული ბიჭები დირიჟორობდნენ, ხოლო ქვემოთ მყოფნი ერთხმად მღეროდნენ. ბავშვები სულ უფრო და უფრო მაღლა უწევდნენ ხმას.

— ფუ-რუ! ფუ-რუ! გადმოგვიგდე შენი ყური! გადმოგვიგდე შენი ყური!

ვინსენტი ბარბაცით მოსცილდა მოლბერტს. ფანჯარაზე სამი ონავარი წამოსკუპულიყო და დირიჟორობდა. ვინსენტი მათკენ გაექანა; ბიჭები ფიცრებზე ჩაცურდნენ. იხუვლა ბავშვების ბრბომ. ვინსენტი ფანჯარაში გადმომდგარიყო და დაბლა იცქირებოდა.

უცებ შავი ჩიტების გუნდი დაეშვა ციდან. ასობით ჩიტი ჩხაოდა და ფრთებს ატყლაშუნებდა. სულ დააბნელეს ლამარტინის მოედანი. ვინსენტს თავს ევლებოდნენ, ფრთებს ურტყამდნენ, ოთახში მოფრინავდნენ, ჰკორტნიდნენ, უძვრებოდნენ თმაში, ცხვირში, პირში, თვალებში და ვინსენტს მათ სქელ, შავ, უჰაერო ფრთებში სული ეხუთებოდა.

ვინსენტი ფანჯრის რაფაზე შეხტა.

— გასწით აქედან! — დაიყვირა მან. — მომწყდით თავიდან, თქვე ეშმაკის მოციქულებო! ღვთის გულისათვის, რა იქნება, დამანებეთ თავი!

— ფუ-რუ ფუ-რუ! გადმოგვიგდე შენი ყური! გადმოგვიგდე შენი ყური!

— წადით! გამშორდით! გესმით, გამეცალეთ!

პირსაბანი ტაშტი აიღო და ძირს ისროლა. ტაშტმა ქვაფენილზე გაიწკრიალა. ვინსენტი გაშმაგებული დარბოდა ოთახში, რაც მოხვდებოდა ხელში, იღებდა, ძირს, ლამარტინის მოედანზე ისროდა და ამტვრევდა. სკამები, მოლბერტი, სარკე, მაგიდა, ლოგინი, კედელზე დაკიდებული მზესუმზირებიანი ტილოები, ყველაფერი დააყარა აბეზრებს თავზე. ყოველი ნივთის გადაგდებისას, სათითაოდ გაუელვა მეხსიერებაში ყვითელ სახლში გატარებულმა დღეებმა. რამდენ რამეს იკლებდა, ოღონდ კი ყველა ეს წვრილმანი ეყიდა და მყუდროდ მოეწყო თავისი ბინა, სადაც სიკვდილამდე აპირებდა ცხოვრებას.

როდესაც ოთახში აღარაფერი დარჩა, ვინსენტი ფანჯარასთან მივიდა. მთელი სხეული უცახცახებდა. ფანჯრის რაფაზე დაემხო და უღონოდ გადაჰკიდა თავი ლამარტინის მოედნისაკენ.

10.

ლამარტინის მოედანზე სასწრაფოდ ჩამოატარეს პეტიცია.

ოთხმოცდაათმა კაცმა მოაწერა ხელი.

„ქალაქის მერს, ტარიეს:

ჩვენ, არლის მცხოვრებნი, რომლებიც ხელს ვაწერთ ამ პეტიციას, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ვინსენტ ვან გოგი, მცხოვრები ლამარტინის მოედანზე, ორ ნომერში, მეტად საშიში, ფსიქიურად დაავადებული პიროვნებაა და მისი თავის ნებაზე მიშვება არ შეიძლება.

ამის გამო მოგმართავთ თქვენ, როგორც ქალაქის მერს, დაუყოვნებლივ საგიუეთში მოათავსოთ ეგ შეშლილი“.

არჩევნები კარს იყო მომდგარი არლში. მერს, ტარიეს, არ უნდოდა დაეკარგა ამდენი ამომრჩევლის ხმა. მან პოლიციის უფროსს უბრძანა დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ ვინსენტი.

ჟანდარმებმა ვინსენტი ფანჯარასთან ნახეს, ძირს დაგდებული. ხელი სტაცეს და საპატიმროსკენ გააქანეს. პაწია საკანში ჩასვეს, კარი მიუკეტეს და ზედ ბოქლომი დაადეს. კართან ზედამხედველიც მიუჩინეს.

როცა ვინსენტი გონს მოვიდა, მოითხოვა, ექიმ რეის ნახვა მინდაო. უარი უთხრეს. მაშინ ფანქარი და ქაღალდი მაინც მომეცით ძმას წერილი მივწეროო. ამაზედაც უარი მიიღო.

ბოლოს ექიმმა რეიმ თვითონ მოახერხა ვინსენტის ნახვა.

— ეცადეთ, როგორმე დამალოთ თქვენი აღშფოთება, — ურჩია რეიმ, — თორემ ამათ საშიში გიჟი ეგონებით. მაშინ კი თქვენი საქმე წასულია. გარდა ამისა, აღელვება თქვენს ჯანმრთელობასაც ავნებს. მე მივწერ თქვენს ძმას და ჩვენ ორივე ვეცდებით როგორმე გამოგიხსნათ აქედან.

— ძალიან გთხოვთ, ექიმო. ოღონდ თეოს ნუ ჩამოიყვანთ აქ. ის ახლა დაქორწინებას აპირებს და ყველაფერი ჩაშხამდება.

— მე მივწერე რომ მისი ჩამოსვლა საჭირო არ არის. მე ერთი კარგი გეგმა მაქვს თქვენთვის.

ორ დღეში რეი ისევ მოვიდა. კართან კვლავ იდგა ზედამხედველი.

— გამიგონეთ, ვინსენტ, — უთხრა რეიმ, — ჩემი თვალით ვუყურე, როგორ გამოიტანეს თქვენი ბარგი ყვითელი სახლიდან.

მეპატრონემ ყველაფერი რომელიღაც კაფეს სარდაფში ჩაატანინა. თქვენი ნახატები კი ჩაკეტა. ასე ამბობს, ამ სურათებს მანამ არ მივცემ, სანამ მთელ ვალს არ გადამიხდისო.

ვინსენტი ხმას არ იღებდა.

— რაკი იმ სახლში ვეღარ დაბრუნდებით, მე ვფიქრობ, სჯობს, ჩვენი გეგმით იმოქმედოთ. ვინ იცის, რამდენ ხანში ერთხელ გაგიმეორდებათ ეპილეპსიის შეტევა. თუ თქვენ მშვიდ, წყნარ, სასიამოვნო გარემოცვაში იცხოვრებთ და ზედმეტად არ აღელდებით, იქნებ სულაც არაფერი არ მოგივიდეთ. თუ არა და, შეიძლება თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ მაინც გაგიმეოროთ. ასე რომ, თუ გინდათ თავი დაიცვათ თქვენივე თავისაგან და სხვებისგანაც... მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება... წახვიდეთ...

— ფსიქიატრიულ საავადმყოფოში?

— დიახ.

— თქვენ ფიქრობთ რომ მე...?

— არა, ვინსენტ, ძვირფასო, თქვენ გიჟი არა ხართ. თქვენც კარგად იცით, რომ ისეთივე ჯანმრთელი ხართ, როგორც მე.

მაგრამ ეპილეპსიის შეტევები ციებ-ცხელებასავითაა. მაგან შეიძლება მართლაც გააგიჟოს კაცი. ნერვული კრიზისის დროს ადამიანი ანგარიშმიუცემლად მოქმედებს. აი ამიტომ თქვენთვის საავადმყოფოში სჯობს ყოფნა, სადაც მეთვალყურეობის ქვეშ იქნებით.

— გასაგებია.

— აქედან ოცდახუთი კილომეტრის მანძილზე არის ჩინებული საავადმყოფო, სენ რემიში, მას წმინდა პავლე მავზოლიელის თავშესაფარს ეძახიან. იქ იღებენ პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის ავადმყოფებს. მესამე კატეგორიის ავადმყოფმა თვეში ასი ფრანკი უნდა იხადოს. მე მგონი, თქვენ შესძლებთ ამ საფასურის გადახდას. ადრე იქ მონასტერი იყო.

შენობა შიგ მთის ძირშია აგებული. ძალიან ლამაზი ადგილია, ვინსენტ. თანაც სიწყნარეა იქ, უჰ რომ იცოდეთ რა სიწყნარეა!

თქვენი ექიმიც გეყოლებათ, ექთნებიც ზრუნვას არ მოგაკლებენ უბრალო, მაგრამ ნოყიერი კერძები აქვთ. თქვენ იქ მალე გამოჯანსაღდებით.

— ხატვის ნებას თუ მომცემენ?

— რა თქმა უნდა! ყველაფრის ნებას მოგცემენ, რაც გინდათ... — ოღონდ თუ საზიანო არ იქნება თქვენთვის. იქ თავს ისე იგრძნობთ, თითქოს სანატორიუმში ისვენებდეთ. ერთი წელი მაინც რომ გამყოფათ იქ, სრულიად ჯანმრთელ ადამიანად იქცევით.

— კი მაგრამ, აქედან გამოსვლა არ გინდა!

— მე უკვე ველაპარაკე პოლიციის უფროსს. იგი თანახმაა, წმინდა პავლეს თავშესაფარში გაგიშვათ, თუკი მე წამოგყვებით თან.

— თქვენ ამბობთ, რომ ლამაზია იქ?

— დიდებულია, ვინსენტ. მერე რამდენ რამეს ნახავთ დასახატს.

— რა კარგია. თვეში ასი ფრანკი არც ისე ბევრია. ალბათ მართლაც ასე სჯობს ჩემთვის. ერთ წელიწადში დავწყნარდები კიდეც.

— რა თქმა უნდა. მე უკვე მივწერე თქვენს ძმას და ყველაფერი შევატყობინე. ჩემის აზრით, თქვენს მდგომარეობაში შორ მანძილზე მგზავრობა, მაგალითად პარიზში წასვლა, მიზანშეწონილი არ არის. მე ვფიქრობ, წმინდა პავლეს თავშესაფარზე უკეთეს ადგილას ვერსად წახვალთ.

— თუკი თეო თანახმაა... ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ მეტად ნუღარ შევაწუხებ მას...

— პასუხი საცაა უნდა მოვიდეს. როგორც კი მივიღებ, მაშინვე თქვენთან გავჩნდები.

თეოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. იძულებული იყო დათანხმებულიყო. ფული გამოუგზავნა, რომ ძმას ვალები გაესტუმრებინა. ექიმმა რეიმ ვინსენტი ეტლით წაიყვანა სადგურზე, სადაც ტარასკონში მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ. ტარასკონში სენ-რემის მატარებელში გადასხდნენ და მატარებელი ნელა აჰყვა მიხვეულ-მოხვეულ, ნაყოფიერ ველებს.

წმინდა პავლეს თავშესაფრამდე ორი კილომეტრი იყო.

ჯერ ისევ მთვლემარე ქალაქი უნდა გაევლოთ და მაღლა მთაზე ასულიყვნენ. ეტლი დაიქირავეს. სწორი გზა პირდაპირ შიშველი, შავი მთებისაკენ გაემართა. ვინსენტმა შორიდანვე დაინახა მთის ძირში აგებული მონასტრის მიწისფერი კედლები.

ეტლი გაჩერდა. ვინსენტი და რეი ძირს გადმოვიდნენ.

გზის ხელმარჯვნივ, პატარა მოედანზე იდგა ვესტას ტაძარი და ტრიუმფალური თაღი.

— ეს საიდანღა გაჩნდა აქ? — გაოცდა ვინსენტი.

— ადრე აქ რომაელთა კარგა მოზრდილი დასახლება იყო.

აი ის მდინარე, ქვემოთ რომ მოჩანს, ოდესღაც მთელ იმ ველს ფარავდა და იქამდე უწევდა, სადაც ახლა თქვენ გიდგათ ფეხი. მდინარემ თანდათან დაიკლო და სოფელიც ძირს ჩამოვიდა. ახლა იმჟამინდელი აღარაფერი დარჩა, გარდა ამ უსიცოცხლო კედლებისა და მონასტრისა.

— საინტერესოა.

— წავიდეთ, ვინსენტ, ექიმი პეირონი გველოდება.

გზა გადაჭრეს და ფიჭვების ხეივანმა ზედ ალაყაფის კართან მიიყვანა. რეიმ რკინის სახელური მოსწია და ზარმა ხმამაღლა ჩამორეკა. მალე ალაყაფის კარი გაიღო და ექიმი პეირონი გამოჩნდა.

— გამარჯობათ, ექიმო პეირონ. — მიესალმა რეი, — ჩემი მეგობარი, ვინსენტ ვან გოგი მოგიყვანეთ, როგორც წერილში გატყობინებდით. იმედი მაქვს, ზრუნვას არ მოაკლებთ.

— დიახ, ექიმო რეი. ვეცდები, არაფერი მოვაკლო.

— ახლა კი მაპატიეთ, მაგრამ უნდა გავიქცე, ექიმო. როგორმე ტარასკონის ისევ იმ მატარებელს უნდა მივუსწრო.

— კეთილი, ექიმო რეი. ყველაფერი გასაგებია.

— ნახვამდის, ვინსენტ. — უთხრა რეიმ. — გამხნევდით და მალე სულ კარგად იქნებით. ვეცდები, რაც შეიძლება ხშირ-ხშირად გინახულოთ. ერთ წელიწადში, დარწმუნებული ვარ, სრულიად განკურნებულს გიხილავთ.

— გმადლობთ, ექიმო. რა კეთილი ხართ. ნახვამდის.

— ნახვამდის, ვინსენტ.
რეი გატრიალდა და ფიჭვების ხეივანს გაჰყვა.
— შემოდით, ვინსენტ, — უთხრა პეირონმა და გვერდზე გადგა.
ვინსენტი შევიდა.
სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს ალაყაფის კარი მის ზურგს უკან ჩაიკეტა.

წიგნი მეშვიდე
სენ რემი

1.

პალატა, სადაც ავადმყოფებს ეძინათ, რომელიღაც მიყრუებული სადგურის მესამე კლასის მოსაცდელ დარბაზს მიაგავდა. ავადმყოფებს ქუდები დაეხურათ, სათვალეები გაეკეთებინათ, ხელში ხელჯოხები და ლაბადები დაეჭირათ, თითქოს ესეს არის სადღაც უნდა წავიდნენო.

მოწყალების დამ დეშანელმა ვინსენტი დერეფანივით გრძელ ოთახში გაატარა და ცარიელ საწოლზე მიუთითა.

— თქვენ აქ დაიძინებთ, მუსიე, — უთხრა მან. — ღამით აი ამ ფარდას ჩამოაფარებთ და მყუდროდ იქნებით. ექიმმა პეირონმა გთხოვათ, რომ მოეწყობით, მერე ჩემს კაბინეტში მნახეთო.

თერთმეტი კაცი ცივ ღუმელთან მიმჯდარიყო. ვინსენტისთვის არც ერთს ყურადღება არ მიუქცევია; კრინტიც არავის დაუძრავს მოწყალების და დეშანელი გაბრუნდა და უკანვე გაჰყვა გრძელ ოთახს. გახამებული თეთრი კაბა ეცვა და შავი მოსასხამი წამოესხა, რომლის შავი რიდე მედიდურად წამომართოდა თავზე.

ვინსენტმა ჩემოდანი ძირს დადო და მიმოიხედა. პალატის ორივე მხარეს საწოლები რიგად იდგა. ყველა საწოლი სასთუმალთან მომაღლო იყო. თითოეულს რკინის ჩარჩო ჰქონდა თავზე, რომელზედაც ჭუჭყიანი, ღია ყვითელი ფერის ფარდები ეკიდა. ჭერი გაურანდავი ფიცრისა იყო, კედლები თეთრად შეფეთქილი. შუაგულში ღუმელი იდგა, მოხრილი საკვამური მილით გვერდზე. ჭერზე ერთად-ერთი ლამპა ეკიდა, ზედ ღუმელის თავზე.

ვინსენტს ეუცხოვა ავადმყოფების უჩვეულო სიჩუმე. არც ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, არც კითხულობდნენ, არც არაფერს თამაშობდნენ. დაყრდნობოდნენ თავიანთ ხელჯოხებს და თვალს არ აცილებდნენ ღუმელს.

საწოლის თავთან, კედელზე, ყუთი მიეჭედებინათ, მაგრამ ვინსენტმა არჩია თავისი ნივთები ჩემოდანში დაეტოვებინა.

ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეაგდო და ბაღში გამოვიდა. მონასტრის ბნელი, ნესტიანი და ცარიელი ოთახები მაგრად ჩაერაზათ.

ეზოში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. უზარმაზარი ფიჭვის ხეები იდგა და მაღალი, გაუთიბავი ბალახი იზრდებოდა, სარეველებით სავსე. მონასტრის კედლები მზით იყო გაცისკროვნებული. ვინსენტმა ხელმარცხნივ მოუხვია და პატარა სახლის კარზე დააკაკუნა, სადაც ცხოვრობდა ექიმი პეირონი თავისი ცოლ-შვილით.

პეირონი თავდაპირველად გემის ექიმად მუშაობდა მარსელში, შემდეგ კი ოკულისტად. ბოლოს ნიკრისის ქარი დაემართა და ამის გამო იყო, რომ სულით დაავადებულთა საავადმყოფოს მიაშურა, რომ მშვიდად ეცხოვრა ამ მიყრუებულ სოფელში.

— როგორც ხედავთ, ვინსენტ, — უთხრა პეირონმა და ორივე ხელით მაგიდის კუთხეს ჩაეჭიდა, — ადრე მე ადამიანთა სხეულებს ვმკურნალობდი, ახლა კი მათ სულებს ვკურნავ.

თუმცა დიდი განსხვავება არ არის.

— თქვენ ხომ ნერვულ ადამიანებთან გიხდებათ მუშაობა, ექიმო. იქნებ გამაგებინოთ, რატომ ჩამოვითალე მე ყური?

— ეპილეპსიით დაავადებული ადამიანისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მე ორჯერ მქონდა მსგავს შემთხვევასთან საქმე. სმენითი ნერვები მეტისმეტად მგრძნობიარენი ხდებიან და, ავადმყოფს ჰგონია, ყურს თუ მოვიჭრი, ამით მოჩვენებებს თავიდან მოვიცილებო.

— ააა, გასაგებია. რა მკურნალობა იქნება საჭირო ჩემი...

— მკურნალობა? დიახ... აუცილებლად, კვირაში ორჯერ მაინც, უნდა მიიღოთ ცხელი აბაზანა. იცოდეთ, აუცილებლად.

აბაზანაში ორი საათი უნდა იწვეთ. ეს ძალიან დაგაწყნარებთ.

— კიდევ რა უნდა გავაკეთო, ექიმო?

— უნდა დაიცვათ სიმშვიდე. არ უნდა აღელდეთ. არ იმუშაოთ, არ იკითხოთ, არ იკამათოთ, არ ინერვიულოთ.

— ეს ვიცი... ისე კი თავს ძალიან სუსტად ვგრძნობ, მუშაობა მაინც არ შემიძლია.

— თუ არ გსურთ მონასტრის სასულიერო ცხოვრებაში ჩაებათ, მე ვეტყვი მოწყალების დებს და აღარ დაგაძალებენ.

თუ რამე დაგჭირდეთ, აუცილებლად მომაკითხეთ.

— გმადლობთ, ექიმო.

— ვახშამი ხუთ საათზეა. ზარის ხმას თვითონაც გაიგონებთ. ეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად შეეჩვიოთ საავადმყოფოს რეჟიმს. ეს დააჩქარებს თქვენს განკურნებას.

ვინსენტმა გავერანებული ეზო გადაიარა, მესამე კატეგორიის ავადმყოფთა ნახევრად დანგრეული შენობის კარს უგანა და უხმოდ ჩაუარა ბნელ, ცარიელ ოთახებს. პალატაში შევიდა და თავის საწოლზე ჩამოჯდა. იქ მყოფნი ისევ უჩუმრად უსხდნენ ღუმელს. მალე მეორე ოთახიდან ხმაური მოისმა.

თერთმეტივე ადგილიდან მოსწყდა და პალატის კარს მიაწყდა.

ვინსენტიც მათ მიჰყვა.

სასადილო ოთახი უფანჯრო იყო და მიწის იატაკი ჰქონდა.

აქ იდგა ერთი გრძელი, გაურანდავი ხის მაგიდა და სკამძელები.

ვახშამი მოწყალების დებმა ჩამოარიგეს. კერძს ობის სუნი უდიოდა, როგორც ძველ დახავსებულ სენაკში იცის ხოლმე.

ჯერ სუპი და შავი პური მოიტანეს. ვინსენტმა ხოჭო ნახა თავის თეფშში, და მაშინვე პარიზის რესტორნები ინატრა. შემდეგ რაღაც სალაფავივით შეჭამანდი ჩამოარიგეს. ერთმანეთში აერიათ მუხუდო, ცერცვი და უგრეხელი. ავადმყოფები გამგელებულები შეექცეოდნენ ვახშამს. მაგიდაზე დაცვენილ, შავი პურის ნამცეცებს ხელის გულზე იყრიდნენ და ენით ლოკავდნენ.

ვახშამს რომ მორჩნენ, ყველა თავ-თავის ადგილას დაბრუნდა, რომ გულმოდგინედ მოენელებინა საჭმელი. ცოტა ხნის შემდეგ სათითაოდ წამოდგნენ, ტანზე გაიხადეს, ფარდები ჩამოუშვეს და ძილს მიეცნენ. ვინსენტს არც ერთი მათგანის ხმა არ გაუგონია.

მზე ჩადიოდა. ვინსენტი ფანჯარასთან იდგა და ამწვანებულ ველს გადასცქეროდა. საუცხოო სანახავი იყო ლიმონისფერი ცის ფონზე შავი მაქმანივით გაყოლებული ფიჭვის ხეების ზოლი. ამ დიდებულმა პეიზაჟმა სრულიად არ იმოქმედა მასზე თავისი ფუნჯი წუთითაც არ მოჰგონებია.

ვიდრე პროვანსის უხილავი ბინდი ლიმონისფერ ცას არ გადაეკრა და არ მოქუფრა იგი, ვინსენტი ფანჯარას არ მოსცილებია. პალატაში არავინ შემოსულა, რომ შუქი აენთო. ამ სიბნელეში აბა რისი გაკეთება შეიძლებოდა. ისღა დარჩენოდა, თავის ცხოვრებაზე ეფიქრა.

ვინსენტმა ტანზე გაიძრო და დასაძინებლად დაწვა. იწვა თვალებდაჭყეტილი და გაურანდავი ფიცრების ჭერს მიშტერებოდა. საწოლი ისე მაღლა იყო თავის მხარეს აწეული, რომ ვინსენტი სულ ძირს მიცურავდა. უცებ გაახსენდა დელაკრუას წიგნი რომ ჰქონდა თან. ყუთში ხელი მოაფათურა, წიგნი მოძებნა და გულზე მიიკრა. მისმა სიახლოვემ თითქოს ნუგეში სცა. ახლა ვინსენტი ერთ-ერთი აქ მყოფი ავადმყოფთაგანი კი აღარ იყო, არამედ მთლიანად იმ დიდი ხელოვანის გვერდით იდგა, რომლის სიბრძნითა და ნუგეშით სავსე სიტყვები სასიამოვნოდ ეღვრებოდა მის აკვნესებულ გულს.

მალე ჩაეძინა კიდეც. უეცრად ვიღაცის კვნესამ გამოაღვიძა.

გვერდით საწოლიდან. კვნესა ნელ-ნელა ტირილმა და ბოდვამ შესცვალა — მომშორდი! ნუ, დამდევ! რას დამდევ, რას? მე არ მომიკლავს! ვერ მომატყუებ, გიცნობ. ვინცა ხარ. შენ საიდუმლო პოლიციიდან ხარ! აჰა, გამჩხრიკე თუ გინდა! მე არ მომიპარავს ფული! მან თვითონ მოიკლა თავი. ოთხშაბათს! მომშორდი!

ღვთის გულისათვის, თავი დამანებე!

ვინსენტი ზეზე წამოხტა და ფარდა გადასწია, ოცდასამი წლის ქერა ბიჭი კბილებით იგლეჯდა საღამურ პერანგს. ვინსენტი რომ დაინახა, მუხლებზე დაიჩოქა და სასოწარკვეთილმა ხელების მტვრევა დაიწყო.

— მუსიე მუნე-სიული, ნუ დამაპატიმრებთ! გარწმუნებთ, მე არ ჩამიდენია ეს! არც მამათმავალი ვარ! იურისტი ვარ მხოლოდ! მე ყველა თქვენს საქმეებს მოვიგებ, ოღონდ ნუ დამაპატიმრებთ ახლა, მუსიე მუნე-სიული! აბა, როგორ შემეძლო მე ოთხშაბათს მომეკლა იგი! ფული მე არა მაქვს!

ნახეთ, თუ გინდათ! აი არაფერიც არა მაქვს!

საბანი გადაიძრო. საშინლად იკრუნჩხებოდა და იკლაკნებოდა ლოგინში, თან გაუთავებლად ედავებოდა საიდუმლო პოლიციას და ყველა იმ ცრუ ბრალდებას, რასაც ვითომდა მსჯავრად სდებდნენ მას. ვინსენტმა არ იცოდა რა ექნა. სხვა ავადმყოფებს, როგორც სჩანდა, მაგრად ეძინათ.

ვინსენტმა მეზობელ საწოლთან მიირბინა, ფარდა გადასწია და იქ მწოლარე ავადმყოფი შეანჯღრია. ახალგაზრდა კაცმა თვალები გაახილა და უაზროდ მიაშტერდა ვინსენტს.

— ადექით, მომეხმარეთ, ის ბიჭი დავაწყნაროთ, — ეუბნებოდა ვინსენტი, — მეშინია რამე არ აუტეხოს თავს.

ახალგაღვიძებულს ტუჩის მარჯვენა კუთხიდან დორბლები გადმოსდიოდა. თან რაღაც გაუგებარ, უაზრო ბგერებს ლუღლუღებდა.

— ჩქარა, — ყვიროდა ვინსენტი, — ჩვენ ორივემ იქნებ დავაწყნაროთ.

უცებ ვიღაცის ხელი შეეხო მხარზე. ვინსენტი მოტრიალდა.

ზურგს უკან მოხუცი იდგა.

— მაგას თავი დაანებეთ, — უთხრა მოხუცმა. — ეგ იდიოტია. რამდენი ხანია აქ არის და ერთი სიტყვაც არ გამიგონია მაგისგან. წავიდეთ, იმ ბიჭს ჩვენც ვეყოფით.

ქერა ყმაწვილი მუხლებზე დაჩოქილიყო, ლეიბი ამოეგლიჯა ფრჩხილებით და ჩალას აძრობდა იქიდან. ვინსენტი დაინახა თუ არა, ისევ მიაყარა რაღაც იურიდიული ფრაზები. თან მუშტებს ურახუნებდა გულზე.

— დიახ! დიახ, მე მოვკალი იგი! მე მოვკალი, მაგრამ მამათმავლობისთვის კი არა! ამიტომ არა, მუსიე მუნე-სიული!

და არც გასულ ოთხშაბათს იყო ეს! მე ფულის გულისთვის მოვკალი იგი! შეხედეთ! აი მაგისი ფულები! საფულე აქა მაქვს დამალული, ამ ლეიბში! ახლავე ვიპოვი და მოგცემთ! ოღონდ საიდუმლო პოლიცია ნუ დამდევს უკან! ხომ არ დამიჭერთ, თუნდაც მომეკლას იგი!? მე ახლავე დაგიმტკიცებთ. აი მოიცათ, ჯერ საფულე ვიპოვნო ამ ლეიბში!

— თქვენ მეორე ხელი დაუჭირეთ, — უთხრა მოხუცმა კაცმა ვინსენტს.

ორივემ აქეთ-იქიდან გააკავეს ბიჭი ლოგინზე, კრუნჩხვები თითქმის მთელ საათს გაგრძელდა. ბოლოს გადაიღალა, მისი ხმამაღალი სიტყვები ლუღლუღად იქცა და მალე ჩაეძინა კიდეც. მოხუცი ვინსენტის ლოგინზე ჩამოჯდა.

— ეს ბიჭი იურიდიულზე სწავლობდა, — უთხრა მან. — ეტყობა, მეტისმეტი მოუვიდა. ამგვარი შეტევები ათ დღეში ერთხელ მოსდის. ისე, ძალიან უწყინარი ბიჭია. ძილი ნებისა, მუსიე.

მოხუცი თავისი საწოლისაკენ გაეშურა და სულ მალე ძილს მიეცა. ვინსენტი ისევ ფანჯარასთან მივიდა და ველ-მინდვრებს გახედა. მზის ამოსვლამდე დიდი დრო იყო დარჩენილი და ბნელ ცაზე ობლად კიაფობდა ცისკრის ვარსკვლავი. დობინის სურათი მოაგონდა, სადაც ასევე ციმციმებდა ცისკრის ვარსკვლავი, სადაც სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა, მაგრამ მარტოობის ის მძიმე სევდაც იგრძნობოდა, ამ ვარსკვლავის ყურებისას რომ ებადება ადამიანს.

2.

მეორე დილით, ნასაუზმევს, ავადმყოფები ბაღში გამოვიდნენ. შორს, კედლის გადაღმა, მოჩანდა შიშველი მთების უკაცრიელი რიგი, სადაც არავინ გაჭაჭანებულა მას შემდეგ, რაც რომაელებმა გადაიარეს ზედ. ვინსენტი შესცქეროდა თუ რა უხალისოდ თამაშობდნენ ავადმყოფები კროკეტს.

ქვის სკამზე იჯდა და ხან სურომოდებულ ასწლოვან ხეებს მისჩერებოდა, ხან ხალიჩასავით ძირს გართხმულ გველის სუროს. მოწყალების დები, რომლებიც იოსებ ობენელის ორდენს ეკუთვნოდნენ რომაელთა სამლოცველოსკენ გაეშურნენ.

თვალებჩაცვენილნი შავ-თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი, თაგვებს მიაგავდნენ. გზადაგზა კრიალოსანს მარცვლავდნენ და დილის ლოცვას ბუტბუტებდნენ.

ერთ საათში ავადმყოფებს თამაშობა მოსწყინდათ და გრილ პალატას მიაშურეს. გუშინდელივით შემოუსხდნენ ცივ ღუმელს. ვინსენტი განცვიფრებული იყო მათი უსაქმურობით. ვერ გაეგო, რატომაა რომ არც ერთს გაზეთი მაინც არ უჭირავს ხელში.

ვეღარ აიტანა მათი ცქერა და ისევ ბაღში გამოვიდა. ამ წმინდა პავლეს თავშესაფარში მზეც მომაკვდავს მიაგავდა თითქოს.

ძველი მონასტერი ჩვეულებისამებრ ოთხკუთხედად აეგოთ.

ჩრდილოეთ ნაწილში იყო მესამე კატეგორიის ავადმყოფთა პალატა, აღმოსავლეთ მხარეს ექიმ პეირონის სახლი, სამლოცველო და მეათე საუკუნის ტაძარი. სამხრეთი ნაწილი პირველი და მეორე კატეგორიის ავადმყოფებისათვის დაეთმოთ, ხოლო დასავლეთით, ცალკე შემოღობილ ეზოში, ბორგნეული შეშლილნი მოეთავსებინათ და გრძელი აგურის კედლით გამოეცალკევებინათ. ერთადერთი გასასვლელი, ალაყაფის კარი, მუდამ მაგრად ჰქონდათ ჩარაზული. თორმეტი ფუტის სიმაღლის კედლები ისე პირწმინდათ გაელესათ, რომ ფეხს ვერ მოიკიდებდი ასასვლელად.

ვინსენტი ქვის სკამზე ჩამოჯდა. სკამის გვერდით ველური ვარდი იზრდებოდა. ვინსენტი ვერა და ვერ გარკვეულიყო, როგორ მოხდა ყველაფერი და რამ მოიყვანა იგი ამ თავშესაფარში. საშინელმა შიშმა და ძრწოლამ აიტანა და ფიქრი ვერ შესძლო. აღარც ნუგეში შერჩა და არც იმედის რაიმე ნატამალი.

უხალისოდ გაეშურა პალატისკენ. ის იყო შეაბიჯა ოთახში, რომ ძაღლის უცნაური ყვირილი შემოესმა. მალე ეს ხმა მგლის ყმუილს დაემსგავსა.

ვინსენტი პალატის ბოლოსკენ გაემართა. ერთ კუთხეში, კედლისკენ პირშექცეული იჯდა ის მოხუცი, რომელიც ღამით გამოელაპარაკა. მოხუცს თავი მაღლა აეწია და მთელი ძალღონით ყმუოდა. სახის გამომეტყველებაც ცხოველური ჰქონდა. მგლის ყმუილი ისეთმა უცნაურმა ხმებმა შესცვალა, რასაც მხოლოდ ჯუნგლებში თუ გაიგონებს კაცის ყური. ეს საზარელი, სევდანარევი ხმა მთელ ოთახში ისმოდა.

— ეს რა სამხეცეში მოვხვდი! — გაიფიქრა ვინსენტმა.

ღუმელთან მსხდომნი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მოხუცს. ცხოველური ხმები ბოლოს სასოწარკვეთილ კვნესად იქცა.

— რაღაცით უნდა დავეხმაროთ ამ კაცს, — თქვა ვინსენტმა ხმამაღლა.

ქერათმიანმა ბიჭმა შეაჩერა.

— სჯობს თავი დაანებოთ, — უთხრა მან ვინსენტს. — ხმა რომ გასცეთ, იქნება სულ გაგიუდეს. რამდენიმე წუთში თვითონვე მორჩება ამ ყმუილს.

მონასტრის კედლები საკმაოდ სქელი იყო, მაგრამ სამხრობისას ვინსენტს გაუთავებლად ესმოდა იმ უბედური მოხუცის ყმუილი, რაც ასე მძაფრად გაისმოდა სამარისებურ სიჩუმეში.

მთელი დღე ბაღის მიყრუებულ კუთხეში გაატარა ვინსენტმა.

ცდილობდა, როგორმე თავიდან ამოეგდო ის ველური ყმუილი.

საღამოთი, ვახშმობისას, ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც მარცხენა მხარე დადამბლავებული ჰქონდა, ხელი დასტაცა დანას, ზეზე წამოვარდა და მარჯვენა ხელით დანა გულზე მიიბჯინა.

— აღსასრულის ჟამი მოახლოვდა! — იყვირა მან. — აღარ მსურს სიცოცხლე!

მარჯვნივ მჯდომი კაცი უხალისოდ წამოდგა და დაცემულს წაეტანა.

— დღეს. არა, რაიმონდ. — უთხრა მან, — დღეს კვირაა.

— არა და არა, დღეს უნდა მოხდეს! მე არ ვიცოცხლებ! არ მსურს სიცოცხლე, ხელი გამიშვით! მე თავს ვიკლავ!

— ხვალ, რაიმონდ, ხვალ. დღეს შესაფერისი დღე არ არის.

— ხელი გამიშვით! მე მსურს ამ დანით გავიპო გული! ხომ გეუბნები, თავს ვიკლავ-მეთქი!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ახლა არა. ახლა არა.

მან დანა გამოართვა ხელიდან, რაიმონდი კი სასოწარკვეთილი აქვითინდა და პალატისკენ გაეშურა.

— ვინსენტი გვერდით მდგომ კაცს მიუბრუნდა, რომელიც ჩაწითლებული თვალებით თავის მოცახცახე ხელს შესცქეროდა, რომ როგორმე კოვზი მიეტანა პირთან.

— რა დაემართა ამ კაცს? — ჰკითხა ვინსენტმა.

სიფილისიანმა კოვზი დაუშვა და უპასუხა:

— ერთი წელია რაიმონდი ყოველდღე იკლავს თავს.

— კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც აქ? — თქვა ვინსენტმა. — რატომ დანას არ მოიპარავს და ღამით არ მოიკლავს თავს, როცა ყველას სძინავს?

— ალბათ არ სურს სიკვდილი, მუსიე.

მეორე დღეს, როცა ვინსენტი კვლავ უცქერდა კროკეტის თამაშით გართულ ავადმყოფებს, ერთი მათგანი უეცრად მიწაზე დაეცა და საშინლად დაიკრუნჩხა.

— ჩქარა. ბნედა მოუვიდა! — იყვირა ვიღაცამ.

— ხელები და ფეხები დაუჭირეთ!

ოთხი კაცი მის გაკავებას მოუნდა. ბნედიანს ღონე გაუათკეცდა და ძალუმად იგრიხებოდა. ქერათმიანმა ახალგაზრდამ ჯიბიდან კოვზი ამოიღო და კრიჭაშეკრულს პირში ჩასჩარა.

— მოდით, თავი დაუჭირეთ, — დაუძახა მან ვინსენტს.

ბნედიანს ხან უძლიერდებოდა და ხან უსუსტდებოდა კრუნჩხვები. თვალები გადაატრიალა, ტუჩის კუთხეებიდან დუჟი გადმოსდიოდა.

— კოვზი რას ჩაგიჩრიათ პირში! — ჩაიბუზღუნა ვინსენტმა.

— ენა რომ არ მოიკვნიტოს, იმიტომ.

ნახევარ საათში ავადმყოფს გრძნობა დაეკარგა. ვინსენტმა და კიდევ ორმა კაცმა იგი პალატაში წაიყვანეს. ამით დამთავრდა ყველაფერი და მეტი აღარავის უხსენებია ის ბნედიანი.

ორმა კვირამ განვლო. ვინსენტმა სათითაოდ ყველა ავადმყოფის მდგომარეობა გაიგო და ნახა. ერთი გახელებული იგლეჯდა ტანსაცმელს და ყველას და ყველაფერს ეჩხუბებოდა.

მეორე მხეცივით ყმუოდა, ორს სიფილისი სჭირდა. რაიმონდი სულ თავს იკლავდა, დამბლადაცემულები ხანგამოშვებით ბორგავდნენ და შფოთავდნენ, ერთს ბნედა სჭირდა, მეორეს შიზოფრენია და გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა დასდევს, ქერათმიან ყმაწვილს კი საიდუმლო პოლიცია აშინებდა.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ რომელიმეს შეტევა არ მოსვლოდა და ვინსენტსაც ხან ვის დასახმარებლად უხმობდნენ და ხან ვის. მესამე კატეგორიის ავადმყოფები ექიმებიც თვითონ იყვნენ და მოწყალების დებიც. პეირონი კვირაში ერთხელ თუ

შემოვიდოდა ამათთან პალატაში, მომვლელები კი პირველი და მეორე კატეგორიის ავადმყოფების მოვლას უნდებოდნენ.

ვინსენტის პალატის ავადმყოფები მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს და უჩვეულო მოთმინებით ეხმარებოდნენ შეტევის დროს. თითოეულმა კარგად იცოდა, რომ სულ მალე დადგება დრო, როცა თვითონაც დასჭირდება სხვების დახმარება და მოთმინებით სავსე მოვლა-პატრონობა.

ეს იყო ფსიქიურად დაავადებულთა ნამდვილი ძმობა.

ვინსენტი კმაყოფილიც იყო აქ მოხვედრით. ახლა, როცა გაიგო თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში შეშლილთა ცხოვრება, თანდათან გაუქრა ის გაურკვეველი შიშის გრძნობა, რასაც ოდესღაც სიგიჟე იწვევდა მასში. იმ აზრსაც შეეგუა, რომ ფსიქიური მოშლილობა ისეთივე ავადმყოფობაა, როგორიც ნებისმიერი სხვა. მესამე კვირის ბოლოს კი დარწმუნდა, რომ ეს ავადმყოფობა არაფრითაა უფრო საშიში, ვიდრე ჭლექი ან კიბო.

ვინსენტი ხშირად ესაუბრებოდა იდიოტ ბიჭს. იდიოტი რაღაც გაურკვეველი ლუღლუღით პასუხობდა, მაგრამ ვინსენტი გრძნობდა, რომ იმ უბედურს ესმოდა მისი და სიამოვნებდა, როცა ელაპარაკებოდნენ. მოწყალების დები მხოლოდ იმ შემთხვევაში ელაპარაკებოდნენ ავადმყოფს, თუ რაიმე უნდა ებრძანებინათ. კვირაში ერთხელ ექიმ პეირონთან ხუთწუთიანი საუბრით იწურებოდა ვინსენტის ურთიერთობა ნორმალურ ხალხთან.

— ამიხსენით, ექიმო, — ეუბნებოდა ვინსენტი, — რატომაა რომ ავადმყოფები არაფერს ელაპარაკებიან ერთმანეთს. ზოგიერთი მათგანი, თუ ცუდად არ გრძნობს თავს, საკმაოდ ნორმალური ადამიანია.

— არ შეუძლიათ, ვინსენტ. ლაპარაკისას კამათობენ, ღელავენ; რის შედეგადაც შეტევა მოსდით. ასე რომ, ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, თუ არ სურთ ზიანი მიაყენონ თავიანთ თავს, სჯობს ჩუმად იყვნენ და კრინტიც არ დასძრან.

— რა ფასი აქვს მათ ასეთ ყოფნას. გინდ უცოცხლიათ, გინდ არა.

პეირონმა მხრები აიჩეჩა.

— გააჩნია, ვინ როგორ უყურებს ცხოვრებას, ვინსენტ.

— რამე წაიკითხონ მაინც. ჩემის აზრით, წიგნები...

— კითხვა მათ გონებაზე იმოქმედებს და ამასაც გარდუვალად შეტევა მოჰყვება. არა, ჩემო კარგო, მათ ურჩევნიათ თავიანთ ნაჭუჭში იცხოვრონ. მაინცდამაინც ნუ გეცოდებიან.

ხომ გაგიგონიათ დრაიდენის სიტყვები: „სიგიჟეს თავისი სიამოვნება სდევს თან, რისი შეგრძნებაც გიჟს ძალუძს მხოლოდ“.

ერთმა თვემ განვლო. ვინსენტს ერთხელაც არ უგრძვნია, რომ სადმე წასვლა მონდომებოდეს. არც სხვა რომელიმე ავადმყოფისთვის შეუნიშნავს ამგვარი სურვილი. იცოდა, ეს იმის შედეგი იყო, რომ ყველა აქ მყოფი გრძნობდა, ნორმალური ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი ვარო.

ცოცხლად გახრწნილი ადამიანების მყრალი სუნი ტრიალებდა მთელს პალატაში.

ვინსენტი იმედს არ ჰკარგავდა, რომ დადგებოდა დრო და კვლავ დაუბრუნდებოდა ხატვის სურვილი და ენერგია. ყველა ავადმყოფს უკვე სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა უსაქმურობა. მათი საფიქრალი ჭამაღა იყო მხოლოდ. ამგვარი ყოფისადმი პროტესტის ნიშნად ვინსენტი პირსაც არ აკარებდა არც დამპალ და არც

ოდნავ გაფუჭებულ საჭმელს. ხშირად შავ პურზე და სუპზე გადაივლიდა ხოლმე. თეომ შექსპირის ერთტომეული გამოუგზავნა. „რიჩარდ მეორემ“, „ჰენრი მეოთხემ“ და „ჰენრი მეხუთემ“ ვინსენტის გონება სხვა ეპოქაში და სხვა ქვეყნებში გადაიტანა.

ვინსენტი ცდილობდა დარდს არ აჰყოლოდა, რომ მის გულში სამუდამოდ არ დაებუდებინა.

ამასობაში თეო დაქორწინდა. ის და მისი მეუღლე იოჰანა ხშირად წერდნენ წერილებს ვინსენტს. თეო მაინცდამაინც ვერ გრძნობდა თავს კარგად. ვინსენტს ძმის ჯანმრთელობა უფრო ადარდებდა, ვიდრე საკუთარი. ყველა წერილში იმას სთხოვდა იოჰანას, აბა შენ იცი, თეოს ნოყიერი, ჰოლანდიური კერძები არ მოაკლოო, ათი წელია, რესტორნის საჭმელების გარდა არაფერი ჩასვლია პირშიო.

იცოდა ვინსენტმა, ყველაზე უკეთ ხატვა განკურნავდა მას.

და თუ შეძლებდა მთელი არსებითა და ენერგიით მისცემოდა ხატვას, ამაზე უებარ წამალს ვერაფერს ინატრებდა. ამ საცოდავ ავადმყოფებს არაფერი გააჩნდათ, რაც მათ გახრწნილობისაგან დაიფარავდა, ვინსენტს კი მხატვრობა უშველიდა, ის დაეხმარებოდა სრულიად გაჯანსაღებულსა და ბედნიერს დაეტოვებინა სულით დაავადებულთა თავშესაფარი.

მეექვსე კვირის ბოლოს პეირონმა ვინსენტს ერთი პატარა ოთახი გამოუყო სახელოსნოდ. კედლებზე მომწვანო-მონაცრისფერო შპალერი იყო გაკრული, ფანჯარაზე ორი მუქმწვანე, ზღვისფერი ფარდა ეკიდა, ძალიან ნაზი ვარდებით მოხატული. ეს ფარდები და კიდევ ძველებური სავარძელი, რომელზედაც მონტიჩელის ნახატივით ღია ფერად მოხატული ნაჭერა იყო გადაკრული, ერთ შეძლებულ ავადმყოფს დარჩენოდა სიკვდილის შემდეგ. ფანჯრიდან მოჩანდა მთის ფერდობზე შეფენილი პურის ყანა და თავისუფლება. მაგრამ ფანჯარაზე მიკრული მსხვილი, შავი რკინის გისოსი მიუღწეველს ხდიდა მას.

ფანჯრიდან დანახული პეიზაჟი ვინსენტმა მაშინვე ტილოზე გადაიტანა. წინა პლანზე ნასეტყვარი, მიწაზე წაწვენილი პურის ყანა მოჩანდა. ქვის სამიჯნო კედელი მთის ფერდობს მიჰყვებოდა დაბლა, ხოლო ზეთისხილის მონაცრისფერო ფოთლების უკან რამდენიმე ქოხი და მთები მოჩანდა. ლაჟვარდისფერ ცაზე უზარმაზარი, მოთეთრო-მონაცრისფრო ღრუბელი დახატა.

უკვე ვახშმის დრო იყო, როცა ვინსენტი საზეიმო განწყობით დაბრუნდა პალატაში, როგორც ჩანდა, მთლიანად არ დაუკარგავს შემოქმედების ძალა. ისევ პირისპირ შეხვდა ბუნებას.

მუშაობის სურვილმა კვლავ იძალა მასში და ახლა ქმნისკენ უბიძგა.

ამიერიდან ვეღარ ჩაჰკლავს საავადმყოფოს ცივი კედლები.

განკურნების გზაზე დგას უკვე. რამდენიმე თვეში დასტოვებს კიდეც აქაურობას. ისევ დაუბრუნდება პარიზს და თავის ძველ მეგობრებს. მისი ცხოვრება ხელმეორედ აღორძინდება. ვინსენტმა გრძელი, ამაღელვებელი წერილი მისწერა თეოს და სთხოვა გამოეგზავნა საღებავები, ტილოები, ფუნჯები და საინტერესო წიგნები.

მეორე დილით ყვითელი, ცხელი მზე ამობრწყინდა. ეზოში ჭრიჭინობელები დაჭრიჭინობდნენ. ვინსენტმა მოლბერტი ეზოში გამოიტანა და ფიჭვის ხეები, ბუჩქები და ბილიკები ჩახატა.

ავადმყოფები ზურგიდან მიუახლოვდნენ და უსიტყვოდ, მორიდებულად უცქერდნენ.

— ესენი გაცილებით უფრო ზრდილობიანი ხალხია, ვიდრე არლის მკვიდრნი, — გაიფიქრა ვინსენტმა.

იმავე საღამოს პეირონს მიაკითხა.

— მე უკვე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, ექიმო, და გთხოვთ, ნება დამრთოთ საავადმყოფოს გარეთ გავიდე, რომ ხატვა შევძლო.

— თქვენ მართლაც უკეთ გამოიყურებით, ვინსენტ. აბაზანებმა და სიმშვიდემ, ჩანს, კარგად იმოქმედა თქვენზე.

მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ ასე ჩქარა გარეთ გასვლა ცოტა არ იყოს საშიშია თქვენთვის?

— საშიში? არა. რატომ უნდა იყოს საშიში?

— ხომ შეიძლება თქვენ... მოგვივიდეთ შეტევა... სადმე მინდორში...?

ვინსენტმა გაიცინა.

— არა. არავითარი შეტევა აღარ მომივა, ექიმო. მორჩა და გათავდა. ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ.

— არა, ვინსენტ. მე ვშიშობ...

— ძალიან გთხოვთ, ექიმო. თუ მე შემეძლება წავიდე საითაც მინდა და ვხატო ის, რაც მომწონს და მიტაცებს, გაცილებით უფრო ბედნიერად ვიგრძნობ თავს.

— კარგი, თუკი თქვენ სთვლით, რომ მუშაობა საჭიროა თქვენთვის...

აი ასე მოხდა, რომ თავშესაფარის ჩარაზული კარი ყურთამდე გაიღო ვინსენტისათვის. მანაც წამოიკიდა მოლბერტი ზურგზე და პეიზაჟის საძებრად გასწია. დილიდან გასული, გვიანობამდე არ ბრუნდებოდა საავადმყოფოში. კვიპაროსის ხეებმა, რომლებიც მრავლად იყო სენ რემიში, მოსვენება დაუკარგა ვინსენტს. უნდოდა რამე იმდაგვარი დაეხატა, კვიპაროსებით, როგორც ერთხელ მზესუმზირები რომ აიკვიატა და მთელი პანო შექმნა მათი. უკვირდა ვინსენტს, რატომ არასოდეს, არც ერთ მხატვარს ამგვარად არ დაუხატავს კვიპაროსები, როგორც ახლა მე ვხატავ მათო. კვიპაროსების ფორმასა და პროპორციებში ეგვიპტური პირამიდების სილამაზეს ხედავდა იგი. ეს იყო შავად გაელვება მზიანი პეიზაჟის ფონზე.

ისევ დაუბრუნდა ძველი არლური ჩვევები. დილით, გამთენიისას, სუფთა ტილოთი ხელში გამოდიოდა გარეთ; საღამოთი კი ცოცხალი ბუნების პაწია ნაჭერი იყო უკვე ამ ტილოზე. და თუკი შემოქმედებითი ძალისა და უნარის დაცემულობა ჰქონდა კიდეც ვინსენტს, იგი მაინც ვერ გრძნობდა ამას.

დღითიდღე ემატებოდა ძალა, მგრძნობელობა და რწმენა თავისი თავისადმი.

ახლა, როცა მისი ბედი კვლავ მის ხელთ იყო, საავადმყოფოს წყალწყალა კერძები აღარ აშინებდა ვინსენტს. მადიანად შეექცეოდა ყველაფერს, რასაც მიუტანდნენ, თუნდაც ეს ხოჭოებიანი სუპი ყოფილიყო. ჭამა საჭირო იყო, რომ ძალ-ღონე შეჰმატებოდა. საშიში აღარაფერი იყო. გონებაც სრულიად ნორმალურად მუშაობდა.

სამი თვე გავიდა, რაც ამ თავშესაფარში მოვიდა ვინსენტი.

პირველად ახლა იპოვნა კვიპაროსებიანი პეიზაჟი, რომელმაც სრულიად გადაავიწყა განვლილი ტანჯვა და მწუხარება. ვეება კვიპაროსები ამაყად აღმართულიყვნენ, ძირს მაყვლის ბარდები და ჯაგნარი გაშლილიყო. შორს მოჩანდა იისფერი მთები და მომწვანო-მოვარდისფრო ცაზე მოკიაფე ნამგალა მთვარე.

წინა პლანზე გაშლილი ეკალ-ბარდები საღებავების სქელი ფენით დახატა. სათუთად შეახო ყვითელი, იისფერი და მწვანე ფერი. საღამოთი შესცქეროდა დღისით დახატულ სურათს და გრძნობდა, რომ უკვე თავი დაუღწევია უფსკრულისთვის. და ახლა ისევ მყარად დგას დედამიწაზე, პირით მზისაკენ შექცეული.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რაკი კვლავ თავისუფლად იგრძნო თავი.

თეომ ცოტაოდენი ფული გამოუგზავნა და ვინსენტმა ნებართვა ითხოვა, არლში წასულიყო და დაეხსნა თავისი სურათები. ლამარტინის მოედნის მცხოვრებლები საკმაოდ ლმობიერად შეხვდნენ მის გამოჩენას, მაგრამ ყვითელი სახლის დანახვამ ცუდად იმოქმედა ვინსენტზე. ლამის გული შეუღონდა. იმის მაგივრად, რომ რულენთან და ექიმ რეისთან მისულიყო, როგორც განზრახული ჰქონდა, ვინსენტი სახლის პატრონის საძებრად გაეშურა, ვისაც მისი სურათები ჰქონდა ჩაკეტილი.

— იმ საღამოს ვინსენტი, დაპირებისამებრ, არ დაბრუნებულა თავშესაფარში. მეორე დღეს იგი ტარასკონ-სენ რემის გზაზე ნახეს, სახით თხრილში ჩამხობილი.

3.

ციებამ გონება დაუბინდა და სამ კვირას გონზე არ იყო.

მისი პალატის ავადმყოფები, რომლებსაც ვინსენტი მუდამ სიბრალულით ეხმარებოდა ყოველი შეტევის დროს, ყურადღებით თავს ევლებოდნენ. ცოტა რომ მომჯობინდა და გაიგო რაც შეემთხვა, გაოგნებული იმეორებდა:

— რა საშინელებაა! რა საშინელებაა!

მესამე კვირის ბოლოს, როცა ფეხზე წამოდგა და ცარიელ, დერეფანივით გრძელ პალატაში დასეირნობდა, მოწყალების დებმა ახალი ავადმყოფი მოიყვანეს. მან წყნარად, თვინიერად მიაყვანინა თავი მისთვის მიჩენილ საწოლთან, მაგრამ როგორც კი მოწყალების დები პალატიდან გავიდნენ, წამსვე გახელდა.

ტანსაცმელი მაშინვე შემოიხია ტანზე და ნაფლეთებად აქცია, თან ომახიანად გაჰყვიროდა რაღაცას. ლოგინი სულ დაანაკუწა, კედელზე მიჭედებული ყუთი მოგლიჯა, ფარდები ჩამოხია, ჩარჩო ჩამოტეხა, მერე თავის ჩემოდანს ფეხით შესდგა და უფორმო მასად აქცია.

ავადმყოფები ახლად მოსულს ახლოსაც არ ეკარებოდნენ.

ორი მცველი შემოვიდა, ახალმოსული გარეთ გაათრიეს და სარდაფში ჩაკეტეს. სრული ორი ყვირა მხეცივით ღრიალებდა.

ვინსენტს დღედაღამ ყურში ედგა მისი ხმა. შემდეგ უეცრად ჩაჩუმდა, და ვინსენტმა დაინახა, როგორ დაასაფლავეს ის უბედური პატარა სასაფლაოზე, სამლოცველოს უკან.

ვინსენტი მეტისმეტ სულიერ დაცემულობას განიცდიდა.

რაც უფრო მომჯობინდა და რაც უფრო წყნარად და აუღელვებლად მუშაობდა მისი გონება, მით უფრო სულელურად და გაუმართლებლად ეჩვენებოდა მომავალში ხატვის გაგრძელება, რადგან თითქმის სიცოცხლის ფასად უჯდებოდა იგი. ხოლო სანაცვლოდ კი არას იღებდა.

ექიმმა პეირონმა ცოტაოდენი ხორცი და ღვინო გაუგზავნა ვინსენტს. თან გადაჭრით განუცხადა, სახელოსნოსკენ არც კი გაიხედოო. ვინსენტი თავდაპირველად

დიდად არ დაღონებულა ამ ამბით, მაგრამ როცა უკვე კარგად იგრძნო თავი და დაინახა, რომ სხვებივით სამარცხვინო უსაქმურობა ემუქრებოდა, მეტად აღელდა.

— ექიმო, — უთხრა მან, — ჩემი მორჩენისათვის მთავარი მუშაობაა. თუკი მაიძულებთ ამ გიჟებივით გულხელდაკრეფილი ვიჯდე, სულ მალე მეც იმათ დავემსგავსები.

— ვიცი, ვინსენტ. მაგრამ ისე რომ არ მიგეკლათ თავი მუშაობისათვის, არც შეტევა მოგვიდოდათ. ჩემი ვალია ყოველგვარი აღელვებისგან დაგიფაროთ.

— არა, ექიმო. მუშაობა არაფერ შუაშია. მე არლში წასვლამ დამღუპა. ლამარტინის მოედნისა და ყვითელი სახლის დანახვამ ცუდად იმოქმედა ჩემზე. თუ მეტად აღარ წავალ იქ, არაფერიც აღარ დამემართება. ძალიან გთხოვთ, ნება მომცეთ, ჩემს სახელოსნოში ვიმუშაო.

— მე არ მსურს ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა. მივწერ თქვენს ძმას და თუკი ის თანახმა იქნება, რა გაეწყობა, ჩვენც ნებას დაგრთავთ.

თეოს წერილმა, რომელშიც იგი პირდაპირ ევედრებოდა პეირონს ნუ დაუშლით ვინსენტს ხატვასო, მეტად სასიხარულო ამბავი მოიტანა. სულ მალე თეო მამა გახდებოდა. ვინსენტი სიხარულით ცას ეწია და სულ გადაავიწყდა თავისი შეტევა.

მაშინვე დაჯდა და მეტად მხურვალე წერილი მისწერა ძმას.

„იცი, რაზე ვოცნებობ, თეო? ძალიან მინდა, რომ ოჯახი იყოს შენთვის ის, რაც ბუნება, მიწის ბელტები, ბალახი, დათავთავებული ყანა და გლეხებია ჩემთვის. ბავშვი, რომელიც იოჰანას შეეძინება, გაგრძნობინებს ბუნების ნამდვილ რაობას, რაც შეუძლებელია სხვა გზით შეიგრძნო დიდ ქალაქში. და რაკი იოჰანა უკვე გრძნობს, თუ როგორ ტოკავს ბავშვი, სრული უფლება გეძლევა თქვა, რომ უკვე გაგიდგამს ფესვი ამ ბუნებაში.“

ვინსენტი თავის სახელოსნოს დაუბრუნდა და რიკულებიანი ფანჯრიდან გადაშლილი პეიზაჟის ხატვას შეუდგა — პურის ყანაში მომკელი და ვეებერთელა მზე. სურათზე ყველაფერი ყვითელი ფერით იყო შესრულებული, გარდა კედლისა, რომელიც მთის ფერდობს დამრეცად მოჰყვებოდა დაბლა, და უკანა პლანზე წამოზიდული მთებისა, რომელსაც ოდნავ შერეოდა იისფერი.

პეირონმა, რაკი თეომ სთხოვა, იმის ნებაც მისცა ვინსენტს, საავადმყოფოს გარეთ ეხატა. ვინსენტმა დახატა მიწის პირიდან ყვითელი მზისკენ ატყორცნილი კვიპაროსები. დახატა ზეთისხილის კრეფაში გართული ქალები. მიწას იისფერი ჰქონდა, უფრო მოშორებით კი ყვითელი ოქროსფერი დასდებოდა. ხის ტანი ბრინჯაოსფერი იყო, ფოთლები კი მონაცრისფერო-მომწვანო. ცა და სამი ქალის ფიგურა ცოცხალი ვარდისფერით იყო შესრულებული.

ვინსენტი ხშირად ესაუბრებოდა მინდორში მომუშავე გლეხებს. იგი მუდამ იმ აზრის იყო, რომ გაცილებით უფრო დაბლა იდგა ამ გლეხებზე.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა მან ერთხელ გლეხებს. — მე ისევე ვხნავ მიწას ამ ტილოზე, როგორც თქვენ მინდორში.

გვიანი შემოდგომა იდგა და პროვანსის ნახვას არაფერი სჯობდა. მიწას იისფერის ყველა შესაძლებელი ტონი ედო.

მზით გადახრუკულ ბალახში პაწია, ვარდისფერ ყვავილებს ამოეყო თავი; გადაყვითლებული ფოთლებისაგან ცას მომწვანო ფერი დაჰკრავდა.

შემოდგომამ შემოქმედებითი ძალითა და ენერგიით აავსო ვინსენტი. იგი თვალნათლივ ხედავდა, როგორ დაიხვეწა მისი ნახატები. გაიღვიძა ძველმა მისწრაფებებმა და ვინსენტს ახარებდა მათი ხორცშესხმა ტილოზე. კარგა ხანია ამ სოფელში ცხოვრობდა და ამის გამო იყო, ასე კარგად რომ გრძნობდა მას.

აქაურობა დიდად განსხვავდებოდა არლისაგან. ირგვლივ შემოჯარული, მაღალი მთები მისტრალისაგან იფარავდა სოფელს.

არც მზეს ჰქონდა ის თვალისმომჭრელი სიკაშკაშე. ახლა, როცა ასე კარგად გაიცნო სენ რემი, სულაც აღარ უნდოდა თავშესაფრიდან წასვლა. ადრე ლოცულობდა, ოღონდაც ერთი წელი ისე გავიდეს, აღარაფერი დამემართოსო. ახლა ისე ჩაითრია მუშაობამ, რომ ვერც გრძნობდა სად იმყოფებოდა, საავადმყოფოში თუ სადმე სასტუმროში.

მართალია, თავს უკვე კარგად გრძნობდა, მაგრამ ფიქრობდა, რა სისულელე. იქნება ახლა ჩემი სადმე წასვლა, ექვსი თვე მაინც ხომ დამჭირდება ვიდრე იქაურობას კარგად. გავიცნობო.

პარიზიდან მოსული წერილები ამხნევებდა ვინსენტს.

თეოს ცოლი სადილს შინ ამზადებდა და თეოს ჯანმრთელობა სწრაფად უმჯობესდებოდა: იოჰანას ორსულობა ყოველგვარი გართულებების გარეშე მიმდინარეობდა. ყოველ კვირას ვინსენტი იღებდა თამბაქოს, შოკოლადს, საღებავებს, წიგნებს და ათ ან ოც ფრანკს.

ვინსენტს სრულიად გადაავიწყდა არლში წასვლით გამოწვეული მძიმე შეტევა. ისევ და ისევ ირწმუნებდა თავს, იმ დაწყევლილ ქალაქში რომ არ წავსულიყავი, არაფერიც არ მომივიდოდაო, როცა კვიპაროსების და ზეთისხილის ეტიუდები გაშრა, ვინსენტმა ღვინოგარეული წყლით ჩამორეცხა სურათი, რომ ზედმეტი ზეთი მოეცილებინა და თეოს გაუგზავნა პარიზში. თეომ აცნობა, რამდენიმე შენი სურათი დამოუკიდებელთა სალონში გამოვფინე უკვეო. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გული დასწყვიტა ვინსენტს, რადგან ფიქრობდა, ჩემი შედევრები აწი უნდა დაიხატოსო. არ უნდოდა მანამდე გაეცნო იგი ხალხს, ვიდრე კარგად არ დახვეწდა თავის ტექნიკას.

თეო არწმუნებდა, დღითიდღე შესამჩნევად მიიწევ წინო.

ვინსენტი ფიქრობდა, ერთ წელიწადში, ამ თავშესაფრიდან რომ წავალ, სენ რემიში სახლს ვიქირავებ და ჩემს სამხრეთულ მხატვრობას განვაგრძობო. ახლა ისეთივე აღტკინებით მუშაობდა ვინსენტი, როგორც გოგენის ჩამოსვლის წინ მზესუმზირების პანოს დახატვაზე არლში.

ერთხელ, მინდორში მუშაობისას, იგრძნო, როგორ აერია გონება, ღამით თავშესაფრის დარაჯებმა იპოვნეს იგი, რამდენიმე კილომეტრით დაშორებული თავის მოლბერტს. მისი უგონო სხეული კვიპაროსის ტანს შემოტმასნოდა ირგვლივ.

4.

ვინსენტი მეხუთე დღეს მოვიდა გონს. ყველაზე მეტად გული იმან ატკინა, რომ სხვა ავადმყოფებმა მისი მორიგი შეტევა ჩვეულებრივ, გარდუვალ ამბად მიიღეს.

ზამთარი დადგა. ვინსენტს ნებისყოფა არ ჰყოფნიდა, ზეზე წამომდგარიყო. პალატის შუაგულში მდგარი ღუმელი ახლა სასიამოვნოდ გიზგიზებდა. ავადმყოფები ისევ გაშტერებულები უსხდნენ ღუმელს დილიდან დაღამებამდე. პალატას მაღალი,

ვიწრო ფანჯრები ჰქონდა და ოთახში ხეირიანად არც შემოდიოდა დღის შუქი. ღუმელი ხურდა და ოთახს გახრწნილობის გულისამრევი სუნით ავსებდა. მოწყალების დები კიდევ უფრო ღრმად ჩამძვრალიყვნენ თავიანთ შავ მოსასხამებსა და რიდეებში, აქეთ-იქით დადიოდნენ, და ლოცვებს ბუტბუტებდნენ.

შიშველი მთები ავის მომასწავებლად მიწყობოდნენ ერთმანეთს ჰორიზონტზე, თითქოს თავის ქალები გაუმწკრივებიათ რიგშიო.

ვინსენტი იწვა თავის დამრეც საწოლში და ძილი არ ეკარებოდა. რაო, რა ამოიკითხა მან ერთხელ მაუვეს სხევენინგენის ტილოზე? „Savoir souffrir sans se plaindre“ — „ეცადე მორჩილად შეხვდე ტანჯვას, უსიტყვოდ აიტანო ტკივილი“... ჰო, მაგრამ, ასე ხომ ადვილად შეიძლება დაეხვეს თავბრუ. ტკივილს და უიმედობის ამ გრძნობას რომ აჰყვეს, ნამდვილად დაიღუპება. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს დრო, როცა საჭირო ხდება მოიცილო თავიდან ტკივილი, როგორც ჭუჭყიანი რამ ტანსაცმელი.

დღეები გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. ვინსენტი აღარც ფიქრით იწუხებდა დიდად თავს და არც იმედის რაიმე ნატამალი გააჩნდა. ხშირად ესმოდა, როგორ ბჭობდნენ მოწყალების დები მის საქმიანობაზე. ვერ გაეგოთ, ვინსენტი იმიტომ ხატავდა, რომ გიჟი იყო, თუ გიჟი იმიტომ იყო, რომ ხატავდა.

იდიოტი ჩამოუჯდებოდა ხოლმე ლოგინზე და საათობით ედუდუნებოდა რაღაცას. ვინსენტი რაღაც სითბოს გრძნობდა ამ საცოდავის მისადმი მეგობრობაში. და არასოდეს აგდებდა საწოლიდან. ხშირად თვითონაც ბევრს ელაპარაკებოდა იდიოტს, რადგან სხვა არავინ ისურვებდა მის მოსმენას.

— ამათ ჰგონიათ ხატვამ გამაგიჟა, — უთხრა მან ერთხელ იდიოტს, როცა ორმა მოწყალების დამ ჩაიარა. — შეიძლება, ეს სწორიც იყოს, რადგან მხატვარი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მეტისმეტად შთანთქავს თვალით დანახული. ამიტომაა, რომ მას არ ძალუძს სხვა საქმიანობასაც მისდიოს სათანადოდ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ღირსი არ არის ამქვეყნად ცხოვრებისა?

იდიოტს დორბლები გადმოსდიოდა პასუხად.

ბოლოს დელაკრუას წიგნში ერთ ფრაზას წააწყდა, რამაც იმედი მისცა და ლოგინიდან წამოაყენა ვინსენტი. „მხატვრობა მაშინ გავიგე რა ყოფილა,“ — წერდა დელაკრუა, — „როცა აღარც კბილები მქონდა და აღარც ჯანმრთელობა მომდევდა“:

რამდენიმე კვირამ ისე განვლო, ვინსენტს ერთხელაც არ მონდომებია ბაღში გამოსვლა. უჯდა თბილ ღუმელს. და კითხულობდა თეოს გამოგზავნილ წიგნებს. როცა რომელიმე ავადმყოფს შეტევა მოსდიოდა, იგი აღარ იხედებოდა იქითკენ, არც კი წამოიწევდა ხოლმე სკამიდან. სიგიჟე და არანორმალურობა უკვე სრულიად ნორმალურ ყოფას ნიშნავდა მისთვის. მას შემდეგ, რაც იგი ნორმალურ ხალხს მოსწყდა, თითქოს საუკუნემ განვლო. და ახლა ეს ავადმყოფები სრულიად ნორმალურ ადამიანებად ეჩვენებოდა.

— ძალიან ვწუხვარ, ვინსენტ, — უთხრა პეირონმა, — მაგრამ მე ვეღარ მოგცემთ იმის უფლებას, რომ თავშესაფარის გარეთ ხატოთ. ამიერიდან საავადმყოფოს კედლებს ვერ გასცილდებით.

— ჩემს სახელოსნოში თუ შეიძლება ვიმუშაო?

— მე თუ მკითხავთ, არ გირჩევდით.

— იქნებ თქვენ გინდათ თავი მომაკვლევინოთ, ექიმო?

— რახან ასეა, იმუშავეთ სახელოსნოში.

ვერც მოლბერტის და ვერც ფუნჯების დანახვამ გაახალისა ვინსენტი. ჩაჯდა მონტიჩელის ტილოსავით მოხატულ სავარძელში და რკინის რიკულებიდან გაშტერებით მიაცქერდა ცარიელ მინდვრებს..

რამდენიმე დღის შემდეგ, ვინსენტი პეირონის კაბინეტში გამოიძახეს, რომ დაზღვეული წერილის მისაღებად ხელი მოეწერა. კონვერტში მის სახელზე გამოწერილი ოთხასი ფრანკის ჩეკი იდო. ამდენი ფული არასოდეს ჰქონია ვინსენტს ერთად: გაუკვირდა, ნეტავი რაში დასჭირდა თეოს ამდენი ფულის გამოგზავნათ.

„ვინსენტ, ძვირფასო როგორც იქნა! ერთ-ერთი შენი ტილო ოთხას ფრანკად გაიყიდა! ეს იყო „წითელი ვენახი," რომელიც შენ არლში დახატე, შარშან გაზაფხულზე. იგი შეიძინა ანა ბოკმა, ჰოლანდიელი მხატვრის დამ.

სულითა და გულით გილოცავ! მალე მთელს ევროპას მოეფინება შენი ნახატები. ამ ფულით, თუ ექიმი პეირონი ნებას დაგრთავს, პარიზში ჩამოდი.

დიდი ხანი არ არის, რაც გავიცანით ერთი, მეტად სასიამოვნო ადამიანი, ექიმი გაშე. იგი ცხოვრობს უაზის ოვერში, პარიზიდან ერთი საათის სავალზე. დობინიდან მოყოლებული, თითქმის ყველა დიდ მხატვარს მის სახლში უმუშავნია. მიმტკიცებს, ვინსენტის ავადმყოფობა გასაგებია ჩემთვის, რაც არისო, და თანახმაა მიგიღოს თავისთან, როცა კი მოისურვებ.

ხვალ ისევ მოგწერ.

თეო".

ვინსენტმა ექიმ პეირონს და მის მეუღლეს წააკითხა წერილი. პეირონმა წერილი გულმოდგინედ ჩაიკითხა, ჩეკსაც შეავლო ხელი, შემდეგ ვინსენტს მიულოცა ეს დიდი გამარჯვება.

ვინსენტი ბილიკს გაჰყვა და უცებ იგრძნო, როგორ გამოცოცხლდა და ავტომატურად ამუშავდა მისი გონება. შუაგზაზე მისულმა შენიშნა, რომ ხელში მხოლოდ ჩეკი უჭირავს, თეოს წერილი კი ექიმთან დარჩენია. მიტრიალდა და სწრაფად გაბრუნდა უკან.

ის იყო, კარზე უნდა დაეკაკუნებინა, რომ გაიგონა როგორ ახსენეს მისი სახელი. ვინსენტი წუთით შეყოყმანდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

— შენი აზრით, მაშ რატომ გაუკეთეს ეს? — ეკითხებოდა მადამ პეირონი.

— ალბათ ფიქრობდა, ძმის ჯანმრთელობაზე კარგად იმოქმედებსო.

— კი მაგრამ, თუკი ფული უჭირთ...

— მე მგონი, იგი ყველაფერზე წავა, ოღონდ კი ვინსენტი ისევ ჯანმრთელ ადამიანად იქცეს.

— ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ სულ ტყუილია ეს ყველაფერი?

— მარი, ჩემო ძვირფასო, აბა შენ რა გეგონა? ის ქალიც ვითომდა ვიღაც მხატვრის და არის, — აბა, მითხარი, — რომელი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი...

ვინსენტი კარს მოშორდა.

საღამოთი თეოს დეპეშა მოვიდა.

„ბიჭს შენი სახელი დავარქვით, იოჰანა და ვინსენტი თავს კარგად გრძნობენ".

ჯერ თავისი სურათის გაყიდვამ, მერე ამ სასიხარულო ცნობამ სრულიად საღ ადამიანად აქცია ვინსენტი იმ ღამეს.

დილაადრიანად თავის სახელოსნოს მიაშურა, ფუნჯები გაწმინდა და კედელზე მიყუდებული ტილოები გადაარჩია.

„თუკი დელაკრუამ მაშინ გაიგო რა ყოფილა მხატვრობა, როცა აღარც კბილები გააჩნდა და აღარც ჯანმრთელობა, მეც შემიძლია გავიგო იგი, როცა აღარც კბილები მაქვს და აღარც საღი აზროვნება.“

ისევ მოზღვავებული ენერგიით ეკვეთა ხატვას. გადახატა დელაკრუას „კეთილი სამარიტელი“, მილეს „მთესველი“ და „მხვნელი“. ვინსენტი ცდილობდა თავისი უკანასკნელი შეტევა ჩრდილოელისთვის ჩვეული გულგრილობით გადაეტანა. ხელოვნება მსხვერპლს თხოულობს. ვინსენტმა ეს იმთავითვე იცოდა. ჰოდა, აბა რაღა დროს წუწუნი იყო?

ჩეკის მიღებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, ჟურნალ „მერკურ დე ფრანსის“ იანვრის ნომერი მიიღო.

სარჩევში თეოს ხაზი გაესვა სტატიისათვის „მარტოსულები“.

„ვინსენტ ვან გოგის ყველა ტილოსთვის დამახასიათებელია,“ — ეწერა შიგ — „ძალის მოჭარბებულობა, გამოხატულების სიმძაფრე. იგი დაბეჯითებით უსვამს ხაზს საგნის არსს, იმას რაც ძირითადია მასში. გამოხატულების უკიდურეს სიმარტივეში, მის დაუოკებელ სურვილში სახეში უცქიროს კამკამა მზეს, მის ვნებიან ნახატსა და კოლორიტში ჩვენ ვხედავთ ძალის ვაჟკაცურ შემართებას, გაბედულ მხატვარს, რომელიც ხანდახან მხეცურ უხეშობამდე მიდის, ხან კი გასაოცარი სინაზით გვატყვევებს.

ვინსენტ ვან გოგში ჩანს ფრანს ჰალსის შემოქმედების გამოძახილი. მისი რეალიზმი საგრძნობლად სცილდება იმ ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რასაც ვხვდებით მცირე ჰოლანდიელ მხატვრებთან, მის ჯანსაღ და გონიერ წინაპრებთან. ვან გოგის ტილოებში იგრძნობა, თუ რა გულმოდგინებით ეკიდება იგი ხასიათის ჩვენებას, როგორ შეუნელებლად ეძებს მთავარს, არსებითს თითოეულ საგანში, და რა ძლიერად, თითქმის ბავშვურად უყვარს ბუნება და სინამდვილე.

ეს ბუმბერაზი, ჭეშმარიტი ხელოვანი, თავისი მხურვალე სულით, გახდება კი ოდესმე ღირსი იმ ბედნიერებისა, რასაც საყოველთაო აღიარება იწვევს ხელოვანში? ვშიშობ, რომ არა.

იგი მეტისმეტად პრიმიტიულია და ამასთანავე მეტისმეტად დახვეწილი, რაც სრულიად არ შეესაბამება ჩვენი თანამედროვე ბურჟუაზიის ინტერესებს. და მეგობარ მხატვართა გარდა, ვერავინ შესძლებს ბოლომდე გაიგოს ვან გოგის ხელოვნება.

ჟ. ალბერ ორიე“.

ეს სტატია ექიმ პეირონისთვის არ უჩვენებია.

ვინსენტმა იგრძნო, როგორ აზვავდა მასში ენერგია და სიცოცხლის წყურვილი. დახატა თავისი პალატა, პალატის მეთვალყურე და მისი მეუღლე, გადახატა მილეს და დელაკრუას სურათები, არც დღე ისვენებდა და არც ღამე.

ვინსენტმა დაკვირვებით გადაავლო თვალი თავის ავადმყოფობას და მიხვდა, რომ მის შეტევებს ციკლური ხასიათი აქვს და ყოველ სამ თვეში ერთხელ უმეორდება. კეთილი და პატიოსანი, რაკი ახლა უკვე იცის, როდის უნდა მოუვიდეს შეტევა, თვითონვე იზრუნებს თავის თავზე. იმ დროისათვის მუშაობას შეაჩერებს, ლოგინში ჩაწვება და მოემზადება ამ უმნიშვნელო უბედურების გადასატანად. რამდენიმე დღეში

ყველაფერი გაივლის, და ისევ ფეხზე წამოხტება, თითქოს სურდო მოეხადოს და სხვა არაფერი.

ერთადერთი ის ანერვიულებდა, რომ თავშესაფარი მეტისმეტი რელიგიური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ვინსენტის აზრით, ზამთარში მოწყალების დები თვითონვე იყვნენ ისტერიამდე მისული. ხანდახან, როცა ხედავდა, როგორ ბუტბუტებდნენ თავისთვის ლოცვებს, ემთხვეოდნენ ჯვარს, მარცვლავდნენ კრიალოსანს და ბიბლიის კითხვით გართულნი დასეირნობდნენ, ან ფეხაკრეფვით მიიპარებოდნენ სამლოცველოში, დღეში ხუთჯერ, ექვსჯერ ლოცულობდნენ და სწირავდნენ, ვეღარ არჩევდა ამ თავშესაფარში ვინ იყო ავადმყოფი და ვინ მომსახურე პერსონალი. ბორინაჟმა შეაძულა ყოველგვარი რელიგიური ცერემონიალი. მოწყალების დების ფანატიზმი პირდაპირ აგიჟებდა ვინსენტს. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ყურადღებით ემუშავა, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა აბეზარი არსებები თავიანთი შავი ჯვრებითა და შავი წამოსასხამებით.

მესამე თვის ბოლოს, სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი ჩაწვა ლოგინში. ფარდებიც დაუშვა, რომ მოწყალების დების რელიგიურ ეგზალტაციას მისი სულიერი სიმშვიდე არ დაერღვია.

შეტევის დღე დადგა. ვინსენტი მოუთმენლად, თითქმის სიხარულით ელოდა მას. საათი საათს მისდევდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. ვინსენტი ჯერ გაოცდა, შემდეგ, ცოტა არ იყოს, გულიც კი დასწყდა. არც მეორე დღეს დამართია რამე.

თავს სრულიად ნორმალურად გრძნობდა. მესამე დღეც რომ ასევე დასრულდა, ვინსენტმა თავის თავს თვითონვე დასცინა.

— რა სულელი ვარ. ის წინა შეტევა უკანასკნელი ყოფილა.

ექიმი პეირონი შემცდარა თურმე. ამიერიდან არაფრის აღარ უნდა მეშინოდეს. სამი დღე რა ტყუილუბრალოდ დავკარგე ლოგინში. ხვალ დილით ავდგები და მუშაობას შევუდგები.

იმ ღამეს, როცა ყველა ღრმა ძილს მისცემოდა, ვინსენტი წყნარად წამოდგა ფეხზე. ფეხშიშველა გაუყვა პალატის ქვის იატაკს. სიბნელეში ის სარდაფი მოძებნა, სადაც ქვანახშირს ინახავდნენ. მუხლებზე დაიჩოქა, მუჭით ნახშირი მოხვეტა და სახე მოითხუპნა.

— ხედავთ, მადამ დენი? იმათ მიმიღეს რადგან იციან, რომ მეც ისეთივე ვარ, როგორც ისინი. ადრე არ მენდობოდნენ, მაგრამ ახლა მეც პირგამურული გავხდი. მაღაროელები უკვე დამრთავენ ნებას, ღვთის სიტყვა მივუტანო მათ.

გამთენიისას მცველებმა სარდაფში იპოვნეს იგი. ვინსენტი რაღაც გაურკვეველ ლოცვას ბუტბუტებდა, იმეორებდა ადგილებს საღვთო წერილიდან და პასუხობდა იმ იდუმალ ხმებს, რომლებიც უცნაურ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ ყურში.

ამ რელიგიურმა მოლანდებებმა რამდენიმე დღეს გასტანა.

გონზე რომ მოვიდა მოწყალების დას სთხოვა, ექიმ პეირონის ნახვა მინდაო.

— მე მგონია, ეს შეტევა ამცდებოდა კიდეც, ექიმო, — უთხრა ვინსენტმა, — ასეთი რელიგიური ისტერია რომ არ ატეხილიყო აქ.

პეირონმა მხრები აიჩეჩა, ვინსენტისკენ გადაიხარა და ფარდები ჩამოუშვა.

— აბა მე რა შემიძლია, ვინსენტ? ყოველ ზამთარს ასეთი ამბავია აქ. მე თვითონაც არ მომწონს, მაგრამ უფლება არა მაქვს ჩავერიო. სხვა რომ არაფერი, ეს მოწყალების დები კარგ საქმეს აკეთებენ.

— რაც მოხდა, მოხდა, — თქვა ვინსენტმა, — ძნელია ამ გიჟებში ნორმალური იყო, თანაც კიდევ ეს რელიგიური შეშლილობა! ჩემი შეტევის დრო უკვე გასული იყო.

— თავს რატომ იტყუებთ, ვინსენტ. შეტევა აუცილებლად უნდა მოგსვლოდათ. თქვენი ნერვიული სისტემა სამ თვეში ერთხელ განიცდის კრიზისს. თქვენი მოლანდებები, რელიგიური რომ არა, სხვა ხასიათის მაინც იქნებოდა.

— თუ კიდევ მომივიდა შეტევა, ექიმო, მე ვთხოვ ჩემს ძმას, წამიყვანოს აქედან.

— როგორც გენებოთ, ვინსენტ.

გაზაფხული დადგა და ვინსენტმაც თავის სახელოსნოს მიაშურა. დახატა ის პეიზაჟი, ფანჯრიდან რომ მოჩანდა. ნაყანევ მინდორს ხელახლად ხნავდნენ. მიწის გადაბრუნებული, იისფერი ბელტები მკვეთრად მოჩანდა ყვითელი ნაყანევის ფონზე, შორს კი მთები ალანდულიყვნენ. ნუში ყვაოდა და საღამოს ცას ისევ ძველებურად დასდებოდა ღია ლიმონისფერი.

გამოღვიძებულმა ბუნებამ ვეღარ შესძლო ახალი სიცოცხლის ხალისი აღეძრა ვინსენტში. გარშემო მყოფი ავადმყოფები, მათი გიჟური ბურტყუნი და პერიოდული შეტევები უკვე ნერვებს უშლიდა და აღიზიანებდა მას. ვერც იმას ახერხებდა, სადმე დამალვოდა თაგვივით შავ-თეთრ, მობუტბუტე არსებებს.

მათი დანახვა პირდაპირ ზიზღს გვრიდა ვინსენტს.

„თეო“, — სწერდა იგი ძმას, — „ძალიან გამიჭირდება სენ რემის დატოვება. აქ ძალიან ბევრის გაკეთებას ვაპირებ კიდევ, მაგრამ თუ მე ისევ მომივა ამ რელიგიით გამოწვეული შეტევა, იცოდე, ამაში მხოლოდ თავშესაფარი იქნება დამნაშავე და ჩემი ნერვული სისტემა არაფერ შუაშია. ერთი-ორი ასეთი შეტევა საკმარისი იქნება, რომ მე ფეხები გავჭიმო.

თუ კიდევ ერთხელ გამიმეორებს რელიგიით გამოწვეული შეტევა, როგორც კი ფეხზე წამოვდგები მაშინვე პარიზში მოვდივარ. შესაძლოა უკეთესიც იყოს ჩემთვის ისევ ჩრდილოეთში დაბრუნება, სადაც, ვინ იცის, იქნება ცოტა მაინც მოვმჯობინდე.

შენი ექიმი გაშე რას ამბობს? როგორ ფიქრობ, დათანხმდება ჩემს მკურნალობაზე?“

თეომ მოსწერა, ექიმ გაშეს კიდევ ერთხელ ველაპარაკე, და შენი ნახატები ვუჩვენე. მას ძალიან უნდა ოვერში ჩამოხვიდე და მის სახლში ხატო ხოლმეო.

„მას არა მარტო ნერვულ ავადმყოფებთან უხდება მუშაობა, არამედ მხატვრებთანაც. დარწმუნებული ვარ, ამაზე უკეთესი ექიმის ხელში ვერ მოხვდები. როგორც კი წამოსვლა დააპირო, შემატყობინე და პირველივე მატარებელს ჩამოვყვები სენ რემიში.“

ადრეული გაზაფხულის სიცხე დაიჭირა. ბაღში ისევ აჭრიჭინდნენ ჭრიჭინობელები. ვინსენტმა დახატა პატარა პორტიკი, მესამე კატეგორიის ავადმყოფთა პალატის შესასვლელთან, ბაღის ხეები და ბილიკები, ავტოპორტრეტი სარკეში. მუშაობისას ცალი თვალი თავის ტილოსკენ ჰქონდა, მეორე კი კალენდარისკენ.

შემდეგი შეტევა მაისში უნდა მოსვლოდა.

ცარიელ დერეფანში ვიღაცის ხმები გაჰყვიროდნენ რაღაცას. ვინსენტიც პასუხობდა მათ და თავისივე ხმა ბედის დამცინავ ხარხარად უბრუნდებოდა უკანვე. ამჯერად იგი სამლოცველოში იპოვნეს, უგონოდ დაგდებული. მხოლოდ მაისის შუა რიცხვებში შესძლო ტვინში ჩაჭედილი რელიგიური მოჩვენებებისგან თავის დაღწევა.

თეო სთხოვდა, მე ჩამოვალ და მე წამოგიყვან სენ რემიდანო. ვინსენტს კი უნდოდა მარტო წასულიყო. ტარასკონის მატარებლამდე მომვლელი მიაცილებდა.

„ძვირფასო თეო, მე არც ინვალიდი ვარ და არც მძვინვარე მხეცი. საშუალება მომეცი შენც და ჩემს თავსაც დავუმტკიცო, რომ სრულიად ნორმალური ადამიანი ვარ. თუკი დამოუკიდებლად წამოვალ თავშესაფრიდან და ახალ ცხოვრებას შევუდგები ოვერში, იქნება შევძლო დავთრგუნო ჩემი ავადმყოფობა.

მინდა კიდევ ერთხელ ვცადო. იმედი მაქვს, რომ როგორც კი ამ საგიჟეთს დავტოვებ, ისევ ნორმალურ ადამიანად ვიქცევი. შენ მწერ, რომ ოვერი მეტად წყნარი და ლამაზი სოფელია.

თუკი მე ფრთხილად ვიქნები და ამასთანავე ექიმ გაშეს მეთვალყურეობაც მექნება, დარწმუნებული ვარ, სავსებით მოვიცილებ თავიდან ამ ავადმყოფობას.

შეგატყობინებ, როდის გამოდის ტარასკონის მატარებელი და შენ ლიონის სადგურზე დამხვდი. მინდა შაბათს წამოვიდე, რომ კვირას თქვენთან ვიყო, შენთან, იოჰანასთან და პატარასთან“.

წიგნი მერვე
ოვერი

1.

მღელვარებისაგან თეოს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მატარებლის ჩამოსვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი, როცა იგი ლიონის სადგურში მივიდა. იოჰანა შინ დარჩა, ბავშვთან. იგი სიტე პიგალის მეოთხე სართულის აივნიდან გადმომდგარიყო და მათი სახლის წინ მდგარი უზარმაზარი ხის ფოთლებიდან იცქირებოდა. მოუთმენლად ელოდა, როდის შემოუხვევდა ეტლი პიგალის ქუჩიდან სიტე პიგალის ჩიხში.

ლიონის სადგური კარგა შორს იყო თეოს სახლიდან.

იოჰანას მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. შიშობდა, ვაითუ ვინსენტს რაიმე შეემთხვა მატარებელშიო. ბოლოს, როგორც იქნა, ღია ეტლმა ორი მომღიმარი კაცი პიგალის ქუჩაზე მიიყვანა. ორივე ხელს უქნევდა იოჰანას. ქალს ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ვინსენტს.

სიტე პიგალი პატარა ჩიხი იყო. იგი ქვის სახლის გამოწეული კუთხითა და ბაღით მთავრდებოდა. ჩიხში აქეთ-იქით ორი გრძელი, ლამაზი სახლი იდგა. თეო მერვე ნომერში ცხოვრობდა, კუთხის სახლში. უკანა მხარეს ბაღი ჰქონდა, წინ კი ტროტუარი. ეტლი თვალის დახამხამებაში მიგრიალდა მაღალ, შავ ხესთან და სადარბაზო კართან შედგა.

ვინსენტმა თეო უკან მოიტოვა და სწრაფად აირბინა კიბეები. იოჰანა ავადმყოფს ელოდა, მაგრამ ამ კაცს, მკლავები რომ შემოხვია მას, ჯანსაღი ფერი, მომღიმარი სახე და მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა.

„მშვენივრად გამოიყურება. გარეგნულად თითქოს თეოზე ღონიერიცაა,“ — მაშინვე ეს გაიფიქრა იოჰანამ.

ის კი ვერ გაბედა ყურზე შეეხედა.

— იცი რას გეტყვი, თეო, — წამოიძახა ვინსენტმა, მას იოჰანა მკლავებში მოემწყვდია და აღტაცებული შეჰყურებდა, — ცოლი მართლაც დიდებული აგირჩევია.

— მადლობელი ვარ, ვინსენტ, — გაიცინა თეომ.

იოჰანა ძალიან მიაგავდა მათ დედას. ანა კორნელიასავით ალერსიანი, თაფლისფერთვალება, მასავით ნაზი, მგრძნობიარე და გულთბილი იყო.

ახლა უკვე დედობასაც დაეჩნია თავისი კვალი. სწორი, ლამაზი ნაკვთები ჰქონდა, და ოდნავ ცივი, ოვალური სახე; ღია წაბლისფერი, სქელი თმა სადად გადაევარცხნა უკან და ჰოლანდიელ ქალთათვის დამახასიათებელი, მაღალი შუბლი გამოეჩინა. თეოს სიყვარული ვინსენტზეც გადაჰქონდა იოჰანას.

თეომ საწოლ ოთახში შეიყვანა ძმა, სადაც აკვანში ჩაკრულს ეძინა პატარას. ძმები უხმოდ დასცქეროდნენ ბავშვს და ორივეს ცრემლი მოადგა თვალზე. იოჰანამ იფიქრა, სჯობს ახლა მარტო დავტოვო ესენიო და ფეხაკრეფით კარისაკენ გაემართა, ის იყო კარი უნდა გაეღო, რომ ვინსენტმა ღიმილით მიუთითა ბავშვის მოქარგულ საბანზე.

— ძალიან ნუ ჩაფუთნი ბავშვს, ჩემო პატარა დაიკო.

იოჰანამ წყნარად გაიხურა კარი. ვინსენტი კვლავ ბავშვს დააცქერდა და იმ ეული კაცის ტკივილი იგრძნო, რომელიც ისე კვდება, რომ არც შვილი რჩება და არც ძირი.

თეო მიუხვდა ნაფიქრალს.

— შენ ჯერ კიდევ დრო გაქვს, ვინსენტ. ერთხელაც იქნება, შეხვდები ისეთ ქალს, რომელსაც ეყვარები და შენთან ერთად გაიზიარებს ცხოვრების სიდუხჭირეს.

— არა, თეო. უკვე მეტისმეტად გვიანაა.

— მე ახლახანს წავაწყდი ერთ ქალს, რომელიც სწორედ რომ ზედგამოჭრილია შენთვის.

— მართლა? ვინ არის?

— ეს არის გოგონა ტურგენევის რომანიდან „ყამირი“, გახსოვს?

— შენ იმ გოგოზე ამბობ, რომელიც ნიჰილისტებს ეხმარებოდა და საზღვარგარეთ გადაჰქონდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები?

— სწორედ იმაზე. შენი ცოლი აუცილებლად მაგნაირი უნდა იყოს, ვინსენტ. ისეთი, რომელმაც ცხოვრების ყველა სიმწარე იგემა.

— მერე ეგეთი ქალი რას იპოვნის ჩემში? ვის რაში სჭირდება ცალყურა კაცი!

პატარა ვინსენტს გაეღვიძა, თვალები დაჭყიტა და გაიღიმა.

თეომ ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და ვინსენტს მისცა ხელში.

— რა ფუნჩულაა და თბილი, ციცქნა ლეკვივით, — თქვა ვინსენტმა და გულზე მიიკრა პატარა.

— მოიცა, შე დათვო. ბავშვის ასე დაჭერა ვის გაუგონია!

თეომ გამოართვა შვილი და მხარზე მიიხუტა, ისე რომ ლოყით ბავშვის წაბლისფერ კულულებს ეხებოდა. ვინსენტმა გაიფიქრა, მამა-შვილი ერთი ქვისგან გამოთლილ ქანდაკებას მიაგვანანო.

— რას იზამ, თეო, — ამოიოხრა ვინსენტმა. — ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია. შენ აგერ ცოცხალი არსება შექმენი....

მე კი ჩემს ტილოებს ვქმნი.

— ასეა, ვინსენტ, ასე.

იმ საღამოს ვინსენტის ძველმა მეგობრებმა მოიყარეს თეოსთან თავი, რომ ვინსენტის დაბრუნება აღენიშნათ. ყველაზე ადრე ორიე მოვიდა. ეს იყო კოხტა

ყმაწვილი კაცი, ლოყებზე ჩამოზრდილი ხუჭუჭა თმითა და წვერით, ნიკაპი კი პირწმინდად ჰქონდა გაპარსული. ვინსენტმა იგი მაშინვე გაიყვანა თეოს საწოლ ოთახში, სადაც მონტიჩელის ნატურმორტი-ყვავილების თაიგული ეკიდა.

— თქვენს სტატიაში, მუსიე ორიე, გამოთქმული გაქვთ აზრი, რომ მე ვარ ერთადერთი მხატვარი, რომელიც საგნების შეფერილობას, ლითონის ელვარებას ძვირფასი ქვის ბრწყინვალებასავით შევიგრძნობ. შეხედეთ მონტიჩელის ამ ნახატს.

ფადამ ეს რომ დახატა, მე ჯერ პარიზში ჩამოსულიც არ ვიყავი.

ვინსენტი თითქმის ერთი საათი ეკამათებოდა ორიეს და, ბოლოს, სტატიისთვის მადლობის ნიშნად, სენ რემიში დახატული კვიპაროსები აჩუქა.

ოთახში ექვსი კიბის ამოვლით აქოშინებული ტულუზ-ლოტრეკი შემოიჭრა, თან, როგორც ყოველთვის, ხმაური და უწმაწური ოხუნჯობა შემოიყოლა.

— ვინსენტ, — წამოიძახა მან და ხელი ჩამოართვა მეგობარს. — კიბეზე რომ ამოვდიოდი, მეკუბოვე იდგა იქ, როგორ გგონია, ვის ელოდება, მე თუ შენ?

— შენ, ლოტრეკ! ჩემზე იმდენ ფულს ვერ გააკეთებს.

— მოდი დავნიძლავდეთ, ვინსენტ, რომ შენ უფრო მალე მოხვდები მის დავთარში, ვიდრე მე.

— თანახმა ვარ. რაზე დავნიძლავდეთ?

— კაფე „ათენში“ სადილზე და ოპერის ბილეთებზე.

— არ შეიძლება რამე სასიამოვნო ილაპარაკოთ?! — სევდიანად გაიღიმა თეომ.

ოთახში ვიღაც უცნობი შემოვიდა. ლოტრეკს შეხედა და თავისთვის ჩამოჯდა ერთ კუთხეში. ყველამ იფიქრა, ალბათ ლოტრეკი წარმოგვიდგენს, ვინც არისო, მაგრამ ლოტრეკი უდარდელად განაგრძობდა ლაპარაკს.

— შენი მეგობარი არ უნდა გაგვაცნო? — ვერ მოითმინა ვინსენტმა.

— სადაური ჩემი მეგობარია, — გაეცინა ლოტრეკს. — ეგ ჩემი მცველია.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ არაფერი გაგიგია, ვინსენტ? რამდენიმე თვე ვერ ვიყავი სრულ ჭკუაზე. მითხრეს, იმდენ ლიქიორს რომ სვამდი, იმის ბრალიაო. ასე რომ მე ახლა მხოლოდ რძეს მივირთმევ.

წვეულება რომ მექნება, სადარბაზო ბარათს გამოგიგზავნი, ზედ მე ვხატივარ, ძროხას ვწველი, ოღონდ იქ არა, სადაც საჭიროა.

იოჰანა სტუმრებს უმასპინძლდებოდა. ყველა ერთად ყაყანებდა და თამბაქოს ბოლმა სულ ჩამონისლა ოთახი. ვინსენტს პარიზში გატარებული დღეები მოაგონდა.

— ჟორჟ სიორა როგორ არის? — ჰკითხა ვინსენტმა ლოტრეკს.

— ჟორჟი? მაშ შენ არ იცი მისი ამბავი?!

— თეოს არაფერი მოუწერია, — უთხრა ვინსენტმა. — რა დაემართა?

— ჭლექი სჭირს და უკანასკნელ დღეშია. საცაა ოცდათერთმეტი წლის უნდა გახდეს, მაგრამ ექიმი ამბობს იქამდე ვეღარ მიაღწევსო.

— ჭლექი? რას ამბობ, ჟორჟი როგორი ჯანმრთელი იყო.

რა ჯანდაბამ...

— გადაიღალა, ვინსენტ, — ჩაერია თეო, — შენ ხომ უკვე ორი წელიწადია არ გინახავს იგი. ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა. მხოლოდ ორ თუ სამ საათს ეძინა.

დანარჩენ დრო შეუსვენებლად ხატავდა. თავისმა კეთილმა, მოხუცმა დედამაც ვერაფერი უშველა.

— ესე იგი, ჟორჟი აღარ გვეყოლება მალე, — ჩაფიქრებით თქვა ვინსენტმა.

მალე რუსო მოვიდა და თავისი ნამცხვრები მოუტანა ვინსენტს. მას მოჰყვა მამილო ტანგი, განუყრელი ჩალის ქუდით თავზე. მან იაპონური გრავიურები უძღვნა ვინსენტს და მხურვალე სიტყვით მიმართა, თუ როგორი კმაყოფილები არიან და რა სიხარულია მათთვის, რომ ვინსენტი ისევ პარიზში დაბრუნდა.

ათ საათზე ვინსენტმა დაიჟინა გინდა თუ არა, ძირს ჩავალ და ზეთისხილს ვიყიდიო. ყველა აიძულა ეჭამა ზეთისხილი.

ისე, რომ არც ლოტრეკის მცველი გამორჩენია.

— ერთხელ მაინც რომ გაჩვენათ, რა წარმტაცია მოვერცხლისფრო-მომწვანო ზეთისხილის ჭალა პროვანსში, — აღელვებული ამბობდა ვინსენტი, — მთელი თქვენი სიცოცხლე ზეთისხილის მეტს არაფერს ჩაიდებდით პირში.

— ჰო, მართლა, ზეთისხილის ჭალისა რა მოგახსენოთ და, არლელი ქალები როგორ მოგეწონა, ვინსენტ? — ჰკითხა ლოტრეკმა.

მეორე დილით ვინსენტმა ბავშვის ეტლი ძირს ჩაუტანა იოჰანას, რომ ბავშვი ცოტა ხნით მზეზე ყოფილიყო. თვითონ ისევ შინ დაბრუნდა, კურტაკი გაიხადა და კედელზე დაკიდებულ თავის ტილოებს დააცქერდა. სასადილო ოთახში, ბუხრის თავზე ეკიდა „კარტოფილიჭამიები“, მისაღებ ოთახში „არლის პეიზაჟი“ და „მდინარე რონას ხედი ღამით“, საწოლ ოთახში კი „აყვავებული ხეხილის ბაღები“, მოსამსახურის გულის გასახეთქად, საწოლების ქვეშ, კარადის ქვეშ და საკუჭნაოში ვინსენტის ჯერ კიდევ ჩარჩოში ჩაუსმელი სურათების ტევა არ იყო.

თეოს საწერი მაგიდის უჯრაში რაღაცას ეძებდა ვინსენტი და უცებ კანაფით შეკრულ წერილების მთელ დასტას წააწყდა, ძალიან გაუკვირდა, როცა ნახა, რომ ეს მისი საკუთარი წერილები იყო. თეოს ვინსენტის ყოველი დაწერილი სიტყვა სათუთად შეენახა იმ დღიდან, როცა ოცი წლის წინათ ვინსენტი ზუნდერტიდან წავიდა და ჰააგაში, გუპილთან დაიწყო მუშაობა. სულ შვიდასი წერილი მოგროვილიყო. ვინსენტს გაუკვირდა, ნეტა რა ჯანდაბად უგროვებია თეოს ეს წერილებიო.

მეორე უჯრაში ჩანახატები ეწყო, რასაც იგი ათი წლის განმავლობაში უგზავნიდა. თითოეული ფურცელი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაეწყო თეოს. აქ იყო ბორინაჟში დახატული მაღაროელები და მათი ცოლები, ტერილს რომ აგროვებდნენ. აი ეტენის მიწის მუშები, ჰააგაში დახატული მოხუცები, გეესტელი მხვნელები, სხევენინგელი მეთევზეები, ესეც ნუენენელი კარტოფილჭამიები და ფვეიქრები. ეს პარიზის ქუჩები და რესტორნებიო, ეს არლში შესრულებული მზესუმზირებისა და ხეხილის ბაღის ეტიუდებიო და ბოლოს სენ რემის თავშესაფარის ბაღის ჩანახატები.

— ჩემი ნახატების გამოფენა უნდა მოვაწყო, — გაიფიქრა ვინსენტმა.

კედლებიდან სურათები ჩამოხსნა, ეტიუდებს კანაფი მოხსნა, ყველა კუთხე-კუნჭულიდან გამოათრია შენახული სურათები და ყველაფერი ეს პერიოდებად დაახარისხა. შემდეგ თითოეული პერიოდიდან აარჩია ის სურათები და ეტიუდები, სადაც ყველაზე მარჯვედ გამოხატა არჩეული ადგილის სული.

შემოსასვლელში, სადაც პირველად უნდა შესულიყავით, ჩამოკიდა დაახლოებით ოცდაათამდე ადრეული ეტიუდი, მაღაროებიდან გამოსული ბორინაჟელები,

ოვალურ ღუმელთან მოფუსფუსე მათი ცოლები, მათ უბადრუკ ქოხებში ვახშმად მჯდარი ოჯახები.

— ეს იქნება ნახშირით შესრულებული ნახატის დარბაზი. — გამოაცხადა ვინსენტმა თავისთვის.

შემდეგ სახლის დანარჩენი ოთახები შემოირბინა და გადაწყვიტა, რომ ზომითი თანმიმდევრობისათვის უმჯობესი იყო საბაზანო ოთახი.

სკამზე შედგა და ოთხივე კედელზე ჯერ ეტენის ეტიუდები ჩამოჰკიდა ერთმანეთის გასწვრივ, ხოლო შემდეგ კი ბრაბანტელი გლეხების ჩანახატები.

— ეს დარბაზი გახლავთ ხუროს ფანქრით შესრულებული ნახატის.

ახლა ჯერი სამზარეულოზე მიდგა. აქ დაკიდა ჰააგასა და სხევენინგენში შესრულებული სურათები. ხის მასალით სავსე ეზოს ხედი სახელოსნოს ფანჯრიდან, სილახვავი და ნაპირისაკენ გამოზიდული მეთევზეთა ბარკასები.

— დარბაზი მესამე. აკვარელის დარბაზი.

პაწაწინა საკუჭნაოში ჩამოჰკიდა თავის მეგობარ დე გრუტების ოჯახის სურათი „კარტოფილიჭამიები“. ეს იყო ზეთით შესრულებული პირველი ტილო, სადაც ვინსენტმა ბოლომდე გამოავლინა თავისი თავი. აქვე გააკრა უამრავი ჩანახატები — ნუენენელი მქსოველები, ძაძებში ჩაცმული გლეხები, სასაფლაო, მამისეული ეკლესიის უკან, ეკლესიის მაღალი, წვერწინწილა გუმბათი.

თავის ოთახში ჩამოჰკიდა პარიზში, ზეთით შესრულებული ტილოები, ის, რაც თეოს დაუტოვა კედელზე იმ ღამეს, როცა ლეპიკის ქუჩა დასტოვა და არლში გაემგზავრა. სასტუმრო ოთახში, ყველა ის კაშკაშა ტილო გამოჰკიდა, რაც არლში ხატა, თეოს საწოლი ოთახი კი სენ რემის სურათებს დაუთმო.

საქმეს რომ მორჩა, იატაკი დაგავა. კურტაკი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, კიბეები ჩაირბინა და თავისი პატარა სეხნია სიტე პიგალის ჩიხში გაასეირნა ეტლით. იოჰანას ხელმკლავი გაეყარა მისთვის და ჰოლანდიურად ელაპარაკებოდა რაღაცას.

თორმეტ საათს გადაცილებული იყო, თეომ რომ შემოუხვია პიგალის ქუჩიდან. გაიღიმა, ხელი დაუქნია ამათ და სირბილით წამოვიდა. ბავშვი ეტლიდან ამოიყვანა და ალერსით მიიკრა გულზე. ეტლი კონსიერჟს დაუტოვეს და საუბრით გართულნი კიბეებს აჰყვნენ. კარებთან ვინსენტმა შეაჩერა ისინი.

— ახლა, ჩემო თეო და იო, მე თქვენ ვან გოგის გამოფენას გიჩვენებთ. — განაცხადა მან. — მოემზადეთ, იწყება საშინელი სამსჯავრო!

— გამოფენას? — იკითხა თეომ. — სად?

— აბა, თვალები დახუჭეთ. — გამოაცხადა ვინსენტმა.

მან კარი ყურთამდე გააღო და სამივე ვან გოგმა შემოსასვლელში შეაბიჯა. თეო და იოჰანა გაოცებულნი თვალს არ აცილებდნენ კედლებს.

— ერთხელ, როცა მე ეტენში ვცხოვრობდი, — დაიწყო ვინსენტმა, — როგორღაც მამამ თქვა, შეუძლებელია ბოროტებამ სიკეთე შვასო, მე ვუპასუხე, ხელოვნებაში არა თუ შეუძლებელია, პირიქით, ეს აუცილებელიც არის-მეთქი.

ახლა მომყევით, ჩემო საყვარელო დაო და ძმაო, და მე გიჩვენებთ იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც ტლანქი, ბავშვის ნაჯღაბნივით მოუქნელი ნახატით დაიწყო და ათი წლის დაუღალავი შრომით მიაღწია იმას, რომ... თუმცა თვითონვე ნახავთ, რასაც მიაღწია.

ვინსენტმა ოთახიდან ოთახში გაიყოლა ისინი თანმიმდევრობის მიხედვით. იდგა სამი მაყურებელი სამხატვრო გალერეაში და შესცქეროდა ნახატებს, რომელშიც ჩაქსოვილი იყო მხატვრის მთელი ცხოვრება. ნელა, მტკივნეულად იზრდებოდა და ყალიბდებოდა ხელოვანი, ძნელად, ძალიან ძნელად მიიწევდა წინ, სრულყოფისაკენ. აი, ის გადატრიალება, რაც მან პარიზში განიცადა, ესეც არლი, სადაც მთელი სიძლიერით გაისმა მისი ხმა და ერთ წელიწადში ამოხეთქა ათი წლის განმავლობაში ნაგროვებმა შრომამ და ჯაფამ. და ბოლოს... მარცხი... სენ რემის ტილოები... თავგამეტებული ცდა, შეინარჩუნოს შემოქმედებითი ცეცხლი და ნელი დაცემა ძირს... დაცემა...

დაცემა... დაცემა...

გამოფენას უცხო თვალით შეჰყურებდნენ და სულ რაღაც ნახევარ საათში მათ თვალწინ გადაიშალა ადამიანის მთელი ცხოვრების გზა. იოჰანამ ნამდვილი ბრაბანტული საუზმე მოამზადა. ვინსენტს ძალიან ესიამოვნა ჰოლანდიური კერძის გემო. საუზმის შემდეგ კაცებმა გააბოლეს.

— ექიმმა გაშემ რაც გითხრას, ყველაფერი გაუგონე, ვინსენტ.

კარგი, თეო.

— ხომ იცი, მაგ ექიმს ნერვულ ავადმყოფებთან აქვს საქმე. თუ ყველაფერს შეუსრულებ, მალე სრულიად გამოჯანსაღდები.

— პირობას გაძლევ, შევასრულებ!

— გაშე, სხვათა შორის, ხატავს კიდეც. ყოველ წელს დამოუკიდებელთა სალონში არის გამოფენილი მაგის ტილოები პ. ვან რეისელის ფსევდონიმით.

— კარგად ხატავს, თეო?

— არა. კარგიაო, — ვერ იტყვი, მაგრამ არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს სხვათა ნიჭი დაინახოს. ოცი წლის იყო, მედიცინის შესასწავლად პარიზში რომ ჩამოვიდა. დაუმეგობრდა კურბეს, მიურუეს, შანფლერის და პრუდონს. იგი ხშირად დადიოდა კაფე „ახალ ათენში“ და მალე გაიცნო მანე, რენუარი, დეგა, დიურანი, კლოდ მონე. დობინი და დომიე გაშეს სახლში მუშაობდნენ, როცა ჯერ არავინ იცოდა, რა იყო იმპრესიონიზმი.

— რას მეუბნები!

— თითქმის ყველა ტილო, რაც მას აქვს, დახატულია მის ბაღში ან მის სახლში. პისარო, გილიომენი, სისლეი, დელაკრუა, ყველა ესენი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ გაშესთან, ოვერში.

შენ იქ ნახავ აგრეთვე სეზანის, ლოტრეკისა და სიორას ტილოებს. დამიჯერე, ვინსენტ, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არ არსებობს მხატვარი, რომ ექიმ გაშეს მეგობარი არ ყოფილიყოს.

— უჰ, დაიცა თეო, შენ მე ძალიან შემაშინე. ხომ არ გგონია, რომ მე მაგ ბრწყინვალე პლეადას ვეკუთვნი. ჩემი რომელიმე ნახატი უნახავს?

— რა სულელი ხარ, ვინსენტ. აბა რა გგონია, რატომაა ასე მონდომებული, რომ ოვერში ჩახვიდე?

— მე რა ვიცი.

— მისი აზრით, დამოუკიდებელთა გამოფენაზე ყველაზე საუკეთესო სურათები შენი არლში შესრულებული ღამისეული პეიზაჟები იყო. და გეფიცები, როცა შენი მზესუმზირების პანო ვაჩვენე, გოგენს რომ დაუხატე ყვითელ სახლში, ცრემლები

მოადგა. მომიბრუნდა და მითხრა: „მუსიე ვან გოგ, თქვენი ძმა დიდი ხელოვანია. მთელს ხელოვნების ისტორიაში მე ჯერ არ შემხვედრია ასეთი მძაფრი ყვითელი ფერი, როგორიც აქ არის, ამ მზესუმზირებზე. ეს ტილოები, მუსიე, საკმარისია იმისათვის, რომ უკვდავჰყოს თქვენი ძმის სახელი“.

ვინსენტმა თავი მოიფხანა და გაიცინა.

— რახან ასეა, — თქვა მან, — და გაშეს მოსწონებია ჩემი მზესუმზირები, მე ვფიქრობ, ჩვენ კარგად შევეწყობით ერთმანეთს.

2.

ექიმი გაშე სადგურზე დახვდა თეოს და ვინსენტს. ეს იყო ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, ფიცხი ბუნების კაცი, ოდნავ სევდიანი თვალებით. მან გულითადად ჩამოართვა ვინსენტს ხელი.

— დიახ, დიახ, ჩვენი სოფელი ნამდვილი განძია მხატვრისათვის. თქვენ ძალიან მოგეწონებათ აქაურობა. მე ვხედავ, მოლბერტი წამოგიღიათ თან. საღებავები თუ გაქვთ საკმარისი?

მუშაობას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ. დღეს სადილზე ხომ არ დამეწვეოდით? ახალი სურათები ჩამოიტანეთ? ვშიშობ, ისეთ ყვითელ ფერს ჩვენთან ვერ ნახავთ, როგორიც არლშია, მაგრამ, სამაგიეროდ, რამე სხვას იპოვნით, დიახ, დიახ, რამე სხვას! თქვენ აუცილებლად უნდა მოხვიდეთ ჩემს სახლში და იქ ხატოთ. მე მოგცემთ იმ ლარნაკებსა და მაგიდებს რომლებზეც ყველა მხატვარმა ხატა, დობინიდან დაწყებული და ლოტრეკით დამთავრებული. თავს როგორა გრძნობთ? ისე, მშვენივრად გამოიყურებით. მოგწონთ აქაურობა? დიახ, დიახ, ჩვენ ვიზრუნებთ თქვენზე. სულ მალე ჯანმრთელ კაცად უნდა გაქციოთ.

ვინსენტმა სადგურიდანვე დაინახა მწვანე უაზა, რომელიც წარაფიდან მოედინებოდა და ნაყოფიერი ველ-მინდვრებისკენ უხვევდა. იგი ცოტა გვერდზე გადგა, რომ მთლიანად დაენახა პეიზაჟი. ამასობაში თეომ წყნარად უთხრა გაშეს:

— ძალიან გთხოვთ, დიდი გულისყურით მოეკიდოთ ჩემს ძმას. თუკი შეამჩნევთ, რომ შეტევა უნდა მოუვიდეს, მაშინვე მაცნობეთ. მე მინდა გვერდით ვყავდე, როცა... არ შეიძლება რომ იგი... ასე ამბობენ...

— კარგი, კარგი. — გააწყვეტინა გაშემ, იგი ხან ერთ ფეხზე ხტოდა და ხან მეორეზე და თან საჩვენებელი თითით თხასავით თხელ წვერს იწვალებდა. — იგი ნამდვილად გიჟია, მაგრამ მერე რა! ყველა მხატვარი გიჟი უნდა იყოს. ეს არის საუკეთესო, რაც მათ გააჩნიათ. სწორედ მაგის გამო მიყვარს მხატვრები. ხანდახან გფიქრობ, ნეტავი მეც გიჟი ვიყო-მეთქი.

„ყოველ კეთილშობილ ადამიანში არის სიგიჟის რაღაც ნატამალი“. იცით, ვინ თქვა ეს? არისტოტელემ აი ვინ!

— ვიცი, ექიმო, — უთხრა თეომ. — მაგრამ ვინსენტი ჯერ ახალგაზრდაა. იგი მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლისაა და ცხოვრების საუკეთესო წლები ჯერ წინა აქვს.

გაშემ მოიხადა თავისი სასაცილო თეთრი ქუდი და ანგარიშმიუცემლად რამდენჯერმე გადაისვა თმაზე ხელი.

— მე მომანდეთ. მე ვიცი, როგორ უნდა მოვექცე მხატვრებს. ერთ თვეში იგი სრულიად ჯანმრთელი იქნება. დავსვამ და ვახატვინებ. აი რა განკურნავს მას. ვეტყვი,

ჩემი პორტრეტი დახატოს ახლავე, ამ საღამოსვე. მის ტვინს ისე გამოვფხეკ, ავადმყოფობის აღარაფერი დარჩება შიგ.

ვინსენტი მათთან მივიდა, იგი ხარბად ისუნთქავდა სოფლის სუფთა ჰაერს.

— თეო, შენ აუცილებლად უნდა ჩამოიყვანო იო და ბავშვი აქ. პირდაპირ დანაშაულია ბავშვის ქალაქში გაჩერება.

— დიახ, დიახ. კვირაობით ამოდით ხოლმე და ერთად გავატაროთ მთელი დღე, — წამოიძახა გაშემ.

— გმადლობთ. დიდი სიამოვნებით. აი. ჩემი მატარებელიც მოვიდა. ნახვამდის, ექიმო; გმადლობთ იმ ყურადღებისათვის, რასაც ჩემი ძმის მიმართ იჩენთ. ვინსენტ, იცოდე, ყოველდღე მომწერე.

გაშეს ჩვევად ჰქონდა ნიდაყვებში ჩაფრენოდა ხალხს და ხელის კვრით იქით წაეყვანა, საითაც თვითონ უნდოდა. ახლაც წინ გაიგდო ვინსენტი და ენად გაიკრიფა. იგი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა, აძლევდა უამრავ შეკითხვებს, თვითონვე პასუხობდა მათ და გაუთავებელ მონოლოგებად ელაპარაკებოდა ვინსენტს.

— აი ეს გზა სოფელში მიდის, — უთხრა მან. მაგრამ აქედან შორია. მომყევით, მე თქვენ ახლა მთაზე აგიყვანთ.

იქიდან ნამდვილი პანორამა იშლება. მოლბერტი ხომ არ გამძიმებთ? ეს კათოლიკების ეკლესიაა, მარცხნივ. შეგიმჩნევიათ, რომ კათოლიკები მუდამ მომაღლო ადგილზე დგამენ ტაძრებს, რომ ხალხმა ქვემოდან უცქიროს მათ? ო, ღმერთო, ღმერთო, დავბერდი მგონია. ყოველ წელს უფრო და უფრო მიჭირს აქ ამოსვლა. ნახეთ, რა ლამაზი ყანებია, ხომ მართალია? მთელ ოვერს პურის ყანები არტყია გარს. ერთხელ უნდა მოხვიდეთ აქ და ეს პურის ყანა დახატოთ. რა თქმა უნდა, აქ ისეთი ყვითელი ფერი არ არის, როგორიც პროვანსში, მაგრამ... დიახ, ეს სასაფლაოა მარჯვნივ.. ჩვენი სასაფლაო ზედ გორაკის კორტოხზეა და აქედან მდინარესაც გადაჰყურებს და ამ ველებსაც...

როგორ გგონიათ, სულ ერთი არ არის მიცვალებულისთვის სად დაასაფლავებენ? ჩვენ კი მათ ყველაზე ლამაზი ადგილი შევურჩიეთ... შევიდეთ?... შიგნიდან უკეთესად მოჩანს მდინარე... და მთელი ველი, პონტუაზამდე... დიახ, კარი ღიაა, ოღონდ, ცოტა მიაწექი... აი ასე... ლამაზია, ხომ მართალია?.. სასაფლაოს მაღალი კედელი შემოვარტყით, რომ ქარისაგან დავიცვათ... აქ კათოლიკებსაც ვასაფლავებთ და პროტესტანტებსაც.

ვინსენტმა მოლბერტი ჩამოიხსნა და ოდნავ წინ გაუსწრო გაშეს, რომ მისი ქაქანისაგან დაესვენა. კორტოხზე გაშენებულ სასაფლაოს ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. მისი ცალი მხარე ფერდობზე გადადიოდა. ვინსენტი იქითკენ გაეშურა, რომ ხელისგულივით გადაშლილ ველზე გადაეხედა. მწვანე მდინარე მდორედ, მედიდურად მიიზლაზნებოდა ზურმუხტოვან ნაპირებს შორის. ხელმარჯვნივ მოჩანდა ისლით გადახურული სახლები, უფრო მოშორებით კი მთის ფერდობზე აშენებული ძველი ციხე-კოშკი. ირგვლივ ყველგან მაისის მზე ჩაღვრილიყო და ყვავილები ათასფერად ყვაოდა. ცა გამჭვირვალე ლურჯი ფერისა იყო. სასაფლაოზე სიწყნარე, სიმშვიდე და სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— იცით რა, ექიმო, — უთხრა ვინსენტმა, — სამხრეთში ყოფნა ნამდვილად მომიხდა. ახლა ჩრდილოეთსაც უკეთ ვხედავ. შეხედეთ, რამდენი იისფერი აქვს მდინარის იქითა ნაპირს, იქ, სადაც სიმწვანეს მზის სხივები არ მიწვდომია ჯერ.

— დიახ, დიახ, იისფერი, იისფერი. სწორედ რომ ასვა, იის...

— რა ჯანსაღი ჰაერია აქ, — ჩაფიქრებით თქვა ვინსენტმა, — რა სიმშვიდეა, რა სიწყნარეა.

მთის ფერდობს ისევ ძირს დაუყვნენ, ჩაუარეს ყანებს, ეკლესიას და სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემთან სახლში ვერ მიგიყვანთ, ვინსენტ, — უთხრა გაშემ. — სამწუხაროდ ადგილი არა გვაქვს.

მაგრამ კარგ სასტუმროს გამოგინახავთ, ჩემთან ყოველდღე ივლით და თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში.

ექიმი ისევ ნიდაყვებში ჩაეფრინდა და სულ ძალით მიიყვანა მერიის უკან, მდინარის პირას მდგარ საზაფხულო სასტუმროსთან. გაშე მეპატრონეს მოელაპარაკა და იგი დათანხმდა დღეში ექვს ფრანკად მიეცა ვინსენტისთვის ოთახი და საჭმელ-სასმელი.

— ახლა მე წავალ, — უთხრა გაშემ. — თქვენ დაისვენეთ და არ დაგავიწყდეთ, პირველ საათზე სადილად გელოდებით.

მოლბერტიც წამოიღეთ თან. ჩემი პორტრეტი უნდა დაგახატინოთ. თქვენი ახალი სურათებიც მიჩვენეთ. სალაპარაკო ძალიან ბევრი გვაქვს, ხომ მართალია?

როგორც კი ექიმი თვალს მიეფარა, ვინსენტმა თავისი ბარგი-ბარხანა წამოიკიდა და კარისაკენ გაეშურა.

— დაიცათ! — დაუძახა მეპატრონემ, — საით?

— მე მუშა კაცი ვარ, — უთხრა ვინსენტმა, — კაპიტალისტი კი არა. სად შემიძლია დღეში ექვსი ფრანკი ვიხადო ნომერში.

მოედანზე გამოვიდა და სწორედ მერიის პირდაპირ პატარა კაფე დაინახა; კაფე „რავუ“, სადაც ოთახი და სასმელ-საჭმელი დღეში სამი ფრანკი ღირდა.

კაფე „რავუ“ ოვერის მუშებისა და გლეხების თავშესაყარ ადგილს წარმოადგენდა. შესასვლელთან, ხელმარჯვნივ, დახლი იდგა. ძნელ ოთახში უხეში ხის მაგიდები და სკამძელები დაედგათ. დახლს იქით, კაფეს უკანა მხარეს ბილიარდის მაგიდა მოჩანდა; ჭუჭყიანი, მწვანე მაუდგადაკრული. ეს იყო „რავუს“ სიამაყე და მისი დამამშვენებელი. უკანა კარი სამზარეულოში გადიოდა. ამ კართან კიბე ადიოდა მაღლა, სამ საწოლ ოთახში.

ვინსენტის ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა კათოლიკური ეკლესიის წვეტი და სასაფლაოს ყავისფერი კედლის ნაწილი, ოვერის ნაზი მზით სასიამოვნოდ განათებული.

ვინსენტმა აიღო მოლბერტი, საღებავები, ფუნჯები, არლელი ქალის პორტრეტი და გაშეს სახლის საძებნელად გაეშურა.

გზა, რომელიც სადგურიდან მოდიოდა, კაფე „რავუს“ გვერდს უვლიდა, დასავლეთისკენ უხვევდა და მთის ფერდობს მიჰყვებოდა მაღლა. მალე ვინსენტი სამი გზის შესაყართან მივიდა.

მარჯვნივ გზა ციხე-კოშკისკენ ადიოდა, მარცხნივ კი მუხუდოს ნათესებში გადიოდა და მდინარის ნაპირისკენ მიემართებოდა გაშემ უთხრა, სულ პირდაპირ იარე და მთაზე არ ახვიდეო.

ვინსენტი აუჩქარებლად მიდიოდა და სულ იმ ექიმზე ფიქრობდა, ვისაც მისი თავი ჩააბარა თეომ. ისლით გადახურული ქოხები მდიდრულმა სახლებმა შესცვალა. აქეთ მხარეს სულ სხვა იერი ჰქონდა სოფელს.

ვინსენტი მაღალ, ქვის კედელთან მივიდა და სპილენძის სახელური მოსწია. ზარმა გაიწკრიალა და გაშე სირბილით მოვარდა კარის გასაღებად. გაშემ ქვის კიბეები აატარა ვინსენტს და აყვავებულ ბაღში აიყვანა. სახლი სამსართულიანი იყო, გამძლე და ლამაზი. გაშე ნიდაყვებში სწვდა ვინსენტს და უკანა ბაღში გაიყვანა, სადაც მას იხვები, ქათმები ინდაურები, ფარშევანგები და ყველა ჯურის კატები ჰყავდა.

— ახლა კი სასტუმრო ოთახში წავიდეთ, — უთხრა გაშემ, როცა თითოეული ფრინველის ისტორია უამბო.

სასტუმრო ოთახი საკმაოდ ვრცელი და მაღალჭერიანი იყო, მაგრამ მხოლოდ ორი პატარა ფანჯარა ჰქონდა ბაღის მხარეს.

ეს ამხელა ოთახი ისე სავსე იყო ავეჯით, ანტიკვარული ნივთებით და სხვადასხვა ხარახურით, რომ შუაში მდგარ მაგიდასთან ორი კაცი თუ დაეტეოდა ძლივს. ორი პატარა ფანჯარა არ ჰყოფნიდა ოთახს და ყოველი კუთხეკუნჭული შავად გამოიყურებოდა.

გაშე ოთახში დარბოდა, ხან რას დასტაცებდა ხელს და ხან რას; შემდეგ ვინსენტს აჩეჩებდა ხელში და ვიდრე ვინსენტი გაარჩევდა თუ რა იყო ეს, ისევ ართმევდა.

— შეხედეთ. ხედავთ იმ თაიგულიან ნატურმორტს კედელზე? დელაკრუამ ამ ლარნაკში დახატა იგი. მოკიდეთ ხელი არა ჰგავს იქ დახატულს? ხედავთ ამ სკამს? ამ სკამზე კურბე იჯდა, როცა ჩემს ბაღს ხატავდა ფანჯრიდან. არ მოგწონთ ეს ლამაზი ჭურჭელი? ეს დემულენმა ჩამომიტანა იაპონიიდან. კლოდ მონემ ერთი ცალი თავის ნატურმორტში გამოიყენა. ის ნატურმორტი ზემოთ ჰკიდია. მომყევით, ახლავე გიჩვენებთ.

სადილზე ვინსენტმა გაშეს ვაჟიშვილი პოლი გაიცნო, თხუთმეტი წლის ცოცხალი, კოხტა ბიჭუნა.

მიუხედავად იმისა, რომ კუჭ-ნაწლავი აწუხებდა გაშეს, მისი სადილი ხუთი თავი კერძისაგან შესდგებოდა. სენ რემიში მხოლოდ უგრეხელსა და შავ პურზე მიჩვეულმა ვინსენტმა მესამე თავი კერძის შემდეგ უარი განაცხადა, მეტი აღარ შემიძლიაო.

— ახლა მუშაობას შევუდგეთ, — გამოაცხადა გაშემ. — თქვენ ჩემს პორტრეტს დახატავთ, ვინსენტ. აი ასე, როგორცა ვარ.

— მე ვფიქრობ, არ გამოვა, ექიმო, ჯერ ხომ უნდა გაგიცნოთ, როგორი ხართ თქვენ.

— კეთილი, შეიძლება თქვენ სწორიც იყოთ, შეიძლება.

რამეს ხომ მაინც დახატავთ? შეიძლება გიყუროთ მუშაობისას?

ძალიან მინდა, რომ თვალი გადევნოთ.

— მე ერთი ადგილი შევნიშნე თქვენს ბაღში. სიამოვნებით დავხატავდი იმას.

— კარგია! კარგია! მოლბერტს მე თვითონ დაგიდგამთ. პოლ, ბაღში გამოუტანე მოლბერტი მუსიე ვინსენტს. აბა, მიჩვენეთ, რა ადგილია, და მე გეტყვით, დაუხატია თუ არა რომელიმე მხატვარს იგი თქვენამდე.

ვინსენტი ხატვას შეუდგა. გაშე კი მოუსვენრად დარბოდა მის გარშემო, ხელებს აქეთ-იქით იქნევდა და თავის აღტაცებას, შეშფოთებას, თუ გაოცებას ვერ ფარავდა. სულმოუთქმელად აყრიდა უამრავ რჩევებს და გამაფრთხილებელ შეძახილებს.

— დიახ, დიახ, კარგად გამოგივიდათ. სწორედ წითელი კრაპლაკი გჭირდებათ. ფრთხილად! ხე არ გააფუჭოთ. აი, აი, ახლა კარგია! არა, არა, მეტი აღარ უნდა კობალტი. პროვანსში ხომ არ გგონიათ თავი. აი ახლა მესმის! პირდაპირ

შესანიშნავია. ფრთხილად, ვინსენტ. მაგ ყვავილს ყვითელი წერტილიც დაუსვით ბარემ. აი ასე. საოცარია, როგორ აცოცხლებთ საგნებს.

ნამდვილად ცხოველმყოფელი ფუნჯი გაქვთ. არა, არა. გევედრებით, ფრთხილად. ამდენი არ არის საჭირო. აჰ, დიახ, დიახ.

ახლა მესმის. დიდებულია!

ვინსენტმა ჯერ ითმინა ექიმის ხტუნვა და ლაყბობა, მაგრამ ბოლოს მისი მოთმინების ფიალაც აივსო. მიუბრუნდა გაშეს, რომელიც ათასნაირად იგრიხებოდა, და უთხრა.

— გამიგონეთ, მეგობარო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამდენი აღელვება ავნებს თქვენს ჯანმრთელობას? თქვენ, როგორც ექიმს, ალბათ მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის სიმშვიდეს.

მაგრამ გაშეს მშვიდად ყოფნა წარმოუდგენელი იყო, როცა ვინმე ხატავდა.

ხატვას რომ მორჩა, ვინსენტი გაშეს შეჰყვა ოთახში და არლელი ქალის პორტრეტი უჩვენა, თან რომ მოიტანა. ექიმმა ცალი თვალი მოხუჭა და უნდოდ შეხედა სურათს. კარგა ხანს ბურტყუნებდა თავისთვის ამ ნახატის ღირსება-ნაკლოვანებაზე და შემდეგ განაცხადა:

— ვერა, მე ვერ აღვიქვამ მას. სრულიად ვერ აღვიქვამ.

არ მესმის რისი თქმა გინდათ ამითი.

— არაფრის თქმაც არ მინდა, — უპასუხა ვინსენტმა. — ეს გახლავთ არლელი ქალის ტიპი საერთოდ, თუ შეიძლება ახე ითქვას. მე მხოლოდ მისი სურათის გადმოცემა ვცადე კოლორიტულად.

— და მაინც, — თქვა ჩაფიქრებით ექიმმა, — მე არ ვეთანხმები მას.

— შეიძლება თქვენი სურათების კოლექცია ვნახო?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მიდით, რამდენიც გენებოთ, უყურეთ. მე კი აქ დავრჩები, ამ ქალთან. ვნახოთ, იქნებ დავეთანხმო კიდეც მას.

ვინსენტმა თითქმის ერთ საათს იბორიალა ოთახში. პოლი თავაზიანად დაჰყვებოდა ყველგან. ერთ კუთხეში უპატრონოდ მიეგდოთ გილიომენის ტილო, საწოლზე წამოწოლილი შიშველი ქალი. სურათს მოუვლელობა დასტყობოდა და უკვე დამსკდარიყო. ვინსენტმა სურათი ხელში აიღო. ამ დროს აღელვებული გაშე ოთახში შემოიჭრა და სეტყვასავით მიაყარა კითხვები იმ არლელ ქალზე.

— თქვენ ამდენი ხანია იმ ქალს უცქერით? — გაუკვირდა ვინსენტს.

— დიახ, დიახ, უკვე მესმის. უკვე რაღაცნაირად ვგრძნობ მე მას.

— ძალიან მერიდება, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, ექიმო, ეს გილიომენის ბრწყინვალე ტილოა. და თუ მას ჩარჩოში არ ჩასვამთ, განადგურდება და ის იქნება.

გაშეს მისი სიტყვები არ გაუგონია.

— თქვენ ამბობთ, რომ გოგენს ბაძავდით?... მე არ გეთანხმებით... კოლორიტის ასეთი კონტრასტულობა... მას ქალურ სინაზეს უკარგავს, არა, კი არ უკარგავს, მაგრამ... დაიცათ, დაიცათ, კიდევ შევხედო... მე უკვე მესმის იგი... ნელა... ნელა...

შეუმჩნევლად, თითქოს ჩემში გადმოდის იმ ტილოდან.

გაშემ მთელი საღამო უტრიალა იმ სურათს, ხელებს იშვერდა, თავისთვის ლაპარაკობდა, იძლეოდა უთვალავ კითხვებს და თვითონვე პასუხობდა მათ, ხან რა პოზას მიიღებდა და ხან რას. რომ დაღამდა, იმ ქალმა უკვე სრულიად დაიპყრო მისი გული და ექიმი ცოტა არ იყოს დაშოშმინდა.

— რა ძნელი რამაა უბრალოება. — თქვა მან. იგი დაღლილი, მაგრამ საოცრად დამშვიდებული შესცქეროდა სურათს — დიახ.

— ლამაზია ეს ქალი, ლამაზი. ჯერ არ მინახავს ხასიათის ასეთი სიღრმე.

— თუკი მოგწონთ, ქიმო, — უთხრა ვინსენტმა — თქვენთვის მიჩუქნია იგი. და კიდევ ის პეიზაჟიც, დღეს რომ დავხატე თქვენს ბაღში.

— რატომ მასაჩუქრებთ, ვინსენტ? ეს სურათები ხომ ნამდვილი განძია!

— სულ მალე თქვენი დახმარება დამჭირდება, ექიმო. მე კი ფული არ მექნება, რომ გადაგიხადოთ, ამიტომაც ჩემს სურათებს გაძლევთ.

— სულაც არ ვაპირებ მკურნალობაში ფული გამოგართვათ, ვინსენტ, მე როგორც მეგობარს, ისე გიმკურნალებთ.

— ჰოდა, მეც, როგორც მეგობარს, ისე გაძლევთ ამ სურათებს.

3.

ვინსენტმა ისევ განაგრძო თავისი საქმე. საღამოთი იჯდა ჩაბუუტულ კაფეში და უცქეროდა, როგორ თამაშობდნენ მუშები ბილიარდს. ცხრა საათზე მაღლა ავიდა და დაიძინა. დილით, ხუთ საათზე უკვე ფეხზე იყო. ჩინებული ამინდი იდგა. მზე სასიამოვნოდ ანათებდა და სანაპირო მწვანედ ხასხასებდა. ავადმყოფობამ და წმინდა პავლეს თავშესაფარში უქმად გატარებულმა დღეებმა თავისი კვალი დააჩნია ვინსენტს. ფუნჯი ხელიდან უსხლტებოდა და ვეღარ იმორჩილებდა.

თეოს სთხოვა, ბარგის სახელმძღვანელო გამომიგზავნეო, რადგან შიშობდა, პროპორციებისა და შიშველი სხეულის ხატვაში თუ არ გავივარჯიშე ისევ ხელი, ძვირად დამიჯდება ეს ამბავიო. ვინსენტი იმასაც ფიქრობდა, თუკი მოვახერხებ, პატარა სახლი ვიქირაო ოვერში, აქ დავსახლდები სამუდამოდო.

იქნებ თეო მართალია და მეც ვნახო ამქვეყნად ისეთი ქალი, რომელიც გვერდში ამომიდგება და ჩემს ბედს გაიზიარებსო.

სენ რემიში დახატული სურათები ხელახლა შეასწორა, რომ დასრულებული სახე მიეცა მათთვის.

მაგრამ ენერგიის ეს უეცარი მოზღვავება იმ ძლიერი ორგანიზმის რეფლექსს წარმოადგენდა, რომლის განადგურება არც თუ ისე ადვილი საქმეა.

თავშესაფარში იმდენ ხანს გამომწყვდეულ ვინსენტს დღეები ახლა კვირეებად ეჩვენებოდა. არ იცოდა, დრო რით მოეკლა, რადგან მთელი დღე მუშაობა აღარ შეეძლო. არც ძალ-ღონე ჰქონდა ამისათვის და არც არავითარი სურვილი. იმ უბედურ დღემდე, არლში, დრო არ ჰყოფნიდა ხატვისათვის, ახლა კი დღეებს ბოლო არ უჩანდა.

ძლივს თუ შეარჩევდა დასახატად პეიზაჟს და იმასაც უხალისოდ, უინტერესოდ ხატავდა. სრულიად ჩაკვდა ის დაუოკებელი წყურვილი, მგზნებარედ ეხატა მთელი დღე, ისე რომ წუთიც არ დაეკარგა უქმად. ახლა თითქოს დროს გასაყვანად მუშაობდა. და თუკი საღამოთი ტილოს ვერ დაასრულებდა...

აღარც ეს ადარდებდა დიდად.

ოვერში ერთადერთი მეგობარი გაშე ჰყავდა. ისიც მთელ დღეებს პარიზში ატარებდა, თავის კლინიკაში. საღამოთი კი კაფე „რავუში“ აკითხავდა, რომ მისი

ნახატები ენახა. ვინსენტს ხშირად შეუნიშნავს რა უძირო სევდა და სასოწარკვეთილება ეტყობოდა ექიმის თვალებს.

— რა უბედური სახე გაქვთ, ექიმო, — ეუბნებოდა ვინსენტი.

— ეჰ, ვინსენტ. ამდენი წელია დაუღალავად ვშრომობ და დიდს ვერაფერს ვხედავ ჩემი შრომის ნაყოფს. ექიმები ტკივილის მეტს ვერაფერს ხედავენ ამქვეყნად. სულ ტკივილი, ტკივილი, ტკივილი.

— სიამოვნებით გაგიცვლიდით პროფესიას, — უთხრა ვინსენტმა.

გაშეს სევდიან თვალებში აღტაცება გამოკრთა.

— რას ამბობ, ვინსენტ. განა შეიძლება, მხატვრობაზე უკეთესი იყოს რამე. მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი მხატვარი ვყოფილიყავი, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ხანდახან თუ მოვიცლიდი ამისათვის... რადგან გარშემო იმდენი ავადმყოფია, და მათ ყველას ჩემი დახმარება სჭირდება.

გაშემ დაიჩოქა და ვინსენტის საწოლის ქვეშიდან ტილოები გამოათრია. შემდეგ ყვითელი მოკაშკაშე მზესუმზირები აიღო და წინ დაიდო.

— ასეთი სურათი ერთი რომ მაინც დამეხატა, ვიტყოდი, ჩემს ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია მეთქი. მე ხალხს ტანჯვას ვუმსუბუქებ... მაგრამ ისინი ხომ მაინც კვდებიან ბოლოს და ბოლოს. ასე რომ, რა ფასი აქვს ჩემს შრომას? ეს თქვენი მზესუმზირები კი... გულისტკივილსაც დაუყუჩებს ხალხს, სიხარულს მიანიჭებს... საუკუნეების, მრავალი საუკუნეების განმავლობაში. აი რატომაა თქვენი ცხოვრება ასე მშვენიერი... აი რატომ გქვიათ თქვენ ბედნიერი ადამიანი.

რამდენიმე დღის შემდეგ ვინსენტმა ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი ექიმი დახატა, განუყრელი ლურჯი ქუდით თავზე. ფონი ლურჯი, კობალტისფერი გაუკეთა. სახე მეტისმეტად ნაზ, სასიამოვნო ფერებში იყო შესრულებული. ხელებიც ღია ფერით დახატა. გაშე წითელ მაგიდას დაყრდნობოდა. მაგიდაზე ყვითელი წიგნი და ფუტკარას ტოტი იყო, წითელყვავილებიანი. როგორც კი ხატვას მორჩა, ვინსენტმა იგრძნო, რომ ისევ კარგად გამოუვიდა იგი, როგორც ის სურათები, გოგენის ჩამოსვლამდე რომ ხატავდა არლში.

გაშე კინაღამ ჭკუიდან შეიშალა ამ სურათზე. ვინსენტს ჯერ არ სმენია ამდენი ქება-დიდება. გაშე შეეხვეწა, ამ პორტრეტის ასლი გამიკეთეთ მეცო. როცა ვინსენტი დათანხმდა, მის სინანულს საზღვარი არ ჰქონდა.

— მე საბეჭდი დაზგა მაქვს სხვენზე, ვინსენტ, — უთხრა გაშემ. — მოდით, პარიზში წავიდეთ, თქვენი ყველა ტილო ამოვიტანოთ და მათი ლითოგრაფია გავაკეთოთ. ერთ სანტიმსაც არ დაგახარჯინებთ თქვენ. წამოდით, გიჩვენოთ რა სტამბა მაქვს.

სხვენს კიბე მიადგეს და მაღლა ავიდნენ. გაშეს სახელოსნო ისე იყო გაჭედილი უცნაური, ყოვლად წარმოუდგენელი დანადგარებით, რომ ვინსენტს შუა საუკუნეების ალქიმიკოსების ლაბორატორიაში ეგონა თავი.

ძირს რომ ჩამოდიოდნენ, გილიომენის შიშველი ქალი ისევ იმავე ადგილას დაინახა დაგდებული.

— ექიმო, — უთხრა მან, — მე კატეგორიულად გთხოვთ, დაუყოვნებლივ ჩარჩოში ჩასვათ ეს სურათი. თქვენ ღუპავთ შედევრს.

— დიახ, დიახ, რამდენი ხანია ვაპირებ მაგის ჩასმას. პარიზში როდის წავიდეთ, რომ თქვენი ნახატები ამოვიტანოთ? ლითოგრაფია თქვენ თვითონ ბეჭდეთ რამდენიც გენებოთ. მასალა ჩემზე იყოს.

მაისი ივნისმა შეცვალა. ერთხელ ვინსენტი გორაკზე წამოსკუპულ ეკლესიას ხატავდა. საღამოთი საშინლად დაიღალა და ხატვას თავი ანება, ისე რომ არც დაუსრულებია. მეორედ დიდის გაჭირვებით თავს ძალა დაატანა, რომ პურის ყანა დაეხატა, თან თვითონაც ყანაში იწვა. შემდეგ დახატა მოზრდილი ტილო, მადამ დობინის სახლი, შემდეგ კიდევ ერთი თეთრი სახლი, ხეებში ჩაფლული. ცას ღამისეული ლურჯი ფერი ჰქონდა. ფანჯრებიდან აგურისფერი სინათლე გამოკრთოდა.

ხეებიც და ბალახიც მუქი მწვანე იყო, და აქა-იქ სუსტი ვარდისფერი გადაჰკრავდა. და ბოლოს, კიდევ ერთი ღამისეული პეიზაჟი — მოყვითალო ცის ფონზე შავად წამომართული ორი ხე.

ვინსენტს უკვე აღარ ახარებდა ხატვა. ხატავდა იმიტომ, რომ სხვა საქმე არაფერი ჰქონდა. ათი წლის შეუსვენებელი შრომა ჯერ კიდევ ინერციით მიაქანებდა წინ. ის ადგილები, რომელიც ადრე სულს უფორიაქებდა, ახლა აღარაფერს ნიშნავდა მისთვის.

— რამდენჯერ დამიხატავს ეს, — ჩაიბურტყუნებდა თავისთვის და მოლბერტწამოკიდებული გზას განაგრძობდა სხვა პეიზაჟის საძებრად. — ახალს არაფერს ვხედავ. ხომ არ გავიმეორებ იმას, რაც ადრე დამიხატავს? მართალი უთქვამს მილეს: „სჯობს სულაც არაფერი თქვა, ვიდრე სუსტად გამოხატო შენი სათქმელი“.

არა, ბუნების სიყვარული არ ჩამკვდარა მასში, მხოლოდ ის დაუოკებელი სურვილი გაქრა, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა, გადმოეტანა ტილოზე ნანახი პეიზაჟი. ახლა ყველაფრისაგან დაიცალა. ივნისში, მთელი თვის განმავლობაში, მხოლოდ ხუთი სურათი დახატა. გადაიღალა, აუწერლად გადაიღალა. ისე დაცარიელდა და ისე პირწმინდად დაიცალა, თითქოს ყველა იმ ასობით ჩანახატმა და ტილომ, რაც ათი წლის განმავლობაში შექმნა მისმა მარჯვენამ, სათითაოდ გამოსტაცეს სიცოცხლის რაღაც ნაწილი.

თუკი რამეს ხატავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გრძნობდა, ვალდებული ვარ თეოს წინაშე, რაკი ამდენი ფული ხარჯა წლების განმავლობაში ჩემზეო. მაგრამ როცა ერთხელ, შუა მუშაობაში გაიფიქრა, იმ ტილოებს, რომლითაც თეოს სახლია გამოტენილი, ათი სიცოცხლეც არ ეყოფა, რომ გაიყიდოსო, უცნაური გულის რევა იგრძნო და მოლბერტი ხელის კვრით მოიცილა გზიდან.

შემდეგი შეტევა ივლისში უნდა მოსვლოდა, რადგან სწორედ მაშინ შესრულდებოდა სამი თვე წინა შეტევიდან. შიშმა აიტანა, რამე ისეთი სისულელე არ ჩავიდინო, რომ მთელი სოფელი ჩემს წინააღმდეგ ავამხედროო. პარიზიდან წამოსვლის წინ თეოს ფულზე არ შეთანხმებია და ახლა არ იცოდა რამდენს გამოუგზავნიდა ძმა. გაშეს თვალებში ჩამდგარი სასოწარკვეთილება თუ უიმედობა სულ უფრო და უფრო აღიზიანებდა ვინსენტს.

ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ თეოს ბავშვი გაუხდა ავად.

ვინსენტი კინაღამ გადარია თავისი სეხნიას ავადმყოფობამ.

ითმინა რაც შეეძლო, ბოლოს ჩაჯდა მატარებელში და პარიზისკენ გაეშურა. მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ სიტე პიგალზე კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. თეოს ფერი დაკარგვოდა და ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ვინსენტი შეეცადა, როგორმე ნუგეში ეცა მისთვის.

— მე მარტო ბავშვის ავადმყოფობას კი არ განვიცდი, ვინსენტ, — გამოტყდა ბოლოს თეო.

— აბა რა მოხდა, თეო?

— ვალადონი მემუქრება, გაგათავისუფლებო.

— რას ამბობ, თეო. რა უფლება აქვს. თექვსმეტი წელია გუპილს ემსახურები.

— მართალია, მაგრამ ასე ამბობს, ჩვენს კანონებს არად აგდებ და იმპრესიონისტებს ქომაგობო. მე ძალიან ცოტას ვყიდი, ვინსენტ, და იმასაც სულ ჩალის ფასად. ვალადონი ამბობს, შარშან ზარალის მეტი არაფერი უნახავს ამ გალერეასო.

— ნუთუ მართლა შეუძლია გარეთ გამოგაგდოს?

— რატომაც არა. ვან გოგების წილი უკვე კარგა ხანია გაიყიდა.

— მერე რას იზამ, თეო? შენს საკუთარ გალერეას გახსნი?, — საიდან, სულ უმნიშვნელო თანხა მქონდა გადანახული და ისიც ჯერ ქორწილზე დამეხარჯა და ახლა ბავშვზე.

— ჩემზე რომ ამდენი ფული არ გეხარჯა...

— კარგი, ვინსენტ, თუ ღმერთი გწამს. ეგ რა შუაშია. ხომ იცი, რომ მე...

— აბა რა უნდა ქნა, თეო? იოს და პატარას რას უპირებ?

— არ ვიცი... ახლა ნეტა ეს ბავშვი იქნებოდეს კარგად.

ვინსენტი რამდენიმე დღეს დარჩა პარიზში. ცდილობდა, რაც შეეძლო შინ არ გაჩერებულიყო, რომ ზედმეტად არ შეეწუხებინა ბავშვი. პარიზმა და ძველმა მეგობრებმა ისევ ააფორიაქეს ვინსენტი, და როგორც კი ბავშვი ცოტა მომჯობინდა, მაშინვე ჩაჯდა მატარებელში და თავის წყნარ ოვერს მიაშურა.

მაგრამ სოფლის სიმყუდროვემ დიდად არ უშველა. საფიქრალი და სადარდებელი საკმაოდ ჰქონდა. რა ეშველება თეოს, თუ დაითხოვეს სამსახურიდან? მაწანწალა ძაღლივით დარჩება ქუჩაში გამოგდებული. ან იომ და ბავშვმა რა უნდა ჰქნან?

ერთიც ვნახოთ და ის ბავშვი მოკვდეს! თეო ისედაც ვერ გრძნობს თავს კარგად და ეს ამბავი სულ გადაიყოლეებს თან.

ვინ უნდა არჩინოს ამდენი სული, ვიდრე თეო ახალ სამსახურს იშოვნიდეს? შესძლებს კი თეო ახალი სამსახურის შოვნას?

ვინსენტი საათობით გაუნძრევლად იჯდა კაფე „რავუს“ ჩაბნელებულ ოთახში. ამ დამუავებული ლუდის სუნმა და თამბაქოს მწარე ბოლმა ლამარტინის კაფე მოაგონა. სრულიად უმიზნოდ უტრიალებდა ბილიარდის მაგიდას და ანგარიშმიუცემლად აგორებდა გამოხუნებულ ბურთებს. სასმელის ფული არ ჰქონდა. არც საღებავებისა და ტილოს საყიდელი ფული გააჩნდა. აბა ასეთ დროს როგორ შეეძლო რამე ეთხოვა თეოსთვის. იმისაც ძალიან ეშინოდა, რომ დადგებოდა ივლისი, მოუვიდოდა ის საშინელი შეტევა და ვინ იცის, იქნება ისეთი რამე ჩაედინა, რომ სულ გაემწარებინა საწყალი თეო.

სცადა ისევ ხატვისათვის მოეკიდა ხელი. არ გამოუვიდა.

უკვე ყველაფერი დახატა, რისი დახატვაც აწუხებდა. ყველაფერი თქვა, რისი თქმაც უნდოდა. ბუნება აღარ უღვიძებდა შემოქმედებით აღტყინებას და იცოდა, რომ რაც კარგი იყო მასში, სრულიად ჩაკვდა და გაქრა.

დღე დღეს მისდევდა. შუა ივლისი იდგა, მთელი თავისი სიცხითა და პაპანაქებით. თეომ, რომელსაც აქეთ ვალადონი არ აძლევდა მოსვენებას, იქით ბავშვის

ავადმყოფობა და ექიმის ფული აწუხებდა, როგორღაც მოახერხა და ორმოცდაათი ფრანკი გამოუგზავნა ვინსენტს. მანაც მაშინვე რავუს მისცა ფული. ახლა ივლისის ბოლომდე შეეძლო აქ დარჩენა, მაგრამ... მერე? თეოსგან მეტს აღარ ელოდა ფულს.

ვინსენტი მთელი დღეები ან სასაფლაოს გვერდით, პურის ყანაში იწვა, შუაგულ მზეზე, ან უაზის გრილსა და ამწვანებულ სანაპიროს მიჰყვებოდა. საღილობისას გაშესთან მიდიოდა, და ისე გადაყლაპავდა ხოლმე საჭმელს, არც მის გემოს გრძნობდა და არც ერგებოდა. ექიმი დაუღალავად უქებდა მარჯვენას, ის კი გულში ფიქრობდა:

— ეს კაცი ჩემზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ვიღაცა სხვაზე. არც ეს ნახატებია ჩემი. როდის ყოფილა, რომ რამე დამეხატოს. არც ჩემ საკუთარ ხელმოწერას ვცნობ ზედ.

რაღაც არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც მომესვას ამაზე ფუნჯი, ალბათ ვიღაცა სხვამ დახატა ეს სურათები!

იწვა ჩაბნელებულ ოთახში და თავის თავს ეუბნებოდა:

— დავუშვათ, თეო არ დაითხოვეს სამსახურიდან. დავუშვათ, მან ძველებურად გამომიგზავნოს ას ორმოცდაათი ფრანკი თვეში. რა უნდა ვქნა მერე? როგორ გავლიო ეს უკანასკნელი, ტანჯვით სავსე წლები? სიცოცხლე იმისთვის მწყუროდა, რომ აუცილებლად მეხატა, აუცილებლად მეთქვა ის, რაც დუღდა ჩემს გულში და მაწუხებდა. ახლა აღარაფერი მაწუხებს. ცარიელი ფიტული გავხდი. ნუთუ ისევე უაზროდ უნდა გავატარო სიცოცხლის დარჩენილი დრო, როგორც იმ უბედურებმა, თავშესაფარში რომ დარჩნენ, და ვუცადო რაღაც ბრმა შემთხვევას, რომელიც აღგვის პირისაგან მიწისა.

ახლა თეოზე დარდი შემოაწვებოდა ვინსენტს, მერე იოჰანაზე და ბავშვზე დარდობდა.

დავუშვათ, ისევ დამიბრუნდეს ენერგიაც, ხალისიც და ისევ მომინდეს ხატვა. რა უფლება მაქვს ფული გამოვართვა თეოს, როცა მას იოსა და ბავშვისთვის სჭირდება იგი? არა, ჩემზე აღარ უნდა დავახარჯვინო ფული. უჯობს ამ ფულით ცოლ-შვილი სოფელში გაგზავნოს. ბავშვი უფრო ღონიერი და ჯანმრთელი გაიზრდება იქ. ათი წელია თეოს კისერზე ვზივარ. არ კმარა? ნუთუ დრო არ არის, პატარა ვინსენტმა დაიკავოს ჩემი ადგილი? მე უკვე ჩემი დრო მოვჭამე. ახლა იმ ბავშვს სჭირდება ყურადღება, მაგრამ ყოველთვის თავი და თავი ყოვლისმომცველი შიში იყო, რასაც ეპილეპსიის საბოლოო შედეგი იწვევდა მასში, აი, ახლა თავს კარგად გრძნობს და ნორმალურად აზროვნებს.

შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც სურს, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ამ მომავალმა შეტევამ ნამდვილ გიჟად, შეშლილად აქციოს!

დავუშვათ, მისმა ტვინმა ვეღარ გაუძლოს ამდენ დაძაბულობას?

ხომ შეიძლება უმწეო, დორბლიან იდიოტად იქცეს? რა ჰქნას მერე საწყალმა თეომ? სიკვდილამდე საგიჟეთში ჰყავდეს გამომწყვდეული?

ვინსენტმა კიდევ ორი ტილო უძღვნა გაშეს და სთხოვა, მართალი მითხარით რა მომივა, ნუ დამიმალავთო.

— ნუ გეშინიათ, ვინსენტ, — დაამშვიდა ექიმმა. — არავითარი შეტევა აღარ მოგივათ. ამიერიდან თქვენ სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გქვიათ. ყველა ეპილეპსიით დაავადებულს კი არ ხვდება წილად ასეთი ბედნიერება.

— იმათ რა ემართებათ, ექიმო?

— ზოგჯერ, როცა ზედიზედ მოსდით შეტევა, შესაძლოა სრულიად დაკარგონ გონი.

— მერე, შეიძლება მათი განკურნება?

— არა. გათავებული საქმეა. ისინი რამდენიმე წელს სადმე საგიჟეთში გაატარებენ, მაგრამ ნორმალურ ჭკუაზე არასოდეს აღარ იქნებიან.

— შეიძლება წინასწარ გაიგოს კაცმა, რას უზამს შემდეგი შეტევა, ისე ჩაივლის თუ გონს წაართმევს?

— წინასწარ ეს არავინ იცის, ვინსენტ. რა საჭიროა ამ უსიამოვნო ამბებზე ლაპარაკი! სჯობს, ჩემს სტამბაში ავიდეთ და ლითოგრაფიები ვბეჭდოთ.

ვინსენტი ოთხ დღეს არ გამოსულა თავისი ოთახიდან. მადამ რავუს ყოველ საღამოს აჰქონდა მასთან ვახშამი.

— მე ჯერ კარგად ვარ, ნორმალურად ვაზროვნებ, — გაუთავებლად იმეორებდა თავისთვის ვინსენტი. — ჩემი ბედი ჩემს ხელთაა. მაგრამ აი, შეტევა რომ მომივა... შეიძლება გონება დამიბნელდეს... და მაშინ ვეღარ შევძლებ თავი მოვიკლა და დავიღუპები კიდეც. ოჰ, თეო, თეო, რა ვქნა?

მეოთხე დღეს, საღამოთი, გაშეს მიაკითხა. ექიმი სასტუმრო ოთახში იჯდა. ვინსენტი იმ ოთახში შევიდა, სადაც გილიომენის შიშველი ქალის სურათი ეგდო. ისევ იქ დახვდა ის ტილო.

— ხომ გითხარით, ჩარჩოში ჩასვით-მეთქი, — უთხრა ვინსენტმა.

გაშემ გაოცებით შემოხედა ვინსენტს.

— ვიცი, ვინსენტ. იქით კვირას ოვერის დურგალს ხის ჩარჩოს დავუკვეთ.

— იქით კვირას კი არა, ახლა უნდა ჩასვათ! დღესვე! ამ წუთასვე!

— რა მოხდა, ვინსენტ, რა სისულელეს როშავ!

ვინსენტმა ექიმს შეხედა, შემდეგ ისე გადადგა მისკენ ნაბიჯი, თითქოს ემუქრებაო და ჯიბეში ჩაიყო ხელი. გაშეს მოეჩვენა, თითქოს რევოლვერს მოჰკრა თვალი და იფიქრა, მართლა არ მესროლოსო.

— ვინსენტ! — იყვირა გაშემ.

ვინსენტი აკანკალდა. თვალები ძირს დახარა, ხელები ჯიბიდან ამოიღო და გარეთ გავარდა.

მეორე დღეს აიღო მოლბერტი და ტილო და სადგურისკენ მიმავალ გზას დაადგა, შემდეგ მთაზე აუხვია, კათოლიკურ ეკლესიას ჩაუარა და ყვითელ პურის ყანაში ჩაჯდა, სასაფლაოს გვერდით.

დაახლოებით შუადღისას, როცა მზე ულმობლად სწვავდა, შავი ჩიტების გუნდი დაეშვა უეცრად ძირს. ამ შავი ჩიტებით აივსო ჰაერი, დაბნელდა მზე, ჩამოიქუფრა დღის სინათლე ვინსენტის თავზე. ჩიტები უძვრებოდნენ თმაში, თვალებში, ცხვირში, პირში, სულს უხუთავდნენ, ფრთებს უტყლაშუნებდნენ.

ვინსენტი ხატვას განაგრძობდა. დახატა ეს შავი ჩიტები ყვითელი პურის ყანის თავზე. არ იცოდა, რამდენ ხანს იმუშავა, მაგრამ როცა ნახა რომ სურათი მზადაა, ცალ კუთხეში მიაწერა:

„ყვავები პურის ყანაში“, შემდეგ წამოიკიდა მოლბერტი, მიიტანა ტილო რავუსთან, საწოლზე დაეგდო და ძილს მიეცა.

მეორე დღეს ისევ გამოვიდა შინიდან, მაგრამ ახლა სხვა მიმართულებით აიღო გეზი. ციხე-კოშკისაკენ გაემართა და მთაზე ავიდა, რომელიღაც გლეხს დაენახა იგი, ხის ტოტზე ჩამომჯდარი.

— შეუძლებელია! შეუძლებელია! — გაუგონია იმ გლეხს ვინსენტის სიტყვები. ცოტა ხნის შემდეგ ხიდან ძირს ჩამოვიდა და კოშკის უკან, დახნულ მინდორზე გავიდა. აღსასრული მოახლოვდა. ჯერ კიდევ არლში მიხვდა ამას, მაგრამ მაშინ ნებისყოფა არ ეყო გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა, ახლა უნდა ყველაფერს დაემშვიდობოს. რაც არ უნდა იყოს, მაინც მშვენიერი რამ იყო ცხოვრება. გოგენისა არ იყოს, „არის შხამიც და არის შხამსაწინააღმდეგო საშუალებაც“. ახლა, როცა ვინსენტი სტოვებს ქვეყნიერებას, უნდა რამე უთხრას გამომშვიდობებისას. უნდა დაემშვიდობოს ყველას, ვინც დაეხმარა გზაზე დამდგარიყო: ურსულას, რომლის სიძულვილმა იგი ჩვეულებრივ ყოფას მოსწყვიტა და ადამიანებისაგან გარიყა; მენდეს და კოსტას, რომელმაც რწმენა ჩაუნერგა, რომ ოდესმე შესძლებდა გამოეხატა თავისი თავი და ეს გაამართლებდა მთელ მის ცხოვრებას; ქეი ვოსს, რომლის სიტყვებმა:

„არა, — არასოდეს, არასოდეს!“ დანის წვერივით დაუსერა გული; მადამ დენის, ჟაკ ვერნეის და ანრი დეკრუკს, რომელთაც შეაყვარეს განკიცხულნი ამა ქვეყნისანი, ღირს პიტერსენს, ამ გულკეთილ კაცს, რომელიც ვერც მისმა დაგლეჯილმა ფეხსაცმელმა შეაკრთო და ვერც მისმა გაუთლელობამ. დედას და მამას, რომელთაც უყვარდათ იგი, როგორც შეეძლოთ; ქრისტინას, თავის ერთადერთ ცოლს, რომელიც წილად არგუნა ბედმა; მაუვეს, ბევრი სანუკვარი კვირის განმავლობაში დაუღალავად რომ ასწავლიდა; ვეისენბრუჰს და დე ბოკს. მის პირველ მეგობარ მხატვრებს, ძია ვინსენტს, ძია იანს, კორნელიუს მარიუსს და სტრიკერს, რომელთაც იგი ვან გოგების გვარის შემარცხვენლად მონათლეს; მარგოს, იმ ერთადერთ ქალს, რომელსაც უყვარდა ვინსენტი და იმდენად უყვარდა, რომ სიცოცხლეც არ დაიშურა მისთვის; ყველა მეგობარ მხატვარს პარიზში, ლოტრეკს, რომელიც ახლა ისევ სულით დაავადებულთა საავადმყოფოშია, უკანასკნელ დღეში; ჟორჟ სიორას, რომელიც ხატვას შეეწირა და ოცდათერთმეტი წლის ასაკში დახუჭა თვალი; პოლ გოგენს, რომელიც სადღაც ბრეტანშია გადახვეწილი, რუსოს, ცოცხლად რომ დასამარებულა თავის ჭუჭყიან სოროში, ბასტილიის მოედანთან; სეზანს, ყველას რომ მოსწყვეტია და ექსის მთის კორტოხზე განმარტოებულა თავისთვის: მამილო ტანგის და რულენს, რომელთაც აგრძნობინეს, რა შესანიშნავი სული გააჩნია უბრალო ადამიანს; რაშელს და ექიმ რეის, რომელთაც დიდი სიკეთე გამოიჩინეს მის მიმართ; ორიეს და ექიმ გაშეს, იმ ორ ადამიანს მთელი დედამიწის ზურგზე, რომელთაც იგი ბუმბერაზ მხატვრად მიაჩნდათ; და ბოლოს თავის საყვარელ ძმას, თეოს, ასე დატანჯულს, სიყვარულით სავსეს და ყველა ძმაზე უფრო კარგსა და ძვირფასს.

მაგრამ ვინსენტი სიტყვით ვერასოდეს ახერხებდა გამოეხატა სათქმელი. იგი ფუნჯით უნდა დამშვიდობებოდა.

მაგრამ ვაი რომ ფუნჯიც უძლური იყო ახლა.

თავი ასწია, მზეს შეხედა. რევოლვერი მკერდზე მიიდო.

ჩახმახი გამოსწია. მიწაზე დაეშვა და სახე მსუყე, რბილ მიწაში ჩარგო, მიწამაც ისე მიიღო იგი, თითქოს დედის საშოს დაბრუნებოდეს.

ოთხი საათის შემდეგ ბარბაცით შევიდა ბნელ კაფეში. მადამ რავუ ოთახში აჰყვა და დაინახა, რომ სისხლით მოთხუპნოდა ტანსაცმელი. იგი მაშინვე გაშესთან გაიქცა.

— ოჰ, ვინსენტ, ვინსენტ, ეს რა ჩაიდინე! — დაიკვნესა გაშემ, როგორც კი ოთახში შევიდა.

— მე მგონი, საკმაოდ ცუდად გამომივიდა. თქვენ რას იტყვით, ექიმო?

გაშემ ჭრილობა გაუსინჯა.

— ჰო, ვინსენტ, ჩემო საბრალო მეგობარო, რა გაჭირვება გადგათ ასეთი? რატომ არაფერი არ მითხარით მე? რატომ გინდათ წახვიდეთ ჩვენგან, ჩვენ ხომ ყველას ძალიან გვიყვარხართ?! აბა, იფიქრეთ, რამდენი შესანიშნავი სურათი დაგრჩათ დასახატი!

— თუ შეიძლება, კურტაკის ჯიბეში ჩიბუხია და მომაწოდეთ!

— ახლავე, ჩემო კარგო.

მან ჩიბუხი თუთუნით გატენა და პირში ჩაუდო ვინსენტს — ცეცხლი, თუ შეიძლება.

— ახლავე, ჩემო კარგო.

ვინსენტმა ზანტად გააბოლა.

— ვინსენტ, დღეს კვირაა და თქვენი ძმა სამსახურში არ იქნება, ბინის მისამართი მომეცით?

— არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ.

— როგორ შეიძლება, ვინსენტ. სასწრაფოდ უნდა შევატყობინოთ!

— კვირა დღეს არ შეიძლება თეოს შეწუხება. იგი დაღლილი და დაქანცული იქნება ახლა. მას დასვენება სჭირდება.

არაფერმა არ გაჭრა და ვინსენტს ვერაფრით ვერ ათქმევინეს თეოს მისამართი სიტე პიგალზე. გაშე გვიანობამდე დარჩა მასთან, ჭრილობას უვლიდა. შემდეგ შინ წავიდა, რომ ცოტა დაესვენა და ვინსენტთან თავისი შვილი დატოვა.

ვინსენტი მთელი ღამე თვალგახელილი იწვა. პოლისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. პოლი ჩიბუხს უტენიდა მხოლოდ და ვინსენტი შეუსვენებლივ აბოლებდა.

მეორე დილით გაშეს დეპეშა ელოდა გალერეაში თეოს. იგი მაშინვე ჩაჯდა პონტუაზის მატარებელში და ეტლით მოიჭრა ოვერში.

— თეო! — თქვა ვინსენტმა.

თეომ საწოლთან დაიჩოქა და ვინსენტი ბავშვივით აიყვანა ხელში. ვერაფერი მოახერხა რომ ეთქვა ძმისთვის.

ექიმი მოვიდა თუ არა, თეომ იგი დერეფანში გაიხმო. გაშემ უიმედოდ გაიქნია თავი.

— გადარჩენის არავითარი იმედი არ არის. ოპერაციას ვერ გავუკეთებთ, რომ ტყვია ამოვიღოთ. ისედაც მეტისმეტად დასუსტებულია. ქვასავით ორგანიზმი ჰქონია, თორემ იქვე უნდა მომკვდარიყო, მინდორში.

თეო მთელი დღე საწოლთან იჯდა და ვინსენტის ხელი ეჭირა ხელში. როცა დაღამდა და ოთახში მარტონი დარჩნენ, ისევ თავისი ბავშვობა გაიხსენეს ბრაბანტში.

— გახსოვს ის წისქვილი რეისვეიკში, ვინსენტ?

— რა ძველი და კარგი წისქვილი იყო, არა, თეო?

— ჩვენ მისი ნაგუბარის ნაპირებს მივყვებოდით და ოცნებაში ვაშენებდით ჩვენს ცხოვრებას.

— მერე, შუა ზაფხულში, მაღალ, მაღალ ყანაში რომ დავრბოდით, შენ მაშინაც ასე გქონდა ხელი ჩაკიდებული, როგორც ახლა გაქვს. გახსოვს, თეო?

— ჰო, ვინსენტ.

— არლში, საავადმყოფოში რომ ვიწექი, ძალიან, ძალიან ხშირად ვიგონებდი ზუნდერტს. კარგი ბავშვობა გვქონდა, თეო, შენ და მე. გახსოვს სამზარეულოს უკან, ბაღში რომ ვთამაშობდით აკაციების ქვეშ, დედა კი ამ დროს ხაჭაპურებს გვიცხობდა საუზმისათვის.

— მას მერე თითქოს საუკუნე გავიდა, ვინსენტ.

— ჰო... ცხოვრება... დიდია, თეო, ძალიან გთხოვ, თავს მიხედე. ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. იოზე და პატარაზე იფიქრე. წაიყვანე სადმე სოფელში, სადაც გაკაუდება შენი ბიჭი. გუპილთან ნუ დარჩები, თეო. მათ შენ მთელი ცხოვრება შესწირე... და რა მიიღე სამაგიეროდ!

— მე პაწაწინა გალერეას გავხსნი, ვინსენტ, საკუთარ გალერეას. იქ ერთადერთი მხატვრის ნახატები იქნება გამოფენილი. ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრების სრული გამოფენა..

სწორედ ისე, როგორც შენ მოაწყვე ჩემს სახლში შენი ხელით.

— ა? ჰო, ჩემი ნამუშევრები... მე მათ სიცოცხლე ვანაცვალე... ჩემი გონებაც მაგათ ვუმსხვერპლე.

ოვერის წყნარმა ღამემ დაისადგურა ოთახში.

განთიადისას ვინსენტმა ოდნავ მოაბრუნა თავი და ჩურჩულით თქვა:

— ნეტავი აი ახლა მომკლა, თეო.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვალები დახუჭა.

თეო მიხვდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა ძმას.

5.

დასაფლავებაზე რუსო, მამილო ტანგი, ორიე და ემილ ბერნარი ჩამოვიდნენ პარიზიდან.

კაფე „რავუს“ კარები დაკეტეს. ფარდები ჩამოუშვეს.

შავცხენებშებმული კატაფალკი კართან იცდიდა.

ვინსენტის კუბო ბილიარდის მაგიდაზე დაასვენეს.

თეო, გაშე, რუსო, მამილო ტანგი, ორიე, ბერნარი და რავუ დადუმებულნი იდგნენ კუბოსთან. თვალები ძირს დაეხარათ, მღვდლის მოყვანა არც ერთს არ უფიქრია.

მეეტლემ კარზე დააკაკუნა.

— დროა, ბატონებო, — თქვა მან.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე უნდა წავიდეს იგი ჩვენგან, — იყვირა გაშემ.

შემდეგ ვინსენტის ოთახიდან მისი ნახატები ჩამოიტანა, პოლი შინ გააგზავნა და დანარჩენი ტილოები მოატანინა.

ექვსი კაცი კედელზე აკრავდა სურათებს.

კუბოსთან მხოლოდ თეო დარჩა.

ვინსენტის მზით გათანგულმა ტილოებმა თითქოს გაანათა მთელი კაფე.

შემდეგ ისევ კუბოსთნ მოიყარა ყველამ თავი. გაშემ გამოსათხოვარი სიტყვა თქვა.

— ჩვენ, ვინსენტის მეგობრებს ჭმუნვა არ შეგვფერის. ვინსენტი არ მომკვდარა. არც არასოდეს მოკვდება იგი. მისი სიყვარული, მისი გენია, ის უსაზღვრო სილამაზე, მისმა მარჯვენამ რომ შექმნა, იცოცხლებს სამარადისოდ და გაამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას. როცა კი ვუყურებ მის ნახატებს, ყოველთვის ვპოულობ ახალ რწმენას, ცხოვრების ახლებურ გაგებას. იგი იყო ტიტანი. ბუმბერაზი მხატვარი... დიდი ფილოსოფოსი...

მან ხელოვნების სამსხვერპლოზე მიიტანა თავისი სიცოცხლე.

თეო შეეცადა მადლობა ეთქვა.

— მე... მე... მე...

ცრემლები ახრჩობდა. ვერაფერი მოახერხა ეთქვა.

კუბოს თავი დაახურეს.

ექვსმა მეგობარმა ასწია კუბო. გარეთ გამოიტანეს პატარა კაფედან და დაასვენეს კატაფალკზე.

შავი კატაფალკი სასაფლაოსკენ დაიძრა.

თეო უკან მიჰყვებოდა, როცა ისევ ექვსმა ხელმა აიტაცა კუბო და საფლავისკენ წაიღეს.

ექიმმა გაშემ ის ადგილი შეარჩია, სადაც სულ პირველად იდგა ვინსენტთან ერთად. აქედან ხელისგულივით იშლებოდა უაზის ნაყოფიერი ველი.

ისევ სცადა თეომ. რაღაცა ეთქვა. ვერ მოახერხა.

კუბო მიწაში ჩაუშვეს და მიწა მიაყარეს.

შემდეგ შვიდივე გატრიალდა, სასაფლაოდან გამოვიდნენ და მთის ფერდობს ჩაჰყვნენ ძირს.

რამდენიმე დღის შემდეგ გაშე საფლავზე მივიდა და მზესუმზირები დარგო.

თეო პარიზში დაბრუნდა. თავს დამტყდარი უბედურება დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა.

მისმა ნერვულმა სისტემამ ვერ გაუძლო ამდენ დატვირთვას.

იოჰანამ იგი უტრეჰტში წაიყვანა, სულით დაავადებულთა საავადმყოფოში, სადაც მარგო წაიყვანეს ოდესღაც.

ექვსი თვის თავზე თეო გარდაიცვალა. თითქმის იმავე დღეს, როცა ვინსენტი. იგი უტრეჰტში დაასაფლავეს.

ერთხელ, იოჰანა ბიბლიას კითხულობდა და ასეთ ფრაზას წააწყდა: „...საყვარელნი და შუენიერნი, არა განყოფილნი, კეთილ სახიერნი ცხოვრებათა შინა თვისთა სიკუდილსაცა შინა თვისსა არა განიყუნეს“.

მან თეოს გვამი ოვერში გადაიტანა და ვინსენტის გვერდით მიაბარა მიწას.

როცა ოვერის ცხელი მზე პურის ყანებში ჩაფლულ პატარა სასაფლაოს დასცქერის, თეო მშვიდად განისვენებს ვინსენტის ყელყელა მზესუმზირების ჩრდილქვეშ.

ბოლოსიტყვა

მკითხველი ალბათ დაინტერესდება, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს აქ მოთხრობილი ამბავი. დიალოგები, რა თქმა უნდა, გამოგონილია. ჩემი ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ აგრეთვე ვინსენტისა და მაიას შეხვედრის სცენა, რასაც ალბათ თვითონვე მიხვდებოდა მკითხველი. აღწერილი მაქვს ზოგიერთი უმნიშვნელო

ეპიზოდი, რაც მჯერა, ასე მოხდა, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი არ გამაჩნია (მაგალითად, ვან გოგისა და სეზანის შეხვედრა პარიზში). ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც კი ვინსენტი ყოფილა, სიმარტივისათვის ფულის ერთეულად ფრანკი გამოვიყენე. ვან გოგის ცხოვრების ზოგიერთი უმნიშვნელო მომენტი საერთოდ გამოვტოვე. ამ ერთგვარი ბელეტრისტული თავისუფლების გარდა ყველაფერი სავსებით შეესაბამება ფაქტებს.

ჩემი ძირითადი წყარო გახლდათ ვინსენტ ვან გოგის ძმისადმი მიწერილი წერილების სამტომიანი გამოცემა (Houghton Mifflin 1927-1930). მასალის ძირითადი ნაწილი მოვკრიბე ჰოლანდიაში, ბელგიასა და საფრანგეთში, ყველგან სადაც კი ვინსენტს უცხოვრია.

დიდად დავალებული ვარ ვან გოგის ყველა მეგობრისა და თაყვანისმცემლისაგან, რომლებმაც არც დრო დაიშურეს და მასალაც ბევრი მომაწოდეს. ესენი არიან: „ჰააგშე პოსტის“ თანამშრომლები კოლინ ვან ოსი და ლუი ბრონი, გუპილის გალერეების მუშაკი ჰააგელი იოჰან ტერსტეგი, სხევენინგენელ ანტონ მაუვეს ოჯახი, მცირე ვამელი მუსიე და მადამ ჟან ბატისტ დენები, ნუენენელ პოფკეს ოჯახი, ამსტერდამელი ჟ. ბარტ დე ლა ფეი, არლელი ექიმი ფელიქს რეი, წმინდა პავლეს თავშესაფრის ექიმი ედგარ ლერუა, უაზის ოვერელი პოლ გაშე, რომელიც ვინსენტის უერთგულეს მეგობრად დარჩა დღემდე მთელს ევროპაში.

დიდად დავალებული ვარ ლონა მოსკისაგან, ალისა და რეი ბრაუნისაგან, აგრეთვე ჯინ ფაქტორისაგან, რომლებიც დამეხმარნენ ამ წიგნის გამოცემაში. და, ბოლოს, მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო რუთ ალეის, რომელმაც პირველმა წაიკითხა წიგნი ხელნაწერში.

1934 წელი, 6 ივნისი.

ირვინგ სტოუნი

ირვინგ სტოუნი და მისი ბიოგრაფიული რომანი

უჩვეულო მხატვრისა და ადამიანის ვან გოგის ცხოვრებისა თუ შემოქმედებისადმი ინტერესი არ ნელდება. გარდა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სპეციალისტებისა, დასავლეთ ევროპის ხელოვნების ამ უკანასკნელი კლასიკოსისა და ახალი ხელოვნების ერთ-ერთი პირველდამწყების პიროვნება ბევრი სხვა პროფესიის ადამიანსაც იზიდავს.

„ყველა საქმეში მთავარია მიზანი და გამარჯვება, რომლის მისაღწევად მთელი ცხოვრების მანძილზე დაძაბული მუშაობა გჭირდება. ძნელად მიღწეული გამარჯვება უფრო დიდი გამარჯვებაა“, — წერდა ვან გოგი თავის ძმას, თეოს. მართლაც რომ საოცრად ძნელი გზა განვლო მხატვარმა გამარჯვებამდე. იგი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღიარეს, უფრო მოგვიანებით მისი წერილებიც დაიბეჭდა და მთელმა მსოფლიომ დაინახა ტიტანური სულის ადამიანი, რომელიც სიცოცხლეში არავის შეუნიშნავს, ტანსაცმელჩამოძონძილი, მკერდგანიერი, მწითური ჰოლანდიელი ერთი უჯიათი კაცი იყო ყველასათვის, ხელმოცარული და უმაქნისი. რა საქმესაც არ მოეკიდა, ყველგან დამარცხდა და, ბოლოს, ოცდაშვიდი წლისამ, როცა საბოლოოდ ჩაუცხრა მქადაგებლის პათოსი, ცხოვრების გზად მხატვრობა აირჩია. შემდეგ კი ვინსენტ ვან გოგი ვეღარაფერმა შეაჩერა, აზვავდა გრძნობა, ერთი მიმართულებით დაიძრა და

ელვის უსწრაფესად დახვავდა მისი შედევრები, რომლებიც ჯერ ხან საწოლის ქვეშ ეყარა, ხან კარადის თავზე, ხანაც სადღაც სარდაფებში, დღეს კი მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში დანაწილებულა და დიდძალ ხალხს იზიდავს. ოტერლოში, ქალბატონ კროილერ-მიულერის მუზეუმში (ნიდერლანდები) ინახება ცხრა წლის ვინსენტის მიერ ფანქრით შესრულებული „სარძევე“, „კორინთული კაპიტელი“ და რამდენიმე სხვა ნახატი.

მათში კარგად ჩანს გაწაფული, ხატვას ნაჩვევი ხელი, მხატვრული ალღო და რაც მთავარია, ცხადად იგრძნობა ის გაბედულება და სითამამე, რაც დამახასიათებელია მისი ნამუშევრებისათვის საერთოდ.

„ხელოვნება ბრძოლაა, ხელოვნებაში არ შეიძლება თავის დანდობა.

ისე უნდა იმუშაო, თითქოს ბევრი ზანგი იყო, ერთად აღებული, რადგან სჯობს სდუმდე საერთოდ, ვიდრე ვერ შეძლო გამოხატო შენი სათქმელი“, იმეორებს ვან გოგი მილეს სიტყვებს და ამ სიტყვებისა და მილეს ერთგული რჩება სიცოცხლის ბოლომდე. თვრამეტი წლის მიმოწერამ თეოსა და ვინსენტს შორის შემოგვინახა ვინსენტის ცხოვრების ყველა დეტალი, მისი ძიება, თავგზააბნევა, სულის ძლიერება, სისუსტე, ოპტიმიზმი, უიმედობა, ტკივილი. ანუ ყველაფერი ის, რაც მხატვრის ცხოვრებასა და ტრაგედიას შეადგენდა.

რაშია ვინსენტ ვან გოგის სიდიადე? რით განსხვავდება იგი მის თანამედროვეთაგან? მან ხომ თავიდანვე გამოაცხადა, მე ჩემი საკუთარი გზით უნდა ვიარო, თანამედროვე სკოლას არ გავყვებიო. ვინსენტი ცხადად ხედავდა, რომ სალონური ხელოვნება ჩიხში მოექცა, გასაქანი აღარ მიეცა და ჩაკვდა. ხსნა ერთია, აღდგეს მილესა და დომიეს სკოლა, ანუ ხელოვნება ხალხს უნდა დაუახლოვდეს. არისტოკრატების ნაცვლად მუშები და გლეხები ეძებოს. აქ არის მოძრაობა, ცხოვრების რიტმი, მომავალი. და ვინსენტიც ეძებს ნამდვილ ადამიანებს, მიწის მუშებს, მხვნელებს, მთესველებს, მქსოველებს, მაღაროელებს, მრეცხავ ქალებს, მეთევზეებს. მის მიერ დახატული პეიზაჟი მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოა, სადაც ეს ხალხი იმყოფება. აი, ადამიანის ხელით მოწეული პურის ყანა, ხეხილი, ვაზი, ბაღი თუ ბოსტანი. შეიძლება პეიზაჟში ფიგურა არ სჩანდეს, მაგრამ აუცილებლად იგულისხმება, გრძნობ, რომ სადღაც აქვეა, ახლოს. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და ხალხს უნდა ემსახურებოდესო, ამბობს ვინსენტი და დაუღალავად ემსახურება ადამიანებს. მათკენ მიისწრაფვის და მაინც მარტოა, ყველა უყვარს და ყველასაგან მოძულებულია.

ვინსენტი თანაბარი სიყვარულითა და გატაცებით ხატავს ყველაფერს — პორტრეტს, პეიზაჟს, ნატურმორტს; ჯერ კიდევ ჰოლანდიაში ყოფნისას მიხვდა, რომ ხელოვანს მექანიკურად კი არ გადმოაქვს ტილოზე სინამდვილე, არამედ ჯერ თავისებურად აღიქვამს მას და შემდეგ კი ისე აცოცხლებს, როგორც გრძნობა უკარნახებს. ნამდვილი ხელოვნება მუდამ აღჭურვილია გაზვიადების უფლებით. ამ მხატვრულ გაზვიადებას ესთეტიკური ღირებულების გარდა გარკვეული ფუნქციაც გააჩნია, იგი მხატვრულ-ემოციური სიძლიერის ძირითადი ფაქტორია.

ვინსენტი პოსტიმპრესიონისტია, ტრადიციული გაგებით. ეს ტერმინი არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ ერთგვარად თავს უყრის ყველა იმ მხატვარს, რომლებიც იმპრესიონისტების შემდეგ გამოჩნდნენ და მათი მანერა გაიზიარეს. 1886 წლიდან მოყოლებული, პოსტიმპრესიონისტული პერიოდი გრძელდება მანამდე, ვიდრე არ

გამოჩნდა ოცი წლის შემდეგ კვლავ ახალი გადატრიალება, — კუბიზმი. ვან გოგი იმპრესიონისტებს 1886 წელს დაუახლოვდა, როცა პარიზში ჩამოსულმა ნახა იმპრესიონისტების ბოლო გამოფენა, სადაც პირველი ნეოიმპრესიონისტებიც მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, მის ნახატებში თავიდანვე იგრძნობა სტილისა და მანერის ერთგვარი თავისებურება, მხატვრული გაზვიადება, ემოციური სიღრმის საჩვენებლად. ბუნებისა და ადამიანების მძაფრ, უჩვეულო აღქმას გამოხატვის განსხვავებული ფორმა სჭირდება და აი, შედეგი, ოდნავი ასიმეტრია, კონტრასტული, ძლიერი ფერები და ფუნჯის ვნებიანი მოსმა. ვან გოგი არ არის ფორმალისტი მხატვარი.

მისთვის სრულიად უცხოა რედონის მისტიციზმი, გოგენისა და ბერნარის კლუაზონიზმი, სიორას დივიზიონიზმი, თუ იმდროინდელ პარიზში მეტად პოპულარული „ნატურალური იმპრესიონიზმი“. ვან გოგის იმპრესიონიზმს გაცილებით მეტი აქვს საერთო რეალიზმთან, ვიდრე რომელიმე სხვა მიმართულებასთან. მე ჩემს თავს იმპრესიონისტს იმიტომ ვუწოდებ, რომ ეს სახელწოდება ბევრს არაფერს ნიშნავს, არაფერს მავალდებულებს და ამიტომაც პრეტენზია არავის ექნებაო. რასაკვირველია, ზოგჯერ იგი ექცევა ამა თუ იმ მიმართულების გავლენის ქვეშ, მაგრამ ეს ერთგვარი ხარკია, რადგან საკმაოდ საღად უცქერის ყველა მოდურ მიმართულებას. აბსტრაქცია მოჯადოებული გზაა, იგი ძალიან სწრაფად მიგიყვანს კედელთანო, წერდა ვინსენტი, როცა გოგენის არლში ჩასვლის შემდეგ ორი აბსტრაქტული (როგორც თვითონ უწოდებს) ტილო დახატა — „იავნანა“ და „რომანის წამკითხველი“. რაც შეეხება პუანტილისტურ შესრულებას, შარავანდედებსა და სხვა მისთანებს, მე მათ ნამდვილ აღმოჩენად ვთვლი. თუმცა, ამთავითვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს ტექნიკა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, არასოდეს იქცევა საერთო კანონზომიერებად.

ამიტომაც სიორას „გრანდ-ჟატი“, სინიაკის უფრო მსხვილი წერტილებით შესრულებული პეიზაჟები და ანკეტენის „ნავი“, კიდევ უფრო ინდივიდუალური და ორიგინალური შეიქნება დროთა განმავლობაში.

როგორც ცნობილია, ჰოლანდიასა და ბელგიაში მუშაობისას აშკარად იგრძნობა ვინსენტის ობიექტური მსოფლმხედველობა, რომელიც ფრანგულ პერიოდში ნელ-ნელა სუბიექტურობისაკენ იხრება. არლში, სენ-რემისა და ოვერში შესრულებული ნახატები ერთგვარი დღიურია, სადაც ნათლად მოჩანს მარტოობისათვის განწირული ადამიანის ტკივილი და ნერვული დაძაბულობა, გამოწვეული ფსიქიკის პათოლოგიური მდგომარეობით. არლის პერიოდი განსაკუთრებით ინტენსიურია მის შემოქმედებაში. წელიწადში ორასამდე სურათი და ასამდე ჩანახატი შეასრულა, მათ შორის „მზესუმზირები“, „მკა“, „იავნანა“, „ღამის კაფე არლში“ და სხვა. გოგენთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ მისი დინამიური ფუნჯის მოსმა უფრო მკვეთრია, მატულობს დრამატიზმით განმსჭვალული დისონანსები, დარღვეულია პერსპექტივა. ვან გოგისათვის სიმბოლიზმი უცხო არ იყოო, ამბობენ კრიტიკოსები. მართალია, მაგრამ მისი სიმბოლიზმი მეტად თავისებურია. გავიხსენოთ ვინსენტის სურათები „გოგენის სკამი“ და „ვან გოგის სკამი“. საინტერესოა მათი შექმნის ამბავი. 1882 წელს ჰააგაში, მაუვესთან სამუშაოდ ჩასული ვინსენტი თეოს სწერს, დიკენსის რომანების ცნობილი გამფორმებელი ლიუკ ფილდსი მწერლის სიკვდილის შემდეგ მის ოთახში შესულა, მაშინვე თვალში სცემია ცარიელი სკამი და იმდენად შეძრწუნებულა, რომ

დაუხატავს სურათი „ცარიელი სკამი“. მე ვნახე ეს სურათი და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზეო. ო, ეს ცარიელი სკამები, ამბობს გულისტკივილით ვინსენტი, უკვე რამდენია და რაც დრო გავა, ადამიანების მაგივრად მხოლოდ ცარიელი სკამები დარჩებიანო. რამდენიმე წლის შემდეგ, არლში ყოფნისას, როცა დარწმუნდა, გოგენი სამუდამოდ სტოვებს ჩვენს ყვითელ სახლს და ისევ მარტო ვრჩებიო, სასოწარკვეთილმა დახატა „გოგენის სკამი“, შემდეგ კი თავისი... ასეთი სიმბოლიზმი, რასაკვირველია, დაცილებულია ყოველგვარ მისტიციზმს, და თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი რეალისტური სიმბოლიზმია.

ვინსენტ ვან გოგის სამყარო ძიების სამყაროა, რთული და ღრმა.

ერთნაირად საინტერესოა მისი პიროვნება, შემოქმედება და აზრები ხელოვნებაზე, თეორიები ჩრდილ-სინათლეზე, ტონზე, ფერზე, კომპოზიციასა თუ პერსპექტივაზე, მისი აუსრულებელი ოცნება კოლექტიურ შემოქმედებაზე, მხატვართა კავშირზე, ადამიანთა ბედნიერ მომავალზე. ყველაფერი, რაც ვინსენტის სახელთანაა დაკავშირებული, მოძრაობისაკენ გიბიძგებს, გაცოცხლებს და ცხოვრებას აზრს ჰმატებს.

1973 წლის 14 ივლისს გამოჩენილ ამერიკელ მწერალს, ბიოგრაფიული რომანის დიდ ოსტატს, ირვინგ სტოუნს 70 წელი შეუსრულდა.

ქართველი მკითხველი მას უკვე იცნობს, როგორც ჯეკ ლონდონის ბიოგრაფიის ავტორს. „წყურვილი სიცოცხლისა“ მწერლის პირველი რომანია, რომელმაც გზა დაულოცა მწერალს ბიოგრაფიული რომანის რთული და საინტერესო ჟანრისაკენ.

ირვინგ სტოუნი დაიბადა 1903 წელს სან ფრანცისკოში (კალიფორნიის შტატი), ჯეკ ლონდონის, ფრენკ ნორისის, ჯორჯ სტერლინგისა და გერტრუდა ათერტონის მშობლიურ ქალაქში. 1923 წელს დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტი, ხოლო 1924 წელს მაგისტრის ხარისხი დაიცვა. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში სადოქტორო ხარისხის კანდიდატი იყო, მაგრამ რაკი სერიოზულად გადასწყვიტა, მწერლობას უნდა მოვკიდო ხელიო, 1926 წელს უნივერსიტეტს თავი ანება. მე იმთავითვე ვიცოდი, ამბობს სტოუნი, რომ მწერალი ის ადამიანია, რომელიც წელიწადში სამას სამოცდახუთ დღეს ხოლო დღეში თექვსმეტ საათს თავაუღებლად უნდა მუშაობდესო. ირვინგ სტოუნი ბავშვობიდანვე მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა და სწავლასთან ერთად სად არ მუშაობდა.

სტუდენტობის პერიოდში, მაგალითად, საქსოფონზე უკრავდა და იმით ირჩენდა თავს. წერა პატარაობიდანვე ეხერხებოდა. ჯერ ნოველების შეთხზვით იყო გატაცებული, შემდეგ იბსენისა და შოუს გავლენით დრამატურგიით დაინტერესებული, პარიზს გაემგზავრა პიესების საწერად.

პარიზში, როზენბერგის გალერეაში პირველად ნახა ვან გოგის ცეცხლივით ელვარე ტილოები, რამაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. „მსგავსი განცდა ცხოვრებაში არ მქონია, გალერეიდან გამოვედი თუ არა, ვიგრძენი, რომ არ შემეძლო კიდევ რაიმე არ შემეტყო ვან გოგის შესახებ. მყისვე გადავიკითხე ყველაფერი, რაც ფრანგულად, გერმანულად და ჰოლანდიურად მომხვდა ხელში. მაშინ სულაც არ მიფიქრია, ვან გოგზე წიგნი დამეწერა, მაგრამ ნიუ-იორკში დაბრუნებულმა ვერ იქნა და თავიდან. ვეღარ მოვიცილე მასზე ფიქრი; ვინსენტ ვან გოგი ამეკვიატა და მოსვენებას აღარ მაძლევდა“, წერს მოგვიანებით ირვინგ სტოუნი.

ახალ გატაცებას ისევ ევროპაში მოგზაურობა მოჰყვა. ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, სტოუნმა ყველა ის, ქვეყანა შემოიარა, სადაც კი ვინსენტ ვან გოგი ყოფილა, რათა ზოგი ფაქტიური, ზოგიც მონაყოლი მასალა შეეკრიბა ვინსენტის ცხოვრებაზე. და აი, 1934 წელს დასრულდა „წყურვილი სიცოცხლისა“, მხატვრის ცხოვრების რომანი.

მალე დრამატურგიას სამუდამოდ ჩამოშორდა მას შემდეგ, რაც მისი პიესა „მართლაც რომ მამაცი“, ბროდვეიზე, ჩერი ლეინის თეატრში დაიდგა და პრემიერიდანვე მოიხსნა. (ექვსი წლით ადრე პიესა „ბნელი სარკე“ ექვსი კვირის განმავლობაში იდგმებოდა იმავე თეატრში). „მე მაშინ მივხვდი“ — თქვა სტოუნმა, — „რომ, ჯერ ერთი, დრამატურგიის ნიჭი არ გამაჩნდა და მეორეც ის, რომ ჩემი მოწოდება ბიოგრაფიულ მასალაზე მუშაობა იყო“. იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ირვინგ სტოუნი ბიოგრაფიულ ჟანრში მუშაობს, იქნება ეს დოკუმენტური თუ მხატვრული ბიოგრაფია.

ირვინგ სტოუნი ოცდახუთი წიგნის ავტორია (თუ არ ჩავთვლით მის პიესებსა და უამრავ დეტექტიურ ნოველას). მათ შორის ათი ბიოგრაფიული რომანია, რომლებიც მსოფლიოს ოცდათხუთმეტ ენაზე ითარგმნა. საინტერესო და მრავალფეროვანია მწერლის გმირთა გალერეა: ვან გოგი, ჯეკ ლონდონი, ამერიკის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე იუჯინ დებსი, მხატვარი ჯონ ნობელი, რეიჩელ ჯეკსონი, მერი ლინკოლნი, მიქელანჯელო, ფროიდი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მაინც მისი სამი რომანია „წყურვილი სიცოცხლისა“ (ვან გოგი), „აგონია და ექსტაზი“ (მიქელანჯელო) და „გონების ვნებანი“ (ზიგმუნდ ფროიდი).

„წყურვილი სიცოცხლისა“, როგორც უკვე ითქვა, მწერლის შემოქმედებითი ნათლობაა. იგი 1934 წელს დაიბეჭდა და მყისვე საერთო აღიარება მოუპოვა სტოუნს. რომანში ვან გოგის ჭეშმარიტი და დამაჯერებელი სახეა მოცემული. ლოგიკურად ვითარდება ყოველი მისი მოქმედება, სათუთადაა შერჩეული გმირის მეტყველების ლექსიკა (დიალოგებით გამდიდრება ერთ-ერთი იმ თავისებურებათაგანია. რაც სტოუნმა ბიოგრაფიულ რომანში შეიტანა), მაშინაც კი, როდესაც წყდება ფაქტების ჯაჭვი. ამ დროს სტოუნს შველის მხატვრული ფანტაზიის ძლიერი შემართება, ბიოგრაფის ალღო და გმირის ხასიათის ღრმა, მეტისმეტად ღრმა ცოდნა. შეუძლებელია მწერალს მოედავო ცალკეული ფაქტების სიზუსტეზე. მაგალითად, ცნობილია, რომ ვინსენტი სიორას სახელოსნოში მხოლოდ არლში წასვლის წინ მივიდა და ისიც გოგენთან კი არა, არამედ თეოსთან ერთად, რაც სრულიად არაფერს აფუჭებს. პირიქით, ზოგჯერ ერთგვარი მხატვრული ხერხიცაა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის რომანს. წიგნის საერთო ტონი დამაჯერებელია, ვინსენტის სახე სწორი და საინტერესოა, მისი ხასიათის გაგება და შეფასება ზუსტია.

სტოუნს მკაცრი პროექტი აქვს ხოლმე ბიოგრაფიული რომანის დასაწერად. იგი უშეცდომოდ არჩევს თავისი გმირის ცხოვრების პერიოდს.

ვინსენტ ვან გოგს, მაგალითად პირველი მარცხიდან გვაცნობს, მიქელანჯელოს — გირლანდაიოს სახელოსნოში მისვლიდან, ჯეკ ლონდონს დაბადებიდან, ფროიდს — მართა ბერნეისთან ურთიერთობიდან, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ფროიდის ცხოვრებაში. შემდეგ მკითხველის თვალწინ ნელ-ნელა ძერწავს გმირის სახეს, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოკვდავიცაა და უკვდავიც, ჩვეულებრივი

ადამიანიცაა და უჩვეულოც. ბოლოს კი ისევ თავისი გმირის თვალით აჯამებს განვლილ ცხოვრებას და იმ დანატოვარს, რასაც შემდეგ საუკუნეები შეინახავენ.

ადამიანის პიროვნება მისი თანამედროვეობის ფონზე — აი, ირვინგ სტოუნის ბიოგრაფიული რომანის ძირითადი ხაზი. ფონის სისავსე აუცილებელია, თორემ პერსონაჟი ვაკუუმში აღმოჩნდება და მისი განყენებული ამბავი არავის დააინტერესებსო, ამბობს მწერალი. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ბიოგრაფიულ რომანს ქმნიან ის კონფლიქტები, რაც ადამიანს თავისი თავის მიმართ უჩნდება და არა ისინი, რაც მწერალსა და მის გმირს შორის შეიძლება არსებობდეს. სტოუნისეული ბიოგრაფიული რომანის ლეიტმოტივი მუდამ დიდი პიროვნების ტრაგიზმია. „მე ბიო-ისტორიის მწერალი ვარ“, — ამბობს სტოუნი, „რადგან დიდი ადამიანის ისტორია კაცობრიობის ღირსეულ ისტორია აცოცხლებს, ისტორიას, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი უნდა გაუფრთხილდეს“.

„მე ბიოგრაფიულ რომანს ორი მიზეზის გამო ვწერ: მინდა ჩვეულებრივი ცხოვრების სიღრმე ვიგრძნო და, გარდა ამისა, მინდა ხალხს მოვუთხრო ეკლიან გზაზე როგორ დადის დიდი ადამიანი“. სტოუნს სწამს, რომ მხოლოდ ღრმა ჰუმანიზმი ანიჭებს ლიტერატურულ ნაწარმოებს ღირებულებას, და სწორედ ეს მისეული უსაზღვრო ჰუმანიზმია ასე რომ გხიბლავს, თითოეულ მის სიტყვაში გამოსჭვივის და ოპტიმიზმით გვავსებს.

მანანა ანთაძე